

**საქართველოს
საგარეო პოლიტიკა
21-ე საუკუნეში**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**საქართველოს
საგარეო პოლიტიკა
21-ე საუკუნეში**

გამოწვევები პატარა ქვეყნისთვის



**უნივერსიტეტის
გამომცემლობა**

რედაქტორები: ტრეისი ჯერმანი
სტივენ ჯონსი
კორნელი კაკაჩია

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023

ISBN

შინაარსი

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისთვის	
ავტორები	
სამადლობელი	
აბრევიატურები	
რუკები	
შესავალი – სტივენ ჯონსი	
გრაფიკების სია ???	
ცხრილების სია ???	

I ნაწილი

იდენტობის გამოყენება
საქართველოს საგარეო პოლიტიკაში

თავი 1

უსაფრთხოების უზრუნველყოფა პატარა
სახელმწიფოს სტატუსის პირობებში
ტრეისი ჯერმანი, კორნელი კაკაჩია

თავი 2

საზოგადოებრივი ურთიერთობები, საერთაშორისო
პოლიტიკა და ქართული დემოკრატია
ლინკოლნ ა. მიტჩელი

თავი 3

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია,
როგორც საგარეო პოლიტიკის აქტორი
სალომე მინესაშვილი

II ნაწილი რეგიონული კონტექსტი

თავი 4

კავკასიაში, თუმცა შავი ზღვისკენ:

საქართველოს რეგიონული იდენტობის ცვლილება

დავით აფრასიძე

თავი 5

საქართველოს ურთიერთობები თურქეთსა და ირანთან

გიორგი სანიკიძე

თავი 6

პოსტსაბჭოთა ეპოქის დასასრული საქართველოს

საგარეო პოლიტიკაში: საქართველოს ურთიერთობები

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან

ლევან კახიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე

III ნაწილი საქართველო და „დასავლეთი“

თავი 7

ევროკავშირი-საქართველო: პოლიტიკა,

გეოგრაფია და იდენტობა

ნატალი საბანაძე

თავი 8

უსაფრთხოება, სოლიდარობა და სპეციალიზაცია:

რატომ უჭერენ მხარს პოლონეთი და ბალტიისპირეთის

ქვეყნები საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას

ბიძინა ლეხანიძე, რენატა სკარჯუტე-კერესელიძე

თავი 9

საქართველოს ალიანსი ნატოსთან და არა ნატოში:

საგარეო ბალანსი, ავტონომია და საზოგადოება

მაიკლ ჰიკარი ჩეჩირე

IV ნაწილი
საქართველო და
დიდი ძალები

თავი 10

ამბავი ორი სამკუთხედისა: საქართველოს

პოლიტიკა რუსეთის მიმართ

გია ნოდია

თავი 11

აშშ-საქართველოს ურთიერთობები:

კონსტრუქციული თანამშრომლობის მაგალითი

მამუკა ნერეთელი

ბოლოსიტყვაობა

ტრეისი ჯერმანი, სტივენ ჯონსი და კორნელი კაკაჩია

ბიბლიოგრაფია

სარჩევი

გრაფიკები

- 2.1** Freedom House -ის საქართველოს შეფასებები: 1992-2019
- 2.2** Freedom House-ის აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა და რუსეთის შეფასებები (1998-2019)
- 5.1** არაბული ქვეყნების პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში (2015-18)
- 5.2** წამყვანი სავაჭრო პარტნიორების წილი საერთო იმპორტში, იანვარი 2020
- 5.3** წამყვანი სავაჭრო პარტნიორების წილი საერთო ექსპორტში, იანვარი 2020
- 5.4.** ფულადი გზავნილები საქართველოში: 2012-17 (მლნ. აშშ დოლარში)
- 5.5** ფულადი გზავნილები თურქეთიდან: 2018-20 (მლნ. აშშ დოლარში)
- 5.6** ექსპორტი, იმპორტი და სავაჭრო ბალანსი თურქეთთან (აშშ დოლარში)
- 5.7** იმპორტი, ექსპორტი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ირანთან: 1995-2019
- 5.8** იმპორტი, ექსპორტი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ირანთან: 2013-16
- 5.9** საერთაშორისო მოგზაურობა ირანიდან საქართველოში: 2011-19
- 5.10** ირანიდან საქართველოში იმიგრაცია: 2012-18
- 6.1** ყველა სამიზნე ქვეყანაში და სამიზნე ქვეყნიდან ვიზიტების რაოდენობა: 2007-17
- 6.2** საქართველოსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ხელმონერილი ორმხრივი შეთანხმებები: 1991-2017
- 6.3** ყველა ქვეყნიდან და ქვეყანაში ვიზიტორთა საერთო რაოდენობა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა (2007-2012) და ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში (2013-17)

- 6.4** პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ორმხრივი შეთანხმებების რაოდენობა, რომლებიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა (2007-12) და ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში (2013-17) დაიდო
- 6.5** საქართველოს წლიური ექსპორტი თითოეულ სამიზნე ქვეყანასთან (1,000 აშშ დოლარში)
- 6.6** საქართველოს ყოველწლიური ექსპორტი ბელარუსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები) და ყაზახეთთან, ყირგიზეთთან, ტაჯიკეთთან, თურქმენეთთან და უზბეკეთთან (ცენტრალური აზიის ქვეყნები), მათი პროცენტული წილი საერთო ექსპორტში
- 6.7** საქართველოს ყოველწლიური იმპორტი პოსტსაბჭოთა თითოეული სახელმწიფოსგან (1,000 აშშ დოლარში)
- 6.8** საქართველოს ყოველწლიური იმპორტი ბელარუსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები) და ყაზახეთთან, ყირგიზეთთან, ტაჯიკეთთან, თურქმენეთთან და უზბეკეთთან (ცენტრალური აზიის ქვეყნები), მათი პროცენტული წილი საერთო იმპორტში
- 6.9** პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი პოსტსაბჭოთა რვა სახელმწიფოსთან

ცხრილები

- 1.1** სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შედარება
- 2.1** საქართველოს უსასყიდლო ფინანსური მხარდაჭერა (1995-15)
- 2.2** პოლიტიკური უფლებები - Freedom House
- 4.1** სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის პოლიტიკური რეჟიმები (ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობა - EaP)
- 4.2** კავკასიის ეკონომიკური კავშირები რუსეთთან
- 4.3** სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ვაჭრობა 2015
- 4.4** სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ხუთი მთავარი სავაჭრო პარტნიორი (%) 2015
- 4.5** აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსი 2017 (0-100)
- 9.1** ნატოში განევრების პროცენტული მხარდაჭერა საქართველოში (NDI, 2014-20)
- 9.2** იმ რესპონდენტების პროცენტული რაოდენობა, ვინც ნატოში განევრებას ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხად მიიჩნევს (NDI, 2014-20)
- 9.3** საქართველოს ნატოში განევრების ალბათობის შესახებ მოსახლეობის მოსაზრებების პროცენტული განაწილება (NDI: 2014, 2015, 2017, 2019)
- 9.4** ნატოს შესახებ შეხედულებების პროცენტული განაწილება (CRRC: 2013, 2015, 2017, 2019, 2020)

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისთვის

2020 წელს ჩვენი წიგნის გამოქვეყნების შემდეგ, საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესაძლებლობები და, ზოგადად, გეოპოლიტიკური გარემო მკვეთრად შეიცვალა. უკრაინაში ომმა ევრაზიულ სივრცეში რუსეთის ტრადიციულ ჰეგემონურ მისწრაფებებს ბზარი გაუჩინა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში. ყაზახეთმა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში (CSTO) უფრო აქტიური როლი შეითავსა, რითაც რუსეთის კონტროლისგან მეტად გათავისუფლდა. სამხრეთ კავკასიაში, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში რუსეთის დომინანტური პოზიცია, რომელიც სომხეთსა და აზერბაიჯანზე მისი კონტროლის ძირითად მექანიზმს წარმოადგენს, თურქეთისა და ევროკავშირის ჩართულობამ კიდევ უფრო შეასუსტა. სომხეთი, რომელიც სამხრეთ კავკასიაში რუსეთის სტრატეგიულ დასაყრდენს წარმოადგენს, რუსეთის უსაფრთხოების გარანტიებს ვეღარ დაეყრდნობა და, შესაბამისად, ქვეყნის ხელისუფლებას სხვა შესაძლებლობების მოძიება მოუწევს. 2020 წლის მთიანი ყარაბაღის ომში სომხეთის დამარცხებამ სამხრეთ კავკასიაში ახალი სატრანზიტო შესაძლებლობები შექმნა, რაც რეგიონში რუსეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ გავლენებს შეამცირებს. „ერთი გზა-ერთი სარტყელის ინიციატივის“ (BRI) ფარგლებში, ცენტრალური აზიის, კავკასიისა და თურქეთის დამაკავშირებელი შუა დერეფნის განვითარებით ჩინეთი რუსეთს კიდევ უფრო დიდ კონკურენციას გაუწევს. რუსეთში არასტაბილური გარემო „ერთი გზა-ერთი სარტყელის ინიციატივის“ ჩრდილოეთის დერეფანს, რომელიც ტრანსციმბირულ სარკინიგზო მაგისტრალს უკავშირდება, დასაფლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობისთვის ნაკლებად მიმზიდველს ხდის.

ასევე შეიცვალა დასავლეთის ტრადიციული საგარეო პოლიტიკური მიდგომა საქართველოს მიმართ. თუ ადრე დასავლური სახელმწიფოები ყოველთვის ითვალისწინებდნენ რუსულ კონტექსტს თავიანთ პოლიტიკაში, 2023 წელს ეს ასე აღარ მოხდება, რამდენადაც რუსეთი თავისი სამხრეთელი მეზობლების მიმართ უსაფრთხოების მუქარის შესაძლებლობას თანდათანობით კარგავს. აღნიშნული ცვლილება საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას ევროკავშირში მიწვევის შესახებ ევროპული საბჭოს 2022 წლის 23 ივნისის უპრეცედენტო გადაწყვეტილებაში აისახა. იმავე წლის დეკემბერში, საქართველოსა და რუმინეთს შორის წყალქვეშა ელექტროსადენის გაყვანის ინიციატივამ შავი ზღვის, როგორც ევროპასა და საქართველოს შორის დამაკავშირებელი ახალი ხიდის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. რასაკვირველია, ამ გეოპოლიტიკურ გარდაქმნებს უზარმაზარი რისკები ახლავს თან - შესაძლოა ჩრდილოეთ კავკასია 1990-იანი წლების სახიფათო რყევების მდგომარეობას დაუბრუნდეს, რამაც თავის დროზე მკაფიოდ აჩვენა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას შორის პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების ურთიერთგადაჯახებულიობა.

გასულ წელს გამოქვეყნებულ წიგნში, საქართველოს გეოგრაფიული პოზიციისა და პატარა ზომის მიუხედავად, მისი საგარეო პოლიტიკის მზარდ ავტონომიას გავუსვით ხაზი. ბოლო ორი წლის განმავლობაში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებები ამ არგუმენტს კიდევ უფრო ამყარებს. ჩვენმა ავტორებმა გააანალიზეს საქართველოს საგარეო პოლიტიკის მულტივექტორული პოტენციალი ქვეყნის ირანთან, თურქეთთან, პოლონეთთან, ცენტრალურ აზიასა და ბალტიის სახელმწიფოებთან ურთიერთობის კონტექსტში. სამხრეთ კავკასიის ახალ „პოსტრუსულ“ კონტექსტში, ქართველმა ლიდერებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ. რუსეთს არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ მას სიტუაციის შემობრუნე-

ბა შეუძლია, დასავლური ძალები კი ცვალებადია. თუმცა, საქართველოს წინაშე არსებული შესაძლებლობები და გამოწვევები, რომლებიც ჩვენი წიგნის 2022 წლის გამოცემაში იყო განალიზებული, 2023 წელს კიდევ უფრო ამკარაა.

დიდი გეოპოლიტიკური აქტორების უფრო და უფრო გაძლიერების პირობებში, საქართველოს ავტონომიის შესანარჩუნებლად გამჭრიახი და კეთილგონივრული საგარეო პოლიტიკა სჭირდება. საქართველოსთვის მოქნილი დიპლომატია ყოველთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო, და ახლა ქვეყნის დიპლომატიურ სამსახურს საუკეთესო კადრები განსაკუთრებულად სჭირდება. გასაკვირია, თუმცა მომავალი დიპლომატიისთვის საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესასწავლად ძალიან შეზღუდული რაოდენობის ლიტერატურა არსებობს. ალექსანდრე რონდელი (1942-2015), საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის დირექტორი, საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ლიტერატურის შექმნის პირველი ინიციატორი იყო და 1999 წელს, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (CEU) მხარდაჭერით გამოაქვეყნა წიგნი *„საქართველო: საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოებანი“*. შემდგომში მან, ასევე, გამოაქვეყნა უფრო თეორიული ნაშრომი *„პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“*. თუმცა, ამ ორი ნაშრომისა და კორნელი კაკაჩიასა და მაიკლ ჩეჩირეს მიერ გამოქვეყნებული წიგნის *„საქართველოს საგარეო პოლიტიკა: მდგრადი უსაფრთხოების ძიებაში“* გარდა, საერთაშორისო ურთიერთობებში, სამხრეთ კავკასიასა და მსოფლიოში საქართველოს როლის შესახებ ქართველი სტუდენტებისთვის ძალიან შეზღუდული რაოდენობის ლიტერატურაა ხელმისაწვდომი. 2022-23 წლებში რუსეთსა და უკრაინაში განვითარებული მოვლენები საქართველოს საგარეო პოლიტიკურ აზროვნებაში ახალი სტრატეგიების ჩამოყალიბებას მოითხოვს. იმედს ვიტოვებთ,

რომ ამ წიგნის ქართული თარგმანი მნიშვნელოვანი ტექსტი გახდება ქართველი სტუდენტებისთვის და მათ საქართველოს მომავალი უსაფრთხოებისთვის მეტი ძალისხმევისკენ უბიძგებს.

სტივენ ჯონსი, კორნელი კაკაჩია, ტრეისი ჯერმანი
2023 წლის იანვარი

ავტორები

დავით აფრასიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით და, ასევე, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობის ხელშეწყობის პროგრამის გუნდის ხელმძღვანელი. მან დოქტორის ხარისხი მიიღო ჰამბურგის უნივერსიტეტში, გერმანიაში. დავითი, ასევე, იყო ფულბრაიტის პროგრამის მკვლევარი დუკის უნივერსიტეტში, აშშ-ში. სხვადასხვა დროს მუშაობდა სახელმწიფო უწყებებსა და საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებში. მას გამოცდილება აქვს უმაღლესი განათლების მართვისა და რეფორმირების მიმართულებით. დავითის კვლევითი ინტერესები პოლიტიკურ ტრანსფორმაციასა და დემოკრატიზაციის საკითხებს მოიცავს.

მაიკლ ჰიკარი ჩეჩირე - ევრაზიის დემოკრატიული უსაფრთხოების ქსელის (EDSN) დირექტორი - ესაა საერთაშორისო სტიპენდიების პროგრამა და კვლევის პლატფორმა, რომელიც დემოკრატიასა და უსაფრთხოებას შორის კავშირს იკვლევს. ჩეჩირე, ასევე, არის სენტ-ენდრიუსის უნივერსიტეტის ახლო აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევების ინსტიტუტის დოქტორანტი მკვლევარი. გარდა ამისა, ის არის ჟურნალ *Caucasus Survey*-ის სარედაქციო კოლეგიის წევრი და შავი ზღვის რეგიონულ საკითხებზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საგარეო სამსახურის ინსტიტუტის მუდმივმოქმედი ლექტორი. მანამდე, ჩეჩირე მუშაობდა კვლევით ორგანიზაცია *New America*-ში საერთაშორისო უსაფრთხოების მკვლევრის პოზიციაზე, იყო საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის არარეზიდენტი სტიპენდიანტი, მოწვეული მკვლევარი კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტში და სხვადასხვა ინსტიტუტებში პოლიტიკური რისკების ანალიტიკოსისა და პოლიტიკის მრჩევლის პოზიციებს იკავებდა. მას

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია საერთაშორისო უსაფრთხოების, შავი ზღვის რეგიონული საკითხებისა და დემოკრატიის შესახებ.

ტრეისი ჯერმანი - კონფლიქტებისა და უსაფრთხოების პროფესორი ლონდონის კინგს კოლეჯის თავდაცვის კვლევების დეპარტამენტში. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს რუსეთის ძალის გამოყენებას პოსტსაბჭოთა სივრცეში, კავკასიისა და კასპიის რეგიონებში კონფლიქტისა და უსაფრთხოების საკითხებს და ნატო/ევროკავშირის გაფართოების გავლენას რუსეთის მეზობლებთან ურთიერთობებზე. მის გამოქვეყნებულ ნაშრომებს შორისაა „რეგიონული თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში: კარგი მეზობლები თუ შორეული ნათესავები?“ (Ashgate Publishing, 2012) და „რუსეთის ომი ჩეჩნეთში“ (Routledge, 2003). გარდა ამისა, პროფ. ჯერმანს სტატიები გამოქვეყნებული აქვს ისეთ ჟურნალებში, როგორცაა *International Affairs*, *Journal of Southeast European and Black Sea Studies*, *European Security*, *Europe-Asia Studies*, *Central Asian Survey* და *Small Wars and Insurgences*.

სტივენ ჯონსმა დოქტორის ხარისხი ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების სკოლაში 1984 წელს მიიღო. სხვადასხვა დროს ის კალიფორნიის, ლონდონისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში ასწავლიდა. ასევე, იყო ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარი და ოქსფორდის სენტ ანტონის კოლეჯის უფროსი ასოცირებული წევრი. 1989 წლიდან, სტივენ ჯონსი მათნათ პოლიოკის კოლეჯში (აშშ) ასწავლის. იგი არის ავტორი ნიგნებისა „სოციალიზმი ქართულ ფერებში: ევროპული გზა სოციალური დემოკრატიისკენ, 1883-1917“ (Harvard University Press, 2005), „ომი და რევოლუცია კავკასიაში: საქართველო ცეცხლის ალში“ (ed., Routledge, 2010), „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ“ (I.B. Tauris, 2013) და „თანამედროვე საქართველო“.

ლოს დაბადება: საქართველოს პირველი რესპუბლიკა და მისი მემკვიდრეები“, 1918-2010 (ed., Routledge, 2013). გარდა ამისა, ის იყო „ქართლის ცხოვრების“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და არტანუჯის გამომცემლობა, 2014) ინგლისურენოვანი გამოცემისა და ნოე ჟორდანიას გამოსვლებისა და მწერლობის სამტომიანი ქართული გამოცემის მთავარი რედაქტორი. პროფესორი ჯონსი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრია. მან საპატიო დოქტორის წოდება მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან 2012 წელს, ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისგან 2018 წელს.

კორნელი კაკაჩია - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების და ჟან მონეს პროფესორი. ამავე დროს, ის არის კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაციის, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი. მისი კვლევითი საქმიანობა შემდეგ საკითხებს მოიცავს: საქართველოს ევროპეიზაცია, საგარეო პოლიტიკის ანალიზი, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხები და შედარებითი პარტიული პოლიტიკა. სხვადასხვა დროს ის იყო IREX-ისა და OSI-ის სტიპენდიანტი და ჰარვარდის უნივერსიტეტის შავი ზღვის უსაფრთხოების პროგრამის (2009-10), ჰარიმანის ინსტიტუტის, კოლუმბიის უნივერსიტეტის (2011) ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის და ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევების სკოლის მონვეული მკვლევარი.

ლევან კახიშვილი - ბამბერგის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის (BAGSS) პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი, სადაც იგი იკვლევს საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში პარტიული კონკურენციის ბუნებას. მისი კვლევითი ინტერესებია საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დემოკრატიზაცია პოსტსაბჭოთა კონტექსტში.

ალექსანდრე კუპატაძე - ლონდონის კინგს კოლეჯის პოლიტიკისა და ეკონომიკის სკოლის ასისტენტ-პროფესორი. კინგს კოლეჯში სწავლების დანყებამდე, დოქტორი კუპატაძე სენტ ენდრიუსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სკოლაში ასწავლიდა. ასევე, მას ეკავა პოსტდოქტორანტის პოზიცია ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში (2010-11), ოქსფორდის უნივერსიტეტსა (2012-13) და პრინსტონის უნივერსიტეტში (2013-14). მისი კვლევები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა ტრანსნაციონალური დანაშაული, კორუფცია, საჯარო სექტორის რეფორმა, არაფორმალური პოლიტიკა და დანაშაული-ტერორის კავშირი. მისი რეგიონული კვლევითი ინტერესები პოსტსაბჭოთა ევრაზიას მოიცავს. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია ჟურნალებში *Journal of Democracy*, *Theoretical Criminology*, *Non-proliferation Review*, *Central Asia Survey* და სხვა წამყვან გამოცემებში. მისი კვლევების ფინანსურ მხარდაჭერებს შორის არიან Russell Trust (სენტ ენდრიუსის უნივერსიტეტი), სლავური და აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ბრიტანეთის ასოციაცია (BASEES) და ჰარი ფრანკ ფუგენჰაიმის ფონდი.

ბიძინა ლებანიძე - ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის სლავისტიკისა და კავკასიის კვლევის ინსტიტუტის პოსტდოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ასოცირებული პროფესორი და საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი. მას მიღებული აქვს პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორის ხარისხი ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში და საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მანამდე მას ასევე ეკავა სხვადასხვა აკადემიური და კვლევითი თანამდებობა ბრემენის უნივერსიტეტში, ფრაიბურგის უნივერსიტეტში, ბერლინის ეკონომიკისა და სამართლის სკოლაში, ბერ-

ლინის თავისუფალ უნივერსიტეტსა და კონრად ადენაუერის ფონდში.

სალომე მინესაშვილი - საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მკვლევარი და ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ESCP Europe-ის ლექტორი. მას მიღებული აქვს პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორის ხარისხი ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში, საერთაშორისო პოლიტიკური თეორიის მაგისტრის ხარისხი ედინბურგის უნივერსიტეტში და სამხრეთ კავკასიის ტრანსფორმაციის მაგისტრის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მას საგარეო პოლიტიკის ანალიზის, იდენტიფიკაციის პოლიტიკის, რბილი ძალის პოლიტიკის, ევროკავშირისა და აღმოსავლეთ სამეზობლოს შორის ურთიერთობებისა და ყოფილ საბჭოთა კავშირში ტრანსფორმაციის პროცესების მიმართულებით არაერთ კვლევით პროექტზე აქვს ნამუშევარი.

ლინკოლნ მიტჩელი ქართული პოლიტიკის გამოცდილი მკვლევარია. მას გამოქვეყნებული აქვს წიგნები „*ბუნდოვანი დემოკრატია: აშშ-ს საგარეო პოლიტიკა და საქართველოს ვარდების რევოლუცია*“ (პენსილვანიის უნივერსიტეტის გამოცემა, 2008), „*ფერადი რევოლუციები*“ (პენსილვანიის უნივერსიტეტის გამოცემა, 2012) და „*დემოკრატიის ხელშეწყობის პარადოქსი*“ (Brookings, 2016). იგი, ასევე, არის სხვა მრავალი აკადემიური და პოლიტიკური სტატიისა და საქართველოსა და რეგიონის შესახებ ახალი ამბებისა და საგაზეთო სვეტების ავტორი. დოქტორი მიტჩელი არის კოლუმბიის უნივერსიტეტის არნოლდ სოლცმანის ომისა და მშვიდობის კვლევების ინსტიტუტის პროფესორი. იგი, ასევე, ვრცლად წერს აშშ-ის პოლიტიკაზე, ბეისბოლისა და სან-ფრანცისკოს ისტორიაზე. მას მიღებული აქვს კალიფორნიის უნივერსიტეტის (სანტა კრუზი) ბაკალავრის ხარისხი და კოლუმბიის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი.

გია ნოდია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი და დამოუკიდებელი საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ცენტრის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის (CIPDD) დამფუძნებელი და თავმჯდომარე. 2008 წლის თებერვალ-დეკემბერში, მას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანამდებობა ეკავა. მის უახლეს გამოცემებს შორისაა „დემოკრატია“ (ქართულ ენაზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019) და სტატიები „დემოკრატიის გარდაუვალი ელიტები“, *Journal of Democracy*, 2020 წლის იანვარი და „ახალი საქართველო: პოლიტიკა, ეკონომიკა და საზოგადოება“, გალინა მ. იემელიანოვა და ლოურენს ბროერსი (რედაქტორები), *Routledge Handbook of the Caucasus* (Routledge, 2020).

ნატალი საბანაძე - ევროკავშირთან საქართველოს მისიის ყოფილი ხელმძღვანელი და ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგში. ამჟამად ის არის მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯის საირუს ვენსის საერთაშორისო ურთიერთობების მონვეული პროფესორი. მანამდე ნატალი საბანაძე ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლეს კომისიაში უფროსი მრჩეველისა და განყოფილების უფროსის თანამდებობას იკავებდა. მას მიღებული აქვს საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის ხარისხი ოქსფორდის უნივერსიტეტში და, ასევე, მაგისტრისა და ბაკალავრის ხარისხი ლონდონის ეკონომიკის სკოლასა და მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯში. ნატალი საბანაძე კითხულობს ლექციებს და აქვეყნებს ნაშრომებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა გლობალიზაცია და ნაციონალიზმი, ეროვნული უმცირესობების როლი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, ეთნიკური კონფლიქტები და შერიგების მოდელები, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები.

გიორგი სანიკიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და უნივერსიტეტთან არსებული გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს ისლამის შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ისტორიას, ახლო აღმოსავლეთისა (განსაკუთრებით, ირანის) და კავკასიის ისტორიასა და პოლიტიკას, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობებს. სხვადასხვა დროს პროფესორი სანიკიძე იყო პარიზის სორბონის III და პარიზის სორბონის IV უნივერსიტეტების, კალიფორნიის უნივერსიტეტის (ბერკლი) და ჰოკაიდოსა და ოსაკას უნივერსიტეტების მოწვეული მკვლევარი. იგი ოთხმოცამდე აკადემიური სტატიის, წიგნის თავისა და მონოგრაფიის ავტორია. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია საქართველოში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, იაპონიაში, აშშ-ში, ჰოლანდიაში, თურქეთში, ირანში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და რუსეთში.

რენატა სკარჯუტე-კერესელიძე - საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. მას მიღებული აქვს ნაციონალიზმის კვლევების მაგისტრის ხარისხი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (CEU) 2009 წელს და საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკური მეცნიერების ინსტიტუტის (IIRPS) პოლიტიკური მეცნიერების ბაკალავრის ხარისხი ვილნიუსის უნივერსიტეტში 2008 წელს. მანამდე რენატა სკარჯუტე-კერესელიძე ჟურნალისტად მუშაობდა და ლიეტუვაში საგარეო პოლიტიკასა და ევროპულ საკითხებს აშუქებდა. ის, ასევე, იყო ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სტიპენდიანტი საქართველოში კონფლიქტების მოგვარების ევროკავშირის სტრატეგიების კვლევის მიმართულებით. მისი კვლევითი ინტერესები კოლექტიური იდენტობების, ევროინტეგრაციისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხებს მოიცავს.

მამუკა წერეთელი ამერიკის საგარეო პოლიტიკის საბჭოს ცენტრალური აზია-კავკასიის ინსტიტუტის (ვაშინგტონი) უფ-

როსი მკვლევარია. მას აკადემიურ, დიპლომატიისა და ბიზნესის განვითარების სფეროში ოცდაათ წელზე მეტი გამოცდილება აქვს. მის კვლევით ინტერესებს შორისაა: ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოება ევროპასა და ევრაზიაში, პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების ანალიზი და მათთან გამკლავების სტრატეგიები, და შავი ზღვა-კასპიის რეგიონში ბიზნესის განვითარება. მამუკა წერეთელს ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭოს პრეზიდენტის თანამდებობა უკავია. გარდა ამისა, ის არის ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის საერთაშორისო სწავლებლების სკოლისა (SAIS) და ვაშინგტონის ამერიკული უნივერსიტეტის კათედრის წევრი.

სამადლობელი

რედაქტორებს სურთ, მადლიერება გამოხატონ ყველა იმ კოლეგისა და ქართველი სტუდენტის მიმართ, რომლებიც ამ პროექტის განხორციელებაში დაგვეხმარნენ. მათი მხარდაჭერა და კვლევა შეუცვლელი მნიშვნელობისაა. გვსურს, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ნინო სამხარაძეს, ელენე ფანჩულიძესა და გივი სილაგაძეს კვლევის პროცესში ავტორთა დახმარებისთვის. რედაქტორებს სურთ მადლიერება გამოხატონ მათი წარმომადგენელი ინსტიტუტების მიმართ ასეთ რთულ დროს ამ კვლევების მხარდაჭერისთვის და, ასევე, გარეშე შემფასებლების მიმართ, რომლებიც ამ წიგნის უფრო მაღალი ხარისხის გამოცემად ჩამოყალიბებაში დაგვეხმარნენ. მადლობა ენდრიუ დივანის, ჩვენს ბრწყინვალე რედაქტორს, რომელსაც არ გამოჰპარვია ჩვენი შეცდომები და ბრიტანულ-ქართულ საზოგადოებას, რომელმაც ინდექსირებისთვის გულუხვი ფინანსური დახმარება გაიღო. ასევე, მადლობა გვინდა გადავუხადოთ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტს კვლევებისა და ორი სადემონსტრაციო რუკის მომზადებისათვის.

განსაკუთრებული მადლიერება გვინდა გამოვხატოთ ჩვენი კოლეგების მიმართ, რომლებმაც წიგნის ქართულ თარგმანზე იმუშავეს: შორენა ლორთქიფანიძე, ნინო კვირიკაშვილი, გრიგოლ გეგელია, ნინო შანშაშვილი, რუსუდან ზაბახიძე, თაია წიკლაური. ასევე, აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უდიდესი დახმარება ქართული ვერსიის ტექნიკურ გამართვასა და მომზადებაში.

გვინდა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადოთ გამოცემის ავტორებს იმისთვის, რომ დრო და ენერჯია არ დაიშურეს ქართული თარგმანის რედაქტირებისთვის.

აბრევიატურები

AA	ასოცირების შესახებ შეთანხმება
AIOC	აზერბაიჯანის საერთაშორისო ოპერაციული კომპანია
AP	სამოქმედო გეგმა
BRI	„ერთი სარტყელი - ერთი გზა“ ინიციატივა
BSEC	შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია
BTC	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი
BTE	ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი
BTK	ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა
CFE	ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულება
CIS	დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
CSDP	ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
CSTO	კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია
CUG	საქართველოს მოქალაქეთა კავშირი
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება
DFC	განვითარების საფინანსო კორპორაცია
DRG	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-21)
EaP	აღმოსავლეთ პარტნიორობა
EC	ევროპის კომისია
ENP	ევროპული სამეზობლო პოლიტიკა
EPP	ევროპის სახალხო პარტია
EU	ევროკავშირი
FDI	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
FMF	უცხოური სამხედრო დაფინანსება
FSU	ყოფილი საბჭოთა კავშირი

GD	ქართული ოცნება
GOC	საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია
GTEP	საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა
GUAM	დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია - სუამი
IRI	საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი
ISAF	საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალები
ISFED	სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
MAP	წევრობის სამოქმედო გეგმა
MFA	საგარეო საქმეთა სამინისტრო
NATO	ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია - ნატო
NDI	ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
NRF	ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები
NMS	ეროვნული სამხედრო სტრატეგია
NSS	ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია
OIC	ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია
OPIC	უცხოეთის კერძო საინვესტიციო კორპორაცია
OSCE	ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
PfP	პარტნიორობა მშვიდობისთვის
ROC	რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია
SREB	აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი
TANAP	ტრანს-ანატოლიური მილსადენი
TRACECA	ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი
UNM	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია - გაერო
USAID	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

რუკები



Idea Design Group-ის რუკა, საქართველო



Idea Design Group-ის რუკა, საქართველო

შესავალი

სტივენ ჯონსი

საქართველოს საგარეო პოლიტიკა თითქმის ყოველთვის იყო თავდაცვისა და გადარჩენის ინსტრუმენტი. ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, საქართველო დაუცველი იყო მეზობელი იმპერიებისა და მძარცველი ტომების ამბიციებისაგან. საქართველოს მსგავსი პატარა სახელმწიფოს სიმტკიცე, რომელსაც აკლდა ის რესურსები, რაც მეზობელ ქვეყნებს ჰქონდათ, დიპლომატიის ხელოვნებაზე იყო დამოკიდებული. XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ლიტერატურული რენესანსის გამოჩენილმა წარმომადგენელმა ილია ჭავჭავაძემ ამას თავის ნაწარმოებში გაუსვა ხაზი, რომელშიც მისი ერთ-ერთი პერსონაჟი (ბრძენი გლეხი) ამბობს, რომ „სად ღონეი ვერ ჰღონობს, იქაიდ ხერხს ემუდვნის“.¹ მეოცე საუკუნემდე, საქართველოსთვის სახელმწიფოს გადარჩენა არა დამოუკიდებლობასთან, არამედ დამოკიდებულებასთან ასოცირდებოდა. ეს ნიშნავდა საგარეო მფარველობას, ალიანსებს, ადაპტირებას და დამყოლობას, რაც ნაკლები რისკის შემცველი იყო, ვიდრე წინააღმდეგობა. ამგვარი დამყოლობა არ გამოირიცხავდა ომებს, რომლებიც ხშირად უკომპრომისო მეზობლების წინააღმდეგ ერთადერთ პრაქტიკულ გამოსავალს წარმოადგენდა. თუმცა, ძალა არ იყო საქართველოსთვის გამოსადეგი საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი. ხოლო საქართველოს ტოპოგრაფია - მისი შეუღწევადი მთები და ვიწრო ხეობები - გადაჭარბებულად იყო შეფასებული, როგორც თავდაცვისა და გადარჩენის საშუალება. მართალია, მთები ესმარებოდა ქართველ სამხედროებს, თუმცა ვერასოდეს ახერხებდა სა-

¹ იხილეთ ნაწარმოების „მგზავრის წერილები“ VII ნაწილში, ილია ჭავჭავაძისა და ლელთ ლუნის საუბარი, (A Traveller's Letters) at Poetry.ge, <https://poetry.ge/poets/iliachavchavadze/prose/9532.mgzavris-werilebi.htm>

ხელმწიფოს მრავალჯერადი თავდასხმებისგან დაცვას. საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდში (1918-21), საქართველოს სამხედრო კომისიამ ქვეყნის უსაფრთხოების მდგომარეობა შეაფასა. კომისიამ დაასკვნა, რომ „ჩვენს პატარა ქვეყანას შეიძლება ერთდროულად შეუტიონ ყველა მხრიდან, ხოლო დედაქალაქის ალება მტრის არმიას ერთ-ორ დღეში შეუძლია“. აზერბაიჯანის საზღვრიდან თბილისამდე საჭირო იყო „ცხენით ერთდღიანი მგზავრობა“, ხოლო სომხეთიდან კი „ორდღიანი მარში“.¹ საქართველოს სამხედრო გზის (ტრადიციული სავაჭრო გზა დიდი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით) დაცვა შესაძლებელი იყო, თუმცა შავი და კასპიის ზღვების სანაპიროები უკეთესი ალტერნატივა იყო პოტენციური აგრესორებისთვის. სამხრეთიდან ოსმალეთის, სეფიანთა და ბიზანტიის იმპერიის არმიებს არაქსის, მტკვრისა და ჭოროხის მდინარეების ხეობების გავლით საქართველოს საქალაქო ცენტრებში სწრაფად მიღწევა შეეძლოთ. ტოპოგრაფია გადამწყვეტია საქართველოს სამხედრო თავდაცვის დაგეგმვისას - ის ქართველი გენერლებისთვის ყოველთვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა - მაგრამ, საბოლოო ჯამში, როდესაც საქმე საქართველოს გარე საფრთხეების კონტროლის შესაძლებლობას ეხება, ტოპოგრაფია მეორეხარისხოვანი ფაქტორი ხდება.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ხიზლი

თუ ფიზიკური რელიეფით განსაზღვრული საქართველოს გეოგრაფია გადაჭარბებულადაა შეფასებული, როგორც სტრატეგიული ცვლადი, მაშინ, როგორც ტრეისი ჯერმანი და კორნელი კაკაჩია ამ გამოცემაში აღნიშნავენ, გეოგრაფიამ საქართველო გარკვეული საგარეო პოლიტიკური უპირატესობებით

¹ **Osnovi oboroni gosudarstva voobshche i v Gruzii v chastnosti**, *The Georgian Archive* (Archives of the Delegation to the Conference of Peace and of the Government in Exile), Houghton Library, Harvard University, Box 10, Book 22, File 7.

აღჭურვა. საქართველოს რთული სამეზობლო მრავალი ტიპის მონყვლადობას იწვევს, როგორცაა, მათ შორის, სადავო საზღვრები, მომიჯნავე ძალების მიერ შიდა კონფლიქტებითა და დიასპორებით მანიპულირება და ნარკოტიკებთან და ტრეფიკინგთან დაკავშირებული ორგანიზებული დანაშაულის ზრდა. თუმცა, როგორც ჯერმანი და კაკაჩია გვახსენებენ, პატარა სახელმწიფოები არ არიან საერთაშორისო სისტემების და აგრესიული მეზობლების უბრალო მსხვერპლები; მათ შეუძლიათ თავი სასარგებლო პარტნიორებად წარმოაჩინონ იმ საზღვრისპირა რეგიონებში, სადაც იმპერიები (და თანამედროვე სახელმწიფოები) ყოველთვის სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებისკენ ისწრაფოდნენ. საქართველო შეიძლება პატარა და პერიფერიული სახელმწიფოა, მაგრამ მას გარკვეული ავტონომია გააჩნია. ჯერმანი და კაკაჩია გამოყოფენ სამსფეროს, რომელშიც საქართველოს ძლიერი სახელმწიფოებისთვის სასარგებლო პარტნიორობის შეთავაზება შეუძლია - როგორც სამხედრო პარტნიორს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას ან როგორც ევროპასთან აფილირებულ სახელმწიფოს.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ (DRG, 1918-21), რომელიც პრაქტიკულად უცნობი იყო დასავლური ისტორიოგრაფიისთვის, დასავლური მფარველობის მოსაპოვებლად და ახალგაზრდა სახელმწიფოში ეკონომიკური ინვესტიციების წასახალისებლად სამივე ზემოთ ჩამოთვლილი მიდგომა გამოიყენა. შედეგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თანამშრომლობდა როგორც გერმანელებთან, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში ვაჭრობასა და გავლენის გავრცელებას ცდილობდნენ („ოსტპოლიტიკა“), ასევე ბრიტანელებთან, რომლებიც 1918-1920 წლებში საქართველოში 19000 ჯარისკაცით იყვნენ წარმოდგენილები და ქვეყანას ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიაში მათ კოლონიურ ტერიტორიებზე ბოლშევიკური ექსპანსიის წინააღმდეგ, კავკასიური

„შუა დერეფნის“ ნაწილად მოიაზრებდნენ.¹ გერმანია და ბრიტანეთი საქართველოს რკინიგზის გამოყენებით, სამხრეთ კავკასიის დერეფნის გავლით ნავთობისა და სხვა საქონლის შიდა ბაზრებზე გატანას გეგმავდნენ. 1919-1921 წლებში ომის საკითხებში სახელმწიფო მდივანმა, უინსტონ ჩერჩილმა, ამიერკავკასიის რკინიგზას „მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სტრატეგიული ხაზი“ უწოდა.² ჩინეთისა და ცენტრალური აზიის ევროპასთან დამაკავშირებელი კავკასიური სავაჭრო დერეფნის იდეას (ჯერმანიისა და კაკაჩიას მეორე საკითხი) გამოჩენილი ქართველი ინტელექტუალები და მენარმეები, მათ შორის ნიკო ნიკოლაძე (1843-1928), ბევრად უფრო ადრე უჭერდნენ მხარს, ვიდრე 1993 წელს ევროკავშირი ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანს (TRACECA), 2013 წელს კი ჩინეთი „ერთი სარტყელი-ერთი გზის“ ინიციატივას (BRI) შეიმუშავებდა.³ საქართველოს სტრატეგია, რომელიც საგარეო პარტნიორობისა და ვაჭრობის მეშვეობით უფრო მეტი უსაფრთხოების უზრუნველყოფას გულისხმობდა, 1991 წლის შემდეგაც გაგრძელდა. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში, მეგობარი დასავლური სახელმწიფოების ეკონომიკურ და უსაფრთხოების ალიანსებში მოსაზიდად, საქართველოს მხრიდან რესურსების ბერკეტად გამოყენების უამრავი მაგალითი არსებობს. მამუკა წერეთელი აშშ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ თავის საავტორო თავში გვიჩვენებს, თუ როგორ წარმატებულად დაანახა საქართველომ თავისი გეოგრაფიული უპირატესობები ამერიკის

¹ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეფასების გასაცნობად იხილეთ, Stephen Jones, 'Georgian Social Democracy', in Zurab Karumidze et al. (eds), *Georgia's European Ways* (Tbilisi: 2015), pp.29- 42.

² R.A.S. Hennessey, *The Transcaucasian Railway and the Royal Engineers: With the Sappers to Baku* (Skipton, UK: Trackside Publications, 2004), p. 52.

³ ქართველმა საზოგადო მოღვაწემ, უურნალისტმა და მენარმემ, ნიკო ნიკოლაძემ, გეგმას, რომელიც მან 1918 წელს გერმანიის მთავრობას წარუდგინა, ბერლინი-ფოთი-პეკინი უწოდა (BPP). იხილეთ, Zourab Avalishvili, *The Independence of Georgia in International Politics, 1918-1921* (Westport, Hyperion Press, 1981), p. 71.

შეერთებულ შტატებს 1990-იან წლებში. საქართველომ აშშ-ს მრავალი მილსადენის სტრატეგიის შემუშავების შესაძლებლობა შეუქმნა, რომელიც ევრაზიაში ენერჯის დივერსიფიცირებისკენ არის მიმართული. ამერიკულმა კომპანიებმა, როგორცაა Chevron და Exxon, საქართველოს ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელეს, რომელიც, წერეთლის თქმით, „სამხრეთ კავკასიაში დასავლური (და აშშ) ჩართულობის ძირითადი ცენტრი და პოლიტიკის ინსტრუმენტი“ გახდა (გვ. 287). 1990-იანი წლების ბოლოს, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ენერგეტიკული თანამშრომლობა გეოპოლიტიკურ პარტნიორობაში გადაიზარდა. ორ ქვეყანას შორის უსაფრთხოების სფეროში მრავალი ხელშეკრულება და შეთანხმება გაფორმდა, რომელიც როგორც აშშ-ის, ასევე საქართველოს ინტერესებს ემსახურება. საქართველომ საკვანძო როლი შეასრულა ავღანეთში აშშ-ის ჩრდილოეთ სადისტრიბუციო ქსელის ფუნქციონირებაში; ასევე, ქვეყანა სამხედროების ჩართვით დაეხმარა აშშ-ს და ნატოს ოპერაციებს ერაყში (ოპერაცია ერაყის თავისუფლება და გაეროს მისია ერაყში), ავღანეთში (ISAF) და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში (ევროკავშირის სამშვიდობო მისია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში).

ქვეყნის „ევროპული მემკვიდრეობის“ იდეას ქართველი ლიდერები ევროპულ პოლიტიკურ და უსაფრთხოების სტრუქტურებში ინტეგრაციის არგუმენტად მუდმივად იყენებდნენ. 1918-21 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა აღმოსავლეთში ევროპულ და ქრისტიანულ ცივილიზაციად პოზიციონირებდა. საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად, დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1919 წლის აპრილში გამართულ პარიზის სამშვიდობო კონფერენციას მემორანდუმი წარუდგინა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საქართველო „მჭიდრო კავშირში იყო საბერძნეთის უძველეს ცივილიზაციებთან. ... [და რომ] IV საუკუნეში საქართველოში დათესილმა ქრისტიანობის მარცვალმა სეკულარული კულტურის აღმოცე-

ნებისთვის ქვეყანაში ნაყოფიერი ნიადაგი იპოვა“.¹ რუსეთის შესახებ თავის საავტორო თავში, გაა ნოდია საქართველოს ევროპასთან კავშირების ისტორიულ სისუსტეს უსვამს ხაზს, თუმცა ქართველი პოლიტიკოსები ევროპელობის აღქმას ყოველთვის კარგად იყენებდნენ. ლევან კახიშვილი და ალექსანდრე კუპატაძე თავიანთ ნაშრომში საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შესახებ გამოქვეყნებულ ექვს ძირითად სტრატეგიულ კონცეპტუალურ დოკუმენტს აანალიზებენ. ისინი აღნიშნავენ, რომ ყველა ამ დოკუმენტში საქართველო „ევროპულ ოჯახში დაბრუნებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს (გვ. 150). საერთო ევროპულ ფესვებზე ხაზგასმას საქართველოს ყველა პრეზიდენტი მტკიცედ უჭერდა მხარს. ლინკოლნ მიტჩელი თავის საავტორო თავში გვიჩვენებს, თუ როგორ იყენებდა სააკაშვილის ადმინისტრაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა ტექნიკას საქართველოს პროგრესული ევროპული სახელმწიფოს იმიჯის გასამყარებლად. მიტჩელს მაგალითად მოჰყავს სააკაშვილის 2004 წლის გამოსვლა: „ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გეოპოლიტიკა, სატრანსპორტო და ეკონომიკური პროექტები ან თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხები“, განაცხადა ახალმა პრეზიდენტმა, „არამედ, ღირებულებები, რომლებიც მსოფლიოს მონინავე ქვეყნებს გააჩნიათ და რომლებსაც ამ წლების განმავლობაში გზამკვლევად ვიყენებდით მსოფლიოს წამყვანმა მედიამ საქართველოში განვითარებული მოვლენები გააშუქა და დღეს ჩვენ მთელი მსოფლიოსთვის მაგალითი გავხდით.“² საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის უახლესი ოფიციალური დოკუმენტის

¹ 'La Delegation Géorgienne à la Conference de la Paix', საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი (The Georgian State Historical Archive) Fond 1864/2/109, p. 1.

² 'Speech Delivered by President Mikheil Saakashvili at George Washington University', Mikheil Saakashvili Presidential Archives, 23 February 2004, www.saakashviliarchive.info/en/PressOffice/News?p=2778&i=1

(რომელიც 2019-2022 წლებს მოიცავს) ანალიზი მკაფიოდ აჩვენებს ქვეყნის კულტურული, ისტორიული და პოლიტიკური ევროპელობის თვითაღქმას.¹

მაგრამ ევროპასთან საქართველოს კავშირები ბევრნაირად შეიძლება იყოს გაგებულნი. როგორც სალომე მინესაშვილი თავის საავტორო თავში აღნიშნავს, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას (GOC) ქვეყანაში „დასავლური“ გალენის მიმართ ბევრად უფრო არაერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება აქვს. 1991 წლამდე ეკლესია, საერთო ჯამში, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის დამყოლი ინსტრუმენტი იყო, რომელიც ვიეტნამსა და სხვა სახელმწიფოებში აშშ-ის ქმედებების წინააღმდეგ მიმართულ საბჭოთა სამშვიდობო კამპანიებში მონაწილეობდა. 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეკლესია ქართული სახელმწიფოსთვის და მისი მოდერნიზაციისა და რეფორმების პროცესისთვის ბევრად უფრო პრობლემური გახდა. მინესაშვილი ხაზს უსვამს, რომ ეკლესიაში ბევრისთვის „დასავლეთი გაუფასურებულ ღირებულებებთან ასოცირდება“, რაც ადამიანებს „ზედმეტ პიროვნულ თავისუფლებას“ აძლევს და „გლობალიზაციას, კოსმოპოლიტიზმსა და მოდერნიზმს“ აძლიერებს (გვ. 78). 2014 წელს, ეკლესია მთავრობის მიერ შემუშავებულ ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას დაუპირისპირდა, რომელიც საქართველოს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას ისახავდა მიზნად. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოს მთავრობის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკურ მიზნებს მნიშვნელოვნად ართულებს, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში ის კვლავ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ქართულ და რუსულ ეკლესიებს მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებთ, რაც კრიზისის პერიოდში ორ სახელმწიფოს შო-

¹ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (The Foreign Ministry of Georgia), *Georgia's Foreign Policy Strategy for 2019-2022*, <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx>

რის არაოფიციალური მოლაპარაკებებისთვის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას განსაკუთრებული გავლენა და ნდობა აქვს საქართველოს მოსახლეობაში (თუმცა ეს ყოველთვის ასე არ ყოფილა). თუ საგარეო პოლიტიკა იდენტობისა და ღირებულებების გამოხატულებას წარმოადგენს, მაშინ სხვა სახელმწიფოებსა და კულტურებთან საქართველოს ურთიერთობების ნებისმიერი შეფასება საქართველოს ეკლესიის როლსაც უნდა იღებდეს მხედველობაში. ეკლესია ქართული იდენტობისა და მიკუთვნულების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, მაშინაც კი, როდესაც ეკლესიისა და მთავრობის წარმოდგენები „ქართველობის“ შესახებ ერთმანეთისგან განსხვავდება. მინესაშვილის კვლევა საგარეო პოლიტიკის შემუშავების პროცესში შიდა კონტექსტის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

დასავლური მფარველობის ძიებაში

XVIII საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მეფემ ვახტანგ VI-მ ლუდოვიკო XIV-სა და პაპ კლიმენტ XI-სთან ირანის შაჰს სულთან ჰოსეინის წინააღმდეგე მხარდასაჭერად ემისარი გაგზავნა. როდესაც 1722 წელს, პეტრე დიდმა სეფიანთა წინააღმდეგ ირანული ლაშქრობები დაიწყო, ვახტანგ VI საქართველოსთვის მფარველობის მოპოვების მოტივით რუსეთის ძალებს შეუერთდა. მეთვრამეტე საუკუნეში, ქართველი ლიდერები რუსეთს ევროპული კულტურისა და ქრისტიანული ღირებულებების წარმომადგენლად აღიქვამდნენ. ქართველი მეფეების მხრიდან რუსეთის მფარველობის ძიება მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა და 1783 წელს, საქართველოსა და რუსეთს შორის გიორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებით დასრულდა. საქართველოსთვის საუბედუროდ, რუსეთის მეფეებმა პროტექტორატი სამხედრო კონტროლის განსამტკიცებლად გამოიყენეს. ხელშეკრულებამ 1801 წელს

აღმოსავლეთ საქართველოს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადასვლა გამოიწვია. მას მალევე მიჰყვნენ სხვა ქართული სამეფოებიც.¹ დასავლურ იდეებსა და მოდელებთან ქართული მიჯაჭვულობა, რომელიც ქართველ ინტელექტუალთა ჯგუფ „თერგდალეულებში“ აისახა, მეცხრამეტე საუკუნეში კიდევ უფრო გაღრმავდა.² თერგდალეულები იმ პირველ ქართველთა შორის იყვნენ, რომლებმაც რუსეთსა და ევროპას შორის არსებულ კულტურული და პოლიტიკური ბზარები გამოკვეთეს. მეოცე საუკუნის დასაწყისში, ევროპა მოდერნიზაციისა და პროგრესის იდეებთან ასოცირდებოდა. მეორე მხრივ კი, ქართველი ინტელექტუალები რუსეთს სულ უფრო მეტად წარმოაჩენდნენ, როგორც დესპოტური „აღმოსავლეთის“ ნაწილს.

1918-21 წლების პირველი ქართული რესპუბლიკა და 1991 წლის შემდეგ ქვეყნის ყველა სხვა მთავრობა დასავლეთთან ინტეგრაციაზე იყო ორიენტირებული, იქნებოდა ეს ერთა ლიგის წევრობა 1920 წელს, თუ ნატოსა და ევროკავშირის წევრობა 2000-იან წლებში. ნატალი საბანაძე და მაიკლ ჩეჩირე თავიანთ ნაშრომში საქართველოს განგრძობით ევროპულ საგარეო პოლიტიკას აანალიზებენ. მაიკლ ჩეჩირე საქართველო-ნატოს ურთიერთობებს აანალიზებს და საქართველოს მხრიდან „დასავლეთთან ცივილიზაციური კავშირებს“ აღქმაზე საუბრობს (გვ. 226). ევროპასთან ამგვარმა სიახლოვემ და, ამის პარალელურად, რუსეთისგან დაცვის საჭიროებამ, საქართველო ნატოსა და ევროკავშირთან მიიყვანა. ნატოც და ევროკავშირიც საქართველოსთვის რუსეთის წინააღმდეგ საგარეო ბალანსის ინ-

¹ ანექსიის შესახებ იხილეთ, R.G. Suny, *The Making of the Georgian Nation* (London: I.B. Tauris, 1989), Ch. 3.

² თერგდალეული (მრ. თერგდალეულები) ეწოდებოდათ ქართული ინტელიგენციის წევრებს, რომლებსაც განათლება რუსეთში ან ევროპაში ჰქონდათ მიღებული. მათ თერგის წყალი ჰქონდათ დალეული (ანუ გადაკვეთილი ჰქონდათ მდინარე თერგი, რუსეთ-საქართველოს არაოფიციალური საზღვარი) და რუსული ან ევროპული განათლება ჰქონდათ მიღებული.

სტრუმენტს წარმოადგენს, მაგრამ, როგორც ჩეჩირე აღნიშნავს, საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შესაძლებლობები გარკვეულწილად შეზღუდულია. 2014 წელს, ნატოს უელსის სამიტზე საქართველომ „ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი“ მიიღო და სახელმწიფოში ნატოს მუდმივმოქმედი ორგანოები შეიქმნა. თუმცა, ოფიციალურ განცხადებას რუსეთისგან მომდინარე საფრთხე და ნატოს შიდა უთანხმოებები უშლის ხელს. საბანაძე აღნიშნულ შეხედულებას ეთანხმება და მიიჩნევს, რომ საქართველოს ევროპული მფარველობისკენ სწრაფვა უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ მიმართულ გეოკულტურულ და პოლიტიკურ პროექტს წარმოადგენს. ორივე მათგანის მოსაზრება, ასევე, თანხვედრაშია ჯერმანიისა და კაკაჩიას ხედვასთან; ისინი საქართველოს აქტიურ სახელმწიფოდ მიიჩნევენ (და არა მსხვერპლად), რომელიც საკუთარ უპირატესობებს აქტიურად იყენებს. 1918-21 წლების მსგავსად, საქართველოს მიზანს დღესაც დასავლურ აზროვნებაში საქართველოს, როგორც ევროპული სახელმწიფოს იდეის დამკვიდრება წარმოადგენს. როგორც ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში არაერთმა გამოკითხვამ აჩვენა, საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა აღნიშნულ იდეას მხარს უჭერს.¹ საბანაძე წერს, რომ „გეოგრაფიული სიმორისა და განყვეტილი ისტორიული კავშირების მიუხედავად, საქართველოს მიზანია, ევროპელი პოლიტიკოსების აზროვნებაში საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს ლეგიტიმურობა შესძინოს“ (გვ. 187).

საქართველო დასავლეთის მფარველობის მოპოვების გზაზე მრავალ დაბრკოლებას აწყდება. ევროპელები საქართველოს ევროპულობაში დარწმუნებულები არ არიან; შავი ზღვის

¹ მაგალითისთვის იხილეთ 2017 და 2019 წლების კავკასიის ბარომეტრი. ევროპის, ევროკავშირისა და ნატოს მიმართ ქართველების დამოკიდებულების შესახებ ახალი მონაცემებისთვის იხილეთ, <https://caucasusbarometer.org/en/datasets/>. ევროპის მიმართ ქართველების დამოკიდებულების შესახებ 2007 წლიდან დღემდე ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევებთან გასაცნობად იხილეთ, International Republican Institute, www.iri.org/country/georgia?page=1

სახით არსებული მანძილი და ქვეყნის პირდაპირი საზღვარი რუსეთთან ევროპელი პოლიტიკოსებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენს, რამდენადაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობებში მათ ყოველთვის უწევთ რუსეთის ფაქტორის გათვალისწინება. ევროპელები და ნატოს წევრი სახელმწიფოები გაფართოების პრინციპებზე ვერ თანხმდებიან. ამ საკითხზე მათი აზრები იყოფა. საქართველო რამდენადაც არ უნდა ეცადოს ევროკავშირისა და ნატოსგან დახმარების მიღებას, მას არ აქვს იმის გარანტია, რომ დასავლური გაერთიანებებისგან შესაბამის მხარდაჭერას მიიღებს. ევროკავშირმა, ნატომ და აშშ-მ საქართველოს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუწიეს, ამის ნაწილობრივი მიზეზი დასავლური ბაზრისა და დემოკრატიული მოდელების მიმართ ქვეყნის ერთგულებაა, თუმცა ეს მხარდაჭერა ჯერჯერობით არც ერთი პრესტიჟული დასავლური გაერთიანების წევრობაში არ გადაზრდილა. ჩეჩირე და საბანაძეც აღნიშნავენ, რომ საქართველომ ნატოში ან ევროკავშირში წევრობის თითქმის ყველა წინაპირობა შეასრულა. საბანაძე თვლის, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA), რომელიც 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ჩამოყალიბდა, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოსთვის, რომელიც დასავლური ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურებისკენ მიისწრაფვის: ეს არის „სახელშეკრულებო“ და არა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით აღებული „რბილი“ ვალდებულებები. თუმცა ჩეჩირე და საბანაძე აღიარებენ, რომ ამ მიმართულებით მუდმივი „ნაცვალგების დეფიციტი“ არსებობს (საბანაძე, გვ. 177). 1918-21 წლების მსგავსად, დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან საქართველოს მფარველობა კვლავ შეზღუდული ხასიათისაა, რაც ევროკავშირსა და ნატოში არსებული შიდა განხეთქილებებით და რუსეთის მუდმივი ფაქტორის არსებობით არის გამოწვეული.

რეგიონული უსაფრთხოება

არსებობს თუ არა საქართველოსთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა ალტერნატივები დასავლეთის სახელმწიფოებს მიღმა? ამ გამოცემის ზოგიერთი ავტორი ვარაუდობს, რომ დასავლეთ ევროპის მიღმა სხვა რეგიონებთან ურთიერთობების განვითარება შესაძლოა საქართველოსთვის სარგებლის მომტანი აღმოჩნდეს. აღმოსავლეთ ევროპა (უკრაინა, მოლდოვა და ბელარუსი), ცენტრალური აზია და ბალტიისპირეთი/პოლონეთი სახელმწიფოთა ის ჯგუფებია, რომლებიც საქართველოს ეკონომიკურ, უსაფრთხოებისა და პოლიტიკურ პერსპექტივაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. დავით აფრასიძის ანალიზი, რომელიც მის სამშობლოსთან ახლოს მდებარე სივრცეს შეეხება, საქართველოსთვის ორ ალტერნატიულ ეკონომიკურ და უსაფრთხოების მიდგომაზე ამახვილებს ყურადღებას: პირველი - სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს გაერთიანების ჩამოყალიბება, და მეორე - შავი ზღვის უკრაინასა და მოლდოვასთან დაკავშირება. პირველი ქართული რესპუბლიკის ლიდერებმა 1918 წელს ამიერკავკასიის გაერთიანების შექმნა სცადეს. მათი მტკიცებით, ამიერკავკასიის თანამშრომლობამ საერთო მტრების წინააღმდეგ უსაფრთხოების გარემო გააუმჯობესა, ევროპული მხარდაჭერის მიღებას შეუწყო ხელი და ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები გააძლიერა. თუმცა, 1918 წელს ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის ხანმოკლე და მტკივნეულმა არსებობამ აჩვენა, თუ რატომ ვერ იქნებოდა ასეთი გაერთიანება ფუნქციური, ყოველ შემთხვევაში, პოსტიმპერიული ნგრევისა და სამოქალაქო ომის პირობებში. სასაზღვრო კონფლიქტებმა, საერთო მტრის არარსებობამ (სამხრეთ კავკასიის სამ სახელმწიფოს მტრების შესახებ განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდა) და სხვადასხვა საგარეო ალიანსების ძიებამ (აზერბაიჯანი თურქეთს ანიჭებდა უპირატესობას, სომხეთი შეერთებული შტატებისკენ ისწრაფვოდა,

საქართველოს ყურადღება კი ევროპისკენ იყო მიმართული) გაერთიანება მალევე დაშალა.

1991 წლიდან მოყოლებული, გამსახურდიას, შვეარდნაძისა და სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში კავკასიაში (ან სამხრეთ კავკასიაში) თანამშრომლობის ყველა მცდელობა იმავე მიზეზების გამო წარუმატებლად დასრულდა. კონფლიქტები, რომლის წინაშეც მეოცე საუკუნის დასაწყისის ლიდერები იდგნენ, კვლავ აქტუალურია. იმედი იმისა, რომ მილსადენები და სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური დერეფანი რეგიონის სამსახელმწიფოს დაახლოვებდა, პოლიტიკურად ოპტიმისტური იყო. აფრასიძის მოსაზრებით, „კავკასიურ განზომილებას არასოდეს უთამაშია სერიოზული როლი თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკაში“ (გვ. 103). ის ხაზს უსვამს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის უახლეს სტრატეგიაში, რომელიც 2019-2022 წლებს მოიცავს, „სამხრეთ კავკასია, როგორც რეგიონი საერთოდ არ არის ნახსენები“ (გვ. 101). ამის სანაცვლოდ, ქვეყნის ყურადღება შავი ზღვის განზომილებისკენ არის მიმართული, განსაკუთრებით კი უკრაინისა და მოლდოვისკენ, რომლებიც საქართველოს მსგავსად, ევროპულ ტრეკტორიას მიჰყვნენ (ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას სამივე სახელმწიფომ მოაწერა ხელი). თუმცა, შავი ზღვის განზომილებამ, რომელიც დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციითა (სუამ-ი წევრი სახელმწიფოების სახელების მიხედვით შედგენილი აკრონიმია: საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა) და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციით (BSEC) არის წარმოდგენილი (რომელიც შავი ზღვის მოსაზღვრე რუსეთსა და თურქეთსაც მოიცავს), რეგიონში ევროკავშირისა და ნატოს ძალისხმევის გადანონვა ვერ მოახერხა. „სუამ“-ისა და „ბისეკის“ მსგავსი რეგიონული გაერთიანებები, და ასევე, AGT-ის სახელით ცნობილი აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის არაფორმალური დაჯგუფება საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის სასარგებლო ინსტრუმენტებს წარმოად-

გენენ, თუმცა მათი რესურსები და გავლენა საკმაოდ შეზღუდულია. აფრასიძე ასკვნის, რომ სამხრეთ კავკასია „რეგიონულ კომპლექს“ წარმოადგენს, თუმცა რეგიონში რაიმე სახის ეფექტური გაერთიანების ჩამოყალიბების იმედი თითქმის არ არსებობს. ყოველივე ეს საკმაოდ უცნაურია ყველა იმ სარგებლის გათვალისწინებით, რასაც აღნიშული თანამშრომლობა რეგიონის სამივე სახელმწიფოს მოუტანდა, თუმცა გეოპოლიტიკური მეტოქეობა და გეოკულტურული დაძაბულობები მეზობელ სახელმწიფოებს ერთმანეთისგან ამორებს.

ბიძინა ლებანიძე და რენატა სკარჯუტე-კერესელიძე თავიან საავტორო თავში საქართველოს რეგიონულ უსაფრთხოებაზე სხვა სამეზობლოების გავლენას აანალიზებენ. სამხრეთ კავკასიის რეგიონული თანამშრომლობის განხილვისას აფრასიძე ხაზს უსვამს, რომ „მრავალი რეგიონი და რეგიონალიზაციის უამრავი განსხვავებული ფორმა არსებობს“ (გვ. 91).¹ ავტორების მტკიცებით, პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები საქართველოს უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან შორეულ „რეგიონებს“ შორის არიან. ისინი აღიარებენ, რომ ამ სახელმწიფოებს გაცილებით უფრო მეტი გეოგრაფიული კავშირი აქვთ უკრაინასთან, რამდენადაც ეს უკანასკნელი მათი მოსაზღვრე ქვეყანაა და მათ უსაფრთხოებაზე უშუალოდ მოქმედებს. მართალია, გეოგრაფიული თუ ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველო პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ახლო პარტნიორად არ ითვლება, თუმცა ქვეყანას მათთან ფართო ისტორიული და იდეური „რეგიონი“ აკავშირებს, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე პირდაპირ აისახება. პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საერთო ისტორიას საქართველოსთან (საბჭოთა ხელისუფლების მსხვერპლად თვითიდენტიფიცირება) და მათ ორმხრივ სწრაფვას ევ-

¹ სამხრეთ კავკასიის მიმართ რეგიონული მიდგომების შესახებ კრიტიკული დისკუსიისთვის იხილეთ, Tracey German, 'Good Neighbours or Distant Relatives?' Regional Identity and Cooperation in the South Caucasus', *Central Asian Survey*, 31:2 (2012), pp. 137-51.

როპეიზაციისკენ, საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე გაზომვადი შედეგები ჰქონდა. ლებანიძე და სკარჯუტე-კერესელიძე აღნიშნავენ, რომ ეს საქართველოს ნატოში განეერების მიმართ პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მტკიცე მხარდაჭერაშიც აისახა. გარდა ამისა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ისინი საქართველოს გულმხურვალე მხარდამჭერები იყვნენ და ომის შემდგომ პერიოდში, 2009 წელს, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ამოქმედებას შეუწყვეს ხელი, რომელიც ევროკავშირის მოსაზღვრე ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს, ევროკავშირთან დაახლოებას ისახავდა მიზნად. ავტორები მიიჩნევენ, რომ ისტორიასა და იდეებს, ისევე, როგორც საერთო ინტერესებს, ქვეყნების „რეგიონულ“ ალიანსებში გაერთიანება შეუძლია. თუმცა, ისინი ამავდროულად ხაზს უსვამენ, რომ პოლონეთისა და ბალტიისპირეთის მხრიდან რუსეთის საფრთხის წინააღმდეგ საქართველოს მხარდაჭერა მათსავე ინტერესებშია; ეს სახელმწიფოები იმედოვნებენ, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა და საქართველოს მხარდასაჭერად გადადგმული ნაბიჯები ევროკავშირში მათ გავლენას გაზრდის. როგორც ლებანიძე და სკარჯუტე-კერესელიძე ასკვნიან, მიუხედავად იმისა მოტივები პრაგმატული იქნება თუ იდეური, მათ რეალური შედეგების მოტანა შეუძლიათ.

საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოება მხოლოდ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან არ არის დაკავშირებული. ლევან კახიშვილი და ალექსანდრე კუპატაძე ყოფილ საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებთან საქართველოს ურთიერთობებს ანალიზებენ და ვაჭრობის, საერთაშორისო მიმოცვლისა და ხელშეკრულებების შესახებ მონაცემების გამოყენებით, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების განგრძობით მნიშვნელობას უსვამენ ხაზს. უკრაინა საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორად რჩება; ის აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი სახელმწიფო, ქვეყნის

მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი და საქართველოს მსგავსი პოლიტიკური ღირებულებების მქონე დემოკრატიაა. თუმცა, ცენტრალურ აზიას ევროპის მიმართ საქართველოს ენერგეტიკისა და სატრანზიტო პოლიტიკის განვითარებისთვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული რეგიონი, რომელიც შორეულ აღმოსავლეთთან ენერგეტიკული და სატრანზიტო კავშირების გამტარია, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ევროპაში მისი გეოსტრატეგიული მნიშვნელობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ როლს ასრულებს. ავტორები, ასევე, ხაზს უსვამენ საქართველოს ჩართულობას „ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის დერეფანში“, რომელიც ერთ-ერთია იმ ექვსი სახმელეთო მარშრუტიდან, რომელიც ჩინეთის „ერთი გზა-ერთი სარტყელი“ ინიციატივით არის გათვალისწინებული. ცენტრალური აზიის ყველა სახელმწიფო საქართველოსთვის ერთნაირად ღირებული არ არის და საქართველოში მათი ვაჭრობისა და ინვესტიციების მაჩვენებელი რუსეთსა თუ ევროკავშირთან შედარებით საკმაოდ დაბალია, თუმცა ეს ქვეყნები საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ რესურსებს ფლობენ, ქვეყანას პირდაპირი უცხოური ინვესტიციებითა და ტურისტებით უზრუნველყოფენ და მისთვის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. ცენტრალური აზიის ქვეყნებთან კარგი ურთიერთობების დამყარება საქართველოს რუსეთის დაბალანსებაში ეხმარება. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნას ცენტრალური აზიის არცერთი სახელმწიფო არ დათანხმდა.

საქართველო და „სხვები“: რუსეთი და მუსლიმური სამხრეთი

საქართველო-რუსეთის ურთიერთობების შესახებ თავის საავტორო თავში გია ნოდია წერს, რომ „საქართველოსთვის

რუსეთთან ურთიერთობები არ არის მხოლოდ საგარეო პოლიტიკური საკითხი... ეს უფრო მეტად მისი იდენტობის განსაზღვრასა და სახელმწიფოს გადარჩენასთან არის დაკავშირებული“ (გვ. 250). იმავეს თქმა შეიძლება საქართველოს ურთიერთობაზე ოსმალებსა და ირანელებთან წინა საუკუნეების განმავლობაში. მართალია, საგარეო პოლიტიკა მოკავშირეების პოვნასთან არის დაკავშირებული, თუმცა მტრების იდენტიფიცირება და შეკავება, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია. ნოდია მართალია, როდესაც აღნიშნავს, რომ საქართველოს მსგავსი პატარა სახელმწიფოებისთვის იდენტობისა და გადარჩენის საკითხი ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული, თუმცა საქართველოს ურთიერთობა „სხვებთან“ - ირანთან, თურქეთთან და რუსეთთან -, რომლებიც ამა თუ იმ დროს სახელმწიფოსთვის ეგზისტენციურ საფრთხეს წარმოადგენდნენ, პრაგმატიზმის დიდი დოზით ხასიათდება. მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების პერიოდში, საქართველოს რუსეთთან ურთიერთობები ყოველთვის არაერთმნიშვნელოვანი იყო. მეფის რუსეთი ქრისტიანული სახელმწიფო იყო, რომელიც საქართველოს სამხრეთით ისლამური იმპერიებისაგან, ჩრდილოეთით კი მუსლიმი კავკასიური ტომებისგან იცავდა. რუსეთი პრესტიჟულ ევროპულ ძალას წარმოადგენდა, მოდერნიზებულ სახელმწიფოს, რომელმაც საქართველოში მრენველობა, რკინიგზა, ურბანული ცხოვრება და ვაჭრობა შემოიტანა. თუმცა, ამავდროულად, ეს იყო იმპერიული გიგანტი. მისი მმართველობა ბიუროკრატიული და კორუმპირებული იყო და მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მესამედისთვის, იმპერიამ პროგრესის ნაცვლად უკუსვლა დაიწყო, მრავალკულტურულიდან რუსულად იქცა, ხოლო მისი საერთაშორისო პრესტიჟისგან მხოლოდ საერთაშორისო არაკომპეტენტურობა შემორჩა.

პრეზიდენტ შევარდნაძის ადმინისტრაციამ რუსეთის მიმართ ქართული ელიტის ტრადიციული პრაგმატიზმი შეინარჩუნა, ნაწილობრივ იმის გამოც, რომ შევარდნაძის ბევრი კოლეგა სსრკ-ში იყო გაზრდილი. რუსეთი ნაცნობი იყო და არა

უცხო. ოპონენტებმა შევარდნაძე პრორუსულ განწყობებში დაადანაშაულეს; მისმა მხარდამჭერებმა კი შევარდნაძის მიდგომას რეალიზმი უწოდეს. შევარდნაძის მიერ გატარებულ „ვოლტის საფრთხის დაბალანსების“ პოლიტიკას¹ (შევარდნაძემ 2002 წელს საქართველოს ნატოში განევრების პროცესი წამოიწყო) საქართველოში მაშინაც და დღესაც საკმაოდ დიდი მხარდაჭერა ჰქონდა. მაგრამ „ქართული ოცნების“ ამჟამინდელ ადმინისტრაციას, რომელსაც არაფორმალურად მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი ხელმძღვანელობს, სააკაშვილის მთავრობასთან შედარებით, რუსეთის მიმართ უფრო შემრიგებლური მიდგომა აქვს. თუმცა, როგორც ნოდია აღნიშნავს, საქართველოსთვის სამწუხაროდ, პუტინის რუსეთი „საქართველოს არა დამოუკიდებელ პოლიტიკურ აქტორად, არამედ მის სამეზობლოში დასავლური გავლენის გაფართოების ნაწილად აღიქვამს“ (გვ. 256). ამ წიგნის ავტორების არგუმენტების სანინალმდეგოდ, რუსეთი საქართველოს ავტონომიის არმქონე სახელმწიფოდ აღიქვამს. გარდა ამისა, რუსეთის საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოყენების ბერკეტებიც გააჩნია. ყოველივე ამის გამო, ქართულ-რუსული ურთიერთობები ყოველთვის უნიკალური და უკიდურესად უთანასწორო ხასიათის იყო.

ისტორიულად, ქართველი ლიდერები ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით ადევნებდნენ თვალს. საქართველოსთვის ირანული, ბიზანტიური და თურქული სამყარო ჩრდილოეთის ან დასავლეთის იმპერიებზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო. ახლო აღმოსავლეთის დადებითი მემკვიდრეობა ქართულ ლიტერატურაში, საკვებსა და რელიგიებშია შემორჩენილი. მეთვრამეტე საუკუნეში, ოსმალეთის ისლამური იმპერიები და აფშარიდებისა და ყაჯარების სპარსული (ირანუ-

¹ აქ ვსაუბრობ სტივენ უოლტის შესახებ, რომელიც თავის წიგნში „ალიანსების წარმოშობა“ (1987) სახელმწიფო უსაფრთხოებისა და ალიანსების ჩამოყალიბების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად „ძალთა ბალანსის“ ნაცვლად „საფრთხის ბალანსს“ განიხილავს.

ლი) დინასტიები (ნადირ შაჰი და ალა მაჰმად ხანი საქართველოში შემოსული სპარსეთის ჯარების ყველაზე სასტიკი ლიდერები იყვნენ) ქართულ სახელმწიფოებრიობას საფრთხეს უქმნიდნენ. მეცხრამეტე საუკუნეში, რუსეთის საიმპერატორო არმიის ქართველი წევრები მიიჩნევდნენ, რომ ისლამისგან მომდინარე მუქარა ქვეყნის მემკვიდრეობასა და მის კულტურულ გადარჩენას ძალიან სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. ოსმალები 1918-21 წლების დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველოს თავს დაესხნენ. როგორც გიორგი სანიკიძე თავის საავტორო თავში აღნიშავს, თურქების (და ირანელების) „სხვებად“ აღქმა კვლავ გრძელდება. საქართველოს მოქალაქეებს შორის თურქოფობია განსაკუთრებით გავრცელებულია.

თუმცა, სანიკიძის მოსაზრებით, სსრკ-ის დაშლის შემდეგ, „თურქეთი საქართველოსთვის რეგიონში ყველაზე მნიშვნელოვანი მეზობელი და სტრატეგიული პარტნიორი გახდა“ (გვ. 122). თურქეთის ნატოში გაწევრებამ, საქართველოსთან ინტენსიურმა სამხედრო თანამშრომლობამ, სამხრეთ კავკასიაში სატრანზიტო შესაძლებლობებისა და ენერგეტიკული რესურსების მიმართ ინტერესმა და საქართველოს წამყვანი სავაჭრო პარტნიორის პოზიციამ საქართველოსა და თურქეთს შორის თანამშრომლობა გააძლიერა, რასაც საქართველოს მთავრობა „სტრატეგიულ პარტნიორობას“ უწოდებს. თურქეთი რუსული ზენოლის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი (თუმცა, ბოლო პერიოდში ნაკლებად საიმედო) დამბალანსებლის ფუნქციას ასრულებს. მან რუსეთზე საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება აღმოფხვრა. ვაჭრობისა და ორმხრივი შეთანხმებების მონაცემების გაანალიზების საფუძველზე სანიკიძე ასკვნის, რომ ირანი საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ნაკლებად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. საქართველოსთან მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიაში რუსეთისა და აშშ-ის მოქმედებების კონტექსტზეა დამოკიდებული. თუმცა, დასავლეთში მისი „გარიყული“ სტატუსის მიუხედავად, თავისი ისტორიული „უცხოობის“ გადალახვას ირანიც ახერხებს. თურქეთის მსგავსად, აფხაზეთსა და

სამხრეთ ოსეთში რუსეთის პროტექტორატის აღიარებაზე მანაც უარი თქვა და 2017 წელს, საქართველოსთან უვიზო რეჟიმში აღადგინა (რომელიც 2013 წლიდან დროებით იყო შეჩერებული). საქართველომ ეფექტურად შეძლო თავისი გეოგრაფიისა (კერძოდ, თავისი შავი ზღვის პორტები) და ევროკავშირის ბაზრებთან წვდომის გამოყენება ირანული ინვესტიციებისა და ბიზნესის მოსაზიდად. ირანსა და თურქეთთან საქართველოს ურთიერთობები ისეთ საერთო ინტერესებს ეყრდნობა, როგორცაა ვაჭრობა, ინვესტიციები, ენერჯეტიკა და ტურიზმი. ისტორიული უცხოობისგან მეგობრულ მეზობლობაზე გადასვლა საქართველოს თანამედროვე საგარეო პოლიტიკის პრაგმატულობასა და მოქნილობას უსვამს ხაზს.

დასკვნა

ქართველი პოლიტიკოსები თავს ევროპელებად მიიჩნევენ, მაგრამ საქართველოს როგორც ევროკავშირში, ასევე ნატოში განწევრების მცირე პერსპექტივა აქვს. როგორც ნატალი საბანაძე აღნიშავს, არსებობს „მტკიცე საზოგადოებრივი კონსენსუსი იმის შესახებ, რომ ევროკავშირი კულტურული არჩევანი და საქართველოს პოლიტიკური ხვედრია“ (გვ. 176), მაგრამ საქართველოს მიმართ ევროპის მხრიდან აღებული ვალდებულებები უფრო „რბილი“ ხასიათისაა. საქართველო რეგიონის პატარა და პერიფერიული სახელმწიფოა, რომელიც გეოპოლიტიკური კონფლიქტის რისკის წინაშე დგას, ხოლო ევროკავშირი და ნატო კი კონფლიქტების თავიდან არიდებას ცდილობენ. ევროკავშირს აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალთან დაკავშირებით მკაფიო ხედვა არ აქვს შემუშავებული, ხოლო ნატოს შავი ზღვისა და კასპიის ზღვის რეგიონებში საკუთარი საქმიანობის შესახებ მკვეთრად ჩამოყალიბებული პოლიტიკური მოსაზრებები არ გააჩნია. ამის პარალელურად, ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში ჩინეთის ეკონომიკური

ძალაუფლების ზრდა საქართველოს საგარეო პოლიტიკური გეგმებისთვის უახლეს გამოწვევას წარმოადგენს. ჩინეთთან საქართველოს ურთიერთობები და „ერთი სარტყელი-ერთი გზა“ ინიციატივაში მისი პოტენციური როლი იმ საკითხს წარმოადგენს, რისი გაანალიზებაც ამ წიგნში გვსურდა, თუმცა ამ მიმართულებით ექსპერტული ცოდნის მოძიება გაგვიჭირდა.¹ 2017 წელს საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა, „ერთი სარტყელი-ერთი გზა“ ინიციატივაში ქვეყნის მონაწილეობა (კერძოდ ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის დერეფანი) და ვაჭრობის სწრაფი ზრდა (ჩინეთი ამჟამად საქართველოს მეორე უმსხვილესი ექსპორტიორია და რუსეთს უსწრებს) იმაზე მიანიშნებს, რომ ჩინეთი საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური მომავლის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა იქნება. „ერთი სარტყელი-ერთი გზა“ საქართველოს სამხრეთ კავკასიაში სხვა სავაჭრო პარტნიორების მოზიდვის უპირატესობით უზრუნველყოფს. გარდა ამისა, რუსეთის მხრიდან საქართველოს დესტაბილიზაციის მცდელობების შეკავებაში ჩინეთს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.

ევროკავშირი რეგიონში მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას, რამდენადაც ძალთა ბალანსი იცვლება და ევროკავშირის მერყეობამ, საბოლოო ჯამში, შესაძლოა საქართველოსთვის სხვა საგარეო პოლიტიკური სცენარების გააქტიურება გამოიწვიოს. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩინეთის ავტორიტარიზმმა საქართველოს პროდასავლურ პოლიტიკურ კურსზე გავლენა მოახდინოს; სინამდვილეში, ერთ-ერთი ანგარიშის მიხედვით, მოვლენების მსგავსმა განვითარებამ შესაძლოა ევროპასა და აშშ-ს საქართველოს დასავლურ ორბიტაზე

¹ მზარდი ჩინურ-ქართული ურთიერთობების შესანიშნავი შეფასების გაცნობად იხილეთ, Joseph Larson, 'Georgia-China Relations: the Geopolitics of the Belt and Road', Tbilisi: Georgian Institute of Politics, 2017, <http://gip.ge/georgia-china-relations-geopolitics-belt-road/>

შესანარჩუნებლად ძალისხმევის გაორმაგებისკენ უბიძგოს.¹ საქართველოს მხრიდან ყველა დაინტერესებული მხარის თვალში (ჩინეთი, ევროკავშირი, ირანი და თურქეთი) მთავარი სატრანზიტო დერეფნის მიმზიდველობის შენარჩუნება, ქვეყნისთვის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სუვერენიტეტის დაცვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. მაგრამ, საბოლოო ჯამში, სახელმწიფო დამოუკიდებლობის შენარჩუნება მხოლოდ ქართული სახელმწიფოს ძალასა და ქმედუნარიანობას შეუძლია. დღესდღეობით საქართველოს კარგად მომზადებული ახალგაზრდა დიპლომატები ჰყავს, თუმცა სახალხო ლეგიტიმაციის მტკიცე საფუძვლის, კარგად ინტეგრირებული ეროვნული უმცირესობების, კანონებისადმი ნდობისა და კვალიფიციური საჯარო სამსახურის გარეშე, მთავრობას ვერ ექნება ის რესურსი, რომელიც მას ქვეყნის შიგნით რთული და ხშირად საკამათო საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად სჭირდება. 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ოპოზიციის მხრიდან პარლამენტის ბოიკოტირებას მოჰყვა, სამწუხაროდ იმაზე მიანიშნებს, რომ ქართველები დიალოგისა და თანამშრომლობის ნაცვლად, კვლავ განხეთქილებისა და კონფლიქტისკენ არიან მიდრეკილნი. საზღვრები არასოდეს ყოფილა საკმარისი ქართული დემოკრატიის დასაცავად, მაგრამ ქართულმა დემოკრატიამ, და მასთან ერთად დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის წესებზე შეთანხმებამ, შესაძლოა მოახერხოს ქვეყნის საზღვრების დაცვა.

¹ იხილეთ, The Foreign Policy Research Institute's and Black Sea Strategy Papers' report *On the Fault Line: Georgian Relations with China and the West*, (New York: Foreign Policy Research Institute, 2019), p. 12.

ინანი

იდეოლოგიის გამოყენება საქართველოს საგარეო პოლიტიკაში

თავი 1

უსაფრთხოების უზრუნველყოფა პატარა სახელმწიფოს სტატუსის პირობებში

ტრეისი ჯერმანი
კორნელი კაკაჩია

პატარა სახელმწიფოებს, როგორც წესი, კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღება უწევთ თავიანთ მეზობლებთან და რეგიონულ პარტნიორებთან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების ბუნების შესახებ. ეს კიდევ უფრო რთულია პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისთვის, როგორცაა, მაგალითად, საქართველო, რომელთაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გლობალურ პოლიტიკაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება მოუწიათ. რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთს შორის მდებარე საქართველოს, თავისი სტრატეგიული ადგილმდებარეობის მიუხედავად, თავდაპირველად, საერთაშორისო საზოგადოება მნიშვნელოვან სახელმწიფოდ არ აღიქვამდა, რადგან იგი პატარა და სუსტი იყო როგორც ზომის, ასევე შესაძლებლობების თვალსაზრისით. საქართველოს არ ჰქონდა არც საერთაშორისო სისტემაში ლავირების გამოცდილება და არც საგარეო პოლიტიკის წარმოებისთვის საჭირო ინსტრუმენტები. საქართველოს წინაშე იდგა სათანადო გეოპოლიტიკური სტრატეგიების განსაზღვრის რთული ამოცანა როგორც თავის უშუალო სამეზობლოსთან, ასევე რეგიონის მიღმა არსებულ

ისეთ მოთამაშეებთან მიმართებით, როგორცაა ევროკავშირი, აშშ და ნატო.

1991 წლის შემდეგ, საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიდგომები მისი, როგორც პატარა სახელმწიფოს სტატუსით განისაზღვრებოდა. საქართველოს მთავარი საგარეო პოლიტიკური მიზანი - ცვალებადი ინტენსიურობითა და წარმატებით - საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება იყო. საქართველომ აირჩია საგარეო პოლიტიკის კურსი, რომელიც რუსეთის გავლენის სფეროსგან თავის დაღწევას და ევროატლანტიკური ქოლგის ქვეშ ისეთი დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისკენ სწრაფვას გულისხმობს, რომელიც დასავლურ ღირებულებებსა და სტანდარტებთან იქნება თანხვედრაში. მიუხედავად რუსეთის მხრიდან მუდმივი დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო ზეწოლისა, საქართველოს საგარეო პოლიტიკის პოზიციებში გასული ორი ათწლეულის განმავლობაში არსებითი ცვლილებები თითქმის არ მომხდარა: ნატოს წევრობისკენ სწრაფვა და ევროკავშირთან დაახლოება საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად დარჩა რუსეთთან 2008 წლის ომის შემდეგაც კი, ხოლო თბილისი შეგნებულად ცდილობს დასავლეთის, და განსაკუთრებით აშშ-ის, კეთილგანწყობის მოპოვებას მოსკოვის გავლენების დასაბალანსებლად. ბოლო წლებში, აზერბაიჯანთან და თურქეთთან ერთად, საქართველოსათვის სულ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა ჩინეთთან უერთიერთობებმა, რამდენადაც ქვეყანა ცდილობს როგორც სავაჭრო პარტნიორებისა და ბაზრების, ასევე დიპლომატიური კავშირების დივერსიფიცირებას.

საქართველო საინტერესო ქვეყანაა საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო პოლიტიკის მკვლევართათვის. 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სწრაფად ცვალებადი საერთაშორისო გარემოს ფონზე, შავი ზღვის აუზის ამ ქვეყანამ მრავალი ომი, კონფლიქტი და ცვალებად აღიანსთა

სტრუქტურები გაიარა.¹ შესაბამისად, ის საინტერესო საკვლევ მასალას წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი დისციპლინებისა და საგარეო პოლიტიკის ანალიზისთვის. საქართველოს ნაწილობრივ სტრუქტურულ-დევიანტური ქცევა განსაკუთრებულად საინტერესო იქნება საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის პოლიტიკის მიდგომის მხარდამჭერთათვის. უფრო კონკრეტულად, საქართველოს სტრუქტურულ-დევიანტური ქცევა გამოიხატება იმაში, რომ ქვეყანა არ ემორჩილება რუსეთის სისტემურ ზეწოლას იმის მიუხედავად, რომ მას სხვა ალტერნატივები არ გააჩნია. სოციალური კონსტრუქტივიზმის² მკვლევრებისთვის საქართველოს შემთხვევა საინტერესო შესაძლებლობაა იმის შესასწავლად, თუ როგორ აყალიბებენ ნორმატიული იდეები საგარეო პოლიტიკას და რამდენად შესაძლებელია ღირებულებისა და ალტერნატიული დანახარჯების ანალიზზე დამყარებული რაციონალური ქცევის უგულვებლყოფა. და ბოლოს, საგარეო პოლიტიკის საშინაო მამოძრავებლებით დაინტერესებული მკვლევრებისთვის საქართველო მდიდარ ლაბორატორიას წარმოადგენს აქტორების ანალიზის დონეზე ისეთი ამხსნელი ფაქტორების

¹ დაწვრილებით იხილეთ, Svante Cornell, *Small Nations and Great Powers: A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus* (Abingdon: Routledge, 2005).

² სოციალური კონსტრუქტივიზმის სკოლა საერთო იდეებზე, რწმენებსა და ღირებულებებზე ამხვილებს ყურადღებას. ამ სკოლის წარმომადგენლების მიხედვით, [პატარა] სახელმწიფოების (ეროვნული) ინტერესები თავისთავად არ არსებობს, არამედ ისინი სოციალურადაა კონსტრუირებული და შესაძლოა დროთა განმავლობაში შეიცვალოს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ, Ted Hopf, 'The Promise of Constructivism in International Relations Theory', *International Security* 23:1 (1998), pp. 171-200; Peter J. Katzenstein (ed.), *The Culture of National Security: Norms and Identity in World Politics*. (New Directions in World Politics) (New York: Columbia University Press, 1996); Vendulka Kubálková, 'Foreign Policy, International Politics, and Constructivism', in *Foreign Policy in a Constructed World*, ed. Vendulka Kubálková (London: Routledge, 2001), pp. 15-37; Thomas Risse, *Social Constructivism and European Integration* (Oxford: Oxford University Press, 2004); Alexander Wendt, 'Anarchy Is What States Make of It: The Social Construction of Power Politics', *International Organization*, 46:2 (1992), pp. 91-425.

შესასწავლად, როგორცაა იდეები, აღქმები, საზოგადოებრივი აზრი და არასახელმწიფოებრივი აქტორები.

მიმდინარე თავი საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ქცევებს პატარა სახელმწიფოების შესახებ არსებული ლიტერატურის პრიზმაში განიხილავს. რა დიპლომატიურ სტრატეგიებს იყენებს საქართველო თავის დასაცავად, საკუთარი ინტერესების გასატარებლად და არასტაბილურ რეგიონში თვითგადარჩენის უზრუნველსაყოფად? გააჩნია თუ არა ძლიერ მეზობლებს შორის ჩაჭყლელთი პატარა სახელმწიფოს მოქმედების თავისუფლება საგარეო პოლიტიკის წარმოებისას? პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ქცევის თაობაზე ტრადიციული თეორიები ამბობს, რომ ისინი შეეცდებიან „მიეტმასნონ“ დიდ ძალებს, ან შექმნან „ბალანსი“ მათ წინააღმდეგ. თუმცა, საქართველოს მაგალითი ბევრად უფრო ნიუანსირებულ საგარეო პოლიტიკურ ქცევას გვიჩვენებს, ვიდრე ეს თეორიები აღწერს. საქართველოს საგარეო პოლიტიკის არაერთი მკვლევარი ამჯობინებს ანალიზის ჩარჩოდ ნეოკლასიკური რეალიზმი გამოიყენოს. ნეოკლასიკური რეალიზმის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო სისტემა რჩება საგარეო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან წარმართველ ძალად როგორც დიდი, ასევე პატარა ქვეყნებისთვის, **სახელმწიფოებრივი ანალიზის დონის** ფაქტორები სახელმწიფოების მგრძობელობას ქმნიან და **სისტემურ** ცვლადებს პოლიტიკის შედეგებად თარგმნიან.¹ კვლევები, რომლებიც სა-

¹ ნეოკლასიკური რეალიზმის შესახებ დამატებით იხილეთ, Nicholas Kitchen, 'Systemic Pressures and Domestic Ideas: A Neoclassical Realist Model of Grand Strategy Formation', *Review of International Studies*, 36:1 (2010), pp. 117-43; Steven E. Lobell, Norrin M. Ripsman and Jeffrey W. Taliaferro (eds), *Neoclassical Realism, the State, and Foreign Policy* (Cambridge: Cambridge University Press, 2009); Brian Rathbun, 'A Rose by Any Other Name: Neoclassical Realism as the Logical and Necessary Extension of Structural Realism', *Security Studies*, 17:2 (2008), pp. 294-321; Norrin M. Ripsman, Jeffrey W. Taliaferro and Steven E. Lobell, *Neoclassical Realist Theory of International Politics* (Oxford: Oxford University Press, 2016).

ქართველოს საგარეო პოლიტიკას ამ ჭრილში შეისწავლის, აქცენტს სხვადასხვა საშინაო საკითხის გავლენაზე აკეთებს, რომელთა შორისაა ელიტების ერთიანობა, ელიტების იდენტობები, სახელმწიფოს უნარები და შესაძლებლობები, პოლიტიკური პატერნალიზმი და რელიგიურობა, ისევე როგორც ელიტის იდეოლოგიით განპირობებული აღქმები.¹

ცივი ომის შემდგომ საერთაშორისო სისტემაში პატარა სახელმწიფოების როლის მიმართ მზარდი მეცნიერული ყურადღების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არსებობს საკმარისი ლიტერატურა პოსტსაბჭოთა პერიოდის პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ ქცევების შესახებ. აღნიშნული საკითხის გარშემო შექმნილი ნაშრომების დიდი ნაწილი, როგორც წესი, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ აწარმოებენ ეს ქვეყნები ურთიერთობებს მოსკოვთან, საკუთრივ მათ კი საგარეო პოლიტიკის მონყვლად „მიმღებებად/ობიექტებად“ წარმოაჩენს. ნაკლები ყურადღება ეთმობა პატარა სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკური ქცევის უფრო პოზიტიურ ასპექტებს. პატარა სახელმწიფოები ხშირად უფრო დიდი სახელმწიფოს ორბიტაზე არიან განთავსებულები და გავლენისა და შესაძლებლობების შედარებითი სიმწირით ხასიათდებიან. ერთ-ერთი საშუალება,

¹ მაგალითისთვის იხილეთ, Giorgi Gvalia and Bidzina Lebanidze. 'Geopolitics and Modernization: Understanding Georgia's Pro-Western Assertiveness since the Rose Revolution', in *Modernization in Georgia*, ed. Giga Zedania (Bern: Peter Lang A.G., 2018), pp. 165-96; Kornely Kakachia, Bidzina Lebanidze and Volodymyr Dubovyk, 'Defying Marginality: Explaining Ukraine's and Georgia's Drive towards Europe', *Journal of Contemporary European Studies*, 27:4 (2019), pp. 451-62; Kevork Oskanian, 'The Balance Strikes Back: Power, Perceptions, and Ideology in Georgian Foreign Policy, 1992-2014', *Foreign Policy Analysis*, 12:4 (2016), pp. 628-52; Giorgi Gvalia, Bidzina Lebanidze and David Siroky, 'Neoclassical Realism and Small States: Systemic Constraints and Domestic Filters in Georgia's Foreign Policy', *East European Politics*, 35:1 (2019); Giorgi Gvalia, David Siroky, Bidzina Lebanidze and Zurab Iashvili, 'Thinking outside the Bloc: Explaining the Foreign Policies of Small States', *Security Studies*, 22:1 (2013), pp. 98-131; David S. Siroky, Alan James Simmons and Giorgi Gvalia, 'Vodka or Bourbon? Foreign Policy Preferences toward Russia and the United States in Georgia', *Foreign Policy Analysis*, 13:2 (2017), pp. 500-518.

რაც პატარა სახელმწიფოებს გააჩნიათ თავის დასაცავად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ დიდი ძალების შეჯიბრებითობისა და მრავალი სხვა კონკურენტი პატარა სახელმწიფოების არსებობის პირობებში ყურადღების მიღმა არ დარჩებიან, არის საკუთარი თავის დიდი ძალისათვის გამოსადეგ პარტნიორად პოზიციონირება. მათ შეუძლიათ დაამტკიცონ თავიანთი, როგორც „სანდო პარტნიორის“ სტრატეგიული მნიშვნელობა და საიმედოობა და შედეგად, გავლენა იქონიონ სხვების აღქმებზე საერთაშორისო თანამეგობრობაში მათი პოზიციების შესახებ.¹ აღნიშნული თავი ხაზს უსვამს, რომ საქართველოს, როგორც საიმედო და სანდო პარტნიორის სტატუსის შესახებ სიგნალის მიცემა საერთაშორისო თანამეგობრობისთვის და ამ გზით გლობალური და რეგიონული იერარქიის შიგნით ახალი პოზიციების მოპოვება ქვეყნის დიპლომატიური ძალისხმევისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენდა. საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობისთვის თავისი სტრატეგიული მნიშვნელობის დამტკიცებას რამდენიმე გზით ცდილობს. პირველ რიგში, საერთაშორისო თანამეგობრობაში თავისი პოზიციების გასამყარებლად, ქვეყანა თავის სამხედრო შესაძლებლობებს ისეთ საერთაშორისო მასშტაბის სტაბილიზაციის ოპერაციებში წვლილის შესატანად იყენებს, როგორცაა ავღანეთში ნატოს წინამძღოლობით ჩატარებული „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალები“ (ISAF). ეს დასავლეთს აჩვენებს, რომ საქართველო „საიმედო პარტნიორია“ მიუხედავად იმისა, რომ მისივე ტერიტორიულ მთლიანობას მნიშვნელოვანი სამხედრო საფრთხე ემუქრება. მეორე, საქართველო თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის კაპიტალიზაციას ახდენს, რომელიც ერთდროულად მისი ფუნდამენტური სიძლიერის წყაროცაა და მისი კრიტიკული მონყველადობისაც, რამდენადაც მას შეუძლია საქართველო ევროპასა და აზიას შორის სატრანზიტო ჰაზად

¹ Deborah Welch Larson and Alexei Shevchenko, 'Status Seekers: Chinese and Russian Responses to US Primacy', *International Security*, 34:4 (2010), pp. 63-95.

აქციოს. საქართველო შესაძლოა ტერიტორიული თვალსაზრისით პატარა სახელმწიფოა, მაგრამ მისი, როგორც სტრატეგიული კორიდორისა და საერთაშორისო პარტნიორის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდება. მთლიანობაში რომ შევაჯამოთ, საქართველო ევროატლანტიკური უსაფრთხოების ბლოკის წევრის სტატუსის მისაღებად, თავისი თავის ახლებურად, რეფორმატორულ „ევროპულ“ სახელმწიფოდ წარმოჩენას ცდილობს, რომელიც საბჭოთა წარსულს მკაფიოდ ემიჯნება.

პატარა სახელმწიფოების განმარტება

პატარა სახელმწიფოს განმარტებასთან დაკავშირებით მცირე სამეცნიერო კონსენსუსი არსებობს. სახელმწიფოებს, რომლებიც „დიდ“ ძალებს არ წარმოადგენენ, სხვადასხვა ტერმინებით აღწერენ, მათ შორის პატარა სახელმწიფოები, პატარა ძალები და სუსტი სახელმწიფოები. ამ რამდენიმე ტერმინიდან ყველას განსხვავებული განმარტება აქვს და თითოეული მათგანი სხვადასხვა ხელშესახებ და არახელშესახებ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელთა შორისაა ფიზიკური მახასიათებლები (ტერიტორიის ან მოსახლეობის ზომა), ეკონომიკური ინდიკატორები და შესაძლებლობები, გავლენის მოხდენის/ზემოქმედების უნარი, ან სახელმწიფოს როლი საერთაშორისო იერარქიაში.¹ მიუხედავად ამისა, არსებობს შეთან-

¹ დამატებითი ინფორმაციისთვის და ტერმინის განმარტებისთვის იხილეთ, Clive Archer and Neill Nugent, 'Introduction: Small States and the European Union', in *Current Politics and Economics of Europe*, 11:1 (2002), pp. 1-10; Baldur Thorhallsson and Anders Wivel, 'Small States in the European Union: What Do We Know and What Would We Like to Know?', *Cambridge Review of International Affairs*, 19:4 (2006), pp. 651-668. See also R.P. Barston (ed.), *The Other Powers: Studies in the Foreign Policy of Small States* (London: George Allen & Unwin, 1973); Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, 1990); David Vital, *The Inequality of States: A Study of the Small Power in the International System* (Oxford: Oxford University Press, 1967); Burton Benedict

ხმება, რომ მთავარ ცვლადს წარმოადგენს სახელმწიფოს პო-
ზიცია სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში და არა მატერია-
ლური ცვლადები, როგორცაა მოსახლეობის ზომა ან ტერი-
ტორია. არჩერისა და სხვების მიხედვით, პატარა სახელმწიფო
არის „უფრო სუსტი სახელმწიფო ასიმეტრიულ ურთიერთობა-
ში, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა თავისით შეცვალოს ამ
ურთიერთობის ხასიათი, ან მისი დინამიკა“.¹ ამგვარი განმარ-
ტება ხაზს უსვამს **შეფარდებით**² ასპექტს: „ჩვეულებრივ, პა-
ტარა სახელმწიფო ერთსა და იმავე დროს რამდენიმე განსხვა-
ვებულ ძალაუფლებრივ კონფიგურაციაში მოქმედებს და, შე-
საბამისად, სახელმწიფო შეიძლება იყოს სუსტი („პატარა“)
ერთ ურთიერთობაში, მაგრამ იმავე დროს ძლიერი („დიდი
ძალა“) სხვა ურთიერთობაში“.³

ამდენად, პატარა სახელმწიფოები სამეცნიერო ლიტერა-
ტურაში განიმარტება, როგორც ასიმეტრიული ურთიერთობა-
ში არსებული უფრო სუსტი მხარე. სახელმწიფოს ზომის კონ-
ცეპტუალიზებისას, მატერიალურ შესაძლებლობებზე ხაზგას-
მა, გარკვეული თვალსაზრისით, სასარგებლოცაა, რადგან ის
„ანალიტიკურ სიმყარეს“ გვთავაზობს. თუმცა, როდესაც გან-
მარტებებს ეხება საქმე, ის ნაკლებად გამოსადეგი ხდება, რად-
გან ვერ ხსნის ერთი სახელმწიფოს მეორისადმი ქცევას.⁴ პატა-
რა სახელმწიფოების მიერ გამოყენებული სტრატეგიები მხო-
ლოდ უსაფრთხოებას და გადარჩენას ისახავს მიზნად, თუ არ-
სებობს სხვა მოტივაცია, რომელიც მათ საგარეო პოლიტი-
კურ ქცევას ახსნიდა? საკითხის სრულყოფილად გააზრების-

(ed.), *Problems of Small Territories* (London: Athlone Press, 1967); The World Bank
in Small States, www.worldbank.org/en/country/smallstates

¹ Clive Archer, Alyson J.K. Bailes and Anders Wivel (eds), *Small States and International Security: Europe and Beyond* (Abingdon: Routledge, 2014), pp. 8-9.

² Relational.

³ Archer *et al*, pp. 8-9.

⁴ Moch Faisal Karim, 'Middle Power, Status-seeking and Role Conceptions: The Cases of Indonesia and South Korea', *Australian Journal of International Affairs*, 72:4 (2018), pp. 343-363.

თვის მნიშვნელოვანია ობიექტური, შესაძლებლობაზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც სახელმწიფოს ქცევის ახსნასთან ერთად, საერთაშორისო ჩართულობისა და აქტივიზმის მამოძრავებელ ძალებზეც გაამახვილებს ყურადღებას.

ისეთი მატერიალური მახასიათებლების გათვალისწინებით, როგორცაა მოსახლეობის ზომა და ტერიტორიული ფართობი, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები შეიძლება კლასიფიცირებული იქნას, როგორც პატარა სახელმწიფოები, როგორც ეს 1.1. გრაფაშია ნაჩვენები. მათ მიერ სხვა სახელმწიფოებზე ზეგავლენის მოხდენის უნარი დაბალია. თუმცა, რეგიონს შიგნით სხვადასხვა ძალაუფლების კონფიგურაციები გვხვდება. მაგალითისთვის, აზერბაიჯანი შედარებით „პატარაა“ თავის ურთიერთობებში რუსეთთან და, შესაბამისად, არჩერისა და სხვებისთვის ასიმეტრიული ურთიერთობის „უფრო სუსტ მხარეს“ წარმოადგენს. მაგრამ, ამავდროულად იგი ძლიერი მხარეა თავის ორ პატარა სამხრეთ კავკასიელ მეზობელთან, საქართველოსა და სომხეთთან, ურთიერთობებში. ასიმეტრიული ძალის ურთიერთობები ხშირია პოსტსაბჭოთა სივრცეში: რუსეთი კვლავ რეგიონის დომინანტური ძალაა სამხედრო, დიპლომატიური და ეკონომიკური თვალსაზრისით. მაგალითად, ეკონომიკური ურთიერთობები ასიმეტრიულია რუსეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოების უმრავლესობას შორის, სადაც რუსული კომპანიები ხშირად მთავარი ინვესტორები არიან, ხოლო რუსული საქონელი ამ ქვეყნების იმპორტის დიდ პროცენტულ ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნულ დინამიკაზე, უმეტესწილად, საბჭოთა ეკონომიკური კავშირების სიცოცხლისუნარიანი მემკვიდრეობა ახდენს ზეგავლენას, რასაც ლიბმანმა „საბჭოთა ეკონომიკური კავშირების გარდაუვალი ინერცია“ უწოდა.¹

¹ Alexander Libman, 'Regionalisation and Regionalism in the Post-Soviet Space: Current Status and Implications for Institutional Development', *Europe-Asia Studies*, 59:3 (2007), p. 415.

გრაფა 1.1.

	სომხეთი	საქართველო	აზერბაიჯანი
მოსახლეობა	3 მილიონი	4.9 მილიონი (დაახ., სეპარატისტული ტერიტორიების ჩათვლით)	9.7 მილიონი
ფართობი	29.743 კმ ²	69.700 კმ ²	86.600 კმ ²
(შესადარებელი სახელმწიფო)	(ბელგია)	(ლიტუვა)	(ავსტრია)
მშპ (მილიარდი აშშ დოლარი)	11.6	15.5	40.7
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	3.813	4.194	4.184

წყარო: მსოფლიო ბანკი¹

იმის გათვალისწინებით, რომ პატარა სახელმწიფოები გარე წნეხისადმი ისედაც მოწყვლადები არიან, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები ალბათ კიდევ უფრო მეტად დგანან ამ პრობლემის წინაშე მემკვიდრეობით მიღებული მყარი საზოგადოებრივი და ეკონომიკური კავშირების გამო, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი გეოგრაფიულადაც ესაზღვრებიან ყოფილი იმპერიული ძალის მემკვიდრე სახელმწიფოს. ამას ადასტურებს სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომელიც, ძირითადად, ამ სახელმწიფოების მოსკოვთან კავშირებსა და ასიმეტრიულ ურთიერთობაში სუსტი მხარის მიერ კომპრომისის ძიების საჭიროებაზე სვამს აქცენტს. მომიჯნავე გავლენის სფეროების მქონე დიდი რეგიონული ძალების მომცრო მეზობლებისთვის მოურიცენი „ფინლანდიზაციის“,² ან „ადაპტაციური მორჩილების“ (დიდ ძალაზე პოლიტიკური და

¹ მსოფლიო ბანკი პატარა სახელმწიფოს განმარტავს, როგორც „[სახელმწიფოს], რომელიც მცირერიცხოვანი მოსახლეობით, შეზღუდული ადამიანური რესურსით და პატარა ტერიტორიით ხასიათდება“. იხილეთ, *The World Bank in Small States*, www.worldbank.org/en/country/smallstates

² მოურიცენის „ფინლანდიზაციის“ ცნება 1944 და 1991 წლებს შორის ფინეთის საგარეო პოლიტიკისგან მომდინარეობს, რომლის დროსაც ქვეყანამ ჩრდილოეთ ევროპაში სსრკ-ის თავდაცვით უსაფრთხოებასთან ადაპტირება, ხოლო ამის პარალელურად კი გარკვეული ფორმის ნეიტრალიტეტისა და დასავლური დემოკრატიის შენარჩუნება შეძლო. Hans Mouritzen, 'Small States and Finlandisation in the Age of Trump', *Survival*, 59:2 (2017), pp. 67-84.

სტრატეგიული დამოკიდებულებით მაქსიმალური სარგებლის მიღება) სტრატეგიას გვთავაზობს. ავტორი მიიჩნევს, რომ რუსეთის პერიფერიულ სივრცეში მდებარე პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში არიან და „მათ დიდ მეზობელთან შეგუება მოუწევთ (თუნდაც დაუმორჩილებლობის მოკლე პერიოდის შემდეგ).“¹ აღნიშული მიდგომის პრობლემა პატარა სახელმწიფოებისთვის მინიჭებული ავტონომიის ნაკლებობაა. სინამდვილეში, პატარა სახელმწიფოებს შეუძლიათ თავიანთი საგარეო პოლიტიკური ქცევის განსაზღვრა და ისინი არ არიან უბრალო მარიონეტები დიდი სახელმწიფოების ხელში. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, საქართველო რუსეთის მოთხოვნებს დაემორჩილებოდა და კრემლიდან მომავალი მუდმივი ზეწოლის გავლენით თავის საგარეო პოლიტიკის პოზიციებს შეცვლიდა (განსაკუთრებით კი 2008 წლის ომის შემდგომ პერიოდში), რითაც ის დასავლეთთან უფრო ახლოს ინტეგრაციის, ნატოში განევრებისა და „ევროპაში დაბრუნების“ ღიად გაცხადებულ ამბიციებზე იტყოდა უარს. მორჩილებისა და მოურიცენის მსგავსი მკვლევრების მოლოდინების გამართლების ნაცვლად, დღემდე თბილისი ნატოში განევრების ამბიციის ერთგული დარჩა, და 2014 წელს საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასა და „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას“ (DCFTA) მოაწერა ხელი, რითაც პირდაპირ უარყო მოსკოვის სურვილები. აღნიშული ფაქტი კიდევ უფრო ამყარებს კუპერის და შოს მიდგომას, რომელიც პატარა სახელმწიფოების მოწყვლადობის ნაცვლად, მათ მედეგობასა და მოხერხებულობას უსვამს ხაზს.² შესაბამისად, პოსტსაბჭოთა სივრცის პატარა სახელმწიფოების შესახებ უკვე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა დამაჯერებლად ვერ ხსნის საქარ-

¹ Mouritzen, pp. 67-8.

² Andrew F. Cooper and Timothy M. Shaw (eds), *The Diplomacies of Small States: Between Vulnerability and Resilience* (Basingstoke: Palgrave Macmillan, 2013).

თველოს საგარეო პოლიტიკურ ქცევას, რამდენადაც ის, ძირითადად, ამ ქვეყნების მოწყვლადობასა და რუსეთთან დათმობების საჭიროებაზე აკეთებს აქცენტს.

პატარა სახელმწიფოების მიერ სტატუსის მაძიებელი ქცევის შესახებ არსებული ლიტერატურა საქართველოს საგარეო პოლიტიკური ქცევის გასაანალიზებლად სასარგებლო ინსტრუმენტს წარმოადგენს. დე კარვალიო და ნოიმანი ამტკიცებენ, რომ სტატუსი პოლიტიკის მთავარ მამოძრავებელ წყაროს წარმოადგენს პატარა სახელმწიფოებისთვის, „რომლებიც აღიარებული დიდი სახელმწიფოებისგან განსხვავებით, სტატუსთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე დგანან“.¹ სტატუსი განიმარტება, როგორც სახელმწიფოს ადგილი ან რანგი სტატუსის იერარქიაში, რაც გლობალურ თუ რეგიონულ საზოგადოებაში კონკრეტული სახელმწიფოს პოზიციის შესახებ კოლექტიურ აღქმებთან არის დაკავშირებული.² სტატუსი განისაზღვრება არა მაინცდამაინც სახელმწიფოს მატერიალურ შესაძლებლობებით, არამედ მისი უნარით, გავლენა იქონიოს სხვების აღქმებზე მისი სტატუსის შესახებ. ვოლფორთი და სხვები პატარა სახელმწიფოს მხრიდან სტატუსის მაძიებელი ქცევის ორ ძირითად მიზანს განსაზღვრავენ: თავისი მსგავსი სახელმწიფოების ერთ ან მეტ ჯგუფთან მიკუთვნებულობა და დიდი ძალების მხრიდან აღიარება:

„გამომდინარე იქიდან, რომ ეს სახელმწიფოები დიდები არ არიან (თავიანთი მახასიათებლებიდან გამომდინარე), მათ ხილვადობის პრობლემა აქვთ. დიდ ძალად ყოფნა ნიშნავს იყო სახელმწიფო, რომელიც სხვებისთვის მნიშვნელოვანია: პატარა ძალები კი ყურადღების მიღმა დარჩენის რისკის წინაშე“.

¹ Benjamin de Carvalho and Iver B. Neumann (eds), *Small State Status Seeking: Norway's Quest for International Standing* (Abingdon: Routledge, 2015), p. 1

² DW Larson & A Shevchenko, 'Status seekers: Chinese and Russian responses to U.S. primacy', *International Security* 34:4 (2010), pp. 63-95.

ნაშე დგანან. ამ ძალებისათვის იერარქიულად დიდ ძალების ქვევით - და არა მათ გვერდით - სტატუსის მიღწევა წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ისინი ყურადღების მიღმა არ დარჩებიან.”¹

შესაბამისად, სტატუსის მაძიებელ ქცევას მნიშვნელოვანი მანიშნებელი ფუნქცია გააჩნია, რამდენადაც ასეთი ქცევის საშუალებით სახელმწიფო საერთაშორისო სისტემაში თავისი ადგილის ჩვენებას ცდილობს. სტატუსის მაძიებელი ქცევა სტრუქტურისა და აქტორის ელემენტებს აერთიანებს: პატარა სახელმწიფოები ინოვაციურ ქმედებებს იყენებენ საერთაშორისო სისტემაში თავიანთი როლისა და ადგილის შესახებ მათი ხედვების საჩვენებლად. ამავდროულად, ისინი თავიანთი საჭიროების, შესაძლებლობების და ავტორიტეტის შესახებ სხვა სახელმწიფოების აღქმებზე გავლენის მოხდენასაც ცდილობენ. სხვადასხვა მატერიალური შეზღუდვების მიუხედავად, როგორცაა ეკონომიკური ან/და სამხედრო შესაძლებლობების ნაკლებობა, პატარა სახელმწიფოებს მაინც შეუძლიათ საერთაშორისო სისტემაზე ზეგავლენის მოხდენა და საერთაშორისო პოლიტიკაში როლის შესრულება, მაგალითად, „მატერიალური შესაძლებლობების ნიშის“ პოვნის გზით, რათა საჭირო გახდნენ ჰეგემონისთვის ან მას დახმარება გაუწიონ.² შესაბამისად, პატარა სახელმწიფოებს სტატუსის მოპოვება დიდი სახელმწიფოებისთვის თავიანთი გამოსადეგობის ჩვენებით შეუძლიათ, რათა შემჩნეული და აღიარებული იქნან როგორც „კარგი ძალა“.

¹ William C. Wohlforth, Benjamin de Carvalho, Halvard Leira and Iver B. Neumann, 'Moral Authority and Status in International Relations: Good States and the Social Dimension of Status Seeking', *Review of International Studies*, 44:3 (2018), p. 530.

² Ibid იგივე., p. 534.

„ევროპაში დაბრუნება“, როგორც საგარეო პოლიტიკის მანტრა?

ჰაუგევიკი მიიჩნევს, რომ უსაფრთხოების საკითხებთან ერთად, იდენტობა და იდენტობის ფორმირება, ასევე, საკვანძო როლს ასრულებს საგარეო პოლიტიკაში.¹ თუ დავუშვებთ, რომ საქართველო ნატოს წევრობისკენ მხოლოდ უსაფრთხოების გარანტიების მოპოვების მიზნით ისწრაფოდა, მაშინ ლოგიკური იქნებოდა, რომ ქვეყანას შეეცვალა პოზიცია რუსეთთან 2008 წლის ომის შემდგომ, რომელმაც ნათლად აჩვენა მისი მოწყვლადობა. თუმცა, ეს ასე არ მოხდა და თბილისი, მოსკოვის ნების საწინააღმდეგოდ, ნატოში განწევრების ამბიციების ერთგული დარჩა. არსებული მოლოდინების მიუხედავად, არც რეჟიმის ცვლილებებს მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ახლო მომავალში საქართველოს ნატოში ან ევროკავშირში განწევრება ნაკლებად სავარაუდოა, ქვეყანა მაინც ინარჩუნებს დასავლურ სტრატეგიულ ორიენტაციას. მეტიც, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა განაგრძობს ნატოსა და ევროკავშირში განწევრების მხარდაჭერას, რაც მათი მხრიდან არა მხოლოდ უსაფრთხოების გარანტიად, არამედ დასავლეთთან მიკუთვნებულობის სიმბოლოდაც აღიქმება. აშშ-ის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაკვეთით ჩატარებული 2020 წლის აპრილის გამოკითხვამ აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობაში ევროკავშირსა (82%) და ნატოში (74%) განწევრების მხარდაჭერა კვლავ მაღალ ნიშნულზე რჩება.²

¹ Kristin M. Haugevik, 'Status, Small States, and Significant Others: Re-reading Norway's Attraction to Britain in the Twentieth Century', in Benjamin de Carvalho and Iver B. Neumann (eds), *Small State Status Seeking: Norway's Quest for International Standing* (Abingdon: Routledge, 2015), pp. 42-55.

² Civil.Ge. (2020, January 16). *Public Attitudes, Political Ratings in NDI-commissioned Survey*. Civil Georgia. <https://civil.ge/archives/334775>.

ზემოაღნიშნული მეტ დამაჯერებლობას სძენს მოსაზრებას, რომ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და კონკრეტული სოციალური იდენტობისრ შენარჩუნების სურვილს, გარკვეულ შემთხვევებში, უსაფრთხოების საკითხების გადაფარვა შეუძლია.¹ ევროპულ სახელმწიფოდ და უფრო ფართო დასავლური უსაფრთხოების ბლოკის ნაწილად აღიარება, და ყოფილი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს იდენტობისგან გამიჯვნა საქართველოსთვის მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს. რ1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების, და განსაკუთრებით 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, საქართველო ევროპული იდენტობის ჩამოყალიბებისკენ ისწრაფვის და კავკასიურ სამეზობლოსა და ფართო პოსტსაბჭოთა სივრცეს მკაფიოდ ემიჯნება. საქართველოს ევროპასა და დასავლეთში „დაბრუნების“ იდეა ქართული პოლიტიკური და პოპულარული დისკურსის საკვანძო თემად იქცა, რაც ევროპული იდენტობის მშენებლობის პროცესის ნაწილს წარმოადგენს.²

პოსტსაბჭოთა საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ევროპული ნარატივი მეოცე საუკუნის დასასრულს გამოჩნდა, როდესაც ყოფილმა პრემიერმინისტრმა ზურაბ ჟვანიამ 1999 წელს საქართველოს ევროპის საბჭოში განწევრებისადმი მიძღვნილ გამოსვლაში განაცხადა: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“.³ როგორც წესი, საქართველოში ევროპასა და დასავლეთს ერთმანეთისგან არ განასხვავებენ. ეს ორი ტერმინი, ძირითადად, ურთიერთშენაცვლებით გამოიყენება და რუსეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცესთან დაკავშირე-

¹ Haugevik, p. 44.

² დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ, Ghia Nodia, 'The Georgian Perception of the West', in *Commonwealth and Independence in Post-Soviet Eurasia*, ed. Bruno Coppieters, Alexei Zverev and Dmitri Trenin (London: Frank Cass, 1998), pp. 12-43; Tracey German, 'Heading West? Georgia's Euro-Atlantic Path', *International Affairs*, 91:3 (2015), pp. 601-14, <https://doi.org/10.1111/1468-2346.12286>.

³ იხილეთ, www.youtube.com/watch?v=P4KX1IVvrHg (ბოლოს ნანახია, 22 იანვარი, 2015).

ბული წარსულისგან დაშორებასა და დასავლური მომავლისაკენ სწრაფვას უსვამს ხაზს. საქართველოს აღქმით, ქვეყანა კუთვნილ ადგილს იბრუნებს ევროპულ ოჯახში, რომლისგანაც ის საუკუნეების განმავლობაში იყო დაშორებული. 2002 წელს სახელმწიფოს ნატოში განევრების მისწრაფების დეკლარირებისას, ყოფილმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველო „საუკუნეების განმავლობაში მოწყვეტილი იყო დასავლურ ცივილიზაციას, თუმცა ის ყოველთვის იქ ხედავდა თავის კუთვნილ ადგილს“, და სამხრეთ კავკასია აღწერა, როგორც „იმ ცივილიზაციის საგუშაგო, რომელიც თავისუფლებასა და ჰუმანიზმს თავის ცენტრალურ ღირებულებებად მიიჩნევს“.¹ გეოგრაფიულად, საქართველო ევროპის პერიფერიაზე, ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარეობს. თუმცა, რამდენადაც გეოგრაფიული განზომილება მნიშვნელოვანიარ ევროპის განსასაზღვრად და იმის გასარკვევად, წარმოადგენს თუ არა საქართველო „ევროპულ“ სახელმწიფოს, ასევე არსებობს მოსაზრებები, რომ ევროპას მნიშვნელოვანი კულტურული კომპონენტიც გააჩნია, რომ იგი, ამავდროულად, „იდეას“, ცივილიზაციას, და ნორმებისა და ღირებულებების ერთობასაც წარმოადგენს.²

თავის 2004 წლის პრეზიდენტის საინაუგურაციო სიტყვაში, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ „ჩვენ უბრალოდ ევროპელები არ ვართ, ჩვენ უძველესი ევროპელები ვართ“, რითაც მან გააძლიერა მოსაზრება, რომ საქართველო თავის დროზე ჩამოაშორეს თავის „ბუნებრივ“ განვითარების გზას და თავის კუთვნილ ადგილს ევროპაში.³ ამ ხედვას ვაშინგტონშიც ბევრი უჭერდა მხარს. 2007 წელს თბილისში სიტყვით გამოს-

¹ 'Statement by President of Georgia Eduard Shevardnadze at the EAPC Summit'.

² მაგალითისთვის იხილეთ, Richard Swedberg, 'The Idea of "Europe" and the Origins of the European Union - A Sociological Approach', *Zeitschrift für Soziologie*, 23: (Oktober 1994), pp. 378-87.

³ Sabine Freizer, 'The Pillars of Georgia's Political Transition', *Open Democracy*, (2004), www.opendemocracy.net/democracy-caucasus/article_1732.jsp.

ვლისას, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ევროპულ და ევრაზიულ საკითხებში, დენიელ ფრიდმა განაცხადა, რომ საქართველო არა მხოლოდ გეოგრაფიულად, კულტურულად, პოლიტიკურად და ისტორიულად ეკუთვნოდა „ევროპას“, არამედ ის ევროატლანტიკური საზოგადოების ნაწილსაც წარმოადგენდა: „ქართველები ტრანსატლანტიკურ სამყაროს ეკუთვნიან და, შესაბამისად, ტრანსატლანტიკური სამყაროს ინსტიტუტები ისევე უნდა იყოს ღია საქართველოსთვის, როგორც ნებისმიერი სხვა ევროპული სახელმწიფოსთვის“.¹

თვითიდენტობის ცენტრალურ როლს ქართული სახელმწიფოს განვითარებაში ხაზი გაუსვა ყოფილმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა თავის პირველ ყოველწლიურ საპარლამენტო მიმართვაში, როდესაც მან განაცხადა, რომ „ქართველი თავისი ინდივიდუალური შეგნებით ევროპელია, თავისი ბუნებით დასავლური ცივილიზაციის ორგანული ნაწილია“.²

ო ბერენისა და კოენის მოსაზრებით, ევროპა, აზიისა და რუსეთისაგან განსხვავებით, იმედის, კეთილდღეობისა და ხარისხის სიმბოლოდ აღიქმება.³ საქართველოს ძალისხმევა, ახლებურად წარმოეჩინა თავი, როგორც დემოკრატიულ, ევროპულ სახელმწიფოს, შესაძლოა აღვიქვათ, როგორც ქვეყნის მცდელობა, შეეცვალა საერთო წარმოდგენები თავისი ადგილისა და სოციალური სტატუსის შესახებ საერთაშორისო სისტემაში. როგორც ჩანს, უმთავრეს ამოცანას საქართველოს „პოსტსაბ-

¹ *Developing Europe's East*, Daniel Fried, Assistant Secretary for European and Eurasian Affairs, Remarks at Conference, Tbilisi, 1 November 2007, www.state.gov/p/eur/rls/rm/94553.htm. ფრიდმა განმარტა თავისი მოსაზრება და აღნიშნა, რომ საქართველო შესაძლოა იყოს ევროპის ნაწილი, თუმცა ის „ევროპის კიდევ მდებარეობს“.

² President Giorgi Margvelashvili, 'The State of the Nation Address', 21 February 2014, *The Administration of the President of Georgia*, www.president.gov.ge/en/PressOffice/Documents/AnnualReports?p=8674&i=1.

³ Donnacha Ó Beacháin and Frederik Coene, 'Go West: Georgia's European Identity and its Role in Domestic Politics and Foreign Policy Objectives', *Nationalities Papers*, 42:6 (2014), pp. 923-41.

ჭოთა“ სახელმწიფოდ აღქმისგან გათავისუფლება წარმოადგენს: ქვეყნის მუდმივი მცდელობა, ხაზი გაუსვას თავის „ევროპულობას“ და უზრუნველყოს „ევროპაში დაბრუნება“ სწორედ იმისკენაა მიმართული, რომ მკვეთრად გაიმიჯნოს საქართველოს წარსული მისი მომავალისგან, ისევე, როგორც მისი პოსტსაბჭოთა სივრცე „ევროპულისაგან“.

თუმცა, საქართველოს ევროპული მისწრაფება ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ საბჭოთა წარსულისა და ევროპული მომავლის ერთმანეთისგან გამიჯვნის სურვილი. ზოგიერთი მკვლევარი ქვეყნის მიერ თავისი ევროპული იდენტობის აღიარების სანაცვებს 1918-21 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, და კიდევ უფრო ადრეც კი ხედავს: გაა თარხან-მოურავი ამტკიცებს, რომ მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, ევროპელობის საკითხი ქართული იდენტობის შესახებ დისკუსიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ხოლო ევროპასთან კავშირები კი ქვეყნის ქრისტიანულ ტრადიციას უკავშირდება.¹ ასევე, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ადრეულ მეცხრამეტე საუკუნეში, სპარსეთისგან თავდასაცავად საქართველომ რუსეთის იმპერიას მიმართა, რადგანაც ის „ევროპულად“ აღიქმებოდა (ოსმალეთისა და სპარსეთისგან განსხვავებით). ამდენად, თავდაპირველად რუსეთი საქართველოსთვის უსაფრთხოების გარანტორად განიხილებოდა, რაც მეოცე საუკუნეში რადიკალურად შეიცვალა. ამგვარი დაძაბულობა საქართველოს ევროპულ მისწრაფებებსა და მის უსაფრთხოებას შორის ნათლად ჩანს 1917 წლის ნოე ჟორდანის გამოცხადებით, რომელიც შემდგომში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი სახელმწიფო მეთაური გახდა:

¹ Gia Tarkhan-Mouravi, 'Georgia's European Aspirations and the Eastern Partnership', in *The Making of Modern Georgia, 1918-2012: The First Georgian Republic and its Successors*, ed. Stephen F. Jones (Abingdon: Routledge, 2014), p. 49.

„ეს კავშირი [რუსეთთან 1801 წელს] არ იყო რაიმე სახის პირადი კაპრიზის შედეგი, ან მარტივი ხდომილების საგანი. ეს ისტორიული გარდაუვალობა იყო. მაშინ საქართველოს წინაშე იდგა დილემა: აღმოსავლეთი, ან დასავლეთი. და ჩვენმა წინაპრებმა გადაწყვიტეს აღმოსავლეთისთვის ზურგი ექციათ და დასავლეთისაკენ აეღოთ გეზი. მაგრამ, დასავლეთისაკენ მიმავალი გზა რუსეთზე გადიოდა და შედეგად, დასავლეთისაკენ სვლა გულისხმობდა ერთობას რუსეთთან.“¹

შესაბამისად, საქართველოს მიერ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არჩევანის გაკეთების საკითხი ახალი არ არის. თუმცა, შეიცვალა ისტორიული აღქმა, რომლის თანახმადაც დასავლეთისაკენ მიმავალი გზა რუსეთზე გადიოდა და ის ჩანაცვლდა თანამედროვე ხედვით, რომელიც ხაზს უსვამს, რომ დასავლური გზა რუსეთის უარყოფას გულისხმობს.

სამხედრო პარტნიორობა

საქართველო, ასევე, იყენებს თავის სამხედრო შესაძლებლობებს ISAF-ის² მსგავს საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების ოპერაციებში წვლილის შესატანად, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო საზოგადოებაში ქვეყნის პოზიციების გაძლიერებას და იმის დამტკიცებას, რომ საქართველო დასავლეთისთვის „კარგი პარტნიო-

¹ რუსეთისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა რეგიონში ფართოდ გავრცელებული მონებით ვაჭრობის მომგებიანი ბიზნესის შეჩერება, რომელის უკანაც, ძირითადად, ოსმალები იდგნენ. დამატებითი იფორმაციისთვის იხილეთ, Bruce Grant, *The Captive and the Gift: Cultural Histories of Sovereignty in Russia and the Caucasus* (London: Cornell University Press, 2009), pp. 22-5.

² „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალები“.

რია“. ქვეყნის შიგნით არსებული უსაფრთხოების გამოწვევების მიუხედავად, საქართველომ თავისი სამხედროები ბალკანეთსა და ავღანეთში ნატოსა და აშშ-ის მეთაურობით ჩატარებულ მისიებში გაგზავნა. მართალია, საერთაშორისო უსაფრთხოების ძალისხმევაში სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს აქვს წვლილი შეტანილი,¹ თუმცა ამ სახელმწიფოებს შორის საქართველო რეალურად ცდილობს ევროატლანტიკური საზოგადოების თვალში ქვეყნის სანდო და საიმედო მოკავშირედ წარმოჩენას. პირველი ქართული სამშვიდობო ოცეული ბალკანეთში 1999 წელს გაიგზავნა, რის შემდეგაც საერთაშორისო სამშვიდობო და სტაბილურობის განმტკიცების მისიებში მონაწილე ქართველ ჯარისკაცთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. 2004 წლიდან, საქართველო მონაწილეობდა ნატოს „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების“ (ISAF) მისიაში. 2004 წლის ოქტომბერში, ორმოცდაათი ქართველი სამხედრო (ოცეულები) მცირე ხნით მივლენილი იყო ავღანეთის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში გერმანული ხელმძღვანელობის ქვეშ მიმდინარე უსაფრთხოების ოპერაციაში. 2009 წლის ნოემბერში, საქართველომ ქაბულში გადასხა 173 ჯარისკაცი საფრანგეთის ხელმძღვანელობის ქვეშ, ხოლო მომდევნო წელს მიავლინა ქვეითი ბატალიონი ჰელმანდში. 2012 წლის ოქტომბერში საქართველოდან მივლენილი სამხედროების მკვეთრად გაზრდილი რაოდენობის შედეგად, ქვეყანა გახდა ISAF-ის მისიის ყველაზე დიდი კონტრიბუტორი ნატოს არანევრ სახელმწიფოებს შორის, და მეხუთე ყველაზე დიდი კონტრიბუტორი ყველა მონაწილე სახელმწიფოს შორის. საქართველომ აშშ-ის ძალების ხელმძღვანელობის ქვეშ ორი ქვე-

¹ სომხეთი და აზერბაიჯანი ღიად არიან ჩართული საერთაშორისო უსაფრთხოების მისიებში და მონაწილეობა აქვთ მიღებული საერთაშორისო სტაბილურობის განმტკიცების ოპერაციებში კოსოვოში, ერაყსა და ავღანეთში. თუმცა, მათი კონტრიბუცია შედარებით მცირეა და, როგორც წესი, გარკვეული შეზღუდვები ახლავს ხოლმე თან. ასევე, არცერთი მათგანი არ მისიწრაფვის ნატოსა და ევროკავშირის წევრობისკენ.

ითი ბატალიონი გაგზავნა ჰელმანდში და ქვეითი ოცეული მიაღვლინა ქაბულის „ფენიქსის ბანაკში“ (რომელიც, ძირითადად, ავღანეთის ეროვნული არმიის (ANA) წვრთნებში იყო ჩართული). ასევე, საქართველომ გაგზავნა სამედიცინო პერსონალი „პროვინციის რეკონსტრუქციის ლიტვური გუნდის“ (PRT) შემადგენლობაში და მიაღვლინა ოფიცრები სხვადასხვა ადგილას.

ქართული საჯარისო შენაერთები ყოველგვარი ეროვნული დათქმების გარეშე იგზავნებოდა, რის გამოც ისინი ხშირად მაღალი რისკის ადგილებში ხვდებოდნენ. შედეგად, 2010 წლიდან მოყოლებული, ფრონტის ხაზზე 29 ქართველი სამხედრო დაიღუპა, 460-ზე მეტი კი დაიჭრა. საქართველომ ავღანეთის უსაფრთხოების ძალების განვითარების მხარდაჭერა 2014 წლის შემდეგაც განაგრძო და „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“, რომელიც ბევრად უფრო პატარა ოპერაცია იყო და წვრთნას, რჩევების მიცემას და ავღანეთის შეიარაღებული ძალებისთვის დახმარების განწევას ისახავდა მიზნად, 800-ზე მეტი სამხედრო გაგზავნა. საქართველომ ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალებს შემდგომი განვითარებისთვის ფინანსური დახმარებაც აღუთქვა. გარდა ამისა, საქართველო მხარს უჭერს „აქტიური ძალისხმევის“ მისიას, რომელიც წარმოადგენს ნატოს კონტრტერორისტულ საზღვაო მეთვალყურეობის ოპერაციას ხმელთაშუა ზღვაში. ქვეყანა, ასევე, ჩართულია ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF). მცირე რაოდენობით, ქართველი ჯარისკაცები (150) მონაწილეობენ ევროკავშირის მეთაურობით წარმოებულ მისიაში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, რაც წარმოადგენს საქართველოს პირველ ოპერაციულ გამოცდილებას აფრიკაში და, ასევე, მის პირველ ჩართულობას ევროკავშირის მისიაში.

ჩნდება კითხვა, თუ რატომ განაგრძობს საქართველო საერთაშორისო სტაბილურობის განმტკიცების ოპერაციებში ჩართულობას იმ პირობებში, როდესაც ის მუდმივად სვამს აქცენტს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის რუსეთის მხრიდან შექმნილ საფრთხეებზე. უკანასკნელი სტრა-

ტეგიული თავდაცვის მიმოხილვა, SDR 2017-2020, ეროვნული უსაფრთხოების ძირითად საფრთხედ რუსეთის „აგრესიულ საგარეო პოლიტიკას“ ასახელებს და ტერიტორიის მთლიანობის დაცვის უზრუნველსაყოფად ტოტალური თავდაცვის საჭიროებას უსვამს ხაზს. თუმცა, 2017 წლის სტრატეგიულ დოკუმენტში, ასევე, ნათქვამია, რომ ქვეყანა განაგრძობს ნატოს ხელმძღვანელობით ჩატარებულ საერთაშორისო მისიებში აქტიურ მონაწილეობას და ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF) სამხედრო ჩართულობას, რაც მიზნად ისახავს საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაძლიერებას, „ნატოსთან ფუნქციური თავსებადობის ამაღლებას“ და იმის დამტკიცებას, რომ „საქართველო საიმედო პარტნიორია და მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოებაში“.¹ ქვეყნის წვლილი საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოში 2014 წლის ეროვნული სამხედრო სტრატეგიის (NMS) მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. სტრატეგია ხაზს უსვამს, რომ „საქართველოს ეროვნული ინტერესები მჭიდროდაა დაკავშირებული თანამედროვე გლობალური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებასთან“ და მკაფიოდ აცხადებს, რომ ნატოსთან ფუნქციური თავსებადობის გაძლიერება ქვეყნის სამხედრო ტრანსფორმაციის პროცესის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს.² ყოველივე ამის მიუხედავად, ასევე, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას საქართველოს პოზიციას, რომ ISAF-ის მსგავს მისიებში მონაწილეობით ქვეყანა ნატოში შესასვლელი ბილეთის ყიდვას არ ცდილობს.

1999 წლის შემდეგ საერთაშორისო სტაბილურობის განმტკიცების ძალისხმევებში საქართველოს აქტიური მონაწილეობისაგან განსხვავებით, ქვეყანას არ მიუღია მონაწილეობა და არ შეუტანია არანაირი წვლილი რუსეთის ხელმძღვანელობით

¹ Ministry of Defence of Georgia, *Strategic Defence Review 2017-2020 (SDR2017)*, <https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/SDR-ENG.pdf>, p. 55.

² Ministry of Defence of Georgia, *National Military Strategy, 2014*, <https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NMS-ENG.pdf>, p. 10.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩატარებულ არცერთ ოპერაციაში გასული ათწლეულის განმავლობაში. საერთაშორისო ოპერაციებში ქვეყნის აქტიური ჩართულობის ერთ-ერთ შესაძლო ახსნას წარმოადგენს საქართველოს სურვილი, აჩვენოს საერთაშორისო საზოგადოებას, რომ ის დასავლეთისთვის საიმედო მოკავშირეა. გრეგერი პატარა სახელმწიფოების საერთაშორისო ოპერაციებში ჩართულობას სტატუსის ძიებასთან აკავშირებს და ამტკიცებს, რომ კომპეტენტური სამხედრო შესაძლებლობების ფლობა და საჭიროების შემთხვევაში მათი გამოყენების სურვილი შესაძლოა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყოს პატარა სახელმწიფოებისთვის „სტატუსისა და მნიშვნელოვან ფორუმებზე გადანყვეტილების მიღების მაგიდასთან ადგილის ძიების“ პროცესში.¹ საერთაშორისო სტაბილურობის განმტკიცების მიხედვით მონაწილეობა საქართველოს ძირითადი სტრატეგიული მიზნის მიღწევაში დაეხმარა, რასაც საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოში წვლილის შეტანა წარმოადგენდა. ამის პარალელურად კი, ქვეყანამ გაზარდა თავისი ხილვადობა გლობალურ სისტემაში, როგორც ლოიალური მოკავშირის, რომელიც მზად არის ერაცისა და ავღანეთის მსგავს მძიმე მისიებში ჩასართავად. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო მისიებში საქართველო თავის სამხედროებს ყოველგვარი დათქმების გარეშე გზავნიდა, სხვა ბევრი პარტნიორისა და წევრი სახელმწიფოსგან განსხვავებით, რომლებიც მკაცრ დათქმებს აწესებდნენ იმასთან დაკავშირებით, თუ ავღანეთის რომელ ნაწილში შეეძლოთ მათი სამხედროების განთავსება. 2013 წლის ივნისში, ჰელმანდის პროვინციაში ქართულ ბაზაზე განხორციელებული თვითმკვლელი ტერორისტის თავდასხმის შემდეგ, რომელმაც შვიდი ქართველი შეიწირა, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელახლა გაუსვა ხაზი საქართველოს ნატოს-

¹ Nina Græger, 'From "forces for good" to "forces for status"? Small State Military Status Seeking', in Benjamin de Carvalho and Iver B. Neumann (eds), *Small State Status Seeking: Norway's Quest for International Standing* (Abingdon: Routledge, 2015), p. 93.

კენ სწრაფვას და მომხდარი აღწერა, როგორც „კიდევ ერთი მსხვერპლი“, რომელიც ქვეყანამ „თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ცივილიზებულ ერთა ოჯახში გაერთიანებისკენ მიმავალ მიმე გზაზე“ გაიღო.¹ საქართველოს ქმედებები უწყურადღებოდ არ დარჩენილა ვაშინგტონში: ნატოს ავღანეთის ოპერაციებში საქართველოს მიერ გაღებული წვლილის მიმართ მადლიერება გამოხატა აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებლმა ელიზაბეტ რუდმა, რომელმაც 2018 წელს განაცხადა, რომ „აშშ-მა კარგად იცის ომის ველზე მყოფი ქართველი ჯარისკაცების სიმამაცისა და საიმედოობის შესახებ. თქვენი გმირობა, მსხვერპლი და ღირსება იცავს მშვიდობას მსოფლიოში. ჩვენ თქვენთან ვალში ვართ...“²

საზოგადოებრივი აზრი და პოლიტიკური ელიტები

საშინაო ფაქტორები სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ ქცევაში საკვანძო როლს თამაშობს და, შესაბამისად, საქართველოს საერთაშორისო კონტრიბუციებს მნიშვნელოვანი საშინაო განზომილება გააჩნია, რამდენადაც ისინი ქართულ საზოგადოებას მიანიშნებენ, რომ ქვეყანა მნიშვნელოვანია ნატოსთვის (და, ასევე, ევროკავშირისთვის, საქართველოს ჩართულობის თვალსაზრისით აფრიკაში ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) მისიაში), და რომ ის დასავლეთში მნიშვნელოვან და სანდო პარტნიორად მიიჩნევა. აღნიშნული ჩართულობა ქვეყანას ეხმარება თავი ახლებურად წარმოაჩინოს, როგორც დემოკრატიულმა, ევროპულმა სახელ-

¹ *Civil Georgia*, ‘Seven Georgian Soldiers Die in Afghan Truck Bomb Attack’, 6 June 2013, http://civil.ge/eng/_print.php?id=26154.

² Embassy of the Republic of Georgia to the United States of America, ‘Georgian soldiers leave for Afghanistan equipped with Made in Georgia’, Press Release, 28 April 2018’ <http://georgiaembassyusa.org/2018/04/28/georgian-soldiers-leave-for-afghanistan-equipped-withmade-in-georgia/>.

მნიშვნელოვან და შეცვალოს საერთაშორისო სისტემაში არსებული კოლექტიური რწმენები მისი სოციალური მდგომარეობისა და სტატუსის შესახებ. ნატოსა და ევროკავშირის მეთაურობით ჩატარებულ საერთაშორისო უსაფრთხოების ოპერაციებში მნიშვნელოვანი და ღირებული წვლილის შეტანით, საქართველო აძლიერებს მის მიერ კონსტრუირებულ „ევროპულ“ იდენტობას (პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობის საპირწონედ), რაც ევროატლანტიკურ საზოგადოებაში ქვეყნის უფრო მჭიდრო ინტეგრაციისკენ მიმართული ძალისხმევის ნაწილია.

საზოგადოებრივ აზრსა და სამოქალაქო საზოგადოებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე. 1990-იანი წლების ბოლოს, ქვეყანაში განვითარება დაიწყო აქტიურმა სამოქალაქო საზოგადოებამ და არასამთავრობო სექტორმა, რომლებიც საქართველოს პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის დამცველები გახდნენ. სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებმა, როგორცაა სტუდენტური და ახალგაზრდული სამოქალაქო ორგანიზაციები, ასევე, ძალიან პროდასავლური მიმართულება აირჩიეს.¹ გარდა ამისა, 2000-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრი დასავლური ღირებულებებისა და პროდასავლური საგარეო პოლიტიკის გარშემო გაერთიანდა.² 2000-იანი წლების შუა პერიოდის შემდგომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ნევრ სახელმწიფოებში ჩატარებული რეგულარუ-

¹ Marina Muskhelishvili and Gia Jorjoliani. 'Georgia's Ongoing Struggle for a Better Future Continued: Democracy Promotion through Civil Society Development', *Democratization*, 16:4 (2009), pp. 682-708, <https://doi.org/10.1080/13510340903083000>; Kornely Kakachia and Bidzina Lebanidze, 'Georgia's Protracted Transition: Civil Society, Party Politics and Challenges to Democratic Transformation', in *25 Years of Independent Georgia: Achievements and Unfinished Projects*, ed. Ghia Nodia (Tbilisi: Ilia State University, 2016), pp. 130-62.

² Comprehensive databases of public opinion surveys in Georgia include The Caucasus Research Resource Centre, 'Caucasus Barometer', www.crrccenters.org/caucasusbarometer; International Republican Institute, 'Georgia' www.iri.org/country/georgia, National Democratic Institute, 'Library of NDI Georgia Public Opinion Research' www.ndi.org/georgia-polls.

ლი გამოკითხვები აჩვენებს, რომ ნატოსა და ევროკავშირის წევრობის მხარდაჭერის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საქართველოშია. აღნიშულ სტატისტიკას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე. თუმცა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) კვლევები ცხადყოფს, რომ ქართველების უმრავლესობა გარკვეული ფორმის მანევრირებას (**hedging**) ემხრობა - პროდასავლური პოლიტიკა, რომელიც კარგ ურთიერთობას ინარჩუნებს რუსეთთან, ან პრორუსული პოლიტიკა, რომელიც კარგ ურთიერთობას ინარჩუნებს დასავლეთთან. პროდასავლური მანევრირების ჯგუფი ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე პრორუსული მანევრირების ჯგუფი. ასევე, პროდასავლური ჯგუფი თითქმის თანაბრად იყო გაყოფილი მათ შორის, ვინც რუსეთს მთავარ საფრთხედ აღიქვამს (54%) და ვისი აღქმითაც ეს უკანასკნელი მთავარ საფრთხეს არ წარმოადგენს (46%).¹ საზოგადოებრივმა აზრმა შეზღუდა მმართველი ელიტების საგარეო პოლიტიკური არჩევანი და ქვეყნის პროდასავლური კურსი ერთადერთ შესაძლებლობად აქცია, ხოლო რუსეთთან პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვა ფაქტობრივად გამორიცხა. 2019 წლის პოლიტიკურმა კრიზისმა და მასობრივმა საპროტესტო გამოსვლებმა, რომლებიც საქართველოს პარლამენტში რუსი პოლიტიკოსის მოწვევამ გამოიწვია, კიდევ ერთხელ აჩვენეს, თუ როგორ ახდენს ზეგავლენას და როგორ ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოება და საზოგადოებრივი აზრი საქართველოს მთავრობების საგარეო პოლიტიკის არჩევანს.²

¹ Caucasus Research Centre, 'Georgia's Foreign Policy Trilemma: Balance, Bandwagon or Hedge, Part 2', 13 January 2020, https://crcc-caucasus.blogspot.-com/2020/01/georgias-foreign-policytrilemma_5.html.

² დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ, Kornely Kakachia and Bidzina Lebanidze, 'Georgian Dream Meets Georgia's Nightmare the Party Tried to Improve Ties with Russia. Then the Public Intervened', *Foreign Policy*, 25 June 2019, <https://foreignpolicy.com/2019/06/25/georgian-dream-meetsgeorgias-nightmare/>; Amy Mackinnon, 'In Georgia's Parliament, One Russian Too Many',

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნეოკლასიკურმა რეალიზმმა, რომელიც საშინაო და სისტემური ფაქტორების გაერთიანებით ცდილობს საგარეო პოლიტიკური ქცევის ახსნას, საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ დაწერილ ბევრ ნაშრომზე მოახდინა გავლენა. სახელმწიფოს ეფექტურობასა და საგარეო პოლიტიკის სიმტკიცეს შორის არსებული კავშირების კვლევაში, გვალა და სხვები ამტკიცებენ, რომ ცვლილებები საქართველოს პროდასავლური პოლიტიკის სიმტკიცეში 2003 წლის ვარდების რევოლუციამდე და მის შემდგომ შესაძლოა აიხსნას სააკაშვილის მმართველობის პერიოდში სახელმწიფო ინსტიტუტების მეტი ეფექტურობითა და ელიტებს შორის უფრო ძლიერი ერთიანობით.¹ აღნიშნული ემპირიული დაკვირვება თანხვედრაშია ნეოკლასიკური სკოლის მკვლევართა ერთ-ერთ მთავარ მტკიცებასთან, რომ მთავრობის ძალაუფლების მოპოვების შესაძლებლობები და სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტურობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას:

„საგარეო პოლიტიკას ქმნის არა ერი, როგორც მთლიანობა, არამედ მისი მთავრობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ძალა და არა ეროვნული ძალა. სახელმწიფოს ძალა წარმოადგენს ეროვნული ძალის იმ ნაწილს, რომლის გამოყენებაც მთავრობას თავისი მიზნებისათვის შეუძლია და ასახავს სიმარტივეს, რომლითაც ძირითადი გადაწყვეტილების მიმღები პირები თავიანთი მიზნების მიღწევას ახერხებენ.“²

Foreign Policy, 21 June 2019, <https://foreignpolicy.com/2019/06/21/georgia-tbilisi-protestspolitical-russia-west/>.

¹ Giorgi Gvalia, Bidzina Lebanidze and David Siroky, 'Neoclassical Realism and Small States: Systemic Constraints and Domestic Filters in Georgia's Foreign Policy', *East European Politics*, 35:1 (2019).

² Fareed Zakaria, *From Wealth to Power: The Unusual Origins of America's World Role* (Princeton, NJ: Princeton University Press, 1999), p. 99.

არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოს სისტემის მიმართ დაუმორჩილებელი საგარეო პოლიტიკური ქცევა - რუსეთისგან გამიჯვნა სხვა ალტერნატივების არარსებობის მიუხედავად - პოლიტიკურ ელიტებთან დაკავშირებული საშინაო ფაქტორებით არის განპირობებული. მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციაში პროდასავლური და ლიბერალური იდეების დომინანტურობამ გადაჭარბებული პროდასავლური საგარეო პოლიტიკა ჩამოაყალიბა, ელიტების ერთიანობის უფრო მაღალმა ხარისხმა კი მათი საგარეო პოლიტიკა უფრო მეტად ეფექტიანი და მტკიცე გახადა, ვიდრე ეს შევარდნაძის მმართველობის პერიოდში იყო. გარდა ამისა, იდეოლოგიით განპირობებულმა აღქმებმა შესაძლოა რეალობა დაამახინჯოს და არასწორი აღქმებისა და არაზუსტი მოლოდინების ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი, რაც თანხვედრაში მოდის ნეოკლასიკური რეალიზმის ლოგიკასთან:

ნეოკლასიკური რეალისტები თვლიან, რომ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა სახელმწიფოებს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორი იქნება კონკრეტული ქმედებისგან მიღებული სარგებელი და დანახარჯი, მაგრამ კონკრეტული სახელმწიფოს მიერ ამ ინფორმაციის აღქმა და გადამწყვეტილების მიღება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამს ეს სახელმწიფო სამყაროს და როგორია მისი პრიორიტეტები, იდეები და ეთიკა.¹

როდესაც საუბარია პატარა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის საშინაო მამოძრავებლებზე, მნიშვნელოვანია ვახსენოთ საგარეო და საშინაო პოლიტიკას შორის კავშირის მეორე მხარე; უფრო კონკრეტულად, თუ როგორ ცვლის და აძლევს ფორმას გარემო პირობები პატარა სახელმწიფოების საშინაო კონტექსტს, რასაც

¹ Kitchen, p. 143.

პიტერ გურევიჩი „მებრუნებული მეორე გამოსახულების პერსპექტივას“ უწოდებს.¹ ამ გადმოსახედიდან, პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური არჩევანი, სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდწილად განსაზღვრავს ქვეყნის შიგნით მიმდინარე მნიშვნელოვან ცვლილებებს, როგორცაა რეჟიმის ცვლილებები ან დემოკრატიზაციის პროცესი. საქართველოს მყარი პროდასავლური კურსი ხშირად ყოფილა გადამწყვეტი საგარეო ბიძგი ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში და არაერთხელ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა რეჟიმის დინამიკაზე. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, საქართველოს დემოკრატიული განვითარების ყველა მნიშვნელოვან გზაგასაყარზე, დასავლელი პარტნიორები აძლიერებდნენ დემოკრატიის მხარდამჭერ კოალიციებს და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას დამატებით სტიმულს აძლევდნენ. მაგალითად, ევროკავშირმა და აშშ-მა მხარი დაუჭირეს ვარდების რევოლუციას საქართველოში და მიხეილ სააკაშვილის მთავრობა დაარწმუნეს, რომ არ გაეყალბებინა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები. ამდენად, საქართველოს საგარეო გარემოცვას, მის საგარეო პოლიტიკურ არჩევანსა და საშინაო პოლიტიკის დინამიკას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება არსებობს.²

¹ Peter Gourevitch, 'The Second Image Reversed: The International Sources of Domestic Politics', *International Organization*, 32:4 (1978), pp. 881-912. An extensive body of work on Europeanization, including the neighbourhood Europeanization, draws on the same logic to explain domestic changes in the EU's neighbourhood states. For a few examples, see Tanja Börzel, 'The Transformative Power of Europe Reloaded: The Limits of External Europeanization', *KFG Working Paper Series*. KFG Working Paper Series 11, 2010; Tanja Börzel and Yasemin Pamuk, 'Europeanization Subverted? The European Union's Promotion of Good Governance and the Fight Against Corruption in the Southern Caucasus', Working Paper 26, 2008; Andrea Gawrich, Inna Melnykovska and Rainer Schweickert, 'Neighbourhood Europeanization through ENP: The Case of Ukraine', *JCMS: Journal of Common Market Studies*, 48:5 (2010), pp. 1209-35; Heather Grabbe, *The EU's Transformative Power: Europeanization through Conditionality in Central and Eastern Europe* (New York: Palgrave Macmillan, 2006).

² ზოგიერთი მკვლევარი საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის ურთიერთქმედების სხვადასხვა ფორმის ასახსნელად და მათი შედეგების

შეჯამება: რა წარმართავს საქართველოს საგარეო პოლიტიკას?

თუკი მიიჩნევა, რომ პატარა სახელმწიფოები გარე წნეხი-სადმი ისედაც მონყვლადები არიან, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები ალბათ კიდევ უფრო მეტად დგანან ამ პრობლემის წინაშე რუსეთთან მყარი დიპლომატიური, საზოგადოებრივი და ეკონომიკური კავშირების გამო, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ისინი რუსეთს გეოგრაფიულადაც ესაზღვრებიან. ამდენად, შესაძლოა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისთვის სტატუსის ძიების გზით სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრიობის საგარეო აღიარება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყოს, რამდენადაც რუსეთი აღნიშნულ ცნებებს ამკარად არაფრად აგდებს, როდესაც საქმე მის სამეზობლოს ეხება. საქართველოს, როგორც პატარა სახელმწიფოს, შესაძლოა არ ჰქონდეს საკმარისი სტრუქტურული ძალა, მაგრამ ის არ წარმოადგენს უბრალო მარიონეტს, ან საგარეო პოლიტიკის „ობიექტს“. აღნიშნულ თავში ნაჩვენებია, რომ საქართველოს დიპლომატიური ძალისხმევის მნიშვნელოვანი ნაწილი საერთაშორისო საზოგადოებისთვის იმის ჩვენებისკენ იყო მიმართული, რომ საქართველო „საიმედო პარტნიორია“. ასევე, ქვეყანა ამით გლობალურ და რეგიონულ იერარქიაში თავისი პოზიციის შეცვლას ცდილობდა. 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო, ერთი მხრივ, ცდილობდა თავი ახლებურად წარმოეჩინა, როგორც ევროპულ სახელმწიფოს, რომელიც განგრძობითი დემოკრატიზაციის პროცესით იყო დაინტერე-

განსასაზღვრად ორდონიანი თამაშის თეორიულ მოდელს იყენებს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ, Jeffrey W. Knopf, 'Beyond Two-Level Games: Domestic-international Interaction in the Intermediate-Range Nuclear Forces Negotiations', *International Organization* 47:4 (1993), pp. 599-628; Andrew Moravcsik, 'Taking Preferences Seriously: A Liberal Theory of International Politics', *International Organization*, 51:4 (1997), pp. 513-53; Robert D. Putnam, 'Diplomacy and Domestic Politics: The Logic of Two-Level Games', *International Organization*, 42:3 (1988), pp. 427-60.

სებული, ხოლო პარალელურად ქვეყანა ამ რიტორიკას ISAF-ის მსგავს საერთაშორისო სტაბილურობის განმტკიცების ოპერაციებში მაღალი ხილვადობის სამხედრო ჩართულობით ამყარებდა. საქართველო, შესაძლოა, ტერიტორიულად პატარა და სახელმწიფოებრივად შედარებით ახალგაზრდაა, მაგრამ მან მოახერხა უფრო და უფრო მეტად მნიშვნელოვანი გამხდარიყო, როგორც სტრატეგიული დერეფანი და სამხედრო პარტნიორი. წლების განმავლობაში, საქართველო თავისი მისწრაფებების ხელშეწყობას და თავისი მიზნების მიღწევას სხვადასხვა, ხშირად არატრადიციული, მეთოდებით ცდილობს, რითაც სტრუქტურული არასრულფასოვნების პირობებში თავის ინოვაციურ მიდგომებს უსვამს ხაზს. ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობის მიმართულებით რუსეთისგან მომავალი მუდმივი საფრთხის მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ მყარად შეინარჩუნა არჩეული პოზიცია და განაგრძო საერთაშორისო უსაფრთხოების და სტაბილურობის განმტკიცების მისიების მხარდაჭერა.

უფრო ფართო პერსპექტივაში, საქართველოს საგარეო პოლიტიკა ორ ძირითად მიზანს ეყრდნობა: რუსეთისგან, როგორც საფრთხის უმთავრესი წყაროსაგან, დისტანცირება და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, როგორც რაციონალური და ღირებულებითი არჩევანი. ქვეყანამ ამ ორი მიზნის მიმართ მტკიცე ერთგულება აჩვენა. ევროატლანტიკურ მისწრაფებებს, საქართველოს შემთხვევაში, თან ახლდა ჰიპერაქტიური სტატუსის ძიება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დასავლურ სამხედრო ოპერაციებში აქტიური ჩართულობის გზით, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა საქართველოს, როგორც ევროპეიზაციის და დემოკრატიზაციის რეგიონული ლიდერის სტატუსი. მეტიც, აღნიშნული მიზნებისკენ სწრაფვის პროცესში საქართველოს სხვადასხვა ხელისუფლებას მეზობელი რუსეთისგან მომდინარე ძლიერ ზეწოლასთან მოუწია გამკლავება, რომელიც როგორც სამხედრო შემოჭრისა და ოკუპირებული ტერიტორიების, ასევე დაუსრულებელი ჰიბრიდული ომისა და სრუ-

ლი ეკონომიკური ემბარგოს ფორმით გამოიხატა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საქართველოს შემთხვევა, გარკვეულწილად, ეჭვქვეშ აყენებს სისტემური ძალის თეორეტიკოსების მტკიცებას, რომ პატარა სახელმწიფოები ზენოლას ემორჩილებიან და ძალის ან საფრთხის უდიდეს წყაროს ეტმასნებიან იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ალტერნატივები არ არსებობს. აღნიშნულ შეუსაბამობას ნაწილობრივ ხსნის ღირებულებითი მიდგომები: ქართული პოლიტიკური ელიტების თვითიდენტიფიკაცია ევროპასთან და დასავლეთთან ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ღირებულებით მამოძრავებელს წარმოადგენს და ხშირად ჯაბნის როგორც სისტემურ ზენოლას, ასევე სხვა რაციონალურ სარგებელს, როგორცაა მაგალითად რუსეთის ბაზრის დაკარგვა 2005-12 წლების ეკონომიკური ემბარგოს შედეგად. ქვეყნის შიგნით მოქმედი არასახელმწიფოებრივი აქტორები, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ახალგაზრდული სოციალური მოძრაობები და არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე ღირებულებით მამოძრავებლებს წარმოადგენენ, რომლებიც დამატებით ზღუდავენ და აკორექტირებენ საქართველოს მმართველი ელიტების საგარეო პოლიტიკურ არჩევანს.

თავი 2

საზოგადოებრივი ურთიერთობები, საერთაშორისო პოლიტიკა და ქართული დემოკრატია

ლინკოლნ ა. მიტჩელი

საქართველოს ოცდაათწლიანი დამოუკიდებლობის ისტორიაში, რ დასავლეთი გაცილებით უფრო მეტად ზრუნავდა საქართველოში დემოკრატიის გაძლიერებაზე, ვიდრე ქვეყნის პოლიტიკური ელიტა, რომლისთვისაც დემოკრატია უფრო არარეგულარულ ამოცანას წარმოადგენდა, ვიდრე რეალურ საზრუნავს. რამასთანავე, ის საერთაშორისო კონტექსტი, რომელიც დემოკრატიული ძალისხმევის გარშემო არსებობდა, ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში მკვეთრად შეიცვალა. ისეთმა მოვლენებმა, როგორცაა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმა აშშ-ზე, აშშ-ს მეთაურობით ერაყსა და ავღანეთში წარმოებული ხანგრძლივი ომები, არაბული გაზაფხული და დონალდ ტრამპის პრეზიდენტობა, გლობალური პოლიტიკური გარემო შეცვალა და წინა საუკუნის 90-იანი წლების ლიბერალიზმის ტრიუმფი შეასუსტა. თუმცა, ამგვარი ცვლილებების მიუხედავად, საქართველოს რ საშინაო პროგრესი გაგრძელდა და ის პერიოდული განახლებებით ხასიათდებოდა ისეთი მნიშვნელოვანი საშინაო პოლიტიკური ცვლილებების დროს, როგორც 1992, 2003 და 2012 წლებში მოხდა.¹

¹ 1992 წელი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართული დამოუკიდებლობის პირველი სრული წელი იყო. ამავე წელს მოვიდა ხელისუფლებაში ედუარდ შევარდნაძე; 2003 წელს შევარდნაძეს ვარდების რევოლუციის შედეგად ხელისუფლების დატოვება მოუწია; 2012 წელს ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების“ კოალიციამ სააკაშვილის „ერთი-

ეს ახლა, დამოუკიდებლობის სამი ათწლეულის გადმოსახედინდან, კიდევ უფრო ცხადად ჩანს. ცვალებად საერთაშორისო გარემოსა და ქართული დემოკრატიის შენელებულ და ხშირად სტაბილურ მდგომარეობას შორის ამგვარი კონტრასტი საინტერესო საკვლევ საკითხს წარმოადგენს. საერთაშორისო ასპარეზზე და ქვეყნის შიგნით მიმდინარე რადიკალურ ცვლილებებს ქართული დემოკრატიის საერთო განვითარებაში რაიმე გრძელვადიანი ცვლილებები არ გამოუწვევია. მაგრამ, ქართული დემოკრატიის წინაშე მდგარი მუდმივი და ხანგრძლივი წინააღობების დაძლევა დასავლეთის მთავრობებისთვის რთულად გასაგები აღმოჩნდა. ქართული დემოკრატიის განვითარებისთვის საჭირო დახმარების სტრატეგიების განხილვისას, ისინი ხშირად დილემის წინაშე დგებიან.¹

საქართველოს პოლიტიკური გზა შესაძლოა უკეთესად, ან პირიქით, არასწორად იყოს დანახული, თუ მას ისეთი გარდამტეხი მოვლენების კონტექსტში განვიხილავთ, როგორცაა 2003-2004 წლების ვარდების რევოლუცია და 2012 წლის არჩევნებში „ქართული ოცნების“ მოულოდნელი გამარჯვება, ან ისეთი კრიზისები, როგორცაა 2008 წლის ომი რუსეთთან და 2007 წლის 7 ნოემბერს, თბილისის ანტისახელისუფლებო აქციის ძალადობრივი ჩახშობა. 2005 წელს, ზურაბ ქარუმიძემ და ჯეიმს ვერჩმა აღნიშნეს, რომ ვარდების რევოლუცია ქართული დემოკრატიის-

ანი ნაციონალური მოძრაობა“ საპარლამენტო არჩევნებში დაამარცხა, რითაც საქართველოში სააკაშვილის ერა დასრულდა.

¹ Thomas Carothers, T., Mullen, M., Mitchell, L., & Macfarlane, S. (n.d.). *Foreign assistance: To what degree has western aid helped Armenia, Azerbaijan, and Georgia?* Carnegie Endowment for International Peace, <https://carnegieendowment.org/2011/11/29/foreign-assistance-to-what-degree-has-western-aidhelped-armenia-azerbaijan-and-georgia-pub-46179>; Carnegie Endowment. (2012, December 18). *Supporting democracy in Georgia and Ukraine: Time for a rethink?* Carnegie Endowment for International Peace, <https://carnegieendowment.org/2012/12/18/supporting-democracy-in-georgia-and-ukraine-timefor-rethink-event-3904>.

თვის გარდამტეხ მომენტს წარმოადგენდა.¹ 2010 წელს, რონალდ ასმუსმა სწორად ივარაუდა აშშ-სა და რუსეთს შორის მზარდი დაძაბულობა, თუმცა საქართველოსა და რეგიონის ტრანსეპტორი-აზე 2008 წლის ომის გავლენის ხარისხი გადაჭარბებით შეაფასა.² გასული სამი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში არსებული პოლიტიკური დაძაბულობის მიუხედავად, ქვეყანამ დემოკრატია და პლურალიზმზე შედარებით სტაბილური აქცენტის შენარჩუნება შეძლო. თუმცა, საერთაშორისო განზომილებამ საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას, ერთსა და იმავე დროს, ხელიც შეუწყო და გარკვეული ბარიერებიც შეუქმნა. შესაბამისად, ამ ცვლილებების მრავალმხრივი გავლენის შესწავლა დამოუკიდებლობის შემდგომი ქართული პოლიტიკის გააზრების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

ქართული დემოკრატიის საზომი

პოსტსაბჭოთა დამოუკიდებლობის პერიოდში, დასავლური ძალები, განსაკუთრებით აშშ, თუმცა ხშირად ევროპული ქვეყნებიც, ქართული დემოკრატიის გაძლიერებას ქვეყნისათვის უფრო სამართლიანი არჩევნებისა და ინსტიტუტების მშენებლობაში დახმარების გზით ცდილობდნენ. ამ მიზნის მიღწევას ისინი ორმხრივი დისკუსიების, სამუშაო ჯგუფების, საგარეო

¹ „არეულობისა და სისუსტის ათწლეულის შემდეგ, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ დემოკრატიის ლაბორატორიად იქცა. ქვეყნის ისტორიის ახალი პერიოდის გარდამტეხ მომენტს ვარდების რევოლუცია წარმოადგენდა. პოლიტიკური ინტრიგებისა და საჯარო დემონსტრაციების სამკვირიანი პერიოდი 2003 წლის ნოემბერში ედუარდ შევარდნაძის გადადგომით დასრულდა. შედეგად, დემორალიზებული და უსიცოცხლო საზოგადოება მოულოდნელად დემოკრატიის აქტიურ ექსპერიმენტად იქცა“. Zurab Karumidze and James Wertsch, *Enough! The Rose Revolution in the Republic of Georgia 2003* (New York: Nova Science Publishers, 2005), p. vii.

² Ronald Asmus, *A Little War that Shook the World: Georgia, Russia, and the Future of the West* (London: St. Martin's Press, 2010).

მხარდაჭერის პროგრამებისა და საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პირდაპირი მხარდაჭერის გზით გეგმავდნენ. ქვემოთ მოცემული ცხრილი 2.1. ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მიერ დასაფლური სახელმწიფოებისგან დემოკრატიის მხარდაჭერის მიზნით მიღებული პირდაპირი დახმარების რაოდენობას ასახავს.

ცხრილი 2.1.

**საქართველოს უსასყიდლო
ფინანსური მხარდაჭერა (1995-15)**

ნამყვანი 10 სახელმწიფო	რაოდენობა (მილიონ აშშ დოლარში)
აშშ	912.1
გერმანია	118.1
ნიდერლანდები	65.9
იაპონია	40.9
ჩინეთი	38.0
უკრაინა	12.6
დიდი ბრიტანეთი	7.6
შვედეთი	4.0
შვეიცარია	2.6
საფრანგეთი	1.6

წყარო: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), <https://idf.ge/en/total-grants-disbursement-by-donors-1995-2015>.

მხოლოდ USAID-ის მიერ დემოკრატიასთან დაკავშირებულ პროგრამებზე დღემდე განეული დახმარება ჯამში \$1.5 მილიონად აღწევს.¹ ყველა ქართული მთავრობა ადასტურებდა დე-

¹ 'About Georgia', USAID, www.usaid.gov/georgia

მოკრავიული მიზნების მიმართ ერთგულებას, თუმცა დემოკრატიის მნიშვნელობა და მთავრობების მიერ განუული ძალისხმევა წლების განმავლობაში იცვლებოდა. საქართველოს პოლიტიკური განვითარებისა და დემოკრატიის მიმართულებით გატარებული რეფორმების წარმატების გასააზრებლად, მნიშვნელოვანია იმის შესწავლა, თუ როგორ წარმოაჩენდნენ საქართველოს მთავრობები ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველოს ბევრი დემოკრატიული რეფორმა იმის მიხედვით წარმართა, თუ როგორ აღიქვამდნენ ქართველები საკუთარ თავს და როგორი რეპუტაციის შექმნა სურდათ მათ მსოფლიოს თვალში. 2012 წლის არჩევნების წინა დღეს, დემიენ მაკინესმა აღწერა, თუ როგორ ცდილობდა საქართველოს მთავრობა დასავლეთის თვალში ქვეყნის წარმოჩენას: „საქართველოს მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ვერსია ქვეყნის ამგვარ აღქმას ემყარება: პატარა, შეუპოვარი სახელმწიფო, რომელსაც საბჭოთა წარსულისგან თავის დაღწევა და ნატოში შესვლა სურს, [ქვეყანა] რომელსაც რუსეთი ჩაგრავს, და რომლის ტერიტორიაზეც 2008 წელს სხვა სახელმწიფო შეიჭრა ... საქართველოს ქარიზმატული, ამერიკული განათლების მქონე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი, ამ ვერსიას დაუღალავად ავითარებს“.¹

1990-იანი წლების შუა პერიოდიდან ათწლეულის ბოლომდე, 1992 წელს ედუარდ შევარდნაძის თბილისში ძალაუფლებაში დაბრუნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, საქართველო კავკასიის რეგიონის სხვა ქვეყნების უმეტესობასთან შედარებით უფრო დემოკრატიულ სახელმწიფოდ აღიქმებოდა. თუმცა, ეს რაღაცით „ტოპეკას ყველაზე მაღალი შენობის“ სტატუსს ჰგავდა.² ფესვგადგმული კორუფცია, უკიდურესად სუს-

¹ Damien McGuinness, 'Georgia's Elections: Furious PR Battle for Western Minds', BBC News, 20 September 2012, www.bbc.com/news/world-europe-19638775

² მთარგმნელის შენიშვნა: კანზასის დედაქალაქ ტოპეკას ყველაზე მაღალი შენობა კაპიტოლიუმი. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ოფიციალური წესი არ არსებობს, ქალაქს არასოდეს გაუცია უფრო მაღალი შენობის მშენებლობის ნებართვა.

ტი სახელმწიფო, ცენტრალური მთავრობის უუნარობა, სუვერენიტეტი ქვეყნის სრულ ტერიტორიაზე გავრცელებინა, ფართოდ გავრცელებული არჩევნების გაყალბება, და ხშირი პოლიტიკური ზენოლა - ის ფაქტორებია, რის გამოც იმ პერიოდის საქართველო არათანმიმდევრულ დემოკრატიულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი პოზიტიური იყო. 2000 წელს, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ჯეიმს ა. ბეიკერ III, იხსენებდა, რომ ადრეულ 1990-იან წლებში, „თუკი არსებობდა ერთი განსაკუთრებული სივრცე იმ რეგიონში, ერთი ქვეყანა, რომელსაც ვიცოდით, რომ ყველაზე მეტად უნდა დავხმარებოდით, ეს საქართველო იყო“. მაგალითისთვის, საქართველო დსთ-ს წევრი მეოთხე სახელმწიფო იყო, რომელიც 1999 წლის აპრილში „ევროპის საბჭოში“, ევროპის ადამიანის უფლებების და დემოკრატიის დაცვის ორგანიზაციაში გაწევრიანდა.¹

თუმცა, საქართველოს პოლიტიკური და სამოქალაქო ცხოვრების ელემენტები, მათ შორის ოპოზიციური პოლიტიკური ძალების საარჩევნო მარათონში მონაწილეობის შესაძლებლობა, პარლამენტის დებატებისა და აზრთა სხვადასხვაობის სივრცედ ჩამოყალიბება და მთავრობისაგან დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარება იმაზე მიაწინებდა, რომ საქართველოს მთავრობები სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ მოახერხებდნენ ავტორიტარული რეჟიმის შენარჩუნებას. მიუხედავად იმისა, რომ გაყალბება და მმართველი პარტიის მიერ ძალაუფლების არამიზნობრივად გამოყენების სხვა ფორმები, მათ შორის საარჩევნო უბნებზე ამომრჩევლის დაშინება ან ამომრჩეველთა სიის გაყალბება, სრულად თავისუფალ და სამართლიან საარჩევნო პროცესს გამორიცხავდა, არჩევნებზე შეჯიბრებითობა ყოველთვის არსებობდა. ოპოზიციურ ძალებს არჩევნებში მონაწილეობისა და პარლამენტსა და საკრებულოებში მანდატების მო-

¹ იხილეთ, www.coe.int/en/web/tbilisi/the-coe/objectives-and-missions

პოვეების შესაძლებლობა ჰქონდათ. 1990-იან წლებში, პარლამენტში მთავარი ძალის სტატუსს შევარდნაძის „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი (სმკ)“ ინარჩუნებდა, თუმცა პლენარულ დარბაზში პლურალიზმი იყო და საპარლამენტო დებატები მიმდინარეობდა. ხშირ შემთხვევაში, დებატები მხოლოდ „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციებს შორის იმართებოდა, მაგრამ ეს მაინც ნამდვილი დებატები იყო.

გარდა ამისა, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის მეზობელი ქვეყნების უმრავლესობასთან შედარებით, საქართველოს ბევრად უფრო ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ჰყავდა. იმ პერიოდის აზერბაიჯანში, სომხეთსა თუ ყაზახეთში პოლიტიკური თავისუფლების ხარისხი ბევრად უფრო დაბალი იყო (იხ. ცხრილი 2.2). 1990-იანი წლების დასასრულისთვის, უცხოელ დონორებს უკვე მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდათ შეტანილი საქართველოში შედარებით აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში, რომელიც „ოჩდოგის“ ფუნქციებს ასრულებდა და დროდადრო მთავრობის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების კონტროლსაც ახერხებდა. დასავლეთის მიერ დაფინანსებულ არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის იყვნენ „თავისუფლების ინსტიტუტი“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)“. მედია მეტ-ნაკლებად თავისუფალი იყო, რამდენადაც ოფიციალური სამთავრობო ცენზურა, ან გამოქვეყნებისა თუ მაუწყებლობის პროცესში რაიმე დაუძლეველი წინაღობები არ არსებობდა. გაზეთები ბეჭდავდნენ სტატიებს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, შევარდნაძის მთავრობას აკრიტიკებდა, ხოლო სატელევიზიო არხები მწვავე პოლიტიკურ პროგრამებს აჩვენებდნენ, სადაც მომხსენებლები მიმდინარე საკითხების შესახებ კამათობდნენ. თუმცა, იმ პერიოდში ოფიციალური სამთავრობო ცენზურის არარსებობის მიუხედავად, ფართოდ გავრცელებული სიღარიბე არაოფიციალური ცენზურის როლს ასრულებდა. ბევრ

ქართველს გაზეთის საყიდლად საჭირო ფულით პურის ან სხვა საჭირო ნივთების შეძენა ერჩივნა. ენერჯის მიწოდების ხშირი შეწყვეტა, განსაკუთრებით თბილისს გარეთ, იმას ნიშნავდა, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტს სიახლეებისა და ალტერნატიული შეხედულებების გასაცნობად ტელევიზორის ყურების შესაძლებლობა არ ჰქონდა. ცხრილი 2.2. შევარდნაძის მმართველობის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიული სტატუსის Freedom House-ის შეფასებას ასახავს და მათ მეზობელი სახელმწიფოების მონაცემებთან ადარებს.

ცხრილი 2.2.

პოლიტიკური უფლებები - Freedom House

	1998	1999	2002	2003
სომხეთი	4	4	4	4
აზერბაიჯანი	6	6	6	6
საქართველო	3	4	4	4
ყაზახეთი	6	6	6	6

წყარო: <https://freedomhouse.org/regions/eurasia>

შენიშვნა: სახელმწიფოები 1-დან (ყველაზე მეტად თავისუფალი) 7 ქულამდეა (ყველაზე ნაკლებად თავისუფალი) შეფასებული.

ქართული საზოგადოებრივი ურთიერთობების გავლენა

1990-იან წლებში, ქვეყნის მთავრობამ დასავლეთი წარმატებით დაარწმუნა, რომ მეზობელ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებთან შედარებით, საქართველო უფრო ძლიერი დემოკრატია იყო. მაგალითისთვის, 1998 წლის ივნისში საქართველოს შესახებ „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებული სტატია ახსენებდა „ათობით გონიერ და ენერგიულ ახალგაზრდა ადამიანს,

რომელიც ახალი პოსტკომუნისტური წესრიგის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს“. სტატიის შემდეგი ნაწილი ზურაბ ჟვანიას შესახებ საუბრობდა და აღწერდა, თუ „როგორ გაგზავნა პრეზიდენტმა შევარდნაძემ ჟვანია [ნიუ-იორკში] ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველების პოლიტიკაში მოსაზიდად. სასურველ თვისებებს ნიჭიერება, ენერჯია, იდეალიზმი და ძველ კომუნისტურ ელიტასთან კავშირების არარსებობა წარმოადგენდა“.¹ ედუარდ შევარდნაძის ფაქტორმა საქართველოს პროდასავლურ სახელმწიფოდ წარმოჩენის შესაძლებლობა კიდევ უფრო გააძლიერა. მას დასავლეთის მთავრობებს შორის მნიშვნელოვანი კეთილგანწყობის მოპოვება შეეძლო, რომელიც ცივი ომის უკანასკნელ პერიოდში, საბჭოთა კავშირის საგარეო მინისტრის თანამდებობაზე მის გამოცდილებას ეყრდნობოდა. არც ერთი სხვა პოსტსაბჭოთა ლიდერი კავკასიიდან თუ ცენტრალური აზიიდან დასავლელ ლიდერებს შორის შევარდნაძის მსგავსი რეპუტაციით არ სარგებლობდა, რომელიც 1980-იანი წლებიდან იღებდა სათავეს. შევარდნაძემ ხაზგასმით წამოსწია წინ მიხეილ სააკაშვილის მსგავსი ახალგაზრდა ლიდერები, ვინც შემდგომში თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე და შევარდნაძის ხელისუფლების იუსტიციის მინისტრი გახდა და ვისაც დემოკრატიის ენაზე თავისუფალი ინგლისურით საუბარი შეეძლო. შევარდნაძე შესაძლოა ამ ახალგაზრდა ლიდერებს ქვეყნის შიგნით ხშირად უპირისპირდებოდა, თუმცა საერთაშორისო ასპარეზზე ის მათ საქართველოს დემოკრატიული იმიჯის ხელშესაწყობად იყენებდა.

1990-იანების ბოლოს, დასავლეთისთვის ნათელი გახდა, რომ დემოკრატიის მხარდამჭერი პროგრამები მიზანს ვერ აღწევდა, ხოლო კორუფციისა და არჩევნების პოლიტიკური გაყალბების იგნორირება შევარდნაძისთვის უფრო და უფრო გარ-

¹ Stephen Kinzer, 'Tbilisi Journal: The "Man of the Year" Just 29 and via Manhattan', *New York Times*, 4 June 1998. The primary subject of the article was Sakashvili himself who had left his job at a Manhattan law firm to go back to Georgia.

თულდა. მთავრობა და ოპოზიცია მუდმივად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს ანგარიშვალდებულებისა და პოლიტიკური კორუფციის საკითხებზე, მათ შორის იყო გაყალბებული არჩევნები, მიკერძოებული სასამართლოები და პარტიული მოსამართლეები. ამის შემდეგ, ყველა ქართული ხელისუფლება სხვადასხვა დოზით, თუმცა მაინც გადაჭარბებულად აფასებს ქართული დემოკრატიის სიძლიერეს, ოპოზიციურ ძალები კი ყოველთვის მისი გარდაუვალი მარცხის შესახებ საუბრობენ. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ ენერგიულად დაიწყო პოსტსაბჭოთა სამყაროს დემოკრატიულ სასწაულად თავის წარმოჩენა. პრეზიდენტად არჩევიდან მალევე, 2004 წელს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში წარმოქმულ სიტყვაში, სააკაშვილმა საქართველოსა და დემოკრატიული დასავლეთის საერთო ღირებულებებზე ისაუბრა და იმასაც გაუსვა ხაზი, რომ დემოკრატიის გზაზე მდგარი სხვა სახელმწიფოებისთვის საქართველო მოდელს წარმოადგენდა:

„მე მესმის, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გეოპოლიტიკის, ტრანსპორტისა და ეკონომიკური პროექტებისა, თუ თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხები, არამედ ის ღირებულებებიც, რომლებსაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები იზიარებენ და რომლებსაც ამ პერიოდის განმავლობაში მე გზამკვლევად ვიყენებდი, ისინი საკვანძო მნიშვნელობისაა... რაც საქართველოში მოხდა ნამდვილი სასწაული იყო. ქართველმა ერმა ყველა დაარწმუნა, რომ ძალა ერთობაშია. მსოფლიოს წამყვანი მედია საქართველოში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა და დღეს ჩვენ მთელი მსოფლიოსთვის მაგალითად ვიქცით.“¹

ვარდების რევოლუციის სხვა ინგლისურენოვანი მონაწილეები, რომლებიც არასამთავრობოების, დემოკრატიისა და დემოკრატიის მხარდაჭერის ენას კარგად ფლობდნენ, ახალი

¹ 'Speech Delivered by President Mikheil Saakashvili at George Washington University', Mikheil Saakashvili Presidential Archives, 23 February 2004, www.saakashviliarchive.info/en/PressOffice/News?p=2778&i=1

რეჟიმის დემოკრატიული მიღწევების შესახებ ცნობების გასავრცელებლად საზღვარგარეთ გაემგზავრნენ. ეს ძალები კიდევ უფრო გააქტიურდნენ მას შემდეგ, რაც 2005 წელს საქართველოში ვიზიტისას, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საქართველოს „თავისუფლების შუქურა“ უწოდა.¹ ბუშის მსგავსად, საქართველოს დემოკრატიის ადგილობრივმა და საერთაშორისო მხარდამჭერებმა პოსტრევოლუციური დემოკრატიის უფრო რთულ და მრავალმხრივ რეალობას მათი ენთუზიაზმის შესუსტების საშუალება არ მისცეს.

ვარდების რევოლუციის შემდგომი რამდენიმე წელი საქართველოს „დემოკრატიული დიდების“ მწვერვალს წარმოადგენდა. თუმცა 2007 წლის ძალადობრივი სადამსჯელო ღონისძიების შემდეგ, როდესაც პოლიციამ საქართველოს ყველაზე გავლენიანი ტელევიზიის შტაბ-ბინა გაანადგურა, საქართველოს დემოკრატიული პროგრესის დამაჯერებლობა მნიშვნელოვნად შესუსტდა. ამის შემდეგ საქართველოს მთავრობა თავისი დემოკრატიული მანდატის შესახებ დასავლური ძალების ეფექტურად დარწმუნებას ვეღარასდროს მოახერხებდა. ვარდების რევოლუციის შემოქმედები და მათი პარტია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ძლიერ დასავლურ მხარდაჭერას კვლავ ინარჩუნებდა, თუმცა როგორც Human Rights Watch-მა აღნიშნა:

„2003 წლის მშვიდობიანი ვარდების რევოლუციის შემდეგ, დასავლეთის მთავრობებმა საქართველო დემოკრატიული გარდაქმნის წარმატებულ მაგალითად და ყოფილ საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებს შორის ადამიანის უფლებების ჩემპიონად დაასახელეს. 7 ნოემბრის ძალადობრივმა მოვლენებმა ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის მიმართ მთავრობის მყიფე დამოკიდებულება გამოავლინა.“²

¹ 'Bush: Georgia "Beacon of Liberty"', CNN.com, 10 May 2005, www.cnn.com/2005/WORLD/europe/05/10/bush.tuesday/

² 'Georgia: Government Used Excessive Force on Protesters', Human Rights Watch, 17 December 2007.

საქართველომ საკუთარი თავის დემოკრატიულ და პროდა-სავლურ ძალად წარმოჩენა 2007 წლის შემდეგაც განაგრძო, თუმცა ამ პერიოდიდან მთავრობამ ძირითადი ყურადღება რე-გიონის წამყვან ანტიპუტინისტურ ძალად პოზიციონირებისკენ მიმართა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების მხრიდან რუსეთის პოლიტიკური სისტემისადმი სიძულვილის გამომხატველი განცხადებების გახშირებაც სწორედ ამ ცვლი-ლებას ასახავს. უშუალოდ საქართველოს დემოკრატიულ მილ-ნეევებზე ხაზგასმა მეორეხარისხოვანი გახდა. მაგალითად, 2009 წლის 22 ივლისს, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ ჯოსეფ ბაიდენის პა-ტივსაცემად გამართულ ვახშამზე, პრეზიდენტმა სააკაშვილმა დემოკრატია მხოლოდ ძალიან მოკლედ ახსენა, და ისიც იმის აღსანიშნად, რომ დემოკრატია იგი ეროვნულ უსაფრთხოებას-თან შეუთავსებელ ფაქტორად არ მიიჩნევდა. თუმცა, რუსეთის შესახებ მისი განცხადებები ბევრად უფრო ენერგიული იყო: „მნიშვნელოვანია მსოფლიომ გაიგოს, რომ ჩვენ არასდროს დავ-ნებდებით. ნამდვილი მეგობრების დახმარებით, ჩვენ კვლავ მშვიდობიან წინააღმდეგობას გაუწევთ იმპერიალისტებს, რომ-ლებიც ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, დემოკ-რატიაზე უარის თქმასა და ჩვენი ისტორიის შემობრუნებას ისა-ხავენ მიზნად“.¹ აღნიშნული მაგალითი საკმაოდ თვალსაჩინოა: ის 2008 წლის შემდგომ პერიოდში საქართველოს მთავრობის ტონს კარგად ასახავს. განურჩევლად იმისა ამას ხმამაღლა ამ-ბობდნენ თუ არა, 2010 წლისათვის, ვაშინგტონსა თუ სხვაგან ყველაზე აქტიური მხარდამჭერებიც კი აცნობიერებდნენ, რომ საქართველო აღარ ისწრაფვოდა იმ დემოკრატიული გზისკენ, რისი იმედიც მათ ერთ დროს ჰქონდათ.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლება, რომელიც ძალაუფ-ლებაში 2012 წელს მოვიდა, ასევე შეეცადა, საქართველო დე-მოკრატიული წარმატების მაგალითად წარმოეჩინა. „ქართული

¹ 'The toasts made by the President of Georgia and Vice President of the United States at the official dinner', Saakashvili Presidential Archive, 22 July 2009.

ოცნების“ ლიდერები თავიანთ გამარჯვებას დემოკრატიის-თვის გარდამტეხ მომენტად ასახელებდნენ. პარტიის 2012 წლის წინასაარჩევნო პროგრამა ხაზს უსვამდა, რომ „2004 წლის შემდეგ, მთავრობის სხვადასხვა შტოებს შორის შეკავება-განონანსნორების მექანიზმი აღარ არსებობდა, რამაც პრეზიდენტის წინამძღოლობით ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბება გამოიწვია.“¹ თუმცა, „ქართული ოცნება“ დასავლეთს საკუთარ არგუმენტს ნაკლები ოსტატობით უხსნიდა. ამის საპირისპიროდ, 2012 წელს ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ „ქართული ოცნების“ მმართველობის ქვეშ მყოფი საქართველოს არასაკმარისი დემოკრატიულობის ხაზგასმა წარმატებით მოახერხა. ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ურთიერთობები განავითარა დასავლელ პოლიტიკოსებსა და ისეთ ქართველ ლიდერებს შორის, როგორებიც იყვნენ გიგა ბოკერია, კახა ლომაია, სალომე სამადაშვილი და თვითონ სააკაშვილი, რომლებიც სრულყოფილი ინგლისურით საუბრობდნენ და ევროპისა და აშშ-ის პოლიტიკური კულტურა კარგად ესმოდათ. გარდა ამისა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ „დემოკრატიული რეფორმის“ საკითხზე ბევრად უფრო მეტი ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების მოძიებაც მოახერხა. 2012 წლის არჩევნების შემდგომ თვეებში, „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი ლიდერები დასავლურ გამოცემებსა და ინტერვიუებში ყოფილი თანამებრძოლების დაკავებაზე საუბრობდნენ, რაც „ქართული ოცნების“ თქმით, მათი დანაშაულებრივი აქტივობებით იყო გამოწვეული, თუმცა დასავლეთთან საუბრისას, „ნაციონალური მოძრაობა“ მათ წმინდად პოლიტიკურ ხასიათს უსვამდა ხაზს.² ენმ-ის ლიდერებს ვაშინ-

¹ 2012 წლის სრული საარჩევნო პროგრამის გასაცნობად იხილეთ, www.ivote.ge/images/doc/pdfs/ocnebis%20saarchevno%20programa.pdf, p. 4.

² მავალითისთვის იხილეთ, Giga Bokeria, 'First Ukraine, Now Georgia', *Foreign Policy*, 8 February 2014; 'No Change for the Better', *The Economist*, 12 October 2013;

გტონის ნეოკონსერვატიულ პოლიტიკურ წრეებსა და ევროპული პარლამენტის „ევროპის სახალხო პარტიის“ (EPP) მსგავს მემარჯვენე პოლიტიკურ მოძრაობებში გარკვეული მხარდაჭერა ჰქონდათ. „ევროპის სახალხო პარტიის“ ლიდერის, ჯოზეფ დაულის, 2015 წლის გამოსვლა „ქართულ ოცნების“ მიმართ პარტიის ხედვასა და „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერას კარგად ასახავს:

„ევროპის სახალხო პარტია“ ასეთ პოლიტიკურად მოტივირებულ შემთხვევებს მკაცრად გმობს და ხელისუფლების მხრიდან სასამართლო სისტემის საქმიანობაში განგრძობადი ჩარევით შეშფოთებულია. ივანიშვილის გუნდმა უნდა გაიაზროს, რომ მართლმსაჯულების სისტემა არ არის მოედანი წესების გარეშე. მოსამართლეთა შანტაჟი, ოპოზიციის წარმომადგენლების დასაპატიმრებლად კანონების შემთხვევითი შერჩევა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ისეთი საქართველოს მახასიათებლებს არ წარმოადგენს, რომელთან პარტნიორობაც ევროპას სურს.“¹

უნდა აღინიშნოს, რომ „ევროპის სახალხო პარტიას“ სააკაშვილის მმართველობის დროინდელ კანონის უზენაესობის პრობლემებზე ყურადღება არ გაუმახვილებია.

გასული ოცდაათი წლის განმავლობაში, დემოკრატიული განვითარების პარალელურ რეჟიმში, ქართველი ლიდერები მუდმივად ცდილობდნენ დასავლეთის მთავრობები მათთვის გასაგებ ენაზე თავიანთ არგუმენტებში დაერწმუნებინათ. ამ ორი რამის განცალკევება მარტივი არ არის. მათ შორის არაპირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდის განმავლობაში, დემოკრატიული გარდაქმნა ფართოდ იყო

‘Will Political Crisis Derail Georgia’s Future’, Wilfried Martens Centre, 13 November 2014, www.martenscentre.eu/sites/default/files/event_report_georgia_eod.pdf.

¹ ‘EPP outraged at re-arrest and political suppression of Georgian Opposition Leader Ugulava’ EPP Press Release, 15 September 2015, www.epp.eu/press-releases/1015/.

მხარდაჭერილი, განსაკუთრებით პირველ წლებში, და განსაკუთრებით ვაშინგტონში. ყოველივე ეს სააკაშვილს კრიტიკისგან იცავდა და შედარებით უფრო ავტორიტარული ქმედებების გამო წნეხის თავიდან არიდებაში ეხმარებოდა. სამაგიეროდ, ამგვარმა დინამიკამ დემოკრატიული უკუსვლა დააჩქარა. 2012 წლის შემდეგ, „ქართული ოცნების“ მთავრობამ დასავლეთის თვალში თავისი მიღწევების ეფექტურად წარმოჩენა ვერ მოახერხა, რასაც მეტი კრიტიკა მოჰყვა და რამაც, თავის მხრივ, „ქართული ოცნება“ უფრო მეტად თავდაცვით პოზიციაში ჩააყენა. ნებისმიერ შემთხვევაში, დასავლეთის პოლიტიკოსები და მთავრობები ქართული დემოკრატიის „ოფიციალურ“ წარმატებასა თუ წარუმატებლობაში უშუალოდ არიან ჩართულები. ნარატივის ჩამოყალიბების საშუალებით, ისინი საქართველოში ნამდვილი ლიბერალური დემოკრატიის განვითარების შესაძლებლობებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ.

რუსეთის ფაქტორი

1991 წლის შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ საბჭოთა კავშირი ჩაანაცვლა და კავკასიის რეგიონში დომინანტურ ძალად იქცა. საქართველოს ლიდერებისთვის რუსეთის საკითხი ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. 1990-იან და 2000-იან წლებში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მოძრაობების მხარდაჭერაში რუსეთის მიერ შეტანილი წვლილი ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს. რუსეთი ქართული დემოკრატიის განვითარებაშიც ყოველთვის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა, რამდენადაც ის ქვეყნის განვითარებას მუდმივად საფრთხეს უქმნის და გარდა ამისა, რუსეთს საქართველოს საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებაზე კომპლექსური და მრავალმხრივი გავლენა ჰქონდა. 1990-იან წლებში, რუსულმა სუპერსაპრეზიდენტო და მართული საკანონმდებლო ორგანოს მოდელმა ქართულ პოლიტიკურ ელიტაზე მნიშვნელოვანი გავ-

ლენა მოახდინა იმ პერიოდში, როდესაც მათ 1995 წელს ახალ კონსტიტუციაზე დაიწყეს მუშაობა. გარდა ამისა, რუსეთი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს და დროდადრო ქართული საზოგადოების ისეთ არადემოკრატიულ ელემენტებს უჭერდა მხარს, როგორც იყო ასლან აბაშიძე, აჭარის პრორუსი ლიდერი 2000-იან წლებში და სხვადასხვა არალიბერალური ძალები ბოლო წლების განმავლობაში. ძალაუფლებაში მოსვლისთანავე, მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ რუსეთის საომარ განწყობებსა და საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისკენ მიმართულ ძალისხმევასთან გამკლავება სცადა. მთავრობის პირველ ნაბიჯს აჭარის ქართულ პოლიტიკურ სისტემაში დაბრუნება და რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ლიდერის, ასლან აბაშიძის, მმართველობისგან ჩამოშორება წარმოადგენდა, რომელიც მანამდე აჭარას თავისი პირადი სამფლობელოსავით მართავდა. ეს მნიშვნელოვანი საწყისი წარმატება იყო, თუმცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ქართული კონტროლის ქვეშ დაბრუნების მსგავსი მცდელობები საბოლოოდ წარუმატებელი აღმოჩნდა. 2008 წელს, ვარდების რევოლუციისა და სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან სულ რაღაც ოთხწლიანხვედრის შემდეგ, საქართველოსა და რუსეთს შორის მოკლე ომმა ეს ორი კონფლიქტური რეგიონი თბილისის ორბიტას კიდევ უფრო დააშორა.

2008 წლის წინა პერიოდში და უშუალოდ კონფლიქტის შემდეგ, დასავლური ძალები საქართველოს უფრო და უფრო ნაკლებად აღიქვამდნენ დემოკრატიული წარმატების მაგალითად და მას უფრო მეტად რუსეთის აღქმაში არსებულ „ახლო საზღვარგარეთში“ რუსული აგრესიის წინააღმდეგ მიმართულ საყრდენად განიხილავდნენ. საქართველოს დემოკრატიული რეფორმების მიმართ დასავლური ზენოლა შესუსტდა მას შემდეგ, რაც „ვარდების რევოლუციასთან“ ასოცირებული დემოკრატიული პროგრესის საწყისი იმედები იმ რეალობამ ჩაანაცვლა, რომ სააკაშვილი ახალი ფორმის ჰიბრიდულ დემოკრატი-

ას ქმნიდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობამ რუსეთთან დაძაბულობა დემოკრატიზაციის რეფორმების გარეშელების ნაცვლად, უსაფრთხოების საკითხებზე ყურადღების გადასატანად გამოიყენა. დასავლეთის ძალები სულ მცირე რიტორიკულად მაინც აღიარებდნენ, რომ თბილისის ანტიმოსკოვური ხელისუფლება მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მაგალითად, 2009 წელს საქართველოში ვიზიტისას, აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტს, ჯოზეფ ბაიდენს, თავის გამოსვლაში თითქმის არ უხსენებია ქვეყანაში დემოკრატიის მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დემოკრატიის გაუარესების ფაქტები აშკარად არსებობდა. მისი განცხადებით,

„ვიცი და კარგად მესმის მღელვარება იმის შესახებ, რომ რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვის ჩვენეული ძალისხმევა საქართველოს დააზარალებს. მინდა ნათლად განვაცხადო: ეს ასე არ ყოფილა, არ არის და არ შეიძლება იყოს ... ჩვენ მხარს ვუჭერთ პრინციპს, რომლის მიხედვითაც სუვერენულ დემოკრატიებს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებისა და პარტნიორობისა და ალიანსების დამოუკიდებლად არჩევის უფლება აქვთ ... და ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს, პატივი სცეს საერთაშორისო ვალდებულებებს, რომლებიც ნათლადაა დაზუსტებული ... ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებაში, რომელიც ყველა ჯარისკაცის კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე დაბრუნებას და საბოლოოდ საქართველოდან გაყვანას გულისხმობს.“¹

სააკაშვილმა რუსეთის აგრესიასთან გამკლავებაში საქართველოს როლს ელეგანტურად და დამაჯერებლად გაუსვა ხაზი. იგი „ვაშინგტონ პოსტში“ წერდა:

„საქართველოში რუსეთის შეჭრა დასავლურ ღირებულებებსა და 21-ე საუკუნის უსაფრთხოების სისტემაზე თავდას-

¹ Remarks by The Vice President to The Georgian Parliament', The White House, 23 July 2009, <https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/remarks-vice-president-georgianparliament>.

ხმას წარმოადგენს. თუ საერთაშორისო საზოგადოება დაუშვებს, რომ რუსეთმა ჩვენი დემოკრატიული და თავისუფალი სახელმწიფო დაამხოს, ეს ავტორიტარული რეჟიმისთვის მოქმედების თავისუფლების ნიშანი იქნება. რუსეთის მიზანს არა მხოლოდ ერთი სახელმწიფოს, არამედ იდეის განადგურება წარმოადგენს.“¹

მართალია, ეს სიტყვები გულწრფელი იყო, თუმცა გამოსვლა აშშ-ის საგარეო პოლიტიკური ელიტისკენ იყო მიმართული, რომელიც რუსეთისა და პუტინის მიმართ უფრო მკაცრ მიდგომას აყალიბებდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიდგომის უფრო კონკრეტულ პოლიტიკად გარდაქმნას ჯერ ვერ ახერხებდა. 2012 წლის არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხების შემდეგაც კი, დასავლეთთან ურთიერთობებში საქართველო დემოკრატიისადმი ერთგულებაზე ხაზგასმის ნაცვლად, რუსეთის წინააღმდეგ საერთო პოზიციაზე ამახვილებდა ყურადღებას.

ქართული დემოკრატია: დასავლეთის ხედვა

რეფორმისა და რევოლუციის დრამის მიუხედავად, საქართველოს დემოკრატიის განვითარება მზარდ პროცესს წარმოადგენს, რომლისთვისაც ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში მომხდარ ისეთ დრამატულ მოვლენებს, როგორებიცაა სამოქალაქო ომი, „რევოლუცია“ და საგარეო შემოჭრა, მიმართულება არ შეუცვლია. გრაფა 2.1. საქართველოს დამოუკიდებლობის თითოეული წლისთვის Freedom House-ის მიერ მინიჭებულ ქულებს ასახავს. Freedom House-ი 1-დან 7-მდე შეფასების შკალას იყენებს; უფრო დაბალი ქულა უფრო თავისუფალ საზოგადოებებს აღწერს. 1/1 ქულა სრულად დემოკრატიულ ქვეყანას მიე-

¹ Mikheil Saakashvili, 'Russia's War is the West's Challenge', *The Washington Post*, 14 August 2007.


მართება, 7/7 კი ყველაზე ავტორიტარულს. შეფასებები ორ ძირითად მიმართულებას ასახავს - პოლიტიკურ თავისუფლებას, რომელიც ინსტიტუტებს მოიცავს და სამოქალაქო თავისუფლებას, რომელიც ინდივიდუალურ და ჯგუფურ უფლებებზე ამახვილებს ყურადღებას. აღნიშნული ორი მიმართულება ბოლო 30 წლის საქართველოს საკმაოდ თანმიმდევრულ სურათს ქმნის. მართალია, Freedom House-ის მეთოდოლოგია გარკვეულ კითხვებს აჩენს, თუმცა ზოგადი ტენდენციების გამოსაკვეთად ადეკვატურ მეთოდს წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყანა მრავალწლიანი პერიოდის განმავლობაში ფასდება.¹ დემოკრატიასთან დაკავშირებული სხვა მონაცემები, როგორცაა მაგალითად *Economist*-ის „დემოკრატის ინდექსი“, მსგავს მიგნებებსა და ტენდენციებს ასახავს.²

¹ <https://freedomhouse.org/reports/freedom-world/freedom-world-research-methodology>. „Freedom House“-ის ანგარიშები მისი გამოქვეყნების წინა წლის განმავლობაში არსებულ მდგომარეობას აღწერს. შესაბამისად, 1992 წლის ანგარიში აღწერს საქართველოს მდგომარეობას 1991 წელს, 1993 წლის ანგარიში მიმოიხილავს 1992 წლის მდგომარეობას და ა.შ. „Freedom House“-ი ანგარიშების დასაწერად და ქულების გასანაწილებლად კონსულტანტებისა და ექსპერტების დახმარებას ეყრდნობა, რაც იმას ნიშნავს, რომ გარკვეული ხარისხის სუბიექტურობის და, ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკური ზენოლის ალბათობა არსებობს. აღნიშნულ საკითხზე მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ, Diego Giannone, 'Political and Ideological Aspects in the Measurement of Democracy: The Freedom House Case', *Democratization*, 17:1 (2010), pp. 68-97.

² იხილეთ, www.eiu.com/topic/democracy-index;
<https://infographics.economist.com/2019/DemocracyIndex/>.

გრაფა 2.1.

Freedom House-ის საქართველოს შეფასებები: 1992-2019¹



წყარო: <https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2020>

შენიშვნა: ქულები 1-დან (ყველაზე მეტად თავისუფალი) 7-მდეა (ყველაზე ნაკლებად თავისუფალი) განაწილებული.

¹ 2020 წლის გამოცემამდე, „თავისუფლება მსოფლიოში“ ქვეყანასა თუ ტერიტორიას ორი კრიტერიუმის - პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო უფლებების მიხედვით აფასებდა, ამ უფლებებთან დაკავშირებულ შეკითხვებზე მათ მიერ დაგროვებულ საერთო ქულებზე დაყრდნობით. ქულები 1-დან 7-მდე იყო განაწილებული, სადაც 1 ყველაზე მეტ თავისუფლებას, ხოლო 7 ყველაზე ნაკლებ თავისუფლებას აღნიშნავდა და საბოლოოდ ქულების ჯამი რამდენიმე კატეგორიას ქმნიდა. ქულები ქვეყნებს სამი ძირითადი სტატუსის მიხედვით ანაწილებდა: თავისუფალი, ნაწილობრივ თავისუფალი და არათავისუფალი. მართალია ქულების სტატუსებად გარდაქმნის საბაზისო ფორმულა იგივე რჩება, თუმცა, 2020 წლიდან მოყოლებული, „თავისუფლება მსოფლიოში“ ანგარიში მიგნებების ნაწილში 1-დან 7-მდე ქულების განაწილების კომპონენტს აღარ შეიცავს. მაგრამ, ეს ქულები დაუშუშავებელი მონაცემების სახით კვლავ ხელმისაწვდომია და მათი გადმოწერა შესაძლებელია.

აქ მოყვანილი მონაცემები დემოკრატიის გაუმჯობესების-კენ ეტაპობრივად აღმავალ ტენდენციას აჩვენებს. საბჭოთა საქართველოს არსებობის ბოლო 1991 წელს, საქართველოს „არათავისუფალი“ ქვეყნის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული. შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში, თითოეულ წელს საქართველოს ჯამში ცხრა ან ათი ქულა ჰქონდა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ქვეყანა საბჭოთა პერიოდთან შედარებით უფრო თავისუფალი იყო, თუმცა დემოკრატიული ნორმებისა და წესების ჩამოყალიბების მიმართულებით კვლავ პრობლემები ჰქონდა. ეს დაკვირვება თანხვედრაში მოდის საქართველოს დემოკრატიის შესახებ ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებასთან, რომელიც გია ნოდის 2005 წლის შეფასებაში კარგად არის ასახული. ნოდია წერს:

„უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სექტორი ბევრი მნიშვნელოვანი მიმართულებით განვითარდა. ამ სექტორში კვალიფიცირებული და გამოცდილი პერსონალის ქსელი არსებობს... საქართველოში მოქმედმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, რომლებმაც დაამტკიცეს რომ დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების თანმიმდევრული დამცველები არიან, გარკვეული მორალური კაპიტალი დააგროვეს ... საქართველოს მასშტაბით აქტიურად მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ქსელი ლიბერალური ღირებულებების დაცვისა და გავრცელების პლატფორმად ჩამოყალიბდა“.¹


1997 წელს 4/5 ქულიდან 4/4 ქულაზე გადასვლა (1996 წელს მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით) ედუარდ შევარდნაძის მიერ ძალაუფლების კონსოლიდირების შემდგომ გაუმჯობესებას ასახავს. თუმცა, 1997 წლიდან 2020 წლამდე

¹ Ghia Nodia, 'Civil Society Development in Georgia: Achievements and Challenges', Caucasus Institute for Peace, 2005, Democracy and Development Citizens Advocate! Program.

მონაცემები, რომელიც ოცდაოთხწლიან პერიოდს მოიცავს, ძალიან მცირე ცვლილებებს აჩვენებს. ამ პერიოდის განმავლობაში როგორც პოლიტიკური, ასევე სამოქალაქო თავისუფლების შეფასება, საერთო ჯამში ორმოცდარვა სხვადასხვა მაჩვენებელი, 3-ს ან 4-ს უტოლდებოდა. ქულები შემდეგნაირად არის გადანაწილებული: 6 (მიღებული ათჯერ), 7 (მიღებული ექვსჯერ) და 8 (მიღებული რვაჯერ). ქართული დემოკრატიის შესაფასებლად პოსტსაბჭოთა რიცხვებზე ბევრად მეტი მონაცემია საჭირო, მაგრამ როგორც გრაფა 2.2. აჩვენებს, მეზობლებთან შედარებით, საქართველოს შეფასებები აღსანიშნად სტაბილური და საკმაოდ დადებითია. 1999 წლიდან 2020 წლამდე, Freedom House-ის მიერ სომხეთისთვის მინიჭებული ქულები 8-დან 10-მდე მერყეობს. ამ პერიოდის აზერბაიჯანის მონაცემები საქართველოსთან შედარებით უფრო მეტ ცვლილებებს ასახავს და მუდმივად ნაკლები დემოკრატიით ხასიათდება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, აზერბაიჯანის ქულები 10-სა და 13-ს შორის მერყეობს. ყველაზე დიდი ცვლილებები 1997 წლის შემდგომ პერიოდში Freedom House-ის რუსეთის ქულებში შეინიშნება (7-დან 13-მდე), რაც ბევრად უფრო არასტაბილურ ცვლილებებს ასახავს. სამწუხაროდ, რუსეთის შემთხვევაში მრუდი არასწორი მიმართულებით იხრება, რადგან 1990-იანი წლების შუა პერიოდის შემდეგ ის უფრო არადემოკრატიული გახდა.

გრაფა 2.2

Freedom House-ის აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა და რუსეთის შეფასებები (1998-2019)



წყარო: https://freedomhouse.org/sites/default/files/2020-02/2020_Country_and_Territory_Ratings_and_States_FIW1973-2020.xlsx

შენიშვნა: პოლიტიკური უფლებები (1-დან 7-მდე) და სამოქალაქო უფლებები (1-დან 7-მდე) ერთად. ყველაზე დაბალი ქულაა 2 (ყველაზე მეტად თავისუფალი), ხოლო ყველაზე მაღალი კი 14 (ყველაზე ნაკლებად თავისუფალი).

თანამედროვე ქართული ისტორია გარდამტეხი დემოკრატიული მომენტებითა და სერიოზული უკუსვლებით არის საჯსე. 2003-2004 წლებში ვარდების რევოლუცია მოხდა, ხოლო 2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა; შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლები, რომელიც 2003 წლის რევოლუციას უძღოდა წინ, და ასევე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის

ბოლო წლები (2008-2012) დემოკრატიული უკუსვლით ხასიათდებოდა. თუმცა, მონაცემები გვახსენებს, რომ ქართული დემოკრატია ამ პერიოდის განმავლობაში იმაზე ბევრად უფრო სტაბილურად ვითარდებოდა, ვიდრე ამას ყველაზე წარმატებული და წარუმატებელი მომენტების ურთიერთშედარება ასახავს. დემოკრატიის საკვანძო მომენტებზე აქცენტის გადატანა ყურადღების მიღმა ტოვებს ერთი შეხედვით ნაკლებად საინტერესო ალბათობას, რომ ზემოთ ნახსენებ დრამატულ ცვლილებებს, რაც არ უნდა ამაღელვებელი იყოს ეს ცვლილებები, ქართული დემოკრატიის საერთო პროგრესზე გადამწყვეტი გავლენა არ ჰქონია.

ქართული დემოკრატიისა და საგარეო პოლიტიკასთან მისი კავშირის ისტორია სრულყოფილი ვერ იქნება იმის გააზრების გარეშე, თუ რამდენად სჯეროდათ დასავლეთის მთავრობებს - განსაკუთრებით აშშ-ს, მაგრამ ასევე ნაკლებად გავლენიანი სახელმწიფოების მთავრობებს, როგორცაა პოლონეთი და ბალტიისპირეთის სახელმწიფოები, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ დემოკრატიზაციის მოსურნე ძალა იყო, მას შემდეგაც კი, რაც ამ იდეამ საქართველოს მოქალაქეებს შორის დამაჯერებლობა დაკარგა.

ვარდების რევოლუციის ისტორია, თავისი ახალგაზრდა ინგლისურად მოსაუბრე გმირით, მიხეილ სააკაშვილით, და ახალგაზრდებით დაკომპლექტებული მთავრობით, რომელსაც დემოკრატიული ტერმინოლოგია და ჟარგონი კარგად ესმოდა, ზედმეტად მომხიბვლელი აღმოჩნდა იმისათვის, რომ დასავლეთს მისთვის წინააღმდეგობა გაენია. კორუფციისა და მართლმსაჯულების რეფორმის მიმართულებით სააკაშვილის ადმინისტრაციის საწყისი წარმატება რეალური და სარწმუნო იყო. მაგრამ დასავლეთის ლიდერების სტაბილურად დადებითი რეაქციები, მაშინაც კი, როდესაც საქართველოში ლიბერალიზმი უკვე აშკარა საფრთხის ქვეშ დადგა, დასავლეთის მიერ ადგილობრივ გამოცდილებაზე მეტად ოფიციალური ვერსიის აღიარების ტენდენციას ასახავდა.

სააკაშვილის მთავრობის მიღწევებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით აქტიური ძალისხმევა ახლდა თან, რომელიც საერთაშორისო დონეზე საქართველოს ახალი მთავრობის პოსტსაბჭოთა დემოკრატიისა და რეფორმის სახედ წარმოჩენას ისახავდა მიზნად. საქართველოს მთავრობა ვაშინგტონში, ბრიუსელსა და სხვა დასავლურ ქალაქებში უამრავ ახალგაზრდა ინგლისურენოვან წარმომადგენელს გზავნიდა, რომლებსაც საქართველოს მნიშვნელოვან მიღწევებსა და თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოს შენებისკენ მიმართულ ძალისხმევაზე ხაზგასმა ევალებოდათ. დასავლეთში ამ ახალგაზრდა წარმომადგენლების ასაკითა და ლინგვისტური უნარებით იმდენად მოხიბლულები იყვნენ, რომ მათ მიერ საქართველოსთან დაკავშირებით გაჟღერებულ მოსაზრებებს ეჭვქვეშ იშვიათად აყენებდნენ.¹ ვარდების რევოლუციის ადრეული წლები ხშირად ყველაზე დემოკრატიულ პერიოდად აღიქმება, თუმცა Freedom House-ის მონაცემების თანახმად, ამ პერიოდში საქართველოს შედარებით მოკრძალებული წინსვლა ჰქონდა, შევარდნაძის პერიოდის ბოლო წლების ჯამური 8 ქულიდან ყველაზე მაღალ 6 ქულამდე, მაგრამ ჩვეულებრივ მისი შეფასება 7-ს ან 8-ს უტოლდებოდა. დემოკრატიული პროგრესის ამ ნავარაუდები ოქროს ხანის პერიოდში, საქართველოს ჯამური ქულა 8-დან 6 გახდა. ეს შთამბეჭდავი შედეგია, თუმცა ამას ნაკლებად შეიძლება ეწოდოს დემოკრატიული გარდაქმნა. ამასთან, რამდენიმე მოკლე წლის განმავლობაში, Freedom House-ის ჯამური შეფასება ისევ 8-მდე ავიდა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში ამ ნიშნულზე დარჩა. უცხოელი პოლიტიკოსები, განსაკუთრებით კი აშშ-ში, ან უარს აცხადებდნენ საქართველოს შეზღუდული პროგრესის აღიარებაზე, ან მას მართლა ვერ ხედავდნენ. საქართველოს დემოკრატია მყი-

¹ აღნიშნულ საკითხზე მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ, Thomas de Waal, 'So Long, Saakashvili', *Foreign Affairs*, 29 October 2013.

ფე ხასიათისა და მის მიმართ არსებული ზენოლის ხაზგასმის ნაცვლად, დასავლელი პოლიტიკოსები ქართული დემოკრატიის წარმატების ქებას 2007-2012 წლებშიც განაგრძობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის ვარდების რევოლუციის დემოკრატიული დანაპირები უკვე მხოლოდ მახსოვრობაში იყო შემორჩენილი.

პრეზიდენტების ბუშისა და სააკაშვილის შეხვედრის შემდეგ, ამ უკანასკნელის პრეზიდენტობის ბოლო პერიოდში, ჯორჯ ბუშმა აღნიშნა: „მე აღტაცებული ვარ პრეზიდენტით. მე პატივს ვცემ იმას, რაც საქართველომ გაიარა და რასაც საქართველო აკეთებს. ჩვენ ვისაუბრეთ დემოკრატიის მოძრაობებში საქართველოს წვლილის შესახებ - არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ დემოკრატიისა და თავისუფლების მოძრაობებზე ისეთ ადგილებშიც, როგორცაა ერაყი“.¹

სააკაშვილის მხარდაჭერა ვაშინგტონისთვის პარტიულ საკითხს არ წარმოადგენდა. 2010 წელს, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ჰილარი კლინტონმა, საქართველოს შესახებ საუბრისას განაცხადა: „ამ ქვეყანას წარმოუდგენლად დიდი პოტენციალი აქვს, იყოს დემოკრატიისა და პროგრესის მოდელი და „შუქურა“ და ჩემი აზრით, ამის საფუძველი დიდწილად იმ ყოველდღიურ ცვლილებებშია, რომელიც საქართველოში განხორციელდა“.² წელიწადნახევრის შემდეგ, ორი პრეზიდენტის შეხვედრის გახსენებისას, თეთრი სახლის პრესის განყოფილებამ აღწერა, თუ როგორ „მიულოცა პრეზიდენტმა ობამამ პრეზიდენტ სააკაშვილს მისი და ქართველი ხალხის მიღწევები იმ პერიოდის განმავლობაში - დამოუკიდებელი, სუვერენული და

¹ ‘President Bush Meets with President Saakashvili of Georgia’, The White House, 19 March 2008. <https://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2008/03/20080319-4.html>. მსგავსი განცხადება გააკეთა ჰილარი კლინტონმა 2010 წელს: „ამ ქვეყანას [საქართველოს] წარმოუდგენლად დიდი პოტენციალი აქვს, იყოს დემოკრატიისა და პროგრესის მოდელი და „შუქურა“ და ჩემი აზრით, ეს დიდწილად უკვე ღრმად არის ფესვგადგმული“.

² ‘Clinton Pledges US Support for Georgia’, RFE/RL, 5 July 2010, www.rferl.org/a/Clinton_Heads_To_Georgia/2091014.html.

დემოკრატიული ერი. საქართველომ დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების, კორუფციასთან ბრძოლისა და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით შთამბეჭდავ პროგრესს მიაღწია“.¹

2012 წელს „ქართული ოცნების“ მიერ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ არჩევნებში დამარცხება სააკაშვილის მთავრობის დაღმავალი წლების შემდეგ, ბევრი თვალსაზრისით დემოკრატიულ გარღვევას წარმოადგენდა. თუმცა, პოლიტიკოსებს, განსაკუთრებით ვაშინგტონში, ამ არჩევნებისთვის ასეთი სტატუსი არ მიუნიჭებიათ. 2012 წლის არჩევნების შემდგომი პირველი წლის განმავლობაში, „ქართული ოცნების“ გამარჯვება ვაშინგტონში ბედის ბედნიერ შემთხვევასა და გადატრიალებას შორის მომხდარ მოვლენად აღიქმებოდა. 2012 წლის დეკემბერში, აშშ-ის რესპუბლიკელი და დემოკრატი სენატორების წერილი ახალ ქართულ ხელისუფლებას შემდეგნაირად აფრთხილებდა:

„ჩვენ ღრმად შეშფოთებული ვართ ოპოზიციურ პარტიასთან ასოცირებული პოლიტიკური ფიგურების დაკავების, გამოძიების, დაპატიმრებისა და სავარაუდო დევნის ფაქტების გამო... ჩვენ გწერთ, რომ გამოვხატოთ მზარდი შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ნაბიჯები შესაძლოა პოლიტიკურად იყოს მოტივირებული და პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ისახავდეს მიზნად“.²

ეს წერილი ასახავდა ვაშინგტონის ხედვას, რომლის თანახმადაც ახალი მთავრობა გარკვეულ საფრთხეს უქმნიდა იმ დემოკრატიას, რომელიც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაო-

¹ ‘President Obama Meets with Georgian President Mikheil Saakashvili’, The White House, 3 February 2012, <https://obamawhitehouse.archives.gov/blog/2012/02/03/president-obama-meets-georgian-president-mikheil-saakashvili>.

² Josh Rogin, ‘Senators Call on Georgian Prime Minister to Avoid Political Retribution’, *Foreign Policy*, 11 December 2012. The Senators were Jeanne Shaheen (D-NH) Joseph Lieberman (I-CT), Lindsay Graham (R-SC), John McCain (R-AZ) and James Risch (R-ID).

ბამ“ განავითარა. „ქართულმა ოცნებამ“ მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. არჩევნებიდან მალევე, მან დასავლეთში მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობებისთვის გამოყოფილი რესურსები მნიშვნელოვნად შეამცირა. „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს დემოკრატიული და პროდასავლური ნარატივის გავრცელება შეწყვიტა და საერთაშორისო აქტივობა მნიშვნელოვნად შეზღუდა. ორი მთავრობის მიდგომებში არსებულმა ამგვარმა განსხვავებებმა ქართული პოლიტიკის შესახებ დასავლურ წარმოდგენებში არსებული ჩავარდნები გამოავლინა და საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და სტრატეგიული კომუნიკაციების ძალა ნათლად წარმოაჩინა. სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში, ფინანსური დახმარება დემოკრატიის პროგრამებს მიჰყვებოდა და იმ ხედვას ეფუძნებოდა, რომ მთავრობა დემოკრატიული რეფორმის მხარდამჭერი იყო. ამ პერიოდის განმავლობაში, დემოკრატიული კრიტერიუმების გადამონმების მიზნით საქართველოს მიმართ მხოლოდ მინიმალური ზენოლა ხორციელდებოდა.

2008-2012 წლებში, ქართულმა დემოკრაციამ უკუხვლა განიცადა. აშშ-მ და სხვა დასავლური ძალებმა ამ პროცესისთვის ხელის შეშლა ვერ მოახერხეს, ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ისინი სააკაშვილის ადმინისტრაციის მოქნილი ლობირებით იყვნენ თვალახვეულები. გარდა ამისა, 2008 წლის ომის შემდგომ პერიოდში, საქართველოს უსაფრთხოების სფეროში არსებულმა რეალურმა პრობლემებმა დემოკრაციასთან დაკავშირებული საკითხები უკანა პლანზე გადასწია. როდესაც ქართულმა ოცნებამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობის რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსანი დააკავა ან მათ ბრალი წაუყენა, მათ შორის იყო ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი და ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, დემოკრატიის გარემოს გაუარესების წარმოდგენები კიდევ უფრო გამყარდა. თუმცა, ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებისა თუ ბრალის წაყენების გადანყვეტილება ყოველთვის კომპლექსური და სარისკოა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ

არაერთი ყოფილი მინისტრის მიმართ სამართლებრივი დავის აღძვრის საფუძველი არსებობდა.¹ სხვადასხვა ლეგიტიმური მიზეზი არსებობს იმის მხარდასაჭერად, თუ რატომ უნდა მიეღო ან არ უნდა მიეღო ახალ ქართულ ხელისუფლებას გარკვეული ზომები ყოფილი მთავრობის წევრების წინააღმდეგ. თუმცა, დასავლელმა ლიდერებმა მთავრობის ქმედებები უპირველეს ყოვლისა „ქართული ოცნების“ არადემოკრატიული და ამორალური გეგმების მტკიცებულებად აღიქვეს. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან სამ თვეზე ნაკლებ დროში, აშშ-ს სენატორთა ორპარტიულმა ჯგუფმა, რომელიც რესპუბლიკელ ჯონ მაკკეინს, ლინდსი გრაამსა და ჯეიმს რიშს, დემოკრატ ჯინ შაჰინს და დამოუკიდებელ დეპუტატ ჯო ლიბერმანს აერთიანებდა, ახალი ხელისუფლებისადმი მიმართულ წერილს მოაწერა ხელი, რომელიც ქართველ ლიდერებს აკრიტიკებდა, თუმცა ამავდროულად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის ხასიათს ყურადღების მიღმა ტოვებდა:

„ჩვენ ღრმად შეშფოთებული ვართ ოპოზიციურ პარტიასთან ასოცირებული პოლიტიკური ფიგურების დაკავების, გამოძიების, დაპატიმრებისა და სავარაუდო დევნის ფაქტების გამო... ჩვენ გნერთ, რომ გამოვხატოთ მზარდი შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ნაბიჯები შესაძლოა პოლიტიკურად იყოს მოტივირებული და პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ისახავდეს მიზნად. მოგიწოდებთ უზრუნველყოთ, რომ თქვენმა ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთოს წინა ხელისუფლების წევრთა მიმართ შერჩევითი სამართლის გამოყენების შესახებ წარმოდგენების თავიდან ასაცილებლად.“²

¹ აღნიშნულ საკითხზე მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ, Kenneth S. Yalowitz, William Courtney and Dennis Courtney, 'Rough and Tumble of Building Democracy in Georgia', Wilson Center, www.wilsoncenter.org/publication/rough-and-tumble-building-democracy-georgia.

² Josh Rogin, 'Senators Call on Georgian Prime Minister to Avoid Political Retribution', *Foreign Policy*, 11 December 2012.

საქართველოს მხრიდან დემოკრატიული რეჟიმის ჩამოყალიბებისკენ მიმართული ძალისხმევა ცივი ომის შემდგომ პერიოდში ისეთ კონტექსტში მიმდინარეობდა, სადაც სიტყვა დემოკრატია ნებისმიერ რეჟიმს განსაკუთრებულ ლეგიტიმურობას ანიჭებდა, და არაერთი მკაფიოდ არადემოკრატიული რეჟიმი აშკარა ავტორიტარული მახასიათებლების მიუხედავად, ლიბერალურ დემოკრატიად პოზიციონირებას ცდილობდა. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს რუსეთი წარმოადგენს. პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ცდილობდა მსოფლიო დაერწმუნებინა, რომ მისი ცალსახად არადემოკრატიული რეჟიმი ახალი ტიპის პოლიტიკურ რეჟიმს - „სუვერენულ დემოკრატიას“ წარმოადგენდა.¹ დასავლელ პოლიტიკოსებს დემოკრატიის მნიშვნელობის ზუსტად განსაზღვრა უჭირთ. ბევრისთვის დემოკრატია პროდასავლური, მეტ-ნაკლებად საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული და ორმოცდაათ წელზე ნაკლები ასაკის ინგლისურად მოსაუბრე ლიდერის მიერ მართული ქვეყნის სინონიმად იქცა. ჯორჯ ბუში, ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი და სხვები ყურადღების მიღმა ტოვებდნენ ქართული დემოკრატიის ხარვეზებს, ხოლო ამის პარალელურად აქებდნენ სააკაშვილსა და მის მოკავშირეებს, ვინც ზემოთ დასახელებულ აღწერას კარგად ერგებოდნენ. ყოველივე ეს ამერიკელი და ევროპელი ლიდერების მიზანმიმართულ გულუბრყვილობას ასახავს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს კარგად ესმოდათ, რომ თუ ისინი სამ კრიტერიუმს დააკმაყოფილებდნენ - საბაზრო ეკონომიკის მხარდაჭერა, პროდასავლურობა და ახალგაზრდა ინგლისურენოვანი კადრები - ზედმეტად აღარავინ ჩაულრმავდებოდა მათ ქმედებებს, რომელიც პოლიტიკური ოპონენტების დევნას, სიტყვისა და შეკრების თავისუფლების შეზღუდვას და მაღალი დონის კორუფციას მოიცავდა.

¹ იხილეთ, Maria Lipman, 'Putin's "Sovereign Democracy"', *The Washington Post*, 15 July 2006.

დასავლური შეხედულებები ქართული დემოკრატიის შესახებ

საქართველოში დემოკრატიის მხარდაჭერა ცივი ომის შემდგომ პერიოდში დემოკრატიის მხარდაჭერის ფართო კონტექსტში უნდა გაანალიზდეს. მართალია დემოკრატიის ხელშეწყობა საქართველოს პოლიტიკური განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, ის, ამავდროულად, მსოფლიოს ნაკლებად მდიდარ და ნაკლებად გავლენიან სახელმწიფოებში აშშ-ს ჩართულობის ჩვეულ ფორმატს წარმოადგენს.¹ დემოკრატიის მხარდაჭერა არაერთ ქვეყანასთან აშშ-ის საგარეო დახმარებისა და ორმხრივი ურთიერთობების სტანდარტული ნაწილია. საქართველოს ამ მიმართულებით დასავლეთის სახელმწიფოებისგან სტანდარტულზე მეტი დახმარება აქვს მიღებული. „კონგრესის კვლევითი სამსახურის“ თანახმად, 2000-იან წლებში „საქართველომ ევროპასა და ევრაზიის მასშტაბით ერთ სულ მოსახლეზე აშშ-ის დახმარების ყველაზე დიდი წილი მიიღო“.² ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ რეგიონის სახელმწიფოებს შორის საქართველო ყოველთვის უფრო ღია იყო პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმის მიმართ. არსებობდა იმის მოლოდინი, რომ ამ დახმარების საშუალებით საქართველო მიღებული უპირატესობების კონსოლიდირებას მოახერხებდა და დემოკრატიის მიმართულებით მტკიცე და შეუქცევად სვლას განაგრძობდა. ამგვარი ხედვა უკვე დიდი ხანია გავლენას ახდენს დონორი სახელმწიფოების წარმოდგენებზე. შედეგად, ქართული დემოკრატიის მხარდაჭერაზე დახარჯული ფული უკეთეს

¹ აღნიშნულ საკითხზე მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ, Lincoln A. Mitchell, *The Democracy Promotion Paradox* (Washington: Brookings, 2016).

² 'Georgia: Background and US Policy', Congressional Research Service, 17 October 2009, p. 17.

ინვესტიციად აღიქმება, ვიდრე მსგავსი პროგრამების განხორციელება, მაგალითად, რუსეთსა თუ აზერბაიჯანში.

საქართველო მნიშვნელოვან დახმარებას იღებს დემოკრატიული განვითარების მიმართულებით, რადგან ქვეყანა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში დასავლურ პოლიტიკურ კურსს ღიად მიჰყვება. საქართველოში დემოკრატიის მხარდაჭერა ბევრი ფორმით გამოიხატება, მათ შორისაა მსხვილი ამერიკული დემოკრატიული ორგანიზაციების, „ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტისა“ (NDI) და „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI), პროგრამები. ისინი ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შიდა საარჩევნო მონიტორინგში ეხმარებიან და სხვა ბევრ პროგრამაში არიან ჩართულები, რომელიც ხშირად ამერიკელი კონტრაქტორების მიერ ხორციელდება და საკანონმდებლო ორგანოების გაძლიერებას, სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერას, ადგილობრივი მთავრობების დახმარებასა და ქალების პოლიტიკაში ჩართვას ისახავს მიზნად.¹ თუმცა, აღნიშნულ პროგრამებს სხვადასხვა ტიპის გავლენა აქვთ და ეს გავლენა წლების განმავლობაში იცვლებოდა. საკმაოდ რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა შედეგის მიღწევა შეუძლია დემოკრატიის გაძლიერების პროგრამებს, ან აქვს თუ არა საერთოდ აზრი მათ განხორციელებას. ხელმისაწვდომ მონაცემებს, მათ შორის აშშ-ს სხვადასხვა სამთავრობო სააგენტოების მიერ დემოკრატიის მიმართულებით გაწეული ხარჯების რაოდენობას, ან Freedom House-ის მსგავსი ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ ქულებსა და შეფასებებში ასახულ ცვლილებებს, საბოლოო ჯამში, მხოლოდ შეზღუდული ღირებულება გააჩნია. ისინი კორელაციას ადგენენ, თუმცა ბევრი ისეთი შესაძლო მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს, რომლის სათანა-

¹ ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) „გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად - გლობალურ სამოქმედო გეგმაზე“ ხელმოსაწერად, რომელიც ქალთა ჩართულობის მხარდასაჭერად შიდა რეფორმების რეკომენდაციებს მოიცავს, საქართველოში 14 პოლიტიკურ პარტიასთან იმუშავა. იხილეთ, www.ndi.org/democracy-without-women-is-impossible.

დოდ შეფასებაც ვერ ხერხდება. ფართო გაგებით, ვარდების რევოლუციამდელ პერიოდში, 1995-2002 წლებში, საქართველოში დასავლეთის მიერ განხორციელებული დემოკრატიის მხარდაჭერის პროგრამების გავლენა დადებითი, თუმცა საკმაოდ შეზღუდული იყო. აღნიშნული წლების განმავლობაში, ედუარდ შევარდნაძემ საქართველოსთვის განვითარების ნახევრად დემოკრატიული კურსი შეიმუშავა. ქვეყანა უფრო მეტად თავისუფალი იყო, ვიდრე დემოკრატიული. საქართველოში მედიის, სიტყვისა და შეკრების თავისუფლება გაცილებით უფრო ფართო იყო, ვიდრე სამხრეთ კავკასიის ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში, თუმცა დემოკრატიული ინსტიტუტები, მათ შორის არჩევნები, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი იყო, რასაც სუსტი სახელმწიფო და ფართოდ გავრცელებული კორუფცია ემატებოდა.

შევარდნაძის პერიოდის დემოკრატიის მხარდაჭერის პროგრამების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების ძლიერი ფინანსური, ტექნიკური და პოლიტიკური მხარდაჭერა წარმოადგენდა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მათ შორის „ვოჩდოგებმა“, მედია გამოცემებმა, და არჩევნების სადამკვირვებლო ჯგუფებმა, 1990-იან წლებში საქართველოს სამხრეთ კავკასიის ყველაზე პლურალისტურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. დასავლური მხარდაჭერის გარეშე, ამ არასამთავრობოებს საჭირო რესურსები და ინფორმაციასა და ექსპერტულ ცოდნასთან საკმარისი წვდომა ვერ ექნებოდათ. ვარდების რევოლუცია საქართველოში დემოკრატიის გაძლიერების მწვერვალს ასახავდა. დემოკრატიის მხარდაჭერას ვარდების რევოლუციაში საკვანძო როლი არ შეუსრულებია, როგორც ამას რუსული პროპაგანდა ამტკიცებს, თუმცა ის მაინც ძალიან მნიშვნელოვანი იყო.¹ ხმის პარალე-

¹ აღნიშნულ საკითხზე მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ, Lincoln A. Mitchell, *Uncertain Democracy: US Foreign Policy and Georgia's Rose Revolution* (Philadelphia: Pennsylvania University Press, 2008).

ლური დათვლის მექანიზმი, რომელმაც ქართველი ხალხის და, საბოლოოდ, უცხოეთის მთავრობების, არჩევნების გაყალბების მასშტაბებში დასარწმუნებლად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, სწორედ დასავლური დემოკრატიის მხარდაჭერის პროდუქტს წარმოადგენდა, ისევე, როგორც „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, რომელმაც ხმები გადათვალა. რამდენიმე სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, რომელიც კორუფციასა და შევარდნაძის ხელისუფლების გვიანდელი პერიოდის დემოკრატიულ ხარვეზებზე მუშაობდა, მაგალითად „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ასევე დასავლეთის ფონდებისა და მთავრობების მიერ ფინანსდებოდა. „ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტმა“ ვარდების რევოლუციის წინა პერიოდში მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტორებისთვის კონსულტაციის განცვის მიმართულებით გადამწყვეტი როლი შეასრულა.

ვარდების რევოლუცია თითქმის ოცი წლის წინ მოხდა. ჩვენ ახლა უფრო მეტად დაშორებული ვართ 2003-2004 წლის მოვლენებისგან, ვიდრე ეს მოვლენები იყო დაშორებული საბჭოთა კავშირის დაშლისგან, თუმცა, ვარდების რევოლუცია საქართველოს დემოკრატიის მხარდაჭერის მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად რჩება. ამ პერიოდის შემდეგ, ქვეყნის დემოკრატიის გაძლიერებისკენ მიმართულ ძალისხმევას გარდამტეხი გავლენა თითქმის არ ჰქონია. აღსანიშნავია, რომ 2003 წლის შემდეგ, დასავლეთის მხრიდან დემოკრატიის მხარდაჭერას გარკვეული სახის დადებითი შედეგები ჰქონდა, განსაკუთრებით არჩევნების მონიტორინგის პროცესის მხარდაჭერის მიმართულებით. თუმცა, სხვა მხრივ, მდგომარეობა საკმაოდ არაერთგვაროვანია. გასული ათწლეულის განმავლობაში, დემოკრატიის გაძლიერების მიმართულებით ეფექტური პროგრამების შემუშავება საკმაოდ რთული აღმოჩნდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, და ბევრად უფრო ნაკლებ ხარისხში „ქართული ოცნება“, დემოკრატიის გაძლიერებისკენ

გადადგმული ნაბიჯების ოსტატურად შეფუთვაში კარგად იყვნენ დახელოვნებული მაშინ, როდესაც რეალურად ამ მიმართულებით ძალიან ცოტა კეთდებოდა. საგარეო აქტორებს აღნიშნულ პრობლემაზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ და არც მის გადასაჭრელად გადაუდგამთ რაიმე კონკრეტული ნაბიჯი. პირიქით, პოსტსაბჭოთა საქართველოს ადრეულ წლებში, შედარებით მარტივი იყო ისეთი პროგრამების შემუშავება და დაფინანსება, რომლებიც დემოკრატიის ჩამოყალიბებისა და საბაზისო უნარების შესახებ საჭირო ინფორმაციას შეიცავდნენ.

დროთა განმავლობაში, დემოკრატიის გაძლიერების საბაზისო პროგრამების მიმართ ინტერესმა იკლო. საქართველო დასავლური არასამთავრობოებითა და მათი აქტივობებით სულ უფრო და უფრო მეტად დაკმაყოფილდა. სატრენინგო ინიციატივების, სამუშაო ჯგუფების და სხვა პროექტების საშუალებით დემოკრატიისა და საზოგადოების ფორმირების იდეებს მეტი და მეტი მოქალაქე გაეცნო. ეს განსაკუთრებით პოლიტიკურ და სამოქალაქო ელიტებს ეხებოდა. 2006-2010 წლებისთვის, საქართველოში დემოკრატიის გზაზე მდგარი დაბრკოლებები პოლიტიკური ხასიათის იყო, თუმცა ის პროგრამები, რომლებიც ამ დაბრკოლებების გადალახვას ისახავდა მიზნად, ზედმეტად ტექნიკური ხასიათის იყო და პოლიტიკის სფეროში არსებულ რეალურ პრობლემებს ვერ აგვარებდა. ზოგიერთი პრობლემა, რომლის წინაშეც დასავლური ორგანიზაციები საქართველოში ეფექტური დემოკრატიის მხარდაჭერის პროგრამების მიმართულებით 2012 წლის შემდეგ აღმოჩნდნენ, უფრო ფართო, გლობალურ მდგომარეობას ასახავდა. ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში, დასავლური სახელმწიფოების დემოკრატიული სტრატეგიები ქართულ დემოკრატიაში გარდამტეხი ცვლილებების მნიშვნელობას უსვამდა ხაზს და ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების დაჩქარების მიზნით, ახალ მთავრობებთან მჭიდრო თანამშრომლობას ცდილობდა. თავდაპირველად ეს მნიშვნელოვანი იყო, თუმცა მას შემდეგ, რაც ვარდების რევოლუციის საწყისი დემოკრატი-

ული დაპირება შესუსტდა, აღნიშნული მიდგომა ნაკლებად ეფექტური გახდა. ვარდების რევოლუციის შემდგომი საქართველოს დემოკრატიულ მიღწევებზე ზედმეტი ყურადღების გამახვილებამ პრობლემების დანახვა კიდევ უფრო გაართულა. ბევრი მიიჩნევდა, რომ დასავლეთი საქართველოს მთავრობასთან ქვეყნის დემოკრატიის მიმართ ერთგულების გამო თანამშრომლობდა, ხოლო საქართველოს მთავრობის დემოკრატიისადმი ერთგულება, თავის მხრივ, დასავლეთის მთავრობების მასთან თანამშრომლობის სიხშირეში აისახებოდა. შედეგად კი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის გვიანდელი წლების დემოკრატიული უკუსვლის წინააღმდეგ საბრძოლველად დასავლეთის მთავრობებმა ძალიან ცოტა გააკეთეს და 2009-2012 წლებში საქართველოს ნახევრად ავტორიტარულ რეჟიმად ჩამოყალიბება ვერ შეაჩერეს. აშშ-ის მთავრობა არ იყო მზად იმ ბრახისთვის, რომელიც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ქართველებს შორის გააჩინა, რამაც თავის მხრივ, 2012 წლის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გადამწყვეტი გამარჯვება გამოიწვია. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ამერიკულ ხედვას, რომ „ქართული ოცნება“ არც ძლიერი პოლიტიკური ძალა იყო და არც დემოკრატიის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა. თავის მხრივ, არც ახალ ქართულ მთავრობას ჰქონდა დასავლური დემოკრატიის მხარდაჭერის პროექტის მიმართ ნდობა.

დაძაბულობები ქართული დემოკრატიის წიაღში

1991 წლის შემდეგ, საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაში დასავლეთის როლს ხელს უშლიდა ის დაძაბულობა, რომელიც საქართველოს პოლიტიკური განვითარების დასავლეთისთვის სასურველ პარადიგმებსა და ამ განვითარების რეალობას შორის არსებობდა. დიდი ხნის განმავლობაში, დასავლეთის მთავრობები საქართველოს მეტაფორების საშუალებით

ბით აღიქვამდნენ, რომელიც ისეთი ფრაზებით გამოიხატებოდა, როგორცაა „ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება“, ან „ის არასწორ გზაზე დგას“, ან რომ ის „დემოკრატიული გზიდან უხვევს“, „შეფერხებას განიცდის“ და ასე შემდეგ. ყოველივე ეს მონმოზს, რომ საქართველო პროგრესული და აქტიური სახელმწიფოა, თუმცა ამავდროულად ყველა უკან გადადგმული ნაბიჯი მყისიერ პასუხს საჭიროებს და ყველა წინ გადადგმული ნაბიჯი კი შემდგომი განვითარების შესაძლებლობას წარმოადგენს. დაფინანსების პერსპექტივიდან, ყველა უკან გადადგმული ნაბიჯი შემდგომი უკუსვლის შესაჩერებლად მეტი პროგრამებისა და მეტი დაფინანსების საჭიროებას ქმნის, ხოლო ყველა წინ გადადგმული ნაბიჯი კი შემდგომი განვითარებისთვის მეტი დაფინანსების შესაძლებლობას წარმოადგენს. ამ მიდგომაში არის ლოგიკა, თუმცა ეს ლოგიკა პოლიტიკურზე მეტად ბიუროკრატიული ხასიათისაა.

აღნიშნული მიდგომა საკმაოდ წინდაუხედავი, გამოუსადეგარი და რეალობისგან დაშორებულია. ის წინდაუხედავია, რადგან უფრო ხანგრძლივი და სტაბილური მოდელების ნაცვლად, რამდენიმე თვიანი, და ზოგჯერ რამდენიმე წლიანი, პერიოდის ტენდენციებზე უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს. აღნიშნული მიდგომა, ფართო პერსპექტივისგან განსხვავებით, საქართველოში უფრო აქტიური პოლიტიკური გამოცდილების არსებობაზე მიუთითებს, რომელიც ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში დემოკრატიისკენ უფრო ნელ, მტკიცე პროგრესს ასახავს. თითქმის ნებისმიერ მოცემულ წელს, საქართველოში განვითარებული მოვლენები შესაძლოა როგორც დემოკრატიის პროგრესს, ასევე დემოკრატიის რეგრესს ასახავდეს. გარე დამკვირვებლისთვის ეს იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს დემოკრატიისკენ სვლა არამდგრადობითა და ცვალებადობით უფრო ხასიათდება, ვიდრე სტაბილურობითა და შედარებით ნელი ცვლილებებით. ამგვარმა მოსაზრებებმა უფრო გრძელვადიან ტენდენციებზე მორგებული პროგრამების შექმნა კიდევ უფრო გაართულა. დასავლელი ლიდერების-

თვის უმჯობესი იქნება, თუ ქართულ დემოკრატიას შეხედავენ როგორც ციკლებისა და განგრძობითობის პოლიტიკას, და არა როგორც დემოკრატიული კონსოლიდაციისკენ მიმართული გზისგან გადახვევის შემთხვევას.

ქართული დემოკრატიის განვითარების ციკლური აღქმა ქვეყანაში დემოკრატიის გაძლიერების მიმართ განსხვავებული პოლიტიკური მიდგომების ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს ერთპარტიული მმართველობის კონსოლიდაციის გამოცდილება აქვს, რასაც ყოველთვის ცალსახად უარყოფითი შედეგები ჰქონდა და ხშირად რეჟიმის ჩამოშლითა და ახალი ძალის გამოჩენით სრულდებოდა ხოლმე, როგორც ეს 1992, 2003 და 2012 წლებში მოხდა. ძალაუფლების ეს უეცარი ცვლილებები ხშირად დემოკრატიის მიღწევებად აღიქმებოდა, თუმცა ამის სანაცვლოდ, ისინი პოლიტიკური ციკლის ნაწილად უნდა იყოს დანახული. საქართველოში ეს ტენდენცია ყოველთვის აშკარა იყო: პირველად იყო ზვიად გამსახურდიას „მრგვალი მაგიდის“ აღმასვლა, ძალაუფლების კონსოლიდირება და დამხობა; შემდეგ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირის“ აღმასვლა და დამხობა, შემდეგ კი იგივე განმეორდა სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში. ჯერჯერობით რთული სათქმელია, მიჰყვება თუ არა „ქართული ოცნების“ ხელისუფლება იმავე ტენდენციას.

შესაბამისად, ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, საქართველო დემოკრატიას არც დაახლოებია და არც დაშორებია. იგი ნახევრად დემოკრატიულ და ნახევრად ავტორიტარულ პერიოდებს შორის მერყეობდა. დამოუკიდებლობის პირველი ათწლეულის განმავლობაში, საქართველო დიდწილად ნახევრად დემოკრატიული რეჟიმი იყო. ამ პერიოდში, სიტყვისა და შეკრების თავისუფლება არსებობდა, თუმცა, ამავდროულად, ქვეყანაში კორუფცია მძვინვარებდა, არჩევნები არადემოკრატიულად ტარდებოდა და სახელმწიფო საკმაოდ სუსტი იყო. ვარდების რევოლუციამ აღნიშნული მდგომარეობა შეც-

ვალა, მაგრამ არა ქვეყნის დემოკრატიასთან დაახლოებით, როგორც მაშინ ეს ბევრს ეგონა, არამედ ეტაპობრივად ქვეყნის ნახევრად ავტორიტარულ რეჟიმად გადაქცევით. უკვე 2006 წელს, შესამჩნევი გახდა, რომ საქართველო ნაკლებად თავისუფალი, თუმცა ამავდროულად ნაკლებად კორუმპირებული ხდებოდა.

ქართული პოლიტიკური განვითარების კიდევ ერთი ასსნა არსებობს. თუ საპრეზიდენტო განცხადებებს, საპარლამენტო დავებს, სამოქალაქო თავისუფლებების შეზღუდვებსა, თუ 2020 წლის ოქტომბერ/ნოემბრის არჩევნებს გვერდით გადავდებთ, სულ სხვანაირი საქართველოს სურათს დავინახავთ. ეს სურათი განგრძობითობას ასახავს. აღნიშნულ სურათში, მთავარი აქტორები იცვლებიან, თუმცა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ზოგადი ხასიათი ბევრად უფრო ნელა იცვლება. მართალია, რთულია არ დაეთანხმო, რომ საქართველო დღეს უფრო მდიდარი, სტაბილური და დემოკრატიული ქვეყანაა, ვიდრე ის თხუთმეტი ან ოცდახუთი წლის წინ იყო, თუმცა ეს ცვლილება ეტაპობრივად მოხდა და რეჟიმის კონსოლიდაციას უფრო ასახავს, ვიდრე რეჟიმის ცვლილებას.

ერთპარტიული მმართველობების კონსოლიდაცია და დამხობა და, ასევე, უფრო მეტ და უფრო ნაკლებ თავისუფლებას შორის მერყეობა ხარისხობრივ, და არა შინაარსობრივ, განსხვავებებს წარმოადგენს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ქართველების ცხოვრება, ზოგიერთი საზომით, სტაბილურად უმჯობესდებოდა. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, მუდმივ დოლარებში, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი 2008 წლიდან 2018 წლამდე 52%-ით გაიზარდა.¹ თუმცა, ცალკე აღებული ეს მონაცემები, რა თქმა უნდა, დემოკრატიული განვითარების არასაკმარის არგუმენტს წარმოადგენს. თუმცა, ქართული პოლიტიკის უკეთ გასაგებად და გასული

¹ GDP Per Capita: Georgia, The World Bank, <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.KD?locations=GE>.

კვირის, თვისა თუ წლის მოვლენებისთვის ზედმეტი მნიშვნელობის მინიჭების თანმხლები მეთოდოლოგიური სიძნელეების თავიდან ასარიდებლად, სრული სურათის დანახვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

დასკვნა

არსებობს სულ მცირე ხუთი განზომილება, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული მისწრაფებების საერთაშორისო კონტექსტი განსაზღვრა: პირველი, საქართველოს საგარეო პოლიტიკაში დემოკრატიის როლი და მნიშვნელობა; მეორე, დემოკრატიისადმი ქვეყნის ცვალებადი ერთგულება; მესამე, ქართულ დემოკრატიასა და რეგიონალურ საგარეო ურთიერთობებზე რუსეთის გავლენა; მეოთხე, ქართული დემოკრატიის მდგომარეობის შესახებ საერთაშორისო შეფასებები და რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობებზე საერთაშორისო კონტექსტის გავლენა და მეხუთე, საქართველოში საგარეო ჩართულობის ხარისხი და ბუნება, და საგარეო აქტორთა უნარი, გაიაზრონ საქართველოში დემოკრატიული დეფიციტი და მასზე შესაბამისი რეაგირება მოახდინონ. ყველა ამ განზომილებამ გასული ოცდაათი წლის განმავლობაში გარკვეული ცვლილებები განიცადა და ახალი, და ზოგჯერ გაუთვალისწინებელი, დაბრკოლებების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

საგარეო ძალების როლი საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაში არაერთგვაროვანი ხასიათისაა. ზოგიერთი ძალა, როგორცაა აშშ, საქართველოს უფრო დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას ცდილობდა მაშინ, როდესაც სხვები, პირველ რიგში კი რუსეთი, საქართველოსა და ქართული დემოკრატიისათვის ძირის გამოთხრას ისახავდნენ მიზნად. საქართველოს დასავლეთისგან უშუალოდ დემოკრატიის მხარდაჭერის მიმართულებით ათობით მილიონის, ხოლო საერთო

ჯამში, მილიარდობის ოდენობის დახმარება აქვს მიღებული. ამავდროულად, საქართველო მოსკოვის აგრესიული განწყობის სამიზნეც ყველაზე ხშირად გამხდარა, იქნებოდა ეს სამხედრო ინტერვენცია, თუ სხვა ქმედებები, რომლებიც საქართველოს შიდა პოლიტიკით მანიპულირებას ისახავდა მიზნად. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საქართველოს დემოკრატიული განვითარების ხარისხი შედარებით მცირე იყო, რაც ქვეყნის დემოკრატიის საერთო მდგომარეობაში მხოლოდ მინიმალური ცვლილებებით აისახა.

ისეთმა მნიშვნელოვანმა მოვლენებმა, როგორცაა 2003-2004 წლების ვარდების რევოლუცია და 2012 წლის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება, იმ მოსაზრების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რომ აღნიშნული წლების განმავლობაში, ქვეყნის დემოკრატიული განვითარება აქტიური და სწრაფი ხასიათის იყო. თუმცა, ფართო ხედვა არჩვენებს, რომ განგრძობითობა და ციკლები საქართველოს პოლიტიკურ განვითარებას უფრო უკეთესად ხსნის, განსაკუთრებით 1970-იანი წლების შუა პერიოდის შემდეგ. ქართული დემოკრატიის პარადოქსს ის წარმოადგენს, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანი არჩევნების, „რევოლუციისა“ და ომის პერიოდში, დემოკრატიული ძალისხმევის მიმართულებით დახარჯული ჭარბი დასავლური რესურსების მიუხედავად, უფრო ღრმა ანალიზი არჩვენებს, რომ საქართველოში ბევრი არც არაფერი შეცვლილა.

თავი 3

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც საგარეო პოლიტიკის აქტორი

სალომე მინესაშვილი

როგორც ტრეისი ჯერმანი და კორნელი კაკაჩია შესავალში აღნიშნავენ, 1991 წლიდან მოყოლებული, დასავლეთთან ახლო ურთიერთობები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად საყრდენს წარმოადგენს. თუმცა, საშინაო ველზე ამგვარი კურსის ღირებულებითი და იდენტობის ასპექტები კამათის საგანია, განსაკუთრებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის (სმე) წამყვან წრეებში. თეორიულად, ეკლესიის საქმიანობა საზოგადოების ზნეობრივ და სასულიერო განზომილებას ფარავს, სახელმწიფო კი პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაზე, ეროვნულ უსაფრთხოებასა და საგარეო პოლიტიკაზეა ორიენტირებული. თუმცა, ამგვარი განსხვავება იშვიათადაა ცხადი, ეკლესია და სახელმწიფო კი ხშირად იკვეთება, განსაკუთრებით ისეთი მაღალი რელიგიურობის მქონე ქვეყნებში, როგორც საქართველოა. 2014 წლის ეროვნული აღწერის თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა (84%) თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს; სხვა ჯგუფთა შორისაა მუსლიმები (10%), სომხეთის სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები (3%) და კათოლიკეები (0.5%).¹ ქართველების საკუთარი რელიგიურობის შეფასების მიხედვით, საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე რელიგიური ქვეყანაა. 2015 წელს, საქართველოს მოსახლეობის 94% თვლიდა, რომ რელი-

¹ 'General Population Census', National Statistics Office of Georgia, 2014
http://census.ge/files/results/Census_release_ENG.pdf

გია მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათ ცხოვრებაში.¹ ქართველთა შორის მართლმადიდებელი ეკლესია ყველაზე სანდო ინსტიტუტია.² მისი უკონკურენტო პოპულარულობის ფონზე, ეკლესიას საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის უნარი გააჩნია. მიმდინარე თავი საგარეო პოლიტიკასა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის არსებულ თანაკვეთას აღწერს და შეისწავლის, თუ რა გზებით ახდენს მართლმადიდებელი ეკლესია ზეგავლენას საგარეო პოლიტიკაზე. მართლმადიდებელი ეკლესია მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებს შორის არსებულ ურთიერთობებზე ზეგავლენის მოპოვებისკენ მიისწრაფოდა. ქრისტიანობა ქართული იდენტობის ინტეგრალური ნაწილია, რაც მუსლიმ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის დიდმა ისტორიამ განსაზღვრა. ამ თვალსაზრისით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის იყო საქართველოს საგარეო პოლიტიკის ნაწილი.

მართლმადიდებლური ეკლესიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის დონე საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვაგვარი იყო, რაც სახელმწიფოს პოლიტიკასა და როგორც უცხო ძალებთან, ასევე პატრიარქსა და სამეფო ლიდერებს შორის ურთიერთობებზე იყო დამოკიდებული. შუა საუკუნეების განმავლობაში, მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოს ფუნქციებს ავსებდა - იგი ჯარსა და მეფეებს აკურთხებდა და გარეშე მტრის წინააღმდეგ წარმოებული დაუმორჩილებლობის პროცესს უჭერდა მხარს. მეცხრამეტე საუკუნის რუსული მმართველობის დროს, ეკლესია ქართული იდენტობის სიმბოლოდ დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია რუსულმა ეკლესიამ შთანთქა, ხოლო მისმა რეპუტაციამაც იკლო, განსაკუთრებით კი სოფლად. საბჭოთა პერიოდში,

¹ 'Knowledge of and Attitudes toward the EU in Georgia', *Caucasus Research Resource Centres*, 2017, <http://caucasusbarometer.org/en/eu2017ge/codebook/>

² 'Survey of Public Opinion in Georgia', *International Republican Institute*, 2017, www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation_georgia_2017.03-general.pdf

საქართველოს ეკლესია განაგრძობდა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შევსებას, თუმცა ეს უკვე იმპერიული, ათეისტური სახელმწიფოს მჭიდრო კონტროლის ქვეშ ხდებოდა. 1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეკლესია ეტაპობრივად ჩამოყალიბდა ქართული საზოგადოების ყველაზე გავლენიან და სანდო ინსტიტუტად. მისი ჩართულობა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ახალ სიმაღლეს **2000-იან წლებში** აღწევს.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, საქართველოს საგარეო პოლიტიკა თავის ორბიტაში იზიდავდა სასულიერო აქტორებს. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, საქართველოს პროდასავლური საგარეო პოლიტიკა უფრო ინტენსიური გახდა. საქართველოს დასავლეთთან მიკუთვნებულობა **„ცივილიზაციურად“ აღიქმება** და ითვლება, რომ ქვეყანა „ევროპულ კულტურულ და ღირებულებათა სისტემას“ ეკუთვნის.¹ საქართველოს ევროპული იდენტობისკენ სწრაფვა კონტრასტს ქმნის ევრაზიულ, რუსულ და აზიურ იდენტობებთან, რომელიც ქართული მედიისა და პოლიტიკოსების მიერ ჩამორჩენილობასა და კონსერვატიზმთან **ასოცირდება**. რუსეთი აღქმულია, როგორც მთავარი „სხვა“, რომელიც პროგრესულ და ევროპულ საქართველოს წინააღმდეგობას უქმნის. მართლმადიდებლური ქრისტიანობა დიდ როლს ასრულებს ქართველობის იდეაში, რელიგია და ეკლესია კი ბუნებრივად ხდება იდენტობის გარშემო ბრძოლის ნაწილი.

თუმცა, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ხშირად დაძაბულ ურთიერთობაშია ამ იდენტობის ეკლესიისეულ ვერსიასთან. მაშინ, როდესაც საქართველოს პოლიტიკოსები დასავლურ ღირებულებებს ემხრობიან, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დასავლური იდეებისადმი მტრულადაა განწყობილი და მათ ტრადიციული ქრისტიანული ღირებულებე-

¹ 'Foreign Policy Strategy', Ministry of Foreign Affairs of Georgia, https://mfa.gov.ge/#str_m_03

ბების საპირისპიროდ აღიქვამს.¹ საქართველოს პროდასავლური საგარეო პოლიტიკა მართლმადიდებელ რუსეთს გამო-რიცხავს, რაც უკმაყოფილებას იწვევს მართლმადიდებელი ეკლესიის გარკვეულ ჯგუფებში, რომელიც ალიანსების შერჩევის პროცესში რელიგიას მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ისინი ამბობენ, რომ აღმოსავლური მართლმადიდებლობა საფრთხის ქვეშაა და დაცვას საჭიროებს. ამგვარი ხედვა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან სახლოებს და მას იმგვარ საგარეო პოლიტიკაში რთავს, რომლის მიზანსაც საქართველოს „დასავლური ღირებულებებისგან“ დაცვა წარმოადგენს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოს საგარეო პოლიტიკასთან ორი თვალსაზრისითაა დაკავშირებული. პირველ რიგში, იგი დაინტერესებულია საგარეო პოლიტიკის იმ საკითხებით, რომელიც ზნეობასა და ღირებულებებს შეეხება. 2014 წლის გაზაფხულზე, მართლმადიდებელი ეკლესია აქტიურად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობას, რომელიც 2014 წლის საქართველოსა და ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების წინააღმდეგ გასატარებელ რეფორმათა პაკეტის ნაწილი იყო. მართლმადიდებელი ეკლესიის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საპარლამენტო და საპრეზიდენტო დონეებზე გამართულ დისკუსიებში და აქტიურ ლობირებას სწევდნენ კანონპროექტის წინააღმდეგ. კანონპროექტი ევროკავშირთან ვიზის ფასილიტაციის წინაპირობა იყო და გამოხს ყველა ტიპის დისკრიმინაციას, მათ შორის ენის, სქესის, რელიგიისა და სექსუალური ორიენტაციის წინააღმდეგ. მართლმადიდებელი ეკლესია კანონს ეწინააღმდეგებოდა და ამბობდა, რომ იგი ქართული ტრადიციების წინააღმდეგ იყო მომართული და მომაკვდინებელ ცოდვას

¹ Salome Minesashvili, 'Orthodoxy as Soft Power in Russia-Georgia Relations', in *Religion and Soft Power in the South Caucasus*, ed. Ansgar Joedicke (London: Routledge, 2018), p. 42.

განასახიერებდა, რადგან შეიცავდა სიტყვებს: „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“.¹ თუმცა, მიუხედავად დასავლეთისადმი იდეოლოგიური წინააღმდეგობისა, მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც ინსტიტუტს, დასავლეთის, როგორც პოლიტიკური მოკავშირისადმი **ღია წინააღმდეგობა არ გამოუხატავს**. პირიქით, პატრიარქი დადებით განცხადებებს აკეთებს საქართველოს ევროპული გზის სიქველზე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არ არის ერთგვაროვანი ინსტიტუტი და სხვადასხვა ჯგუფების პოზიციები ხშირად ურთიერთწინააღმდეგობრივია.

მეორე გზა, რომლის მეშვეობითაც მართლმადიდებელი ეკლესია საგარეო პოლიტიკაში ერთვება, არის მისი, როგორც დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური მოთამაშის **როლი**. მაგალითისთვის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კარგ ურთიერთობებს ინარჩუნებს რუსეთთან და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან **2008** წლის რუსულ-ქართული ომის შემდეგაც კი, რომლის შემდეგაც ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დასრულდა. **2008** და **2016** წლებს შორის, პატრიარქი ხუთჯერ ესტუმრა რუსეთს რელიგიურ მისიებზე. იგი შეხვდა რუს პოლიტიკოსებს და წინადადებით გამოვიდა იმის თაობაზე, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ქართულ-რუსულ კონფლიქტში მედიატორის როლი შეესრულებინა. **2008** წლის დეკემბერში, პატრიარქი ეწვია მოსკოვს, სადაც იგი რუსეთის პატრიარქის გასვენებას დაესწრო და პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევსაც შეხვდა. ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის თანახმად, ეს ვიზიტი წინასწარ იყო განხილული და მო-

¹ 'Georgia's Orthodox Church Opposes Anti-discrimination Bill', *Radio Free Europe*, 29 April 2014, www.rferl.org/a/georgias-orthodox-church-opposes-antidiscrimination-bill/25366250.html

წონებული საქართველოს მთავრობის მიერ.¹ თუმცა, ზოგიერთი შემდგომი ვიზიტი არ იყო შეთანხმებული მთავრობასთან.² ეკლესია, როგორც საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებელი მოთამაშე, ხშირად იღებს დამოუკიდებელ ინიციატივას. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დაუდანაშაულებიათ პრორუსული საგარეო პოლიტიკური კურსის აღსრულებაში, მაგრამ მისი ინტერესები და მოტივაციები კომპლექსურია. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო პოლიტიკა ინტერესების მიხედვით **იკვლება**, საკუთრივ ინტერესები კი ცვალებად გარემოებებთან ერთად შეიძლება შეიცვალოს. მიმდინარე თავი შეეცდება ახსნას, თუ რა დონეზე ახდენს ზეგავლენას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩართულობით; და რა დონეზე უხდებათ საქართველოს საგარეო პოლიტიკის შემოქმედებს ეკლესიის პოზიციებისთვის ანგარიშის განევა.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, ეს თავი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ქცევასა და დამოკიდებულებებს **შეაფასებს**, რომელიც საგარეო პოლიტიკის შესახებ მის **განცხადებებშია გამოსატყული**. იგი შეეცდება დაადგინოს, თუ რა დონეზე გააჩნია მართლმადიდებელი ეკლესიის ხედვებს გავლენა სამთავრობო პოლიტიკაზე. პირველ სექციაში შემოთავაზებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო პოლიტიკაში ჩართულობის ისტორიული მიმოხილვა. იგი მოკლედ მიმოიხილავს გრძელ პერიოდს ადრინდელი ეკლესიის ისტორიიდან **2003 წლამდე**. მეორე სექცია ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდს **შეეხება**, როდესაც მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პო-

¹ Tamara Grdzeldze, 'The Orthodox Church of Georgia: Challenges under Democracy and Freedom (1990-2009)', *International Journal for the Study of the Christian Church*, 10:2 (2010), pp. 160-75.

² 'Georgian Foreign Ministry Cannot Evaluate the Visit of Catholicos-Patriarch in Moscow', *Interpressnews*, 28 November 2011, <http://bit.ly/2pFJhUW>

ლიტიკურ ცხოვრებაში უფრო საჯარო და უფრო გავლენიანი ხდება. ხოლო დასკვნა დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში საგარეო პოლიტიკაში მართლმადიდებელი ეკლესიის ქცევების ძირითად ტენდენციებს **შეაჯამებს.**

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო პოლიტიკაში ჩართულობის ისტორია

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საბჭოთა კავშირამდე

ქართველობის იდეა ყოველთვის მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული რელიგიასთან, არა მარტო თვითონ **ქართველების,** არამედ მათი მეზობლების თვალშიც. ეკლესია ყოველთვის ცენტრალურ ადგილს იკავებდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი საქართველოს ურთიერთობებში მეზობელ ძალებთან, როგორც იყო ბიზანტიის, სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიები. შუა საუკუნეების სპარსული, არაბული, მონღოლური და თურქული შემოსევებისას, საქართველოს ეკლესია უცხო **ძალების** ერთ-ერთი მთავარი სამიზნე იყო. თუმცა, ნაკლები შვების მომგვრელი გამოდგა რუსეთის იმპერიაც მეცხრამეტე საუკუნეში, რომელსაც ქართული რელიგიური ავტონომიისადმი მტრული დამოკიდებულება გააჩნდა. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, როგორც ინსტიტუტმა, დარტყმა მიიღო, სამღვდლოება კი სისტემატურად იდეენებოდა.

საქართველომ მართლმადიდებელი ქრისტიანობა მეოთხე საუკუნეში მიიღო. იგი დაფუძნდა როგორც სახელმწიფო ეკლესია, რომელიც მეხუთე საუკუნეში მეტწილად თვითმმართველი, ხოლო მეშვიდე საუკუნეში სრულად თვითმმართველი **გახდა.** მეთერთმეტე საუკუნეში, საქართველოს მართლმადი-

დებელმა ეკლესიამ სრულ ავტოკეფალიას მიაღწია. ისტორიკოს ზაზა აბაშიძის თანახმად, პირველი პატრიარქის, მელქისედეკ I-ის (1010-33) კათალიკოსის ტახტზე ასვლის შემდეგ, „ეკლესია სრულად დამოუკიდებელი იყო საშინაო და საგარეო ურთიერთობებში“.¹ მეთერთმეტე საუკუნეში, მელქისედეკის კონსტანტინოპოლში ვიზიტის შემდეგ, საქართველოს საპატრიარქო ოფიციალურად იქნა აღიარებული, როგორც დამოუკიდებელი ეკლესია.²

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დიდი ხანია ქართული ღირებულებების სიმბოლოა, რაც რელიგიურ ჩვეულებებში, ტრადიციებში, ფესტივალებში, მუსიკაში, ლიტურგურასა და სახვით ხელოვნებაშია გამოხატული. საგარეო ძალთა მიერ განხორციელებული ჩაგვრის პერიოდში, ეკლესია ქართული კულტურული იდენტობის ცენტრად და, აგრეთვე, თვით-გადარჩენის მექანიზმად გადაიქცა. ეკლესიამ არაერთგზის მიიღო აქტიური მონაწილეობა უცხოელ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში.³ მაგალითისთვის, საქართველოსა და ბიზანტიის ომისას მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ეკლესიამ საქართველოს რეგიონებში სამხედრო ერთეულები შეკრიბა.⁴ საბერძნეთის ათონის მთის ივერთა მონასტრის წინამძღოლი, იერარქი გიორგი მთაწმინდელი, კონსტანტინოპოლში მეფე ბაგრატ IV-ის დელეგაციის მნიშვნელოვანი წევრი იყო, რომელიც 1054-57 წლებში მოლაპარაკებებსა და შეხვედრებს მართავდა.⁵ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები პირდაპირ მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვაში. დავით IV აღ-

¹ Zaza Abashidze, 'Abolition of Autocephaly and Formation of the Exarchate, 1801-1840s', in *Witness through Troubled Times: A History of the Orthodox Church of Georgia, 1811 to the Present*, ed. Tamara Grdzeldze, Martin George and Lukas Vischer (London: Bennet & Bloom, 2006).

² Anania Japaridze, 'sakartvelos eklesiis mogle istoria' [Short History of Georgian Church], *Meufe Anania*, <https://bit.ly/2WpfDEF>

³ Grdzeldze, p. 162.

⁴ Japaridze, p. 26.

⁵ *Ibid.*, p. 27.

მაშენებელმა (1073-1125) ახალი თანამდებობა შექმნა, რომელსაც მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ეწოდა და ჭყონდიდის ეპისკოპოსის საეკლესიო თანამდებობასა და კანცლერის საერო თანამდებობებს აერთიანებდა. ამ თანამდებობის მპყრობელი თავისი გავლენით სამეფოში მეორე პირი იყო და საგარეო პოლიტიკაში განსაკუთრებულად დიდი გავლენით სარგებლობდა.

ადრეულ მეცხრამეტე საუკუნეში, მართლმადიდებელი მფარველის ძიებაში მყოფი აღმოსავლეთ საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთის იმპერიას. თუმცა, ქართული მონარქიის გაუქმება და თვითმმართველობის უფლებების ჩამორთმევა მოულოდნელი იყო და ქართველი ელიტების ღრმა წყენის საგანი გახდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ეს რთული ურთიერთობა იყო. 1811 წელს, ეკლესიამ დამოუკიდებლობის ფორმალური სტატუსი დაკარგა და მას შემდეგ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მუდმივი ზენოლის ქვეშ იმყოფებოდა. ეკლესიის ძალის შემცირებამ პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი როლიც შეასუსტა, მაგრამ ცალკეული წევრები რუსულ პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდნენ. 1801 წელს, თბილისში შევიდა ცარისტული ჯარები, რომელთაც წმ. ნინოს ჯვარი, დაცვისა და ღვთაებრივი წყალობის სიმბოლო მიუძღოდა წინ.¹ ეკლესიის წევრებმა სიამოვნებით მიიღეს რუსეთის წარმომადგენლები, რომლებიც, ითვლებოდა რომ, საქართველოს მუსლიმი მტრებისაგან დაიცავდნენ. ნეკრესის არქიეპისკოპოსმა ამბროსიმ მაგალითად, თავის სამწყსოს ცარისტული რუსეთის ჯარის შემოსვლა საქართველოს გადარჩენის გზად განუმარტა და სიხარულისკენ მოუწოდა.²

მაგრამ, ამგვარი ოპტიმიზმი არ გამართლდა. რუსეთსა და საქართველოს შორის გაფორმებული გეორგიევსკის ტრაქტატის (24 ივლისი 1783) პირობების მიუხედავად, ქართლ-კახე-

¹ Abashidze, p. 113.

² Quoted in Grdzeldze, p. 171.

თის სამეფო გაუქმდა, 1811 წელს კი რუსეთის იმპერიამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა. ათ წელიწადში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის წმინდა სინოდს დაექვემდებარა. პატრიარქი რუსმა ეგზარქოსმა ჩაანაცვლა.¹ რუსეთის იმპერია საქართველოს ეკლესიის ყველა საქმეში ერეოდა და ცენტრალიზაციის „რეფორმებს“ ატარებდა. ეკლესიის საკუთრება სახელმწიფოს გადაეცა, ქართული ენა კი თითქმის მთლიანად აღიკვეთა საეკლესიო მსახურებიდან.²

1811 წელს ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ქართველი მღვდელმსახურები მისი აღდგენისათვის იბრძოდნენ. წინააღმდეგობის ფარგლებში, ეს საკითხი სანქტ-პეტერბურგშიც იქნა წამოწეული, არა მხოლოდ რუსული ეკლესიის წინაშე, არამედ საერო მმართველებთანაც.³ მაგრამ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგობა ცუდად იყო ორგანიზებული, ეკლესია კი სუსტი. ეფექტიანი ინსტიტუციური წინააღმდეგობა არც კი განიხილებოდა. ნაბიჯები, ძირითადად, ისევ ეკლესიის ინდივიდუალურმა წევრებმა გადადგეს. ქართული ეკლესიების დაკეტვით, მღვდელმსახურების გაძევებითა და ახალი გადასახადების დაწესებით გამოწვეული უკმაყოფილება 1918 წელს დასავლეთ საქართველოში გაფიცვისა და შეიარაღებული აჯანყების საფუძველი გახდა. ეკლესიის წარმომადგენლებმა ამბოხებაში მიიღეს მონაწილეობა. ორი იერარქი, ქუთაისის მიტროპოლიტი დოსითეოსი და გელათის მიტროპოლიტი ეუფემიოსი ამბოხების ხელმძღვანელობაში დაადანაშაულეს.⁴ რუსიფიკაციის წინააღმდეგ დაუმორჩილებლობის ერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მაგალითისთვის, საეკლესიო პირები, გაბრიელ ქიქოძე და ალექსანდრე ოქროპირიძე,

¹ Abashidze, p. 120.

² Ibid., p. 127.

³ Ibid., p.111.

⁴ Ibid., p.129.

თეოლოგიური სკოლებიდან ქართველი მასწავლებლების გა-
თავისუფლების გამო **ეგზარქოსს მკაცრად აკრიტიკებდნენ.**¹

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, ეკლესიის ავტოკეფა-
ლიის საკითხი საქართველოს ეროვნული მოძრაობის ცენტრა-
ლურ ნაწილად გადაიქცა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ედგა სა-
თავეში. ეროვნული მოძრაობა აერთიანებდა სასულიერო პი-
რებს, რომელთა შორის იყვნენ ეპისკოპოსები კირიონ საძაგ-
ლიშვილი და ლეონიდე ოქროპირიძე, არქიმანდრიტი ამბროსი
ხელაია და არქიმანდრიტი კალისტრატე ცინცაძე.² რუსეთის
მთავრობას ემინოდა, რომ ავტოკეფალიის აღდგენას პოლიტი-
კური დამოუკიდებლობის მოთხოვნებიც მოჰყვებოდა და ამი-
ტომ, საგამოძიებო კომისიებს აჭიანურებდა, ქართველთა პე-
ტიციებს კი ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა.³ ავტოკეფალიის
აღდგენა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღ-
დგენამდე (1918 წლის 26 მაისი) ცოტათი ადრე მოხდა. 1917
წლის მარტში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში გამოცხ-
ადდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფა-
ლია მღვდელმსახურებისა და ქართველი პოლიტიკური ლიდე-
რების თანამშრომლობით, რომელთა შორის იყო ნოე ჟორდა-
ნია, სოციალ-დემოკრატი პოლიტიკოსი და საქართველოს დე-
მოკრატიული რესპუბლიკის (1918-21) მომავალი ლიდერი. რუ-
სეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ უარი თქვა აღედგინა
ევქარისტიული კავშირი საქართველოს მართლმადიდებელ ეკ-
ლესიასთან. ავტოკეფალიის აღდგენას პოლიტიკური თავი-
სუფლების აღდგენა მოჰყვა. მართლმადიდებელმა ეკლესიამ

¹ Eldar Bubulashvili, 'The Georgian Exarchate, 1850-1900', in *Witness through Troubled Times: A History of the Orthodox Church of Georgia, 1811 to the Present*, ed. Tamara Grdzeldze, Martin George and Lukas Vischer (London: Bennet & Bloom, 2006).

² Gocha Saitidze, 'Between the Two Revolutions, 1901-1917' in *Witness through Troubled Times: A History of the Orthodox Church of Georgia, 1811 to the Present*, ed. Tamara Grdzeldze, Martin George and Lukas Vischer (London: Bennet & Bloom, 2006).

³ *Ibid.*, p. 183.

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური როლი დაიკავა.¹ თუმცა, მის გავლენას ზღუდავდა ნოე ჟორდანიას ახალი სოციალისტური მთავრობის პოლიტიკა, რომელიც ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევების რწმენას ემყარებოდა. მთავრობამ განაცხადა, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას არ ექნებოდა არავითარი პრივილეგია, რაც მას სხვა რელიგიურ ინსტიტუტებზე უფრო ზევით დააყენებდა და სკოლებში რელიგიური სწავლება აკრძალა.²

1921 წელს, დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდს საბჭოთა ანექსია მოჰყვა, რომლის შემდეგაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კიდევ ერთხელ გახდა სასტიკი ჩაგვრის საგანი. მართლმადიდებელმა ეკლესიამ განაგრძო წინააღმდეგობის გაწევა და 1922 წელს პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ ღია წერილით მიმართა გენუის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციას, რომელიც პირველი მსოფლიო ომის პერიოდში წარმოშობილი რეპარაციის საქმეებს განიხილავდა. პატრიარქმა ოცდარვა დამსრე სახელმწიფოს მოუწოდა არ დაენებებინათ მისი ქვეყანა საბჭოთა რუსეთისათვის:

ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად ჰგრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღეს დღეობით ერთადერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება.³

საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარი უხერხულ სიტუაციაში ჩავარდა. პატრიარქი ეკლესიის სხვა წინამძღო-

¹ Sergo Vardosanidze, 'Restoration of Autocephaly and Times of Trial, 1917-1952', in *Witness through Troubled Times: A History of the Orthodox Church of Georgia, 1811 to the Present*, ed. Tamara Grdzeldze, Martin George and Lukas Vischer (London: Bennet & Bloom, 2006).

² *Ibid.*, p. 201.

³ Quoted in Vardosanidze, p. 204.

ლებთან ერთად დააპატიმრეს, ეკლესიის შევიწროება კი დარჩენილი ათწლეულის განმავლობაში გაგრძელდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საბჭოთა კავშირში

საბჭოთა პერიოდის განმავლობაში, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ვერ შეძლო სახელმწიფოსგან რაიმე სახის ავტონომიის შენარჩუნება. თუმცა, საბჭოთა მთავრობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საგარეო პოლიტიკის საჭირო ინსტრუმენტად განიხილავდა. 1921 წლის შემდეგ, საქართველოს რელიგიური პოლიტიკა მოსკოვიდან იყო ნაკარნახევი. საბჭოთა მმართველობის პირველი ორი ათწლეულის განმავლობაში, საბჭოთა კანონებმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მკვეთრად დაასუსტა როგორც ეკონომიკურად, ასევე სამართლებრივად. საქართველოს ეკლესია საგარეო რელიგიური კავშირების შენარჩუნებას შეეცადა, თუმცა, ამას დიდი შედეგი არ გამოუღია. 1920-იან წლებში, მართლმადიდებელი ეკლესიის ლიდერების მიერ კონსტანტინოპოლის ეკუმენური საპატრიარქოსთვის მიწერილი წერილები უპასუხოდ რჩებოდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციის გათვალისწინების გამო, რომელიც უარს აცხადებდა ელიარებინა ქართული ავტოკეფალია. თუმცა, მართლმადიდებელმა ეკლესიამ გარკვეული მხარდაჭერა მიიღო გაერთიანებული სამეფოდან, როდესაც კენტერბერის არქიეპისკოპოსმა და ინგლისის მთავარეპისკოპოსმა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სოლიდარობა გამოუცხადა.¹

მეორე მსოფლიო ომის დროს, მართლმადიდებელი ეკლესია შეეცადა თავისი სტატუსის გასაუმჯობესებლად პატრიოტული გრძნობები გამოეყენებინა და საბჭოთა სახელმწიფოს

¹ Ibid., p. 210.

საგარეო პოლიტიკას მყარი მხარდაჭერა გამოუცხადა. როდესაც 1941 წელს გერმანია საბჭოთა კავშირს დაესხა თავს, პატრიარქმა კალისტრატემ საბჭოთა მთავრობას მისწერა და განაცხადა, რომ ეკლესია ამ პატრიოტულ საქმეს მხარს უჭერდა. ეკლესიამ წითელ არმიას მხარდაჭერა გამოუცხადა, 1943 წელს კი სტალინის განკარგულებით ეკლესიის ავტოკეფალიური სტატუსი აღდგა.¹ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ არსებული შეზღუდვები შესუსტდა. მაგრამ ეკლესია კვლავ სუსტი იყო, მისი წევრობა კი მნიშვნელოვნად შემცირებული. 1950-იანებსა და 1960-იანებში, განსაკუთრებით კი ნიკიტა ხრუშჩოვის წინამძღოლობით, სსრკ-მ აქტიური და აგრესიული ანტირელიგიური კამპანია აწარმოა.² ხრუშჩოვის პერიოდში (1950-64), სახელმწიფო ეკლესიის საქმეებში საბჭოთა საზედამხებველო ორგანოს მეშვეობით ერთვებოდა, რომელსაც რელიგიურ საქმეთა საბჭო ერქვა. ამავე დროს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მართლმადიდებელ მსოფლიოში უფრო გააქტიურდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანებით. თუმცა, მას საბჭოთა კავშირის, ან საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებზე ძალიან შეზღუდული გავლენა ჰქონდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში საბჭოთა გავლენის საჭირო ინსტრუმენტი იყო.³ 1965 წელს, ქართველმა პატრიარქმა ეფრემმა, ტიპურ სტილში შეაქო კომუნისტური პარტიის პროგრამა და განაცხადა, რომ ეკლესიის წარმომადგენლები მისი მყარი მხარდამჭერები იყვნენ.⁴

¹ Ibid., p. 220.

² Stephen F. Jones, 'Soviet Religious Policy and the Georgian Orthodox Church: From Krushchev to Gorbachev', *Religion, State and Society: the Keston Journal*, 17:4 (1989), pp. 292-312.

³ Ibid., p. 297.

⁴ Ibid., p. 298.

1970-იან წლებში, ედუარდ შევარდნაძემ, როგორც საქართველოს პარტიის ახალმა ხელმძღვანელმა, ანტირელიგიური კამპანია წამოიწყო და რელიგიური ტრადიციების ჩასანაცვლებლად ახალი საბჭოთა ორგანიზაციები და ფესტივალები ჩამოაყალიბა. ანტირელიგიურმა კამპანიამ ქართველი რელიგიური მიმდევრები მინისქვეშეთში გადაიყვანა. ახალგაზრდებს შორის რელიგიურობამ ზრდა დაიწყო. 1970-იან წლებში ეკლესიას შიდა პრობლემები ჰქონდა, რომელთა შორის იყო კორუფცია და პატრიარქის არჩევნებთან დაკავშირებული დავები. კავებებში, რომელსაც ინფილტრირებული ჰქონდა მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღი, არჩევნების გაყალბება შეძლო. სიტუაცია შეიცვალა გვიანდელ 1970-იან წლებში, როდესაც ილია შიოლაშვილი აირჩა და პატრიარქი ილია II **ენოდა**. ეკლესიამ ქართული კომუნისტური ხელმძღვანელობის საპირწონედ **თავისი პოზიციები გააუმჯობესა**. საპატრიარქოში საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი **ჩამოყალიბდა**. წინა წლებში, შეზღუდვების გამო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობა ეკუმენურ მოძრაობაში მინიმალური იყო, მაგრამ 1970-იანებში საერთაშორისო ურთიერთობები გააქტიურდა, როდესაც ქართველი მღვდელმსახურები რამდენიმეჯერ გაემგზავრნენ ევროპასა და აშშ-ში. 1979 წელს, პატრიარქი ილია II ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ექვსი პრეზიდენტიდან ერთ-ერთი **გახდა**, რამაც როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე **მის საზღვრებს გარეთ ეკლესიის იმიჯი აამაღლა**. ილია II-მ კავშირები გააღრმავა ანგლიკანურ და სხვა პროტესტანტულ ეკლესიებთან, მათ შორის შვეიცარიასა და გერმანიასთან და 1980-იან წლებში ხელახლა დაამყარა ურთიერთობები რომის კათოლიკურ ეკლესიასთან. 1970 წელს, ილია II პაპ იოანე-პავლე II-თან შესახვედრად **ვატიკანს ეწვია**. თუმცა, ეკლესიას კვლავ უწევდა ოფიციალურ კურსთან თანხვედრაში ყოფნა, მათ შორის საგარეო პოლიტიკაში. ამდენად, ეკლესიამ დაგმო ლიბანის მემარჯვენე გვარდიები, ვიეტნამში ჩინეთის შეჭრა, ნეიტრონის ბომბი და აქებდა საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პროგრამას. საშინაო პოლიტიკაში, ეკ-

ლესია აღნიშნავდა რუსეთის იმპერიასთან 1783 წელს დადებულ გეორგიევსკის ტრაქტატს. თუმცა, ერთ შემთხვევაში, პატრიარქი სახელმწიფო პოლიტიკის წინააღმდეგ წავიდა და 1980 წელს ხელი მოაწერა მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს განცხადებას, რომელიც ავღანეთში შეჭრას გამოხდა.¹

გორბაჩოვის ეპოქაში, გარემოებები გასაოცრად გამართივდა ეკლესიის სასარგებლოდ, სამართლებრივი წინააღმდეგობები კი გაუქმდა. ეკლესიის ყოფილი წევრები ციხეებიდან და შრომითი ბანაკებიდან გათავისუფლდნენ და ეკლესიას დაუბრუნდნენ. მაგრამ სახელმწიფო კონტროლი დარჩა, ისევე, როგორც ბრალდებები ეკლესიასა და „კავებეს“ შორის კავშირებზე. გვიანდელ 1980-იან წლებში, ქართული ნაციონალისტური მოძრაობები გახშირდა და ეკლესიამ სულ უფრო მეტად პატრიოტული პოზიციები დაიკავა. ეკლესიის ზოგიერთი წევრი საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ კრიტიკული პოზიციებითაც გამოირჩეოდა და მას ანტიეროვნული პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულებდა.² 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ეკლესია კიდევ ერთხელ გახდა ეროვნული ერთობის ძლევამოსილი სიმბოლო. შემდეგი რამდენიმე წლის განმავლობაში, რიგით ქართველთა შორის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენა მკვეთრად გაიზარდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია: 1991-2003

დამოუკიდებლობის შემდეგ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ხელახლა გამოჩნდა, როგორც ძლიერი ინსტიტუტი, რომელმაც შეძლო და საბჭოთა კავშირის ჩამოშლის, სუსტი ინსტიტუტების, კორუფციის, ეკონომიკური და

¹ Ibid., p. 306.

² Ibid., p. 309.

სოციალური კრიზისის შედეგად შექმნილი იდეოლოგიური ვაკუუმი **შეავსო**. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გახდა თანმიმდევრულად მალალი საზოგადოებრივი ნდობის მქონე ერთადერთი ინსტიტუტი. მისი საგარეო პოლიტიკური ჩართულობა ამ დროს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი იყო.¹ პრეზიდენტმა გამსახურდიამ (1991-92) დასავლეთი დაადასაშაულა, რომ იგი არ ეხმარებოდა დამოუკიდებელ საქართველოს და ძლიერი ნაციონალისტური საგარეო პოლიტიკური კურსი აირჩია, რამაც საქართველო საერთაშორისო პოლიტიკიდან **გარიყა**. 1992 წელს ძალაუფლებიდან მის ჩამოშორებამდე, გამსახურდია საერთო „კავკასიური სახლის“ იდეას ესწრაფოდა, რომელიც ადგილობრივი კავკასიური კულტურების დასავლური გავლენისაგან დაცვასთან **ასოცირდებოდა**.² გამსახურდია ეწინააღმდეგებოდა საქართველოს საპატრიარქოს, როგორც საბჭოთა უსაფრთხოების სამსახურის ყოფილ აგენტებს, მაგრამ მისი რელიგიურ-მესიანური რიტორიკა ეკლესიის გზავნილებთან **იყო თანხვედრაში**.³ სახელმწიფოს პოლიტიკა ეკლესიის ნარატივს **დაემთხვა**, მაგრამ სახელმწიფოს თვითონ აკლდა კარგად განსაზღვრული საგარეო პოლიტიკა. მას რთული ურთიერთობები ჰქონდა რუსეთთან, რაშიც ეკლესია შედარებით ნეიტრალურ როლს იწარჩუნებდა. 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებისას, როდესაც ქართველები დამოუკიდებლობისათვის გამოვიდნენ და საბჭოთა ჯარის ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლი გახდნენ (ოცდაერთი ადამიანი **მოკლეს** საქართველოს პარლამენტის წინ), პატრიარქმა დემონსტრანტებს კონფლიქტის თავიდან არიდებისკენ **მოუწოდა**.

¹ Stephen F. Jones, 'The Role of Cultural Paradigms in Georgian Foreign Policy', in *Ideology and National Identity in Post-Communist Foreign Policies*, ed. Rick Fawn (London: Frank Cass, 2004).

² Rick Fawn, 'Ideology and National Identity in Post-Communist Foreign Policies', *Journal of Communist Studies and Transition Politics*, 19:3 (2003), pp. 1-41.

³ Eka Chitanava, 'The Georgian Orthodox Church: National Identity and Political Influence', in *Traditional Religion and Political Power*, ed. Adam Hug (London: The Foreign Policy Centre, 2015).

1992 წლის შემდეგ, როდესაც შევარდნაძე მოვიდა ძალაუფლებაში, ეკლესიის ავტორიტეტმა მას მნიშვნელოვანი ბერკეტი მისცა. მიუხედავად შევარდნაძის პოპულარული მხარდაჭერისა (პრეზიდენტად იქნა არჩეული 1995 წელს), 1990-იანების მეორე ნახევარში სახელმწიფოსა და ეკლესიის საგარეო პოლიტიკური გზები გაიყო. სახელმწიფოს პოლიტიკა პროდასავლური გახდა და საქართველომ 2002 წელს **ნატოს** წევრობაზე შეიტანა განცხადება. მაგრამ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დასავლეთის კულტურული და იდეოლოგიური მხარე უარყო, პატრიარქმა კი საგარეო პოლიტიკური ნეიტრალურობის იდეა გააჟღერა.¹ გაზრდილმა ნაციონალიზმმა და ფუნდამენტალისტური ჯგუფების გამოჩენამ როგორც ეკლესიის შიგნით, ასევე მის გარეთ, ეკლესია წაახალისა, რომ ევროპულ ქრისტიანულ ეკლესიებთან და ორგანიზაციებთან კავშირი გაენწყვიტა. 1997 წელს, შიომღვიმის მონასტრის, ბეთანიის მონასტრის, დავით გარეჯის ლავრის, ზარზმის მონასტრისა და შემოქმედის ეპარქიის წარმომადგენელმა იერარქებმა საქართველოს ეკუმენური პლატფორმებიდან **გასვლა მოითხოვეს** იმ მიზეზით, რომ მიუღებელი იყო მართლმადიდებელ ქრისტიანებს პროტესტანტებისა და კათოლიკეების გვერდით **ელოცათ**. ეს სქიზმის საფრთხეს ქმნიდა. 1997 წლის მაისში, ქართული ეკლესია ეკლესიების მსოფლიო საბჭოდან და ევროპულ ეკლესიათა კონფერენციიდან **გამოვიდა**, თუმცა მან აგრეთვე თანამდებობებიდან გაათავისუფლა ამბოხებული მღვდელმსახურები.² მას შემდეგ, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დასავლურ ეკლესიებთან **ურთიერთობები არსებითად შეწყვიტა** და დასავლეთის წინააღმდეგ მყარი იდეოლოგიური პოზიციები დაიკავა.

¹ Ibid., p. 43.

² 'Meeting Record of Georgian Orthodox Church Synod', 20 May 1997. In author's possession.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო პოლიტიკა 2003 წლის შემდეგ

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, სახელმწიფო პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა: იგი მკაფიოდ პროდასავლური და ანტირუსული გახდა. მთავრობისაგან განსხვავებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მკაფიოდ ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკური პოზიციებისგან თავს იკავებდა, სულ მცირე ოფიციალურ დონეზე. იგი უარყოფდა რუსეთთან მიმართებით მხოლოდ ცალმხრივ ურთიერთობას და რუსეთსა და დასავლეთს შორის დიქოტომიის თავიდან აცილებას ცდილობდა, როდესაც 2014 წელს პატრიარქმა საქართველოს ევროკავშირის წევრობას მხარდაჭერა გამოუცხადა, მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ევროპულ სტრუქტურაში განწევრიანება არ აწესებდა შეზღუდვებს სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე (როგორცაა რუსეთის მიერ დომინირებული ევრაზიული ეკონომიკური კავშირი).¹ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დასავლეთის მიმართ ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულებას გამოხატავდა, როგორც მისი მხარდამჭერი, ასევე მისი საწინააღმდეგო სენტიმენტების გაჟღერებით, და ცდილობდა შეეცხო ის ნაპრალი, რომელიც საქართველოს მთავრობამ რუსეთთან ურთიერთობებში დატოვა. 2003 წლის შემდეგ, ეკლესიამ რუსეთთან ურთიერთობებში შედარებით უფრო აქტიური როლი შეიძინა, მაგრამ დასავლურ საგარეო პოლიტიკასთან მიმართებით მისი ჩართულობა ზოგადად უფრო საშინაო დონეზე - დასავლურ ღირებულებებზე თავდასხმით არის გამოხატული.

¹ 'Patriarch: Church Will Do Everything to Make Georgia EU Member', *Civil Georgia*, 4 March 2014.

ურთიერთობები დასავლეთთან

ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში, საგარეო პოლიტიკის საკითხებზე სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული განსხვავებები გაღრმავდა. ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკა სამოქალაქო ნაციონალიზმს ეფუძნებოდა, ან როგორც გიგა ზედანია მას უწოდებს, „რევოლუციურ ნაციონალიზმს“, მოქალაქეობის ინკლუზიური ფილოსოფიით, მაგრამ ასევე „მეგობარსა“ და „მტერს“ შორის არსებული სხვაობის მომატებული განცდით. პრეზიდენტ სააკაშვილის მეთაურობით განხორციელებული სახელმწიფო მოდერნიზაცია მჭიდროდ გადაეჯაჭვა საგარეო პოლიტიკას, განსაკუთრებული აქცენტით გლობალიზაციაზე, დასავლურ ეკონომიკასა და პოლიტიკურ ღირებულებებთან კავშირებზე.¹ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ საზოგადოებას ალტერნატიული იდენტობა შესთავაზა, რომელიც ეფუძნებოდა ეთნიკურ ნაციონალიზმს, თეოლოგიურ მტკიცებებში გამაგრებული ბიოლოგიური ტერმინოლოგიით. ამ ნარატივის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მართლმადიდებლობამ გადაარჩინა „ქართული სისხლი“, „ქართული გენები და ქართული იდენტობა...“² იდეოლოგიურად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეწინააღმდეგება იმ ღირებულებებს, რომლებიც პროდასავლურ საგარეო პოლიტიკას უდევს საფუძვლად. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამ ღირებულებებს დაჟინებით განმარტავს, როგორც „ყალბ ლიბერალიზმს“. ამგვარი ლიბერალური ღირებულებების უარყოფა სიახლეს არ წარმოადგენს აღმოსავლური მართლმადიდებლობისათვის (სხვათა შორის, არც კათოლიციზმისთვის), მაგრამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შემთხვევაში განსხვავება იმაშია, რომ საქარ-

¹ Giga Zedania, 'The Rise of Religious Nationalism in Georgia', *Identity Studies in the Caucasus and the Black Sea Region*, 3 (2011)

² Ibid., p. 125.

თველოს ეკლესია ცდილობს, „საზიანო“ ლიბერალური იდეები ევროპასა და აშშ-ს დაუკავშიროს. დასავლური ქვეყნები წარმოჩენილია, როგორც ტრადიციის განცდასა და სათანადო მორალს მოკლებული, რადგან ისინი ადამიანებს ზედმეტად ბევრ პირად თავისუფლებას ანიჭებენ და გლობალიზაციას, კოსმოპოლიტიზმსა და მოდერნიზმს უჭერენ მხარს.¹ განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ჰომოსექსუალობის დასავლურ „პერვერსიაზე“. ჰომოსექსუალობა ტრადიციულ ოჯახურ ღირებულებებთან არის შეპირისპირებული, რომელიც საზოგადოებისა და სახელმწიფოს ძლიერების საფუძვლად აღიქმება. რაკი ეკლესიის თანახმად ოჯახი ქართველობის ძირითადი ნაწილიცაა, დასავლური ღირებულებები პირდაპირ საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს. 2011 წლის ნოემბერში, თავის სიტყვაში პატრიარქმა აღნიშნა, რომ „ქართველმა ერმა უნდა მიხედოს თავის ისტორიას, წარსულს და ტრადიციებს; რაც დასავლეთიდან მოედინება, ხშირად მიუღებელია მართლმადიდებლობისთვის“.² ამგვარი იდეოლოგიური წინააღმდეგობა და მორალურად გარყვნილი დასავლეთის მითი ძალიან ძლიერია. როდესაც 2014 წელს ევროკომისარი შტეფან ფიულე პატრიარქს შეხვდა, მას მოუხდა პატრიარქის დარწმუნება, რომ ევროკავშირის წევრობა ქართული ტრადიციებისთვის ძირის გამოთხრას არ გულისხმობდა.³

თუმცა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფო პოლიტიკასთან პირდაპირი შეწინააღმდეგებისაგან

¹ 'საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე' [Christmas Epistle of Georgia's Catholicos-Patriarch], *Orthodox Theology*, 7 January 2014, www.orthodoxtheology.ge/shoba2014/

² 'საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი რუის-ურბნისის ეპარქიას სტუმრობს' [Catholicos-Patriarch of Georgia Visits Ruis-Urbnisi Eparchy], *Interpressnews*, 10 November 2011, www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/184026-saqarthvelos-katholikos-patriarki-ruis-urbnisiseparqias-stumrobs.html?ar=A

³ 'EU Commissioner Fule Visits Georgia', *Civil Georgia*, 4 March 2014, www.civil.ge/eng/article.php?id=27006

თავს იკავებს. რამდენიმე შემთხვევაში, მას მხარდაჭერაც გამოუხატავს. პატრიარქს გაუკეთებია განცხადებები, რომელიც ევროკავშირში ინტეგრირების საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტს **უჭერს მხარს.** 2014 წელს ევროკომისარ ფიულესთან შეხვედრისას, პატრიარქმა განაცხადა, რომ ეკლესია „საქართველოს ევროკავშირში განეწიანების მხარდასაჭერად“ **ყველაფერს გააკეთებს.**¹ პატრიარქმა ასევე გაამახვილა ყურადღება ევროკავშირისადმი მხარდაჭერაზე ავსტრიის პრეზიდენტ ჰაინც ფიშერთან შეხვედრისას.² სახელმწიფო პოლიტიკასთან სრულ თანხვედრაში, მან განაცხადა, რომ საქართველოს მიერ ევროპული გზის არჩევანი მყარი იყო. მხარდაჭერის მსგავსი განცხადებები ქართულ-ევროპული ურთიერთობების დაახლოებასთან ერთად უფრო გახშირდა, რისი ნაწილიც იყო ქართველებისათვის ევროკავშირის სავიზო მოთხოვნების გაუქმება და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა. პატრიარქმა **კიდევ ერთხელ გამოხატა** თავისი მხარდაჭერა. 2015 წელს, საპატრიარქოში პრემიერ-მინისტრის და ევროკავშირის ელჩის ვიზიტისას, პატრიარქმა ქართულ-ევროკავშირულ ურთიერთობებს **უზარმაზარი** მიღწევა უწოდა. თუმცა, ამავე დროს მან ქართული კულტურის დაცვის დაფინანსებული მოწოდება გააკეთა, რითაც კულტურული წინააღმდეგობის ნარატივს გაუსვა ხაზი.³

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია, როგორც ინსტიტუტი, დასავლეთის მიმართ ამბივალენტურ დამოკიდებულებას ინარჩუნებს და საკამათო მოსაზრებებს გამოთქვამს, ეს მის ყველა წევრს **არ ეხება.** საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

¹ Patriarch: Church Will Do Everything to Make Georgia EU Member', *Civil Georgia*, 4 March 2014, www.civil.ge/eng/article.php?id=27008

² 'Head of Georgian Church: Our European Choice is Very Firm', *Civil Georgia*, 19 May 2015, <http://civil.ge/eng/article.php?id=28283>

³ **ილია II: იმედია ევროპა არა მარტო ბევრ სიკეთეს მოგვიტანს, არამედ დაიცავს ჩვენს კულტურას'** [Ilia II: I Hope that Europe Will not Only Bring Much Goodness to Us, But Will Also Protect Our Culture], *Netgazeti.ge*, 20 December 2015, <http://netgazeti.ge/news/86231/>

ჰეტეროგენული ორგანიზაციაა. მასში შედის დიდი ჯგუფი, რომელიც თვლის, რომ საერთო რელიგიის გამო, რუსეთი ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენს ქართული ღირებულებებისა და ტრადიციებისთვის, ვიდრე „დასავლეთი“. დასავლეთი აღიქმება, როგორც მართლმადიდებელ სამყაროსთან მეტრძოლი. სულიერი ერესი აღქმულია, როგორც უფრო უარესი, ვიდრე ტერიტორიული კონფლიქტი, ხოლო რუსეთი, უკრაინა და სერბეთი, როგორც მართლმადიდებელი ქვეყნები, **ბუნებრივ მოკავშირეებად ითვლება.**¹ საეპარქიო ჟურნალმა „ქვაკუთხედმა“ 2008 წლის ქართულ-რუსულ ომს უწოდა „ზეციური მარნუხები, რომელმაც დაგვიფარა გარყვნილ დასავლურ ნიაღში განვირინებისგან. ღვთაებრივი კურთხევაა, რომ რუსეთის პატრონაჟს დავემორჩილოთ“.² მსგავსი იდეების მხარდამჭერები პრორუსები არიან, მაგრამ მართლმადიდებელ ეკლესიაში აგრეთვე არსებობს ჯგუფი, რომელიც დასავლეთსა და უზნეობას შორის **კავშირს ვერ ხედავს.** ისინი ამბობენ, რომ საქართველო ევროპულია და დასავლეთის ზოგიერთ მახასიათებელს აქეზენ. მათ ესმით, რომ არსებობს უარყოფითი დასავლური ღირებულებები, მაგრამ მიიჩნევენ, რომ მათი თავიდან არიდება შესაძლებელია.³

დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფო პოლიტიკაში ირიბი ჩართულობის პოლიტიკას **ენწევა.** ეკლესია ხშირად ერევა საკანონმდებლო განხილვებში, როდესაც ისინი ეკლესიის ინტერესებს ეხება. 2014 წელს, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის საპასუხოდ, რომელიც დასავლეთთან უფრო ახლო ინტეგრაციის პროცესის ნაწილი

¹ 'Interview with Father Eprem Gamrekelidze', in **'არა არს დაფარული'** [There is Nothing Hidden], Georgia and the World (Tbilisi: Istoriuli Memkvidreoba, 2012).

² Salome Asatiani, **'კულტურული კავშირების ლაბირინთში'** [In the Labyrinth of Cultural Ties], *Radio Free Europe*, 6 March 2013, www.radiotavisupleba.ge/content/blog-salome-asatiani-culturalcontacts/24930756.html

³ Minesashvili, p. 49.

იყო, ეკლესიამ სექსუალურ უმცირესობათა თანასწორუფლებიანობის წინააღმდეგ **მკაცრი ოპოზიცია გამოხატა.** ეკლესიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის განხილვაში და პარლამენტის პლენარულ სხდომას **დაესწრნენ.** საბოლოოდ, კანონპროექტი მიღებული იქნა, მაგრამ შესწორებებით, რომელიც ეკლესიის პოზიციას **ითვალისწინებდა.** შესწორებული ტექსტიდან დისკრიმინაციის წინააღმდეგ მომუშავე ინსპექტორის შექმნა **ამოიღეს.** ახალმა კანონპროექტმა **ხაზი გაუსვა,** რომ დისკრიმინაცია დასჯადია, თუკი ის წინააღმდეგობაში არ მოვა საჯარო მორალთან ან კონკორდატთან.¹

ეკლესია სექსუალური უმცირესობების უფლებათა წინააღმდეგ არსებულ მოძრაობებს **სხვა გზებითაც უერთდება.** 2013 წლის მაისში, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღის აღსანიშნავად შეკრებილ ორმოცდაათამდე პროლეგტ აქტივისტს თავს დაესხა ბრბო. მათ წინ მიუძღოდა ეკლესიის რამდენიმე წევრი, **რომელიც აცხადებდა, რომ** ქართველ ერს უარყოფითი გავლენებისაგან **იცავდა.** პატრიარქმა ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღე ოჯახის სიძლიერისა და მშობლების პატივისცემის დღედ **დაასახელა.**² ოჯახური ღირებულებები ჰომოსექსუალობის მთავარ საპირწონედ **გამოიყენება.** 2015 წელს **დაიწყო** კამპანია, რომელიც ოჯახის მამაკაცისა და ქალის ერთობად გამოცხადების მიზნით კონსტიტუციური ცვლილებების მისაღწევად **იბრძოდა.** რეფერენდუმის დანიშვნის მოთხოვნით ხელმონერები **შეგროვდა.** კონსტიტუციური ცვლილების შეთავაზების ინიციატორები მჭიდრო კავშირში იყვნენ ეკლესიასთან. საბოლოოდ, პრეზიდენტმა ვეტო დაადო შეთავაზებას,

¹ 'Georgia Passes Antidiscrimination Law', *Human Rights House*, 6 May 2014, <https://humanrightshouse.org/articles/georgia-passes-antidiscrimination-law/>

² "Family Day", Rally against Gay "Propaganda" Planned for May 17', *Civil Georgia*, 16 May 2014, www.civil.ge/eng/article.php?id=27237

სიასთან კარგი ურთიერთობები აქვს, მაგრამ რელიგიურ აქტორთა შორის ურთიერთობები მხოლოდ მეგობრული კონტაქტების სივრცეს სცდება. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია რუსულ სახელმწიფოს ექვემდებარება. იგი პროექტ „რუსული სამყაროს“ ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერია, რომელიც პოსტსაბჭოთა აღმოსავლელ-მართლმადიდებელი ხალხების ერთ პოლიტიკურ და კულტურულ კატეგორიაში ინტეგრაციას ისახავს მიზნად.¹ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და რუსულ სახელმწიფოს შორის არსებული ახლო ურთიერთობები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას რუსულ პოლიტიკასთან აკავშირებს. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტის შემდეგ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ბევრად უფრო შესამჩნევი გახდა, მაგრამ მან რუსულ ეკლესიასთან ურთიერთობები მაინც შეინარჩუნა.

ორი ეკლესია მხარს უჭერს ერთმანეთს, როდესაც საქმე ეხება რელიგიურ ძალაუფლებას სეპარატისტულ რეგიონებში. 2008 წლის აგვისტოში, რუსულმა სახელმწიფომ აღიარა სეპარატისტული ტერიტორიების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, დამოუკიდებლობა, თუმცა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ მთლიანობას და აღიარებს მის უფლებას, განკარგოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეკლესიები. თუმცა, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია რუსულ სახელმწიფო პოლიტიკას არ უარყოფს. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შემრიგებლური როლის შენარჩუნება კრემლის ინტერესებშია. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქ-

¹ Alicja Curanovic, 'The Guardians of Traditional Values: Russia and the Russian Orthodox Church in the Quest for Status', in *Faith, Freedom and Foreign Policy: Challenges for the Transatlantic Community*, ed. Michael Barnett, Clifford Bob, Nora F. Onar, Anne Jenichen, Michael Leigh and Lucian Leustean (Washington DC: Transatlantic Academy, 2015).

ციის მხარდაჭერით, მართლმადიდებელ მსოფლიოში **თავის ლეგიტიმურობას ინარჩუნებს** და საქართველოს ეკუმენური პატრიარქის ბანაკში გადასვლას **თავიდან ირიდებს**.¹ სანაცვლოდ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ უფლებებს ესტონეთში, მოლდოვასა და უკრაინაში. 2014 წელს, როდესაც უკრაინაში რუსულ-უკრაინული სამხედრო კონფლიქტი დაიწყო, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ რაიმე პოზიციის **გამონატვავზე** უარი თქვა.

ორი ეკლესია თანამშრომლობს საერთაშორისო ასპარეზზე. მათმა ახლო ურთიერთობამ ისინი საქართველოსა და რუსეთის საგარეო პოლიტიკებში **პოლიტიკურ მოთამაშეებად აქცია**. 2008 წლის აგვისტოს ომისას, ორი ეკლესია ორ ქვეყანას შორის კომუნიკაციის ერთადერთი არხი იყო. ორივე მათგანი თავის სახელმწიფოს **უჭერდა მხარს** და ნაციონალისტურ არგუმენტებს **გამოთქვამდა**. მაგრამ, **ძალადობას** ორივე გამოხდა. რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნებას საქართველოს მართლმადიდებლობა აღიქვამს **იმის** შესაძლებლობად, რომ რუსეთთან კომუნიკაციის არხი **ღია დატოვოს**. მოსკოვში ერთ-ერთი ვიზიტისას, საქართველოს პატრიარქმა თავის რუს კოლეგას უთხრა: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ პოლიტიკოსები არა ვართ და არ შეგვიძლია ამ სფეროში სერიოზული ნაბიჯების გადადგმა, ჩვენ შეგვიძლია პროცესებზე ზეგავლენის მოხდენა“.² 2016 წლის ნოემბერში, პატრიარქი ილია II პატრიარქ კირილ II-ის სამოცდაათი წლის იუბილეს აღსანიშნავად **რუსეთს ეწვია**. ილია II-მ განაცხადა, რომ „რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერ-

¹ Kristina M. Conroy, 'Semi-recognised States and Ambiguous Churches: The Orthodox Church in South Ossetia and Abkhazia', *Journal of State and Church*, 57:4 (2015), pp. 621-39.

² 'Georgian Foreign Ministry Cannot Evaluate the Visit of Catholicos-Patriarch in Moscow', *Interpressnews*, 28 November 2011, <http://civil.ge/eng/article.php?id=29640>

თობების დარეგულირება ძალიან მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნისათვის. ჩვენ გვჭირდება ერთმანეთი“.¹

თუმცა, ორ ეკლესიას შორის არსებული იდეოლოგიური სიახლოვე აუცილებლად იდეალურ ურთიერთობებს არ გულისხმობს. მეტიც, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კვლავ ინარჩუნებს დისტანციას რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან და როდესაც საქმე მის ინტერესებს შეეხება, სკეპტიციზმიც გამოუხატავს. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის შესახებ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციის მიუხედავად, იგი ინარჩუნებს ურთიერთობებს სეპარატისტულ ეკლესიებთან ორივე რეგიონში. ეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის განზრახვების შესახებ სკეპტიციზმს აღრმავებს. 2013 წელს, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაგმო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია აფხაზეთში ახალი ეკლესიების კურთხევის გამო. 2015 წელს, საქართველოს საპატრიარქომ „იუნესკოს“ (UNESCO) სთხოვა საქართველოს მთავრობის კონტროლს მიღმა მყოფი მონასტრებისა და ეკლესიების მონიტორინგის განხორციელება.²

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არ ირჩევს მხოლოდ საერთო იდეოლოგიაზე დაფუძნებულ ალიანსებს, ის პოლიტიკური მოთამაშეა, რომელიც გარე მოვლენებზე რეაგირებს. შესაბამისად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მოქნილია თავის პოზიციებში დასავლეთის მიმართ და, ასევე, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ; ეკლესიას თავისი პრაქტიკული განსჯის კვალდაკვალ პოზიციების შეცვლა შეუძლია. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, ასევე, პირდაპირი ურთიერთობები გააჩნია რუსულ სახელ-

¹ Ibid.

² Andrey Makarychev, 'The Limits to Russian Soft Power in Georgia', *PONARS Eurasia Policy Memo*, 412. (2016).

მნიფოსთან. მართლმადიდებელი ეკლესია მიიჩნევს, რომ მთავრობას რუსულ სახელმწიფოსთან შერიგების უნარი არ აქვს და ამ პროცესის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. ეკლესიას სურს მედიატორის როლში მოქმედება, რა პროცესშიც რელიგია ორმხრივი ურთიერთგაგების ინსტრუმენტია. პატრიარქი და ეკლესიის წარმომადგენლები ამ მიზნის განსახილველად რუს პოლიტიკოსებს არაერთხელ შეხვდნენ.

2016 წელს, საქართველოს პატრიარქი მეხუთედ ეწვია რუსეთს აგვისტოს ომის შემდეგ. იგი დიმიტრი მედვედევს და ვლადიმირ პუტინსაც შეხვდა. 2013 წელს, პატრიარქმა მოსკოვისგან მართლმადიდებელ ქრისტიან ეკლესიათა ერთობისათვის განუვლი შრომისათვის ჯილდო მიიღო. ილია II-მ განაცხადა, რომ: „ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის მუდამ იყო ძმური და მეგობრული. რუსეთი და საქართველო როგორც ძმები, ისე იყვნენ წარსულში, მაგრამ ალბათ ვიღაცას შეშურდა ჩვენი კარგად ყოფნა და ხელოვნურად შეიქმნა მტრობა. მე ვფიქრობ, რომ ვლადიმერ პუტინი არის ის პიროვნება, ის ბრძენი პიროვნება, რომელიც აუცილებლად გამოასწორებს სიტუაციას საქართველოში და გამთლიანდება საქართველო... რუსეთის როლი სულიერების დაცვაა ... რუსეთსა და საქართველოს - ორივეს უზარმაზარი სულიერი ღირებულება გააჩნია და ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ჭეშმარიტ მართლმადიდებელ სარწმუნოებას. მართლმადიდებლობა დაგვეხმარა ჩვენ და დაეხმარა რუსეთს“.¹

რუსეთის მთავრობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი აქტივობებისადმი დადებით დამოკიდებულებას გამოხატავს. 2013 წელს, პრეზიდენტმა პუტინმა ილია II-ს ოთხმოცი წლის იუბილე შემდეგი განცხადებით მიულოცა:

¹ 'Rech Il'ii vtorogo na vstreche s Gruzinskoj diasporoj Rossii' [Speech by Ilia II at the Meeting with Georgian Diaspora in Russia], *Грузия Online*, 23 January 2013, www.apsny.ge/2013/soc/1359267799.php

ჩვენ ძალიან ვაფასებთ თქვენს თბილ დამოკიდებულებას რუსეთისადმი, რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისადმი. თქვენი პირადი ძალისხმევა, თქვენი მოწოდებები მშვიდობისა და სიყვარულისთვის... ჰარმონია და ერთობა, ამ ყოველივეს წვლილი შეაქვს ჩვენს მრავალსაუკუნოვან მეგობრობაში და ურთიერთგაგებაში ჩვენი ისტორიის რთულ ფაზებში. დარწმუნებული ვარ, რომ ნაყოფიერი სულიერი, კულტურული და ჰუმანიტარული დიალოგი მყარი საფუძველი გახდება რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების შემდგომი განვითარებისთვის.¹

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენა საგარეო პოლიტიკაზე

რამდენად შეუძლია საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საგარეო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენა? საშინაო ასპარეზზე, მას დიდი ზეგავლენა გააჩნია საზოგადოებრივ აზრზე, მაგრამ აგრეთვე იმ **პოლიტიკოსებზეც**, ვისთვისაც მართლმადიდებელი ეკლესია ლეგიტიმურობისა და ავტორიტეტის წყაროა. როგორც პირველ თავში იქნა აღნიშნული, საზოგადოებრივი აზრი საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ფაქტორად **რჩება**, ევროკავშირისა და **ნატოს** წევრობას კი ქართველთა შორის მაღალი მხარდაჭერა აქვს. ამავდროულად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დასავლეთიდან მომავალი საფრთხის ნარატივი ქართულ **საზოგადოებაში** რეზონანსს ჰპოვებს. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის კვლევის თანახმად, **2017** წელს ქართველთა **40-45%** მიიჩნევდა, რომ ევროკავშირი ქართულ ტრადიციებს საფ-

¹ 'Katolikosu-patriarkhu vseia Gruzii Ilii II' [to Catholicos-Patriarch of Georgia Iliia II], *Kremlin.ru*, 11 January 2013, <http://kremlin.ru/events/president/letters/17319>

რობეს უქმნის.¹ ეკლესიას ეს ბერკეტს აძლევს, რომ საქართველო მთავრობის პროდასავლური პოლიტიკის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების იმ ასპექტებს შეეკამათოს, რომელიც ღირებულებებთანაა დაკავშირებული. კანონმდებლობაზე პირდაპირი გავლენის პრაქტიკა სხვადასხვაგვარია. ამდენად, რელიგიურ უმცირესობათა რეგისტრაციის შესახებ კანონი (რომელმაც რელიგიურ უმცირესობებს უფრო მეტი თანასწორობა მიანიჭა მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებაში), ეკლესიის წინააღმდეგობის მიუხედავად, **მაინც შევიდა ძალაში**. მეორე მხრივ, ანტიდისკრიმინაციული კანონის საბოლოო ვერსია, რომელიც 2014 წელს იქნა მიღებული, ეკლესიის ლობირების შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილებების საგანი გახდა. ამან ქართული სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკა გამოიწვია.² არსებობს აგრეთვე არაპირდაპირი გავლენაც: ქართველ პოლიტიკოსებს ეკლესიის პოზიციის მხედველობაში მიღება **უნევთ**, თუკი მათ პოლიტიკურად გადარჩენა სურთ. მაგრამ, ამ ტიპის გავლენის დოკუმენტირება უფრო რთულია.

საერთაშორისო ასპარეზზე, ეკლესია უფრო შეზღუდულია. მიუხედავად იმისა, რომ მან რუსეთთან მედიატორის პოზიციას **მიაღწია**, შედეგები ნაკლებად **გაზომვადია**. 2008 წელს მოსკოვიდან დაბრუნებისას, პატრიარქმა პუტინის მიერ განზრახულ დათმობებზე **ისაუბრა** და საქართველოს დიალოგის დაწყებისკენ მოუწოდა.³ თუმცა, რუსეთის საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკაში არავითარი ცვლილება არ განხორციელებულა. კომპლექსურ სიტუაციაში, სადაც ბევრი ფაქტორი თამაშობს როლს, ეკლესიის ძალა კომპლექსური საგარეო გადწყვეტილებების მიღებისას **შეზღუდული რჩება**. მეორე

¹ 'Knowledge of and Attitudes toward the EU in Georgia', *Caucasus Research Resource Centres*, 2017, <http://caucasusbarometer.org/en/eu2017ge/codebook/>

² 'Georgia Passes Antidiscrimination Law', *Human Rights House*, 6 May 2014, <http://humanrightshouse.org/Articles/20133.html>

³ Grdzeldze, p. 168.

მხრივ, ეკლესია კვლავ რჩება რუსულ-ქართული კონფლიქტის ორივე მხარისათვის **მისაღებ კომუნიკაციის ერთადერთ არხად**. მაგალითისთვის, 2008 წელს რუსებმა ქართული ეკლესიის მოთხოვნით გახსნეს კორიდორი, რომლის მეშვეობით ქართველმა სამხედროებმა რუსეთის მიერ კონტროლირებადი სოფლებიდან **ცხედრები გადმოასვენეს**. ევროკავშირის წარმომადგენლები ხშირად სტუმრობენ პატრიარქს გზავნილების პირდაპირ გადასაცემად, უწყიან რა ეკლესიის ძლიერი როლის შესახებ ქართულ საზოგადოებაში.

დასკვნა

საუკუნეების განმავლობაში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში. თუმცა, ჩართულობისა და გავლენის დონე მნიშვნელოვნად იცვლება. ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ემთხვევა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ინტერესები ეკლესიის პოზიციებს. ეს გარემოებები ეკლესიის საგარეო პოლიტიკაში ჩართულობასთან ერთად **იცვლება**. ეკლესიის პოზიციისა და სახელმწიფო საგარეო პოლიტიკის კვეთა, ჩვეულებრივ, ღირებულებისა და იდენტობის ღერძზე ხდება. ისტორიული მიმოხილვა ცხადყოფს, რომ როდესაც რელიგია ქართული იდენტობის თანდაყოლილ ნაწილად არის აღქმული, კითხვის ნიშნის ქვეშ კი გადარჩენაა, მაშინ ეკლესიის როლი უფრო მეტ საგარეო პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს. მაგრამ, ეკლესიას არ გააჩნია პოლიტიკური ექსპერტიზა საგარეო პოლიტიკაში და მისი გავლენა ინდივიდუალურ, ან ადამიანურ დონეზე მუშაობს. ბოლო ორი ათწლეული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველაზე დიდი გავლენის პერიოდს წარმოადგენს, მაგრამ ის, ასევე, იდენტობისა და ღირებულებების ირგვლივ მომატებული ცნობიერების **პერიოდიც არის**. შედეგად, შესამჩნევია ეკლესიის

ხშირი ჩართულობა საგარეო პოლიტიკურ დებატებში. როგორც მოვლენების ანალიზი მოწმობს, ორი ტიპის ჩართულობა იკვეთება: საშინაო წინააღმდეგობა, ან საგარეო პოლიტიკის შეცვლის მიზნით ლობირება. ევროპული ინტეგრაციის შემთხვევა პირველის მაგალითია, რუსეთთან ურთიერთობები კი უკანასკნელის. ზოგადად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყველაზე მეტ წარმატებას კანონმდებლობის შეცვლის ლობირებასა და საზოგადოებრივი აზრის განწყობის ჩამოყალიბებაში აღწევს.

ნაწილი II

რეგიონული კონტექსტი

თავი 4

კავკასიაში, თუმცა შავი ზღვისკენ: საქართველოს რეგიონული იდენტობის ცვლილება

დავით აფრასიძე

კავკასიას დიდი ხანია რაც რეგიონული იდენტობა გააჩნია, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში შესამჩნევია საქართველოს მცდელობა, დისტანცირდეს რეგიონისგან და შექმნას ახალი, შავი ზღვის რეგიონული იდენტობა. საქართველო ცდილობს დაუკავშირდეს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა მოლდოვა და უკრაინა, რომლებიც სამხრეთ კავკასიის რეგიონს გარეთ მდებარეობენ. უშუალო მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანთან ის უფრო ორმხრივ ურთიერთობებს აწარმოებს. საქართველოს ძლიერი კავშირები აქვს თავის კავკასიელ მეზობლებთან, რაც მის კულტურაზე, ენასა და სამზარეულოზეც აისახება. ეროვნული ჰიმნი ქვეყანას მის გეოგრაფიულ რეგიონში წარმოგვიდგენს: „ცისკრის ვარსკვლავი ამოდის და ორ ზღვას [შავი და კასპიის] შუა ბრწყინდება“¹. ჰიმნის ეს სიტყვები საქართველოს სამხრეთ კავკასიასთან გეოგრაფიული კავშირის სიმბოლოა. და მაინც, რატომ უარყოფს საქართველო ამ გეოგრაფიულ კავშირს?

¹ Government of Georgia, The Georgian State Anthem, www.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=58 (accessed 8 February 2019).

ამ თავში მიმოვიხილავთ რეგიონული იდენტობის საქართველოსეულ აღქმას. მიგვაჩნია, რომ საქართველოს ქცევა რაციონალურია და განპირობებულია სამხრეთ კავკასიაში თანამედროვე „რეგიონული იდენტობის“ არარსებობით. ყურბან საიდის რომანში „ალი და ნინო“, რომელიც სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს 1918-21 წლების მოკლევადიანი დამოუკიდებლობის პერიოდს ასახავს, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ევროპის აღმოსავლეთ საზღვრის განმარტებას. მასწავლებლის მიხედვით, პასუხს განაპირობებს არა ფიზიკური ადგილმდებარეობა, არამედ ცხოვრების სტილი.¹ რომანში კავკასია ერთიან რეგიონადაა წარმოჩენილი, თუმცა მისი მთავარი გმირების ქცევა საპირისპიროს მეტყველებს: პროტაგონისტთა მოქმედებები ამხელს იმას, თუ რამდენად ღრმად ეწინააღმდეგება ამ სამი ერის საგარეო პოლიტიკის შესახებ წარმოდგენები ერთმანეთს. თითქმის ერთი საუკუნე გავიდა და ბევრი არაფერი შეცვლილა. ფართოდ აღიარებული წარმოდგენაა, რომ რეგიონული თანამშრომლობა პოზიტიურ გავლენას იქონიებს იმ პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრაში, რომელთა წინაშეცაა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა. ამას ამტკიცებს კავკასიელ ლიდერთა მიერ რეგიონული თანამშრომლობის შესახებ წამოყენებული არაერთი წინადადებაც. თუმცა, არცერთი მათგანი არ განხილულა სერიოზულად. ეს წინადადებები ინტელექტუალურ სავარჯიშოებად რჩება. შესაბამისად, ამ თავში შევეხებით შემდეგ შეკითხვებს: რა აცლის საფუძველს სამხრეთ კავკასიის დღევანდელ რეგიონულ იდენტობას? არის თუ არა დღევანდელი გამყოფი ხაზები ახალი ფენომენი, თუ მისი ფესვები ისტორიულ წარსულში უნდა ვეძებოთ? მოცემული თავის სტრუქტურა შემდეგნაირია: იწყება სამხრეთ კავკასიაში რეგიონის ისტორიული და თანამედროვე საფუძვლების მიმოხილვით, შემდეგ კი, განხილულია საქართველოს პრო და ანტირეგიონუ-

¹ Said Kurban and Jenia Graman, *Ali & Nino* (New York: The Overlook Press, 2016).

ლი იმპულსები, ხოლო დასასრულს წარმოდგენილია საქართველოს ხედვა სომხეთსა და აზერბაიჯანზე.

სამხრეთ კავკასია - რატომ არ არსებობს თანამედროვე რეგიონული იდენტობა?

სამხრეთ კავკასია კავკასიის მთებითა (დიდი კავკასიონი ჩრდილოეთით და მცირე კავკასიონი სამხრეთით) და დასავლეთიდან შავი, ხოლო აღმოსავლეთიდან კასპის ზღვით შემოსაზღვრული გეოგრაფიული ერთეულია. მაგრამ, საკმარისია თუ არა გეოგრაფია სამხრეთ კავკასიის, როგორც ერთიანი რეგიონის განსაზღვრისათვის პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების თვალსაზრისით? საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შეინიშნება კი კავკასიაში რეგიონალიზაციის ანუ „რეგიონულობის“ ზრდა?¹

გეოგრაფიული სიახლოვე გვეხმარება რეგიონების წარმოშობის ახსნაში. რთულია ცალკე, ერთიან რეგიონად აღიქვა ტერიტორიულად დაშორებული და დაყოფილი არეალები. თუმცა, ეს ყველაფერი წარმოუდგენელი არაა მაშინ, როდესაც კანადა და აშშ ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) წევრები არიან, ხოლო სომხეთი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრია, მიუხედავად იმისა, რომ მას სხვა წევრებთან სახმელეთო საზღვარი არ აკავშირ

¹ Björn Hettne and Fredrik Söderbaum, 'Theorising the Rise of Regionness', *New Political Economy*, 5:3 (2000), pp. 457-72. ავტორი განიხილავს „მაკრო“ და „მიკრო“ რეგიონებს. ახალი რეგიონალიზმი რეგიონებს განიხილავს არა მხოლოდ „სახელმწიფოების აგრეგაციად“ (მაკრო), არამედ „რეგიონებად“, რომლებიც აღწევენ ცალკეულ სახელმწიფოების შიგნით და მოიცავენ სხვადასხვა შიდა რეგიონებს (მიკრო) ყველა სახის საზღვრის გადაკვეთით მიმდინარე თანამშრომლობითა და არასახელმწიფო აქტორების მონაწილეობით. სამხრეთ კავკასიაში ჩვენ არ გვაქვს ტრანსსასაზღვრო რეგიონალიზმის მაგალითები და ამდენად, სამხრეთ კავკასიას უფრო მაკრო, სახელმწიფოებზე დაფუძნებულ რეგიონად განვიხილავთ.

რებს. თუმცა კი, ფიზიკური სიახლოვე ამარტივებს ურთიერთანამშრომლობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. ამდენად, გეოგრაფია აუცილებელი, მაგრამ არასაკამარისი ფაქტორია ცალკეული რეგიონის ჩამოყალიბებისათვის.¹ არ არსებობს რეგიონის კონკრეტული აკადემიური განმარტება, რომლის საშუალებითაც შევძლებთ რეგიონალიზაციის დონის განსაზღვრას. მაშინ, როცა ზოგიერთი ავტორი კულტურულ საზღვრებს (ენა, რელიგია და სხვა მსგავსი მახასიათებლები) იყენებს, სხვები უფრო მეტად ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს ეყრდნობიან. მსგავსებებსა და ურთიერთდამოკიდებულებაზე არსებული შეხედულებები, ალბათ, მეტად მნიშვნელოვანია ვიდრე ობიექტური რეალობა. შესაბამისად, ბევრი რეგიონი და რეგიონალიზაციის ბევრი განსხვავებული ფორმა არსებობს.²

ჩვენი ხედვით, რეგიონი, პირველ რიგში, არის სოციალური ფენომენი და, მამასადამე, კონცეპტუალური წარმონაქმნი/კონსტრუქცია. ამას გარდა, მისი განმსაზღვრელი ფაქტორები დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს და რეგიონული იდენტობის გადახედვას, გადაფასებას შეუწყოს ხელი.³ ამ სექციამი ერთმანეთს შევადარებთ სამხრეთ კავკასიის სამ მთავარ სახელმწიფოს შორის ფართო ისტორიულ-კულტურული კავშირების ევოლუციას და გამოვიკვლევთ შედარებით კონკრეტულ და გაზომვად ეკონომიკურ და პოლიტიკურ განზომილებებს ანმყოში.

¹ იქვე.

² სამხრეთ კავკასიისთვის სპეციფიკური კონცეფციების უფრო დეტალური მიმოხილვა იხ. Tracey German, 'Good Neighbours or Distant Relatives? Regional Identity and Cooperation in the South Caucasus', *Central Asian Survey*, 31:2 (2012), pp. 137-51.

³ ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები შეიძლება უფრო ადვილად შეიცვალოს, ვიდრე კულტურული იდენტობები. თუმცა, აღქმები „მეგობრებსა და მტრებს“ ასევე შეიძლება იცვლებოდეს. მაგალითად, შევხედოთ საქართველო-თურქეთის ურთიერთობებს 1990-იანი წლებიდან დღემდე.

ამ იდეაზე დაყრდნობით, სამხრეთ კავკასია, როგორც რეგიონი, სულ მცირე, ორი რიგის პრობლემების წინაშეა. პირველი უკავშირდება ისტორიულად განპირობებულ მრავალფეროვნებას - სამივე საზოგადოება განსხვავებულ კულტურულ სანყისებზეა დაშენებული და მათ რეგიონის განვითარებაზე ურთიერთსაწინააღმდეგო წარმოდგენები აქვთ. სომხური ენა ინდო-ევროპულ ენათა ოჯახს ეკუთვნის, აზერბაიჯანული თურქულ ენათა ჯგუფს, მაშინ როცა მეცნიერები ქართულს ცალკე მდგომ ქართველურ ენათა ჯგუფს მიაკუთვნებენ.¹ სომხებსა და ქართველებს აქვთ თავიანთი ანბანი, ხოლო აზერბაიჯანელები იყენებენ ლათინურ ანბანს (საბჭოთა ხანაში იყენებდნენ კირილიცას, ხოლო იქამდე, არაბულს). სამხრეთ კავკასიის ხსენებულ სახელმწიფოებს განსხვავებული რელიგიური საფუძველი აქვთ: აზერბაიჯანელთა მიახლოებით 96 პროცენტი შიიტი მუსლიმია, სომხეთში მოსახლეობის 92 პროცენტი ქრისტიანობის დამოუკიდებელი მიმართულების - სომხეთის სამოციქულო ეკლესიის მიმდევარია, ხოლო ქართველთა უმრავლესობა (83 პროცენტი) მართლმადიდებელი ქრისტიანია.²

აზერბაიჯანელები ისტორიის განმავლობაში კავკასიის რეგიონს გაფართოებული ახლო აღმოსავლეთის ნაწილად განიხილავენ, რითაც ყოფილ პოლიტიკურ მფარველებთან პოლიტიკური და კულტურული კავშირების შენარჩუნებისაკენ მიისწრაფვიან. აქ განსაკუთრებით თურქეთი მოიაზრება, თუმცა ასევე ირანიც, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 18 პროცენტი) აზერბაიჯანულ ან თურქულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება.³ სომხეთის ხედვით, მაშინ როცა კავკასია ბევრი ცივილიზაციისა და იმპერიის

¹ Kevin Tuite, 'The Rise and Fall and Revival of the Ibero-Caucasian Hypothesis', *Historiographia Linguistica. International Journal for the History of the Language Sciences Historiographia Linguistica*, 35: 1-2 (2008), pp. 23-82.

² Central Intelligence Agency (CIA), *The World Factbook*, www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/ (accessed 8 February 2019).

³ იქვე.

გზაჯვარედინი იყო, პატარა სახელმწიფოების ინტერესში შედიოდა დიდ მეზობლებთან ბალანსის დაცვა. თუმცა, როდესაც ბალანსის პერსპექტივა ამოიწურა (რუსეთის დაპყრობებისა და განსაკუთრებით 1915 წლის გენოციდის გამო), სომხებმა პრიორიტეტად გადარჩინა და უსაფრთხოება დაისახეს და გადამწყვიტეს რუსეთის ყველაზე ნაკლებ ბოროტებად აღქმა მის მრავალ ანტაგონისტ მეზობელს შორის. ქართული პერსპექტივაც დროთა განმავლობაში შეიცვალა. მეთვრამეტე საუკუნეში აღოსავლეთ საქართველოს მეფეები მფარველობას რუსეთის იმპერიისგან ელოდნენ და სწორედ ქართველები დაეხმარნენ რუსეთს კავკასიაში, კერძოდ ჩრდილოეთ კავკასიაში, სხვა ხალხებთან ბრძოლაში. თუმცა, ქართული ელიტები მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ევროპასთან პირდაპირი კავშირების დამყარებით უფრო იყვნენ დაინტერესებულნი.¹

ეს წინააღმდეგობები გადამწყვეტი აღმოჩნდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მოკლენიანი არსებობის კრახისთვის. ეს გახლდათ კავშირი სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის, რომელიც რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად, 1918 წელს წარმოიშვა. რესპუბლიკამ მხოლოდ ერთ თვეს იარსება და სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით დაიშალა, მეტწილად ამ სამი სახელმწიფოს წარმომადგენელი ელიტების განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაციების გამო. სომხეთმა, აზერბაიჯანმა და საქართველომ განაგრძეს ტერიტორიულ საკითხებზე დავები და ერევანმა მოკლე ბრძოლებიც კი აწარმოა თბილისსა და ბაქოსთან. რეგიონის სამმა სახელმწიფომ ვერ მიაღწიეს საერთო მიზნებს და ერთმანეთის მიყოლებით ჩავარდნენ ბოლშევიკების ხელში 1920 - 1921 წლებში.²

¹ Svante E. Cornell, *Small Nations and Great Powers: A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus* (London: Routledge Curzon, 2005).

² Firuz Kazemzadeh, *The Struggle for Transcaucasia (1917-1921)* (London: Anglo Caspian Press, 2008). მოკლენიანი ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ

ამ სამი ქვეყნის საზოგადოებები საერთო ისტორიას იზიარებდნენ, ხშირად ერთი და იმავე იმპერიული მმართველებით. სპარსელებმა და ოსმალებმა თვალსაჩინო კვალი დატოვეს ენის, რელიგიისა და ფართო კულტურის თვალსაზრისით ამ სამივე საზოგადოებაში. სხვადასხვა სპარსული დინასტიები პირდაპირ თუ ირიბად აკონტროლებდნენ სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილს, რაც დღევანდელ სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს წარმოადგენს. ოსმალთა იმპერიამ დაიპყრო უძველესი სომხური ტერიტორიები და გაბატონდა დასავლეთ საქართველოში. კავკასიის მართვის სპარსულ-ოსმალური დავა 1555 წელს ხელმოწერილი ამასიის ზავით განმტკიცდა, რითაც ორმა იმპერიამ მოხაზა თავიანთი საზღვრები და სომხეთი და საქართველო თანაბრად გაიყო - მათი დასავლეთ ტერიტორიები ოსმალებს, ხოლო აღმოსავლეთ ტერიტორიები, ისევე როგორც აზერბაიჯანი, სპარსეთს ერგო.¹

მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის დაპყრობებმა ეს სამი, ერთად ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საზოგადოება ერთიანი მმართველობის ქვეშ მოაქცია და ერთი ინსტიტუციური ჩარჩო დააფუძნა მეფისნაცვლის მეთაურობით, რომელიც ერთდროულად ფარავდა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიას. საბჭოთა კავშირმა კი, რომელიც საკუთარი იდეოლოგიიდან გამომდინარე, უფრო დიდ ტერიტორიულ ერთეულებზე აკეთებდა აქცენტს, 1922 წელს შექმნა ერთიანი ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც 14 წლის შემდეგ დაიშალა.² საბჭოთა ნაციონალიზმის პოლიტიკამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თანამედროვე სამხრეთ კავკასიის ჩამოყალიბებაში. ერთი მხრივ, მან მოახერხა მეტ-ნაკლებად მსგავსი საბჭოთა ელიტების ჩამოყალიბება

იხ. Thomas De Waal, 'A Broken Region: The Persistent Failure of Integration Projects in the South Caucasus', *Europe-Asia Studies*, 64:9 (2012), pp. 1709-23.

¹ Alexander Mikaberidze, *Conflict and Conquest in the Islamic World: A Historical Encyclopedia* (Santa Barbara, CA: ABC-CLIO, 2011), p. 95.

² De Waal, 'A Broken Region', pp. 1714-20.

ყველა რესპუბლიკაში და დატოვა სპეციფიკური პოსტსაბჭოთა ქცევის ტიპები, როგორცაა კორუფცია და პატრიმონიალიზმი. მეორე მხრივ, სსრკ-მა სტიმული მისცა ეროვნულ იდენტობებს და ხელი შეუწყო ნაციონალისტური ნარატივების ჩამოყალიბებას.¹ ჰომოგენურმა საბჭოთა მემკვიდრეობამ ბევრი მსგავსება წარმოშვა და დღეს რეგიონის ეს სამი სახელმწიფო გარე დამკვირვებლისთვის შესაძლოა მეტად ერთნაირად აღიქმებოდეს. მაგრამ, საბჭოთა მემკვიდრეობაზე დაყრდნობილი ასეთი მსგავსებები ვერ ფარავს მათ ღრმად ფესვგამდგარ ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ განსხვავებებს.

პოლიტიკურ პრობლემათა მეორე და, ალბათ, უფრო გადამწყვეტი რიგი ადგილობრივი ელიტების მიერ რეგიონული თანამშრომლობის საჭიროების ნაკლებად აღიარების გარშემო ტრიალებს. კავკასიაში არსებულ დღევანდელ გამონვევებზე მოცემულ სამ ქვეყანაში ერთმანეთისგან განსხვავებული და სანიანალმდეო ონტოლოგიური წარმოდგენები არსებობს. „რეგიონულობისთვის“ შესაძლოა არსებობდეს კულტურული და ეკონომიკური პოტენციალი, მაგრამ არ არსებობს რეგიონალიზაციის პოლიტიკური ნება.² სამი ქვეყნის ელიტებში არსებული განსხვავებული ხედვების ფესვები ისტორიიდან მოდის, მაგრამ 1990 წლებიდან ის უფროდაუფრო უკავშირდება სახელმწიფოებრიობის განსხვავებულ მოდელებს.

აზერბაიჯანი კონსოლიდირებულ ავტოკრატიას წარმოადგენს, რომელიც მდიდარია ნახშირწყალბადის რესურსებით და ეს განაპირობებს ამ რეჟიმის თვითკმარობას. ბაქო რუსეთსა და დასავლეთს, ორივეს, თავისი რეჟიმის გადარჩენის პოტენციურ გამონვევებად აღიქვამს, თუმცა ამ წარმოდგენებს საფუძვლად დადებული ფაქტორებიც განსხვავებულია. რუსეთი სომხეთის ახლო მოკავშირეა და 1990-იან წლებში მთიანი ყა-

¹ Rogers Brubaker, 'Nationhood and the National Question in the Soviet Union and Post-Soviet Eurasia: An Institutional Account', *Theory and Society*, 23:1 (1994), pp. 47-78.

² De Waal, 'A Broken Region', pp. 1721-22.

რაბალის კონფლიქტის ესკალაციის დროს დახმარება გაუწია მას. რუსეთი ცდილობდა გლობალური ენერგო ბაზრებიდან აზერბაიჯანის იზოლირებას და ბაქო მის თვალში პატარა, მაგრამ მაინც კონკურენტი სახელმწიფოა, განსაკუთრებით ევროპის ბაზრების გაზით მომარაგების მხრივ. ამავე დროს, რუსეთი ავტორიტარული რეჟიმის მქონე ქვეყანაა. ის „ავტორიტარულ“ დღის წესრიგს უწყობს ხელს მეზობელ ქვეყნებში და ეჭვით უყურებს დემოკრატიზაციის ნებისმიერ მცდელობას, მიუფრო მაშინ, თუ ეს მცდელობები გამოხატულია მშვიდობიანი ფერადი რევოლუციების სახით, როგორც იყო, მაგალითად, სომხეთის „ხავერდოვანი რევოლუცია“ 2018 წელს.¹ მეორე მხრივ, დასავლეთი აღიარებს იმას, რომ ენერგო სფეროში თანამშრომლობა დემოკრატიზაციაზე პრიორიტეტულია აზერბაიჯანის შემთხვევაში, მაგრამ მაინც ყოველთვის ხაზს უსვამს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობას, რითაც საფრთხეს უქმნის აზერბაიჯანული რეჟიმის სტაბილურობას. ამდენად, დასავლეთთან თანამშრომლობის დოზირება და რუსული გამოცდილების მაგალითის გამოყენება შიდა პოლიტიკურ არასტაბილურობასთან გამკლავებისთვის - აი ასე ხედავს აზერბაიჯანის მმართველი ელიტა დასავლეთსა და რუსეთს შორის ბალანსის დაცვას.² ბაქომ ევროპული სამეზობლოს პოლიტიკის წევრობის ძალიან მცირე ინტერესი გამოხატა და ევროკავშირსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობის სამართლებრივი ჩარჩო ჯერ კიდევ ძველ, 1999 წლის პარტნიორობის შეთანხმებას ემყარება.³ აზერბაიჯანი ცდი-

¹ Thomas Ambrosio, *Authoritarian Backlash: Russian Resistance to the Democratization in the Former Soviet Union* (Burlington, VT: Ashgate, 2009).

² Kamran Ismayilov and Konrad Zasztowt, 'Azerbaijan's Risky Game between Russia and the West', *Polish Institute of International Affairs*, Policy Paper 32/134 (2015), www.pism.pl/files/?id_plik=20615 (accessed 8 February 2019).

³ აზერბაიჯან-ევროკავშირის ურთიერთობების შესახებ იხ. Anar Valiyev, 'Azerbaijan's Policy Towards EU Integration: Unrecognised Strategic Partner', in

ლობს მთავარი მოკავშირის - თურქეთის - საგარეო პოლიტიკური პოზიციის იმიტირებას, რომელიც, თავის მხრივ, დასავლეთთან სტატეგიული კავშირების მიუხედავად, მზადაა შეეკრას რუსეთს გარკვეულ საკითხებში.

სომხეთი ნანილობრივ დემოკრატიული ქვეყანაა, პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციის პერსპექტივით. 2018 წლის ქუჩის პროტესტმა გამოიწვია მშვიდობიანი რევოლუცია და წინამორბედი, შედარებით სტაბილურად აღქმული პროორუსული რეჟიმის უცაბედი შლა. ამ მოვლენებმა დაამტკიცა, რომ ჰიბრიდულ რეჟიმებში პოლიტიკურ კონკურენციას, შეზღუდულობის მიუხედავად, მაინც შეუძლია შედეგის გამოღება. ქვეყანას ჰყავდა სტაბილური და კონსოლიდირებული მმართველი ელიტა უკანასკნელი თხუთმეტი-ოცი წლის განმავლობაში. თუმცა, ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოება მაინც ახერხებდნენ ხელისუფლების ნანილობრივ გაკონტროლებას, და ამ ყველაფერს დამატებულმა მზარდმა პოლიტიკურმა ოპოზიციამ, საბოლოო ჯამში, მიაღწია კიდევ დემოკრატიულ გარღვევას. მაგრამ რუსეთი ისევ ყველგანაა წარმოდგენილი სომხეთში. მას აქვს სახმელეთო სამხედრო ბაზები და აკონტროლებს სომხეთის ეკონომიკის მნიშვნელოვან აქტივებს.¹ მიუხედავად ამისა, სომხეთი ცდილობს რუსეთის დაბალანსებას დასავლეთთან, მითუფრო კი ევროკავშირთან, კავშირების გაძლიერებით. სომხეთი მიიჩნეოდა, როგორც ერთ-ერთი სანიმუშო პარტნიორი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შემუშავების პროცესში.² 2013 წელს რუსეთმა არ დაუშვა, რომ

Geopolitics and Security: A New Strategy for the South Caucasus, ed, Kornely Kakachia (Tbilisi: Konrad Adenauer Stiftung, 2018), pp. 128-52.

¹ რუსეთის სამხედრო ყოფნაზე სამხრეთ კავკასიაში იხ. Jakob Hedenskog et al., 'Security in the Caucasus: Russian Policy and Military Posture', Swedish Defence Research Agency, 10 April 2018, www.foi.se/en/foi/news-and-press-room/news/2018-04-10-russia-sees-caucasus-as-its-sphere-of-interest.html (accessed 10 February 2019).

² Laure Delcour and Kataryna Wolczuk, 'The EU's Unexpected "Ideal Neighbour"? The Perplexing Case of Armenia's Europeanisation', *Journal of European Integration*, 37:4 (2015), pp. 491-507.

სომხეთს ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებაზე და მალევე ერევანი დაარსმუნა, რომ შესულიყო მოსკოვის მიერ დომინირებულ ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში. ეს გადაწყვეტილება სტრატეგიული შემობრუნება იყო და სომხეთში უარყოფითად შეფასდა, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობას ესმოდა ის არსებული გეოპოლიტიკური რეალობებიდან გამომდინარე შექმნილი შეზღუდვები, როგორცაა აზერბაიჯანთან კონფლიქტი და სომხეთის უსაფრთხოების სექტორის რუსეთზე დამოკიდებულება. ამის მიუხედავად, სომხეთმა - სამხრეთ კავკასიიდან ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ერთადერთმა წევრმა, ხელი მოაწერა ევროკავშირთან ყოვლისმომცველი და გაფართოებული პარტნიორობის შეთანხმებას 2017 წელს. სომხეთის რუსეთზე დამოკიდებულება თვალსაჩინოა, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ელიტა ხედავს ამ დამოკიდებულების შეზღუდვის საჭიროებას. საკითხავია, შესაძლებელია თუ არა ეს ყველაფერი, განსაკუთრებით 2020 წლის ნოემბრის ყარაბაღის მეორე ომში დამარცხების შემდეგ, რამაც გაზარდა სომხეთის დამოკიდებულება ჩრდილოელ მეზობელზე.

გრაფიკი 4.1

პოლიტიკური რეჟიმები სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნებში (ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობა - EaP)

	პოლიტიკური უფლებები	სამოქალაქო უფლებები	თავისუფლების რეიტინგი	ჯამური ქულა* (1-100)	სტატუსი**
სომხეთი	4	4	4	51	წაწილობრივ თავისუფალი
აზერბაიჯანი	7	6	6.5	11	არათავისუფალი
საქართველო	3	3	3	63	წაწილობრივ თავისუფალი
უკრაინა	3	4	3.5	60	წაწილობრივ თავისუფალი
მოდლიტა	3	4	3.5	58	წაწილობრივ თავისუფალი
ბელარუსი	7	6	6.5	19	არათავისუფალი

წყარო: Freedom House, Freedom in the World 2019.

<https://freedomhouse.org/report/freedomworld/freedom-world-2019>

* ყველაზე მეტად თავისუფალი (100), ყველაზე ნაკლებად თავისუფალი (1).

** თავისუფალი (1.0 - 2.5), ნაწილობრივ თავისუფალი (3.0 - 5.0), არათავისუფალი (5.5 - 7.0).

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა სამხრეთ კავკასიაში, რომელმაც ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას და ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას. 2017 წლიდან საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ ვიზის გარეშე მოგზაურობა შენგენის ზონაში. საქართველო რეგიონის ჩემპიონად აღიქმება მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების დემოკრატიზაციისა და მოდერნიზაციის თვალსაზრისით. ამასთან, ქვეყნის პოლიტიკური სისტემა პოლარიზებას განიცდის და შეზღუდული პოლიტიკური კონკურენციაა, რადგან მმართველი პარტიები დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ტრადიციულად დომინირებენ პოლიტიკურ ასპარეზზე.¹ დასავლეთი უდიდეს პოლიტიკურ და ფინანსურ ბერკეტს ფლობს საქართველოზე, მაშინ როცა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები 2008 წლის ომის შემდეგ თითქმის არ არსებობს. ამ ომის შემდეგ, რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ოკუპირებული რეგიონების, დამოუკიდებლობა.

რეგიონის სამ ქვეყანას შორის არსებული პოლიტიკური განსხვავებები იზრდება ეკონომიკურ სექტორში გამყოფი ხაზების გაჩენით. როგორც მომდევნო სექციაში ვიხილავთ, აქ ვხვდებით ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობებს, მაგრამ არა რეგიონულს. საბჭოთა ექოქამიცი კი, მოცემულ სამ ქვეყანას შორის მცირე ეკონომიკური ურთიერთანამშრომლობა იყო. მათ ჰქონდათ ინტენსიური ინდუსტრიული და სავაჭრო კავშირები რუსეთთან, მაგრამ თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი კავშირი ერთმანეთთან.² რუსეთი რჩება რეგიონის უმთავრეს ეკონომი-

¹ Richard Giragosian, 'Armenia's Strategic U-Turn', *European Council on Foreign Relations* (2014), www.ecfr.eu/page/-/ECFR99_ARMENIA_MEMO_AW.pdf (accessed 8 February 2019).

² David Aprasidze, 'Consolidation in Georgia: Democracy or Power?', in *OSCE Yearbook 2015*, ed. IFSH (Nomos Verlagsgesellschaft mbH & Co. KG, 2016), pp. 108-15.

კურ აქტორად, თუმცა კი მისი ჩართულობა ქვეყნებისა და სექტორების მიხედვით იცვლება. ამჟამად რუსეთთან ყველაზე დიდი ეკონომიკური კავშირი სომხეთს აქვს, ყველაზე ნაკლები კი აზერბაიჯანს (იხ. გრაფიკი 4.2). სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის გადაუჭრელი კონფლიქტი გამორიცხავს ეკონომიკური თანამშრომლობის ნებისმიერ შესაძლებლობას ამ ქვეყნებს შორის, და ,ამასთანავე, რეგიონული მასშტაბის სავაჭრო ჩარჩოს ჩამოყალიბებასაც.¹ აზერბაიჯანსა და საქართველოს შედარებით უფრო ინტენსიური ეკონომიკური თანამშრომლობა აქვთ, რაც კასპიის ნავთობისა და გაზის გადაზიდვას ემყარება. აზერბაიჯანის მსგავსად, საქართველო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზაა სომხეთისათვისაც. თუმცა, საქართველო და სომხეთი დაპირისპირებული ეკონომიკური კავშირების წევრები არიან, რამაც მომავალში შეიძლება გარკვეული დაძაბულობა გამოიწვიოს. ეს ქვეყნები არ არიან მთავარი სავაჭრო პარტნიორები ერთმანეთისთვის და უფრო აქტიური სავაჭრო პარტნიორები რეგიონს გარეთ ჰყავთ.

გრაფიკი 4.2

კავკასიის ეკონომიკური ბმები რუსეთთან

	გაზი/ენერჯი რესურსები	იმპორტი რუსეთიდან	ექსპორტი რუსეთში	ფულადი ვაზანდობი რუსეთიდან	პირდაპირი უცხოური ინვესტიცია რუსეთიდან	პირდაპირი უცხოური ინვესტიცია რუსეთში	საბანკო ვალდებულებები რუსეთში	რუსული ბანკების ფილიალების აქტივები
სომხეთი	>50%	>50%	20-50%	>50%	>50%	<10%	<10%	>50%
აზერბაიჯანი	<5%	20-50%	10-20%	10-20%	<10%	<10%	<10%	N/A
საქართველო	<5%	20-50%	10-20%	20-50%	20-50%	<10%	<10%	20-50%

წყარო: Selected from IMF (2015), Spill-over Effects from Russia’s Slowdown on Neighbouring Countries.

www.imf.org/external/pubs/ft/dp/2015/eur1501mcd.pdf

შენიშვნა: ბუნებრივი აირი/ენერჯო რესურსები დაანგარიშებულია ქვეყნის მიერ მოხმარების მიხედვით, ხოლო სხვა ცვლადები მშპ-ს მიხედვით.

¹ Tracey German, ‘Good Neighbours or Distant Relatives?’.

გრაფიკი 4.3.

ვაჭრობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის (ქვეყნების მთლიანი ექსპორტის/იმპორტის პროცენტული წილი) 2015

იმპორტიორი ექსპორტიორი	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო
სომხეთი	—	0.22/na	7.69/1.86
აზერბაიჯანი	na/0.01	—	3.97/2.93
საქართველო	7.12/2.05	10.93/0.74	—

წყარო: მსოფლიო ბანკის 2015 წლის მონაცემებზე დაყრდნობით <https://wits.worldbank.org/Default.aspx?lang=en>

გრაფიკი 4.4

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ხუთი მთავარი სავაჭრო პარტნიორი (%) 2015

	ექსპორტი	იმპორტი
სომხეთი	რუსეთი (15.233), ჩინეთი (11.24), გერმანია (9.78), ერაყი (8.81), საქართველო (7.69)	რუსეთი (30.43), ჩინეთი (9.69), ირანი (6.09), გერმანია (5.59), იტალია (4.54)
აზერბაიჯანი	იტალია (21.3), გერმანია (10.8), ესპანეთი (9.58), ინდონეზია (9.41), საბერძნეთი (6.84)	რუსეთი (15.6), თურქეთი (12.73), აშშ (9.19), გერმანია (7.48), იტალია (6.38)
საქართველო	აზერბაიჯანი (10.93), ბულგარეთი (9.72), თურქეთი (7.64), რუსეთი (7.23), სომხეთი (7.12)	თურქეთი (17.17), ჩინეთი (7.6), რუსეთი (6.67), ირანულანდა (5.9), უკრაინა (5.89)

წყარო: მსოფლიო ბანკის 2015 წლის მონაცემებზე დაყრდნობით <https://wits.worldbank.org/Default.aspx?lang=en>

სამხრეთ კავკასიის, როგორც პოლიტიკური (და ეკონომიკური) რეგიონის საფუძველი მყარდება. არ არსებობს რეგიონის

წარსულსა და აწმყოზე ამ სამი ქვეყნის ელიტების ერთიანი ხედვა. ერთიანობისა და ურთიერთდამოკიდებულების შემთხვევები ეფუძნება ან იმ საერთო მესხიერებას, როცა ეს ქვეყნები დაპყრობილნი იყვნენ გარე ძალების მიერ, ან მათ საპირისპირო პოლუსებისაკენ გადაბირებას.¹ რაღაც თვალსაზრისით, რეგიონი ან რეგიონის მსგავსი წარმონაქმნი შეიძლება დაეფუძნოს უარყოფით პირობებსაც, სადაც ქვეყნები ურთიერთდაკავშირებულნი არიან მათი „მტრობის“ საფუძველზე, მაშინ, როცა მათი უმთვარესი უსაფრთხოების საკითხები იმდენად მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთისას, რომ მათი ეროვნული უსაფრთხოება ცალკეულად არ შეიძლება იქნას განხილული.² თუმცა, რეგიონს სჭირდება საერთო შეხედულებები იმის შესახებ, თუ როგორ გაუმკლავდეს უსაფრთხოების ამ გამოწვევებს და როგორ შეცვალოს ნეგატიური აწმყო პოზიტიური მომავლით. სწორედ ეს არ არსებობს სამხრეთ კავკასიაში.

საქართველო სამხრეთ კავკასიაში

მომდევნო ორ სექციაში უფრო დეტალურად განვიხილავთ, თუ როგორ ხედავს საქართველო საკუთარ როლს სამხრეთ კავკასიაში და რა თვალსაზრისით აღიქვამს ის საკუთარ

¹ რუსეთის შუამავლობით მიღწეული შეთანხმება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ითვალისწინებს ერთობლივ ეკონომიკურ საქმიანობას, მათ შორის, სატრანსპორტო ხაზების გახსნას. თუმცა, ჯერაც ადრეა ამ იდეების განხორციელებადობის შეფასება. Crisis Group, 'Improving Prospects for Peace after the Nagorno-Karabagh War', Europe and Central Asia, Briefing 91, 22 December 2020, www.crisisgroup.org/europe-central-asia/caucasus/nagorno-karabagh-conflict/b91-improvingprospects-peace-after-nagorno-karabagh-war (accessed 21 February, 2021).

² Richard Giragosian, 'Promise and Peril: The Armenia-Russia-Iran Axis', and Svante Cornell, 'The Impact of the Ukraine and Syria Conflict on the Geopolitics of the South Caucasus', ორივე სტატია გამოქვეყნებულია *Geopolitics and Security. A New Strategy for the South Caucasus*, pp. 177-206 and pp. 231-65 (Tbilisi: Konrad Adenauer Stiftung, 2018).

კავშირს რეგიონთან. მიმოვიხილავთ რეგონული განზომილების ცნების ევოლუციას საქართველოს საგარეო პოლიტიკაში და ვეცდებით გავიაზროთ, თუ რატომ და როგორ გაუფერულდა სამხრეთ კავკასია, როგორც რეგიონი, ქართველი ლიდერებისათვის.

სამხრეთ კავკასიის რეგიონული კონცეფციის გარკვეული საფუძვლები თანამედროვე საქართველოშიცაა. 1990-იან წლებში საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ, შეიმუშავა კავკასიური სოლიდარობის იდეა და განავითარა პანკავკასიური ხედვა, რომელიც საერთო „კავკასიური სახლის“ მისეულ წარმოდგენას ეფუძნებოდა. მის წარმოდგენაში კავკასიური კავშირი მოიცავდა არა მხოლოდ რეგიონის სამხრეთ ნაწილს, არამედ ეთნიკურად ჰეტეროგენულ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიასაც. გამსახურდიას რწმენით, ქართველებს ეკისრებოდათ კავკასიის გაერთიანების ისტორიული პასუხისმგებლობა. თუმცა, იგივე გამსახურდია იყო, ვინც ულტრანაციონალისტური რადიკალიზმით შთაგონებულმა ხელი შეუწყო კონფლიქტის გაღვივებას სამხრეთ ოსეთში. გამსახურდიას არასდროს მიუცია კონკრეტული ფორმა კავკასიის ერთიანობის იდეისათვის, თუ არ ჩავთვლით მის ბუნდოვან განცხადებებს, და მისი მოკლევნიანი მმართველობის (1990 წ. ნოემბერი - 1992 წ. იანვარი) შემდეგაც არავითარი ძალისხმევა არ გამოუჩენიათ ამ კონცეფციის განსახორციელებლად. მისი მმართველობის პერიოდში საქართველოს საგარეო პოლიტიკა თითქმის არ არსებობდა.¹

¹ Barry Buzan, *People, States and Fear: An Agenda for International Security Studies in the PostCold War Era* (Colchester: ECPR Press, 2016), 190. უფრო გვიანდელ ვერსიაში ბუზანი განიხილავს სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს (ერთეულები) და „სეკურიტიზაციისა“ და „დესეკურიტიზაციის“ საკითხებს. იხ., Barry Buzan, 'Regional Security Complex Theory in the Post-Cold War World', in *Theories of New Regionalism*, ed. Fredrik Söderbaum and Timothy M. Shaw (London: Palgrave Macmillan, 2003).

მომდევნო პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ (1995-2003), შეიმუშავა „მშვიდობიანი კავკასიის“ კონცეფცია. შევარდნაძე არ ამტკიცებდა, რომ საქართველო იყო რეგიონული ერთობის მწვერვალი. არც რეგიონის პოლიტიკური გაერთიანება დაუსახავს მიზნად. მისეული ხედვით, რეგიონული თანამშრომლობა უნდა გამკლავებოდა ეთნიკურ კონფლიქტებს და ხელი შეეწყოს ეკონომიკური თანამშრომლობისათვის. შევარდნაძემ შეიმუშავა ექვსი პუნქტი: 1) ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება; 2) ადამიანის უფლებების დაცვა; 3) ტრანსპორტისა და კომუნიკაციების განვითარება, და ბლოკადების უარყოფა; 4) გარემოს დაცვა; 5) ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობა და ნაციონალიზმის შეკავება; 6) რეგიონში საერთაშორისო ინვესტიციების ხელშეწყობა.¹ ეს პუნქტები უმთავრესი მნიშვნელობის იყო რეგიონული განვითარების ქართული პერსპექტივისთვის და განგრძობითი სახით გამოვლინდა საქართველოს საგარეო პოლიტიკაში შევარდნაძის პოლიტიკური მემკვიდრეების დროსაც. 1996-1997 წლებში საქართველოს პარლამენტი შედარებით უფრო აქტიური იყო რეგიონული თანამშრომლობის კონცეფციის მხარდაჭერის თვალსაზრისით და გამოსცა რამოდენიმე ანალიტიკური ნაშრომი ინტეგრაციის პერსპექტივასა და გამონეგებზე. თუმცა, რეგიონში არსებული რეალობის ფონზე - როგორცაა სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი - ქართულმა ხელისუფლებამ გაიაზრა თავისი რეგიონული მისწრაფებების შეზღუდულობა. ამავე დროულად, კასპიის ნავთობსექტორის გარშემო არსებულმა საერთაშორისო პროექტებმა ნათლად გამოკვეთა აზერბაიჯანთან დაკავშირების სტრატეგიული პრიორიტეტი. საქართველოსა და აზერბაიჯანს ბევრი საერთო რამ ჰქონდათ. ორივემ დაკარგა ტერიტორიები, ორივე ცდილობდა რუსეთზე დამოკი-

¹ Stephen Jones, 'The Role of Cultural Paradigms in Georgian Foreign Policy', *Journal of Communist Studies and Transition Politics*, 19:3 (2003), pp. 83-110, especially 93-4.

დებულების შემცირებას და ენერგო და სატრანსპორტო პროექტებს აღიქვამდნენ დასავლეთის დაინტერესების გზად, ამავედროულად კი ცდილობდნენ ყველაფერსა და ყველგან ჩარეული მოსკოვის დაბალანსებას. აზერბაიჯან-საქართველოს თანამშრომლობამ, რომელიც აქტიურადაა მხარდაჭერილი თურქეთის მხრიდან, კიდევ ერთხელ გამოავლინა ყოველმხრივ ინკლუზიური სამხრეთ კავკასიური რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივის სისუსტე.

საქართველოს საგარეო პოლიტიკაში კავკასიური განზომილების გამოცოცხლების ბოლო მცდელობა მოულოდნელად გამოჩნდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან ხუთდღიანი ომის შემდეგ. 2010 წელს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას სააკაშვილმა ისაუბრა კავკასიაზე, როგორც ადგილზე სადაც ერთიანობამ, თავისუფლებამ და კეთილდღეობამ უნდა ჩაანაცვლოს ხელოვნური დაყოფა, ჩავგრა და ექსპლუატაცია.¹ თუმცა, სააკაშვილის ინტერესი (იგივე რაც გამსახურდიასი) უფრო ჩრდილოეთ კავკასიისკენ მიემართებოდა და გულისხმობდა პოტენციური ბერკეტის შეძენას რუსეთ-საქართველოს დაპირისპირებაში. თბილისის მთავრობა ცდილობდა სახალხო ურთიერთობების გაუმჯობესებას ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან, რათა შექმნილიყო დიდი ერთობა რუსეთის წინააღმდეგ. საქართველომ მოხსნა ვიზის მოთხოვნა ჩრდილოეთ კავკასიაში მაცხოვრებელთათვის, დააფუძნა რუსულენოვანი სატელევიზიო სადგური, რეგიონის სტუდენტებისა და მეცნიერებისათვის გამოყო საქართველოში სწავლისა და კვლევის

¹ შევარდნაძის პარალელურად, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ჰეიდარ ალიევმა წამოაყენა წინადადება სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის პაქტის შეასახებ, ხოლო სომხეთის პრეზიდენტი, რობერტ კოჩიანი ასევე უჭერდა მხარს რეგიონულ თანამშრომლობას კონფლიქტების მოსაგვარებლად. Eleni Fotiou, 'Caucasus Stability and Cooperation Platform: What is at Stake for Regional Cooperation?' *International Center for Black Sea Studies (ICBSS)*, Policy Brief 16 (2009), p. 3, www.files.ethz.ch/isn/104737/PB (accessed 8 February 2019).

ფონდები და პარლამენტმა ოფიციალურად ცნო ჩერქეზი ხალხის გენოციდი, რომელიც მე-19 საუკუნეში განხორციელდა რუსეთის იმპერიის მხრიდან.¹ ამ შესტებს არაფერი აკავშირებდა სამხრეთ კავკასიის ერთობასთან და მეტნაკლებად მაღლევე მიეცა დავინწყებას ბიძინა ივანიშვილის მთავრობის დროს, რომელიც 2012 წელს მოვიდა ხელისუფლებაში და ცდილობდა რუსეთთან დაძაბულობის შესუსტებას.

საქართველოს ბიძგები რეგიონალიზმის წინააღმდეგ

საქართველოს 2019-22 წლების საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში (რომელიც თითქმის იდენტურია 2015-19 წლების სტრატეგიისა), სამხრეთ კავკასია, როგორც რეგიონი, არაა მოხსენიებული. ამის ნაცვლად, მოქმედი სტრატეგია პრიორიტეტულ რეგიონულ განზომილებად შავ ზღვას ასახელებს, რომლის ფარგლებშიც საქართველოს სურს მრავალმხრივი თანამშრომლობის დამყარება ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან, რომელთაც ხელი მოაწერეს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას (უკრაინა და მოლდოვა).² საქართველოს მთავრობის მიერ რეგიონში მნიშვნელოვან ორგანიზაციებად დასახელებულია სუამი (დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია, რომლის წევრებიც არიან საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა) და ბისეკი (შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია). მას შემდეგ რაც 2009 წელს საქართველომ დსთ (და-

¹ United Nations, Remarks of H.E. Mikheil Saakashvili, President of Georgia on the 65th Session of the United Nations General Assembly on 23 September 2010, www.un.org/en/ga/65/meetings/generaldebate/Portals/1/statements/63420914765500000GE_en.pdf, (accessed 10 February 2019).

² George Khelashvili, 'Georgian Perceptions of the North Caucasus and of US-Russian Relations', *PONARS Eurasia Policy Memo*, May/148 (2011), http://css.ge/files/Papers/George_Khelashvili,_Ponars,_May_2011.pdf (accessed 10 February 2019).

მოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) დატოვა, უშუალო სამეზობლოში იგი მხოლოდ ზემოხსენებული ორი რეგიონული ორგანიზაციის წევრია.¹

საქართველოს მხრიდან უშუალო მეზობლებისაგან გამოყოფის მთავარი მამოძრავებელი ძალა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებებია. საქართველოს მოქმედი და ყოფილი ხელისუფლებები ევროკავშირსა და ნატოში განევრიანებას მათი ეროვნული ინტერესისა და სტრატეგიული პრიორიტეტის საგნად ასახელებენ. უკრაინა და მოლდოვა - ქვეყნები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას - უფრო იმედისმომცემი წყვილია სომხეთსა და აზერბაიჯანთან შედარებით. ქართული წარმოდგენით, უფრო პრაგმატულია შავი ზღვის რეგიონში, უფრო კონკრეტულად კი უკრაინა-მოლდოვა-საქართველოს ტრიოს სახით პოზიციონირება ('DCFTATrio'), ვიდრე არასტაბილური სამხრეთ კავკასიის წევრობა. 2019 წლის დეკემბერში ამ სამმა ქვეყანამ კიდევაც მიმართა ევროკავშირს თანამშრომლობის ახალი ფორმატის - ევროკავშირს+3 - შემოღების წინადადებით.²

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა სამხრეთ კავკასიაში, რომელსაც ევროკავშირისა და ნატოს წევრობის მკაფიო ამბიცია გააჩნია. აზერბაიჯანს ძალიან ვიწრო და ფოკუსირებული ინტერესები აქვს ევროკავშირსა და ნატოსთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით. სომხეთი მეტად მონდომებული ჩანს ევროკავშირთან დაახლოების თვალსაზრისით, განსაკუთრებით 2018 წლის რეკოლუციის შემდეგ (იხ. გრაფიკი 4.5); თუმცა, მისი ევრაზიული კავშირის წევრობა მკაფიო საზღვრებს ავლებს ამ მიმართულებით. 2013 წლის სომხეთის სტრატეგიულმა შემოტრიალებამ საქართველოსთვის ცხადი გახადა, რომ

¹ Ministry of Foreign Affairs of Georgia, Foreign Policy Strategy 2019-22 (in Georgian), <http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx>, (accessed 10 February 2019).

² Foreign Policy Strategy 2019-22.

დიდი სამხრეთ კავკასიური ერთობის ჩამოყალიბება არასანდო პერსპექტივა იყო დასავლეთისკენ მიმართული საქართველოსთვის, „კავკასიის წევრობა“ წინაღობა იქნებოდა და არა სარგებელი.

გრაფიკი 4.5

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსი 2017 (0-100 max)

	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო
მიახლოება/შესაბამისობა	0.66	0.56	0.64
დემოკრატია და ადამიანის უფლებები	0.60	0.32	0.70
ვეროინტეგრაცია და მმართველობა	0.65	0.57	0.65
მდგრადი გამვითარება	0.72	0.79	0.57
კავშირები	0.50	0.47	0.71
საერთაშორისო უსაფრთხოება, პოლიტ. დიალოგი და თანამშრომლობა	0.46	0.38	0.75
სექტორული თანამშრომლობა და სავაჭრო დიქტა	0.36	0.46	0.56
მოქალაქეები ევროპაში	0.68	0.55	0.81

წყარო: აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსზე დაყრდნობით 2017, <https://eap-csf.eu/wp-content/uploads/EaP-Index2017.pdf>

საქართველოს სამხრეთ კავკასიიდან „გაქცევის“ ყველაზე ძლიერი მცდელობა უკავშირდება მიხეილ სააკაშვილს და მის ამბიციურ გეგმებს, რომ თავიდან აეშენებინა სახელმწიფო ინსტიტუტები და შეეცვალა ქვეყნის იდენტობა. 2004 წელს ახალმა ხელისუფლებამ, ერთ-ერთი პირველი გადანყვეტილების სახით წარმოადგინა ხუთჯვრიანი დროშა (და ახალი ჰიმნი), რომლებიც გამოხატავენ საქართველოს, როგორც ევროპული სამყაროს შეუცვლელ ნაწილს. სააკაშვილის ხელისუფლებამ საქართველოს ახალ საგარეო პოლიტიკურ ორიენტირად დასახა გზა ევროკავშირისა და ნატოსკენ, როგორც ბუნებრივი და კანონიერი სურვილი ევროპულ ოჯახში დაბრუნე-

ბისა.¹ ევროპისაკენ პირველი ნაბიჯები უფრო ადრე, პრეზიდენტ შევარდნაძის დროს გადაიდგა, როცა მან წარმატებით შეძლო საქართველოს განწევრიანებაზე თანხმობის მიღება ევროპის საბჭოში 1999 წელს. 1990-იანი წლების მეორე ნახევარში, საქართველო ჯერ კიდევ სუსტი სახელმწიფო იყო, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ორი სეცესიური ომის გამოცდილებით. დანაწევრებული და ეკონომიკურად სასოწარკვეთილი საქართველო იძულებული გახდა რუსეთისგან მართული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი გამხდარიყო, რათა რუსეთის ინტერესები დაემოშმინებინა. ამდენად, საქართველოს ევროპის საბჭოში განწევრიანება იყო შევარდნაძის პირადი საგარეო პოლიტიკის ტრიუმფი, ვინაიდან მან საქართველო ევროპის პოლიტიკურ რუკაზე გაიყვანა.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კავკასიის განზომილებას არასდროს უთამაშია სერიოზული როლი თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკაში. 1990-იანი წლების შუა ხანების „მშვიდობიანი კავკასიის“ კონცეფციაც კი შევარდნაძის, როგორც ყოფილი საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრის, პირად ამბიციებთან იყო დაკავშირებული, რომელსაც უნდოდა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა და ამ გზით სუსტი ქართული სახელმწიფოს დასტაბილურება. ამ კონცეფციამ პოპულარობა დაკარგა, მას შემდეგ რაც საქართველომ ენერჯისა და ტრანსპორტის რუკაზე იპოვნა საკუთარი როლი, როგორც კასპიის ზღვის აუზის თურქეთსა და დანარჩენ ევროპასთან დამაკავშირებელმა. ის დავინწყებას მიეცა საქართველოს ევროპის საბჭოში განწევრიანებისა და შემდგომი ევროინტეგრაციის ფონზე.

¹ 'Georgia-Ukraine-Moldova deal, requesting EU+3 format for sectoral integration, new benefits', *Agenda.ge*, 5 December 2020, <https://agenda.ge/en/news/2019/3317> (accessed 7 February 2020).

საქართველოს ხედვა სომხეთსა და აზერბაიჯანზე

ქართველებმა ბევრი არაფერი იციან მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის საშინაო პრობლემებსა და ეკონომიკურ განვითარებაზე, ან მათ სოციალურ და კულტურულ პრობლემებზე. ეროვნული მედია იშვიათად აქცევს ყურადღებას საზღვრებს მიღმა მომხდარ მოვლენებს, თუ ეს რამე განსაკუთრებული არაა, მაგალითად - პოლიტიკური არეულობა, კონფლიქტიების მოულოდნელი გამწვავება ან ბუნებრივი კატასტროფა. რეგულარული არჩევნებიც კი არაა სათანადოდ გაშუქებული ქართული მედიის მიერ, თუკი ის ფუნდამენტურ ცვლილებებს არ იწვევს. ქვეყნის დასავლური ორიენტაცია გარკვეულწილად აისახება ამ გულგრილობაში, რასაც საქართველო მისი საზღვრებიდან სამხრეთითა და აღმოსავლეთით მიმდინარე მოვლენების მიმართ იჩენს. 2019 წლის კავკასიის ბარომეტრის მიხედვით, ქართველების მხოლოდ 7 პროცენტი მიიჩნევს აზერბაიჯანს მეგობრულ ქვეყნად (არცერთი პროცენტი მტრად) და უფრო ცოტა - 2 პროცენტი - მიიჩნევს სომხეთს მეგობრულად (იგივე რიცხვი ფისქირდება სომხეთის, როგორც მტრის აღქმაზეც). შედარებისთვის, საქართველოს მოქალაქეთა 21 პროცენტი აშშ-ს მეგობრად აღიქვამს და 49 პროცენტს რუსეთი მტრად მიაჩნია.¹

ამ თავის მიზანი არაა საქართველოს მიერ მეზობლების მიმართ წარმოებული საგარეო პოლიტიკის დეტალური განხილვა. ამის ნაცვლად, ის წარმოგვიდგენს ზოგად შეხედულებებს (და, რა თქმა უნდა, მცდარ შეხედულებებსა და სტერეოტიპებსაც), რომლებიც გარკვეულ შიდა საზღვრებს ანესებენ რეგიონული თანამშრომლობისათვის. ამ თავის დარჩენილი ნაწილი წარმოადგენს საქართველოს მიერ სომხეთისა და აზერბაიჯანის და რეგიონში მათი ამჟამინდელი როლის აღქმას.

¹ დენტობის როლზე საქართველოს საგარეო პოლიტიკაში იხ. Kornely Kakachia and Salome Minesashvili, 'Identity Politics: Exploring Georgian Foreign Policy Behaviour', *Journal of Eurasian Studies*, 6:2 (2015), pp. 171-80.

სომხეთი

საქართველოს ხედვა სომხეთის შესახებ ისტორიული წარსულიდან გამომდინარეობს და ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები საუკეთესო მაგალითია იმისა, რასაც ფროიდი „მცირე განსხვავებების ნარცისიზმს“ უწოდებდა.¹ თუმცა კი, სომხებსა და ქართველებს შორის განსხვავებები ყოველთვის მცირე არაა. ეს ორი ქვეყანა დაპყრობების, შიდა დაყოფისა და გარე მმართველების ერთნაირ ბედს იზიარებდა.² ორივე მათგანი უძველეს ქრისტიანულ ერებს შორისაა, მაგრამ მათი რელიგიური საფუძვლები მნიშვნელოვნად განსხვავდება. ეს ორი ეკლესია მეშვიდე-მერვე საუკუნეებში გაიყო და ორ საზოგადოებას შორის გაჩნდა ვაჭრობასა და ქორწინებაზე დადებული საეკლესიო აკრძალვა.³ დროთა განმავლობაში, ისტორიული ანტაგონიზმი ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდა, თუმცა შერეული ოჯახები დღემდე არაა ბოლომდე მი-

¹ 2019 წლის საქართველოს ბარომეტრი არ ასახავს არსებით ცვლილებებს 2017 და 2015 წლებთან შედარებით. ერთადერთი განსხვავებაა, რომ 2017 წელს სომხეთი არ სახელდება მტრებს შორის. 2019 წლის სომხეთის ბარომეტრის მიხედვით, სომხების 57 პროცენტი რუსეთს უყურებს, როგორც მეგობარს (მხოლოდ 4 პროცენტი ამბობს იმავეს საქართველოზე). 75 პროცენტი აზერბაიჯანს აღიქვამს მტრად და 16 პროცენტი იგივეს ამბობს თურქეთზე. საქართველოს მტრებს შორის არ ასახელებენ. აზერბაიჯანის შესახებ სულ ბოლო მონაცემები 2013 წლისაა. იხ. Caucasus Research Resource Centre (CRRC), Caucasus Barometer, <https://caucasusbarometer.org/en/datasets> (accessed 10 February 2019).

² ეს ტერმინი ზიგმუნდ ფროიდს ეკუთვნის. იხ. Sigmund Freud and James Strachey, *Civilization and Its Discontents: Sigmund Freud* (New York: W. W. Norton & Company Inc., 1961).

³ George Tarkhan-Mouravi, 'Armenia and Georgia: Resilient Relationship', *Heinrich Böll Stiftung, South Caucasus*, 15 December 2017, <https://ge.boell.org/en/2017-12/15/armenia-georgia-resilientrelationship> (accessed 10 February 2019); Robert Nalbandov, 'Uncertain Old Friends: Georgian- Armenian Relations', in *Georgian Foreign Policy: The Quest for Sustainable Security*, ed. Kornely Kakachia and Michael Cecire (Tbilisi: Konrad Adenauer Stiftung, 2013), pp. 175-89.

ლებული. 2019 წლის კავკასიის ბარომეტრის მიხედვით, ქართველთა მხოლოდ 36 პროცენტი ამართლებს ქართველი ქალის სომეხზე დაქორწინებას (იმავე აზრს ემხრობა სომეხთა 33 პროცენტი ქართველებთან მიმართებაში).¹ მოგვიანებით, განსაკუთრებით მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში, თბილისსა და საქართველოს სხვა ნაწილებში სომეხთა დიდი თემები გაჩნდა. ეს თემები ვაჭრობასა და წვრილ მწარმოებაში იყვნენ ჩართული. მათ საკმაო ქონების დაგროვება მოახერხეს და ამიტომ, ქართველები ხშირად მათ შურითა და ეჭვის თვალით უყურებდნენ.² პატარა განსხვავებები პოლიტიკურად ამკარა გახდა 1918-1920/21 წლების მოკლენიანი დამოუკიდებლობის პერიოდში. საგარეო პოლიტიკის განსხვავებების გარდა, საქართველოსა და სომხეთს ტერიტორიული კონფლიქტიც ჰქონდათ და 1918 წლის დეკემბერში მცირე სასაზღვრო ომიც მოხდა, რამაც რამოდენიმე ასეული ადამიანის სიცოცხლე შეინირა ორივე მხრიდან. სამხედრო დაპირისპირება ბრიტანელების ჩარევის შემდეგ დასრულდა.³

განსხვავებული საგარეო ორიენტირები უფრო გამოიკვეთათა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად. ახლა დამოუკიდებელი საქართველო მოიცვა ეთნიკურმა კონფლიქტებმა, განსაკუთრებით ორ რეგიონში - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ცენტრალურმა ხელისუფლებამ ფაქტობრივად დაკარგა კონტროლი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში სომეხი და აზერბაიჯანელი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე.

¹ Stephen H. Rapp Jr., 'Georgian Christianity', in *The Blackwell Companion to Eastern Christianity*, ed. Ken Parry (Malden, MA: Wiley-Blackwell, 2010), pp. 137-55; V.A.ArutionovaFidanian, 'K voprosu o sushchestovavanii khalkidonitskoi tserkvi v armenii' (On the Question of the Existence of the Chalcedonian Church in Armenia), *Вестник ПСТГУ III: Филология*, 4:22 (2010), pp. 7-22.

² იბ. Caucasus Research Resource Centre (CRRC), *Caucasus Barometer 2019* <https://caucasusbarometer.org/en/datasets/> (accessed 10 February 2019).

³ Timothy K. Blauvelt and Christofer Berglund, 'Armenians in the Making of Modern Georgia', Manuscript (2016), <http://eprints.iliauni.edu.ge/4587/1/22.05.final.Berglund.pdf> (accessed 10 February 2019).

პარალელურად, სომხეთი, ყარაბაღელ სომხებთან ერთად, ჩაერთო ბრძოლაში აზერბაიჯანის წინააღმდეგ. საქართველომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სეპარატისტების მხარდაჭერაში დაადანაშაულა რუსეთი. ამასთან, ამ კონფლიქტებში ადრეული 1990-იანების ქართველ ულტრანაციონალისტებსაც დიდი ბრალი მიუძღვოდათ. რუსეთი თავიდან პირდაპირ არ ჩართულა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში. თუმცა, დროთა განმავლობაში მოსკოვმა თავისი მხარდაჭერა სომხეთისაკენ მიმართა და ამან მნიშვნელოვნად განაპირობა სომხური სამხედრო შენაერთების წარმატება. ქართველებისთვის მთიანი ყარაბაღის ომი იყო რუსების მხრიდან სეპარატისტების მხარდაჭერის ილუსტრაცია: რუსეთი მხარს უჭერდა სომხურ სეპარატიზმს აზერბაიჯანში, ხოლო აფხაზურ და სამხრეთ ოსურ სეპარატიზმს საქართველოში. სეპარატისტულმა კონფლიქტებმა გააღვივა ურთიერთსაწინააღმდეგო ეჭვები ქართულ და სომხურ მხარეებს შორის. ქართული პერსპექტივიდან, სომხეთი რუსეთის მოკავშირედ იქცა.¹ ეს შეხედულება თანდათან შესუსტდა ორი ქვეყნის მთავრობების ორმხრივი პრაგმატიზმის წყალობით, მაგრამ საქართველო და სომხეთი კვლავ დაპირისპირებულ ბანაკებში რჩებიან - პირველი მათგანი ერვოკაფშირის თავისუფალი ვაჭრობის სივრცეს უერთდება და ნატოსთან ინტეგრაციაშია, ხოლო მეორე მოსკოვის მიერ მართულ უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ ორგანიზაციებს, როგორებიცაა კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაცია და ევრაზიის ეკონომიკური კავშირი. საქართველოს პერსპექტივიდან, მართალია თბილისმა დაკარგა ორი ტერიტორიული ერთეული, მაგრამ რუსეთის ორბიტიდან თავის დახსნა მოახერხა. მოსკოვმა დათმო თავისი ბერკეტი საქართველოსთან მიმართებაში მას შემდეგ, რაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა 2008 წელს. მეორე მხრივ, სომხეთმა გარკვეული დროით კი შეინარჩუნა კონტრო-

¹ იქვე, გვ. 6.

ლი მთიან ყარაბაღზე და აზერბაიჯანის მომიჯნავე ტერიტორიებზე, მაგრამ ამის ფასი ძალიან ძვირად - რუსეთის დომინირების აღიარებად - დაუჯდა. სომხეთის საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტი კი იყო კომპლემენტარულობა (ურთიერთშევისებადობა), მაგრამ საბოლოოდ ის რუსეთზე დამოკიდებულებაში გადაიზარდა: 2013 წლის სტრატეგიული შემოტრიალება იმის დასტური იყო, რომ სომხეთმა უარი თქვა ევროკავშირზე ევრაზიული ეკონომიკური კავშირის გამო. საქართველო პოტენციურ საფრთხედ აღიქვამს სომხეთში განთავსებულ რუსულ ბაზებს, რამდენადაც ისინი სომხეთ-საქართველოს საზღვრიდან მხოლოდ 50 კილომეტრში მდებარეობს. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ სომხეთის ხელისუფლება შეძლებს (მაშინაც კი, თუ ამას მოისურვებს) შეენინააღმდეგოს რუსეთის სამხედრო იერიშს საქართველოს წინააღმდეგ.¹

სომხეთის 2018 წლის პოლიტიკური ცვლილებები - მშვიდობიანი ხავერდოვანი რევოლუცია - საქართველოში მეტწილად უნდობლად მიიღეს. ქართული პერსპექტივის მიხედვით, სომხეთის დემოკრატიული გადატრიალება არაფერს შეცვლის, რადგან ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების ორიენტირი იგივე რჩება. ქართული აღქმით, რუსეთი უფრო მეტი დემოკრატიზაციის უფლებას არ მისცემს სომხეთს და ყველა ძალას გამოიყენებს, რომ გააკონტროლოს ქვეყნის ახალი მმართველი ელიტა. ამასთან, სომხეთის ახალი ხელისუფლება ცდილობს, დაუმტკიცოს რუსეთს თავისი ერთგულება, თუმცა კი ქვეყანა ამ დამოკიდებულების შესუსტებასაც ცდილობს.² საქართველოში 2020 წლის ყარაბაღის ომის შედეგებს სომხეთის რუ-

¹ Sergey Minasyan, 'New Challenges and Opportunities for Armenia and Georgia in the Context of Regional Security', Caucasus Institute and Republican Institute, *Armenia and Georgia in the Context of Current Political Developments: New Challenges and Opportunities in the Realm of Regional Security* (Yerevan-Tbilisi, 2016), pp. 4-10.

² Liberal Academy, Tbilisi 'Threats of Russian Hard and Soft Power in Georgia' (Tbilisi, 2016), 81-4, www.ei-lat.ge/images/doc/threats%20of%20russian%20soft%20and%20hard%20power.pdf (accessed 10 February 2019).

სეთთან კავშირების ძნელად განყვეტის კიდევ ერთ მტკიცებულებად აღიქვამენ.

სომხეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები ფორმალურად მეგობრულია, ორივე მხარის პრაგმატულობის წყალობით. ორივე მთავრობას გაცნობიერებული აქვს მათ ხელთ არსებული ბერკეტები. სომხეთის შემთხვევაში ესაა საქართველოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრები ეთნიკური სომხების მრავალრიცხოვანი თემი, განსაკუთრებით კი ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა. მეორე მხრივ, საქართველო სომხეთის რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოსთან დამაკავშირებელი თითქმის ერთდაერთი გზაა, იმდენად რამდენადაც აზერბაიჯანისა და თურქეთის მიმართულებები დაბლოკილია.¹ მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმას, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთდამოკიდებულება უარყოფითი ფაქტორებითაა გამოწვეული (ერთი მხრივ ეთნიკური ნათესაობით მანიპულირების პოტენციალი და მეორე მხრივ კომუნიკაციის განყვეტა) და არა დადებითი დინამიკით, როგორცაა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და ორმხრივი ვაჭრობა.

აზერბაიჯანი

საქართველოს აზერბაიჯანთან ურთიერთობა ისეთივე ისტორიულად კომპლექსური არაა, როგორც სომხეთის შემთხვევაში. აქ საგრძნობლად ნაკლებია „ნარცისისტული განსხვავე-

¹ Shota Gelovani, '3 Reasons Why the Armenian Revolution Means Nothing for the Foreign Policy of the Country and 3 Reasons Why We Thought it Would', *Georgian Institute of Politics (GIP)*, 25 May 2018, <http://gip.ge/3-reasons-why-the-armenian-revolution-means-nothing-for-the-foreignpolicy-of-the-country-and-three-reasons-why-we-thought-it-would/> (accessed 10 February 2019); Ghia Nodia, 'What Georgians Think about the Armenian Revolution', *Caucasus Analytical Digest*, August 2018, www.css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/CAD104.pdf (accessed 10 February 2019).

ბები.“ 1990-იან წლებში ეს ორი ქვეყანა უფრო მეტ საერთოს ავლენდა, ვიდრე განსხვავებას. აზერბაიჯანმა და საქართველომ იომეს თავიანთი ტერიტორიული ერთიანობისთვის და ორივე დამარცხდა. ორივე ადანაშაულებდა რუსულ ინტერვენციას. საქართველოს აზერბაიჯანული თემი შიშითა და ეჭვებით შეხვდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ წლებში აღმოცენებულ რადიკალურ ნაციონალიზმს. ბევრმა მათგანმა ქვეყანა დატოვა. თუმცა, შემდეგ საქართველოში აზერბაიჯანელებით დასახლებული ტერიტორიები, განსაკუთრებით კი ქვემო ქართლის რეგიონი, საქართველოს მთავრობებისთვის მნიშვნელოვან საარჩევნო საყრდენად იქცა და სერიოზულ როლს ასრულებს საქართველოს მმართველი პარტიების მიერ ხმების მოხვეჭის საქმეში.¹

აზერბაიჯანმა და საქართველომ მჭიდრო კონტაქტები დაამყარეს ორმხრივ ინტერესებზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს ენერგო და სატრანსპორტო მარშრუტების ჩამოყალიბებას კასპიისა და შავი ზღვების დასაკავშირებლად და კიდევ უფრო შორს, თურქეთში გასასვლელად. აზერბაიჯანს სტრატეგიულად სურდა რუსეთის გვერდის ავლით ნავთობისა და გაზის რესურსების ტრანსპორტირების შესაძლებლობის ქონა, მაშინ როცა საქართველოს სურდა რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირება. საქართველომ, როგორც სატრანზიტო ქვეყანამ, შეძლო, მიეპყრო დასავლეთის ყურადღება, ინვესტიციები და რესურსები, რეგიონში საკუთარი ნიშის ჩამოყალიბების გზით. 2019 წლისთვის, რეგიონული სატრანზიტო პროექტების უმრავლესობამ ხორცი შეისხა - ესენია ბაქო-სუფსის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა, და სამხრეთ კავკასიის (ბაქო-თბილისი-ერზერუმის) მილსადენები, ისევე როგორც ბაქო-

¹ Tarkhan-Mouravi, 'Armenia and Georgia'.

თბილისი-ყარსის რკინიგზა, რომლის მშენებლობაც იმ დროისთვის საბოლოო ეტაპზე იყო გადასული.¹

შევარდნაძის მმართველობისას საქართველოში ჰიბრიდული, ნახევრად თავისუფალი პოლიტიკური რეჟიმი იყო. მეორე მხრივ, აზერბაიჯანში ჰეიდარ ალიევმა წარმატებით მოახდინა თავისი ავტორიტარული მმართველობის კონსოლიდირება 1990-იან წლებში. მიუხედავად ამისა, საერთო ხედვა კონფლიქტების გარე წყაროსგან წარმოშობის შესახებ, რუსული დომინირებისაგან გაქცევის სურვილი და დასავლეთისთვის მათი სტრატეგიული ფასის გაზრდის მცდელობა, დაეხმარა აზერბაიჯანსა და საქართველოს შიდა პოლიტიკურ სისტემებს შორის განსხვავებების გადალახვაში. კარგმა პირადმა ურთიერთობებმა ედუარდ შევარდნაძესა და ჰეიდარ ალიევს, ისევე როგორც, მათ შემდგომ მიხეილ სააკაშვილსა და ილჰამ ალიევს შორის, ხელი შეუწყო პოზიტიურ პოლიტიკურ ურთიერთობებს. ვარდების რევოლუციის შემდეგ სააკაშვილის უეცარმა დანიშნულებამ და მისმა ადრეულმა განცხადებებმა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში კლემენტარული ელიტების ჩანაცვლების შესახებ, გარკვეული კითხვები კი გააჩინა აზერბაიჯანში, თუმცა პიროვნული ურთიერთობები მალევე გამოსწორდა სააკაშვილსა და ილჰამ ალიევს შორის.²

¹ Zaur Shiriyev and Kornely Kakachia, 'Azerbaijani-Georgian Relations: The Foundations and Challenges of the Strategic Alliance', *Center for Strategic Studies (SAR)*, 7-8 (2013).

² აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთობის შესახებ იხ. Zaur Shiriyev, 'An Alliance Built on Understanding: The Geopolitics of Georgian-Azerbaijani Relations', in *Georgian Foreign Policy: The Quest for Sustainable Security*, pp. 149-73; Mamuka Tsereteli, 'Azerbaijan and Georgia: Strategic Partnership for Stability in a Volatile Region', *Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program*, September 2013, www.files.ethz.ch/isn/173440/2013-Tsereteli-Azerbaijan-andGeorgia1.pdf (accessed 10 February, 2019). ენერგო და სატრანსპორტო საკითხების გეოპოლიტიკური იმპლიკაციების შესახებ იხ. Samuel Lussac, 'The Baku-Tbilisi-Kars Railroad and Its Geopolitical Implications for the South Caucasus', *Caucasus Review of International Affairs*, 2:4 (2018), pp. 34-46.

რეჟიმებს შორის განსხვავება მაინც ქმნის დაძაბულობას ამ ორ ქვეყანას შორის. უკანასკნელ წლებში, მას შემდეგ რაც აზერბაიჯანის მთავრობამ გაამკაცრა სამოქალაქო საზოგადოებაზე კონტროლი, რამოდენიმე აქტივისტი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად.¹ აგრეთვე, ზოგიერთი საერთაშორისო დონორი, რომელსაც არ აქვს აზერბაიჯანში მუშაობის უფლება, ცდილობს ამ ქვეყანას საქართველოდან მისწვდეს. ისინი საქართველოში ატარებენ ღონისძიებებს აზერბაიჯანის მოქალაქეებისთვის და დაფინანსებას გამოყოფენ აზერბაიჯანელი სამოქალაქო საზოგადოებისა თუ მედია აქტივისტებისათვის. ეს გარკვეულ უნდობლობას იწვევს ბაქოში. 2017 წელს აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი, რომელიც აზერბაიჯანის ხელისუფლებისადმი კრიტიკულად იყო განწყობილი, თბილისიდან გაიტაცეს და მოგვიანებით სამშობლოში გაასამართლეს. გაჩნდა შეკითხვები იმის შესახებ, დაეხმარა თუ არა საქართველოს მთავრობა აზერბაიჯანელ კოლეგებს ამ სპეციალური ოპერაციის ჩატარებაში.² 2019 წლიდან ორ ქვეყანას შორის სასაზღვრო დაპირისპირების დაძაბულობამ იმატა, რაც გამოწვეული იქნა დავით გარეჯის მონასტრის საკითხით - ეს სამონასტრო კომპლექსი ქართველების მიერ ქრისტიანული წარსულის სიმბოლოდაა შერაცხული. ამ ტერიტორიული დავის საშინაო პოლიტიკური იმპლიკაციების მიუხედავად, რომელიც განსაკუთრებით მწვავე იყო საქართველოში, ორივე ქვეყნის ხელისუფლება ცდილობს მის დათრგუნვას და იმის უზრუნველყოფას, რომ ამ დაპირისპირებამ არ გადაფაროს ორმხრივი სტრატეგიული პარტნიორობა.³ საქართველოსთვის

¹ Shiriyeve and Kakachia, 'Azerbaijani-Georgian Relations', p. 20.

² 'Repression Beyond Borders: Exiled Azerbaijanis in Georgia', *Human Rights Education and Monitoring Centre (EMC)*, 21 November 2017, <https://emc.org.ge/en/products/represiasazghvrebs-mighma-azerbaijanidan-devnili-mokalakeebi-sakartveloshi> (accessed 10 February 2019).

³ Civil Georgia, 'State Security Service Denies Involvement in Afgan Mukhtarli's Case', 11 June 2017,

უფრო დამაბნეველია 2020 წლის ყარაბაღის ომის შედეგები. საქართველო და აზერბაიჯანი პოსტსაბჭოთა კონფლიქტების ბუნების შესახებ საერთო შეხედულებას იზიარებენ. ორივე მათგანი ემხრობა ეთნიკური კონფლიქტების გადაჭრას ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე დაყრდნობით. თბილისი შესაძლოა დადებითად შეხვდეს აზერბაიჯანის მიერ 1990-იან წლებში დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, მაგრამ ის ასევე ღელავს რეგიონში რუსეთის სამხედრო ყოფნის ზრდაზე. საქართველო ხაზგასმით ნეიტრალურ პოზიციაში რჩება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში, მაგრამ რუსეთის მიერ კონფლიქტის მედიაცია არაერთ რისკს შეიცავს მისთვის. ყოველთვის არსებობს პოტენციური ეთნიკური დაპირისპირებების „გადმოღვრის“ რისკი საქართველოში მცხოვრებ სომხურ და აზერბაიჯანულ თემში.¹

დასკვნა

საქართველო სამხრეთ კავკასიის ნაწილია ფიზიკური თვალსაზრისით. და თუმცა, ძნელია გეოგრაფიას გაექცე, აღქმები მაინც შეიძლება შეიცვალოს. 2000-იანი წლებიდან საქართველო შავ ზღვას თავის სტრატეგიულ პრიორიტეტად აღიქვამს და სურს, დაუკავშირდეს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა მოლდოვა და უკრაინა. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია საგარეო პოლიტიკის მიზნებით - ევროკავშირისა და ნატოს წევრობისაკენ მისწრაფებით, უკრაინა და მოლდოვა ხომ გეოგრაფიულად ევროპის წევრები არიან. ევროკავშირიც იწყებს საქართველოს დაჯგუფებას მოლდოვასა და უკრაინასთან ერ-

www.civil.ge/eng/article.php/test/article.php?id=30179&search=mukhtarli, (accessed 10 February 2019).

¹ Giorgi Lomsadze, 'Azerbaijan-Georgia Relations Newly Strained by Monastery Tensions', *Eurasianet*, 17 July 2019, <https://eurasianet.org/azerbaijan-georgia-relations-newly-strained-by-monastery-tensions> (accessed 28 February 2021).

თად, რადგან ეს სამი ქვეყანა მონაწილეობს ასოცირების შე-
თახნმებასა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სა-
ვაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაში.¹

ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო თავისუფალია იმ
ისტორიული და პოლიტიკური კავშირებისგან, რომლებიც მას
სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან აერთიანებს. თუმცა დღეს ეს
კავშირები უფრო ორმხრივია, ვიდრე სამხრევი. საქართველო
სტრატეგიულ ალიანსშია აზერბაიჯანთან და პრაგმატულ ურ-
თიერთობებს აწარმოებს სომხეთთან. მიუხედავად ამისა, ეს
კავშირები არ ქმნის რეგიონული იდენტობისა და, მითუმეტეს,
მისი ინსტიტუციონალიზაციის საფუძველს. სამხრეთ კავკასია
არის სახელმწიფოებისგან შემდგარი რეგიონი, თუმცა ეს სა-
ხელმწიფოები ახალბედა და სუსტები არიან, იძულებით მიმარ-
თულნი უფრო ძლიერი მეზობლების ორბიტებისკენ. სამივე
ქვეყანას წარსულის განსხვავებული აღქმა აქვს. მათი ისტო-
რიული ნარატივები ერთმანეთს უპირისპირდება, რაც ხელს
უწყობს ტერიტორიული დავების გაჩაღებას. მათ განსხვავებუ-
ლი წარმოდგენები აქვთ მიმდინარე გამონეწვევებსა და შესაძ-
ლებლობებზე და ერთმანეთისგან განსხვავებულ გარე აქტო-
რებს უკავშირდებიან თავიანთი ინტერესების მისაღწევად.

ეს კულტურული, ისტორიული და პოლიტიკური წინააღ-
მდეგობები აყალიბებს სამხრეთ კავკასიის ამჟამინდელ ლან-
დშაფტს. სამმა სახელმწიფომ - სომხეთმა, აზერბაიჯანმა და
საქართველომ 1990-იანი წლებიდან დღემდე ვერ შეძლეს ში-
და-რეგიონული გადაწყვეტილებების პოვნა. ჩვენ შეგვიძლია
მოვისხენიოთ სამხრეთ კავკასია როგორც „რეგიონული წარ-

¹ Tarkhan-Mouravi, 'Armenia and Georgia'. მართლაც, ყარაბაღის 2020 წლის
ომის დროს, საქართველოს მიმართ ორივე ქვეყნის მედიაში გაისმა
ბრალდებები მეორე მხარის მხარდაჭერის თაობაზე მიუხედავად იმისა,
რომ საქართველოს მთავრობამ ნეიტრალურობის შესახებ განაცხადა.
Natia Seskuria, 'The Nagorno-Karabagh Conflict and the Challenge for Georgia',
29 October 2020, www.rusi.org.
<https://rusi.org/commentary/nagorno-Karabagh-conflict-and-challenge-georgia>
(accessed 28 February 2021).

მონაქმნი“ ან „პრიმიტიული რეგიონი“, სადაც აქტორები რჩებიან „ეგოსტ“ სახელმწიფოებად, რომელთაც არ გააჩნიათ საერთო უსაფრთხოების ინტერესები. „ისინი შესცქერიან უფრო ფართო გარე სისტემებს, ვიდრე თავად რეგიონს“.¹ ძალიან მცირეა იმის რწმენის საფუძველი, რომ ეს სამი სახელმწიფო უახლოეს მომავალში ფუნქციონირებად რეგიონად ფორმირდება. პოლიტიკური ერთობის ყველაზე დიდი სტიმული შეიძლება მოვიდეს გარედან, გარე აქტორებისგან. საქართველო მიესალმებოდა ასეთ განვითარებას, თუმცა მხოლოდ ევროპეიზაციის ქოლგის ქვეშ. ეს ყველაფერი მეტად არარეალურია აზერბაიჯანში ავტორიტარიზმის განვითარებისა და სომხეთის რუსეთზე დამოკიდებულების გათვალისწინებით.

¹ მართალია, DCFTA ორმხრივი შეთანხმებებია ევროკავშირსა და, შესაბამისად, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინასთან, ის მაინც ქმნის გარკვეულ რეგიონულ განზომილებას. მით უფრო, რომ აღმოსავლეთის პარტნიორობის მხოლოდ სამმა სახელმწიფომ მოაწერა მას ხელი. იხ. European Parliament, 'Association Agreements between the EU and Moldova, Georgia and Ukraine', [www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2018/621833/EPRS_STU\(2018\)621833_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2018/621833/EPRS_STU(2018)621833_EN.pdf) (accessed 10 February 2019). Hettne and Söderbaum, 'Theorising the Rise of Regionness', p. 464.

თავი 5

საქართველოს ურთიერთობები თურქეთსა და ირანთან

გიორგი სანიკიძე

ისტორიულად სამხრეთ კავკასია ყოველთვის მწვავე მეტოქეობისა და ექსპანსიის არენას წარმოადგენდა რეგიონის დაპირისპირებულ ძალებს, მათ შორის, ირანსა და ოსმალეთის იმპერიას შორის, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში რეგიონში თავიანთ გავლენას ძალისმიერად ავრცელებდნენ. XIX საუკუნეში, სამხრეთ კავკასიის რუსეთის იმპერიაში გაერთიანების შემდეგ, ირანისა და თურქეთის კავშირები რეგიონთან საგრძნობლად შესუსტდა, თუმცა შენარჩუნდა ინტელექტუალური და რევოლუციური კონტაქტები ირანულ და თურქ რეფორმისტებსა და რევოლუციონერებთან, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის დასაწყისში, ირანსა და ოსმალეთის იმპერიაში 1906 და 1908-1909 წლებში წარმატებული კონსტიტუციური რევოლუციების პერიოდში. რუსეთის რევოლუციისა და 1918-1920 წლების სამოქალაქო ომის მიმდინარეობისას, ოსმალეთის იმპერია აქტიურად იყო ჩართული სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებში. საბჭოთა პერიოდში ამგვარი კონტაქტები პრაქტიკულად მთლიანად შეწყდა. თუმცა, სსრკ-ის დაშლის შემდეგ, ირანისა და თურქეთისთვის ახალი შესაძლებლობები გაჩნდა. რეგიონის უნიკალურმა გეოპოლიტიკურმა და გეოგრაფიულ-ეკონომიკურმა მდებარეობამ, მის რესურსებთან ერთად, თურქეთსა და ირანს რეგიონში გააქტიურებისკენ უბიძგა. სამხრეთ კავკასიის ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის თურქეთსა და ირანთან დიპლომატიურმა ურთიერთობებმა ახალი მნიშვნელობა შეიძინა, ვინაიდან მათ ეს თავ-

ნამშრომლობა აგრესიულ რუსეთთან ურთიერთობების დაბალანსების შესაძლებლობას სთავაზობდა.


1991 წლის აპრილში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველომ განაახლა ურთიერთობები ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი თურქეთსა და ირანთან მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებისკენ მიმართა ყურადღება. წარსულში, განსაკუთრებით მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში, ამ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს მტრული ხასიათი ჰქონდა, რაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ფართოდ გავრცელებული კულტურული უნდობლობა ისლამის მიმართ. 1991 წლის შემდეგ, მთავარ მიზანს ხანგრძლივი წყვეტის შემდეგ სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობების მხარდაჭერა წარმოადგენდა. თუმცა, საქართველოს სამხრეთით მდებარე ეს ორი მეზობელი სახელმწიფო ერთმანეთისგან განსხვავებულ სტრატეგიულ მიდგომას საჭიროებდა. თურქეთი, როგორც ნატო-ს წევრი და ევროკავშირის წევრობის კანდიდატი, საქართველოსთვის დასავლეთთან დამაკავშირებელი „ხიდი“ იყო; ირანი კი რუსეთის დამბალანსებელ ძალად და მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორად აღიქმებოდა (განსაკუთრებით აღსანიშნავია ირანელი ტურისტებისგან და ენერგო კავშირებისგან მიღებული პოტენციური შემოსავალი). საქართველოს შეუძლია ირანისთვის დანარჩენ მსოფლიოსთან სატრანსპორტო მაკავშირებლის როლი შეასრულოს.

საქართველომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები განავითარა ახლო აღმოსავლეთის არაბულ ქვეყნებთანაც, გარდა სირიისა (საქართველომ სირიასთან დიპლომატიური ურთიერთობები 2018 წელს მას შემდეგ შეწყვიტა, რაც ასადის რეჟიმმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა სცნო). ისეთ ქვეყნებთან ურთიერთობები, როგორიცაა არაბთა გაერთიანებული საამიროები, კატარი, იორდანია და სხვა, ძირითადად, ეკონომიკური ხასიათისაა - საქართველო ამ რეგიონის მდიდარი სახელმწიფოებიდან ინ-

ვესტიციების მოძიებას ცდილობს და ქვეყანამ ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია: არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან და კატარიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2015 დან 2018 წლამდე გაიზარდა (იხილეთ გრაფიკი 5.1).

გრაფიკი 5.1

არაბული ქვეყნების პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში (2015-18).



წყარო: ჯეოსტატი: www.geostat.ge/en/modules/categories/191/foreign-direct-investments

საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა არაბული ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების რაოდენობა, რასაც დოჰადან, დუბაიდან, ამანიდან და საუდის არაბეთის სამი ქალაქიდან ახლადდანიშნულმა პირდაპირმა ფრენებმა შეუწყო ხელი.

მოცემული თავი ახლო აღმოსავლეთის, განსაკუთრებით კი საქართველოს სამხრეთით მდებარე ყველაზე ახლო და ძლიერი მეზობლების - თურქეთისა და ირანის მიმართ საქართველოს საგარეო პოლიტიკის განვითარების ასპექტებზე ამახვი-

ლებს ყურადღებას. ტექსტში მიმოხილულია ამ ორი სახელმწიფოს ინტერესები საქართველოსთან მიმართებაში და, ასევე, ის მიმართულებები, სადაც ისინი საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან იკვეთება; გარდა ამისა, მოცემულ თავში, ასევე, საუბარია იმაზე, თუ როგორია თურქული და ირანული თემის როლი საქართველოში და როგორ აფასებს საქართველოს ხელისუფლება და ქართველი მოსახლეობა თურქულ და ირანულ „ფაქტორს“ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში.

თურქეთი: ეკონომიკური ურთიერთობებიდან სტრატეგიულ პარტნიორობამდე

საქართველოსა და თურქეთს შორის საზღვარი 1989 წელს გაიხსნა. საქართველოს 1990-იანი წლების ეკონომიკური კოლაფსის ფონზე, თურქეთიდან საქართველოში ლეგალურად თუ არალეგალურად შემოსული პროდუქტები ბევრი ქართველის ეკონომიკური გადარჩენისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, დამოუკიდებლობის პირველ წლებში. თურქეთის პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოსთვის რუსეთის აგრესიული ქმედებების ფონზე კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. თურქეთი რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური გავლენის შესუსტების მთავარ ფაქტორად იქცა და საქართველოს დასავლური პოლიტიკური კურსის შუამავლად ჩამოყალიბდა. საქართველოს მსგავსად, თურქეთიც ახალი იდენტობისა და ახალი როლის ძიებაში იყო როგორც ახლო აღმოსავლეთში, ისე კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში. იან ლასერი და სტეფან ლარაბი აღნიშნავენ, რომ „ამ სივრცეების არასტაბილურობამ და თურქეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ ქვეყანას მნიშვნელოვანი პოზიცია შესძინა და თურქეთს პოტენციურ აქტიურ მოთამაშედ ჩამო-

ყალიბებაში დაეხმარა“.¹ ამ კონტექსტში, სამხრეთ კავკასიაში თავისი ისტორიული მნიშვნელობა დაიბრუნა და თურქეთის-თავის კვლავ უკიდურესად საჭირო გეოპოლიტიკურ რეგიონად იქცა, რომელმაც ქვეყნისთვის ენერჯის სატრანზიტო დერეფნისა და ცენტრალურ აზიაში პოტენციური პოლიტიკური და სავაჭრო ალიანსების მაკავშირებელი ხიდის ფუნქცია შეითავსა. სამხრეთ კავკასია, ასევე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო თურქეთისთვის შავი ზღვის რეგიონში მრავალმხრივი ამბიციების სისრულეში მოსაყვანად.

საქართველო თურქეთისათვის ყოველთვის აზერბაიჯანსა და ცენტრალური აზიის თურქულენოვან სამყაროსთან მთავარი მაკავშირებლის როლს ასრულებდა. მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში ეს თურქეთის პანთურანიზმის მოძრაობაში აისახა - ეს იყო 1908 წლის შემდეგ „ახალგაზრდა თურქების“ მიერ გატარებული პოლიტიკა, რომელიც საერთო კულტურული, ლინგვისტური და რელიგიური მახასიათებლების საფუძველზე აღმოსავლეთით, ცენტრალური აზიისკენ თურქეთის გავლენის გაზრდას ისახავდა მიზნად.² გამომდინარე იქიდან, რომ თურქეთი იძულებული იყო თავი აერიდებინა მტრულად განწყობილი რუსეთისა და ირანისთვის, თურქეთსა და ცენტრალურ აზიას შორის დამაკავშირებელი მხოლოდ ერთი ფიზიკური გზა რჩებოდა, რომელიც საქართველოს, აზერბაიჯანსა და კასპიის ზღვას კვეთდა.³ დღესდღეობით საქართველო-თურქეთის საზღვარზე მდებარე სარფის გამშვები პუნქტი⁴ კომერციულ ჰა-

¹ F.S. Larrabee and I.O. Lesser, *Turkish Foreign Policy in an Age of Uncertainty* (Santa Monica, CA: RAND, 2003).

² G.G. Arnakis, 'Turanism: An Aspect of Turkish Nationalism', *Balkan Studies*, 1 (1960), pp. 19- 32.

³ David Batashvili, 'How Turkey Exercises its New Grand Strategy: An Outline', Georgian Foundation for Strategic and International Studies, *Expert Opinion*, 85, 2017.

⁴ 1921 წლის „ყარსის ხელშეკრულებამ“ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სოფელი სარფი ორ ნაწილად გაყო. სარფის სასაზღვრო გამშვები პუნ-

ბად ჩამოყალიბდა, რომელიც თურქეთს არა მხოლოდ საქართველოსთან, არამედ აზერბაიჯანსა და ცენტრალურ აზიასთანაც აკავშირებს. მეორე მხრივ, დატვირთვის გამო გამშვებ პუნქტზე სერიოზული საცობები იქმნებოდა, განსაკუთრებით 1990-იან წლებში, როდესაც საქართველოს მოქალაქეები დასაქმების მიზნით თურქეთში და თურქეთის გავლით სხვა ქვეყნებში გადიოდნენ. უილიამ ჰეილის მიხედვით, „მხოლოდ 1992 წელს პოსტსაბჭოთა ქვეყნების 800 ათასი მოქალაქე ჩავიდა თურქეთში კომერციული მიზნებით, და მათი ნახევარი საქართველოდან იყო“.¹ თურქეთში ქართველთა ემიგრაციას ხელი შეუწყო ქვეყნებს შორის უვიზო რეჟიმის შემოღებამ, რასაც 2011 წელს საზღვარზე პასპორტის წარდგენის მოთხოვნის გაუქმება მოჰყვა. 2020 წლის დასაწყისისთვის, თურქეთი საქართველოს უმთავრესი პარტნიორი იყო იმპორტის მიმართულებით, ხოლო ექსპორტიორ სახელმწიფოებს შორის მეხუთე ადგილს იკავებდა. (იხილეთ გრაფიკი 5.2, 5.3).


ქტი 1989 წელს გაიხსნა. დღესდღეობით სარფი საქართველო-თურქეთის საზღვრის მთავარ სასაზღვრო გამშვებ პუნქტს წარმოადგენს.

¹ William Hale, 'Turkey and Transcaucasia', in David Menashri (ed.), *Central Asia Meets the Middle East* (London: Frank Cass, 1998), p. 165.

გრაფიკი 5.2

წამყვანი სავაჭრო პარტნიორების წილი საერთო იმპორტში, იანვარი 2020

წამყვანი სავაჭრო პარტნიორების წილი საერთო იმპორტში, 2020 წლის იანვარი




წყარო: Geostat: www.geostat.ge/en/modules/categories/638/import

გრაფიკი 5.3

წამყვანი სავაჭრო პარტნიორების წილი საერთო ექსპორტში, იანვარი 2020

წამყვანი სავაჭრო პარტნიორების წილი საერთო ექსპორტში, 2020 წლის იანვარი



წყარო: ჯეოსტატი: www.geostat.ge/en/modules/categories/637/export

საქართველოსთან საზღვრების გახსნა თურქეთის აღმოსავლეთ ანატოლიის რეგიონის იმ ქალაქების ეკონომიკური განვითარებისთვის იყო მნიშვნელოვანი, რომლებიც ქვეყნის უღარიბეს მხარეებს შორის იყვნენ, მათ შორის ყარსი, არდაჰანი და ტრაპიზონი. ახალმა სატრანზიტო გზამ ადგილობრივი ეკონომიკის აღორძინებას შეუწყო ხელი.¹ 1990-იან წლებში საქართველოში არსებულმა მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა მოსახლეობის დიდი ნაწილი აიძულა, სამსახური აღმოსავლეთ თურქეთსა (ტრაპიზონში) და სტამბოლში ეძებნა.² არ არსებობს იმის ამსახველი ზუსტი სტატისტიკა, თუ ზუსტად რამდენმა ქართველმა გადაკვეთა თურქეთის საზღვარი სამუშაოს ძიების მოტივით (როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი პერიოდით), რადგან 1990-იან წლებში საზღვრის კვეთისას ვიზიტის მიზანი არ ფიქსირდებოდა. ეს რიცხვები ყველაზე მაღალი იყო დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ ათწლეულში, თუმცა თურქეთის მხრიდან სამუშაოს მაძიებელი უცხო ქვეყნის მოქა-


¹ მაგალითისთვის იხილეთ: Revaz Gachechiladze. საქართველო მსოფლიოს კონტექსტში. XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები (Georgia in the World Context: Highlights of Political Life in XX and XXI Centuries) (Tbilisi: Sulakauri Publishing, 2017), p. 605.

² საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდი რაოდენობა დასახლდა თურქეთში და იაფი მუშახელის პოზიციებზე დასაქმდა. „ბოლო პერიოდში, თურქეთში არაღებულ მიგრანტებს შორის საქართველოს მოქალაქეებს წამყვანი ადგილი უკავიათ“, www.sabah.com.tr/Ekonomi/2013/04/28/hepsinin-umudu-turkiye. შესაძლებელია ისტორიული პარალელების გავლება მეცხრამეტე საუკუნის პერიოდთან, როდესაც აჭარის რეგიონი ოსმალეთის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა და ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი სეზონური სამუშაოს მოსაძებნად სხვა თურქულ პროვინციებში გადადიოდა. აჭარის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გაერთიანებისა და სასაზღვრო შეზღუდვების დაწესების შემდეგ ამგვარი შესაძლებლობები გაქრა. ყოველივე ამან აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილის თურქულ ტერიტორიებზე მიგრაცია გამოიწვია (ეგრეთ ნოდებული „მუჰაჯირები“, ანუ ემიგრანტები). შესაბამისად, „მუჰაჯირების“ მიგრაციას, რომელიც ხშირად რელიგიური ფაქტორებით არის ხოლმე ახსნილი (აჭარელი ემიგრანტები მუსლიმები იყვნენ), ეკონომიკური საფუძელიც ჰქონდა.

ლაქებისთვის შეზღუდვების გამკაცრების გამო, 2010 წლიდან აღნიშნულმა მაჩვენებელმა კლება დაიწყო. 2000 წლიდან მოყოლებული, ქართველი ემიგრანტების რაოდენობა საკმაოდ სტაბილურია. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, თურქეთი რიგით მესამე ქვეყანაა, სადაც ყველაზე მეტი ქართველი ემიგრანტია გასული,¹ და 2012 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში საგრძნობლად იმატა თურქეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების რაოდენობამ (იხილეთ გრაფიკები 5.4, 5.5).

გაფიკი 5.4

ფულადი გზავნილები საქართველოში (მლნ. აშშ დოლარში)




წყარო: https://idfi.ge/en/remittances_in_georgia

¹ State Commission of Migrant Issues (2017). *Migration Profile of Georgia*, http://migration.commission.ge/files/migration_profile_2017_eng_final_.pdf

გრაფიკი 5.5

ფულადი გზავნილები თურქეთიდან (მლნ. აშშ დოლარში)




წყარო: National Bank of Georgia <https://nbg.gov.ge/en/page/money-transfers>

თურქეთში მყოფ ქართველთა უმრავლესობა სოფლის მეურნეობის სექტორში დაქირავებულ სეზონურ მუშახელად არის დასაქმებული. არსებული კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეებს 90 დღის განმავლობაში შეუძლიათ განსაკუთრებული ნებართვის გარეშე თურქეთში დარჩენა. სეზონურად დაქირავებული მუშახელის რაოდენობა აგვისტოსა და გვიან სექტემბერში, ჩაისა და თხილის კრეფის დროს იზრდება. 2018 წლის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, თურქეთის ჩაის პლანტაციებში სულ მცირე 10 ათასი ქართველი იყო დასაქმებული, ხოლო კიდევ 1000 ადამიანი ჩაის გადამამუშავებელ საწარმოებში მუშაობდა¹. არალეგალურად დასაქმებული სეზონური მუშახელის რაოდენობა, სავარაუდოდ, ბევრად უფრო მაღალია. თურქეთის ინიციატივით, 1992 წელს სტამბოლში დაარსდა „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომ-

¹ www.info9.ge/sazogadoeba/195980-thurqethis-6-regionshi-chais-sezonze-saqar-thvelos-10-000moqalaaq-mushaobs.html?lang=ka-GE

ლობის ორგანიზაცია“ (BSEC). საქართველოსა და თურქეთთან ერთად, ორგანიზაციას შეუერთდა ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, სომხეთი, ალბანეთი და საბერძნეთი.¹ გარემოსდაცვით და ეკონომიკურ თანამშრომლობასთან ერთად, ორგანიზაციის საქმიანობის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს პატარა და საშუალო ზომის ბიზნესის ხელშეწყობა და წევრ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება (იხილეთ გრაფიკი 5.6).



წყარო: www.research.pmcg-i.com/policypapers_file/b4485c8fbd91e238c.pdf

თურქეთი იმედოვნებდა, რომ „ბისეკის“ ფორმატს, რომელიც ევროკავშირის „შავი ზღვის გაფართოებული სივრცის“ ნაწილს წარმოადგენს, რეგიონის ძირითად ეკონომიკურ ფორმატად აქცევდა, რაც, თავის მხრივ, თურქეთს შავი ზღვის რეგიონში საკუთარი გავლენის გამყარებაში დაეხმარებოდა. თურქეთისთვის თითქმის შეუძლებელია კონკურენცია გაუწი-

¹ იხილეთ, www.bsec-Organisation.org/main.aspx?ID=About_BSEC

ოს რუსეთის ძალას შავი ზღვის რეგიონში, თუმცა „ბისეკის“ მსგავსი მრავალმხრივი ორგანიზაციები ამ მხრივ ძალიან სასარგებლოა, განსაკუთრებით რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და უკრაინაში შეჭრის შემდეგ. „ბისეკის“ ოფიციალური მიზნები რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფასა და შენარჩუნებას მოიცავს.¹ თურქეთის ევროკავშირში განევრების მოლაპარაკებებმა (თურქეთს 1990-იან წლებში ამ მიმართულებით უფრო მეტი პერსპექტივა ჰქონდა) შავი ზღვის რეგიონის ევროპულ სტრუქტურებთან დაკავშირებაში მის საკვანძო როლს გაუსვა ხაზი. თურქეთსა და „ბისეკთან“ მტკიცე ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი იყო; აღნიშნული კავშირების ჩამოყალიბებამ რუსეთსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან (დსთ) ბალანსის შენარჩუნებას შეუწყო ხელი. თურქეთის ამჟამინდელი კავშირები რუსეთთან - ენერგეტიკის სფეროში, სირიაში, და საერთო ანტიდასავლური განწყობების თვალსაზრისით - საკმაოდ მყიფეა და შესაძლოა მარტივად ჩამოიშალოს. მაგალითისთვის, ბოლო პერიოდში თურქეთი ყირიმელი თათრების დაცვის საკითხით დაინტერესდა.

საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობებში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კასპიის ზღვის აუზის ნავთობისა და გაზის ტრანზიტული ექსპორტი აზერბაიჯანიდან საქართველოს ტერიტორიის გავლით ჯერ თურქეთში და შემდეგ კი მსოფლიო ბაზარზე. მას შემდეგ, რაც ირანი და სომხეთი, პოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე, ნავთობისა და გაზის მილსადენების მარშრუტების მიღმა დარჩნენ (ირანის დაძაბული ურთიერთობა დასავლეთთან და სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი ორ ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა), თურქეთმა სატრანზიტო როლი საქართველოს მიანიჭა. საქართველოს მთავრობამ, რომელსაც მაშინ ედუარდ შევარ-

¹ იგივე.

დნაძე ხელმძღვანელობდა (1992-2003), ხაზი გაუსვა აღნიშნული პროექტის სასიცოცხლო მნიშვნელობას საქართველოს უსაფრთხოებისთვის, რამდენადაც ის რუსეთის ტერიტორიისა და რუსული კონტროლის მიღმა ქვეყნისთვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო გახდებოდა. მილსადენებში დასავლური ინვესტიცია ასევე გაზრდიდა საქართველოს, როგორც სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ჰეგემონიის წინააღმდეგ შეუცვლელი ბერკეტის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენი ანკარის დეკლარაციით 1998 წელს დამტკიცდა; მას ხელი მოაწერეს თურქეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და უზბეკეთის პრეზიდენტებმა. 2006-2018 წლებში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით დაახლოებით 3.12 მილიარდი ბარელი (დაახლოებით 417 მილიონი ტონა) ნედლი ნავთობის ტრასპორტირება მოხერხდა, რომელიც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, ჯეიჰანში მდებარე 4,085 ტანკერში ჩაიტვირთა და მსოფლიო ბაზარზე რეალიზაციისთვის გაიგზავნა.¹ ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზის მილსადენის მშენებლობა, რომელმაც, ძირითადად, ზემოხსენებული ნავთობსადენის მარშრუტი გაიმეორა, 2018 წელს დასრულდა. ამ მილსადენის გაგრძელება გახდება ტრანსანატოლიური გაზსადენი (TANAP), რომელიც ევროპას აზერბაიჯანულ გაზს მიაწვდის. თუმცა, თურქეთი რუსეთისთვის ევროკავშირის არანეერ ქვეყნებს შორის ბუნებრივი აირის ექსპორტის ყველაზე დიდ ბაზრად რჩება. რუსეთს არაერთი მცდელობა ჰქონდა, განეხორციელებინა ისეთი პროექტები, რომელთა საშუალებითაც გაზს პირდაპირ თურქეთს მიაწვდიდა. 2014 წელს „სამხრეთის ნაკადის“ პირველი გეგმის წარუმატებლობის შემდეგ (გეგმა გაზის შავი ზღვის ქვეშე გაყვანილი მილსადენებით გადატანას ისახავდა მიზნად), რუსეთი და თურქეთი ახალ

¹ www.bp.com/en_az/caspian/operationsprojects/pipelines/BTC.html

მილსადენზე, „თურქეთის ნაკადზე“, შეთანხმდნენ, რომელმაც თურქეთისთვის გაზის მიწოდება 2020 წლის იანვარში დაიწყო.¹

ენერგორესურსების ტრანზიტი აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში ნამყვან როლს თამაშობს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გაზსადენის მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში რუსეთის შესუსტებული გავლენის ნიშანს წარმოადგენდა. რუსეთმა დამატებითი მარცხი განიცადა, ვინაიდან მილსადენმა გვერდი აუარა სომხეთს, რუსეთის ერთადერთ მოკავშირეს რეგიონში. ასევე, გამორიცხული იყო რუსეთის პერიოდული პარტნიორის, ირანის სამხრეთ კავკასიის ენერგოპროექტებში ჩართვა. 1990-იან წლებში, საქართველოს ეკონომიკური ზრდისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი წაწილი ენერგო მილსადენების მშენებლობაზე იყო დამოკიდებული. თუმცა, მილსადენები მხოლოდ ეკონომიკურ ინტერესებს არ მოიცავს. ენერგო მარშრუტები თურქეთს თურქულენოვან სამყაროსთან, საქართველოს კი ევროპასთან აკავშირებს.

საქართველო, თურქეთი და ნატო

თურქეთი რეგიონში ყველაზე მნიშვნელოვანი მეზობელი და სტრატეგიული პარტნიორი გახდა საქართველოსთვის, და როგორც ნატოს დიდი ხნის წევრმა სახელმწიფომ, მან საქართველოს ნატოსკენ სწრაფვის მიმართ კეთილგანწყობა გამოიჩინა. 2020 წლის იანვარში, დავოსში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 50-ე ყრილობაზე, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა - მეველუთ ჩაფუშოღლუმ განაცხადა: „საქართველოს ვჭირდებით, და ჩვენ გვჭირდება ისეთი მოკავშირე, როგორიც საქართველოა. საქართველო ასევე უნდა გახდეს ნატოს წევ-

¹ S.E. Garding, M. Ratner, C. Welt and J. Zanotti, *TurkStream: Russia's Newest Gas Pipeline to Europe*, Congressional Research Service (CRS), 2020.

რი“.¹ საქართველომ „ასპირანტი ქვეყნის“ სტატუსით ნატოს რამდენიმე მისიაში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების ოპერაციას“ (ავღანეთი, 2004-14), და მის თანმდევ „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ (ავღანეთი, 2015-21). ასევე, საქართველო ბევრ ოფიცერს გზავნის თურქეთში ნატოს მიერ მხარდაჭერილ სამხედრო სკოლებსა და აკადემიებში.² გარდა ამისა, სამხედრო განათლების მიმართულებით თანამშრომლობაზე შეთანხმების შედეგად დაარსდა საერთო სამხედრო კოლეჯი, რომელიც საქართველოში ფუნქციონირებს. ქართველ ოფიცერებს, ასევე, შეუძლიათ ოთხნობიანი სწავლების გავლა თურქეთის სამხედრო აკადემიებში. ხოლო საქართველოში, ვაზიანისა და კოჯორის სპეციალური დანიშნულების ძალების ბაზებზე ქართველ სამხედროებს თურქი სამხედრო ინსტრუქტორები წვრთნიან. აშშ-სთან ერთად, თურქმა და ქართველმა სამხედროებმა „კავკასიის სამუშაო ჯგუფი“ ჩამოაყალიბეს, რომელიც თანამშრომლობის გაუმჯობესებას და ქართველი სამხედროების დატრენინგებას ისახავს მიზნად.³ 2010 წელს, აზერბაიჯანმა და საქართველომ საერთო თავდაცვის ინდუსტრიის სამუშაო ჯგუფი ჩამოაყალიბეს, რომელიც თურქეთისგან მნიშვნელოვან დახმარებას იღებდა. საქართველოსა და თურქეთს შორის სამხედრო თანამშრომლობის სფეროში არაერთ შეთანხმებას მოეწერა ხელი. ერთი-ერთი ასეთი მაგალითია საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმება სამხედრო სწავლების, ტექნოლოგიებისა და მეცნიერების შესახებ (1996). ასევე, თურქეთის დახმარებით მოხდა მარნეულის (ალ-

¹ Civil.ge, ‘Turkish FM Çavuşoğlu: Georgia Should Become NATO Member’, 23 January 2020, <https://civil.ge/archives/335679> (ბოლოს ნანახია: 9 მარტი, 2020).

² Radiotavisupleba.ge, (The Reality and Perspective for Georgian-Turkish Military Collaboration), 3 May 2007, www.radiotavisupleba.ge/a/1552356.html (ბოლოს ნანახია: 9 მარტი, 2020).

³ Zeyno Baran, ‘Turkey and the Caucasus’, in Bal İdris (ed.), *Turkish Foreign Policy in Post-Cold War Era* (Irvine, CA: BrownWalker Press, 2004), pp. 279-80.

მოსავლეთ საქართველო) აეროდრომის მოდერნიზება და მეზობელი ქვეყანა დღესაც ეხმარება საქართველოს სამხედრო აღჭურვილობით, გადამზადებითა და ფინანსებით, რითაც ცდილობს ხელი შეუწყოს საქართველოს სამხედრო ძალების ნატოსთან თავსებადობას.

პოლიტიკური განსხვავებების მიუხედავად, უსაფრთხოების საერთო გამოწვევებმა საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი სტრატეგიულ პარტნიორებად აქცია.¹ 2008 წელს, თურქეთმა და საქართველომ ხელი მოაწერეს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას, რამაც ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობები კიდევ უფრო გააღრმავა. თუმცა, სავაჭრო ბალანსი, ძირითადად, თურქეთის სასარგებლოდ იხრება. 2013-2016 წლებში, საქართველოში თურქული პროდუქციის წლიური ბრუნვის საშუალო მაჩვენებელი თითქმის 1.5 მილიარდ აშშ დოლარს აღწევდა; ქართული პროდუქტის ასეთივე წილი თურქეთში - საშუალოდ მხოლოდ 200 მილიონ აშშ დოლარს. 2018 წელს, საქართველო და თურქეთი არსებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების კიდევ უფრო გაფართოებაზე შეთანხმდნენ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, „მოლაპარაკებების შედეგად, ქართულ ბიზნესს შესაძლებლობა ექნება თურქეთში ექსპორტი პროცენტით გაზარდოს“.²

საქართველოს თითქმის ყველა სხვა ქვეყანაზე მეტი საერთაშორისო შეთანხმება აქვს დადებული თურქეთთან. ამის ორი კარგი მაგალითია: „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულება“ (1998) და „საქართველოს რესპუბლიკას

¹ Alexandre Rondeli, 'Security Threats in the Caucasus: Georgia's View', *Perceptions*, 3:2, (1998), pp. 43-53.

² <http://netgazeti.ge/news/254520/> (ბოლოს ნანახია: 9 თებერვალი, 2018).

და თურქეთის რესპუბლიკას შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“ (2012).¹ თურქეთთან თანამშრომლობით, საქართველო მონაწილეობს სამხრეთ-დასავლეთში, რომელიც სამხედრო წვრთნების სერიას, „კავკასიურ არწივს“, მოიცავს. მის მიზანს ძირითადად კავკასიის რეგიონში მილსადენების მიმართულებით უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს.² თურქეთისა და რუსეთის დაახლოებას, რაც ტრანზიტული გაზსადენების შესახებ რამდენიმე შეთანხმებასა და სირიისა და ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე თანამშრომლობაში გამოიხატა, მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია საქართველო-თურქეთის ურთიერთობებზე. თურქეთმა უარი განაცხადა როგორც აფხაზეთის, ასევე სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე და განაგრძობს საქართველოში მსხვილ ინვესტირებას. თურქეთი საქართველოს უმთავრესი სტრატეგიული პარტნიორია. ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2004 წელს თურქეთში ვიზიტისას საქართველოს პოზიცია შემდეგნაირად შეაჯამა: „თურქეთი საქართველოს „მეგობარი“ და „ევროპის ფანჯარა“.“³

სამხრეთი ალიანსი?

თურქეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სამხრეთი თანამშრომლობა ნავთობისა და გაზსადენების მშენებლობების შემდეგ მნიშვნელოვნად გაღრმავდა. ამ სახელმწიფოებს შორის არსებული სამხრეთი თანამშრომლობა სამხრეთ

¹ Ministry of Internal Affairs of Georgia, 'International Agreements', <https://police.ge/en/ministry/structure-and-offices/international-relations-department/international-legal-cooperation/saertashoriso-khelshekrulebebi>

² Ministry of Defence of Georgia, The Trilateral Field Exercise 'Caucasian Eagle 2017', <https://mod.gov.ge/en/news/read/5831/scavleba-kavkasiis-arcivi-2017> (ბოლოს ნანახია: 9 მარტი, 2020).

³ იხილეთ, <https://civil.ge/archives/111648>, 20 December 2006 (ბოლოს ნანახია: 30 ივლისი, 2021).

კავკასიის ეკონომიკური განვითარებისთვის მთავარი ფაქტორია, ხოლო რუსეთისთვის კი, რომელიც რეგიონს ჯერ კიდევ საკუთარი გავლენის სფეროდ აღიქვამს, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. სამხრეთ კავკასიის სამ სახელმწიფოს შორის ნებისმიერი სახის თანამშრომლობის გაძლიერება რეგიონში რუსეთის მიზნებთან მოდის წინააღმდეგობაში; სამი პარტნიორი ქვეყანა რეგიონში რუსეთის მოკავშირე სომხეთს კვლავ სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური ურთიერთობების სივრცის მიღმა ტოვებს. არსებულ ნავთობ და გაზსადენებთან ერთად, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა (BTK), რომელიც 2018 წელს გაიხსნა, აზერბაიჯანსა და თურქეთს საქართველოს გავლით აკავშირებს ერთმანეთთან, რითაც ქვეყნებს შორის სავაჭრო და კულტურულ კონტაქტებს კიდევ უფრო აღრმავებს. იუსტინა შალანსკა აღნიშნავს, რომ ეს თანამშრომლობა არა მხოლოდ „ორმხრივი ვაჭრობის ახალ მარშრუტს“ ხსნის, არამედ „თურქეთს საქართველოს გავლით დიდ ევრაზიულ ბაზარზე გასვლის შესაძლებლობას უქმნის“.¹ რუსეთის მიერ ევროპული პროდუქტისათვის დაწესებული სავაჭრო ბარიერების ფონზე (2014), სარკინიგზო გზამ, რომელიც რუსეთს გვერდს უვლის, შესაძლოა სამხრეთ კავკასიისთვის ევროპასთან ვაჭრობის მიმართულებით სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინოს. ამჟამად, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზას წლიურად ერთი მილიონი მგზავრისა და ხუთი მილიონი ტონა ტვირთის მიღების შესაძლებლობა აქვს. ასევე, დაგეგმილია ტვირთის გადატანის შესაძლებლობის გაზრდა 15 მილიონ ტონამდე, მას შემდეგ, რაც უახლოეს მომავალში პარალელური გზა აშენდება.²

¹ Justyna Szalanska, 'Turkey and Georgia: Strategic Connections', www.bilgesam.org/en/incele/452/-turkey-and-georgia-strategic-connections/#.WoHcbiWuyM823 March 2012 (ბოლოს ნანახია: 9 ოქტომბერი, 2017).

² Wade Shepard, 'How Azerbaijan, Georgia, and Turkey Subverted Russia and Isolated Armenia with New Railway', 30 October 2017, www.forbes.com/sites/wadeshepard/2017/10/30/new-silkroad-azerbaijan-georgia-and-turkey-unite-over-new-rail-line-armenia-furtherisolated/#338c53903aff (ბოლოს ნანახია: 7 იანვარი, 2018).

2020 წლის მთიანი ყარაბაღის ომის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში ალტერნატიული სარკინიგზო კორიდორების შესაძლებლობებიც გაჩნდა. მაგალითად, აზერბაიჯანის მთავრობა მხარს უჭერს სარკინიგზო პროექტს, რომელიც აზერბაიჯანს ნახიჩევანთან დააკავშირებს და, საბოლოოდ, თურქეთის რკინიგზას მიუერთდება. აღნიშული პროექტი სომხეთის ტერიტორიას კვეთს და საკმაოდ ძვირი ჯდება, თუმცა განხორციელების შემთხვევაში, ის ბაქო-თბილისი-ყარსის მარშრუტს ეფექტურ კონკურენციას გაუწევს, რამაც შესაძლოა საქართველოს, როგორც სარკინიგზო დერეფნის როლი შეასუსტოს. თუმცა, ამ რკინიგზის მშენებლობს სერიოზული პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული.

რეგიონში რუსეთის ფაქტორი სამივე ქვეყნის მიერ სხვადასხვანაირად აღიქმება. ყველა მათგანი იზიარებს საკმაო სკეპტიციზმს ჩრდილოელი მეზობლის მიმართ. 2016 წლის ივლისში, თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ, თურქი ლიდერები მალევე ეცადნენ რუსეთთან კავშირების აღდგენას, თუმცა მათ კვლავ აქვთ გარკვეული ეჭვები რუსეთის იმ განზრახვებისა და რეგიონული მისწრაფებების შესახებ, რომლებიც ზედაპირზე არ ჩანს.¹ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება მოკლევადიან პერსპექტივაში ნაკლებად სავარაუდოა. თურქეთმა უკვე ჩაანაცვლა რუსეთი, როგორც საქართველოს მთავარი ეკონომიკური პარტნიორი. 2006-2018 წლებში, თურქეთს საქართველოს იმპორტში მონივნავე ადგილი ეკავა, საერთო იმპორტში მისი წილი 14.13-დან 16.12 პროცენტამდე გაიზარდა, მაშინ, როდესაც რუსეთის წილი 15.18-დან 10.23 პროცენტამდე შემცირდა.² 2004 წლიდან, განსაკუთრებით კი პრეზიდენტ სააკაშ-

¹ Michael Hikari Cecire, 'Georgia-Turkey-Azerbaijan Cooperation: Pragmatism Proves Durable Formula', *Eurasianet.org*, 1 June 2017, <https://eurasianet.org/s/georgia-turkey-azerbaijancooperation-pragmatism-proves-durable-formula>

² World Bank, 'World Integrated Trade Solution database: Georgia Exports, Imports and Trade Balance by Country and Region',

ვილის მმართველობისას (2003-12), საქართველოში თურქული ინვესტიციების ნაკადმა იმატა. თურქული კომპანიები აქტიურად იყვნენ ჩართული საქართველოს პრივატიზაციის პროგრამაში 1990-იან და 2000-იან წლებში. საქართველოს ხელისუფლება კვლავ განაგრძობს თურქული კომპანიების დარწმუნებას საქართველოში მეტი ინვესტირების მომგებიანობის შესახებ. თურქული ინვესტიციების ზრდა საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირებასა და ქვეყანაში რუსული კომპანიების ექსპანსიისთვის კონკურენციის განწევაში დაეხმარება.¹ თურქული ინვესტიციები საქართველოში ძირითადად მშენებლობის, ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციების, საბანკო სფეროს, ენერგოპროექტების, კვების ინდუსტრიის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სფეროებისკენ არის მიმართული.²

საქართველოს მხრიდან თურქი ბიზნესმენებისთვის ხელსაყრელმა საინვესტიციო შეთავაზებებმა ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყო ხელი. თურქული ბიზნესი ყველაზე აქტიურად არის წარმოდგენილი აჭარის რეგიონში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რამდენადაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა თურქეთს ესაზღვრება. მრავალი საუკუნის განმავლობაში (1878 წლის ბერლინის ზავის დადებამდე), აჭარა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. აჭარის ქართველი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, უფრო ზუსტად კი ზემო აჭარის სოფლების მოსახლეობა, ისლამის მიმდევარია. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, აჭარაში 132,850 მუსლიმი ცხოვრობს, რაც რეგიონის მოსახლეობის დაახლოებით 40 პრო-

<https://wits.worldbank.org/CountryProfile/en/Country/GEO/Year/2018/TradeFlow/EXPIMP>

¹ V. Modebadze, F.M. Sayin and R. Yilmaz, 'Georgian-Turkish Relations since the Breakdown of Soviet Union', Çankırı Karatekin Üniversitesi İktisadi ve İdari Bilimler Fakültesi Dergisi, 4:1 (2014), p. 365.

² M.P. Arunova, 'Turtsiia-Gryziia: sotrudnichestvo i problemyi' [Turkey-Georgia: cooperation and problems], www.iimes.ru/?p=7629#more-7629

ცენტს შეადგენს.¹ თურქი ტურისტების რაოდენობა, ისევე როგორც თურქული ბიზნესის აქტივობები, ყოველწლიურად იზრდება. 2017 წელს, თურქეთიდან საქართველოში 1.24 მილიონი ადამიანი შემოვიდა.² თურქი ტურისტები საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენენ, რაც რიგ შემთხვევებში ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან გარკვეულ დაძაბულობას იწვევს ხოლმე.

იმ ფინანსური სარგებლის მიუხედავად, რაც ქვეყნისთვის თურქულ ბიზნესს მოაქვს, ისტორიული მტრობის მახსოვრობა კვლავ არსებობს. თურქული კომპანიები საქართველოში დიდი სამშენებლო და ჰიდროენერჯიული პროექტებით არიან დაინტერესებული³ და, ასევე, თბილისისა და ბათუმის აეროპორტების (TAV) განკარგვის უფლებას ფლობენ.⁴ ბათუმის აეროპორტი თურქეთის შიდა ფრენებს ასრულებს და თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციის, ართვინის, მოსახლეობა მისი სიახლოვიდან გამომდინარე ბათუმის აეროპორტით სარგებლობს. თბილისისა და ბათუმის აეროპორტების საქმიანობა საქართველოში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.⁵ ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ თურქული კომპანია TAV როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ავიაგადაყვანებს თავისუფლებას უზღუდავს.

¹ 2014 General Population Census in Georgia, <https://georgia.unfpa.org/en-publications/2014general-population-census-georgia>

² www.tabula.ge/ge/story/128300-10-qvekana-saidanac-sakartveloshi-2017-tselskvelaze-metiucxoeli-vizitori-shemovida

³ Khelvachauri Hydro Power station 1 launched in 2017, Kirnati Hydro Power Station launched in 2018. S. Guthrie, 'Turkish Investments in Adjara Shrinks', *Georgia Today*, 20 August 2018, <http://georgiatoday.ge/news/11913/Turkish-Investment-in-Adjara-Shrinks> (ბოლოს ნანახია: 23 აპრილი, 2020).

⁴ Diba Nigar Göksel, 'Turkey and Georgia: Zero-Problems?' *On Wider Europe*, Black Sea Trust for Regional Cooperation, The German Marshal Fund of the United States, June 2013, www.gmfus.org/file/3054/download

⁵ Revaz Gachechiladze. *sakartvelo msoplios kontekstshi. XX da XXI saukuneebis politikuri tskhovrebis dziritadi momentebi* [Georgia in the World Context: Highlights of Political Life in XX and XXI Centuries] (Tbilisi: Sulakauri Publishing, 2017), p. 605.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი

2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში, თურქეთმა რეგიონული უსაფრთხოების პროექტის, „კავკასიის სტაბილურობისა და უსაფრთხოების პლატფორმის“, იდეა წამოაყენა. თურქეთის პრემიერმინისტრმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა, ეს ინიციატივა პირველად 2008 წლის 11 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტ მედვედევთან მოსკოვში შეხვედრისას გააჟღერა. ინიციატივის უმთავრეს მიზანს რეგიონის სახელმწიფოებს შორის კონფლიქტების მოგვარება წარმოადგენდა, განსაკუთრებით კი იმ კონფლიქტების, რომლებიც უშუალოდ რუსეთსა და თურქეთს ეხებოდა. ინიციატივის მიხედვით, ხუთი სახელმწიფო - რუსეთი, თურქეთი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი - სამს (სამხრეთ კავკასიის ქვეყნები) პლუს ორი (რუსეთი და თურქეთი) ფორმატით უნდა დაჯგუფებულიყო. ასევე, გაერო უნდა ჩართულიყო ამ ხუთ სახელმწიფოს შორის ნებისმიერი მოლაპარაკების პროცესში.¹ თუმცა, ამ მცდელობებმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ გამოეკვეთა თურქეთის სუსტი პოზიცია რუსეთთან მიმართებაში და მისი როლი სამხრეთ კავკასიაში.² შემოთავაზებული პაქტი საქართველოში არაპოპულარული იყო ფორმატიდან დასავლელი პარტნიორების პრაქტიკული გამორიცხვის გამო. რუსეთთან ნებისმიერი სახის კომპრომისზე საუბარი საქართველოსთვის მიუღებელი იყო. 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობის შემ-

¹ ერთ-ერთი რეგიონული აქტორი, ირანი, „ხუთეულს“ მიღმა დარჩა. აღნიშნულმა ფაქტმა ირანში, რა თქმა უნდა, მღელვარება გამოიწვია. 2009 წლის ნოემბრის დასაწყისში ირანში ვიზიტის დროს, თურქეთის პრემიერმინისტრმა ერდოღანმა ხაზი გაუსვა „კავკასიის სტაბილურობის პაქტში“ ირანის ჩართულობის აუცილებლობას, თუმცა იმ დროისთვის აღნიშნული „პლატფორმა“ უკვე დავიწყებას იყო მიცემული.

² Bayram Balci, 'Strengths and Constraints of Turkish Policy in the South Caucasus', *Insight Turkey*, 16:2 (Spring 2014), pp. 43-52.

დეგ, პლატფორმამ მალევე დაკარგა აქტუალობა. მოსკოვის ოფიციალური პოზიციის თანახმად, რეგიონში ხუთი ქვეყანა უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი (სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ჩათვლით). რუსეთს ოფიციალური „დიპლომატიური ურთიერთობები აქვს ოთხ მათგანთან, მაშინ, როდესაც საქართველოსთან ურთიერთობები დროებით შეჩერებულია“.¹ თურქეთის ინიციატივას გულგრილად შეხვდნენ ვაშინგტონში. სახელმწიფო მდივნის იმდროინდელმა თანაშემწემ, მეთიუ ბრაიზამ განაცხადა, რომ ამერიკელებს ინფორმაციაც კი არ ჰქონდათ მსგავსი ინიციატივის შესახებ.²

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ხარჯზე თურქეთის ჩართულობას თურქეთსა და რუსეთს შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობები აბრკოლებს. რუსეთთან ეკონომიკური კავშირები ბევრად უფრო მნიშვნელოვანია თურქეთისთვის, ვიდრე სამხრეთ კავკასიის მცირე სახელმწიფოებთან ვაჭრობა. თურქეთს ერთი მხრივ საქართველოსა და აშშ-ის, ხოლო მეორე მხრივ კი რუსეთის დაბალანსება უნევს.³ თურქეთის პრორუსული ბიზნესლობირების ჯგუფებს ქვეყანაში ძლიერი გავლენა აქვთ, რამდენადაც თურქულმა სამშენებლო კომპანიებმა მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩადეს რუსეთში. თურქეთს საქართველოსთან ურთიერთობისას სიფრთხილის შენარჩუნება უნევს, რადგან ამან შესაძლოა დააზარალოს მისი ახლო კავშირები რუსეთთან.⁴ საქართველო არაკომფორტულად იჭყლიტება რუსეთსა და თურქეთს შორის, თუმცა მისი სატრანზიტო მარშრუტების მნიშვნელობისა და აშშ-სთან ახლო ურთიერთ-

¹ Rossiia ne zhelaet vmeshatel'stva tret'ikh stran v protsessy na kavkaze. Mnenie. (Russia does not want the intervention of third countries in the processes in the Caucasus. Opinion) www.regnum.ru/news/24.10.2008 (last retrieved 15/05/2018).

² <https://hetq.am/eng/news/40364/peace-and-stability-in-the-caucasus-according-to-recep-tayyipErdoğan.html/>

³ Bülent Aras and Pinar Akpınar, 'The Relations between Turkey and the Caucasus in the 2000s', *Perceptions*, 16:3 (Autumn 2011), pp. 53-68.

⁴ იგივე.

ბის გათვალისწინებით, ის გარკვეულ ბერკეტსაც ფლობს.¹ თუმცა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აშკარა გახდა, რომ თურქეთი სტრატეგიულად რუსეთისკენ გადაიხარა.

თურქოფობია

საქართველოსთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საზოგადოებაში თურქეთის შესახებ არსებულ მძლავრ ნეგატიურ შეხედულებებთან გამკლავება. თურქეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო და სტრატეგიული ურთიერთობებისგან განსხვავებით, ქვეყნებს შორის სამოქალაქო კავშირები, განსაკუთრებით კი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის ორმხრივი ჩართულობა მინიმალური იყო. თურქეთში ყურადღება არ ეთმობა მეზობელ საქართველოსთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ანალიზს და ქვეყნის რბილი ძალა, ძირითადად, საქართველოში საგანმანათლებლო და რელიგიური გავლენების გავრცელებისკენ არის მიმართული. ყოველივე ეს სულ მცირე სამი ფაქტორით არის გამოწვეული: პირველი რიგში ეს არის თურქეთის ეკონომიკური დომინირების შიში (ეს, პირველ რიგში, ეხება აჭარის რეგიონს, მიუხედავად იმისა, რომ თურქული ბიზნესის ფუნქციონირება ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს); მეორე - თურქეთმა მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩადო საქართველოს საგანმანათლებლო სექტორში, მათ შორის რელიგიურ სკოლებში; მესამე - თურქეთი საქართველოში ყოველთვის „უცხოდ/სხვად“ აღიქმებოდა, ისტორიულად კი რელიგიურადაც უცხო იყო. აჭარის რეგიონში, რომელიც წარსულში ოსმალეთის იმპერიის ნაწილს შეადგენდა და სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მუსლიმია, თურქული გავლენა ხშირად ბრაზსა და უკმაყოფილებას იწვევს.

¹ Revaz Gachechiladze. *საქართველო მსოფლიოს კონტექსტში*, p. 604.

თურქოფობია საქართველო-თურქეთის ურთიერთობებში მგრძობიარე საკითხს წარმოადგენს. ეს საკითხი პრობლემურია როგორც ადგილობრივი მუსლიმებისთვის (ეთნიკურად ქართველი აჭარლებისა და ადგილობრივი აზერბაიჯანელებისთვის), ასევე საქართველოში მცხოვრები მზარდი თურქული თემისთვის. აჭარასა და ქვეყნის სხვა ნაწილებში მცხოვრებ ქართველ მუსლიმებს ხშირად „თათრებად“ მოიხსენიებენ; მართლმადიდებლური ქრისტიანობა ქართული იდენტობის წყაროდ ითვლება. ფართოდ გავრცელებული ტერმინი „თათარი“ მუსლიმებთან მიმართებაში უფრო მეტად რელიგიურ კუთვნილებას განსაზღვრავს, ვიდრე ეთნიკურს. როდესაც სიტყვა „თათარი“ ყველა მუსლიმთან მიმართებაში გამოიყენება, ის უარყოფითი მნიშვნელობის მატარებელია და მუსლიმების გაღიზიანებას იწვევს. ქართველი მუსლიმები ერთმანეთს ამ ტერმინით არ მიმართავენ, თუმცა სიტყვა „თათარი“ დიდი ხანია ფესვგამდგარია ქართულ აზროვნებაში, როგორც „მუსლიმის“ სინონიმი, და, როგორც წესი, ძალადობისა და აგრესიის მნიშვნელობის მატარებელია.¹

ეთო ბუზიაშვილის მოსაზრებით, „თურქული ექსპანსიონიზმის“ საფრთხის შესახებ ნარატივების გავრცელება მას შემდეგ გახშირდა, რაც კრემლის მომხრე აქტორებმა, მათ შორის მედია გამოცემებმა და ფეისბუქ ტროლებმა, თურქეთზე, როგორც საქართველოსთვის არსებით საფრთხეზე საუბარი დაიწყეს.² პრო-რუსულად განწყობილი ჟურნალისტები და პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ სსრკ-სა და თურქეთს შორის 1921 წელს დადებული ყარსის შეთანხმების ვადა მალე ამოიწურება, და ეს თურქეთის მხრიდან აჭარის ანექსირებას გამოიწვევს. თუმცა, ასწლიან შეთანხმებას გაუქმების ვადა არ აქვს და

¹ *Political Aspects of Islam in Georgia*, ed. Irakli Menagharishvili, Giorgi Lobjanidze, Natela Sakhokia and Giorgi Gvimradze (Tbilisi: Strategic Research Institute, supported by the FriedrichEbert-Stiftung, 2013), p. 63.

² <https://medium.com/dfrlab/pro-kremlin-actors-fuel-anti-turkish-sentiment-in-georgia4-ee24aa17ceb>

თურქეთის ხელისუფლება მსგავს ირედენტისტულ პრეტენზიებს აღარ ამჟღავნებს. სხვა ვებგვერდები ანტითურქულ ისტორიებს ავრცელებენ. ვებგვერდზე *tvalsazrisi.ge*, ერთ-ერთი სტატიის სათაურია „ქართველი მუსლიმები მზად არიან დამოუკიდებლობა ბრძოლით მოიპოვონ“.¹ იუთუბზე ახალი ამბების ახლად შექმნილმა რუსულმა არხმა Russian Arms (RA), გამოაქვეყნა ამბავი სათაურით „საქართველოს ისლამიზაცია მოახლოებულია“.²

ქართულ-თურქული ურთიერთობები დეზინფორმაციის მიმართ ორმხრივად მოწყვლადია. სოფელ ქელაში მოსახლეობა ერთმანეთს შენობის გამო დაუპირისპირდა, რომელსაც ადგილობრივი ქრისტიანები ძველი ქრისტიანული ტაძრის ნანგრევებად მოიხსენიებენ, თუმცა დღეს ამ შენობაში მეჩეთი მდებარეობს. ფართოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, მათ შორის საქართველოს აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებშიც კი (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა უმრავლესობა ამ მოსაზრებას არ იზიარებს), თურქეთი ადგილობრივ მუსლიმებს მეხუთე კოლონის სახით იყენებს საქართველოში საკუთარი გავლენის გასავრცელებლად.³ თურქეთის მხრიდან ახალგაზრდა ქართველი მუსლიმი მამაკაცებისთვის რელიგიური განათლების შესაძლებლობის შეთავაზება ამ შიშს კიდევ უფრო ამძაფრებს. საკმაოდ ბევრი აჭარელი მოსწავლე რელიგიურ განათლებას თურქეთში იღებს. ბევრ მათგანს თურქეთის „მარმარას განათლების ფონდი“ (Marmara Egitim

¹ [https://tvalsazrisi.ge/kartveli მუსლიმები მზად არიან.](https://tvalsazrisi.ge/kartveli-mუსლიმები-მზად-არიან)

² www.youtube.com/channel/UCQIHwaN7EMlx9cn1dO8pTvA?reload=9. დიდგორის ბრძოლა საქართველოს სამეფოსა და სელჩუკთა იმპერიის ჯარებს შორის 1121 წელს შედგა. ეს ბრძოლა საქართველოში თურქებზე ყველაზე მნიშვნელოვან გამარჯვებად ითვლება და შუა საუკუნეების საქართველოს ოქროს ხანის ათვლის წერტილს წარმოადგენს.

³ მაგალითისთვის იხილეთ, Tamuna Uchidze, 'Turkophobia - istoriuli mekhsiereba tu realuri saprtkhe turketidan' [Turkophobia - Historical Memory or Real Danger from Turkey] 11 June 2014, <http://sknews.ge/index.php?newsid=2753#.-UoEHE3AwoV8> (accessed 15 February 2018).

Vakfi) აფინანსებს.¹ გარდა ამისა, ამ ახალგაზრდა აჭარლების განათლების ხარჯებს ხშირად მათი ნათესავები, ქართული წარმოშობის თურქეთის მოქალაქეები, ფარავენ.² საქართველოში აქტიურად ფუნქციონირებს თურქეთის ოფიციალური რელიგიური ადმინისტრაცია, რომელიც დიანეთის სახელით არის ცნობილი და, ასევე, თურქეთის „არასამთავრობო“ რელიგიური ორგანიზაციები, მათ შორის „სულეიმანჯი“ (თურქი მუსლიმი მოაზროვნის, ჰილმი ტუნაჰანის (1888-1959) მხარდამჭერები) და „ფეთულაჰჩი“, ფეთულა გულენის მიერ შექმნილი ქსელი. ასეთი რელიგიური ჯგუფების საქართველოში არსებობამ მართლმადიდებელ სამღვდლოებაში მძაფრი ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. თურქეთის მიერ საკუთარი სარწმუნოების საქართველოში გავრცელება ეროვნული იდენტობისთვის საფრთხედ აღიქმება.

საქართველოს, როგორც პატარა მეზობელ სახელმწიფოს, ხშირად უწევს თურქეთის მოთხოვნების გათვალისწინების წნეხთან გამკლავება. ამას კარგად აჩვენებს შემდეგი ორი მაგალითი: 2017 წლის 23 მარტს, საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით დაამტკიცა კანონი დიდგორის ბრძოლის დღის, 12 აგვისტოს, „დიდი გამარჯვების დღედ“ და, შესაბამისად, საჯარო დღესასწაულად გამოცხადების შესახებ. დიდგორის ბრძოლა 1121 წელს თბილისთან ახლოს მოხდა. საქართველოს არმიამ მეზობელი ისლამური ძალების გაერთიანებული ჯარის დამარცხება მოახერხა. ამ ბრძოლას ქართველთა კოლექტიურ მეხსიერებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. გამარჯვების შედეგად, საქართველომ სამხრეთ კავკასიასა და მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე თავისი გავლენები გაავრცელა. ასე დაიწყო საქართველოს ე.წ. „ოქროს ხანა“. თუმცა, 12

¹ Elizabeth Sieca-Kozlovski and Alexandre Toumarkine, *Geopolitique de la mer Noire: Turquie et pays de l'ex-URSS* (Paris: Karthala, 2000), p. 92.

² Ekatherina Meiering-Mikadze, 'L'Islam en Adjarie: Trajectoires historiques et implications contemporaines', *Cahiers d'études sur la Méditerranée orientale et le monde turco-iranien*, 27 (1999), p. 41.

ავგისტოს „დიდი გამარჯვების დღედ“ გამოცხადების კანონის სამუშაო ვერსიაზე მუშაობა შეჩერდა. მისმა ინიციატორმა, ნუკრი ქანთარია, ეს ყველაფერი ორი მიზეზით ახსნა: პირველ რიგში მან აღნიშნა, რომ ისტორიკოსებთან დამატებითი კონსულტაციების გავლა იყო საჭირო; ხოლო მეორე მიზეზად მან თურქეთის საელჩოს თხოვნა დაასახელა. ქანთარიას თქმით, თურქეთის საელჩო აცხადებდა, რომ „დიდგორი თურქეთისათვის დამარცხების დღეა და საქართველოს პარლამენტის მხრიდან მსგავსმა ნაბიჯმა შესაძლოა გარკვეული დისკომფორტი გამოიწვიოს საქართველო-თურქეთის ურთიერთობებში. ეს თურქეთის საელჩოს მხრიდან მეგობრული თხოვნა იყო.¹

მეორე მაგალითი საქართველოში ჩალღარის საგანმანათლებლო ქსელის საკითხის გარშემო არსებულ უთანხმოებას ეხება. უთანხმოება გიულენის მოძრაობასთან არის დაკავშირებული, რომელიც თურქეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის, რეჯეფ თაიფ ერდოღანის, ხელისუფლების მიმართ ანტაგონისტურად არის განწყობილი. გიულენის მოძრაობა საქართველოში 1990-იანი წლებიდან გაქტიურდა. საქართველოში გიულენის საგანმანათლებლო ქსელის შექმნას 1980-იან წლებში თურქეთის ეკონომიკურმა პროგრესმა და ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში სსრკ-ს დაშლის შემდეგ საგანმანათლებლო აქტივობების წამოსაწყებად შექმნილმა ხელსაყრელმა პირობებმა შეუწყო ხელი. მართალია, ამ მოძრაობის ძირითადი პრინციპები ისლამურ იდეას ეფუძნება, თუმცა საგანმანათლებლო ქსელი უფრო მეტად თურქულ ნაციონალიზმსა და თურქულ ღირებულებებზე ამახვილებს ყურადღებას. მათ მიერ საქართველოში გახსნილი სკოლები სეკულარული იყო. საქართველოში თურქული საგანმანათლებლო ინსტიტუტები მოიცავს დემირელის კოლეჯსა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, რომელთაგანაც ორივე თბილისში მდებარეობს, და შაჰინის მეგობრობის ლიცეუმსა და დემირელის დაწყებითი სა-

¹ <http://netgazeti.ge/news/207421/> 14.07.2017

ფეხურის სკოლას ბათუმში. ასევე, ქუთაისში მდებარეობს თურქული ენის ცენტრი. ყველა ეს ინსტიტუტი შპს ჩალღარის დაქვემდებარების ქვეშ ფუნქციონირებდა. 2016 წელს, თურქეთის მთავრობამ „მარიფის ფონდი“ დააფუძნა, რომლის მიზანსაც გიულენის მოძრაობის საქველმოქმედო აქტივობების ჩანაცვლება წარმოადგენდა.

ბათუმში თურქეთის კონსულმა განაცხადა, რომ მშობლები თავიანთ შვილებს შაჰინის სკოლის მსგავს საგანმანათლებლო ინსტიტუტებში არ უნდა გზავნიდნენ, რადგან ისინი „თაობებს არა სახელმწიფოს სამსახურისთვის, არამედ ტერორისტული დაჯგუფებებისთვის ზრდიან.“ ამ სკოლებს ტერორისტებსა და რადიკალებთან კავშირი არ ჰქონიათ, ისინი ჩვეულებრივი საშუალო სკოლები იყვნენ გარკვეული კავშირებით გიულენის მოძრაობასთან. თურქეთის მხარის ქმედებების შედეგად, დემირელის კოლეჯის ხელმძღვანელი, მუსტაფა ემრე ჩაბუქი, თანამდებობიდან გაათავისუფლეს, რის შემდეგაც მან ცხრა თქვე გაატარა ქართულ ციხეში თურქეთის მიერ „ტერორისტულ ორგანიზაციად“ შეფასებულ აქტორებთან კავშირების ქონის ბრალდებით. მას ასევე უარი ეთქვა საქართველოში თავშესაფრის მოთხოვნაზე. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა გააპროტესტეს ეს გადაწყვეტილება და ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ ჩაბუქის სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, ის პოლიტიკური დევნის მსხვერპლი გახდებოდა. მათ ასევე გამოაქვეყნეს ერთიანი მიმართვა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის სახელზე ჩაბუქისა და მისი ოჯახის წევრებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით.¹ ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტიამ“ საქართველოს ხელისუფლებას დაუყოვნებლივ რეაგირებისკენ მოუწოდა და შეახსენა, რომ „პატივი ეცათ ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით აღებული

¹ 'Appeals Court Denies Refugee Status to Turkish Citizen Civil Georgia', *Civil Georgia*, 26 January 2018, <http://civil.ge/eng/article.php?id=30826>

ვალდებულებებისთვის, რომლის მიხედვითაც საქართველო ვალდებულია მუსტაფა ჩაბუქი დეპორტის, ექსტრადაციის ან ნებისმიერი სხვა ფორმით არ დააბრუნოს იმ ქვეყანაში, სადაც მის მიმართ შესაძლოა არსებობდეს წამების, არასათანადო მოპყრობისა და სხვა მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებების დარღვევის რისკი.¹

საქართველოსა და თურქეთს შორის ორმხრივ ურთიერთობები, ასევე, გაამწვავა აფხაზეთის საკითხმა. თურქეთში მცხოვრები აფხაზური უმცირესობა კარგად ორგანიზებული თემია, რომელიც თურქულ პოლიტიკურ და ბიზნესწრეებში თვითგამოცხადებული რესპუბლიკის აღიარებას ლობირებს. აფხაზურ მხარეს სურს ტრაპიზონსა და სოხუმს შორის ბორანის მიმოსვლის აღდგენა, რომელიც 1996 წელს თურქულმა მხარემ საქართველოს თხოვნით შეაჩერა. თურქეთში მცხოვრები აფხაზი უმცირესობა აფხაზეთთან კომერციულ კავშირებს ინარჩუნებს.² ანკარა საჯაროდ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა, ამავდროულად, აფხაზეთში თურქი ბიზნესმენების ვაჭრობაზე თვალს ხუჭავს. არაოფიციალურად, თურქეთი აფხაზეთისთვის სიდიდით მეორე სავაჭრო პარტნიორია რუსეთის შემდეგ. თურქეთის კერძო კომპანიები აფხაზეთში აქტიურად ფუნქციონირებენ. თურქეთსა და აფხაზეთს შორის კავშირების გაღრმავებისკენ მიმართული აფხაზური თემის ძალისხმევა საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს შორის უთანხმოებებს იწვევს. საქართველომ რამდენჯერმე (1998, 2004, 2009, 2013, სხვ.) დააკავა აფხაზეთისკენ მიმავალი თურქული გემები.

¹ Amnesty: Turkish Teacher Detained by Georgia “at Imminent Risk” of Extradition’, *Civil Georgia*, 29 May 2017, <http://civil.ge/eng/article.php?id=30132&search=emre>

² Balci, 2014.

თურქეთი, რუსეთი და საქართველო

საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტი (2015-2018) ხაზს უსვამს, რომ თურქეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და რომ საქართველო თურქეთთან არსებული პოლიტიკური დიალოგისა და ურთიერთობების გაღრმავებისკენ მიისწრაფვის ისეთ სფეროებში, როგორცაა ვაჭრობა, ეკონომიკა, ტრანსპორტი, ენერჯია და კულტურა.¹ ორ ქვეყანას შორის ჩამოყალიბდა სტრატეგიული თანამშრომლობის საბაზისი. თუმცა, 2014-2016 წლებში მოქმედი პრემიერმინისტრის, აჰმეთ დავუთოღლუს მიერ გაჟღერებულმა თურქეთის საგარეო პოლიტიკამ საქართველოში გარკვეული შეშფოთება გამოიწვია. 2011 წელს სიტყვით გამოსვლისას, დავუთოღლუმ ოსმალეთის იმპერიის ყოფილი პროვინციების მთავარი ქალაქების თურქულ სახელმწიფოში რეინტეგრაციაზე ისაუბრა.² დავუთოღლუს მიერ ნახსენებ ქალაქებს შორის იყო ბათუმიც, საქართველოს უმთავრესი საზღვაო პორტი.³ 2016 წლის ივლისში თურქეთში წარუმა-

¹ Ministry of Foreign Affairs of Georgia, *Foreign Policy Strategy 2019-2022*, <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx?lang=ka-GE> (ბოლოს ნანახია: 9 მარტი, 2020).

² Speech delivered by H.E. Ahmet Davutoğlu, Minister of Foreign Affairs of the Republic of Turkey, 'Vision 2023: Turkey's Foreign Policy Objectives' at the Turkey Investor Conference: The Road to 2023, London, 22 November 2011, www.mfa.gov.tr/speech-entitled-_vision-2023_turkey_s-foreign-policy-objectives__delivered-by-h_e_ahmet-davutoglu_minister-of-foreignaf.en.mfa

³ Ahmet Davutoğlu, 'Turkish Vision of Regional and Global Order: Theoretical Background and Practical Implementation', Keynote Lecture at the Conference on Turkey's Foreign Policy in a Changing World at the University of Oxford, 1 May 2010, transcribed and published by *Political Reflection* 1:2 (2010), pp. 42-3. ერდოღანის განცხადებამ, რომ „რიზე და ბათუმი განუყოფელია“ ქართულ საზოგადოებაში გაღიზიანება გამოიწვია. 'Erdogan: Eger Misak-i Milli diye bir derdimiz varsa...', www.aljazeera.com.tr/haber/Erdogan-eger-misak-i-millidiye-bir-derdimiz-varsa (ბოლოს ნანახია: 3 თებერვალი, 2018). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქართული მედია გამოცემის ინფორმაციით, ერდოღანმა ბათუმში თურქეთთან შეერთების საკითხზე რე-

ტებელი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ, საქართველო თურქეთთან ურთიერთობებში საკმაოდ დელიკატურ პოზიციაში აღმოჩნდა. საქართველოს ყოფილი პრემიერმინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი, პირველი უცხოელი ხელისუფალი იყო, რომელიც ამ მოვლენების შემდეგ ანკარას ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა. საქართველოს მთავრობას არანაირი ნეგატიური შეფასება არ გაუკეთებია თურქეთში მომხდარი მოვლენებისას ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ. მთავრობა მხოლოდ ნეიტრალური განცხადებით შემოიფარგლა, რომელიც საქართველოსთვის თურქეთის მნიშვნელობასა და მისი დემოკრატიული განვითარების მხარდაჭერას ეხებოდა. კვირიკაშვილმა საზგასმით აღნიშნა, რომ „თურქეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და თურქეთში სტაბილურობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.“¹ ოპოზიციურმა პარტიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (ენმ)“ ასევე საზი გაუსვა, რომ „მშვიდობა, სტაბილურობა და დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება ჩვენს მეზობელ სახელმწიფოსა და სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანაში საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა“.² საქართველოს დელეგაციამ მხარი არ დაუჭირა ევროპის საბჭოს 2017 წლის აპრილის რეზოლუციას, რომელიც თურქეთს საგანგებო ვითარების რაც შეიძლება მალე გაუქმების, დაპატიმრებული ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების განთავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის უფლებების აღდგენისაკენ მოუწოდებდა.

თურქეთის პოლიტიკური სტაბილურობა საქართველოს უსაფრთხოების ინტერესებში შედის. თურქეთის ევროკავშირში განეწვევა საკმაოდ წაადგებოდა საქართველოს მისწრაფებებს გაერთიანებასთან უფრო ღრმა ინტეგრაციის მიმართულებით,

ფერენდუმის ჩატარების შესახებ ისაუბრა. აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

¹ www.cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13388-real-friends?georgia-turkey-relations-in-the-wake-of-the-july-15-coup-attempt.html

² იგივე.

თუმცა ამჟამად თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობები პრობლემურია. 2016 წლის გადატრიალების მცდელობამდე, ერდოლანმა სცადა სირიელი ლტოლვილების კრიზისის გამოყენება ევროკავშირთან უფიზო მიმოსვლის მისაღებად და, ასევე, თურქეთი უარს აცხადებდა პრობლემური ანტიტერორისტული კანონის შეცვლაზე, რომელსაც ქვეყანა ქურთი უმცირესობების წინააღმდეგ იყენებს. ამგვარად, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოსთვის შეუძლებელია თურქეთის ევროკავშირსა და, ზოგადად, დასავლეთთან სამომავლო ურთიერთობების პროგნოზირება. 2018 წლის იანვარში ანკარაში ვიზიტის დროს, ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ, როუზ გოტემოლერმა, ხაზი გაუსვა, რომ ალიანსი თურქეთს მხარს დაუჭერდა.¹ საქართველოსთვის თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში ნებისმიერი წინსვლა მნიშვნელოვანია. სირიის კრიზისის ესკალაცია, რომელშიც თურქეთიც ჩართული აღმოჩნდა, და მისი განსაკუთრებით რთული ურთიერთობა რუსეთთან, შესაძლოა საქართველოსთვის სასიკეთო აღმოჩნდეს. ახლო აღმოსავლეთში რუსეთის მზარდი გავლენის პარალელურად, თურქეთის საგარეო პოლიტიკა გარკვეულ მომენტში შესაძლოა დასავლეთთან მოკავშირეობას დაუბრუნდეს.

ირანი

საბჭოთა იმპერიის რღვევისა და კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ, ირანი სამხრეთ კავკასიის რეგიონში მაქსიმალურად გააქტიურებას შეეცადა. თუმცა, რუსეთის, თურქეთისა და აშშ-ის მსგავს ძირითად აქტორებთან კონკურენცია შეუძლებელი იყო.² ამის მიუ-

¹ NATO Deputy Stresses Alliance's Dedication to Turkey, <https://search.proquest.com/docview/1991139460/FCC79941DA7540F3PQ/17?accountid=143042>

² A.H. Cordesman, B. Gold, R. Shelala and M. Gibbs, *US and Iranian Strategic Competition: Turkey and South Caucasus*. Centre for Strategic and International

ხედავად, სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოებისთვის ირანთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირების დამყარება პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო და ამ სახელმწიფოებს სხვა გავლენიანი მეზობლების წინააღმდეგ გარკვეული ბერკეტითაც უზრუნველყოფდა. თომას დე ვაალი აღნიშნავს, რომ: „დასავლური სამყაროს დიდ ნაწილს ირანი გარიყული ჰყავს. თუმცა, ირანის მოსაზღვრე ქვეყნებს არ აქვთ იმის ფუფუნება, რომ აგრესიული ნაბიჯები გადადგან დიდი და ძლევამოსილი მეზობლისა და ისეთი სახელმწიფოს მიმართ, რომელთანაც ყოველდღიური საქმიანობა აკავშირებთ“.¹ ირანი უჩვეულო პოზიციაშია, რამდენადაც ის სახმელეთო და საზღვაო საზღვარს თხუთმეტ სხვადასხვა სახელმწიფოსთან იზიარებს. მართალია, საქართველოს ირანთან პირდაპირი საზღვარი არ აქვს, თუმცა ისტორიულად და გეოპოლიტიკურად ისინი შესაძლოა მეზობლებად ჩაითვალოს. „სამხრეთ კავკასიასა და ირანს შორის ურთიერთობებს არა მხოლოდ რეგიონული კონტექსტი, არამედ რუსეთ-ირანის, აშშ-ირანისა და ევროპა-ირანის ურთიერთობებიც განსაზღვრავს.“² ირანს პრაგმატული დამოკიდებულება აქვს თავისი სამხრეთ კავკასიელი მეზობლების მიმართ. მესბაჰი და ჰომაიუნვაში აღნიშნავენ, რომ „სამხრეთ კავკასიისადმი განსაკუთრებულად სეკულარულმა მიდგომამ თეირანისთვის უფრო დიდი მნიშვნელობა შესძინა ტრანსკავკასიური პოლიტიკის იმდენად მკვეთრად გამოყოფას ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკისგან, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო“.³ თუმცა, საქართველო-ირანის ურთიერთობებში გარკვეული სირთულეებიც არსებობს, რაც სამი ფაქტორითაა

Studies, 2013, https://csisprod.s3.amazonaws.com/s3fs-public/legacy_files/files/-publication/130206_turk_casp_chap9.pdf (ბოლოს ნანახია, 10 მარტი, 2020).

¹ Thomas de Waal, 'Iran's Relieved Neighbors in the Caucasus', Carnegie Moscow Centre, <http://carnegie.ru/eurasiaoutlook?fa=52215> (26 June 2013).

² Alexandre Rondeli, 'Iran and Georgia - Relations Could be Closer', *Expert Opinion*, 18. Georgian Foundation for Strategic and International Studies, 2014, p. 5.

³ Mohaiddin Mesbahi and Mohammad Homayounvash, 'Iran and the Changing Geopolitics of the South Caucasus', Shireen T. Hunter (ed.), pp. 195-222, 203.

განპირობებული: რუსეთსა და საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობებით (რუსეთი ირანისთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში); თურქეთ-საქართველოს სიახლოვით; საქართველოს პროდასავლური მისწრაფებებითა და ნატოსთან კავშირებით.

კონტექსტი

1991 წლის შემოდგომაზე, სსრკ-ის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე, ირანელი დიპლომატები პრეზიდენტ გამსახურდიასთან შესახვედრად საქართველოს ეწვივნენ. მათ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიღება უმაღლესი რანგის ქართველი ხელისუფლისგან სურდათ. ვიზიტი არაოფიციალური ხასიათის იყო.¹ ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს პირველი ოფიციალური ვიზიტი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში შედგა. ირანი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო და 1993 წელს თბილისში საელჩოც გახსნა. სსრკ-ის დაშლის შემდეგ, პირველი ოფიციალური შეთანხმება დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ ირანთან დაიდო.


ირანის ყოფილი პრეზიდენტი, ჰასან რუჰანი (რომელიც 2021 წლის 5 აგვისტოს ებრაჰიმ რაისიმ ჩანაცვლა), საქართველოს ორჯერ ეწვია - პირველად ისლამური საკონსტიტუციო ასამბლეის - ირანის პარლამენტის პირველი ვიცესპიკერის (1995), ხოლო შემდგომ კი ეროვნული უსაფრთხოების უმაღლესი საბჭოს მდივნის (2001) როლში. მოჰამად ხათამის, მაჰმუდ აჰმადინეჟადისა და ჰასან რუჰანის პრეზიდენტობის პერიოდში, ორ ქვეყანას შორის მაღალი დონის ვიზიტებს იშვი-

¹ Levan Asatiani, 'A Brief Overview of Iranian-Georgian Diplomatic Relations', *Expert Opinion*, 55. Tbilisi: Georgian Foundation for Strategic and International Studies, 2016, p. 4.

ათი ხასიათი ჰქონდა. პრეზიდენტი სააკაშვილი ირანს 2004 წელს ეწვია. 2017 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ირანში ვიზიტი ქვეყნებს შორის ურთიერთობების დათბობის ნიშანს წარმოადგენდა. ვიზიტის ფარგლებში, საქართველოსა და ირანის მინისტრებსა და სამთავრობო დეპარტამენტებს შორის თანამშრომლობის რამოდენიმე მემორანდუმს მოეწერა ხელი. ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეტაპობრივად გაიზარდა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, 1995 წლიდან მოყოლებული, საქართველოსა და ირანს შორის, განსაკუთრებით კი ირანიდან საქართველოში, ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ზრდა შეინიშნება (იხილეთ გრაფიკი 5.7).

გრაფიკი 5.7

იმპორტი, ექსპორტი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ირანთან: 1995-2019



წყარო: ჯეოსტატი: www.geostat.ge/en/modules/categories/35/external-trade

ირანიდან საქართველოში იმპორტირებული ხუთი წამყვანი პროდუქტი ასე გამოიყურება: (1) მინერალური სანვავი, ზეთები, მათი გამოსახდელი პროდუქტები; (2) რკინა და ფოლადი; (3) კერამიკული პროდუქტები; (4) პლასტმასი; და (5) საკვები ხილი, თხილეული, ციტრუსოვანი ხილის კანი, ნესვი.¹ საქართველოდან ირანში ექსპორტირებული წამყვანი პროდუქტებია: (1) ხორცი; (2) ხის მასალა და ხისგან დამზადებული ნაწილები; (3) ხელნაკეთი ძაფები; (4) რკინა და ფოლადი, და (5) ფარმაცევტული პროდუქტები.² ისეთი ენერგო რესურსები, როგორცაა გაზი და ნავთობი, საქართველო-ირანის ეკონომიკურ ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. 2016 წლიდან, ირანი საქართველოში მოქმედ თერმულ სადგურებსა და სხვა კერძო კომპანიებს დღეში 14 მილიონ კუბურ მეტრამდე ბუნებრივი აირით უზრუნველყოფს. 2016 წელს ირანი და საქართველო შეთანხმდნენ, რომ ნედლი ნავთობის მიწოდება ირანის ორი სანავთობო ბაზიდან, აჰვაზიდან და დეზფულიდან, მოხდებოდა.³ ირანისათვის დაწესებული სანქციების შედეგად, 2013-2016 წლებში ორ ქვეყანას შორის შემცირდა როგორც ექსპორტი და იმპორტი, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც (იხილეთ გრაფიკი 5.8).


¹ Tradingeconomics.com, *Georgia Imports from Iran*, 2018, <https://tradingeconomics.com/georgia/imports/iran>. (ბოლოს ნანახია: 10 მარტი, 2020).

² Tradingeconomics.com, *Georgia Imports from Iran*, 2018, <https://tradingeconomics.com/georgia/imports/iran>. (ბოლოს ნანახია: 10 მარტი, 2020).

³ Civil Council on Defense and Security, *Report on Georgia-Iran Economic Relations*, 2018, http://civilcouncil.org/media/com_form2content/documents/c3/a68/f30/18050_1_Policy_per_cent20Pper_Georgia-Iran-Eng.pdf. (ბოლოს ნანახია: 10 მარტი, 2020).

გრაფიკი 5.8

იმპორტი, ექსპორტი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ირანთან: 2013-16



წყარო: www.geostat.ge/en/modules/categories/35/external-trade

საქართველო, ირანი და რუსეთი

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ნათლად აჩვენა ირანის მნიშვნელობა საქართველოს ხელისუფლებისთვის. რუსეთის ინტერვენციის ხმამაღალი დაგმობის გარეშე, ირანმა ოფიციალურად დაადასტურა თავისი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი და საერთაშორისო სტანდარტებისა და შეთანხმებების მიმართ ქვეყნის ერთგულებას გაუსვა ხაზი. რუსეთის მოთხოვნის მიუხედავად, ირანმა 2008 წლის ომის შემდეგ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე უარი განაცხა-

და.¹ თუმცა, ამავდროულად, ირანს არ გამოუხატავს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია კონფლიქტთან დაკავშირებით. ირანის იმდროინდელმა პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჟადმა 2008 წლის 23 სექტემბრის გაეროს გენერალურ ასამბლეაზე განაცხადა, რომ „საქართველოს, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთი ხალხების სიცოცხლე, საკუთრება და უფლებები ნატოსა და ზოგიერთი დასავლური ქვეყნის პროვოკაციებსა და პოლიტიკას და ასევე, სიონისტების ფარულ ქმედებებს შეენირა.“² თუმცა, პრეზიდენტის განცხადებაში საქართველო, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი თანაბარ დონეზე იყო მოხსენიებული, რაც საქართველოს ხელისუფლებისთვის არასასიამოვნო იყო. ზოგადად, აგვისტოს ომის შესახებ თეირანის გზავნილი იყო ის, რომ საქართველომ აშშ-ის დაპირებები სათანადოდ ვერ შეაფასა და რომ მან თავისი გულუბრყვილობის ფასი გადაიხადა. აჰმადინეჟადი ამტკიცებდა, რომ რეგიონის ქვეყნებისთვის უმჯობესი იქნებოდა, უსაფრთხოების სფეროში ირანთან უფრო მჭიდრო კავშირები დაემყარებინათ, ვიდრე არაპროგნოზირებადი შეერთებული შტატებისგან ეცადათ უსაფრთხოების გარანტიების მიღება.

რაც შეეხება რეგიონული კონფლიქტების გადაჭრას, ირანი მიიჩნევს, რომ ამ პროცესში მხოლოდ რეგიონული აქტორები უნდა ჩაერთონ (რუსეთი, თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი). 2001 წელს, საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს, ირანის ეროვნული უშიშროების საბჭოს მაშინდელმა მდივანმა, ჰასან რუჰანიმ განაცხადა, რომ „რეგიონული თანამშრომლობა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია მსოფლიოს სტაბილიზაციისა და კავკასიის რეგიონში

¹ მაგალითისთვის იხილეთ, G. Sanikidze, 'Turkey, Iran and the South Caucasus: Challenges for Regional Policy after the 2008 August War', *Electronic Journal of Political Science Studies*, 2:1 (2011), pp. 78-89, www.esbadergisi.com/index.php?lang=en

² 'Iran's President Blames West for Georgia War', *Civil Georgia*, 24 September 2008, <http://civil.ge/eng/article.php?id=19585&search=>

უსაფრთხოების მისაღწევად. ირანთან მუდმივი პოლიტიკური კონსულტაციები საქართველოს რეგიონული პრობლემების ეფექტურად, უცხოელთა დახმარების გარეშე გადაჭრაში დაეხმარება.¹ თეირანი საკუთარ თავს მის სამეზობლოში არსებული „სუსტი“ სახელმწიფოების დამცველად წარმოაჩენს და პარალელურად, რეგიონში ანტიჰეგემონურ (ანტიამერიკულ) პოლიტიკას უჭერს მხარს.² ამავდროულად, თეირანს კარგად ესმის, რომ ირანის წინააღმდეგ რაიმე ტიპის სამხედრო მოქმედების შემთხვევაში, საქართველო შესაძლოა სტრატეგიულად მნიშვნელოვან დასავლურ ბაზად იყოს გამოყენებული. ეს საკითხი აქტუალური გახდა 2011-12 წლებში, როდესაც განიხილებოდა დასავლეთის ან ისრაელის შესაძლო სამხედრო თავდასხმა ირანის წინააღმდეგ. თეირანი შეშფოთებული იყო ისრაელთან საქართველოს მჭიდრო ურთიერთობებით (2013 წლის ივლისში, ირანთან უვიზო რეჟიმის დროებით გაუქმება საქართველო-ისრაელს შორის უვიზო მიმოსვლის შეთანხმების ხელმოწერას დაემთხვა). იმდროინდელ ირანულ პრესაში ხაზგასმული იყო, რომ „ისრაელი ამ სახელმწიფოებს ირანზე ჯაშუშური ინფორმაციის მოსაგროვებლად იყენებდა.“³

მართალია, რუსეთმა საქართველოში სანდოობა და პოლიტიკური გავლენა დაკარგა, თუმცა, ირანმა რუსეთის ფაქტორი საქართველოსთან ნებისმიერი ტიპის ურთიერთობაში უნდა გაითვალისწინოს. ირანის საქართველოსთან დაახლოება არ შეესაბამება რუსეთის ინტერესებს. რუსი პოლიტიკოსები ირანელებს აფრთხილებენ, რომ საქართველო აშშ-ის მოკავშირეა და ამერიკელები მას ირანის წინააღმდეგ ნებისმიერი ტიპის სამხედრო მოქმედებისას გამოიყენებენ. ამის პარალელურად,

¹ Vladimir Mesamed, *Iran i nemusulmanskie strany Yuzhnogo Kavkaza (Armenii i Gruzii)* [Iran and the non-Muslim countries of the South Caucasus (Armenia and Georgia)] (Moscow: Near East Institute, 2015), p. 132.

² Kornely K. Kakachia, 'Iran and Georgia: Genuine Partnership or Marriage of Convenience?', *PONARS Eurasia Policy Memo*, No. 186, September 2011, p. 2.

³ Quoted in Mesamed, p. 145.

რუსეთთან პარტნიორობის მიუხედავად, ირანი მოსკოვს ბოლომდე არ ენდობა. ირანი შიშობს, რომ რუსეთმა შესაძლოა უგულვებლყოს მისი ინტერესები საერთაშორისო ზენოლის წნეხის ქვეშ, ან იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირთან ან აშშ-სთან თანამშრომლობა მისთვის სასარგებლო გახდება.¹ ჯეიმს-სთაუნის ფონდის პრეზიდენტმა, გლენ ჰოუარდმა, აღნიშნა, რომ რუსეთი მაქსიმალურად შეეცდება საქართველო-ირანის დაახლოების თავიდან არიდებას, როგორც ეს სომხეთის შემთხვევაში გააკეთა. რუსეთმა ხელი შეუშალა სომხეთისა და ირანის დამაკავშირებელი გაზსადენისა და რკინიგზის მშენებლობას; ხოლო 2005 წელს, დიდი ალბათობით რუსული ზენოლის ფონზე, სომხეთის ხელისუფლებამ უარი თქვა სატრანზიტო მარშრუტის განხილვაზე, რომელიც ირანის ბუნებრივ აირს საქართველოსა და უკრაინის გავლით ევროპაში გაიტანდა. პრემიერმინისტრმა ანდრანიკ მარგარიანმა განაცხადა, რომ სომხეთის მთავრობას რუსეთის ინტერესებს უგულვებლყოფა არ შეეძლო.² სომხეთს, ასევე, ჰქონდა ირან-სომხეთის დამაკავშირებელი რკინიგზის მშენებლობის მცდელობები, რომელსაც ირანი რუსეთის მიერ მართულ ევრაზიის ეკონომიკურ კავშირთან უნდა დაეკავშირებინა. სარკინიგზო ინიციატივა 2012 წელს გამოცხადდა, თუმცა რუსეთს ამ პროექტის დაფინანსების ინტერესი არ გამოუხატავს.³ ირანი კვლავ გააგრძელებს სომხეთზე გამავალ სამხრეთ-ჩრდილოეთის სატრანსპორტო კორიდორის იდეის მხარდაჭერას, თუმცა ამგვარი პროექტის განხორციელება რუსეთის ინტერესებში არ შედის, რადგან, გარდა იმისა, რომ პროექტი დიდ ინვესტიციას მოითხოვს, ის

¹ Bülent Aras, 'Turkey's Policy toward the South Caucasus', p. 188.

² A. Grigoryan, *Armenia and the Iran Deal*, 2015, <https://cacianalyst.org/publications/analyticalarticles/item/13263-armenia-and-the-iran-deal.html> (ბოლოს ნანახია: 10 მარტი, 2020).


³ Beltandroad.news, 'Armenia fails to realise railway project with Iran', 18 September 2019, www.beltandroad.news/2019/09/18/armenia-fails-to-realise-railway-project-with-iran/. (ბოლოს ნანახია: 10 მარტი, 2020).

სომხეთს ძალიან ფართო ეკონომიკურ დამოუკიდებლობას მიანიჭებდა.¹

საქართველოსა და ირანს შორის ურთიერთობები 2008 წელს გაუარესდა, როდესაც საქართველომ ირანის მოქალაქე შეერთებულ შტატებს გადასცა, ირანის წინააღმდეგ დაწესებული იარაღის ემბარგოს დარღვევასთან დაკავშირებით ბრალის წასაყენებლად. აღნიშნული ქმედება თეირანში ანტიირანულ აქტად შეფასდა. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები არსებითად შეჩერებული იყო მანამ, სანამ ირანმა და საქართველომ 2011 წლის 26 იანვარს უვიზო რეჟიმის შესახებ შეთანხმებას არ მიაღწიეს. საქართველო მსოფლიოს ორმოცი ქვეყნიდან ერთ-ერთი გახდა, სადაც ირანელებს უვიზო მიმოსვლა შეეძლოთ და მალევე ქვეყანა ირანელი ტურისტებისთვის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მიმართულებად იქცა (იხილეთ გრაფიკი 5.9).

გრაფიკი 5.9

საერთაშორისო მოგზაურობა ირანიდან საქართველოში: 2011-19



წყარო: <https://gnta.ge/statistics/>

¹ www.amerikiskhma.com/a/georgia-iran-relationship/3011846.html

ირანულმა ტურიზმმა ეკონომიკური ურთიერთობების ზრდა გამოიწვია. 2011 წლიდან, თურქეთთან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან ერთად, საქართველო თეირანის სტაბილური პარტნიორი გახდა.¹ თუმცა საქართველოს, როგორც აშშ-ის განსაკუთრებით ახლო პარტნიორის, პოზიცია ირანის პოლიტიკოსთა წრეებში დიდ ყურადღებას იპყრობს. საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩის, ჯონ ბასის, თანახმად (ვიკილიქსის ჩანაწერში): „საქართველო ცდილობს ურთიერთობების განვითარებას ირანთან. საქართველო ირანთან დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ ჩვენი არგუმენტების დიდ ნაწილს დაეთანხმა და მზადყოფნა გამოთქვა, ეს საკითხები უშუალოდ ირანთან წარედგინა. თეირანი კვლავ გაღიაზიანებულია იმ ფაქტით, რომ საქართველომ რამდენიმე წლის წინ აშშ-ს იარაღით უკანონოდ მოვაჭრე ირანის მოქალაქე გადასცა.“ ბასმა ასევე აღნიშნა, რომ ამავდროულად საქართველო „გავლენიან რეგიონულ მეზობელსა და ნამყვან სავაჭრო პარტნიორთან გაუცხოებისგან“ თავს იკავებდა.²

საქართველო-ირანის ურთიერთობები მრავალი წინააღმდეგობრივი ფაქტორით არის განპირობებული. ეს ყველაფერი შესაძლოა შემდეგნაირად შეჯამდეს: ირანს, როგორც დიდ სახელმწიფოს, მეზობლების, მათ შორის საქართველოს, მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნია; ის კავკასიაში აშშ-სა და ნატოს გავლენის გავრცელების წინააღმდეგა და როგორც წესი, რეგიონში რუსეთის ინტერესებს უჭერს მხარს; ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი არ პასუხობს ირანის ეკონომიკურ ინტერესებს და ასუსტებს ირანის, როგორც კასპიური ნავთობისა და გაზის სატრანზიტო მარშრუტის მნიშვნელობას. ირანი საქართველოზე გამავალი შავი ზღვისა და ევროპის სატრანზიტო

¹ Ghia Nodia, 'Georgia Walks a Line between Washington and Tehran', *RFERL*, 19 November 2010, www.rferl.org/content/Georgia_Walks_A_Line_Between_Washington_And_Tehran/2224653.html

² <https://matiane.wordpress.com/2010/12/14/wikileaks-ambassador-john-bass-on-situation-ingeorgia/>

მარშრუტებით არის დაინტერესებული და საქართველოში მცხოვრები მუსლიმი უმცირესობების მიმართ ღია ინტერესს გამოხატავს. თუმცა, ოფიციალურად გაცხადებული კეთილმეზობლური ურთიერთობების მიუხედავად, საქართველოს არ აქვს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კავშირები ირანთან. საქართველოს დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი და რუსეთთან პრობლემური ურთიერთობები ქვეყნის ირანთან დაახლოებას ხელს უშლის. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში ახალ ფაქტორს წარმოადგენს პრეზიდენტ ბაიდენის ახალი ადმინისტრაცია და მისი პოლიტიკა ირანთან მიმართებაში. 2015 წლის ბირთვულ შეთანხმებასთან დაბრუნება, საერთო ჯამში, საქართველოს ინტერესებში შედის და გაამარტივებს ირანთან როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ირანელები საქართველოში

ირანს საქართველოსთან უფრო მჭიდრო ეკონომიკური კავშირების დამყარება სურს, თუმცა ამ ორ ქვეყანას შორის პოტენციურ და რეალურ ეკონომიკურ კავშირებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ადრეულ 1990-იან წლებში, თბილისში პირველი სავაჭრო და ინდუსტრიული გამოფენები ირანის ჩართულობით განხორციელდა. შეთანხმებები შიდა რეგიონულ დონეზე იდებოდა. დასავლეთ საქართველოში მდებარე იმერეთის რეგიონსა და ირანში მდებარე გილანის პროვინციას შორის „მეგობრობისა და თანამშრომლობის“ შეთანხმებას მოეწერა ხელი. გილანის მუდმივმოქმედი სავაჭრო ცენტრი პირველად ქუთაისში (იმერეთის რეგიონული ცენტრი), ხოლო მოგვიანებით თბილისშიც გაიხსნა. 2001 წლის თებერვალში, საქართველოში მცხოვრებმა ირანელმა ბიზნესმენებმა „საქართველოში მცხოვრებ ირანელ ბიზნესმენტა კავშირი“ დააარსეს.

2003 წლის „ვარდების რევოლუციისა“ და ეკონომიკის ლიბერალიზაციის შემდეგ, საქართველოში ირანული ბიზნესების

რაოდენობამ იმატა, რაც უფრო ხელმისაწვდომი ბიზნესგარემოთი, გამარტივებული მიგრაციითა და უცხოური ინვესტიციების გაზრდილი შესაძლებლობებით იყო გამოწვეული. თავისუფალი ეკონომიკისა და დასავლური ღირებულებებისკენ საქართველოს სწრაფვა ირანელი ბიზნესმენებისთვის მიმზიდველი აღმოჩნდა, თუმცა ამავდროულად, ისტორიულად, კულტურულად და გეოგრაფიულად საქართველო ყოველთვის ახლოს იყო ირანთან. 1970-იანი წლებიდან, ქართული წარმომავლობის ირანის მოქალაქეებს საქართველოში დასახლების საშუალება მიეცათ, 1992 წლიდან კი მოქალაქეობის მიღებაც შეძლეს. მათი უმრავლესობა ცენტრალური ირანის ფერეიდნის იზოლირებული რეგიონის ისპაჰანის პროვინციიდანაა, სადაც ეთნიკური ქართველები მე-17 საუკუნეში შაჰ აბას პირველის ბრძანებით ძალადობრივად გადაასახლეს.¹


ირანელი ბიზნესმენებისთვის არსებობდა მცირე პერსპექტივა იმისა, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდებოდა. საქართველო შესაძლოა კიდევ ერთხელ გამხდარიყო ირანის ევროპასთან დამაკავშირებელი დერეფანი. შედეგად, საქართველოში ირანელებზე გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა (იხილეთ გრაფიკი 5.10). საქართველოში ირანული კომპანიების დასარეგისტრირებლად შუამავალი სააგენტოები შეიქმნა; ირანულმა კომპანიებმა საბანკო ანგარიშები გახსნეს და თანამშრომლებისთვის დროებითი ბინადრობის ნებართვები მიიღეს. საქართველოში ირანელების ლეგალური იმიგრაციის შესაძლებლობამ და ირანული კომპანიების გაზრდილმა რაოდენობამ საქართველოს დასავლელ პარტნიორებში შემოფოთება გამოიწვია, რადგან ისინი ვარაუდობდნენ, რომ ამ გზით ირანის ისლამური რესპუბლიკა დასავლურ ეკონომიკურ და საბანკო სანქციებს თავს არიდებდა და საქართველოში რეგისტრირებული თავისი კომპანიების

¹ B. Rezvani, 'The Islamization and Ethnogenesis of the Fereydani Georgians', *Nationalities Papers*, 2008, pp. 593-623.

საშუალებით ფულს ათეთრებდა. საქართველოში დაარსებულ ერთობლივ ირანულ-ქართულ კომპანიებს ირანის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების, მათ შორის „ისლამური რევოლუციური გვარდიის კორპუსის“, ფულის გათეთრებაში დასდეს ბრალი. „უოლ სტრიტ ჟურნალის“ 2013 წლის ივნისის გამოცემაში აღნიშნული იყო, რომ „ირანელმა ბიზნესმენებმა კავკასიის რეგიონში აშშ-ის დიდი ხნის მოკავშირე სახელმწიფოში, საქართველოში მოიყარეს თავი, რათა იქ იმ შესაძლებლობებით ესარგებლათ, რაც მსოფლიოს უმეტეს ნაწილში მათთვის ხელმიუწვდომელი იყო.“¹ შედეგად, საქართველოს მთავრობამ რამოდენიმე ირანულ კომპანიას ქართულ ბანკებში არსებული ანგარიშები გაუყინა.

გრაფიკი 5.10

ირანიდან საქართველოში იმიგრაცია: 2012-18



წყარო: www.geostat.ge/en/modules/categories/322/migration

¹ B. Faucon, 'As Sanctions Bite, Iranians Invest Big in Georgia', *The Wall Street Journal*, 20 June 2013, www.wsj.com/articles/SB10001424127887323864304578320754133982778

2013 წლის ივლისში, საქართველომ ცალმხრივად გააუქმა უვიზო რეჟიმი ირანის მოქალაქეებისთვის (2017 წელს ეს რეჟიმი აღდგა). ოფიციალური ქართული უწყებების ცნობით, აღნიშნული ნაბიჯი დროებითი იყო. ქართულმა მხარემ უარყო მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ევროპელი და ამერიკელი პარტნიორებისგან წამოსული ზენოლით იყო გამოწვეული. საქართველოს ცალმხრივ გადაწყვეტილებას ირანის მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის აღდგენის შესახებ, ბუნებრივია, უარყოფითი შეფასებები მოჰყვა ირანში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ ოფისის ყოფილმა ხელმძღვანელმა, მარკ მალენმა, ეჭვქვეშ დააყენა მოსაზრება, რომ ირანელების ცხოვრება საქართველოში ქვეყნისთვის საფრთხის შემცველი იყო. თავის წერილში „საქართველო და ირანი, ქართველები და ირანელები“, მალენი წერს:

„საქართველოში ჩამოსული ირანელების 99% საკმაოდ განათლებული, დასავლურად განწყობილი, მდიდარი ადამიანები იყვნენ, რომლებსაც უბრალოდ ირანის საზღვრებს გარეთ, მაგრამ ქვეყანასთან ახლოს მოღვაწეობის შესაძლებლობა სურდათ. მათგან მხოლოდ 1% თუ იყო ფულის გამთეთრებელი ან კიდევ უფრო უარესი. ნებისმიერ შემთხვევაში, სისტემა მუშაობდა და მრავალმა ირანელმა დაიწყო კავშირების აღდგენა. მათი უმრავლესობა სამუშაოს სულაც არ ეძებდა, მათ უბრალოდ სახლის ყიდვა და შვილების სკოლებში შეყვანა სურდათ; მათ საკმაოდ ბევრი ფული ჰქონდათ და ამ ფულის ინვესტირებას გეგმავდნენ.“¹

დღეს ირანსა და საქართველოს შორის ეკონომიკური ურთიერთობები შეზღუდულია. ირანელი ბიზნესმენები ინვესტიციებს, ძირითადად, მანქანა-დანადგარებში, მშენებლობასა და ტურიზმში დებენ, თუმცა ირანული ინვესტიციების სრულად ამსახველი ოფიციალური მონაცემები არ არსებობს. მართალია,

¹ www.georgianjournal.ge/blog/27882-georgia-and-iran-georgians-and-iranians.html

ირანთან უფრო მჭიდრო კავშირმა იმპორტის გაძლიერებასა და ინვესტიციების წახალისებას შეუწყო ხელი, თუმცა ირანის საერთო გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე მინიმალურია.¹ უვიზო რეჟიმის მოქმედების პერიოდში, ორ ქვეყანას შორის ვაჭრობისა და ტურიზმის დონე მკვეთრად გაიზარდა. 2011-2013 წლებში, ირანული იმპორტი 1, 590 პროცენტით გაიზარდა და 100 მილიონ დოლარს გადააჭარბა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ირანიდან იმპორტი ძალიან დაბალი მაჩვენებლით დაიწყო (შედარებისთვის, 2012 წელს საქართველოს თურქეთთან ვაჭრობა 1.34 მილიონ აშშ დოლარზე მეტი იყო).² ამის მიუხედავად, აშკარა იყო ირანელი ტურისტების ნაკადის ზრდა საქართველოში; 2012 წელს, ირანელი ტურისტების მაჩვენებელმა 80 000-ს გადააჭარბა, ხოლო 2017 წელს უვიზო რეჟიმის აღდგენის შემდეგ, ირანელი ტურისტების რაოდენობამ 300 000-ს მიაღწია.³ 2017 წლის მონაცემებით, ორმხრივმა ვაჭრობამ 181 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 38-პროცენტთან ზრდას წარმოადგენდა. საქართველოს ექსპორტმა ირანში 64 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია (64-პროცენტის ზრდა). 2015-2019 წლებში გაყიდული უძრავი ქონების 42 პროცენტი ირანის მოქალაქეებმა შეიძინეს.⁴ თუმცა, მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, საბანკო გადარიცხვების პრობლემები ორ ქვეყანას შორის ვაჭრობისთვის ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად რჩება. კიდევ ერთ დაბრკოლებას ირანის მოქალაქეებისთვის საქართველოში შემოსვლის წესების გამკაცრება წარმოადგენს (უვიზო რეჟიმის მიუხედავად). 2019 წლის პირველ ნახევარში, საქართველოს საზღვრის

¹ Molly Corso, 'Georgia: Is Tehran Trying to Use Tbilisi to Evade Sanctions?' *Eurasianet*, 15 July 2013, www.eurasianet.org/672538/16/2013

² National Statistics Office of Georgia, Tbilisi, 2013.

³ <https://1tv.ge/news/iranis-elchi-iraneli-turistebis-raodenoba-sakartveloshi-qovelt-sliurad-izrdeba/> (ბოლოს ნანახია: 7 მარტი, 2018).

⁴ www.tabula.ge/ge/story/154238-iranidan-motkhovnis-shemtsirebis-gamo-sakartvelos-ekonomika80-million-dolars-dakargavs

კვეთაზე უარი ეთქვა ჯამში 13,165 ადამიანს და მათგან 5, 656 (42 პროცენტი) ირანის მოქალაქეა.

ირან-საქართველოს ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილია ირანის „რბილი ძალა“ საქართველოში. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ირანის საელჩო ქართულ უნივერსიტეტებში ირანულ კვლევებს აფინანსებს (სპარსული ენა და ლიტერატურა, ირანის ისტორია). „ირანული ცენტრები“ მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიხსნა. 2001 წელს, თბილისში „დიდი აიათოლა სისტანის ინსტიტუტის“ ‘ალ ულ-ბეითისკ ფილიალი გაიხსნა. გარდა ამისა, ირანული ფონდების მიერ დაფინანსებული შიიტური მედრესეები და მეჩეთები მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს იმ ქალაქებსა და სოფლებში, სადაც მუსლიმი აზერბაიჯანელები უმრავლესობას წარმოადგენენ. უვიზო რეჟიმის აღდგენის შემდეგ, ორ ქვეყანას შორის საჰაერო მიმოსვლა გააქტიურდა და დღესდღეობით თეირანსა და თბილისს შორის რეგულარული ფრენები სრულდება - კვირაში საშუალოდ ოთხიდან ექვს რეისამდე. მგზავრების აბსოლუტური უმრავლესობა ირანელია.

საქართველოს ხელისუფლებამ საკმაო ტოლერანტობა გამოიჩინა ქვეყანაში ირანის ტერიტორიული და კულტურული ექსპანსიის მიმართ. თუმცა, საქართველოს მთავრობას კარგად აქვს გააზრებული დასავლელი პარტნიორების მიმართ აღებული ვალდებულებები. ირანულ მხარეს ესმის, რომ საქართველო ბოლომდე დამოუკიდებელი არ არის გადანყვეტილებების მიღების პროცესში, როგორც იყო, მაგალითად, ირანელებისთვის უვიზო რეჟიმის დროებით შეჩერება. საქართველო-ირანის ურთიერთობები მხოლოდ მარტივი ორმხრივი გადანყვეტილებებით არ განისაზღვრება, არამედ ის ირანისა და საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობის კონტექსტში ფუქნციონირებს. ირანის საერთაშორისო ასპარეზზე დაბრუნების შემთხვევაში, საქართველოსა და ირანს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მინიმუმ სამი მიმართულებით განვითარება შესაძლებელი: ტურიზმისა და კულტურული ურთიერთობე-

ბის ზრდა, საქმიანი კონტაქტების გაძლიერება და საქართველოს სატრანზიტო სისტემაში მეტი ინვესტიციის ჩადება. საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული პოზიციისა და ირანის მდიდარი ენერგეტიკული რესურსებისა და სავაჭრო პოტენციალის გათვალისწინებით, ირანისთვის დანესებული სანქციების მოხსნის შემთხვევაში, საქართველო ევროპასთან დამაკავშირებელ აუცილებელ და ფინანსურად მომგებიან ხიდად ჩამოყალიბდება. ირან-სომხეთის გაზსადენზე მოლაპარაკებების გზით ირანმა უკვე განაცხადა სამხრეთ კავკასიის ენერგეტიკულ სფეროში თავისი როლის გაფართოების შესახებ. საქართველოში ვიზიტით მყოფმა ირანელმა პოლიტიკოსებმა ბათუმისა და ფოთის პორტების პოტენციალს გაუსვეს ხაზი, მაგრამ ირანის მეტი ჩართულობისკენ მიმართულ ნებისმიერ ნაბიჯს საქართველოს დასავლელი პარტნიორები, განსაკუთრებით კი აშშ, საკმაოდ სკეპტიკურად უყურებენ. 2014 წელს ირანში საქართველოს ახლადდანიშნულ ელჩთან შეხვედრისას, პრეზიდენტმა რუჰანიმ საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარების მიმართულებით ირანის ინტერესებს გაუსვა ხაზი. „ჩვენ ვაფასებთ ჩვენს ურთიერთობებს საქართველოსთან. თქვენი ქვეყანა ირანისთვის შავი ზღვის პორტებში გასასვლელს წარმოადგენს, განსაკუთრებით კი ბათუმში, რომელსაც ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ ძნელია ირანისა და საქართველოს დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის მნიშვნელობის გადაჭარბებულად შეაფასება.“¹ 2014 წელს, საქართველოს მიერ ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ (DCFTA) ხელმოწერა კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებს ქმნის ირანული ბიზნესისთვის, რომელსაც პოტენციურად ერთობლივი ირანულ-ქართული პროდუქტების შექმნა და მათი ევროკავშირის ბაზარზე გავრცელება შეუძლია.² თუმცა 2020 წელს, ახლო აღმოსავლეთში, განსა-

¹ <http://isna.ir/fa/news/93020201446> (22/04/2013)

² L. Asatiani, p. 7.

კუთრებით სირიასა და ერაყში არსებული ზოგადი არასტაბილურობისა და აშშ-სა და ევროკავშირთან ირანის დაძაბული ურთიერთობების ფონზე, ირან-საქართველოს ურთიერთობების მომავლის მიმართ ოპტიმისტური განწყობის შენარჩუნება საკმაოდ რთულია.

დასკვნა

თურქეთის პოლიტიკაში შეტანილი ბოლოდროინდელი ცვლილებების მიუხედავად, საქართველოში თურქეთი კვლავ მთავარ რეგიონულ პარტნიორად და სტრატეგიულ მოკავშირედ აღიქმება. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, თურქეთი საქართველოსთვის სანდო პარტნიორია. საქართველოში მმართველი ძალის ცვლილებების მიუხედავად, ქვეყნის მოქმედი ხელისუფლება თურქეთის მიმართ პოზიტიურ აღქმებს ინარჩუნებს. როგორც ხელისუფლება, ასევე პროდასავლურად განწყობილი ოპოზიციური ჯგუფები მხარს უჭერენ თურქეთთან ურთიერთობების გაღრმავებას, რაც საქართველოს ნატოსთან თავსებადობის პროცესში გარდამტეხ როლს ასრულებს. პრორუსულ და ანტიდასავლურ პოლიტიკურ პარტიებსა და ჯგუფებს საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობების გაღრმავების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ, თუმცა, ამ დაჯგუფებებს საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი უჭერს მხარს. თურქეთთან ურთიერთობების შენარჩუნებისა და გაღრმავების აუცილებლობა იმასაც გულისხმობს, რომ საქართველოს ხელისუფლება (მათ შორის პროდასავლური ოპოზიცია) თურქეთის პოლიტიკას, მათ შორის ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებს, იშვიათად აკრიტიკებს. ანკარას ნეიტრალური პოზიცია აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით და მიმდინარე ეკონომიკური პროექტები რუსეთთან საქართველოს ინტერესებთან თანხვედრაში არ მოდის (თუმცა სირიის საკითხზე თურქეთსა და რუსეთს

შორის ბოლოდროინდელი უთანხმოება იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა მყარი არ არის). თურქეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სამხრეთი თანამშრომლობა სამივე მხარისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია. საქართველოში თურქეთის ჩართულობას, ასევე, გარდამტეხი მნიშვნელობა აქვს რუსეთის დაბალანსების მიმართულებით. თუმცა, 2020 წლის მთიანი ყარაბაღის ომმა რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური რეალობა შექმნა, რომელიც საქართველოს დიდწილად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. რუსეთმა რეგიონში თავისი სამხედრო წარმომადგენლობა გაზარდა, და თურქეთის ყურადღება ახლა აზერბაიჯანის ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერისკენ არის მიმართული. სამხრეთ კავკასიაში თურქეთისა და რუსეთის სამხედრო თანამშრომლობა (თუნდაც უმნიშვნელო) საქართველოს ინტერესებში არ შედის.¹ ამგვარი თანამშრომლობა იმ საზიანო შედეგების შესხენებას წარმოადგენს, რაც საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის თანამშრომლობამ საქართველოს 1921 წელს მოუტანა, როდესაც ორი ძალა რეგიონში გავლენის გადანაწილებაზე შეთანხმდა.

საქართველოს პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი და პრობლემური ურთიერთობები რუსეთთან ქვეყანას ირანთან ურთიერთობების დათბობაში ხელს ვერ შეუწყობს. ირანსა და საქართველოს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობები ამ უკანასკნელის თურქეთთან თანამშრომლობის მასშტაბებს ბევრად ჩამორჩება. საქართველო ვერ გაუწევს კონკურენციას მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანს, რომელთაც ირანთან უფრო ღრმა კავშირები აქვთ. ირანი დაინტერესებულია საქართველოს სატრანზიტო პოტენციალით დასავლეთში საკუთარი პროდუქციის ექსპორტზე გასატანად, თუმცა ამჟამად თეირანის მიერ ამ შესაძლებლობის ათვისების და-

¹ აზერბაიჯანში (აგდამში, კონფლიქტის ზონასთან ახლოს) საერთო სამხედრო ცენტრი გაიხსნა.

ლიან მცირე შესაძლებლობა არსებობს. უკანასკნელი წლების განმავლობაში, საქართველო ირანელი ტურისტებისათვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მიმართულება გახდა. ირანის მოქალაქეები საკმაოდ ხშირად ითხოვენ საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვას და ქართული წარმომავლობის ბევრი ირანელი ცდილობს მოქალაქეობის ან ე.წ. „თანამემამულის სტატუსის“ მიღებასა და საქართველოში დასახლებას. თუმცა, საერთო ჯამში, დასავლეთის ანტიირანული პოლიტიკისა და გაფართოებულ ახლო აღმოსავლეთში ზოგადი არასტაბილურობის პირობებში, უახლოეს მომავალში საქართველო-ირანის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ცვლილებების ალბათობა ძალიან მცირეა. ასევე, ნაკლებად სავარაუდოა, ამ მიმართულებით რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვეს 2020 წლის ყარაბაღის ომსა და თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანის მიერ წამოყენებულ ახალი რეგიონული პლატფორმის იდეას, რომელიც რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, ირანისა და სომხეთის გაერთიანებას ისახავს მიზნად. თუმცა, დიდი ალბათობით, საქართველო არ დათანხმდება მსგავს შეთავაზებას, რომელიც თურქეთსა და რუსეთს რეგიონში დომინანტურ პოზიციას მიანიჭებს.¹

¹ 'Erdogan says Caucasus platform can turn new page in Turkey-Armenia ties - NTV', Reuters, 11 December 2020, www.reuters.com/article/armenia-azerbaijan-turkey/erdogan-says-caucasusplatform-can-turn-new-page-in-turkey-armenia-ties-ntv-idUSKBN28L21G

თავი 6

პოსტსაბჭოთა ეპოქის დასასრული საქართველოს საგარეო პოლიტიკაში, საქართველოს ურთიერთობები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან

ლევან კახიშვილი
ალექსანდრე კუპატაძე

ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურის უმეტესობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ ორიენტირებულია თბილისის ურთიერთობებზე დასავლურ ქვეყნებთან, საერთაშორისო ინსტიტუტებთან და რუსეთთან. ეს ლოგიკურიცაა, რადგან გეოგრაფიამ და ისტორიამ საქართველო მოაქცია ზონაში, სადაც ოსმალეთის, რუსეთისა და დასავლეთის ძალებს შორის კონკურენცია გაჩაღდა. საქართველოს მიერ დასავლეთისკენ სწრაფვა და მასში მფარველის ძიება საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთი განიხილებოდა, როგორც ევროპელი მფარველი.¹ დღეს რუსეთსა და დასავლეთს შორის (ახლა უკვე მოიაზრება ჩინეთიც) კონკურენცია გრძელდება იმ რეგიონებზე გავლენის სფეროს მოსაპოვებლად, რასაც რუსეთი 1991 წლიდან „ახლო საზღვარგარეთს“ უწოდებს. სწორედ ამ კონკურენციამ განაპირობა საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეებში. საქართველო დამოუკიდებლობის მომენტიდან რუსეთთან დის-

¹ ამ საკითხის გარშემო დეტალური დისკუსიისთვის, იხილეთ ნიგნის შესავალი სტივენ ჯონსის ავტორობით.

ტანცირებას და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირებას **ცდილობდა**.¹

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა სხვა ქვეყნებისა და რეგიონების მიმართ არა მხოლოდ დასავლელი და ქართველი მკვლევრების, არამედ ქართველი პოლიტიკოსების ყურადღების მიღმა რჩებოდა. ქართული პოლიტიკური ელიტა საქართველოს ევროპეიზაციაზე, ნატოში მის ინტეგრაციასა და რუსეთთან არსებულ დაძაბულ ურთიერთობებზეა **ორიენტირებული**. საგარეო პოლიტიკურ დისკუსიებში ნაკლებად ვხვდებით ისეთ რეგიონებზე საუბარს, როგორებიცაა ლათინური ამერიკა, აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, აზია ან პოსტსაბჭოთა ქვეყნები. თუ გავითვალისწინებთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან საქართველოს ხანგრძლივი ასოცირების ისტორიას საბჭოთა პერიოდში, მათთან ურთიერთობების შესახებ ყურადღების ნაკლებობა განსაკუთრებით უცნაურია. მოცემული თავი შეეცდება ეს დანაკლისი **შეაგოს**. ნაშრომი ბოლო ათწლეულის განმავლობაში პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ევოლუციას **იკვლევს**. მისი მიზანია, შეისწავლოს საქართველოს ორმხრივი ურთიერთობები ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, ბელარუსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან.² წინამდებარე თავი მნიშ-

¹ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ამ ორი მამოძრავებლის სიღრმისეული მიმოხილვისთვის, იხილეთ კორნელი კაკაჩიასა და ტრეისი ჯერმანის თავი „უსაფრთხოების უზრუნველყოფა პატარა სახელმწიფოს სტატუსის პირობებში“.

² რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და ბალტიისპირეთის ქვეყნები ანალიზში მიზანმიმართულად არის გამოტოვებული. ამ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ურთიერთობებს წიგნის სხვა თავები სიღრმისეულად განიხილავს. რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკის შესახებ, იხილეთ გია ნოდის საავტორო თავი. დავით აფრასიძე სომხეთსა და აზერბაიჯანთან საქართველოს ურთიერთობების კონტექსტუალიზაციას საქართველოს რეგიონალური იდენტობის მიმართულებით ახდენს. ხოლო ბალტიისპირეთის ქვეყნების მხარდაჭერა საქართველოს სა-

ვნელოვან ყურადღებას უთმობს საქართველოს ურთიერთობებს უკრაინასთან, ვინაიდან ეს ორი ქვეყანა საკუთარ თავს „ბუნებრივ“ პარტნიორებად აღიქვამენ. ისინი მსგავს კოლონიურ მემკვიდრეობას იზიარებენ, მათ შორის, მთელ რიგ კულტურულ და პოლიტიკურ კავშირებს მეცხრამეტე საუკუნეში, მოსკოვისადმი მტრობას 1991 წლის შემდეგ და ისეთ საერთო პოლიტიკურ გამოწვევებს, როგორცაა კორუფცია, ეკონომიკური კოლაფსი და რევოლუცია, რომელიც, თითქმის, თანადროულად მოხდა 2003 და 2004 წლებში. დღეს კი საქართველო და უკრაინა ასევე იზიარებენ საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას ევროკავშირისა და ნატოს მიმართ.

ბიძინა ლებანიძისა და მარიამ გრიგალაშვილის უახლესი კვლევა ფოკუსირებულია საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და უსაფრთხოების დამოკიდებულებების გაზომვაზე გარე მოთამაშებთან მიმართებით. პოლიტიკური და უსაფრთხოების დამოკიდებულების გასაზომად მკვლევრები იყენებენ ისეთ ინდიკატორებს, როგორებიცაა: პოლიტიკური და დიპლომატიური მხარდაჭერა, პოლიტიკური ინტეგრაცია, სამოქალაქო-სამხედრო კავშირები და მმართველი ელიტის იდეოლოგიური სიახლოვე გარე აქტორებთან. რაც შეეხება ეკონომიკურ დამოკიდებულებას, ის შეფასებულია ისეთი ინდიკატორებით, როგორებიცაა: ექსპორტის, იმპორტის, ფულადი გზავნილების, მონყვლადი სექტორებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლები.¹ კვლევამ აჩვენა, რომ 2017 წელს საქართველო ყველაზე მეტად ევროკავშირზე (EU) იყო „დამოკიდებული“, შემდგომ მოდის რუსეთი, თურქეთი, აშშ, აზერბაიჯანი და ჩინეთი. უკრაინასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამე-

გარეო პოლიტიკური მისწრაფებების მიმართ ბიძინა ლებანიძისა და რენატა სკარჯულტე-კერესელიძის საავტორო თავშია გაანალიზებული.

¹ Bidzina Lebanidze and Mariam Grigalashvili, 'Not EU's World? Putting Georgia's European Integration in Context', *Georgian Institute of Politics*, 2018, <http://gip.ge/not-eus-world-puttinggeorgias-european-integration-in-context/> (accessed 17 September 2018).

გობრობას (დსთ) კვლევაში ჩინეთზე ოდნავ უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ მინიჭებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლამდე მდგომარეობა განსხვავებული იყო, რაც გამოიხატებოდა საქართველოს მნიშვნელოვნად მაღალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოკიდებულებაში დსთ-სა და უკრაინაზე. საქართველოს დასავლეთისკენ მისწრაფების პარალელურად, იზრდება ჩინეთზე და, გარკვეულწილად, რუსეთზე (ვაჭრობა და ფულადი გზავნილები) დამოკიდებულებაც. შესაბამისად, საქართველოს საგარეო პოლიტიკა არ შეიძლება განიხილებოდეს მარტივი დიქტომიების მეშვეობით.¹

მოცემული თავი სამ ნაწილად არის დაყოფილი. პირველ ნაწილში განხილულია საქართველოს მთავრობის სტრატეგიული ხედვის ანალიზი სამიზნე ქვეყნებთან თანამშრომლობის შესახებ (ყოფილი სსრკ ქვეყნები) და ამ თანამშრომლობის დინამიკა.

მეორე ნაწილში მოცემულია ჩვენი შეხედულებები და ანალიზი საქართველოსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ, და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა პოლიტიკური კავშირები: ოფიციალური ვიზიტები, ორმხრივი ხელშეკრულებები,² შიდა მოვლენების გავლენა, მაგალითად, ფერადი რევოლუციები ყირგიზეთსა და უკრაინაში, ენერჯო რესურსების როლი (მათი იმპორტი და ტრანზიტი) და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის შედეგები.

მესამე ნაწილი განიხილავს ეკონომიკურ ურთიერთობებს საქართველოსა და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის: ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) და ტურიზმი.

¹ იხილეთ, Levan Kakhishvili, 'Towards a Two-Dimensional Analytical Framework for Understanding Georgian Foreign Policy: How Party Competition Informs Foreign Policy Analysis', *Post-Soviet Affairs*, 37:2 (2021), pp. 174–97, doi:10.1080/1060586X.2020.1869455.

² ამ თავში გამოყენებული მონაცემები საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ მონაცემებს წარმოადგენს, რომელიც ავტორებმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საფუძველზე გამოითხოვეს.

პოსტსაბჭოთა ქვეყნები საქართველოს სტრატეგიულ დოკუმენტებში

1991 წლიდან დღემდე საქართველომ ექვსი ძირითადი სტრატეგიულ-კონცეპტუალური დოკუმენტი მიიღო, რომლებიც საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიზნებს განსაზღვრავენ. პირველი ასეთი სახის დოკუმენტი 2000 წლის ბოლოს, ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს შემუშავდა, სათაურით „საქართველო და მსოფლიო: მომავლის ხედვა და სტრატეგია“. დოკუმენტი აერთიანებდა საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიასა და ეროვნულ უსაფრთხოებას და მოიცავდა გრძელ პრეამბულას საქართველოს ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის შემდგომ, 2005 და 2012 წლის დასაწყისში, კიდევ ორი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია დამტკიცდა - ორივე მათგანი მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (შემდგომში ნაციონალური მოძრაობის) მთავრობის დროს. ასევე, დამტკიცდა საგარეო პოლიტიკის სამი სტრატეგია. პირველი მათგანი სააკაშვილის ხელისუფლების დროს შემუშავდა და 2006–2009 წლებს მოიცავდა. მეორე სტრატეგია „ქართული ოცნების“ მთავრობამ შეიმუშავა და 2015–18 წლებს ფარავდა. მესამე კი 2019 წელს გამოქვეყნდა, კვლავ „ქართული ოცნების“ მთავრობის დროს და 2019–22 წლებს მოიცავს. ყველა დოკუმენტი საქართველოს „ევროპულ ოჯახში დაბრუნების“ მნიშვნელობას უსვამს ხაზს და თითქმის არ ახსენებს უშუალო სამეზობლოს, ან პოსტსაბჭოთა რეგიონს. 2000 წელს დამტკიცებულ დოკუმენტში ნათქვამია: „საქართველო აქტიურად ცდილობს გააფართოოს და გააძლიეროს თავისი კავშირები იმ ერებთან, რომლებიც იზიარებენ დემოკრატიულ ღირებულებებს, პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს, საბაზრო ეკონომიკასა და თავისუფალ იდეებსლ საქართველოს მიზანია, ინტეგრირდეს ევროპული და ევროატლანტიკური სა-

ზოგადობების ყველა მნიშვნელოვან ინსტიტუციაში.“ აღნიშნული პრაქტიკა გამოყენებულია შემდგომ დოკუმენტებშიც, თუმცა გვხვდება გარკვეული ევოლუცია პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ.¹ ასე მაგალითად, შემდგომი დოკუმენტები ყურადღებას ამახვილებენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე და განსაკუთრებით უკრაინაზე. საგარეო და უსაფრთხოების უახლეს პოლიტიკურ სტრატეგიებში, უკრაინა ჩამოთვლილია სამ სტრატეგიულ პარტნიორს შორის: პირველ ადგილზეა აშშ, მეორეზე უკრაინა და მესამეზე თურქეთი. ყველა დოკუმენტში ნახსენებია ცენტრალური აზიის ქვეყნები, მაშინ როდესაც 2000 წლის დოკუმენტი, ისევე როგორც 2006 წლის საქართველოს საგარეო პოლიტიკური სტრატეგია, საერთოდ არ ახსენებს ბელარუსსა და მოლდოვას. 2005 წლის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მოლდოვას მხოლოდ იმ კონტექსტში ეხება, როდესაც საუბარია საქართველოს მიერ დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია სუამ-თან² თანამშრომლობის გაძლიერებაზე.

¹ განალიზებულ დოკუმენტებს შორისაა: 'Georgia, and the World: A Vision and Strategy for the Future', *Government of Georgia*, 2000, www.parliament.ge/files/1_886_192675_nato_vision.pdf (accessed 6 January 2013). 'National Security Concept of Georgia', *Government of Georgia*, 2005, www.parliament.ge/files/292_880_927746_concept_en.pdf (accessed 6 January 2013). 'Foreign Policy Strategy 2006–2009', *Government of Georgia*, 2006, www.mfa.gov.ge/files/35_9440_673620_11.pdf (accessed 6 January 2013). 'National Security Concept of Georgia', *Government of Georgia*, 2012, www.nsc.gov.ge/files/files/National%20Security%20Concept.pdf (accessed 6 January 2013). 'Foreign Policy Strategy 2015–2018', *Government of Georgia*, 2015, www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx (accessed 12 April 2018). 'Foreign Policy Strategy 2019–2022', *Government of Georgia*, 2019, <http://mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-tslebis-sakartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx> (accessed 24 April 2018).

² დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია (სუამი) 1997 წელს „ასოციაციის ფორუმის“ სახით ჩამოყალიბდა და ინსტიტუციონალური განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა. საბოლოო ფორმამან 2006 წელს მიიღო იმ ორგანიზაციის სახით, რომელიც დღეს გვაქვს

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა განიხილება როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტნიორი ქვეყანა საქართველოსთვის, 2000 წლის დოკუმენტში მას ძალიან მცირე ყურადღება ეთმობა.¹ უკრაინა ნახსენებია ორ განსხვავებულ კონტექსტში, რომელთაგან არცერთი არ უკავშირდება თბილისსა და კიევს შორის ორმხრივ თანამშრომლობას. პირველ შემთხვევაში აღნიშნულია, რომ უკრაინა, სხვა ქვეყნებთან ერთად, ჩართულია გაეროს ხელმძღვანელობით ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების ფენევის პროცესში.² მეორე შემთხვევა ეხება სამხედრო წვრთნებს, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ საქართველოს, უკრაინისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები ტრანზიტული ნავთობსადენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.³ საქართველოსთვის სტრატეგიულ მიღწევას წარმოადგენდა ამიერკავკასიის ენერგეტიკული დერეფნის შექმნა, რომელიც სატრანსპორტო დერეფანს ევროპა-კავკასია-აზია (TRACECA) და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენს მოიცავს. აღნიშნულმა პროექტებმა საქართველოს დასავლეთისკენ შემობრუნებასა და მასთან დაახლოებას შეუწყვეს ხელი. როდესაც საქართველო და უკრაინა შედარებით სუსტი ქვეყნები იყვნენ, სწორედ ენერგორესურსების და სხვა საქონლის

და რომლის მიზანსაც დემოკრატიის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაძლიერება და ეკონომიკის, ენერჯისა და ტრანსპორტის სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავება წარმოადგენს. იხილეთ, 'About GUAM' *Guam-organization.org*, 2017, <https://guam-organization.org/en/about-the-organization-for-democracy-and-economicdevelopment-guam/> (accessed 10 January 2019).

¹ 'Georgia and the World: A Vision and Strategy for the Future', *Government of Georgia*, 2000,

www.parliament.ge/files/1_886_192675_nato_vision.pdf (accessed 6 January 2013).

² 'Georgia and the World: A Vision and Strategy for the Future', *Government of Georgia*, 2000,

www.parliament.ge/files/1_886_192675_nato_vision.pdf (accessed 6 January 2013).

³ 'Georgia and the World: A Vision and Strategy for the Future', *Government of Georgia*, 2000,

www.parliament.ge/files/1_886_192675_nato_vision.pdf (accessed 6 January 2013).

ტრანსპორტირება იყო პირველადი კავშირი ამ ორ ქვეყანას შორის. რაც შეეხება ბელარუსს და მოლდოვას, ისინი არ არიან შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნები და, შესაბამისად, ენერგო პროექტების ნაწილად არ განიხილებოდნენ.

ვაჭრობის გამო ცენტრალური აზია მნიშვნელოვან ადგილს იკავებს 2000 წლის დოკუმენტში და სამ სხვადასხვა ნაწილშია ნახსენები: საერთაშორისო გარემოს აღწერისას, რომელშიც საქართველოს უწევს ოპერირება; საგარეო პოლიტიკური მიზნების და ორმხრივი ურთიერთობების განსაზღვრისას; და ცენტრალური აზია, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური სტრატეგიის ნაწილი. ცენტრალური აზიის ქვეყნებზე ყურადღების გამახვილება ამ ქვეყნების მიერ ნავთობისა და გაზის დიდი მარაგების ფლობით არის გამოწვეული. საქართველო დახასიათებულია, როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო დერეფანი, რომელიც ფოკუსირებულია „აბრეშუმის გზის“ აღორძინებაზე ისეთი პროექტების დახმარებით, როგორებიცაა: სატრანსპორტო დერეფანი ევროპა-კავკასია-აზია (TRACECA), ამიერკავკასიის სტრატეგიული ენერგეტიკული დერეფანი და ამიერკავკასიის სატელეკომუნიკაციო ქსელი. ენერგეტიკაზე, სატრანსპორტო და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ფოკუსირება ყველა ჩვენ მიერ განხილულ დოკუმენტში გვხვდება. რაც შეეხება უკრაინას, მას 2005 წლის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული და მოხსენიებულია, როგორც სტრატეგიული პარტნიორი. კონცეფციაში ყურადღება გამახვილებულია კიევსა და თბილისს შორის სამხედრო თანამშრომლობაზე ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში, როგორიცაა გაერო, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), ევროპის საბჭო, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა (BSEC), სუამი (GUAM), შავი ზღვის საზღვაო თანამშრომლობის სამუშაო ჯგუფი (BLACKSEAFOR) და სხვა. დოკუმენტი მცირე ყურადღებას უთმობს ბელარუსს და მოლდოვას, რასაც ვერ ვიტყვით 2012 წლის

კონცეფციაზე, სადაც აღნიშნული ქვეყნები ნახსენებია აღმო-
სავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში.

ჩვენ მიერ განხილულ სხვადასხვა დოკუმენტებში, ბელარუსი, მოლდოვა და უკრაინა ადგილებს იცვლიან სტრატეგიული მნიშვნელობისა და იმ ფაქტორის მიხედვით, თუ როგორ თანხვედრაში არიან აღნიშნული სახელმწიფოები საქართველოს ევროპულ პერსპექტივასთან. 2006 წლის სტრატეგიაში, ბელარუსი და მოლდოვა ნახსენები არ არის, მაშინ როდესაც უკრაინას შევხვდებით რუმინეთთან და ბულგარეთთან ერთად ევროპულ ქვეყნებთან თანამშრომლობის ნაწილში, სადაც ხაზგასმულია აღნიშნული დემოკრატიული ქვეყნების მნიშვნელობა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის გაძლიერებასთან დაკავშირებით. აქვე, უკრაინა ნახსენებია, როგორც სტრატეგიული პარტნიორი. ამის საპირისპიროდ, 2015 წლის სტრატეგიაში უკრაინა და მოლდოვა, საქართველოსთან ერთად, მოხსენიებულია, როგორც „რეგიონის ქვეყნები“, ევროპის სახელმწიფოებს კი სხვა სექცია/ნაწილი აქვთ დათმობილი. „რეგიონი“, რომელშიც საქართველო იგულისხმება, მოიცავს აზერბაიჯანს, თურქეთს (სამხრეთის დერეფანი, ბაქოდთბილისი დეკარსის რკინიგზა და უსაფრთხოების თანამშრომლობის სამხრეთი ფორმატი აზერბაიჯანთან), სომხეთი, ბულგარეთი და რუმინეთი, უკრაინა და მოლდოვა, რუსეთი, ირანი და ბელარუსი. ამ მიდგომისგან განსხვავდება 2019 წლის საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, სადაც „რეგიონში“ შედიან მხოლოდ მოსაზღვრე სახელმწიფოები: სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, თურქეთი. ხედვის ამგვარი ცვლილება საგარეო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისას ინსტიტუციონალიზაციის ნაკლებობით არის გამოწვეული. ამგვარი დოკუმენტები ასახავენ საქართველოს საგარეო სამინისტროს იმ კონკრეტული თანამშრომლების მსოფლმხედველობას, რომლებიც სამინისტროში დოკუმენტის შემუშავებისას მუშაობდნენ. ასევე, შესაძლებელია, რომ აღნიშნული ხარვეზი გამოწვეული იყოს იმით, რომ საქართველოს მთავრობებს ჯერ კიდევ ვერ

უპოვიათ საქართველოს ადგილი მსოფლიო რუკაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, ამგვარმა მიდგომამ შესაძლოა უსაფრთხოების სექტორში პრობლემების არასწორი აღქმა, და პოლიტიკის შემქმნელების მხრიდან ფაქტებისა და მათი მნიშვნელობის არასწორი შეფასება გამოიწვიოს.¹

2015 წლის დოკუმენტში, უკრაინასთან თანამშრომლობა „სტრატეგიული პარტნიორობის“ ნაცვლად მოხსენიებულია, როგორც „მეგობრული, ორმხრივად სასარგებლო და ახლო“. აქვე, უკრაინასთან სტრატეგიული პარტნიორობა კვლავ იჩენს თავს 2019 წლის დოკუმენტში. 2015 წელს დოკუმენტში უკრაინის ამგვარი ხსენება, შესაძლოა გამოწვეული იყოს საქართველოსა და უკრაინის მთავრობებს შორის ურთიერთობის დაძაბვით მას შემდეგ, რაც საქართველოს ყოფილი ხელისუფლების პოლიტიკოსები და პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ემიგრაციაში წავიდნენ უკრაინაში და იქ სამთავრობო პოზიციებიც დაიკავეს. ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ბრალდებით, საქართველომ არაერთხელ მოითხოვა უკრაინისგან მიხეილ სააკაშვილის ექსტრადიცია.² უკრაინის ხელისუფლებამ უარყო ეს მოთხოვნები, თუმცა რამდენიმე თვეში, მას შემდეგ, რაც საქართველოს პროკურატურამ ხელახლა შეიტანა მოთხოვნა ექსტრადიციის შესახებ,³ სააკაშვილი პოლონეთში გააძევეს. მეორე მხრივ, სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა 2017 წლის 26 ივლისს,⁴ პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს თბილისში ვიზიტიდან ერთი კვირის შემდეგ ჩამოართვეს. ამ ვიზიტის ფარგლებში კი საქართველოსა

¹ იხილეთ, Barry Buzan, *People States and Fear*, 2nd ed. (London: Harvester Wheatsheaf, 1991).

² 'Tbilisi Seeks Saakashvili's Extradition from Ukraine', *Civil Georgia*, 5 September 2017, <https://civil.ge/archives/218277> (accessed 10 January 2019).

³ 'Ukraine Deports Mikheil Saakashvili to Poland', *Civil Georgia*, 12 February 2018, <https://civil.ge/archives/219669> (accessed 10 January 2019).

⁴ 'Mikheil Saakashvili Stripped of Ukrainian Citizenship', *The Economist Intelligence Unit*, 1 August 2017, <http://country.eiu.com/article.aspx?articleid=365745420&Country=Ukraine&topic=Politics&subtopic=Forecast&subsubtopic=Political+stability> (accessed 6 May 2019).

და უკრაინას შორის სტრატეგიული პარტნიორობის დოკუმენტს **მოენერა ხელი.**¹ აქედან გამომდინარე, შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ უკრაინის სამთავრობო სტრუქტურებში დასაქმებულ ქართველ პოლიტიკოსებს გავლენა ჰქონდათ იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველო-უკრაინის ურთიერთობებს ქართულ სტრატეგიულ დოკუმენტებში და როგორც კი ეს საკითხი აღმოიფხვრა, ქვეყნები თანამშრომლობის ჩვეულ მდგომარეობას დაუბრუნდნენ.

საქართველოს ურთიერთობა ცენტრალური აზიის ქვეყნებთან თანმიმდევრულია. ყოველი სტრატეგიული დოკუმენტი აღიარებს ამ ქვეყნების მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის, განსაკუთრებით, სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციონირებისთვის სამხრეთ კავკასიაში. დოკუმენტში ყაზახეთი და თურქმენეთი ორი ყველაზე ხშირად მოხსენიებული ქვეყანაა, რაც გამომწვეულია მათი ენერგორესურსების მარაგებითა და მზაობით, მიანოდონ ევროპას გაზი და ნავთობი სამხრეთ კავკასიის გავლით. ცენტრალური აზიის მნიშვნელობა, 2005 წელთან შედარებით, 2012 წლის უსაფრთხოების კონცეფციაში **უფრო მეტად არის ხაზგასმული.** ეს უკანასკნელი ცენტრალურ აზიას უწოდებს რეგიონს, რომელიც საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე, რეგიონთაშორისი თანამშრომლობის პოლიტიკის ფორმირებაზე და ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე **მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.** 2012 წლის დოკუმენტი დამატებით დასძენს, რომ ცენტრალური აზია გავლენას ახდენს თანამშრომლობის პერსპექტივებზე სამხრეთ კავკასიაში. იგი ხაზს უსვამს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება, რომელიც საქართველოს ცენტრალურ აზიასთან აკავშირებს, ძირითად საყრდენს **წარმოადგენს** სა-

¹ 'Ukraine and Georgia to Co-Operate on EU and NATO Integration', *The Economist Intelligence Unit*, 21 July 2017, <http://country.eiu.com/article.aspx?articleid=665703850&Country=Ukraine&topic=Politics&subtopic=Forecast&subsubtopic=International+relations&u=1&pid=965696680&oid=965696680&uid=1> (accessed 6 May 2019).

ქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. საქართველო ყურადღებას ამახვილებს ცენტრალური აზიაზე, როგორც ენერგეტიკული და ეკონომიკური უსაფრთხოების პოტენციურ წყაროზე. მოსალოდნელია, რომ ცენტრალურ აზიასთან თანამშრომლობა ჩინეთის „სარტყელისა და გზის ინიციატივის“ (BRI) ფარგლებში **კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს.** საქართველო ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის დერეფნის **ნაწილია**, რომელიც ექვსი სახმელეთო დერეფნიდან ერთ-ერთია და „აბრეშუმის გზის ეკონომიკურ სარტყელს (SREB) **შეადგენს.** აღნიშნული სარტყელი ჩინეთსა და ევროპას შორის საქონლისა და ნახშირწყალბადების ტრანსპორტირების გაზრდას **ისახავს მიზნად.**¹ ეს, თავის მხრივ, საქართველოს კიდევ უფრო დააახლოებს ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან.

საქართველოს სტრატეგიულ დოკუმენტებში, ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებთან თანამშრომლობის **მიმართულებით** რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი შეგვიძლია გამოვყოთ. პირველი, 2015 წლის დოკუმენტს თუ არ ჩავთვლით, საქართველოს მთავრობისთვის უკრაინა ყოველთვის სტრატეგიული პარტნიორი იყო; მეორე, ბელარუსი და მოლდოვა ყოველთვის არ ფიგურირებენ საქართველოს სტრატეგიულ ასპარეზზე; მესამე, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს ყოველთვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის, ნავთობის, გაზისა თუ სხვა საქონლის საქართველოს გავლით ტრანსპორტირების თვალსაზრისით. საქართველოს ხედვა უშუალო საერთაშორისო ასპარეზთან დაკავშირებით პერიოდულად იცვლება, ზოგჯერ აქცენტი სამხრეთ კავკასიაზე კეთდება, ზოგჯერ - შავი ზღვის რეგიონზე. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, აღნიშნული, შესაძლოა, სტრატეგიული აზროვნების ინსტიტუციონალიზაციის ნაკლებობითა და გარდამავალი პოლიტიკური პირობებით **იყოს გამონვეული.**

¹ Joseph Larsen, 'Georgia–China Relations: The Geopolitics of the Belt and Road', *Georgian Institute of Politics*, 2017, <http://gip.ge/georgia-china-relations-geopolitics-belt-road/> (accessed 11 January 2019).

პოლიტიკური კავშირები და ორმხრივი ურთიერთობები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან

აღნიშნულ თავში მოცემული ქვეყნები, შესაძლოა, ორ კატეგორიად დაიყოს: აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი, რომელიც ბელარუსს, მოლდოვასა და უკრაინას მოიცავს, და ცენტრალური აზიის რეგიონი, რომელიც ყაზახეთს, ყირგიზეთს, ტაჯიკეთს, თურქმენეთსა და უზბეკეთს აერთიანებს. საქართველო, ინსტიტუციური თვალსაზრისით, მჭიდროდ არის დაკავშირებული აღმოსავლეთ ევროპის რეგიონთან აღმოსავლეთ პარტნიორობის, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციისა (BSEC) და სუამის (GUAM) მეშვეობით. შესაბამისად, გაცილებით ინტენსიური პოლიტიკური კავშირებია მოსალოდნელი ბელარუსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან, ვიდრე ცენტრალური აზიის ქვეყნებთან. მიუხედავად ამისა, ხშირად შეინიშნება საინტერესო და ზოგჯერ მოულოდნელი ტენდენციები ორივე რეგიონის სახელმწიფოებთან.

მაღალი დონის ოფიციალური ვიზიტების რაოდენობა (იხ. გრაფ. 6.1) 2007-2017 წლებში გვიჩვენებს, რომ ვიზიტების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოდან (74 პროცენტი) და საქართველოში (80 პროცენტი) დაკავშირებული იყო აღმოსავლეთ ევროპის ერთ ქვეყანასთან. თუ სამიზნე ქვეყნებში საქართველოს დელეგაციების ვიზიტების რაოდენობას, აღნიშნული ქვეყნების წარმომადგენლების საქართველოში ვიზიტების რაოდენობასთან შევადარებთ, შევამჩნევთ, რომ საქართველო დიდ ძალისხმევას დებს თურქმენეთთან, ყაზახეთთან, უკრაინასა და ბელარუსთან კავშირების შესანარჩუნებლად. ეს ის ქვეყნებია, რომელშიც საქართველომ უფრო მეტი დელეგაცია გაგზავნა, ვიდრე მიიღო. განსაკუთრებით საინტერესოა თურქმენეთის და ყაზახეთის შემთხვევა, რომლებშიც საქართველომ გაგზავნა, შესაბამისად, 3,3 და 2,3-ჯერ მეტი დელეგაცია, ვიდრე მიიღო (უკრაინაში 2,1-ჯერ, ხოლო ბელარუსში 1,3-ჯერ

მეტი დელეგაცია). აღნიშნული ტენდენცია, შესაძლოა, თურქმენეთის და ყაზახეთის სასარგებლო წიაღისეულითა და ენერგორესურსებით იყოს გამოწვეული. აღნიშნული ქვეყნები საკუთარი რესურსების ექსპორტის მზაობას გამოხატავენ, სამომავლოდ ტრანსკასპიური მილსადენის დახმარებით, ასევე ვაჭრობის გზით კასპიის ზღვის გამოყენებით. ამის საპირისპიროდ, გასაკვირი არ არის, რომ არ ყოფილა მაღალი დონის შეხვედრები ტაჯიკეთში ან ტაჯიკეთიდან, რადგან ამ ფართობით პატარა ქვეყანას არ გააჩნია მნიშვნელოვანი ენერგორესურსები. შესაბამისად, არ არსებობს მოტივები პოლიტიკური კავშირების გასაძლიერებლად. მეორე მხრივ, ვიზიტები ყირგიზეთში ან ყირგიზეთიდან, მიუხედავად ამ ვიზიტების მცირე რაოდენობისა, შესაძლოა, საქართველოსა და ყირგიზეთის მსგავსი ისტორიული გამოცდილებით (ფერადი რევოლუციები) აისხნას. 2000-იანი წლების ბოლოს ყირგიზეთის პოლიტიკურ წრეებში იყო დებატები და სურვილი, გაზიარებულიყო საქართველოს რეფორმების მოდელი. მარატის თქმით, მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა ადგილობრივი განსხვავებების გამო.¹ მიუხედავად ამისა, რეფორმების გაზიარების სურვილი ამ ორ ქვეყანას შორის არ გამქრალა და 2010 წლიდან ვხვდებით საგადასახადო,²


¹ Erica Marat, 'Reforming the Police in Post-Soviet States: Georgia and Kyrgyzstan', *The Letort Papers*, Strategic Studies Institute and US Army War College, 2013, www.globalsecurity.org/military/library/report/2013/ssi_marat.pdf (accessed 11 January 2019). ასევე იხილეთ, Kornely Kakachia and Liam O'Shea, 'Why Does Police Reform Appear to Have Been More Successful in Georgia than in Kyrgyzstan or Russia?', *The Journal of Power Institutions in Post-Soviet Societies*, 13 (2012), <https://journals.openedition.org/pipss/3964?lang=fr> (accessed 11 January 2019).

² 'Georgia's Experience in Tax System Reform Relevant for Kyrgyzstan', *24.kg*, 17 July 2018, https://24.kg/english/91053_Georgias_experience_in_tax_system_reform_relevant_for_Kyrgyzstan/ (accessed 10 January 2019).

პოლიციის,¹ და უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ რეფორმებს².

გრაფიკი 6.1

ყველა სამიზნე ქვეყანაში და სამიზნე ქვეყნიდან ვიზიტების რაოდენობა: 2007–17




¹ 'Study Visit of Kyrgyzstan Delegation in Georgia', *Ministry of Internal Affairs of Georgia*, 18 October 2015, <https://police.ge/en/shss-s-kirgizetis-delegatsia-estumra/8914> (accessed 10 January 2019).

² 'Representatives of the State Security Service of Georgia Held Meeting with the Kyrgyz Delegation to Georgia', *State Security Service of Georgia*, 17 October 2015, <https://ssg.gov.ge/en/news/111/Representatives-of-the-State-Security-Service-of-Georgia-held-meeting-with-the-Kyrgyz-Delegation-to-Georgia> (accessed 10 January 2019).

ოდნავ განსხვავებული სურათი შეინიშნება საქართველოსა და ყოფილ სსრკ ქვეყნებს შორის 1991 წლიდან 2017 წლამდე გაფორმებული ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებების თვალსაზრისით. პოლიტიკური კავშირების ინტენსივობის მიხედვით, უკრაინა კვლავ ლიდერობს (დამოუკიდებლობის მოპოვებიდან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების 39 პროცენტი უკრაინაზე მოდის). თუმცა, როგორც გრაფ. 6.2 აჩვენებს, ორი საინტერესო მახასიათებელი ჩნდება: ხელმოწერილი ორმხრივი ხელშეკრულებების საერთო რაოდენობის თვალსაზრისით, 1991–2017 წლებში, ბელარუსი და მოლდოვა ჩამორჩებიან უზბეკეთს, ყაზახეთსა და თურქმენეთს. მეორე მხრივ, თუ დავაკვირდებით ბოლო ათი წლის პერიოდს, პოლიტიკური კავშირები გაზრდილია ბელარუსთან და მოლდოვასთან და შემცირებულია ცენტრალური აზიის ქვეყნებთან. 2007-2017 წლებში ხელმოწერილ იქნა ან ძალაში შევიდა მხოლოდ ორი ორმხრივი შეთანხმება ცენტრალური აზიის ქვეყნებთან (ორივე მათგანი ყაზახეთთან). ყველა დანარჩენი დოკუმენტი 2007 წლამდე თარიღდება, მაშინ, როდესაც ბელარუსთან გაფორმებული ხელშეკრულებების 90 პროცენტი და მოლდოვასთან გაფორმებულის 59 პროცენტი ბოლო ათი წლით თარიღდება (ეს მაჩვენებელი უკრაინისთვის 18 პროცენტია). აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო უფრო აქტიურად ცდილობს თანამშრომლობის შენარჩუნებას ბელარუსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან, ვიდრე ცენტრალური აზიის ქვეყნებთან. მაგალითად, საქართველოს, ფაქტობრივად, არანაირი პოლიტიკური კავშირი არ აქვს ტაჯიკეთთან და დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე მის მთავრობასთან არანაირი შეთანხმება არ გაფორმებულა.

საქართველოსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს

შორის ხელმოწერილი ორმხრივი შეთანხმებები: 1991–2017




2012 წლის ოქტომბერში „ქართული ოცნების“ კოალიციამ იმდროინდელი მმართველი ძალა - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ჩაანაცვლა. მილიარდერი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ, რომელმაც ქონება რუსეთში საქმიანობით მოიპოვა და, ამავე დროს, „ქართული ოცნების“ კოალიციის დამაარსებელი და ლიდერი იყო, ქართველი ანალიტიკოსების ნაწილში ეჭვი აღძრა, რომ ქვეყანაზე რუსული გავლენები გაიზრდებოდა და საქართველო პოსტსაბჭოთა რეგიონს დაუბრუნდებოდა.¹ მიუხედავად ამისა, 2012 წლის არჩევნების შემდგომ,

¹ იხილეთ, Svante E. Cornell, ‘Is Georgia Slipping Away?’, *The American Interest*, 13 November 2014, www.the-american-interest.com/2014/11/13/is-georgia-slipping-away/ (accessed 9 August 2018). Valeriy Dzutsev, ‘Georgia: The More Things Change ...’, *Foreign Policy Journal*, 13 October 2012, www.foreignpolicyjournal.com/2012/10/13/georgia-the-more-things-change/ (accessed 9 August 2018). Kornely Kakachia, ‘Georgia’s Parliamentary Elections: The Start of the Peaceful Transfer of Power?’, *Ponars Eurasia Policy Memo*, No. 230 (2012),

საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია არ შეუცვლია, თუმცა შეცვალა აქცენტები. თბილისმა დაიწყო უფრო აქტიური ორმხრივი თანამშრომლობა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან, როგორებიცაა ბელარუსი და მოლდოვა (გრაფ. 6.3). საქართველო ძირითად აქცენტს კვლავ აღმოსავლეთ ევროპაზე აკეთებს და არა ცენტრალურ აზიაზე. ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკოს პირველი ვიზიტი საქართველოში „ქართული ოცნების“ დროს, 2015 წელს შედგა.¹ ეს მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო ბელარუსთან თანამშრომლობის გაფართოების თვალსაზრისით - ქვეყანასთან, რომელიც ხასიათდება, როგორც პრორუსული, და რომელსაც ევროკავშირი ესაზღვრება.

გრაფიკი 6.3

ყველა ქვეყნიდან და ქვეყანაში ვიზიტორთა საერთო რაოდენობა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა (2007–2012) და ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში (2013–17)



www.gwu.edu/~ieresgwu/assets/docs/ponars/pepm_230_Kakachia_Sept2012.pdf (accessed 11 June 2015).

¹ 'Belarus President Starts First Official Visit to Georgia', *Civil Georgia*, 22 April 2015, <https://civil.ge/archives/124542> (accessed 14 August 2018).


ამავდროულად, „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ შედარებით, შემცირდა ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმების სიხშირე (იხ. გრაფ. 6.4), გამონაკლისია ბელარუსის შემთხვევა. ამრიგად, ინიცირებული ორმხრივი ხელშეკრულებების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა უკრაინასთან და თითქმის ოთხჯერ გაიზარდა ბელარუსთან. თუმცა ამას, შესაძლოა, ახსნაც ჰქონდეს. საქართველოს უკრაინასთან ასზე მეტი ხელშეკრულება აქვს დადებული და მათი უმეტესობა 2003 წლამდე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობაში მოსვლამდე, იქნა ინიცირებული. ორმხრივი ხელშეკრულებების მხოლოდ 18 პროცენტი იყო გაფორმებული 2007-17 წლებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველო-უკრაინის ურთიერთობა საქართველოს ყოფილი მთავრობების მცდელობის შედეგად საკმარისად იყო ინსტიტუციონალიზებული. შესაბამისად, კიევთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად, „ქართული ოცნების“ მხრიდან ახალი ხელშეკრულებების გაფორმების ინიცირების საჭიროება აღარ იყო. მეორე მხრივ, თითქმის არ არსებობდა კავშირი ბელარუსთან, თუ არ ჩავთვლით ორ მოქმედ და კიდევ ოთხ ხელმოწერილ ან/და ძალაში შესულ შეთანხმებას 2009-2010 წლებში. აღნიშნული ხელშეკრულებების ერთგვარი საჭიროება 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ დადგა, როდესაც რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ცნო. ამ კონტექსტში, ლუკაშენკომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის საკითხი ბელორუსის პარლამენტის წინაშე დააყენა.¹ ამ გადანყვეტილებიდან მალევე თბილისსა და მინსკს შორის დაიდო შეთანხმებები, რომლებიც ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურებას, თავისუფალი სავაჭრო სივრცის შენარჩუნებას, სოფლის მეურნეობის დარგში ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექ-

¹ 'Tbilisi – Belarus Won't Recognise Abkhazia and South Ossetia', *The Messenger*, 10 November 2009, www.messenger.com.ge/issues/1979_november_10_2009-1979_temo.html (accessed 14 August 2018). Also see 'Belarus to Consider Recognition of Abkhazia and South Ossetia', *Abkhaz World*, 5 November 2009, <https://abkhazworld.com/aw/current-affairs/456-belarus-considerrecognition-nov5> (accessed 14 August 2018).

ნიკურ თანამშრომლობაზე შეთანხმებას და მთავრობათაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის სააგენტოს შექმნას ისახავდა მიზნად. აღნიშნული ხელშეკრულებები ქართული ოცნების მთავრობისთვის ბელარუსთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გააქტიურების საფუძველსა და შესაძლებლობას წარმოადგენდა. რაც შეეხება 2009 წლამდე ბელარუსსა და საქართველოს შორის პასიურ თანამშრომლობას, ეს, შესაძლოა, აიხსნას იმით, რომ ლუკაშენკოს სააკაშვილის მთავრობის მიმართ ერთგვარი შიში ჰქონდა, არ მომხდარიყო ფერადი რევოლუციის საქართველოდან ბელარუსში ექსპორტირება.¹

გრაფიკი 6.4

პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ორმხრივი შეთანხმებების რაოდენობა, რომლებიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა (2007–12) და ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში (2013–17) დაიდო



¹ Evgeny Finkel and Yitzhak M. Brudny, 'No More Colour! Authoritarian Regimes and Colour Revolutions in Eurasia', in *Coloured Revolutions and Authoritarian Reactions*, ed. Evgeny Finkel and Yitzhak M. Brudny (London and New York: Routledge, 2014).

მოცემული მაგალითების განხილვის საფუძველზე, შესაძლოა, გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან საქართველოს საგარეო პოლიტიკას განაპირობებს. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია კონკრეტული ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიზნების საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნებთან თანხვედრა. ამის კარგი ილუსტრაციაა უკრაინა, რომელთანაც საქართველოს ყველაზე ახლო პოლიტიკური ურთიერთობა აქვს. უკრაინა, მოლდოვასთან ერთად, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ნაწილია, რაც სამ ქვეყანას ევროინტეგრაციის გაღრმავებისა და გაძლიერების ინტერესის გამო ერთმანეთთან კიდევ უფრო აკავშირებს. მიუხედავად იმისა, რომ ბელარუსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ნაწილია, მისსკს არ აქვს ისეთივე საგარეო პოლიტიკური მიზნები, როგორც საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას. შესაბამისად, ბელარუსი, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად (აღმოსავლეთ პარტნიორობის ორი სხვა ქვეყანა), აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა წევრ ქვეყნებთან მჭიდრო კავშირების დამყარების სურვილით დიდად არ გამოირჩევა. მათთვის რუსეთი ყოველთვის ალტერნატიული პარტნიორია.¹

უკრაინას არა მხოლოდ ისეთივე საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია აქვს, როგორც საქართველოს, არამედ მსგავსი ურთიერთობა დემოკრატიულ ღირებულებებთან. უკრაინამ, საქართველოს მსგავსად, ფერადი რევოლუცია გამოსცადა. ფერადი რევოლუციების ტალღა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდას ისახავდა მიზნად. ეს არის მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უკრაინის მიმართ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე ახ-

¹ Bartek Teslawski, 'The "Eastern Partnership Plus" Is the EU's Failure', *New Eastern Europe*, 7 December 2017, <http://neweasterneurope.eu/2017/12/07/eastern-partnership-plus-eus-failure/> (accessed 11 November 2018).

დენს გავლენას. იმისათვის, რომ გავიგოთ ამ ფაქტორების მნიშვნელობა და მათი გავლენა პოლიტიკურ კავშირებზე, შესაძლოა, განვიხილოთ საქართველოს ურთიერთობა ტაჯიკეთთან და ყირგიზეთთან. ცენტრალური აზიის მოცემული ქვეყნები, **შესაძლოა**, ტერიტორიული სიმცირით და ენერგორესურსების სიმწირით დახასიათდნენ. საქართველოს არცერთი ხელშეკრულება არ აქვს დადებული ტაჯიკეთთან, ავტორიტარულ სახელმწიფოსთან, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს რუსეთთან; არც მაღალი დონის ოფიციალური დელეგაცია გაუგზავნია და მიუღია ცენტრალური აზიის ამ ქვეყნიდან. მეორე მხრივ, ყირგიზეთთან, რომელსაც 2005 წელს „ტიტების რევოლუციის“ სახელით ცნობილი ფერადი რევოლუციის **გამოცდილება აქვს**, საქართველოს 14 ორმხრივი ხელშეკრულება **აქვს გაფორმებული**. საქართველოსა და ყირგიზეთს შორის 2007-2017 წლებში შვიდჯერ განხორციელდა ოფიციალური დელეგაციები. საქართველოსა და ტაჯიკეთს შორის უკეთესი ორმხრივი თანამშრომლობის დამყარების მიმართ კი თბილისს ნაკლები ინტერესი აქვს.

მესამე ფაქტორი, **რომელიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ორმხრივი ურთიერთობების დამყარების შესახებ საქართველოს გადაწყვეტილებაზე ახდენს გავლენას**, არის ვაჭრობა და რესურსები, განსაკუთრებით კი, ენერგორესურსები. საქართველოსთვის მიმზიდველია იმ ქვეყნებთან თანამშრომლობის იდეა, რომლებიც რუსეთის გვერდის ავლით, კასპიის ზღვის რეგიონის გამოყენებით, ნავთობისა და გაზის, ისევე როგორც სხვა საქონლის, ტრანსპორტირებისთვის არიან მზად. საქართველოს **გაცილებით** უფრო ინტენსიური კავშირები აქვს ნავთობით და გაზით მდიდარ ქვეყნებთან, როგორცაა ყაზახეთი და თურქმენეთი, ვიდრე ყირგიზეთთან, **მიუხედავად იმისა, რომ** ეს უკანასკნელი საქართველოს მსგავს დემოკრატიულ ცვლილებებს **იზიარებს**. მიუხედავად იმისა, რომ უზბეკეთი სამხრეთის გაზის დერეფნის გავლით ნახშირწყალბადების ექსპორტის იდეის მიმართ **გულგრილად იყო განწყობილი**, მასთან

საქართველოს სამჯერ მეტი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, ვიდრე ყირგიზეთთან. ეს უკანასკნელი საქართველოს არ სთავაზობს ნავთობისა თუ გაზის საბადოებს, როგორც ენერგოდივერსიფიკაციის საშუალებას. შესაბამისად, თბილისის კავშირები ენერგიით მდიდარ ცენტრალური აზიის ქვეყნებთან უფრო აქტიურია, ვიდრე ყირგიზეთთან (განსაკუთრებით კი ტაჯიკეთთან). ყირგიზეთი, რომელიც საქართველოს მსგავსად, ყველაზე მეტად დემოკრატიული ქვეყანაა მის სამეზობლოში,¹ საქართველოსთვის პოლიტიკურად ისეთივე პრიორიტეტული არ არის, როგორც თურქმენეთი, ყველაზე ავტორიტარული ქვეყანა რეგიონში, რომელსაც ხშირად ჩრდილოეთ კორეას ადარებენ.² კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნების მიმართ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე მოახდინა გავლენა, არის 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები. საქართველოსთვის განსაკუთრებით საზიანოა ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს. როდესაც მინსკში ასეთი ინიციატივა გაჩნდა, საქართველომ აქტიურად დაიწყო ბელარუსთან ურთიერთობების გაღრმავება.

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან თანამშრომლობისას, საქართველოს საგარეო პოლიტიკური გადანაცვლებები პრაგმატულობით ხასიათდება. ოფიციალური ვიზიტებისა და ორმხრივი შეთანხმებების დინამიკა ცხადყოფს, რომ საქართველო „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში უფრო მეტად გააქტიურდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან თანამშრომლობის კუთხით, ვიდრე ეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დროს იყო. „ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო პო-

¹ John Anderson, *Kyrgyzstan: Central Asia's Island of Democracy?* (Abingdon and New York: Routledge, 2013).

² Shaun Walker, "Turkmenistan Dictator Opens Golf Course – and Quickly Hits 'Hole in One'", *Guardian*, 27 October 2017, www.theguardian.com/world/2017/oct/27/turkmenistan-dictatorgurbanguly-berdymukhamedov-opens-golf-course-hits-hole-in-one (accessed 7 November 2018).

ლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს დასავლეთთან, დასავლურ ინსტიტუტებთან, აშშ-სა და ნატოსთან თანამშრომლობა წარმოადგენდა, ხოლო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, უკრაინის გამოკლებით, პრიორიტეტი არასდროს ყოფილა. აგვისტოს ომის შედეგებმა და საქართველოს ნატოში განევრიანების პერსპექტივის გადადებამ, საფუძველი დაუდო „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ქმედებას, გაეღრმავებინა ურთიერთობები ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნებთან. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საქართველოს მთავარ საგარეო პოლიტიკურ მიზანს „საბჭოთა წარსულისგან გათავისუფლება და რუსეთის ისტორიული, გეოგრაფიული და ცივილიზაციური სივრციდან გაქცევა“ წარმოადგენდა¹. პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ეს ყოველივე 2013 წელს ინაუგურაციის ცერემონიაზე შეაჯამა: „დასრულდა პოსტსაბჭოთა პერიოდი [საქართველოში] და დაიწყო თანამედროვე დემოკრატიის მშენებლობის ხანა... ჩვენ საფუძველი ჩაუყარეთ ახალ, ევროპული ტიპის პოლიტიკურ კულტურას“.² მიუხედავად ასეთი რიტორიკისა, საქართველოს ეკონომიკურმა და სტრატეგიულმა ინტერესებმა, განსაკუთრებით 2008 წლის შემდგომ, გარკვეული ცვლილებები განიცადა. „ქართულმა ოცნებამ“ მეტწილად შეინარჩუნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო პოლიტიკური კურსი, ამ ყველაფრის პარალელურად კი დაიწყო ახალი, „ნორმალიზების“ პოლიტიკა რუსეთთან და მეტი ყურადღება გამამხვილა პოსტსაბჭოთა სივრცის იმ ქვეყნებთან თანამშრომლობაზე, რომლებსაც შეუძლიათ ინვესტიციების შეთავაზება, ვაჭრობა და ენერგორესურსებს ფლობენ.

¹ Kornely Kakachia, 'European, Asian or Eurasian? Georgian Identity and the Struggle for Euro-Atlantic Integration', in *Georgian Foreign Policy: The Quest for Sustainable Security*, ed. Kornely Kakachia and Michael Cecire (Tbilisi: Konrad Adenauer Stiftung, 2013), p. 48.

² President Giorgi Margvelashvili, 'Inauguration Speech of the President of Georgia Giorgi Margvelashvili', *The Administration of the President of Georgia*, 2014, www.president.gov.ge/ka-GE/prezidenti/inauguracia.aspx (accessed 14 August 2018).

სარგებელი უპირველეს ყოვლისა?


საქართველოსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სავაჭრო ურთიერთობებზე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადზე და ტურიზმზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ უკრაინა საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორია. ამავე დროს, ცენტრალური აზიის სხვა ნებისმიერ ქვეყანასთან შედარებით, საქართველოს უფრო მჭიდრო ეკონომიკური კავშირები აქვს ყაზახეთთან და თურქმენეთთან. 1995 წლიდან 2017 წლამდე, ცენტრალური აზიის ქვეყნებში ექსპორტისა და იმპორტის წილი საქართველოს მთლიან სავაჭრო მოცულობაში შემცირდა მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან ამის საპირისპირო ტენდენცია ფიქსირდება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადის მიხედვით, ყაზახეთი ყველაზე დიდი ინვესტორი იყო საქართველოსთვის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. თუმცა, ინვესტიციების თვალსაზრისით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები ბევრად ჩამორჩებიან ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს ოთხ მეზობელ ქვეყანას: სომხეთს, აზერბაიჯანს, რუსეთს და თურქეთს. რაც შეეხება ტურიზმს, უკრაინა ერთადერთი გამოწვევაა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის, რომელიც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემებში ცალკეა გამოყოფილი.

საქსტატის მონაცემები აჩვენებს, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, საქართველოდან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ექსპორტმა (იხ. გრაფ. 6.5) რამდენჯერმე განიცადა როგორც აღმასვლა, ისე ვარდნა. პირველი პიკი იყო 2004 წელს, როდესაც თურქმენეთში ექსპორტი გაორმაგდა წინა წელთან შედარებით და გაათმაგდა 90-იანი წლების ბოლოსთან შედარებით. თუმცა ეს სურათი მალევე შეიცვალა და 2008 წლის ექსპორტის რაოდენობა 90-იანი წლების დონეს გაუტოლდა. მეორე პიკი იყო 2008 წელს, როდესაც აგვისტოს ომის შემდგომ უკრაინაში ექსპორტი არსებითად გაიზარდა. მესამე პიკი

იყო ყაზახეთთან 2011 წელს და მეოთხე ისევე უკრაინასთან 2013 წელს. 2013 და 2015 წლებში დაფიქსირდა ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა უზბეკეთში. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხსენებული ოთხი ქვეყანა საქართველოსთვის საუკეთესო საექსპორტო მიმართულებებს წარმოადგენდა. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ იმ საქონლის 41 პროცენტზე მეტი, რომელსაც საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის რვა ქვეყანაში ყიდის, უკრაინაზე მოდის. უკრაინის მოსახლეობა რაოდენობით (44 მილიონზე მეტი ადამიანი) აღნიშნული ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობებს ალემატება, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ბაზრის ზომა ექსპორტირებული საქონლის რაოდენობას არ განსაზღვრავს. თურქმენეთი, რომელიც ქართული საქონლის ექსპორტის მხრივ მესამე ადგილზეა, დაახლოებით 50 პროცენტით მეტ ქართულ საქონელს მოიხმარს, ვიდრე უზბეკეთი. ამ უკანასკნელის მოსახლეობის რაოდენობა კი თურქმენეთის მოსახლეობის რიცხოვნობას სუთჯერ ალემატება. შესაბამისად, ამ მაჩვენებლების გამომწვევი სხვა მიზეზებიც უნდა განვიხილოთ.

გრაფიკი 6.5


საქართველოს წლიური ექსპორტი თითოეულ სამიზნე ქვეყანასთან (1,000 აშშ დოლარში)



საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის წილის შემცირება ცენტრალური აზიის ქვეყნებში და თანდათანობით, თუმცა სტაბილურად, გაზრდილი ექსპორტის წილი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, საქართველოსა და ამ ორი რეგიონის ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების გარკვეულ ცვლილებებს აჩვენებს (იხ. გრაფ. 6.6). ამგვარი ტენდენცია 1995–2017 წლების სრულ პერიოდზე ვრცელდება. თუმცა, თუ ყურადღებას გავამახვილებთ 2012 წლიდან, როდესაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, შევამჩნევთ, რომ ექსპორტირებული საქონლის წილი შემცირდა აღმოსავლეთ ევროპის სამ ქვეყანაში, ხოლო ცენტრალური აზიის ქვეყნებში იგივე მაჩვენებელი თითქმის არ შეცვლილა, ან ოდნავ გაიზარდა.

გრაფიკი 6.6


საქართველოს ყოველწლიური ექსპორტი ბელარუსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები) და ყაზახეთთან, ყირგიზეთთან, ტაჯიკეთთან, თურქმენეთთან და უზბეკეთთან (ცენტრალური აზიის ქვეყნები), მათი პროცენტული წილი საერთო ექსპორტში



რაც შეეხება იმპორტს, მისი წილი ყოფილი საბჭოთა კავშირის რვა ქვეყნიდან, ექსპორტის წილს **თითქმის რვაჯერ აღემატება**. უკრაინა ყველაზე მნიშვნელოვან პარტნიორად **რჩება**: 1995 წლიდან, აღნიშნული ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონლის 72 პროცენტი სწორედ უკრაინაზე მოდის. უკრაინის შემდგომ მოდის თურქმენეთი და ყაზახეთი, გაცილებით ნაკლები პროცენტული წილით, თუმცა მეტი, ვიდრე ყირგიზეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი ან უზბეკეთი (იხ. გრაფ. 6.7).

გრაფიკი 6.7

საქართველოს ყოველწლიური იმპორტი პოსტსაბჭოთა თითოეული სახელმწიფოსგან (1,000 აშშ დოლარში)




საერთო ჯამში, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტის წილი სტაბილურად იზრდება, ხოლო ცენტრალური აზიის ქვეყნებთან მიმართებით **საპირისპირო ტენდენცია შეინიშნება** (იხ.

გრაფ. 6.8). თუმცა თუ დროით ჩარჩოს შევავიწროებთ და მხოლოდ ბოლო ხუთი წლის მონაცემებს შევხედავთ, შევამჩნევთ, რომ ტენდენცია იცვლება. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ცენტრალური აზიის ქვეყნებთან აქტიური ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები დაამყარა.

გრაფიკი 6.8

საქართველოს ყოველწლიური იმპორტი ბელარუსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები) და ყაზახეთთან, ყირგიზეთთან, ტაჯიკეთთან, თურქმენეთთან და უზბეკეთთან (ცენტრალური აზიის ქვეყნები), მათი პროცენტული წილი საერთო იმპორტში




რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (FDI), საქართველოს ბევრად უფრო მჭიდრო კავშირები აქვს მის უშუალო მეზობლებთან და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. 2005-2017 წლებში, თოთეული საკვლევი ქვეყნიდან საქართველოში

შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლიურად 3,5 მილიონ აშშ დოლარს **არ აღემატებოდა**, მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელი თითოეული მეზობელი ქვეყნიდან (სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და თურქეთი) თითქმის 25-ჯერ უფრო მაღალია (86,5 მლნ. აშშ დოლარზე მეტი), ხოლო ევროკავშირის თითოეული 27 წევრი სახელმწიფოდან, თითქმის 6-ჯერ მეტია და წლიურად, დაახლოებით, 20 მილიონ აშშ დოლარზე მეტს შეადგენს.

ერთადერთი მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თვალსაზრისით ყაზახეთი **იყო**, თუმცა ეს ტენდენცია მხოლოდ მცირე პერიოდისთვის - 2006-2008 წლებში შენარჩუნდა (იხ გრაფ. 6.9). 2006 წელს ყაზახეთის წილი საქართველოს მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბალანსში 13,8 პროცენტზე მეტი **იყო**. ნებისმიერ სხვა წელს, 2005-17 წლების პერიოდში, თითოეული ქვეყნის წილი (ყოფილი საბჭოთა კავშირის რვა ქვეყნიდან) საქართველოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბალანსში -5-დან 5 პროცენტამდე **მერყეობდა**. უკრაინა, რომელიც, ინვესტიციების თვალსაზრისით, რიგით მეორე ქვეყანაა რვა სახელმწიფოს შორის, წელიწადში საშუალოდ სამ მილიონზე ოდნავ მეტ აშშ დოლარის ინვესტიციას ახორციელებდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები ინვესტიციების კუთხით ყოველთვის ჩამორჩებიან საქართველოსთვის ყველაზე დიდი ინვესტიციების მქონე ქვეყნების ათეულს. 2017 წელს, იმ ქვეყნებზე, რომლებიც ინვესტორთა ტოპ ათეულში ვერ მოხვდნენ, მთლიანი ინვესტიციების მხოლოდ 4,8 პროცენტი მოდიოდა. ეს მაჩვენებელი უჩვეულოდ დაბალი იყო 2017 წელს, თუმცა, როგორც წესი, ინვესტიციების ნახევარზე მეტი საქართველოში ტოპ სამ ინვესტორ ქვეყანაზე **ნაწილდება**.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების
წილი პოსტსაბჭოთა რვა სახელმწიფოსთან**



ერთ-ერთი საბოლოო მაჩვენებელია ტურისტების ნაკადის პროცენტული რაოდენობა ქვეყანაში. ამ მხრივ, საქსტატს მხოლოდ 2015-2017 წლის მონაცემები აქვს გამოქვეყნებული.¹ მონაცემები შეზღუდულია, რადგან მხოლოდ რვა ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნიდან შემოსული ტურისტების რაოდენობასა და ევროკავშირის ყველა ქვეყნიდან შემული ტურისტების დაჯგუფებულ რაოდენობას მოიცავს. ყველა სხვა ქვეყნიდან შემომავალი ტურისტების რაოდენობები კი ერთიანადაა მოცემული. ყოფილი საბჭოთა კავშირის განხილული ქვეყნებიდან საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ სიაში მხოლოდ უკრაინა შედის. თუმცა ეს მაჩვენებელი არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც მეზობელი ქვეყნების შემთხვევაში: სომხეთი, აზერბაიჯანი,

¹ 'Inbound Tourism: Distribution of Monthly Average Number of Inbound Visitors of Age 15 and Older and Visits Made by Them by Country of Citizenship, Thousand', *GeoStat*, 2018, www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/Tourizm/InboudTourizm/Country%20of%20citizen%20nship.xlsx (accessed 14 August 2018).

რუსეთი და თურქეთი. აღნიშნული ქვეყნებიდან **ყოველწლიურად შემოსული** ტურისტების ნაკადი აღემატება უკრაინიდან შემოსული ტურისტების რაოდენობას საანგარიშო სამი წლის პერიოდისთვის. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინიდან ვიზიტორების რაოდენობა 2015-2017 წლებში 111 000-დან 150 000-მდე **გაიზარდა**, ეს მაჩვენებლები ხუთ-რვაჯერ დაბალია, ვიდრე თითოეული მეზობელი სახელმწიფოდან შემოსული ტურისტების რაოდენობა. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინელი ტურისტების რაოდენობა სამი წლის **განმავლობაში 35 პროცენტით გაიზარდა**, უკრაინელი ტურისტების პროცენტული წილი საქართველოში შემოსული ტურისტების მთლიან რაოდენობაში, მაინც, თითქმის უცვლელი დარჩა: 2,8; 3,2 და 2,9 პროცენტი მოცემული სამი საანგარიშო წლის განმავლობაში.

საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რვა ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი, რომელიც პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ტურისტებს, ვაჭრობასა და ორმხრივ ინტერაქციებს **მოიცავს**, რამდენიმე მნიშვნელოვან მახასიათებელს **გამოყოფს**. ვაჭრობის კუთხით, უკრაინა საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაა, რაც თბილისსა და კიევს შორის პარტნიორობის სიმტკიცეს **კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს**. ამის საპირისპიროდ, ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ვაჭრობის მოცულობა ბოლო ორნახევარი ათწლეულის განმავლობაში **შემცირდა**, თუმცა ეს ტენდენცია 2012 წლიდან **შეიცვალა**. მეორე, საქართველო არ იღებს მნიშვნელოვანი მოცულობის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ჩვენ მიერ განხილული ყოფილი საბჭოთა კავშირის რვა სახელმწიფოდან. გამოწვევის წარმოადგენს ყაზახეთი 2006 წელს. სხვა მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი ნებისმიერი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნიდან საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი ოდენობის ხუთ პროცენტს **არასოდეს აღემატება**. დაბოლოს, ტურიზმის თვალსაზრისით, იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც ჩვენ გვაქვს, განხილული რვა ქვეყნიდან უმნიშვნელოვანესია უკრაინა. აქვე, უკრაინელი ტუ-

რისტების რაოდენობა გაცილებით ჩამორჩება იგივე მაჩვენებელს მეზობელი სახელმწიფოებიდან: სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, თურქეთი. ყოველივე ზემოთთქმულზე დაყრდნობით, უკრაინა არის ქვეყანა, რომელთანაც საქართველოს ყველაზე მეტად კომპლექსური ეკონომიკური ურთიერთობები აქვს.

დასკვნა

მოცემულ თავში საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი **გავაანალიზეთ**. ბოლო ორი ათწლეულის **განმავლობაში** დამტკიცებული საქართველოს საგარეო პოლიტიკური და სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ **ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის უსაფრთხოების კონტექსტში საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანა უკრაინაა**. დოკუმენტებში მას მოიხსენიებენ, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს. ბელარუსსა და მოლდოვას, უკრაინის ორ მეზობელ ქვეყანას, პოლიტიკის დოკუმენტებში იმდენი ყურადღება **არ ექცევა**, რამდენიც უკრაინას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნებიც ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრები არიან საქართველოსთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ერთად. **წინაპირობა**, რომ ქვეყანა აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრია, ამ ქვეყნის საქართველოსთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას **არ განაპირობებს**, რადგან ამ უკანასკნელს სხვა რამდენიმე ფაქტორიც **განსაზღვრავს**. მეორე მხრივ, ცენტრალური აზიის რეგიონი უფრო დიდ ყურადღებას იქცევს, ვიდრე ბელარუსი და მოლდოვა. ყაზახეთი და თურქმენეთი **განსაკუთრებით მნიშვნელოვანია** საქართველოს ენერგომომარაგების წყაროებისა და მილსადენების ქსელისთვის, რომელიც **უზრუნველყოფს** ევროკავშირში ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას საქართველოსა და, შესაბამისად, სამხრეთის ენერგოდერეფნის გავლით. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება თბილი-

სის პრაგმატული ინტერესი, გააძლიეროს ცენტრალური აზიის ქვეყნებთან თანამშრომლობა.

მეორე, საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის პოლიტიკური კავშირების გასაანალიზებლად, გამოვიკვლიეთ ორმხრივი ხელშეკრულებებისა და მაღალი დონის ოფიციალური ვიზიტების რაოდენობები. აღნიშნული მონაცემები აჩვენებს, რომ როდესაც ქვეყანა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას **განიხილავს**, როგორც ეს ბელარუსის შემთხვევაში **მოხდა**, საქართველო ამ ქვეყანასთან **პოლიტიკურ კავშირებს ააქტიურებს**. ეს ორმხრივი ხელშეკრულებებისა და ოფიციალური ვიზიტების რაოდენობის ზრდით **გამოიხატება**. მთლიანობაში, ორმხრივი ვიზიტების რაოდენობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდთან შედარებით (2003-2012), გაზრდილია ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში (2012 წლიდან). ეს მაჩვენებელი წინააღმდეგობაში მოდის ლებანიძისა და გრიგალაშვილის კვლევასთან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საქართველოს ინტეგრაცია დღეს-ს ქვეყნებთან ბოლო 10-15 წლის **განმავლობაში თანდათან მცირდება**.¹ ცალკე აღებული ვიზიტების რაოდენობა არ შეიძლება მივიჩნიოთ იმის მტკიცებულებად, რომ საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებისკენ აკეთებს ორიენტაციას, თუმცა ამ ტენდენციის გააზრება საგარეო პოლიტიკის შეფასებისას უმნიშვნელოვანესია. ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის გაზრდილი თანამშრომლობის ტენდენცია **ახსნას**, სავარაუდოა, შემდეგი **იყოს**: საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის საგარეო პოლიტიკური მიზნების თანხვედრა; მსგავსი ისტორიული დინამიკა, მაგალითად, ფერადი რევოლუციები; დასავლური ტიპის დე-

¹ Bidzina Lebanidze and Mariam Grigalashvili, 'Not EU's World? Putting Georgia's European Integration in Context', *Georgian Institute of Politics*, 2018, <http://gip.ge/not-eus-world-puttinggeorgias-european-integration-in-context/> (accessed 17 September 2018).

მოკრატისკენ სწრაფვა და საერთო ენერგო ქსელებზე დამოკიდებულება. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, საქართველოს ორმა იდეოლოგიურად განსხვავებულმა ხელისუფლებამ, თავის მხრივ, საგარეო პოლიტიკური კავშირების ტენდენციების ცვლილებები გამოიწვია, აღნიშნული განსაკუთრებით ნათელია რუსეთთან, ისევე, როგორც ყოფილ სსრკ-ის ქვეყნებთან მიმართებით.

მოცემულ თავში, ასევე, გაანალიზებულია საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რვა ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირების ინტენსივობა. ცვლადები მოიცავდა სავაჭრო ურთიერთობებს, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ტურიზმს. აღნიშნული ინდიკატორების მიხედვით, უკრაინა ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია საქართველოსთვის. ჩვენ მიერ შესწავლილი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან ის საქართველოსთვის მუდმივად ყველაზე დიდ სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს. შესწავლილ რვა ქვეყანაში საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტის 41 პროცენტი, ხოლო ამ ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონლის 72 პროცენტი უკრაინაზე მოდის. შესაბამისად, საქართველოსა და უკრაინას შორის მოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში ყველაზე აქტიური ეკონომიკური თანამშრომლობა ფიქსირდება. ასევე აღნიშნეთ, რომ ვაჭრობის თვალსაზრისით იზრდება თანამშრომლობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან - მოლდოვა, უკრაინა, ბელარუსი (მეტწილად უკრაინის გამო), და თანდათანობით მცირდება ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა ცენტრალური აზიის ხუთ ქვეყანასთან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საპირისპირო ტენდენცია ფიქსირდება. ეს, შესაძლოა, საგარეო პოლიტიკაში ქართული ოცნების ხელისუფლების პრიორიტეტების ცვლილებაზე მიუთითებდეს. ინვესტიციების მხრივ, ყველაზე მეტი ინვესტიცია საქართველოში 2005-17 წლებში განახორციელა ყაზახეთმა, შემდგომ მოდის უკრაინა. ყაზახეთის ლიდერობა დიდწილად ენერგეტიკისა და უძრავი ქონების სფეროებს

უკავშირდება. 2006 წელს ყაზახეთის ინვესტიციებმა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 13 პროცენტი შეადგინა. აქვე, აღნიშნული წლის შემდგომ, ნებისმიერ წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან **უმნიშვნელო იყო** და ჩამორჩებოდა საქართველოს უშუალო მეზობელი სახელმწიფოებისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას. ბოლოს, საქართველოში ტურისტების მნიშვნელოვანი რაოდენობა არ ყოფილა ცენტრალური აზიიდან, ბელარუსიდან ან მოლდოვიდან. ტურისტების შედარებით დიდი რაოდენობა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან უკრაინაზე **მოდის**, თუმცა აქაც უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინელი ტურისტები საქართველოში **წლიურად** შემოსული ტურისტების მხოლოდ სამ პროცენტს შეადგენდა. ჯერჯერობით უცნობია, **თუ რა გავლენას იქონიებს** კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემია და საერთაშორისო მოგზაურობისა და ვაჭრობის შეფერხება 2020 წელს საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ურთიერთობებზე. პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა უსაფრთხოების ზომებმა, შეზღუდა ტურისტების შემოსვლა ქვეყანაში. საზღვრების გახსნის შემდგომ გაურკვეველია, თუ რა როლს ითამაშებენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები საქართველოში ტურიზმის გააქტიურების თვალსაზრისით.

მთლიანობაში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან უკრაინა ეკონომიკურად და პოლიტიკურად საქართველოსთვის **ყველაზე ახლო პარტნიორია**. საგარეო პოლიტიკური ინტერესების თანხვედრა, ისევე როგორც პოლიტიკური და უსაფრთხოების მსგავსი გამოწვევები, კიევსა და თბილისს შორის ორმხრივ თანამშრომლობას განსაზღვრავს. უკრაინა **ნებისმიერ სხვა ყოფილ საბჭოთა კავშირის სახელმწიფოზე მეტად** დარჩება საქართველოსთვის ყველაზე ახლო სტრატეგიულ და ეკონომიკურ პარტნიორად მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში.

თავი 7

ევროკავშირი - საქართველო: პოლიტიკა, გეოგრაფია და იდენტობა

ნატალი საბანაძე

ევროკავშირისა (EU) და საქართველოს შორის არსებული დღევანდელი ურთიერთობა შესაძლებელია შემდეგი სახით **შე-
ფასდეს**: ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის არ არსე-
ბობს კონსენსუსი საქართველოს ევროკავშირში განწევრიანე-
ბის თაობაზე, ისევე როგორც არ არსებობს თანხმობა, ქვეყანას
უარი ეთქვას ამგვარ პერსპექტივაზე. ამგვარი გაურკვეველობა
ანალიტიკურად მომხიბვლელი, თუმცა პოლიტიკურად იმედგა-
მაცრუებელია. მოცემული ბუნდოვანება საქართველოს საგა-
რეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტე-
ბის სიმყიფეს **განაპირობებს**. ქვეყანაში არსებობს ძლიერი სა-
ზოგადოებრივი კონსენსუსი, რომ ევროკავშირი ქართველი
ხალხის კულტურულ არჩევანს და პოლიტიკურ გეზს **წარმოად-
გენს**¹, შესაბამისად, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგ-
რაციის საპირწონედ სხვა ალტერნატივები **დღის წესრიგში არ
დგას**. მოცემულმა ვითარებამ ევროკავშირისა და საქართველოს
შორის სკეპტიციზმი და ერთგვარი „ურთიერთგაგების დეფი-
ციტი“ **გამოიწვია**: ერთი მხრივ, თბილისმა უნდა შეძლოს საზო-
გადოების მოლოდინების მართვა **იმასთან დაკავშირებით**, თუ
რამდენად სწრაფი პროგრესი შეიძლება ჰქონდეს ქვეყანას ევ-
როპული ინტეგრაციის გზაზე; მეორე მხრივ, ის უნდა დაეყ-

¹ Laura Thornton and Koba Turmanidze, *Public Attitudes in Georgia. Results of December 2019 survey carried out for NDI by CRRC Georgia, 2019*, www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_December%202019_Public%20Presentation_ENG_VF.pdf (accessed 8 June 2020).

რდნოს ევროკავშირისა და ნატოს მიმართ არსებულ საზოგადოებრივ ენთუზიაზმს, რათა პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის ერთგული დარჩეს, რაც იმ რეგიონში, სადაც რუსეთის გავლენის სფერო დიდია, მნიშვნელოვან დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

მოცემული თავის მიზანია, ახსნას, თუ რატომ არ არსებობს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის კონსენსუსი საქართველოს ევროპული პერსპექტივის შესახებ იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირი და საქართველო პოლიტიკურად ერთმანეთს დაუახლოვდნენ და მათ შორის თანამშრომლობა თანდათანობით ფართოვდება და ღრმავდება. რა არის ის ფაქტორები, რაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების თანხმობას ხელს უშლის? ეს დაბრკოლებები სისტემურ ხასიათს ატარებს, თუ მათ კონკრეტული გარემოებები განაპირობებს? არის რაიმე ისეთი, რაც საქართველოს ხელშია და შეუძლია თუ არა ქვეყანას, მიზნის მიღწევა დააჩქაროს? ამ კითხვებზე პასუხები და ევროპული ინტეგრაციის დამაბრკოლებელი ფაქტორების ხასიათის დადგენა ინტერესის საგანია, რადგან სწორედ ეს ფაქტორები ზღუდავენ პატარა ქვეყნის პოლიტიკას რეგიონის კონტექსტში.

მოცემული თავი ასახავს საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობის ევოლუციას საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე და ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლომდე ქვეყნის სტაბილურ სვლაზე საუბრობს. საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების (AA) ხელმოწერა, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) და ვიზალიბერალიზაციის მიღწევა ქვეყნის მოქალაქეებისთვის უმნიშვნელოვანეს მიღწევებს წარმოადგენს, რომლებიც ევროკავშირსა და საქართველოს შორის „ურთიერთგაგების დეფიციტს“ ავინროებს. ამჟამად საქართველოსთვის ყველაზე დიდ გამოწვევას ასოცირების პროცესიდან ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესზე გადასვლა წარმოადგენს, იმ პირობებში, როდესაც ევროკავშირისთვის აღარც გა-

ფართობაა მიმზიდველი და არც რუსეთთან სამეზობლოს გაზიარება.

არსებობს ფაქტორების სამი ჯგუფი, რომლებიც სურათს კიდევ უფრო ართულებს: გეოკულტურული, გეოპოლიტიკური და შიდა ევროპული. თითოეული მათგანი განსხვავებულია და, შესაბამისად, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე განსხვავებულ სირთულეებს წარმოქმნის. ევროკავშირი წარმოადგენს ქვეყნების გაერთიანებას, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან როგორც გეოგრაფიული, ისე კულტურული თვალსაზრისით. რთული და სადავო საკითხია, თუ რას წარმოადგენს „ევროპული“ როგორც ცნება - გეოგრაფიულ თუ კულტურულ კატეგორიას? აქვე, „ევროპის“ ზუსტი განმარტება არ არსებობს და მისი განსაზღვრა უფრო პერსპექტივის საკითხია, რომელიც მუდმივად ცვალებადია. ხსენებული მიზეზების გამო, ქართული კულტურისა და იდენტობის „ევროპულობა“ პოლიტიკური პროექტი გახდა. მისი მიზანია, გეოგრაფიული სიშორისა და განწყვეტილი ისტორიული კავშირების მიუხედავად, საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს ლეგიტიმურობა შესძინოს. გეოპოლიტიკური წინააღმდეგობა სისტემურ ფაქტორს წარმოადგენს და, შესაბამისად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და შედეგებს განსაზღვრავს.

მოცემული თავი ამტკიცებს, რომ გეოგრაფიული და კულტურული სიშორე, შესაძლოა, დროთა განმავლობაში შეიცვალოს და, შესაბამისად, ევროკავშირის წევრობის გზაზე საქართველოს გეოკულტურული დაბრკოლებები არც ისე მუდმივი იყოს, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ამ დაბრკოლებებს შორის ყველაზე რთულად დასაძლევია და წინააღმდეგობრივი გეოპოლიტიკური ფაქტორია. ამ უკანასკნელს ქვეყნის საშინაო დაპირისპირება თუ შიდაევროპული დაყოფა კიდევ უფრო ართულებს. კონკურენტუნარიანი საერთაშორისო სისტემა ძლიერ უნიტარულ აქტორებს ანიჭებს უპირატესობას, რომლებსაც

საფრთხეებისა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების აღქმის მკაფიო ხედვა გააჩნიათ. ევროკავშირი, თავისი 27 წევრი სახელმწიფოთი, ამგვარ აქტორს არ წარმოადგენს. აქ საფრთხეების და ინტერესების აღქმა მრავალნაირია. ბევრისთვის საქართველოსა და უკრაინის ევროკავშირში წევრობა რუსეთთან დაძაბულობის გაზრდასთან, სამეზობლო პოლიტიკის გართულებასა და შიდა დაყოფის გამძაფრებასთან ასოცირდება. მიუხედავად ამისა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საქართველომ მოახერხა ევროკავშირთან დაახლოება და, სისტემური და გეოგრაფიული დაბრკოლებების პარალელურად, შეამცირა მანძილი ბრიუსელამდე. ამ პროცესში საქართველო უფრო მეტად დემოკრატიული ქვეყანა გახდა, რომელიც ნელ-ნელა ამარცხებდა წარსულის მემკვიდრეობას და მიუხედავად იმისა, რომ ეს ძვირად უჯდებადა, დამოუკიდებელი პოლიტიკური არჩევანის ქონის მნიშვნელობას აჩვენებდა.

ევროკავშირთან დაახლოების სამი ეტაპი

ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობა შესაძლებელია სამ ფაზად დაიყოს. პირველი ფაზა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენითა და საბჭოთა კავშირის დაშლით იწყება, როდესაც ევროკავშირმა საქართველო რუკაზე „აღმოაჩინა“ და მისთვის ჰუმანიტარული დახმარების განევა დაიწყო. ამ პერიოდისთვის, აღნიშნული დახმარება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. ევროკავშირი მხარს უჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს, თუმცა მისი ჩართულობა მცირე იყო, რადგან ქვეყანა მოსკოვის „ახლო საზღვარგარეთის“ ნაწილად მიიჩნეოდა და არა ევროკავშირის სამეზობლოდ. ამ დროისთვის, ევროკავშირის ყურადღების ძირითადი ნაწილი ყოფილი კომუნისტური აღმოსავლეთ ევროპისა და გერმანიის გაერთიანებისკენ იყო მიმართული.

მეორე ფაზა 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან 2008 წლამდე გაგრძელდა და შესაძლოა დახასიათდეს, როგორც პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფაზა, იმ ხელშეკრულების სახელის მიხედვით, რომელიც ამ პერიოდში გაფორმდა - ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA). მოცემულ ეტაპზე გაცილებით დიდი აქცენტი გაკეთდა ევროკავშირის ტექნიკურ დახმარებასა და მის ფართო თანამშრომლობაზე იმ მიზნით, რომ მომხდარიყო დემოკრატიის, ვაჭრობისა და ინვესტიციების, საბაზრო ეკონომიკის განვითარება და გაძლიერებული პოლიტიკური დიალოგის დამყარება. PCA-ს ხელი მოეწერა ევროკავშირსა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ყველა წევრ ქვეყანას შორის, რომლებთანაც გაერთიანებას მანამდე ურთიერთობა არ ჰქონია. უკრაინასთან, მოლდოვასა და რუსეთთან PCA-ს ხელმოწერამ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების პერსპექტივა უზრუნველყო, მაშინ, როდესაც საქართველოსთან იგივე შეთანხმება ამ შესაძლებლობას არ მოიაზრებდა.

მესამე ფაზა - დღევანდელი რეალობა - შესაძლოა აღმოსავლეთ პარტნიორობისა (EaP) და ევროკავშირთან ასოცირების ფაზად დახასიათდეს, რომელიც 2003 წლის შემდგომ, ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ინტენსიფიკაციით და 2009 წელს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის შემოტანით დაიწყო. ინიციატივამ ყოფილი საბჭოთა კავშირის 6 ქვეყანა მოიცვა: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. ამ ნაბიჯით ევროკავშირმა პარტნიორებს მათი ამბიციებისა და საერთო ღირებულებების პატივისცემის პროპორციულად, გაერთიანებასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა შესთავაზა. საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ ეს შესაძლებლობა გამოიყენეს და 2014 წელს, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (AA/DCFTA) მოაწერეს

ხელი. 2016 წლის ივლისში, **ალნიშნული შეთანხმებები** ძალაში შევიდა, ხოლო 2017 წლის მარტში, საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდა.

თითოეულ ფაზაში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები **გადადგა**, რომლებიც ქვეყანას **ევროკავშირთან როგორც ფიზიკურად, ისე პოლიტიკურად დაახლოებაში დაეხმარა**. ამ კუთხით ზოგიერთი მოვლენა განსაკუთრებით საყურადღებოა. მაგალითად, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების (PCA) ხელმოწერით, საქართველომ ევროკავშირთან თანამშრომლობის პირველი ინსტიტუციონალიზებული მექანიზმი **შექმნა** და დაიწყო თანამშრომლობა საკანონმდებლო, ეკონომიკური, სოციალური, ფინანსური, სამეცნიერო, სამოქალაქო, ტექნოლოგიური და კულტურული მიმართულებებით. შეიქმნა თანამშრომლობის საბჭო, როგორც ხელშეკრულების იმპლემენტაციის ზედამხედველობის უმაღლესი ორგანო, რომელმაც ქვეყანას ევროკავშირის წარმომადგენლებთან **რეგულარული შეხვედრების შესაძლებლობა მისცა**. გუნარ ვიგანდისა და ეველინა შულცის მიხედვით, ეს შეთანხმება შერჩეულ პოლიტიკის სფეროებში თანამშრომლობითა და დიალოგის შესაბამისი ჩარჩოს **შექმნის გზით**, პარტნიორი ქვეყნების დემოკრატიის განმტკიცებასა და ეკონომიკურ განვითარებას **ისახავდა მიზნად**¹. ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმებები, ძირითადად, „რბილ ვალდებულებებს“ **მოიცავდა**, რომლებსაც აღსრულების ეფექტური მექანიზმები **არ ჰქონდათ**.²

PCA ძალაში 1999 წელს შევიდა, როდესაც საქართველო ევროპის საბჭოს **შეუერთდა**, რაც იმ პერიოდში ევროპისკენ გა-

¹ Gunnar Wiegand and Evelina Schulz, 'The EU and its Eastern Partnership: Political Association and Economic Integration in a Rough Neighborhood', in *Trade Policy between Law, Diplomacy and Scholarship Liber amicorum in memoriam Horst G. Krenzler*, ed. Christoph Hermann et al. (Cham: Springer International Publishing, 2015), pp. 321–58.

² Ibid.

დადგმული კიდეც ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო. ევროპის საბჭოს წევრობა დასამახსოვრებელი მომენტს წარმოადგენდა, რომელიც როგორც სიმბოლურ, ისე პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. სიმბოლურად ეს ქვეყნის ევროპული ერების ოჯახში დაბრუნებას ნიშნავდა, რაც საქართველოსთვის დიდი ხნის განმავლობაში ნანატრ აღიარებას წარმოადგენდა. მოგვიანებით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე ლორდ რასელ-ჯონსტონი ქართულ დელეგაციას მიესალმება სიტყვებით: „საქართველო, კეთილი იყოს შენი დაბრუნება სახლში“. საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, ან გარდაცვლილმა ზურაბ ჟვანიამ, მისი სიტყვა დაასრულა ფრაზით „მე ვარ ქართველი, მამასადამე ვარ ევროპელი“. მან საქართველოს ევროპულ მისწრაფებებზე ისაუბრა და მომავალი ათწლეულისთვის საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები გამოკვეთა.¹ მისი სიტყვები გამართლდა, საქართველოს ურთიერთობა ევროკავშირთან გააქტიურდა და 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ კიდეც უფრო გაძლიერდა. 2003 წელს, ევროკავშირმა უსაფრთხოების სტრატეგიაში (ESS) სამხრეთ კავკასია ახსენა და სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების დარეგულირების მიზნით ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პოსტი შექმნა.

PCA-ს ხელმოწერიდან ათი წლის შემდგომ, ევროკავშირის საზღვრები მნიშვნელოვნად შეიცვალა, რამაც საქართველოს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში (ENP) ჩართვა განაპირობა. აღნიშნული საქართველოსა და ევროკავშირის შორის მანძილის შემცირების კონტექსტში მნიშვნელოვან განვითარებას წარმოადგენდა. 2004 და 2007 წლის გაფართოებებმა ევროკავშირის საზღვრები შავ ზღვასთან დააახლოვა. შედეგად, ევროკავშირმა დაინახა ახალი სამეზობლო პოლიტიკის შემუშავების

¹ Natia Metsvirishvili and Maya Metsvirishvili, 'I am Georgian, therefore I am European: Researching the Europeaness of Georgia', *Central European Journal of International and Security Studies*, 14 (2020), pp. 52–64.

აუცილებლობა - შეექმნა „სტაბილურობისა და კეთილდღეობის რკალი“ გაერთიანების გარშემო.¹ საქართველო, თავდაპირველად, არ მოიაზრებოდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ნაწილად, თუმცა, ევროკავშირის საზღვრების ცვლილებამ, ისევე როგორც ქვეყნის შიდა ყოვლისმომცველმა სტრუქტურულმა და დემოკრატიულმა რეფორმებმა, ხელი შეუწყო მთავრობას, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართულიყო. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავდა კონკრეტული ორმხრივი სამოქმედო გეგმები და მათი მონიტორინგი და ანგარიში ყოველწლიურად ქვეყნის პროგრესსაგარეშის სახით ხდებოდა. სამოქმედო გეგმების მხარდასაჭერად შემუშავდა სპეციალური ფინანსური ინსტრუმენტი სახელწოდებით - ევროკავშირის სამეზობლო პარტნიორობის ინსტრუმენტი (ENPI).²

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ, რომელიც ევროკავშირის შუამავლობით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით დასრულდა, გაერთიანებამ მისი აღმოსავლეთ სამეზობლოს გაძლიერების აუცილებლობა იგონა.³ შედეგად, შევედეთმა და პოლონეთმა ევროკავშირს აღ-

¹ Former Commission President Romano Prodi, 'An Enlarged and More United Europe, a Global Player – Challenges and Opportunities in the New Century', speech at College of Europe, Bruges, 12 November 2001, European Commission, http://europa.eu/rapid/pressrelease_SPEECH-01-528_en.htm?locale=en (accessed 8 June 2020).

² პოლიტიკა კომისიის მიერ 2003 წლის მარტში მიღებულ დოკუმენტს ეფუძნებოდა - „გაფართოებული ევროპა – მეზობლობა: ახალი ჩარჩო აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობისათვის“. ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და ევროკავშირის გაფართოების შედარებითი ანალიზისთვის იხილეთ, Deniz Devrim and Evelina Schulz, 'Enlargement Fatigue in the European Union: From Enlargement to Many Unions', Real Instituto Elcano, 3 October 2009.

³ 2008 წლის საფრანგეთის პრეზიდენტობის პერიოდში, 'ხმელთაშუაზღვისპირეთის კავშირი' (*Union pour la Méditerranée*) ჩამოყალიბდა, რამაც სამხრეთთან ევროკავშირის ურთიერთობები გააძლიერა. აღნიშნულმა ინიციატივამ ევროპული სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ

მოსავლეთ პარტნიორობის (EaP) პროექტი შესთავაზეს, რომელიც 6 ყოფილ საბჭოთა ქვეყანას მოიცავდა და მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოსაყალიბებლად გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა. აღნიშნულმა ინსტრუმენტმა ქვეყნებს მათი ამბიციების პროპორციულად ევროკავშირთან უფრო მჭიდრო კავშირების დამყარების შესაძლებლობა შესთავაზა და დაავალდებულა, პატივი ეცათ საერთო ევროპული ღირებულებებისთვის. თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შეეძლო თავად აერჩია ევროკავშირთან ურთიერთობის გააქტიურების საკუთარი ტემპი და სიძლიავე. აქვე, ევროკომისიამ პარტნიორ ქვეყნებთან ასოცირების ახალი ხელშეკრულებებისა და თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების ინიცირება გააკეთა. ამ ყველაფერმა სამეზობლო ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნას და საზოგადოებრივ შეზღუდვების შემსუბუქებას დაუდო სათავე.

საქართველომ ასოცირების ხელშეკრულებას მოლდოვასა და უკრაინასთან ერთად მოაწერა ხელი. ამ ქვეყნებმა, ასევე, მიიღეს ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმები (VLAP). აღნიშნული გეგმების წარმატებით შესრულების შემდგომ, ქვეყნების მოქალაქეებმა ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის დიდი ხნის ნანატრი უფლება მიიღეს. თავისუფალი უვიზო მიმოსვლის შემოღება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იყო, რომელიც საქართველოს მოქალაქეებზე პირდაპირ გავლენას ახდენდა. ხალხისთვის, რომლებსაც სურდათ ევროპული სივრცის ნაწილი გამხდარიყვნენ და, ამავე დროს, მის ნაწილად ყოფილიყვნენ

განზომილების გაძლიერებაზეც გაზარდა წნეხი და ევროპულ საბჭოს 2008 წლის ივნისისთვის ამ მიმართულებით გარკვეული გადანყვეტილებები უკვე მიღებული ჰქონდა. თუმცა, რუსეთ-საქართველოს ომმა ეს პროექტი კიდევ უფრო დააჩქარა და შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა ომზე ევროკავშირის პოლიტიკის პასუხს წარმოადგენდა. 2008 წლის დეკემბერში, კომისიამ გამოაქვეყნა 'კომუნიკაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ'.

ალიარებულნი, **ევროპაში შეზღუდვების გარეშე მოგზაურობა** ამ ალიარების ყველაზე ხელშესახებ ნიშანს **წარმოადგენდა.**

AA/DCFTA-ზე ხელმოწერა, შეიძლება, ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობებში **გადამწყვეტ ნაბიჯად გამოვყოთ,** რომელმაც თანამშრომლობა თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაიყვანა და მესამე - ასოცირების ფაზას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა. შინაარსობრივად, AA/DCFTA არის ყოველის-მომცველი შეთანხმება ამბიციური რეფორმების დღის წესრიგითა და თანამშრომლობის გაფართოებული არეალით. ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ადრინდელი „თანამშრომლობა“ „ასოცირებით“ **ჩანაცვლდა,** რაც, თავის მხრივ, მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებებით **იყო გამყარებული,** რაც საერთო ბაზრის ნაწილობრივი გახსნით ეკონომიკურ ინტეგრაციასა და კონკრეტული რეფორმების დღის წესრიგით პოლიტიკურ დაახლოებას **გულისხმობდა.** თანამშრომლობის საბჭოები გადანყვეტილების მიმღებმა უმაღლესმა ორგანოებმა **ჩანაცვლა** - ასოცირების საბჭოებმა, რომელთა **დაქვემდებარებაშიცაა** ასოცირების კომიტეტი და მრავალი ქვეკომიტეტი. საქართველოს შემთხვევაში, შეხვედრები ხდება ყოველწლიურად, ბრიუსელსა და თბილისს შორის მონაცვლეობით.

ევროკავშირთან AA/DCFTA-ს დადებას საქართველოსთვის სიმბოლური, პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა **აქვს** და შეიძლება შეფასდეს, როგორც ქვეყნის პოლიტიკური კურსის არჩევის ყველაზე ხელშესახები მანიფესტაცია (ისევე, როგორც უკრაინის და მოლდოვას შემთხვევაში). ხელშეკრულება ქვეყნებისთვის განვითარების ევროპული გზის არჩევის **იურიდიულ ვალდებულებას წარმოადგენს.** ეს არის ევროპული მოდელის **მიხედვით** ეკონომიკური მოდერნიზაციის საგზაო რუკა, რომელიც ევროკავშირის მარეგულირებელი ნორმებისა და სტანდარტების მიმართ **ფართო ვალდებულებებს მოიცავს.** რაც უმთავრესია, ხელშეკრულება **ორმხრივია** და ევროკავშირის მხრიდან მნიშვნელოვანი ფინანსური და ექსპერტიზის

კუთხით დახმარების პარალელურად, საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასაც გულისხმობს.

AA/DCFTA არის შეთანხმება ფართო ინსტიტუციური კავშირების შესახებ, რომელიც სტივენ ლევიცკისა და ლუკან ვეის მიხედვით, ექვს მაკავშირებელს მოიცავს: ესენია ეკონომიკური, მთავრობათაშორისი, ტექნოკრატიული, სოციალური, საინფორმაციო და სამოქალაქო საზოგადოების კავშირები.¹ ამგვარი კავშირები მნიშვნელოვანია ერებს შორის კონტაქტებისა და ადმინისტრაციული კავშირების დასამყარებლად ისევე, როგორც ევროკავშირის მხრიდან ეფექტური ბერკეტების შექმნის თვალსაზრისით. ევროკავშირის წევრობის პერსპექტივის არარსებობის პერიოდში, AA/DCFTA ევროპული დღის წესრიგის დასაცავად საქართველოს მთავრობაზე პოლიტიკურ ზეწოლას აწესებს. ლევიცკისა და ვეის მიხედვით, ამგვარი კავშირები ევროპული ნორმებისა და ღირებულებების შიდა კუთვნილებას ქმნის. ისინი ქვეყნებში ძალაუფლებისა და რესურსების შიდა გადანაწილების ხასიათს ცვლიან, ავტორიტარიზმის ალბათობას ამცირებენ და დემოკრატიულობისა და კანონის უზენაესობის შესახებ შიდა მოლოდინებს ქმნიან.² სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ კავშირების დამყარებით, AA/DCFTA-ს შეუძლია სცადოს და დააკმაყოფილოს თავისი ტრანსფორმაციული ამბიციები ქვეყნის ევროკავშირში განწევრიანების დაპირების გარეშე.

საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინასთან გაფორმებული AA/DCFTA-ები ასოცირებისა და სტაბილიზაციის შეთანხმებების (რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა მოაწერეს ხელი) და ასოცირების ხელშეკრულებების (რომლებსაც ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან მოეწერა ხელი) მოდელის საფუძველზე შეიქმნა. ხელშეკრულებების მიზანი იყო,

¹ Steven Levitsky and Lucan A. Way, 'Linkage versus Leverage. Rethinking the International Dimension of Regime Change', *Comparative Politics*, 38:4 (2006), pp. 379-400.

² Ibid., pp. 380-85.

ხელმომწერი ქვეყნები სამომავლო წევრობის მოლაპარაკებებისთვის მოემზადებინა საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის შემთხვევაში, არ ყოფილა დაპირება AA/DCFA-ს შემდგომი ნაბიჯების შესახებ, თუმცა არც ამის უარყოფა მომხდარა.¹ გუნარ ვიგანდისა და ეველინა შოლცის მტკიცებით, ასოცირების ხელშეკრულებების ახალ და ძველ ვერსიებს შორის განსხვავებები სათანადოდ არასდროს ახსნილა. ევროკავშირის წევრობის საკითხი გაერთიანების წევრ სახელმწიფოებს შორის ამ საკითხზე კონსენსუსის არარსებობის გამო ღიად დარჩა. მაშინ, როდესაც ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა თავის თავში გაფართოებასაც გულისხმობს,² უკანასკნელი წლების განმავლობაში ბრიუსელი ევროკავშირის გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის განცალკევებულად დანახვას ცდილობს. საკითხავია, საქართველო-ევროკავშირის შორის ურთიერთობებმა თავისი თავი ამოწურა, თუ კვლავ არსებობს სივრცე სამომავლო ინტეგრაციისთვის. ევროპის ეკონომიკური სივრცის ქვეყნებისა (ნორვეგია, ლიხტენშტეინი და ისლანდია) და დასავლეთ ბალკანეთის კანდიდატი ქვეყნების გარდა, საქართველო ყველაზე ახლოს არის ევროკავშირთან, ბაზარზე წვდომისა და ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ერთობლიობასთან (*acquis communautaire*) დაახლოების თვალსაზრისით, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის საერთო უფლებებისა და ვალდებულებების შექმნის ინსტიტუტს წარმოადგენს.³

¹ Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, *Official Journal of the European Union*, L 261, volume 57, 30 August 2014.

² David Cadier, 'Is the European Neighbourhood Policy a Substitute for Enlargement?', in *The Crisis of EU Enlargement*, LSE IDEAS Special Report, 18 November 2013.

³ European Commission, European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations, https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/policy/glossary/terms/-acquis_en (accessed 8 June 2020).

რამდენიმე ანგარიშზე დაყრდნობით, საქართველო დასავლეთ ბალკანეთის კანდიდატ ქვეყნებს რიგ სფეროებში პროგრესით უსწრებს.¹ თუმცა, განვევრიანება არ არის მხოლოდ კრიტიკიუმების დაკმაყოფილების საკითხი; ეს ასევე უკავშირდება იდენტობას, გეოგრაფიასა და გეოპოლიტიკას. ბალკანეთის ქვეყნების ევროკავშირში განვევრიანება გეოსტრატეგიული მოსაზრებით იყო მოტივირებული, თუმცა გადანვევტილებას საერთო ისტორია, გეოგრაფია, საერთო იდენტობა და ისტორიული ბედი აძლიერებდა.² ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებული გადაღლილობისა და იმედგაცრუების მიუხედავად, ბრიუსელში არსებობს მხარდაჭერა და მოსაზრება, რომ ბალკანეთის სტაბილურობის, კორუფციის შემცირებისა და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის, ასევე, კონფლიქტის თავიდან არიდების ერთადერთი გზა ამ ქვეყნების ევროკავშირში განვევრიანებაა. საგარეო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ფედერიკა მოგერინიმ 2018 წლის აპრილში, დასავლეთ ბალკანეთის რეგიონში ვიზიტამდე განაცხადა, რომ რეგიონის ეს ქვეყნები ევროპის ნაწილია და ისინი ევროკავშირის ნაწილიც გახდებიან. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და ბალკანეთს საერთო ისტორია და გეოგრაფია აქვთ და ისინი ერთად ააშენებენ საერთო მომავალს.³

ის ფაქტორები, რომლებიც დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს დაეხმარა, ევროკავშირის დღის წესრიგს დაბრუნებოდნენ, საქართველოს შემთხვევაში შესაძლოა ევროკავშირთან დაახლოების გზაზე წინაღობებად მივიჩნიოთ. გეოგრაფია, ისტორია

¹ Michael Emerson et al., *The Struggle for Good Governance in Eastern Europe* (London: Rowman & Littlefield International, 2018).

² Speech by High Representative/Vice-President Federica Mogherini at the European Parliament Plenary Session on the Western Balkan Strategy, European External Action Service (EEAS), 6 February 2018, https://eeas.europa.eu/delegations/montenegro/39451/speech-highrepresentativevice-president-federica-mogherini-european-parliament-plenary_ga (accessed 8 June 2020).

³ Ibid.

და კულტურა, რეგიონის რთულ გეოპოლიტიკასთან ერთად, ასოცირებიდან ინტეგრაციის ფაზაზე გადასვლისას საქართველოსთვის უმთავრეს დაბრკოლებებს წარმოადგენს. გარდა ამისა, ევროკავშირის შიდა გამონწევები გაფართოების საკითხს ნევრი სახელმწიფოებისთვის ნაკლებად მიმზიდველს და პოლიტიკურად ძვირადღირებულს ხდის. საკითხავია, აღნიშნული დაბრკოლებები მუდმივი ხასიათისაა, თუ დროებითი და გარდამავალია. ამ თავის დანარჩენ ნაწილში შევეცდებით გეოკულტურული, გეოპოლიტიკური და შიდაევროპული ფაქტორების გათვალისწინებით ამ შეკითხვას პასუხი გავცეთ.

გეოგრაფიის ფარდობითობა

ევროკომისიის დერეფნებში ხშირად ისმის, რომ თუ საქართველო გეოგრაფიულად ევროკავშირთან უფრო ახლოს იქნებოდა, მაგალითად, მოლდოვას მდებარეობა რომ ჰქონოდა, შესაძლოა ქვეყანა უკვე ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ყოფილიყო. ამგვარი მოსაზრება შეიძლება სიმართლეს არც შეესაბამება, თუმცა მაინც საინტერესოა, რადგან ის გეოგრაფიული სიახლოვის მუდმივ მნიშვნელობაზე მიუთითებს. შესაბამისად, საქართველოს გეოკულტურული სიშორე შესაძლოა აღქმული იქნას, როგორც ერთ-ერთი დაბრკოლება ევროკავშირის წევრობის გზაზე.

გეოგრაფია უდავოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს პოლიტიკის განსაზღვრაში და ქვეყნის პოლიტიკურ ბედს დღემდე განაპირობებს. ტერიტორიულად ქვეყანა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, სტრატეგიულ საზღვარზე, ორი სამყაროს შეხვედრის წერტილში მდებარეობს. საქართველოს ტერიტორიული მდებარეობის აღსანიშნავად ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინებია ხიდი და გზაჯვარედინი. თეორიულად ეს შესაძლოა იშვიათი პრივილეგია იყოს, რომელიც ქვეყანას სთავაზობს ეკუთვნოდეს აღმოსავლეთს, დასავ-

ლეთს ან იყოს **ამ ორი სამყაროს** უნიკალური ნაზავი, იყოს კულტურულად მდიდარი, ისარგებლოს სავაჭრო გზებითა და სატრანზიტო შესაძლებლობებით. პრაქტიკაში ეს ნიშნავს მუდმივ გაურკვევლობას იდენტობისა და კუთვნილების **საკითხის გარშემო** და **ასევე** იმის შესახებ, თუ როგორ აღიქმება საქართველო გარე აქტორების მიერ. ამასობაში, საქართველო ბუფერულ ზონად და გავლენების მოსაპოვებელ ბრძოლის ველად **იქცა**.

დღევანდელ მოდერნიზებულ და გლობალურ მსოფლიოში ფიზიკურ მდებარეობას, ტერიტორიულ საზღვრებსა და გეოგრაფიულ ინდიკატორებს გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე **ჰქონდა**. დღეისათვის ტერიტორიული მდებარეობა ვეღარ ზღუდავს პოლიტიკურ თუ სოციალურ ურთიერთობებს, ვაჭრობასა თუ ბიზნესის კეთებას. ტექნოლოგიური მიღწევების დახმარებით, სოციალური კავშირები და საქმიანობის სფეროები გლობალური მასშტაბით, სახელმწიფოთა ტრადიციული საზღვრების მიღმა **გაფართოვდა**. ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობების დეტერიტორიზაცია გლობალიზაციის ერთ-ერთი მახასიათებელია, რაც გეოგრაფიას სულ უფრო არარელევანტურს ხდის. თუმცა, როდესაც საგარეო პოლიტიკაზე **ვსაუბრობთ**, გეოგრაფია კვლავ დიდ როლს თამაშობს. როგორც საქართველოს შემთხვევაში ჩანს, რთულია გქონდეს **დასავლური** პოლიტიკური კურსი, მაშინ როდესაც ფიზიკურად აღმოსავლეთს ეკუთვნი.

დღეს საქართველოში კულტურისა და იდენტობის განმარტებები გეოგრაფიული და ისტორიული წინააღმდეგობების **მიუხედავად**, მის პოლიტიკურ ამბიციებს **ემსახურება**. უფრო მეტიც, მაშინ როდესაც ფიზიკური გეოგრაფიის შეცვლა შეუძლებელია, **შესაძლოა დროთა განმავლობაში შეიცვალოს** პერსპექტივები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს სიახლოვე. მთავარ გამოწვევას არა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, არამედ გეოგრაფიული საზღვრების შესახებ ევროკავშირის განმარტებაა (ან მისი არარსებობა) **წარმოადგენს**.

ევროკავშირის, მისი საზღვრების და მსოფლიოში მისი ადგილის შესახებ მრავალი განსხვავებული ხედვა არსებობს. ევროკავშირის გაფართოება ევროპული ინტეგრაციისა და ევროკავშირის სამეზობლოში წესებზე დაფუძნებული, მმართველობის მრავალმხრივი სისტემის გავრცელების მცდელობას წარმოადგენდა. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის და მის ფარგლებს გარეთ, გლობალურ დონეზე ახალი ტიპის ურთიერთობების დამყარება სურს.¹ აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ევროკავშირი მუდმივად ვერ გააგრძელებს გაფართოებას და რაღაც ეტაპზე მოსალოდნელია მისი დასრულება. ყოფილმა ევროკომისარმა რომანო პროდიმ, გაფართოების შეზღუდვების შესახებ კითხვაზე პასუხის გაცემისას უპასუხა, რომ ევროკავშირის საზღვრების დასადაგენად დებატებია საჭირო. თურქეთის განეწერიანებასთან დაკავშირებით მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ არსებობს პროცესის შემაფერხებელი გეოგრაფიული და კულტურული (რელიგიური) ფაქტორები, თურქეთს უბრალოდ ევროკავშირის წევრობისთვის არსებული კრიტერიუმების დაკმაყოფილება სჭირდება. როდესაც მას საქართველოს შესახებ ჰკითხეს, ქვეყანაზე, რომელიც თავს ევროპული სივრცის ნაწილად გრძნობს, მან უპასუხა: „ხალხი ახალ ზელანდიაშიც თავს ევროპელად გრძნობს... ჩვენ არ უნდა შევიზღუდოთ ისტორიული ფესვებით. აქვე, ჩვენ უნდა მივცეთ ევროკავშირს ბუნებრივი ზომა.“²

პროდის განცხადების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირში არ არსებობს შიდა თანხმობა იმის შესახებ, თუ სად მთავრდება ევროპა, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ევროპა. როგორც ნილ მაკფარლენმა და ანანდ მენონმა დაწერეს: „გაერთიანებამ ნათლად განმარტა, რომ ხმელთაშუა ზღვის სამხრეთი სანაპიროს ქვეყნები ვერ გახდებოდნენ ევრო-

¹ Kalypto Nicolaidis and Robert Howse, “‘This is my EUtopia’: Narrative as Power”, *Journal of Common Market Studies*, 4 (2002), pp. 767-92.

² Cited in Neil McFarlane and Anand Menon, ‘Of Wealth and Weakness’, *Survival: Global Politics and Strategy*, 56 (2014), pp. 95-101.

კავშირის წევრები, რადგან ისინი არ იყვნენ „ევროპაში“. კითხვა გაცილებით რთული იყო აღმოსავლეთ ევროპის შემთხვევაში, თუ სად მთავრდებოდა ევროპა. ევროკომისიის შეხედულებით, საზღვრის დასაწესებლად აუცილებელი იყო დებატები.¹ ევროპა გაცილებით მეტია, ვიდრე ევროკავშირი, თუმცა იყო ევროპაში მდებარე სახელმწიფო, ევროკავშირის წევრობის წინაპირობაა. კითხვა, რომელიც ჩვენ გვესმის შემდეგია: არის თუ არა საქართველო „ევროპაში“? ქვეყანა დასავლეთის აღმოსავლეთ საზღვარზეა თუ აღმოსავლეთის დასავლეთ საზღვარზე? ან იქნებ ეს მხოლოდ პერსპექტივის **საკითხია?**

ისტორიულად, ევროპის ცენტრსა და პერიფერიას შორის **საზღვრები** ისევე, როგორც „ევროპასა“ და „აზიას“ შორის **საზღვრები**, საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა. ტონი ჯადტი წიგნში *ომის შემდგომ: ევროპის ისტორია 1945 წლის შემდეგ*, იხსენებს, რომ მეთვრამეტე საუკუნეში უნგრელები და ბოჰემელები კათოლიკეები იყვნენ და ხშირად გერმანულ ენაზე მოლაპარაკე, მაგრამ განათლებული ავსტრიელებისთვის „აზია“ მაინც ლანდშტრასზე იწყებოდა, ვენიდან ოდნავ აღმოსავლეთით გამავალ გზაზე. როდესაც მოცარტი 1787 წელს ვენიდან პრაღაში გაემართა, მან ჩათვალა, რომ აღმოსავლეთის საზღვარი გადაკვეთა. ჯადტის სიტყვებით, „აღმოსავლეთი და დასავლეთი, აზია და ევროპა, ხალხის **ცნობიერებაში** აღმართული კედლები უფროა, ვიდრე რუკაზე დატანილი გამყოფი ხაზები“.²

გეოგრაფია ამ თვალსაზრისით შედარებითი და არა აბსოლუტური კატეგორიაა. ერები, რომლებიც დღეს ცენტრალურ ევროპად მოიაზრებიან, უწინ მის გარე საზღვრებთან ასოცირდებოდნენ. პოლონელები, **ლიეტუველები** და უკრაინელები თავიანთ ლიტერატურაში თავს ევროპის საზღვრების მცველებად წარმოაჩინენ. იგივე შეიძლება ითქვას უნგრელებსა და რუმინე-

¹ Ibid

² Tony Judt, *Postwar: A History of Europe since 1945* (New York: Penguin Press, 2005).

ლებზე, სერბებსა თუ ხორვატებზე, რომელთაგან თითოეული ირწმუნება, რომ ცივილიზებულ ევროპას დანარჩენი სამყაროსგან **იკავდნენ**. ყველა ეს ნარატივი არ შეიძლება იყოს სიმართლე; ისინი ხშირად ურთიერთგამომრიცხავი და წინააღმდეგობრივია. მთავარი ის საკითხია, რომ ევროპასთან კუთვნილება ამ ქვეყნების ეროვნული ნარატივის ცენტრალური ნაწილია.¹ ევროპა ქვეყნებს უსაფრთხოების გარანტიებს, ცივილიზებულ კავშირებსა და სხვა სიკეთებს **სთავაზობს**, როგორც ნორმან დევისი გვახსენებს, ევროპის კიდეებში მყოფი ერები ევროპასთან კუთვნილების საკითხს როგორც შიდა, ისე საგარეო ურთიერთობებში **უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ**.

დევისის დაკვირვებაში გამოჩნდის არც საქართველო. თანამედროვე საქართველოს შესახებ ეროვნული მოსაზრება ასეთია: ქრისტიანობა პირველად საქართველოში დაიწყო და შემდგომ გავრცელდა ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. საქართველო აბრეშუმის გზის ბოლო წერტილი **იყო**, რომელიც აზიურ საქონელს ევროპასთან აკავშირებდა. ჩვენ ვიყავით დვინის პირველი შემქმნელები ევროპაში (შემდგომ მსოფლიოში), ჩვენ ვართ ხიდი დასავლეთსა და დანარჩენ სამყაროს შორის. ამგვარი არგუმენტი ადასტურებს საქართველოს სიახლოვეს ევროპასთან და ქვეყნის მნიშვნელობას ევროპისთვის. გეოგრაფიული მანძილისა და განყვეტილი ისტორიული კავშირების **მიუხედავად**, საქართველო იმედოვნებს, რომ ამ ნარატივით ევროპელი გადაწყვეტილების მიმღები პირების გონებაში ახალ საზღვრებს **ჩამოაყალიბებს**, რათა საქართველო ევროპის განუყოფელ ნაწილად აღიქმებოდეს.²

¹ Margaret, Harvey, 'Europe after Wyclif', *Journal of Theological Studies*, 69:1 (2018), pp. 368-69.

² ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის.

კულტურული იდენტობა, როგორც პოლიტიკური გადანწყვეტილება

საქართველოს ისტორიული კავშირები დასავლეთთან, განსაკუთრებით კი ევროპასთან, არაერთხელ განყდა. 1453 წელს, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდგომ, ქართული სამეფოები ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიების გავლენის ქვეშ მოექცნენ, რამაც თავისთავად გამოიწვია საქართველოზე ისეთი ევროპული კულტურული რევოლუციების გავლენა, როგორებიცაა რენესანსი ან რეფორმაცია. გია ნოდის მტკიცებით, საქართველოს „დასავლურად“ ყოფნის გამოცდილება მინიმალური იყო.¹ მიუხედავად ამისა, მე-19 საუკუნეში „დამფუძნებელ მამებს“ თანამედროვე ქართველი ერი დასავლური მოდელით წარმოედგინათ. ქართული ინტელიგენციისთვის დასავლეთი კულტურული, პოლიტიკური და პროგრესული არჩევანი იყო. ის ეროვნული ნარატივის განუყოფელი ნაწილი გახდა, გაძლიერებული ქართული ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტების თაობებით. ნოე ჟორდანიამ, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარემ, 1920 წელს ეროვნული ასამბლეის წინაშე განაცხადა, რომ „ჩვენი ცხოვრება დღეს და ჩვენი ცხოვრება მომავალში... განუყოფლად არის მიბმული დასავლეთთან და ვერანაირ ძალას ვერ შეუძლია დაარღვიოს ეს კავშირი“. მის სიტყვებს თანმიმდევრულად იზიარებდნენ ქართველი ლიდერები და ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში 1991 წლიდან მოყოლებული.² ამგვარ დამოკიდებულებას ქართული

¹ Ghia Nodia, 'Georgia: Dimensions of Insecurity', in *Statehood and Security: Georgia after the Rose Revolution*, ed. Bruno Coppieters and Robert Legvold (London: MIT Press, 2005).

² საქართველოში საზოგადოებრივი აზრის კვლევის მონაცემთა სიღრმისეული ბაზა შემდეგ რესურსებს მოიცავს: კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 'კავკასიის ბარომეტრი' www.crrcenters.org/caucasusbaro-

ისტორიოგრაფიაც **უდევს საფუძვლად**, რომელიც ხაზს უსვამდა საქართველოს „დასავლურობას“ უძველესი ქართული ფესვებით და კულტურული ტრადიციებით, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიან გეოგრაფიულ მდებარეობასთან.

საქართველო თავის ევროპულობას ამტკიცებს არა ისტორიის ან გეოგრაფიის საფუძველზე, არამედ მათგან თავის დასაცავად. ქვეყნის ეროვნულ ნარატივში ხშირად გაისმის მთავარი ფრაზა, საქართველოს „დაბრუნება“ იმ კულტურულ და პოლიტიკურ სივრცეში, რომელსაც ის „ბუნებრივად“ ეკუთვნის.¹ ტრეისი ჯერმანის თქმით, საქართველოს მტკიცე გადნევილობა, ხაზი გაუსვას მის „ევროპულობას“ და „ევროპაში დაბრუნებას“, წარსულსა და მომავალს, ყოფილ საბჭოთა სივრცესა და „ევროპას“ შორის **მკვეთრი ხაზის გაკვების მცდელობას წარმოადგენს.**² ამ თვალსაზრისით, ქართველი ერის „ევროპულ“ ეროვნულ იდენტობას როგორც ინსტრუმენტული, ასევე კულტურული განზომილებები **აქვს**. ეს არა მხოლოდ ერის თვითგამორკვევას **წარმოადგენს**, არამედ ლეგიტიმურობას სძენს გარკვეულ პოლიტიკურ და ცივილიზაციურ არჩევანს ქვეყნის შიდა და გარე ასპარეზზე. როგორც დასავლელი, ასევე ქართველი მკვლევრების უმრავლესობის აზრით, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებები იდენტობაზეა ორიენტირებული და უფრო მეტად იდებობითა და კულტურით **არის განსაზღვრული**, ვიდრე რაციონალური არჩევანით ან რეალპოლიტიკით.³

meter; საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, 'საქართველო' www.iri.org/country/georgia; ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, 'NDI საქართველოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის მონაცემთა ბაზა' www.ndi.org/georgia-polls.

¹ „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“, რომელიც პარლამენტმა 2011 წლის 23 დეკემბერს მიიღო (NSC 2011), www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=12

² Tracey German, 'Heading West? Georgia's Euro-Atlantic Path?', *International Affairs*, 91:3 (2015), pp. 601–14.

³ Kornely Kakachia, 'European, Asian, or Eurasian? Georgian Identity and the Struggle for Euro-Atlantic Integration'; Ghia Nodia, 'Divergent Interests: What

საქართველო გეოგრაფიულ და ეკონომიკურ გზაჯვარედინზე მყოფი ქვეყანაა, რომელმაც კულტურული და ისტორიული მრავალფეროვნების გავლენები განიცადა. ქართველებს განსხვავებული ეროვნული ნარატივის შექმნა, შესაბამისი პოლიტიკური ორიენტაციის არჩევა და ქართული სახელმწიფოსთვის ბრძოლის პროცესში გაცილებით იოლი ცხოვრება შეეძლო. ქვეყანას შეეძლო თავისი თავის იდენტიფიცირება კავკასიასთან და იმ კავშირების ხაზგასმა, რომლებიც მას სხვა კავკასიელ ერებთან აკავშირებს.¹ ამგვარი მცდელობები პერიოდულად მართლაც იყო. საქართველოს შესაძლოა თავი ევრაზიასთან გაეგივივებინა, იდეასთან, რომელიც დღეს პუტინის ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს ლეგიტიმურობას სძენს.² ქვეყანას შეეძლო რუსეთის მოკავშირე გამხდარიყო და დსთ-ს სივრცეში დარჩენილიყო, და ამგვარად გაეგრძელებინა საბჭოთა მემკვიდრეობა. ყველა ეს სცენარი შესაძლოა ქვეყანას ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებასა და რუსეთთან კონფრონტაციისგან თავის არიდებაში დახმარებოდა. თუმცა, ყველა ეს შესაძლო ვერსია უარყოფილ იქნა ქართველი ხალხის მიერ, განსაკუთრებით 1991 წელს, როდესაც მათ არჩევანის თავისუფლება მიეცათ. ეს ყოველივე კი აძლიერებს მოსაზრებას, რომ საქართველოს პროდასავლური ორიენტაცია, ძირითადად, იდეებისგან მომდინარეობს, და არა პრაგმატული ან სისტემური ფაქტორებისგან.³

აღექსანდრე რონდელმა საქართველოს მცდელობებს, კავშირი გაეწყვიტა ისტორიასთან და ევროპული და ევროატლან-

Can and Cannot be Achieved in Georgia-Russian Relations', in *Georgian Foreign Policy: The Quest for Sustainable Security*, ed. Kornely Kakachia and Michael Cecire (Tbilisi: Konrad Adenauer Stiftung, 2013), pp. 175-89.

¹ Martin McCauley, 'Obituary: Zviad Gamsakhurdia', *The Independent*, 25 February 1994.

² Anton Shekhovtsov, 'Aleksandr Dugin's Neo-Eurasianism: The New Right à la Russe', *Religion Compass*, 4 (2009), pp. 697-716.

³ Kornely Kakachia and Salome Minesashvili, 'Identity Politics: Exploring Georgian Foreign Policy Behaviour', *Journal of Eurasian Studies*, 6:2 (2015), pp. 171-80.

ტიკური ინტეგრაცია დაენყო, სტრატეგიული იდეალიზმი უნო-
და.¹ ეს იდეა ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომ სახელმწიფოე-
ბი იქცევიან, როგორც რაციონალური აქტორები, მათი უსაფ-
რთხოებისა და გადარჩენის საფრთხეების შესამცირებლად. ნე-
ორეალისტური პარადიგმის მიხედვით, რომელიც პრიორიტეტს
მატერიალურ და სისტემურ ფაქტორებს ანიჭებს, საქართვე-
ლოს საგარეო პოლიტიკის ნებისმიერი ქცევა, რომელიც რუსე-
თის რეგიონალური ინტერესებისთვის გამომწვევი იქნება, სი-
სულელეა და დიდ რისკებთან არის დაკავშირებული. მიუხედა-
ვად ამისა, საქართველოს არჩევანში არის პრაგმატული ლოგი-
კა, ისევე, როგორც რაციონალურობა, იმ გაგებით, რასაც ხში-
რად „ღირებულებით რაციონალურობას“ (value rationality) უნო-
დებენ. თუ საქართველო აფასებს და ირჩევს დამოუკიდებლო-
ბას, დემოკრატიული გადანყვეტილებების მოდელს, კარგ მმარ-
თველობასა და კანონის უზენაესობას მისი ეროვნული და ადა-
მიანური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მაშინ არ არსე-
ბობს არავითარი სხვა ვარიანტი, გარდა ევროპული სოციალუ-
რი, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მოდელისა.
ბევრი სხვა პერიფერიული ერის მსგავსად, საქართველოსთვის
ევროპა მოდერნიზაციასთან, პროგრესთან და კეთილდღეობას-
თან ასოცირდება. შესაბამისად, ევროკავშირი მოქალაქეების-
თვის და ლიდერებისთვის ლოგიკურად სტრატეგიული გადანყ-
ვეტილება იყო. საქართველო ეროვნულ ინტერესებს განსაზღ-
ვრავს, როგორც ევროპასთან მჭიდროდ დაკავშირებულს, რო-
მელსაც, ისევე, როგორც ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, ალ-
ტერნატივა არ გააჩნია.

ქვეყნის მიერ კულტურული თუ პოლიტიკური ტერმინების
გამოყენებით საკუთარი თავის ევროპულად იდენტიფიცირება
საკმარისი არ არის. აუცილებელია ამგვარი აღიარება დანარჩე-

¹ Alexandre Rondeli, 'The Choice of Independent Georgia', in *The Security of the Caspian Sea Region*, ed. Gennady Chufrin (Oxford: Oxford University Press, 2001), p. 195.

ნი მსოფლიოსგან, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებისგან **მოდოდეს**, რომლებიც ევროპულად ითვლება. საქართველოს ევროპული იდენტობის პოლიტიკურ პროექტად გადაქცევა და ბოლო ათწლეულის **განმავლობაში** მისი გააქტიურება, **რომლის ფარგლებშიც** ქვეყანა ნათლად აყენებს მისი ევროკავშირსა და ნატოში მისწრაფებისა და განწვრიანების საკითხს, **სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა**. საქართველოს ევროპულ სახელმწიფოდ აღიარება, ევროკავშირის გადანყვევტილების მიმღები პირებისთვის მისი **გაერთიანებაში** ინტეგრაციის ამბიციებისთვის ლეგიტიმურობის შესაძენად **გარკვეულ წინაპირობას წარმოადგენს**. ტონი ჯადტის დაკვირვებით, „დღეს ევროპასთან იდენტიფიცირება არაა საერთო წარსულთან, არამედ საერთო მომავალზე პრეტენზიის დამტკიცებასთან **არის დაკავშირებული**.“¹

თავის მხრივ, დასავლეთის საზღვრები საქართველოსთვის პერიოდულად იცვლებოდა. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, საქართველოსთვის უახლოესი დასავლური ქვეყანა რუსეთის იმპერია **იყო** (კულტურულად ახლოს მყოფი და მფარველი ძალა), რომლისთვისაც საქართველოს შექმლო სპარსეთისა და ოსმალეთისგან დასაცავად **მიემართა**. **საქართველოსთვის** მოსკოვი აღიქმებოდა, როგორც დასავლური ძალა, რომელიც ქართულ მართლმადიდებლურ ქრისტიანობას **იზიარებდა** და ქვეყნის ევროპასთან დაახლოება **შეეძლო**. მაშინ, ისევე როგორც დღეს, ქართველები ევროპულ ცივილიზაციას ხედავდნენ, როგორც პროგრესულს, მაღალგანვითარებულს და კულტურულად ახლოს მდგომს. მეცხრამეტე საუკუნეში ქართველი სტუდენტების არაერთმა თაობამ რუსეთის მოწინავე უნივერსიტეტებში დასავლური ინტელექტუალური ტენდენციები **აღმოაჩინა** და საბერძნეთისა და იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების შესახებ ინფორმაციის გაგებით **შთაგონება მიიღო**. ქართული ინტელექტუალური ელიტის დიდ ნაწილის

¹ Tony Judt, *Postwar: A History of Europe Since 1945* (London: Pimlico 2007) p. 753.

სჯეროდა, რომ საქართველოს გათავისუფლება რუსეთში ან მისი გავლით იყო შესაძლებელი. ეს დამოკიდებულება მხოლოდ 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლუციის შედეგად შეიცვალა, როდესაც რუსეთთან ქართული ინტელიგენციის ინტელექტუალური თუ კულტურული კავშირები განწყდა.

ბოლშევიკური მმართველობის პირველ წლებში, რუსეთმა ევროპასთან კავშირი დაკარგა, ხოლო საქართველომ ევროპული სოციალ-დემოკრატიის გზა და განვითარების დასავლური მოდელი აირჩია. საქართველოს პირველი ხანმოკლე რესპუბლიკა 1918-21 წლებში თავს პროგრესულ და ევროპულ ქვეყნად განსაზღვრავდა, რომელიც სოციალისტურ იდეებს, თანასწორობას და მონაწილეობით დემოკრატიას უჭერდა მხარს. ქვეყნის მმართველმა ძალამ - სოციალ დემოკრატებმა, მკაფიო ზღვარი გაავლეს მათსა და ბოლშევიკებს შორის, რომლებმაც რუსეთში დიქტატურა დაამყარეს და პროლეტარიატის სახელით სახელმწიფო სისტემის ცენტრალიზება შეძლეს. მალხაზ მაცაბერიძის სიტყვების მიხედვით, ბოლშევიზმი „გახდა „სხვა“, „აზიატური“ საფრთხე საქართველოს ევროპულ გზაზენ.¹ შესაბამისად, საქართველოსთვის რუსეთი ერთგვარ კედლად, დაბრკოლებად გადაიქცა. 1918-21 წლების პირველი რესპუბლიკის მთავრობა, დამოუკიდებლობის აღიარების მოპოვების მიზნით, გერმანიასა და ბრიტანეთთან ალიანსის დამყარებას ცდილობდა. მხოლოდ დასავლური დახმარება მისცემდა საქართველოს საშუალებას, თურქეთისა და ბოლშევიკური რუსეთისგან მომდინარე ორმაგი ზენოლისთვის გაეძლო.

რეიმსი მკაცრონადდი, რომელიც 1924 წელს დიდი ბრიტანეთის პირველი ლეიბორისტი პრემიერმინისტრი გახდა, 1920 წელს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სტუმრობ-

¹ Malkhaz Matsaberidze, 'The Democratic Republic of Georgia (1918-21) and the Search for the Georgian Model of Democracy', in *The Making of Modern Georgia, 1918-2012: The First Georgian Republic and Its Successors*, 1st ed., ed. Stephen F. Jones (Abingdon: Routledge, 2016), p. 141.

და. იგი აღფრთოვანებული იყო საქართველოს მიღწევებით და მოკავშირე მთავრობებს მოუწოდებდა, საქართველო ანტიბოლშევიკურ ფორპოსტად ელიარებინათ, რომელიც ახლო აღმოსავლეთში დასავლეთის სტრატეგიულ ინტერესებს დაიცავდა. სტივენ ჯონსის მიხედვით, მაკდონალდისთვის სულ მცირე სამი მიზეზი არსებობდა, რის გამოც ბრიტანეთის მთავრობას საქართველოსთვის მხარი უნდა დაეჭირა. პირველი, საქართველო ევროპის დემოკრატიულ მისწრაფებებს იზიარებდა; მეორე, მას ახლო აღმოსავლეთის მიმდებარედ მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა; მესამე, ის ნავთობისა თუ ტვირთებისთვის სატრანზიტო ჰაბი იყო.¹ მაკდოლადმა სამწუხაროდ ვერ შეძლო ყველას დარწმუნება და 1920 წლის ზაფხულში, ბრიტანეთის ჯარებმა საქართველო დატოვეს. 1921 წლის თებერვალში, ევროპული ძალებისგან მიტოვებული საქართველო წითელი არმიის მსხვერპლი გახდა.

მაკდონალდის დაკვირვებები საქართველოს შესახებ დღესაც საოცრად აქტუალურია, განსაკუთრებით, როდესაც ის საქართველოსთვის რეგიონით განპირობებულ მუდმივ გეოპოლიტიკურ შეზღუდვებზე საუბრობს. მას შემდეგ, რაც 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საქართველომ დამოუკიდებლობა აღადგინა, ქვეყანა დასავლეთისგან ევროპულ სახელმწიფოდ აღიარების მოპოვებას ცდილობს. ქვეყანა ცდილობს დასავლეთი საქართველოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ თუ სამხედრო (იგულისხმება დასავლური სამხედრო ძალების ქვეყანაში განლაგება) მნიშვნელობაში დაარწმუნოს. 90-იან წლებში, საქართველო, ძირითადად, ევროპის სივრცის მიღმა რჩებოდა. ქვეყანა განიხილებოდა, როგორ რუსეთის სფეროს განუყოფელი ნაწილი და დასავლეთს, კონკრეტულად კი ევროკავშირს, მასთან დაკავშირებით ინტერესები არ ჰქონია. 1998 წელს, ბრუნო კოპიტერსის დაკვირვებით, ევროკავშირი საქარ-

¹ Ibid.

თველოს ხედავდა არა როგორც ევროპულ ქვეყანას, არამედ როგორც პერიფერიულ სახელმწიფოს, ხიდს ევროპასა და აზიას შორის. მან ევროკავშირის პოლიტიკა საქართველოს მიმართ აღწერა, როგორც „კეთილგანწყობილი გულგრილობის“ გამოვლინება (benevolent indifference).¹

20 წლის შემდგომ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის მანძილი (როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით) საგრძნობლად შემცირდა. საქართველომ მონიწივე ადგილი დაიკავა ევროკავშირის დღის წესრიგში და კავშირის უახლოეს მეზობელ ქვეყნებთან ერთად ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებებს შეუერთდა. გაფართოების პროცესის საშუალებით, რუმინეთისა და ბულგარეთის განწევრიანებით ევროკავშირის საზღვრები საქართველოს კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდა და საქართველოს ახლა უკვე შეუძლია ევროკავშირთან საზღვაო საზღვრის ქონაზე ჰქონდეს პრეტენზია. დღეს საქართველო სარგებლობს DCFTA-ით და უვიზო მიმოსვლით, მონაწილეობას იღებს ევროკავშირის უამრავ პროგრამაში, მათ შორის სტრუქტურებისა და სამეცნიერო გაცვლით პროექტებში (ერასმუს+ and ჰორიზონტი ევროპა); მხარს უჭერს ევროკავშირის ხელმძღვანელობით სამშვიდობო მისიებსა და ოპერაციებს და არ ერიდება ისაუბროს წევრობის ამბიციებზე ყველა შესაძლო შემთხვევაში.

თუმცა, ამავე დროს, საქართველოს სუვერენული უფლება, თავისუფლად განსაზღვროს მოკავშირეები, შეუერთდეს საერთაშორისო სტრუქტურებს და გათავისუფლდეს რუსეთის გავლენის სფეროსგან, წინააღმდეგობაში მოდის მოსკოვის ინტერესებთან, რაც, თავის მხრივ, რეგიონში ძალაუფლების მოპოვების/პოლიტიკური გავლენის დამყარების კონკურენციას ამცირებს. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, აფხაზეთისა

¹ Bruno Coppieters, 'Georgia in Europe: The Idea of Periphery in International Relations', in *Commonwealth and Independence in Post-Soviet Eurasia*, ed. Bruno Coppieters et al. (London: Frank Cass, 1998), p. 65.

და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციამ, და 2014 წლის ყირიმის ანექსიამ ნათლად აჩვენა, რომ მოსკოვი მზად არის, რეგიონში დასავლური ინსტიტუტების გაფართოება ყველა საშუალებით, მათ შორის **სამხედრო ძალის გამოყენებითაც, შეაჩეროს**. საქართველოსა და უკრაინის მიმართ **მოსკოვის პასუხმა** ნათლად აჩვენა, რომ რუსეთი მსოფლიოს პოლიტიკური კონკურენციისა და ძალაუფლებისთვის ბრძოლის პერსპექტივიდან **უყურებს**. შესაბამისად, ის ევროკავშირთან რეგიონის ქვეყნების სიახლოვეს პოლიტიკურ გამონწვევად აღიქვამს და საკუთარი სტრატეგიული ინტერესების სანინააღმდეგოდ მიიჩნევს. მოსკოვს აქვს **იმის** პრეტენზია და მოლოდინი, რომ სხვები რეგიონში მის განსაკუთრებულ როლს აღიარებენ და პატივს სცემენ. რუსეთის შეხედულებით, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობა და ასოცირების შეთანხმებები რეგიონში ევროკავშირის რეალურ განზრახვებს **მალავენ** - გაავრცელოს თავისი გავლენა აღმოსავლეთში და დაუპირისპირდეს რუსეთის ტრადიციულ დომინირებას.

ზემოაღნიშნული ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ევროპასთან საქართველოს გეოგრაფიული სიშორე და კულტურული კუთვნილება აღქმის საკითხია და ცვლილებას ექვემდებარება. **მიუხედავად მათი მნიშვნელობისა**, გეოკულტურული ფაქტორები არ შეიძლება ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოსთვის გადაულახავ დაბრკოლებად **მივიჩნიოთ**. თუმცა, როცა საქმე გეოპოლიტიკურ კონკურენციას ეხება, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სისტემური და, შესაბამისად, უფრო მდგრადი ფაქტორი, რომელიც ხშირად არასასურველ შედეგებს იწვევს. საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა სკოლები საერთაშორისო სისტემის მუშაობას **განსხვავებულად ხსნიან**. ნეოლიბერალიზმის მიხედვით, რეგიონში ევროკავშირსა და რუსეთს შორის დაპირისპირება **იმით აიხსნება**, რომ ძალთა ბალანსი და სახელმწიფოთშორისი კონკურენცია საერთაშორისო სისტემის საფუძველს **წარმოადგენს** და ქვეყნებისთვის მანევრირების

საზღვრებს განსაზღვრავს. ისეთი ნორმატიული პრინციპები, როგორებიცაა სუვერენულობა და არჩევანის თავისუფლება, ძალაუფლებისთვის საერთაშორისო ბრძოლის კონტექსტში აქტუალობას კარგავენ.

საქართველო, ევროკავშირი და რეალპოლიტიკის „დაბრუნება“

ნეორეალიზმი, რომელმაც ცივი ომის შემდგომ პერიოდში წამყვანი პოლიტოლოგიური თეორიის გავლენა დაკარგა, ბოლო წლებში კვლავ გაძლიერდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთმა სამეზობლოში და მის ფარგლებს გარეთ საკუთარი პოზიციების გამყარება დაიწყო. ჯონ მირშაიმერის მიხედვით, უკრაინის პოლიტიკა, რუსეთის ზღურბლთან დასავლური კურსი აერჩია, „ლიბერალური ბოღვით“ იყო ნაკარნახევი და უგუნურ პროვოკაციად უნდა ჩაითვალოს. მისი აზრით, მსოფლიო უნდა შეეგუოს, რომ რუსეთი საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად მოქმედებს და უკრაინის დასავლურობის იდეაზე უარი თქვას, მის ნაცვლად კი ის ნეიტრალურ ბუფერულ ზონად გადააქციოს. როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოთა სურვილებს, როგორიცაა მაგალითად უკრაინა და საქართველო, და მათ ამბიციებს, გამოიყენონ თავიანთი სუვერენული უფლება, თუნდაც ის თავისი არსით დიდი მეზობლის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს, მეარშიმერი ამტკიცებს, რომ ამგვარი საგარეო პოლიტიკა პატარა ქვეყნებისთვის სახიფათოა.

აბსტრაქტული უფლებები, როგორიცაა თვითგამორკვევა, დიდნილად უაზროა, როდესაც ძლიერი სახელმწიფოები სუსტებს უპირისპირდებიან. სუსტი სახელმწიფოების ინტერესებში უნდა იყოს, რომ გაიგონ ცხოვრების ეს ძირითადი პრინციპი და

ფრთხილად იმოქმედონ, როდესაც საქმე ძლიერ მეზობელ სახელმწიფოებს ეხება.¹

ევროკავშირი არ აპირებს მოსკოვთან დაპირისპირებას. მას არ შეუქმნია აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა, როგორც გამონვევა და კონკურენციის საბაზი რუსეთისთვის. თუმცა, მოსკოვმა ის ზუსტად ასეთად აღიქვა. ვიგანდისა და შულცის მიხედვით, მოსკოვის შიშები მეტწილად გადაჭარბებული იყო მას შემდეგ, რაც AA/DCFTA-ს ხელმოწერით ევროპაში ახალი გამყოფი ხაზები კი არ შეიქმნა, არამედ, ტრადიციული კავშირების განყვეტის გარეშე დამატებით ეკონომიკურ შესაძლებლობებს შეეწყო ხელი.² მოსკოვი ამ ყველაფერს პირდაპირ გამონვევად აღიქვამდა და როგორც კადრი ლიკი ამბობს, რუსეთმა სწორედ ამის გამო არ დაიშურა ძალისხმევა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ასოცირების ხელშეკრულებების შესაჩერებლად.³ მან სომხეთი აიძულა, ევროკავშირზე უარი ეთქვა და სანაცვლოდ მას ევრაზიული კავშირი შესთავაზა.⁴

¹ John Mearsheimer, 'Why the Ukraine Crisis is the West's Fault', *Foreign Affairs*, September–October 2014, www.foreignaffairs.com/articles/russia-fsu/2014-08-18/why-ukraine-crisis-west-sfault (accessed 8 June 2020).

² Gunnar Wiegand and Evelina Schulz, 'The EU and Its Eastern Partnership: Political Association and Economic Integration in a Rough Neighbourhood', in *Trade Policy between Law, Diplomacy and Scholarship*, ed. Christoph Herrmann et al. (Cham: European Yearbook of International Economic Law, Springer, 2020).

³ Kadri Liik, 'How the EU Needs to Manage Relations with Its Eastern Neighbourhood', Carnegie Endowment for International Peace, 23 August 2017, <https://carnegieendowment.org/2017/08/23/how-eu-needs-to-manage-relationships-with-its-easternneighborhood-pub-72883> (accessed 8 June 2020).

⁴ აღმოსავლეთ სამეზობლოში ევროკავშირის აქტიური ჩართულობის პარალელურად, რუსეთმა ევრაზიის ეკონომიკური სივრცე ჩამოაყალიბა - საპირწონე ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმატი, რომელიც პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს იწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთმა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულა, 2013 წლის ვილნიუსის სამიტის წინ, რუსეთისგან მომდინარე წნეხის გავლენით, სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქი-სიანმა განაცხადა, რომ სომხეთი ასოცირების შესახებ შეთანხმებას

უკრაინა პრეზიდენტი იანუკოვიჩის ხელისუფლების პერიოდში იმავს გაკეთებას აპირებდა, სანამ კიევში პროტესტი არ დაიწყო და ეს კურსი კარდინალურად არ შეცვალა ახალმა პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ, რომელმაც ქვეყანა ევროკავშირთან ასოცირების გზას დაუბრუნა. მან ეს ყველაფერი მოსკოვის გაფრთხილებების მიუხედავად გააკეთა, რომელიც ამბობდა, რომ უკრაინის მიერ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა და ევროკავშირში ინტეგრირების არჩევანი ქვეყნისთვის „კატასტროფულ შედეგებს“ მოიტანდა და უკრაინა რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი ველარ იქნებოდა.¹

ბრიუსელის „რეალისტების“ თქმით, რუსეთისთვის უკრაინის სტრატეგიული მნიშვნელობის არასათანადოდ შეფასება უპატიებელი იყო. გერმანული გამომცემლობა Spiegel-ის მიხედვით, ევროპელებმა ვერ წარმოიდგინეს, თუ რამდენად შორს შეედქლო რუსეთს ნასვლა უკრაინასა და დასავლეთს შორის მჭიდრო კავშირის თავიდან ასარიდებლად. მათ რუსეთის შეშფოთება და გაფრთხილებები სერიოზულად არ მიიღეს, რადგან რუსული პოზიცია უბრალოდ არ ჯდებოდა ევროპულ მსოფლმხედველობაში. „რუსეთი და ევროპა ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, მაგრამ ერთმანეთის არ ესმოდათ. ეს იყო ორი განსხვავებული საგარეო პოლიტიკური კულტურის შეტაკება.“² უფრო მეტიც, ეს იყო ნიშანი, რომ დიდი ძალების კონკურენცია ცივი ომის დასრულების შემდგომ არ გამქრალა.

ამის მიუხედავად, საქართველოს პრიორიტეტები ევროკავშირის მიმართ არ შეცვლილა, არც რუსეთის პასუხი ყოფილა

ხელს არ მოაწერდა და ამის სანაცვლოდ, რუსეთის ინიციატივით შექმნილ ევრაზიულ კავშირს შეუერთდებოდა.

¹ გაფრთხილება სერგეი გლაზიევმა, პუტინის ეკონომიკურმა მრჩეველმა, 2013 წლის აგვისტოში გააჟღერა. იხილეთ, *Spiegel online*; see also Glaziev's interview to *Kommersant*, 3 September 2013.

² 'How the EU Lost Russia over Ukraine', *Spiegel online*, 24 November 2014, www.spiegel.de/international/europe/war-in-ukraine-a-result-of-misunderstandings-between-europe-and-russia-a-1004706.html (accessed 8 June 2020).

თბილისისთვის **მოულოდნელი**. საქართველო ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციისკენ **მიისწრაფვის**, ცდილობს რუსეთს **ჩამოშორდეს** და ქვეყნის უსაფრთხოება, განვითარება და კეთილდღეობა **უზრუნველყოს**. მიუხედავად ამ პოლიტიკასთან დაკავშირებული ხარჯებისა და რისკებისა, ყველა სხვა ალტერნატიული ნაბიჯი შეუთავსებელია საქართველოს ისტორიულ და კულტურულ არჩევანთან. ნეორეალისტური მიდგომის სისუსტე ის არის, რომ ვერ ხსნის, თუ რატომ დგამენ ქვეყნები გარკვეულ ნაბიჯებს, რა განაპირობებს მათ არჩევანს და როგორ შეიძლება ამ ნაბიჯების პროგნოზირება. საერთაშორისო სისტემამ შეიძლება შეზღუდოს, განაპირობოს და ჩარჩოში მოაქციოს სახელმწიფოების ქმედებები, მაგრამ სისტემა სრულად ვერ განსაზღვრავს ქვეყნების მიერ გაკეთებულ პოლიტიკურ არჩევანს. ნეორეალიზმი ქვეყნების შიდა პოლიტიკურ პროცესებსა და ისტორიულ თუ კულტურულ მისწრაფებებს **უგულბელოვს**. დღეს ევროკავშირში ინტეგრირებას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, რომ ვერცერთი პოლიტიკური ძალა ამ მისწრაფებას გვერდს **ვერ აუვლის** და საკითხი კვლავ რჩება პოლიტიკურ დღის წესრიგში. **საქართველოსთვის** ევროკავშირის მთავარი ხიბლი მრავლმხრივ თანამშრომლობაზე და არა პოლიტიკურ დომინირებაზე დამყარებულ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს **უკავშირდება**, რომელსაც ევროკავშირი ეფუძნება. **საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნებისთვის** ამგვარ გაერთიანებაში განევრიანება თვითგადარჩენის სტრატეგიასა და ისტორიულ აუცილებლობას **წარმოადგენს** ისევე, როგორც **მორალურ არჩევანს**. აქედან გამომდინარე, გადანყვევტილების მიმღები პირები და საზოგადოება მეტწილად მზად არიან, ევროპულ მომავალთან დაკავშირებული ხარჯები **გაიღონ**.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ნათლად აჩვენა, რომ მოსკოვი მზად იყო თავისი გეოსტრატეგიული ინტერესების დასაცავად **ძალა გამოეყენებინა**. თუმცა, ბრიუსელში

ბევრს სჯეროდა, რომ რუსეთისთვის წითელი ხაზი ნატოს წევრობაზე გადიოდა, ხოლო ევროკავშირთან ინტეგრაცია მისთვის უფრო მისაღები იყო.¹ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველო უფუნურად მოიქცა, როდესაც რუსეთის მოთმინება ნატოში განევრიანების მტკიცე სურვილით **გამოსცადა**. შესაბამისად, დასავლეთის საერთო პასუხი რუსეთის აგრესიაზე სუსტი და ხანმოკლე, ერთჯერადი მოვლენა **იყო**, რომელიც ნაკლებად სავარაუდო იყო, კიდევ განმეორებულიყო. ამგვარი შეხედულების გაბატონების გათვალისწინებით, უკრაინის მიერ ევროკავშირთან სავაჭრო კავშირების გაძლიერებაზე **მოსკოვის ძალადობრივი პასუხი** ბევრისთვის მოულოდნელი იყო.² ამჯერად ევროკავშირმა რუსეთს სანქციების დაწესებით უპასუხა, გერმანიამ და საფრანგეთმა კი კონფლიქტის მოგვარების მცდელობა დაიწყეს ე.წ. ნორმანდიული ფორმატის დახმარებით.³

¹ ამგვარი რწმენა მთლად საფუძველს მოკლებული არ იყო, რამდენადაც 2004 წელს, პუტინმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ნატოს გაფართოების მიმართ წინააღმდეგობას, თუმცა ევროკავშირის გაფართოების პროცესთან დაკავშირებით დადებითი მოსაზრებები გამოთქვა. Press conference following talks with Spanish Prime Minister Zapatero, 10 December 2004 as cited in Wiegand and Schulz, p. 22.

² იმის დეტალური ანალიზისთვის, თუ როგორ გაუმკლავდა ევროკავშირი უკრაინის შემთხვევას ვილნიუსის სამიტის წინა პერიოდში, იხილეთ *Spiegel* -ის სტატია, 'How the EU lost Russia over Ukraine', *Spiegel online*, November 2014, www.spiegel.de/international/europe/war-in-ukraine-a-result-of-misunderstandings-between-europe-and-russia-a-1004706.html (accessed 8 June 2020).

³ ფორმატი 2014 წლის 6 ივნისს შეიქმნა, როდესაც ფრანგი, გერმანელი, რუსი და უკრაინელი ლიდერები ერთმანეთს მოკავშირეების 'ოპერაცია ნეპტუნის' (D-Day ან ნორმანდიის დესანტი) მეჩვიდმეტე წლისთავის მონახლოებისას შეხვდნენ. ეს კრიზისის დაწყების შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინსა და უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს შორის პირველი შეხვედრა იყო. ნორმანდიის ფორმატი არ მოიცავს არც აშშ-სა და ევროკავშირს, და არც რომელიმე სხვა ევროპულ სახელმწიფოს საფრანგეთისა და გერმანიის გარდა.

ევროკავშირმა დაინახა, რომ მისი სამეზობლო პოლიტიკის გასატარებლად, მას რუსეთთან დაპირისპირების ხარჯების უკეთესი შეფასება **სჭირდებოდა**. როგორც ჩანს, ევროპელ პოლიტიკოსებს შორის მზარდი კონსენსუსი **არსებობს** იმის თაობაზე, რომ რუსეთი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში, მათ შორის **აღმოსავლეთ პარტნიორობის** ფარგლებში **გათვალისწინებული უნდა იყოს**. ნაკლებად არსებობს კონსენსუსი იმ საკითხზე, თუ როგორ, რა პირობებში, ან რომელი წესების მიხედვით უნდა მოხერხდეს ეს. თუ **2008** წელს საქართველოში შემოჭრით, რუსეთმა წარმატებით შეაფერხა საქართველოს გზა ნატოს წევრობისკენ, ყირიმის ანექსიითა და აღმოსავლეთ უკრაინაში **ომით**, მოსკოვმა მოახერხა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის შეფერხება აღმოსავლეთის მიმართულებით და შეამცირა საქართველოსა და უკრაინის განწევრიანების შანსები უახლოეს მომავალში. როგორც საქართველოს, ისე უკრაინის შემთხვევაში, რუსეთმა **გადაუჭრელი** ტერიტორიული კონფლიქტების შექმნაში **თავისი წვლილი შეიტანა**, რამაც ევროკავშირსა და ნატოში ამ ქვეყნების ინტეგრაციის გზა **საგრძნობლად გაართულა**.

შედეგად, შეიძლება **ითქვას**, რომ საქართველოთვის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში განწევრიანების ყველაზე რთული და რეალური დაბრკოლება **გეოპოლიტიკური ხასიათისაა**, მიუხედავად იმისა, რომ მისი ფორმირება შესაძლოა გეოგრაფიული და კულტურული ფაქტორებით **მოხდეს**. როგორც ჩანს, ევროკავშირი და მისი წევრები საქართველოს მხარდაჭერის აუცილებლობაზე **ვერ თანხმდებიან**, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს **რუსეთთან ძვირადღირებულ დაპირისპირებას გულისხმობს**. თუმცა საქართველოს წინაშე არსებული გეოპოლიტიკური დაბრკოლებები მხოლოდ რუსეთთან **არ არის** დაკავშირებული. ეს, ასევე, მოიცავს ევროკავშირის შიდა განხეთქილებებს და გამოწვევებს, რომლებიც ევროკავშირის საერთო ინტერესის და მისი, როგორც გლობალური აქტორის როლის განსაზღვრას **კიდევ უფრო ართულებენ**.

დასკვნა: საქართველო ასოცირებასა და ევროკავშირის (არა)წევრობას შორის

ევროკავშირი, ტრადიციულად, თავის თავს ნორმატიულ პოლიტიკურ ძალად **წარმოაჩენს**, რომელიც გლობალურ **საკითხებში** მულტილატერალიზმს და ასევე, საგარეო პოლიტიკაში ნორმებსა და ღირებულებებს **უჭერს მხარს**. დღევანდელ კონკურენტულ მსოფლიოში, როდესაც ევროკავშირი რუსეთის, ჩინეთისა და, გარკვეულწილად, აშშ-ის მხრიდან გამონეწევის წინაშე დგას, **შესამჩნევია**, რომ ღირებულებებზე დაფუძნებულ საგარეო პოლიტიკას ინტერესებზე დაფუძნებული პოლიტიკა ცვლის. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ორივე დოკუმენტი: გლობალური სტრატეგია და სამეზობლო პოლიტიკის მიმოხილვა, ნორმატიული მიდგომის რეალპოლიტიკასთან უფრო მეტად მიახლოებული მიდგომით ჩანაცვლებას ასახავს.¹ იმ კონფლიქტების გათვალისწინებით, რომლებმაც მოიცვა ევროკავშირის სამეზობლო როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით, ახალი დოკუმენტები უფრო მეტად არის ფოკუსირებული სტაბილიზაციასა და უსაფრთხოებაზე.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის მიმოხილვა ცალკეულ სახელმწიფოებთან ორმხრივ ინტერესებზე დაფუძნებულ თანამშრომლობას **უსვამს ხაზს** და აღარ ცდილობს სამეზობლოს მხოლოდ საკუთარ მოდელზე დაფუძნებით **გარდაქმნას**. დოკუმენტი აღნიშნავს, რომ გარკვეული გამონეწევები რეგიონში სხვა ძალების ჩართულობით **უნდა გადაიჭრას** და „მეზობელი სახელმწიფოების მეზობლებთან“ თანამშრომლობის მნიშ-

¹ Steven Blockmans, 'The Obsolescence of the European Neighbourhood Policy', Centre for European Policy Studies (CEPS), 9 October 2017, www.ceps.eu/ceps-publications/obsolescenceeuropean-neighbourhood-policy/ (accessed 8 June 2020).

ვენლობაზე **საუბრობს**. აღმოსავლეთ სამეზობლოში ეს რუსეთს და, სავარაუდოდ, თურქეთს **გულისხმობს**. გარდა ამისა, აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მმართველობის პერიოდში წამოჭრილი გამოწვევების კვალდაკვალ, ევროკავშირმა საკუთარი თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს და მისი, როგორც საერთაშორისო აქტორის როლის განსაზღვრას **გაცილებით დიდი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს**.

ძალაუფლება-პოლიტიკური კონკურენციის კონტექსტში, უმნიშვნელოვანესია, უნიტარულ აქტორს მკაფიოდ განსაზღვრული ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები **ჰქონდეს**. ევროკავშირში, **რომელიც 27 ქვეყანას აერთიანებს**, ყველაფერი გაცილებით რთულადაა, ვინაიდან თითოეულ წევრს განსხვავებული პრიორიტეტები, სხვადასხვა ტიპის ლიდერები და შიდა ინტერესთა ჯგუფები ჰყავს. შესაბამისად, რთულია საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება. ევროკავშირის შიდა გამოწვევები, **მიგრაციის კრიზისიდან დაწყებული ბრექსიტით დამთავრებული**, ამ დაყოფას კიდევ უფრო ამძაფრებს. ევროკავშირში ეკონომიკური საკითხების საფუძველზე ჩრდილოეთად და სამხრეთად დაყოფა **ხშირად ხდებოდა**. მიგრაციის კრიზისმა და შეუთანხმებლობამ **იმასთან დაკავშირებით**, თუ როგორ უნდა გადაეჭრათ მიგრანტებისა და ლტოლვილების საკითხი, აღმოსავლეთ-დასავლეთის დაყოფა **გაამძაფრა**. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დემოკრატიული სტანდარტებისა და კანონის უზენაესობის შესუსტებამ, გარკვეულ შემთხვევებში, ევროკავშირის შიგნით დაძაბულობა და სამომავლო გაფართოებასთან დაკავშირებული შეუთანხმებლობა **კიდევ უფრო გაამწვავა**. როგორც სტიფან ლენმა გაფართოების პოლიტიკასთან დაკავშირებით აღნიშნა, „რაც ადრე ისტორიულ მიღწევად ითვლებოდა, ახლა უფრო მეტად კრიტიკულად განიხილება. დასავლეთ ევროპაში ხშირად გავიგებთ მოსაზრებას, რომ ევროკავშირი ძალიან შორს

და სწრაფად გაფართოვდა. უფრო მეტიც, ზოგს ადრინდელი „კაროლინგური“ კავშირის მიმართ **ნოსტალგია აქვს**.¹

ზემოთ განხილული თემები საქართველოს ევროკავშირში განვერიანების პერსპექტივისგან **კიდევ უფრო აშორებს**. მზარდი კონკურენტული გლობალური ურთიერთობებისა და შიდა განხეთქილებების კონტექსტში, გაცილებით რთული იქნება ყველა წევრი ქვეყნის **იმაში** დარწმუნება, რომ საქართველოს ევროკავშირში მიღება ევროკავშირის ინტერესებს ემსახურება. გარდა ამისა, დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვებამ და წევრ სახელმწიფოებში ევროსკეპტიციზმის ზრდამ, ევროპის მოქალაქეებს შორის ევროპული პროექტის ეფექტურობისა და მიმზიდველობის **გადაფასება** განაპირობა. ამ ყოველივემ შესაძლოა ევროკავშირის გლობალური როლი და მისი ამბიციები **შეზღუდოს** და გაფართოების შეფერხება **გამოინვიოს**, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც **ბრექსიტის შემდგომ** ევროკავშირის ფორმაზე **დისკუსიები კვლავ მიმდინარეობს**.

ფაქტია, რომ საქართველოს მხრიდან ევროპული ღირებულებები აღიარებულია, თუმცა ევროკავშირის ამისთვის სათანადოდ არ უპასუხია.² ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერით, ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური დაახლოება და ეკონომიკური ინტეგრაცია **მიმდინარეობს**. ზოგიერთი წევრი ქვეყანა მხარს უჭერს გაფართოების პოლიტიკასა და საქართველოს ევროპულ პერსპექტივას; ევროპარლამენტმა ეს **მოსაზრება** მის სხვადასხვა რეზოლუციაში **არაერთხელ დააფიქსირა**. თუმცა მთელი რიგი გეოკულტურული, გეოპოლიტიკური და შიდაევროპული მიზეზების გამო, **არ არსებობს საქართვე-**

¹ Stefan Lehne, 'Europe's East-West Divide: Myth or Reality?', Carnegie Europe, 11 April 2019, <https://carnegieeurope.eu/2019/04/11/europe-s-east-west-divide-myth-or-reality-pub-78847> (accessed 8 June 2020).

² Council of the European Union, Joint Declaration of the Eastern Partnership Summit, 24 November 2017, Brussels; Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia.

ლოს წევრად გახდომასთან დაკავშირებული ერთიანობა. ზოგიერთი დაბრკოლება არსებული გარემოებებით არის განპირობებული, ზოგი კი ევროკავშირს ან საერთაშორისო სისტემას უკავშირდება. მიუხედავად წინააღმდეგობებისა, ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველომ შეძლო და ევროკავშირს დაუახლოვდა. ლოგიკური იქნებოდა აღნიშნული მიმართულებით სვლის გაგრძელება, იმ გარემოებების გათვალისწინების პარალელურად, რომლებიც ევროკავშირის წევრობას აფერხებს.

საქართველომ უნდა აჩვენოს თავისი აქტუალობა და გეოპოლიტიკური სარგებლიანობა ევროკავშირისთვის, იმავდროულად კი განაგრძოს იმის მტკიცება, რომ ის პროგრესული ევროპული სახელმწიფოა. ეს ყველაფერი ევროკავშირისთვის შექმნის სირთულეს - არ „მიატოვოს“ ევროპული ინტეგრაციის გზაზე მყოფი ქვეყანა. ამგვარი სცენარი ტრადიციული ასოცირება-შეერთება-ტრანსფორმაციის გზის შეცვლაზე მიუთითებს. საქართველოს შემთხვევაში, ქვეყანა ასოცირების მსგავსი ინსტრუმენტების გამოყენებით და საჭიროების შემთხვევაში, ახალი კავშირების დამყარებით, ჯერ თავისი ტრანსფორმაციით ევროკავშირისთვის მომზიბვლელი უნდა გახდეს და მხოლოდ ამის შემდგომ მიიღებს ის განწევრიანების იმედს. საბოლოო შედეგის პროგნოზირება რთულია, თუმცა ამ პროცესში საქართველომ უნდა შეძლოს ევროპული სტილის ინსტიტუციური დემოკრატიის შექმნა, რაც, ნებისმიერ შემთხვევაში, წარმოადგენს მისი ძალისხმევის საბოლოო მიზანს - საქართველო ევროპის ნაწილი გახდეს.

თავი 8

უსაფრთხოება, სოლიდარობა და სპეციალიზაცია: რატომ უჭერენ მხარს პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას

ბიძინა ლებანიძე
რენატა სკარჯუტე-კერესელიძე

ეს თავი მიზნად ისახავს კვალდაკვალ გაჰყვეს საქართველოს ურთიერთობების ევოლუციას ბალტიისპირეთის სახელმწიფოებსა (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი) და პოლონეთთან, რათა გამოიკვლიოს ამ უკანასკნელთა მიერ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის მიზეზები. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ **საქართველოს მიმართ** პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა სამი ურთიერთდაკავშირებული და თანაბრად მნიშვნელოვანი ფაქტორით **არის განპირობებული**: უსაფრთხოების საკითხები, იდეოლოგიური მსგავსება და სურვილი, ხაზი გაუსვან თავიანთ გავლენასა და დამოუკიდებლობას ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო). ამ სამი ფაქტორის კომბინაცია ხსნის, თუ რამ განაპირობა დროთა განმავლობაში პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ჩამოყალიბება საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის და რუსული გავლენის სფეროდან გათავისუფლების ერთგულ მხარდამჭერებად.

სტატიაში დიდ ყურადღებას ვუთმობთ უსაფრთხოების საკითხების ანალიზს, რადგან ბალტიისპირეთის ქვეყნების შემთხვევაში ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. აკადემიურ ლიტერატურასა და ალიანსების ჩამოყალიბების შესახებ კვლევებში მიჩნეულია, რომ უსაფრთხოების ინტერესები და

საფრთხეების მსგავსი შეფასება დიდწილად განაპირობებს პატარა და საშუალო ქვეყნების საგარეო პოლიტიკას¹. სტივენ უოლტის საფრთხის ბალანსის თეორიაზე ნაწილობრივ დაყრდნობით² ვასკენით, რომ რუსეთის, როგორც საერთო საფრთხის შეფასება და ამ საფრთხის ბალანსის საჭიროება, პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს სამეზობლოში მოკავშირეების ძიებისკენ უბიძგებს. უოლტის თეორიის მიხედვით, შედარებით სუსტი სახელმწიფოები მიდრეკილი არიან დაბალანსონ საფრთხეები იმ ქვეყნებთან კავშირებით, რომელთაც საფრთხეების მსგავსი შეფასება აქვთ³. ამ კონტექსტში, საქართველო და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა პროდასავლური ქვეყნები⁴ ერთსა და იმავე მოლოდინებს იზიარებენ. მათ აქვთ საგარეო პოლიტიკის მსგავსი ამოცანები და საფრთხეების შეფასება. ისინი ერთმანეთს ბუნებრივ მოკავშირეებად მოიაზრებენ. ამ არგუმენტის გასამყარებლად ვანალიზებთ, თუ როგორ ყალიბდება საფრთხეების შეფასება და ალიანსის პოლიტიკა უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის დოკუმენტებსა და სხვა პირველად წყაროებში როგორც პო-

¹ პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ქცევის შესახებ იხილეთ, Kenneth N. Waltz, *Theory of International Politics* (Long Grove, IL: Waveland Press, 2010); Robert Jervis, 'Cooperation under the Security Dilemma', *World Politics*, 30: 2 (1978), pp. 172-73; Robert O. Keohane, 'Lilliputians' Dilemmas: Small States in International Politics', *International Organisation*, 23:2 (1969), pp. 291-310; Robert L. Rothstein (1968) *Alliances and Small Powers* (New York: Columbia University Press, 1968); David Vital, *The Inequality of States* (Oxford: Oxford University Press, 1968).

² Stephen M. Walt, 'Testing Theories of Alliance Formation: The Case of Southwest Asia', *International Organization*, 42:2 (1988), pp. 275-316; Stephen M. Walt, *The Origins of Alliances* (Ithaca, NY: Cornell University Press, 1990); Stephen M. Walt, 'Why Alliances Endure or Collapse', *Survival*, 39: 1 (1997), pp. 156-179; Stephen M. Walt, 'Alliances in a Unipolar World', *World Politics*, 61: 1 (2009), pp. 86-120.

³ Walt (1988).

⁴ აღმოსავლეთ პარტნიორობა 2009 წელს შეიქმნა. ის ევროკავშირისთვის აღმოსავლეთ სამეზობლოსთან ახლო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბების საშუალებას წარმოადგენს.

ლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ისე საქართველოში. უსაფრთხოების საკითხების გარდა, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საქართველოსთან ახლო კავშირი განპირობებულია მათი სურვილით, გაიუმჯუღებესონ საკუთარი პოზიცია და ფარდობითი ძალა ევროკავშირსა და ნატოში. მათ სურთ თავი წარმოაჩინონ, როგორც მთავარმა აქტორებმა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში¹. ეს განსაკუთრებით მიემართება პოლონეთს, რომლის ინტერესებიც სამხრეთ კავკასიის რეგიონში ყოველთვის განპირობებული იყო დასავლურ საზოგადოებაში ერთგვარი ნიშის დაკავების სურვილით. შესაბამისად, როგორც შესავალში ტრეისი ჯერმანი და კორნელი კაკაჩია ამტკიცებენ, სტატუსის ძიება პატარა და საშუალო ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს, რაც საქართველოს, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითზეც მტკიცდება². დაბოლოს, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების უსაფრთხოების შესახებ დისკუსიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ასევე, იდეოლოგიურ სიახლოვეს. ევროპული და ლიბერალური დემოკრატიის ღირებულებები, რომლებსაც ისინი საქართველოსთან იზიარებენ, უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის დოკუმენტებში პრიორიტეტულია, რაც მიზნად ისახავს, აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიული არეალის გაფართოებას რაც შეიძლება მეტი ქვეყნის ჩართულობით. საქართველოს მიერ პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მხარდაჭერის დადებითი მიმღებლობაც ამავე მიზეზებითაა განპირობებული: რუსეთის, როგორც საფრთხის მთავარი წყაროს შეფასება,

¹ სხვათა შორის, ამ არგუმენტს ბევრი სხვა ავტორი იმეორებს. მაგალითისთვის იხილეთ: Mariam Apriashvili, 'Baltic Support for Georgia: Solidarity, Niche, and Security Policies', *Research Paper Series No. 4* (Tbilisi: Georgian Institute of Politics, 2017); Vahur Made, Shining in Brussels? The Eastern Partnership in Estonia's Foreign Policy, *Perspectives*, 19: 2 (2011), pp. 67- 79.

² Kakachia Kornely and Tracey German, 'Georgia: Achieving Security as a Small State', in *Georgia's Foreign Policy in the 21st Century: Challenges for a Small State*, pp. 28-49.

იდეოლოგიური სიახლოვე და მისწრაფება გაიაროს ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის მსგავსი გზა, რომელიც, ასევე, მხარდაჭერილია ევროკავშირის სხვა ქვეყნების მიერ.

ჩვენი კვლევა პირველადი წყაროების თვისობრივ კონტენტანალიზს **ეყრდნობა**: შევისწავლით საქართველოს, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ოფიციალურ დოკუმენტებს, როგორცაა საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიები, ასევე, მაღალი რანგის საჯარო პირების გამოსვლები, ინტერვიუები და განცხადებები. გამოყენებულია მეორადი წყაროები - ძირითადად აკადემიური სტატიები, პოლიტიკის დოკუმენტები, ასევე, მედიაში გამოქვეყნებული სტატიები. მიმოვიხილავთ საქართველოს, პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობების განვითარებას და ვაფასებთ ფაქტორებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მჭიდრო თანამშრომლობას. სტატია კვლევს შეზღუდვებისა და შესაძლო შედეგების შესახებ დისკუსიით **სრულდება**.

პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მხარდაჭერა საქართველოსადმი

ბალტიისპირული და პოლონური სოლიდარობა საქართველოს მიმართ ღრმა ისტორიულ ფესვებს **ემყარება**. 1918-21 წლებში, როდესაც საქართველომ რუსეთის იმპერიისგან მოკლე ვადით მოიპოვა დამოუკიდებლობა, პოლონეთმა და საქართველომ ახლო პოლიტიკური და დიპლომატიური კავშირები **დაამყარეს**. მათ, ასევე, განიხილეს სამხედრო ალიანსის შექმნის შესაძლებლობაც¹. მოგვიანებით, როდესაც საქართველო კვლავ იქნა ანექსირებული საბჭოთა რუსეთის მიერ, პოლონეთმა დაიწყო ქართველი სამხედრო პერსონალის წვრთნა პო-

¹ Andriy Rukkas, 'Georgian Servicemen in the Polish Armed Forces (1922-39)', *The Journal of Slavic Military Studies*, 14: 3 (2001), pp. 93-106.

ლონურ სამხედრო სასწავლებლებში¹. ქართველებს შორის იყო დიმიტრი შალიკაშვილი, ჯონ მალხაზ შალიკაშვილის მამა, რომელიც მოგვიანებით აშშ-ში თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობას იკავებდა.² რუსეთთან უარყოფითი დამოკიდებულებით გამონეულ სოლიდარობასთან ერთად, პოლონეთის ისტორიული მხარდაჭერა ქართველი სამხედროების მიმართ საბჭოთა საფრთხის შეკავების სურვილით იყო განპირობებული:

პოლონელები იმედოვნებდნენ, რომ საბჭოთა კავშირთან სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში, ძლიერი ქართული ჯარი მათ გვერდით დადგებოდა გამოცდილი სარდლობით ლეიტენანტიებიდან დაწყებული გენერლებით დასრულებული, რომლებსაც ექნებოდათ ბრძოლის გაძლოის უნარი.³

უსაფრთხოების ფაქტორებით აიხსნება საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921) ადრეული მცდელობაც მჭიდრო ურთიერთობები და სამხედრო კავშირები დაემყარებინა რაც შეიძლება მეტ ევროპულ ქვეყანასთან. როგორც ნიგნის შესავალ ნაწილში სტივენ ჯონსი ამტკიცებს, „საქართველო დაინტერესებული იყო მოეზიდა დასავლური მხარდაჭერა (protection) და ინვესტიციები ახალგაზრდა სახელმწიფოში“.⁴ პოლონეთის მსგავსად, ისტორიული კავშირები ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და საქართველოს შორის ურთიერთსოლიდარობასა და რუსეთის/საბჭოთა იმპერიის მიმართ საერთო საფრთხის შეფასებაზე იყო დაფუძნებული. ბალტიისპირეთის ქვეყნების მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა კავშირის არსებობის მიწურულს, როდესაც ბალტიურმა ეროვნულმა ფრონტმა და სხვა დისიდენტურმა ჯგუფებმა მხარი დაუჭირეს ქართული დისიდენტური მოძრაობების

¹ Rukkas, p. 93.

² Rukkas, p. 94.

³ Rukkas, p. 95.

⁴ Stephen Jones, 'Introduction', in *Georgia's Foreign Policy in the 21st Century: Challenges for a Small State*, pp. 13-28.

ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისთვის.¹ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბალტიის ეროვნული ფრონტი ქართველი დისიდენტებისთვის წარმოადგენდა მოდელს, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბდა ქართული მოძრაობის სტრუქტურა და დაიგეგმა შესაბამისი აქტივობები.²

საქართველოს, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ურთიერთობებს საბჭოთა კავშირის დაშლისა და პოსტსოციალისტური ქვეყნების დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ **ახალი მიმართულება შეემატა**. პოლონეთმა და ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, რომელთაც რუსული გავლენის სფეროდან თავის დაღწევა და დასავლური სამყაროს ნაწილად ქცევა **მოახერხეს**, საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში განწევრიანებისთვის მხარდაჭერა **გააძლიერეს**.³ პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებისათვის ევროპული ინტეგრაცია დაკავშირებული იყო იდეასთან „ევროპული უსაფრთხოების გაზრდასთან ერთად გაფართოებულიყო ევროპასა და მის შემოგარენში სტაბილურობის არეალი“.⁴ მათი მხარდაჭერა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მიმართ 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტიზე პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მიერ საქართველოს და უკრაინის განწევრიანების აქტიურად ადვოკატირებაში **აისახა**.⁵ თუმცა ამერიკის შეერთებული

¹ Nils R. Muiznieks, 'The Influence of the Baltic Popular Movements on the Process of Soviet Disintegration', *Europe-Asia Studies* 47: 1 (1995), pp. 3-25.

² Muiznieks (1995).

³ პოლონეთი ნატოს 1999 წელს, ხოლო ევროკავშირს 2004 წელს შეუერთდა. ბალტიისპირეთის სახელმწიფოები ორივე ორგანიზაციის 2004 წელს შეუერთდნენ.

⁴ Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland, 'Polish Foreign Policy Priorities 2012- 2016', March 2012, www.ms.gov.pl/resource/d31571cf-d24f-4479-af09-c9a46cc85cf6:JCR (accessed 17 March 2018).

⁵ მაგალითად, რონალდ ასმუსი რუსეთ-საქართველოს შესახებ თავის წიგნში დეტალურად აანალიზებს ბუქარესტის სამიტის კულისებში მიმდინარე მოლაპარაკებებს. მის თანახმად, პოლონეთმა და ბალტიისპირეთის ქვეყნებმა სამიტის ბოლომდე შეინარჩუნეს მტკიცე პოზიცია. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ, Ronald Asmus, *A Little War that Changed*

შტატების მხარდაჭერის მიუხედავად, მათი მცდელობა, დაერწმუნებინათ ნატოს დასავლეთ ევროპელი წევრები ორი პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის განწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) მიეცათ, მარცხით დასრულდა. ნატოს ღია კარის პოლიტიკის ამ ცხადი მარცხის შემდეგ, რომელსაც მალევე მოჰყვა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მიდგომა საქართველოს მიმართ უფრო პრაგმატული გახდა. მათ არ შეუწყვეტიათ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა, თუმცა გაითვალისწინეს დასავლეთ ევროპული ქვეყნების უფრო ფრთხილი პოზიცია და გადავიდნენ საფეხურებრივ მიდგომაზე მათი აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთი მეზობლების ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში განწევრიანების მიზნით.

2009 წელს, ბუქარესტის სამიტისა და რუსეთ-საქართველოს ომიდან ერთი წლის შემდეგ, პოლონეთმა, შვედეთთან ერთად, წარმოადგინა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა, რომელიც შეიქმნა, როგორც ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ მიმართულება. მას შემდეგ, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან ევროკავშირის ურთიერთობის მთავარ ჩარჩოს წარმოადგებს. პოლონეთს ევროკავშირის ახალ აღმოსავლეთ მეზობლებთან მიმართებაში უფრო ამბიციური გეგმები ჰქონდა, თუმცა ვარშავას მოუწია არსებულ მდგომარეობას მორგებოდა. პოლონეთმა გაიაზრა, რომ სამეზობლო პოლიტიკის უფრო ფართო ჩარჩოდან გადახვევა ევროკავშირის მასშტაბით მხარდაჭერას შეამცირებდა.¹ პროცესზე დადებითი გავლენა ჰქონდა შვედეთის ჩართულობას. შვედეთის რჩევა აისახა პოლონეთის ნაკლებად ამბიციურ წინადადებაში, რომელმაც გაზარდა მისი მი-

the World: Georgia, Russia, and the Future of the West (New York: Palgrave Macmillan, 2010).

¹ Nathaniel Copsey and Karolina Pomorska, 'The Influence of Newer Member States in the European Union: The Case of Poland and the Eastern Partnership', *Europe-Asia Studies*, 66: 3 (2014), pp. 421-43.

ლების ალბათობა ევროკავშირის ინსტიტუტებისა და სკეპტიკურად განწყობილი წევრი სახელმწიფოების მხრიდან. ევროკომისიის ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, შვედებმა „აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა ევროკავშირის ენაზე გადათარგმნეს“.¹ თუმცა, ირონიულად, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა, რომ პოლონურ-შვედური ინიციატივა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამად ჩამოყალიბებულიყო.²

ევროკავშირის წევრი დასავლეთ ევროპული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, პოლონეთმა და ბალტიისპირეთის ქვეყნებმა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა დაინახეს, როგორც საქართველოს ევროკავშირში პოტენციური განწევრიანების პირველი ეტაპი.³ თუმცა მათ გააზრებული ჰქონდათ გაფართოებით გამოწვეული გადაღლილობა, რომელიც დასავლეთ ევროპაში არსებობდა. ამიტომ მათ შედარებით დაბალანსებული ტონი აირჩიეს. საქართველოს სრული წევრობის მხარდაჭერის ნაცვლად, თანამშრომლობის ფორმატების მუდმივ გაუმჯობესებაზე მუშაობა გააგრძელეს.⁴ პოლონეთი და ბალტი-

¹ Copsey and Pomorska, p. 433.

² Copsey and Pomorska, p. 436.

³ Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland, 'Foreign Minister on Providing Eastern Partners with Prospects for EU Membership', 20 October 2017, www.msz.gov.pl/en/foreign_policy/eastern_partnership/foreign_minister_on_providing_eastern_partners_with_prospects_for_eu_membership_eap (accessed 18 March 2018).

⁴ პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო (2017). აშკარა ცვლილებები პოლონელი და ბალტიისპირელი პოლიტიკოსების რიტორიკაში. მართალია ისინი ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს სრულ წევრობას კვლავ მხარს უჭერენ, თუმცა ამავედროულად რეფორმების გაგრძელების პროცესზე, როგორც ცალკე მდგომ საბოლოო მიზანზე, უფრო დიდ ყურადღებას ამახვილებენ, რაც გაფართოების მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ევროკავშირის წევრი დასავლელი სახელმწიფოების პოზიციას იმეორებს. ისინი ასევე ხაზს უსვამენ ეკონომიკური და სექტორული თანამშრომლობის მნიშვნელობას. შეცვლილი რიტორიკის მაგალითებისთვის იხილეთ: *Civil Georgia*, 'Georgian, Lithuanian FMs Discuss EU, NATO Integration', *Civil Georgia*, 23 October 2018,

ისპირეთის ქვეყნები საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნების „ევროპული პერსპექტივის“¹ ევროკავშირის დოკუმენტებში, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტების ოფიციალურ კომუნიკებებში შეტანას დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ. მათ მიაღწიეს ევროკავშირისგან საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ევროპული მისწრაფებებისა და არჩევანის აღიარებას. ამ სამმა ქვეყანამ ეტაპობრივად ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას.² თუმცა პოლონეთმა და ბალტიისპირეთის

<https://civil.ge/archives/260479> (accessed 26 January 2019); Thea Morrison, 'Estonia's Kaljulaid: Georgia is Eastern Partnership Torchbearer', *Georgia Today*, 14 September 2018, <http://georgiatoday.ge/news/12284/Estonia%E2%80%99s-Kaljulaid%3A-Georgia-Is-Eastern-Partnership-Torchbearer> (accessed 26 January 2019); MFA Estonia, 'Estonia Continues to Support Georgia on its Course towards Europe and NATO', *MFA Estonia*, 9 November 2016, <https://vm.ee/en/news/estonia-continues-support-georgia-its-course-towards-europe-and-nato> (accessed 26 January 2019); MFA Estonia, 'The Prime Minister: Estonia Supports Georgia on their Way to the European Union', MFA Estonia, 19 December 2018, www.valitsus.ee/en/news/prime-minister-estonia-supports-georgia-their-way-european-union (accessed 26 January 2019); Polish Press Agency, 'Poland Supports Georgia's Aspirations to join EU and NATO - FM', Polish Press Agency, 24 October 2018, www.pap.pl/en/news/news%2C346993%2Cpoland-supports-georgias-aspirations-join-eu-and-nato-fm.html (accessed 26 January 2019); *The Baltic Times*, 'Lithuania and Georgia Would Like to Strengthen Economic Ties, PMs Say', *The Baltic Times*, 21 January 2019, www.baltictimes.com/lithuania_and_georgia_would_like_to_strengthen_economic_ties_pms_say/ (accessed 26 January 2019).

¹ მაგალითად, „მზარეთა შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების პრეამბულა საქართველოს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნად განსაზღვრავს, რითაც თავიდან არიდებს ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების (Treaty Establishing the European Union - TEU) 49-ე მუხლის შეზღუდვას, რომლის მიხედვითაც „კავშირის წევრობაზე მიმართვა შეუძლია ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს, რომელიც პატივს სცემს მე-6 (1) მუხლში მოცემულ პრინციპებს““. წყარო: Vano Chkhikvadze, 'The Eastern Partnership: What's next for Georgia?' *Heinrich-Böll-Stiftung*, 12 September 2019, <https://ge.boell.org/en/2019/09/12/eastern-partnership-whats-next-georgia> (accessed 20 February 2020).

² Council of the European Union, 'Joint Declaration of the Eastern Partnership Summit', 24 November 2017, www.consilium.europa.eu/media/31758/final-statement-st14821en17.pdf (accessed 19 March 2018), p. 4.

ქვეყნებმა ვერ შეძლეს **ნატოში** გაფართოებით გამოწვეული გადაღლილობის გადაფარვა. მათ აქაც მოუწიათ უფრო პრაგმატული, ეტაპობრივი მიდგომის შერჩევა - საქართველოს დე-ფაქტო ინტეგრაცია ნატოს სტრუქტურებში ფორმალური ნევროზის გარეშე.¹ პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები თანმიმდევრულ, მტკიცე მხარდაჭერას გამოხატავენ საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების მიმართ, განსაკუთრებით კი 2008 წლის შემდეგ. ისინი თავს ევროკავშირისა და ნატოს შიგნით მნიშვნელოვან ლობისტურ ჯგუფად **მიიჩნევენ**, რომლებიც საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნების მხარდასაჭერად **ლობირებენ**. სხვა რა მიზეზებია მათი მხარდაჭერის განმაპირობებელი? ქვემოთ განხილულია როგორც პრაგმატული ფაქტორები, ისე იდეოლოგიური სიახლოვე, რომელიც საქართველოს, პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს შორის **ძლიერ კავშირს განაპირობებს**.

საერთო მტერი ახლო სამეგობრო კავშირებს ქმნის

საფრთხეებისა და გეოპოლიტიკური გარემოს ერთნაირი შეფასება საქართველოს, პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს შორის მჭიდრო ურთიერთობების დიდ ნაწილს ხსნის. ლიტერატურა აღიანსების ფორმირებისა² და **საგარეო ასპარეზზე** პატარა და საშუალო ქვეყნების ქცევის შესახებ გვაძლევს თეორიულ საფუძვლებს, რომელთაც შეუძლიათ **იმის ახ-**

¹ Bidzina Lebanidze, 'NATO and Georgia: Waiting the Winter Out', *ISPI*, 7 August 2018, www.ispionline.it/en/publicazione/nato-and-georgia-waiting-winter-out-21098+ (accessed 24 January 2019).

² ჩვენ ვიყენებთ ტერმინს 'საშუალო ქვეყანა', რადგან პოლონეთის პატარა სახელმწიფოდ დახასიათება, შეიძლება, ბევრი მიზეზის გამო პრობლემური იყოს. თუმცა, რუსეთთან შედარებით, პოლონეთი შესაძლოა შედარებით სუსტი ან მარტივად მონყვლადი სახელმწიფო იყოს - სულ მცირე სამხედრო შესაძლებლობების, ენერჯო დამოკიდებულებისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სისუსტეების თვალსაზრისით.

სნაში დაგვეხმარონ, თუ რატომ არიან პოლონეთი, ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი საქართველოსა და უკრაინის ევროკავშირისა და ნატოს წევრობის ასეთი ერთგული მხარდამჭერები. სტივენ უოლტი ძალის ბალანსის თეორიით ამტკიცებს, რომ პატარა და საშუალო ზომის სახელმწიფოები ცდილობენ აგრესიული მისწრაფებებისა და თავდასხმითი შესაძლებლობების მქონე, მტრულად განწყობილი, გეოგრაფიულად ახლოს მდებარე ძალები **დაბალანსონ**.¹ დაბალანსების საჭიროება იზრდება, თუ მტრულ სახელმწიფოსთან მოლაპარაკება არ ჭრის.² რუსეთი ყველა ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ის არის პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ყველაზე დიდი და საფრთხისშემცველი მეზობელი, რომელსაც თავდასხმითი სამხედრო შესაძლებლობები სასაზღვრო ტერიტორიებზე **აქვს განლაგებული** და მხედველობაში არ იღებს პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შემოფოტებებს.

პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები ბუნებრივად დაინტერესებული არიან ჰყავდეთ რაც შეიძლება მეტი მოკავშირე. ევროკავშირი, მეორე მხრივ, საკუთარ როლს პოსტმოდერნისტულ აქტორად ან არასამხედრო ძალად ხედავს.³ ეს ხედვა საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციულ გაგებას ემიჯნება და რეალიზმის **ძალთა** ბალანსზე დაფუძნებულ ლოგიკას უარყოფს. თუმცა რეალიზმის საგარეო პოლიტიკის **ჩარჩო თეორია** აღმოსავლეთ ევროპაში ჯერ არ მიუტოვებიათ. საბოლოო ჯამში, პოლონეთის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები ისე იკითხება, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის სკოლის მკვლევრების ნაშრომები, პესიმისტური მსოფლმხედველობით და დიდ პოლიტიკასა და ხისტ უსაფრთხოებაზე **ტრადიციული მითითებებით**. პოლონეთის 2017

¹ Walt (1988), pp. 280-1.

² Walt (1988), p. 314.

³ Karen Smith, 'Beyond the Civilian Power EU Debate', *Politique européenne*, 3 (2005), pp. 63- 82.

წლის საგარეო პოლიტიკის სტრატეგია შემდეგნაირად **სრულდება**: „პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტია პოლიტიკური რეალიზმი“. ¹ სტრატეგიული დოკუმენტების უმრავლესობა ამ სულისკვეთებითაა დაწერილი. 2007 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში, ასევე, ვხვდებით შემდეგ პასაჟს: „ფუნდამენტური ეროვნული ინტერესები არ იცვლება და დაფუძნებულია სახელმწიფო უსაფრთხოებაზე“. ² მსოფლიო პოლიტიკის პოლონური გაგება განსხვავდება ევროკავშირის პოსტმოდერნისტული ნარატივისგან. პოლონეთისთვის თავდაცვის სფეროში ხარჯვის ადეკვატური ნიშნულის მიღწევა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ეროვნული უსაფრთხოებისთვის. ³ პოლონეთი საკუთარ ეროვნულ ინტერესებს ტერიტორიული თავდაცვისა და ხისტი უსაფრთხოების პრიზმიდან **განსაზღვრავს**. 2007 წლის პოლონეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია პოლონეთის ძირითად ეროვნულ ინტერესს **აღწერს**, როგორც „სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების გადარჩენა“. ⁴ ეს მოიცავს „სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნებას, ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ხელშეუხებლობას“. ⁵ ხისტი უსაფრთხოების პოლონური მსოფლმხედველობა დაფუძნებულია მის უარყოფით ისტორიულ გამოცდილებაზე, რაც უშუალოდ რუსეთს უკავშირდება. 2017 წლის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტის

¹ Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland, ‘Foreign Minister on Providing Eastern Partners with Prospects for EU Membership’, 20 October 2017, www.msz.gov.pl/en/foreign_policy/eastern_partnership/foreign_minister_on_providing_eastern_partners_with_prospects_for_eu_membership_eap (accessed 18 March 2018), p. 20.

² NSB Poland, ‘National Security Strategy of the Republic of Poland’, *NSB Poland*, 2007, www.files.ethz.ch/isn/156796/Poland-2007-eng.pdf (accessed 17 March 2018), p. 4.

³ Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland, ‘Polish Foreign Policy Priorities 2012- 2016’, 2012, www.msz.gov.pl/resource/d31571cf-d24f-4479-af09-c9a46cc85cf6:JCR (accessed 17 March 2018).

⁴ NSB Poland (2007), p. 4.

⁵ Ibid.

თანახმად, რუსეთთან დაკავშირებული მთავარი საფრთხე მისი პოსტსაბჭოთა სივრცეში დომინანტობის სურვილია.¹

რუსეთის აგრესიული ზრახვებისათვის პასუხგაუცემლობამ დასავლეთის სისუსტე გამოავლინა. ეს კი, საბოლოო ჯამში, უკრაინაში ომისა და ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის შესუსტების საწინდარი გახდა.²

ოფიციალური პოლონური ნარატივი რუსეთის მიმართ ყოველთვის ასეთი დამგმობი არ ყოფილა. 2007 წლის უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის მსგავსად, 2012 წლის საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, რომელიც დონალდ ტრუპის შედარებით რბილი მთავრობის დროს შეიქმნა, რუსეთს, როგორც საგარეო საფრთხეს, ხაზგასმით არ მოიხსენიებს. თუმცა, ყველა დოკუმენტი, როგორც რბილი, ასევე რადიკალური, რუსეთს არსებული საერთაშორისო წესრიგის მნიშვნელოვან გამოწვევად აღიქვამს.³ პოლონეთის საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრული პრინციპი სწორედ რუსეთის საფრთხის ბალანსია.

ნატოსა და ევროკავშირის წევრობა პოლონეთის მოწყვლადი უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთ გამოსავლად მიიჩნეოდა.⁴ თუმცა ნატოსა და ევროკავშირში განევრიანების შემდეგაც პოლონეთმა გააგრძელა რუსეთის, როგორც მისი ეროვნული უსაფრთხოების მთავარი საფრთხის, აღქმა. ეს საკითხი საკმაოდ სენსიტიური გახდა გერმანიასა და რუსეთს შორის თანამშრომლობის ფონზე, განსაკუთრებით ენერგო მიმართულებით.

¹ Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland, 'Foreign Minister on Providing Eastern Partners with Prospects for EU Membership', 20 October 2017, www.ms.gov.pl/en/foreign_policy/eastern_partnership/foreign_minister_on_providing_eastern_partners_with_prospects_for_eu_membership_eap (accessed 18 March 2018), p. 2.

² Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland, 'Polish Foreign Policy Strategy 2017- 2021', MFA Poland, 2017, <http://www.ms.gov.pl/resource/-0c98c3b2-9c5d-4c42-8761-f7827134ee76:JCR> (accessed 17 March 2018), p. 2.

³ Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland (2012), p. 3; NSB Poland (2007), p. 6.

⁴ NSB Poland (2007), p. 4

„ნორდსტრიმ 1“ და „ნორდსტრიმ 2“ მილსადენები, რომლებიც პოლონეთსა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს გვერდს უვლიან, პოლონეთს დიდი ხანია აშფოთებს. 2005 წელს პოლონურმა გაზეთმა *Gazeta Wyborcza* ნორდსტრიმის პირველი პროექტს, რომელიც იმდროინდელმა კანცლერმა გერჰარდ შროდერმა და რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ჩაუშვეს ძალაში, შროდერ-პუტინის პაქტი უწოდა, რითაც პარალელი გაავლო 1938 წელს, ადოლფ ჰიტლერისა და იოსებ სტალინის შეთანხმებასთან პოლონეთის გაყოფის შესახებ.¹ მას შემდეგ რუსეთსა და გერმანიას შორის ენერგოსექტორში თანამშრომლობა გაღრმავდა. მასთან ერთად გაღრმავდა პოლონეთის შეშფოთებაც.² ნატოს წევრობა არ განიხილება, როგორც საგარეო საფრთხისგან თავდაცვის საკმარისი გარანტია. ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები ეგრეთწოდებულ „მეორე კლასის წევრების ნაცრისფერ ზონებს მიეკუთნებიან“, რომლებსაც ნატოს ძალები საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ არ დაიცავს და რომ ნატოს ძალები მხოლოდ კვირების და თვეების შემდეგ გამოჩნდებიან.³ პოლონეთის შიში პოლონეთის საზღვრებთან მასიური რუსული სამხედრო წვრთნებითა და რუსეთის ანკლავ კალინინგრადში სამხედრო შეიარაღების ზრდით კიდევ უფრო ძლიერდება.⁴

¹ Stephan Raabe, 'The Dispute over the Baltic Gas Pipeline: A Threat or a Necessary Supply Project?', *Konrad-Adenauer-Stiftung*, International Reports, no. 2, 6 April 2009, www.kas.de/wf/doc/kas_16137-544-2-30.pdf?090406132317 (accessed 18 March 2018), p. 1.

² Jo Harper, 'Nordstream II gas Pipeline in Deep Water', *Deutsche Welle*, 14 November 2017, www.dw.com/en/nordstream-ii-gas-pipeline-in-deep-water/a-41372833 (accessed 18 March 2018).

³ Slawomir Sierakowski, 'NATO's Second-Class Members', *New York Times*, 22 August 2014, www.nytimes.com/2014/08/23/opinion/slawomir-sierakowski-natos-second-class-members.html?rref=collection%2Fcolumn%2FSlawomir%20Sierakowski (accessed 18 March 2018).

⁴ Jerry Hendrix, 'In a Chess Game with Putin, the Polish City of Gdansk is Our Queen', *The National Review*, 20 December 2017, www.nationalreview.com/2017/12/gdansk-poland-defending-baltic-putin-russia/ (accessed 18 March 2018).

პოლონეთის მსგავსი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკური ნარატივები აქვთ ბალტიისპირეთის ქვეყნებსაც. პოლონეთის მსგავსად, ბალტიისპირეთის ქვეყნებს უსაფრთხოების რეალისტური აღქმა აქვთ, რაც დიდწილად რუსეთის მზარდი აგრესიით **არის განპირობებული**. ლიეტუვეური მიდგომა ამ მხრივ არაორაზროვანია. 2016 წლის ევროვნული უსაფრთხოების სტრატეგია საუბრობს „კონვენციური საფრთხეების“ შესახებ, რომლებიც „მხოლოდ თეორიული აღარაა“.¹ დოკუმენტი აღწერს „სამხედრო და არასამხედრო ზომებს“ ლიეტუვის ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ, რომლებიც შესაძლოა ერთდროულად **იქნას გამოყენებული**, სახელმწიფოს ყველაზე მოწყვლადი სფეროების მიმართ.² ეროვნული საფრთხეების შეფასების ანგარიშში, რომელიც ლიეტუვის სახელმწიფო უსაფრთხოების სამინისტრომ 2017 წელს **გამოაქვეყნა**, ექვსი ძირითადი საფრთხიდან ხუთი პირდაპირ უკავშირდება რუსეთს: რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკა, რომელიც ძირს უთხრის დასავლეთის ერთიანობას; ბელორუსის დამოკიდებულება რუსეთზე; ენერგოუსაფრთხოება; პროპაგანდა და დეზინფორმაცია; რუსეთის მიერ ეთნიკური უმცირესობების ინსტრუმენტალიზაცია სხვა სახელწოდებებში.³ ამის მსგავსად, ლატვიის 2015 წლის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში წერია, რომ „ნატოს წევრობა ეროვნული უსაფრთხოების ყველა გამოწვევას ვერ ჭრის და ის ვერ უზრუნველყოფს რამდენიმე მნიშვნელოვანი საფრთხისგან **დაცვას**“. დოკუმენტის თანახმად, რუსეთის მოქმედებებმა უკრაინაში გააუარესა უსაფრთხოების მდგომარეობა ტრანსატლანტიკური სივრცის შიგ-

¹ Ministry of National Defence of the Republic of Lithuania, ‘National Security Strategy of the Republic of Lithuania’, 2017, <https://kam.lt/download/57457/-2017-nacsaugstrategijaen.pdf> (accessed 14 June 2018), p. 5.

² Ministry of National Defence of the Republic of Lithuania (2016), p. 5.

³ BNN, ‘Lithuanian intelligence Singles out Six Major Threats to National Security’, *BNN*, 7 April 2017, <http://bnn-news.com/lithuanian-intelligence-singles-out-six-major-threats-to-national-security-163571> (accessed 18 June 2018).

ნით და გრძელვადიანი შედეგი იქონია ლატვიის ეროვნულ უსაფრთხოებაზე.¹ უსაფრთხოების ტრადიციული ტერმინებით რომ ვთქვათ, ლატვია აღმოსავლეთ საზღვარს რუსეთთან ხედავს როგორც საგარეო საფრთხესთან პირისპირ მყოფ „პირველ ზოლს“ და არ გამოირიცხავს რუსეთის მხრიდან ღია აგრესიას.² ესტონეთის 2017 წლის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია რუსეთის „არაპროგნოზირებად, აგრესიულ, პროვოკაციულ ქმედებებს“ და ინტერესს, აღდგეს როგორც ძლიერი ჰეგემონური სახელმწიფო, ესტონეთის და ევროკავშირის წინაშე არსებულ მთავარ საფრთხედ მიიჩნევს.³ დოკუმენტი არ გამოირიცხავს ესტონეთზე სამხედრო შეტევის შესაძლებლობას და გაფრთხილებას იძლევა ესტონეთის და ბალტიის ზღვის აუზის სხვა სახელმწიფოების წინაშე გაზრდილი საფრთხის შესახებ.⁴ ბალტიისპირეთის სამივე ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტები რუსეთს, ღიად თუ ირიბად, არა მხოლოდ სამხედრო საფრთხესთან, არამედ რიგ სხვა რისკებთან აკავშირებენ. როგორცაა ეკონომიკური, დემოგრაფიული და ეთნიკური საფრთხეები, ასევე კიბერუსაფრთხოება და ჰიბრიდული ომი.⁵

პოლონეთი, ბალტიისპირეთის სახელმწიფოები და საქართველო

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები რუსული საფრთხის დაბალანსების საკითხში საუკეთესო პონტენციურ მო-

¹ Ministry of Defence of Latvia, 'The National Security Concept', 2015, www.mod.gov.lv/sites/mod/files/document/NDK_ENG_final.pdf (accessed 14 June 2018): 3

² Ministry of Defence of Latvia (2015), p. 6.

³ Parliament of Estonia, 'National Security Concept', 2017, https://riigikantselei.ee/sites/default/files/content-editors/Failid/national_security_concept_2017.pdf (accessed 25 June 2018), p. 4

⁴ Parliament of Estonia (2017), p. 4.

⁵ BNN (2017); Ministry of Defence of Latvia (2015); Parliament of Estonia (2017).

კავშირებად მოიაზრებიან. პოლონეთისა და ბალტიისპირეთის მიერ საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნების მხარდაჭერა სწორად ამ კონტექსტში უნდა გავიაზროთ. მათთვის რუსეთის აგრესიული მოქმედებები აღმოსავლეთ სამეზობლოში რეგიონის უსაფრთხოებისთვის მთავარი გამოწვევაა. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიტოლდ ვიშნიკოვსკის თანახმად:

რუსეთის ლიდერები მეზობელ სახელმწიფოებს ბრეჟნევის დოქტრინის თანამედროვე ვერსიის მიხედვით ხედავენ. ისინი თვლიან, რომ მათი სუვერენიტეტი ლიმიტირებულია და რუსულ ინტერესებზე უნდა იყოს მორგებული.¹

2014 წელს უკრაინა აღმოსავლეთ სამეზობლოს მონყვლადობის ყველაზე აშკარა სიმბოლოდ იქცა. პოლონეთის ყოფილი პრემიერმინისტრის დონალდ ტუსკის თანახმად, „ყველამ, ვისაც პოლონეთის დაცვა სურს ერთიან ევროპაში, უკრაინას უნდა უგულშემატკივროს.“² პოლონელმა სოციოლოგმა სლავომირ სიერავსკიმ, უკრაინის მნიშვნელობა პოლონეთის უსაფრთხოებისთვის შემდეგნაირად შეაჯამა:

თუ უკრაინა ამჟამინდელი ფორმით გადარჩება, ის პოლონეთის გზას გაიზიარებს. ორივე ქვეყნის ადამიანური და ეკონომიკური პოტენციალი, გაძლიერებული ევროკავშირის შიდა ალიანსით, პოლონეთის ისტორიულ ოცნებას შეასხამს ფრთას, დააბალანსოს რუსეთის როლი რეგიონში და უზრუნველყოს აღმოსავლეთ ევროპის ძლიერი პოზიცია დასავლეთთან.³

¹ Ministry of Foreign Affairs of Poland, 'Polish FM: European Integration of Eastern Partnership Countries is a Success of Polish Diplomacy', 2017, www.ms.gov.pl/en/foreign_policy/eastern_partnership/polish_fm_european_integration_of_eastern_partnership_countries_is_a_success_of_polish_diplomacy_interview_eap;jsessionid=9B81_479CFB3BFB529F9EB5296183E581.cmsap1p (accessed 17 March 2018).

² Slawomir Sierakowski, 'Why Poland Loves Ukraine ... For Now', *New York Times*, 28 March 2014, www.nytimes.com/2014/03/29/opinion/sierakowski-why-poland-loves-ukraine-for-now.html (accessed 18 March 2018).

³ Sierakowski (2014).

ბალტიისპირეთის ქვეყნების ინტერესი აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართ განპირობებულია მათი სურვილით, ჰყავდეთ რაც შეიძლება მეტი მოკავშირე რუსეთის გავლენის გასანეიტრალებლად. 2014 წელს, ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკრაინისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნების მხარდაჭერა ევროატლანტიკურ სივცრეში სტაბილურობისა და უსაფრთხოების ერთ-ერთ ძირითადად მიმართულებად გამოაცხადა.¹ ასევე, 2015 წელს, ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიშმა რუსეთის აგრესია უკრაინაში, ევროპისა და ლატვიის ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხედ შეაფასა.² 2016 წლის ლიეტუვის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია მთავარ საფრთხედ მოიხსენებს რუსეთის „აგრესიულ ქმედებებს, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ წესებსა და პრინციპებზე დაფუძნებულ უსაფრთხოების არქტიტექტურას.“³

ერთი შეხედვით, ზომისა და მდებარეობის გამო, საქართველო პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებისათვის უკრაინასთან შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი ქვეყანა უნდა იყოს, თუმცა ამ უკანასკნელთა მხარდაჭერა საქართველოს მიმართ ამავე სულისკვეთებით უნდა გავიაზროთ.⁴ ევროკავშირის ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან მდებარე ეს ქვეყნები, საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან მჭიდრო ინტეგრაციას და მის ამ ორგანიზაციებში განევრიანე-

¹ Ministry of Foreign Affairs of Latvia, 'Annual Report by the Minister of Foreign Affairs on Accomplishments and Activities Planned with Respect to National Foreign Policy and the European Union, 2014-2015', 2014, www.mfa.gov.lv/images/zinojums_FINAL_FINAL_ENG.pdf (accessed 17 June 2018).

² Ministry of Foreign Affairs of Latvia (2014), p. 3.

³ Ministry of Defence of Lithuania, 'National Security Strategy of the Republic of Lithuania', 2016, <https://kam.lt/download/57457/2017-nacsaugstrategijaen.pdf> (accessed 14 June 2018), p. 4.

⁴ საქართველო ბევრად უფრო პატარაა მოსახლეობის, ტერიტორიის, მთლიანი შიდა პროდუქტის, ბაზრის ზომისა და ინდუსტრიული წარმოების მიხედვით. ამასთანავე, გეოგრაფიულად ის უფრო შორსაა ევროკავშირისგან.

ბას ხედავენ, როგორც დამატებით შესაძლებლობას დააბალანსონ რუსული დომინაცია და, ამასთავანავე, გააძლიერონ აღმოსავლეთ ევროპის პოზიცია ამ ორგანიზაციების შიგნით. 2017-2019 წლების პოლონეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის მიხედვით, პოლონეთის უსაფრთხოებაზე უარყოფით გავლენას ახდენს „დასავლეთის უუნარობა, ადეკვატური პასუხი გასცეს რუსეთის რევიზიონისტულ პოლიტიკას, რომელიც 2007-2008 წლებიდან იწყება.¹ ეს გააზრებული მითითებაა, რადგან სწორედ 2008 წელს მოხდა რუსეთ-საქართველოს ომი. პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს სისტემური, ჰოლისტური ხედვა აქვთ რუსეთის, როგორც გეოპოლიტიკური გამოწვევის და მასში საქართველოს მნიშვნელობის შესახებ. ომი უკრაინაში, რომელსაც ვარშავა მთავარ საფრთხედ ხედავს, მოიაზრება როგორც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გაგრძელება:

შეიარაღებულ კონფლიქტს უკრაინაში წინ უძღოდა ომი საქართველოში და საერთაშორისო საზოგადოების იგნორირების რუსეთის მიერ სესეციური სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და ტრანსნისტრიის მხარდაჭერის მიმართ.²

პოლონეთის 2017 წლის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში, საქართველო (ისევე როგორც უკრაინა, თუმცა არა მოლდოვა) შეყვანილია პოლონეთის მეზობელი იმ ქვეყნების სიაში, „რომლებიც იზიარებენ აღმოსავლეთ ევროპაში გამოწვევების ხედვას და რომლებიც მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ პოლონეთის უსაფრთხოების პოლიტიკაში.“³ 2017 წლის ინტერვიუში, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიტოლდ ვაშიკოვსკიმ ხაზი გაუსვა საფრთხეების ერთნაირი შეფასების მნიშვნელობას ორ ქვეყანას შორის: „ჩვენ ერთსა და იმავე გა-

¹ Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland, 'Polish Foreign Policy Strategy 2017- 2021', MFA Poland, 2017, <http://www.ms.gov.pl/resource/-0c98c3b2-9c5d-4c42-8761-f7827134ee76:JCR> (accessed 17 March 2018), p. 2.

² Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland (2017), p. 6.

³ Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland (2017), p. 10.

მონვევებს უნდა დაეუპირისპირდეთ და ჩვენ რეგიონში არსებული საფრთხეების ერთნაირი შეფასება გვაქვს“.¹

პოლონეთი უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობას დიდ ყურადღებას აქცევს. პოლონელი ოფიციალური პირები ხშირად ხაზს უსვამენ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ხარვეზებს, რადგან ის არ მოიცავს ხისტი უსაფრთხოების ელემენტებს.² პოლონეთისა და ბალტიისპირეთის უსაფრთხოებაზე ფოკუსირებული მიდგომა, სხვა დასავლეთ ევროპული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ჩინეთის მზარდი როლის მიმართ მხარდაჭერით **ალინიშნება**. ეს ქვეყნები საქართველოს მოუწოდებენ, ითანამშრომლოს ჩინეთთან ახალი აბრეშუმის გზის ინიციატივის ფარგლებში.³ ჩინეთი მოიაზრება როგორც რუსეთის გავლენის დამაბალანსებელი, ასევე ეკონომიკური ზრდის დამატებითი წყარო.⁴ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თანახმად, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებასა და ჩი-

¹ Ministry of Foreign Affairs of Poland, 'Polish FM: European Integration of Eastern Partnership Countries is a Success of Polish Diplomacy', 2017, www.msz.gov.pl/en/foreign_policy/eastern_partnership/polish_fm_european_integration_of_eastern_partnership_countries_is_a_success_of_polish_diplomacy_interview_eap;jsessionid=9B81_479CFB3BF8529F9EB5296183E581.cmsap1p (accessed 17 March 2018).

² Ministry of Foreign Affairs of Poland, 'Polish FM: European Integration of Eastern Partnership Countries is a Success of Polish Diplomacy', 2017, www.msz.gov.pl/en/foreign_policy/eastern_partnership/polish_fm_european_integration_of_eastern_partnership_countries_is_a_success_of_polish_diplomacy_interview_eap;jsessionid=9B81_479CFB3BF8529F9EB5296183E581.cmsap1p (accessed 17 March 2018).

³ Ministry of Foreign Affairs of Poland, 'Foreign Ministers of Poland and Sweden Discuss Eastern Partnership in Georgia', 2017, www.msz.gov.pl/en/foreign_policy/eastern_partnership/foreign_ministers_of_poland_and_sweden_discuss_eastern_partnership_in_georgia_eap;jsessionid=CB46ECCE402831FD320B2A853293_6BF9.cmsap2p (accessed 17 March 2018).

⁴ Piotr Buras and Adam Balcer, 'An Unpredictable Russia: The Impact on Poland', *European Council on Foreign Relations*, 15 July 2016, www.ecfr.eu/article/commentary_an_unpredictable_russia_the_impact_on_poland (accessed 18 March 2018).

ნეთთან ღია ვაჭრობის შეთანხმებაზე ხელმოწერა, საქართველოს იდეალურ პოზიციას აძლევს გახდეს ევროკავშირისა და ჩინური ინვესტიციების ჰაბი.¹ ბალტიის ქვეყნებიც ახლო კავშირს ხედავენ 2008 წელს რუსეთ-საქართველოსა და 2014 წლის რუსეთ-უკრაინის ომსა და ამ კონფლიქტებთან მიმართებაში მათ მოწყვლადობას შორის. 2015 წელს, ლიეტუვის თავდაცვის მინისტრმა იოზას ოლეკასმა არ გამოორიცხა მსგავსი სცენარის გამეორება საკუთარ ქვეყანაში:

საქართველოსა და უკრაინის მაგალითები, რომლებმაც დაკარგეს საკუთარი ტერიტორიების ნაწილი, გვაჩვენებს, რომ მსგავსი სიტუაციის გამორიცხვა არ შეგვიძლია და ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ.²

ერთ-ერთ ინტერვიუში, ესტონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა კერსტი კალიულადმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ დასავლეთის სუსტმა რეაქციამ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს მიმართ რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია ნააქეზა, ამიტომ რუსეთის შესაკავებლად უფრო ძლიერი პასუხი იყო საჭირო.³ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ბალტიისპირეთის ქვეყნები დაარწმუნა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართ მიდგომა გადაეფასებინათ.

¹ Ministry of Foreign Affairs of Poland, 'Foreign Ministers of Poland and Sweden Discuss Eastern Partnership in Georgia', 2017, www.msz.gov.pl/en/foreign_policy/eastern_partnership/foreign_ministers_of_poland_and_sweden_discuss_eastern_partnership_in_georgia_eap;jsessionid=CB46ECCE402831FD320B2A8532936BF9.cmsap2p (accessed 17 March 2018). პოლონეთისთვის ევროპაში ჩინეთის როლის ზრდა ეკონომიკურ და სავაჭრო ჰაბად ჩამოყალიბების პოტენციურ შესაძლებლობას ნამდვილად ქმნის. აღნიშნულ კონტექსტში, ჩინეთიდან მომდინარე მარშრუტი, რომელიც რუსეთს სცდება (მაგალითად, სამხრეთ კავკასიის გავლით), გაცილებით უფრო სასურველია.

² Andrius Sytas, 'Worried about Russia? Lithuania says "Keep Calm and Read the War Manual"', Reuters, 15 January 2015, www.reuters.com/article/us-lithuania-manual-idUSKBN0K00XZ20150115 (accessed 17 March 2018).

³ EurActiv, 'Estonia Calls for Deployment of US Troops, Patriot Missiles', 5 April 2018, www.euractiv.com/section/defence-and-security/news/estonia-calls-for-deployment-of-us-troops-patriot-missiles/ (accessed 25 June 2018).

ნათ და ევროკავშირის მიუხედავად სამხედრო და თავდაცვის პოლიტიკა გაეძლიერებინათ. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა 2008 წლის ომის გაკვეთილები საკუთარ თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრატეგიებში შეიტანეს.¹ ომის გაკვეთილებმა ბალტიისპირეთის ქვეყნების მიერ ანტისატანკო შეიარაღების შეძენაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. როგორც პოლონეთის შემთხვევაში, ბალტიისპირეთის ქვეყნები ბოლომდე დარწმუნებულები არ არიან, რომ ნატოს რუსეთის შესაძლო აგრესიის შეკავება შეუძლია. ერთ-ერთი ანალიტიკოსის თანახმად, „პუტინს არ სჯერა, რომ ნატო დაიცავს, მისი აზრით, არამნიშვნელოვან ქვეყნებს, ბირთვული კონფრონტაციის ფასად“.²

პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი სტრატეგიული დოკუმენტებისა და სხვა პირველადი წყაროების თვისობრივი ანალიზი ხაზს უსვამს მათ უსაფრთხოებაზე ფოკუსირებულ მიდგომას აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართ და გვეხმარება გავიგოთ ამ ქვეყნების მიერ საქართველოს მხარდაჭერის საფუძვლები. მათ მიერ საქართველოს მხარდაჭერა განპირობებულია რუსეთის დაბალანსების საჭიროებით, რომელიც აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნებისათვის ეგზისტენციალურ საფრთხედ ჩამოყალიბდა. 2008 წლის ომის შემდეგ, საქართველომ თბილად მიიღო პოლონური და ბალტიისპირეთის მხარდაჭერა სააკაშვილის ადმინისტრაციის მიმართ. ქართულ პოლიტიკურ ელიტას რუსეთი ყოველთვის ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მთავარი საფრთხედ მიაჩნდა. საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტები რუსეთს, განსაკუთრე-

¹ Robert Beckhusen, 'To Beat Russian Tanks, the Baltic States Are Studying the Georgia War: 2008 Conflict with Russia Proves that Anti-tank Missiles Rule', 29 October 2014, www.realcleardefense.com/articles/2014/10/29/to_beat_russian_tanks_the_baltic_states_are_studying_the_georgia_war_107518.html (accessed 25 June 2018).

² Ola Cichowlas, 'Lithuania Prepares for a Feared Russian Invasion', *Reuters*, 16 March 2015, <http://blogs.reuters.com/great-debate/2015/03/15/lithuania-prepares-for-a-feared-russian-invasion/> (accessed 25 June 2018).

ბით კი მის პოლიტიკას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ, ქართული სუვერენიტეტის მთავარ საფრთხედ ასახელებენ. თუმცა ტონი და სიტყვათაწყობა საქართველოს სხვადასხვა მთავრობის მოლოდინებისა და მოტივაციების მიხედვით განსხვავდებოდა. მაგალითად, 2005 წლის საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია დაემთხვა მიხეილ სააკაშვილის მცდელობას, რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება მოეხდინა და, ასევე, სანყის ოპტიმისტურ მოლოდინებს ტერიტორიულ კონფლიქტებში რუსეთის როლის შესახებ. დოკუმენტი შედარებით რბილი ტონის და პოტენციური დეესკალაციისა და საქართველო-რუსეთს შორის თანამშრომლობის მიმართ ოპტიმისტური იყო.¹ თუმცა, კონცეფციამ რუსული სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე არსებობა ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის რისკად შეაფასა.² საფრთხის სხვა ელემენტები მოიცავდა რუსული მოქალაქეობის მინიჭებას სესეციური რეგიონების მოსახლეობისათვის და საქართველო-რუსეთის საზღვრის კონტროლის ნაკლებობას.³ ამის საპირისპიროდ, 2012 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში რუსეთის მიმართ შედარებით რბილი ტონი დაიკარგა. დოკუმენტში რუსეთი 86-ჯერ არის მოხსენიებული და უმეტესად უარყოფით კონტექსტში.⁴ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დაორგანიზებული ტერორისტული აქტები საქართველოს უსაფრთხოების უმთავრეს გამოწვევებად მოიარება.⁵ რუსეთი პირდაპირაა მოხსენიებული თორმეტიდან

¹ Parliament of Georgia, 'National Security Concept of Georgia', 2005, www.parliament.ge/files/292_880_927746_concept_en.pdf (accessed 20 February 2020).

² Parliament of Georgia (2005), pp. 3-4.

³ Parliament of Georgia (2005), p. 3.

⁴ Ministry of Foreign Affairs of Georgia, 'National Security Concept of Georgia', 2012, www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx?lang=en-US (accessed 10 April 2017).

⁵ Ministry of Foreign Affairs of Georgia (2012), p. 7.

შვიდ საფრთხის კატეგორიაში, რომელიც დოკუმენტშია განხილული (საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, სამხედრო აგრესიის განახლების საფრთხე, იძულებით გადაადგილებული პირების უფლებების დარღვევა და კონფლიქტები კავკასიაში, კიბერუსაფრთხოება, გარემოსდაცვა და დემოგრაფია).¹

2019-22 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, რომელიც ქართული ოცნების ხელისუფლებამ გამოსცა, რუსეთის მიმართ დამთმობი პოზიციის გამო **კრიტიკის საფუძველი გახდა**, თუმცა ის აღნიშნავს რუსეთის მავნე ზემოქმედებას საქართველოს უსაფრთხოების გარემოსა და ეროვნულ სუვერენიტეტზე.² ახალი სტრატეგია პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მხარდაჭერას უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სფეროებში, ასევე, ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში კრიტიკურად მნიშვნელოვნად მიიჩნევს. 2019 წლის სტრატეგია ხაზს უსვამს ბალტიისპირეთის ქვეყნების მცდელობას, მოახდინონ საერთაშორისო არენაზე საქართველოს მხარდაჭერის კონსოლიდაცია, რათა **ქვეყანას** უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის და ნატოსთან ინტეგრაციის მიმართულებით **დაეხმარონ**.³ ქართველი პოლიტიკოსები ამ უკანასკნელთა მხარდაჭერას **ხშირად იღებენ**, როგორც რუსული საფრთხის დაბალანსების შესაძლებლობას.⁴ საბოლოო ჯამში, საქართველოს უსაფრთხოების მყიფე მდგომარეობა და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ **დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების სკეპტიკური**

¹ Ministry of Foreign Affairs of Georgia (2012), pp. 7-10.

² Ministry of Foreign Affairs of Georgia, 'The Foreign Policy Strategy 2019-2022', 2019, <http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx?lang=en-US> (accessed 20 February 2020).

³ Ministry of Foreign Affairs of Georgia (2019), p. 13.

⁴ President of Georgia, 'President Zourabichvili: More Europe, More NATO, and More Poland in Georgia!', 2019, www.president.gov.ge/eng/pressamsakhuri/siakhleebi/salome-zurabishvili-meti-evropa-meti-nato-da-meti.aspx (accessed 20 February 2020).

დამოკიდებულება საქართველოს პოლონეთსა და ბალტიისპირეთის მხარდაჭერის იმედად ტოვებს.

პოლონეთის და ბალტიისპირეთის ქვეყნები: საკუთარი ნიშის ძიებაში

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი პოლონეთისა და ბალტიისპირეთის მხარდაჭერის მოტივი რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ ოპოზიციის გაძლიერებაა. ამავდროულად, ამ სახელმწიფოებს სურთ გააძლიერონ საკუთარი პოზიციები დასავლურ ინსტიტუტებში აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში საკუთარი აქტიური ჩართულობის განსაზღვრით. ისინი ცდილობენ აღმოსავლეთ ევროპა, მათ შორის საქართველო, წარმოაჩინონ როგორც მათი განსაკუთრებული კომპეტენციისა და ზრუნვის სფერო. ეს არის სტრატეგია, რომელიც „ევროკავშირის შიგნით ხილვადობის“ გაზრდას¹ ან „ნიშის პოლიტიკის“ შექმნას ისახავს მიზნად.² ერთ-ერთი ავტორის აზრით, საკუთარი ნიშის პოვნა და ევროკავშირის შიგნით ხილვადობის გაზრდა ევროკავშირის მასშტაბით უფრო მეტ პრესტიჟს ქმნის, რასაც წევრი სახელმწიფოს ზოგადი ფინანსური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია.³ ეს შესამჩნევია, როდესაც გადავხედავთ, თუ როგორ არის აგებული აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ოფიციალურ ნარატივებში. პოლონურ ოფიციალურ დოკუმენტებში მას „ბრენდის“ პოლიტიკა ან „მაღალი სტატუსის“ პოლიტიკა ეწოდება, რომელსაც პოლონეთის საგარეო პოლიტიკის

¹ Vahur Made, 'Shining in Brussels? The Eastern Partnership in Estonia's Foreign Policy', *Perspectives*, 19:2 (2011), pp. 67-79.

² Mariam Apriashvili, 'Baltic Support for Georgia: Solidarity, Niche, and Security Policies', Research Paper no. 4 (2017), Tbilisi: Georgian Institute of Politics.

³ Made (2011), p. 68.

სტრატეგია განსაზღვრავს, როგორც „პოლონეთის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბება და მისი სანდოობის გაძლიერება ევროპაში და გლობალურად“.¹ 2017-21 წლების პოლონეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის მიხედვით, „მაღალი სტატუსის მიღწევა საგარეო პოლიტიკის სამ მთავარ მიზანს **შორისაა**, ეკონომიკურ ზრდასა და უსაფრთხოებასთან ერთად. პოლონეთის „მაღალი სტატუსის მიდგომა განპირობებულია სურვილით იმოქმედოს, როგორც „პასუხისმგებელმა მოთამაშემ გლობალურ პოლიტიკაში“. მას ასევე სურს წარმოჩინდეს, როგორც „საერთაშორისო საზოგადოებრივი სიკეთის მიმწოდებელი“, რაც სტაბილურობასა და ეფექტური რეფორმების გატარების ცოდნას **მოიცავს**.²

პოლონეთს იგივე ისტორიული მემკვიდრეობა და საგარეო პოლიტიკური მიზნები **აქვს**, **რაც** მის აღმოსავლეთ ევროპელ მეზობლებს, მათ შორის საქართველოს. ეს საშუალებას აძლევს პოლონეთს, ხაზი გაუსვას საკუთარ „რთული სისტემური ტრანსფორმაციის გამოცდილებას“³ და თავი რეგიონში ევროკავშირის კარგი მმართველობის დღის წესრიგის ავანგარდად **წარმოაჩინოს**. პოლონეთის ლიდერები გრძნობენ, რომ მათ შეასრულეს ლიდერის როლი ევროკავშირის რეგიონში ჩართულობაში. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიტოლდ ვაშჩიკოვსკიმ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში **პოლონეთის მიღწევები**, როგორცაა ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა და უვიზო რეჟიმის ამოქმედება სამ პარტნიორ ქვეყანასთან, შეაფასა, როგორც „პოლონური დიპლომატიის ნამდვილი

¹ Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland, 'Polish Foreign Policy Strategy 2017- 2021', MFA Poland, 2017.
<http://www.ms.gov.pl/resou/0c98c3b2-9c5d-4c42-8761-f7827134ee76:JCR>
(accessed 17 March 2018), p. 5.

² Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland (2017), p. 20.

³ Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland (2017), p. 17.

წარმატება ევროკავშირში“.¹ პოლონეთი, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის დამფუძნებელი, ამყობს, რომ ასრულებს „წამყვან როლს მის განხორციელებასა და პოპულარიზაციაში“.² ერთ-ერთი ავტორის აზრით, პოლონეთის აქტიური ჩართულობა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში ხელს უწყობს „მისი საერთაშორისო პოზიციის განმტკიცებას, განსაკუთრებით ევროკავშირის დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებაში“.³ ბალტიისპირეთის ქვეყნებიც ცდილობენ აღმოსავლეთ პარტნიორობაში საკუთარი როლის გამოყენებას, რათა გააუმჯობესონ თავიანთი პოზიცია და პრესტიჟი ევროკავშირსა და ნატოში. აღმოსავლეთ პარტნიორობა წარმოდგენილია, როგორც ლატვიის „ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და საგარეო პოლიტიკური ნიშა“.⁴ ერთ-ერთი ავტორის აზრით, ლატვია ცდილობდა „დაემკვიდრებინა თავი ევროკავშირში, როგორც ამ რეგიონის ექსპერტს“.⁵ ლატვია აღმოსავლეთ პარტნიორობის არეალს მიიჩნევს, როგორც „სტრატეგიულ რეგიონს“ ლატვიის განვითარების დახმარების სტრატეგიაში.⁶ ის თავისი პოლიტიკური რესურსების დიდ ნაწილს, მათ შორის კარგი მმართველობის ხელშეწყობას, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისკენ მიმართავს. ესტონეთის განვითარების პოლიტიკა, ასევე, ეფუძნება „ტრანზიციული გამოცდილების“ გაზიარებას

¹ Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland (2017), p. 18.

² Ibid

³ Slawomir Sierakowski, 'Why Poland Loves Ukraine ... For Now', *New York Times*, 28 March 2014, www.nytimes.com/2014/03/29/opinion/sierakowski-why-poland-loves-ukraine-for-now.html (accessed 18 March 2018).

⁴ Diana Potjomkina, 'Peace, Trade, and European Resources: Latvia and the Eastern Partners in 2015-2016', in *Latvian Foreign and Security Policy. Yearbook*, ed. A. Sprūds and I. Brūge (Zinātne, 2016), pp. 43-59.

⁵ J. Poikāns, 'The Eastern Partnership - Latvia's Contribution', in A. Sprūds and I. Brūge ed. *ibid.*, p. 37.

⁶ MFA Latvia, 'Annual Report by the Minister of Foreign Affairs on Accomplishments and Activities Planned with Respect to National Foreign Policy and the European Union, 2014-2015', 2014, www.mfa.gov.lv/images/zinojums_FINAL_FINAL_ENG.pdf (accessed 17 June 2018), p. 22.

„სხვა ქვეყნებთან, რომლებიც მსგავს წარსულს იზიარებენ“. ესტონეთი თვლის, რომ მას ყველაზე მეტად შეუძლია უზრუნველყოს დამატებითი ღირებულების მიწოდება აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებისთვის.¹ 2006 წლიდან საქართველო, როგორც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის/აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთი ყველაზე მონდომებული და წარმატებული პარტნიორი, ესტონეთის განვითარების პოლიტიკის პრიორიტეტულ პარტნიორ ქვეყნებს შორისაა.² 2016 წლიდან, ესტონეთს საქართველოსთან განვითარების თანამშრომლობის დამოუკიდებელი სტრატეგია აქვს.³

ლიეტუვის განვითარების პოლიტიკაც მსგავს გზას გაჰყვა. „გარდამავალი გამოცდილების გადაცემა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის“ ლიეტუვის მთავრობის პრიორიტეტი გახდა.⁴ ერთ-ერთი ავტორის აზრით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან თანამშრომლობის წარმატებული ისტორიები „ხელს უწყობს ლიეტუვის უფრო პოზიტიურ იმიჯს დონორთა საერთაშორისო საზოგადოებაში.“⁵ როგორც უსაფრთხოებაზე ორიენტირებული მიდგომის, ისე ნიშნის ძიების

¹ Evelin Andrespok, 'Estonian e-Tiger Leaping to Georgia: Added Value of Estonian Development Cooperation', 2014, https://helda.helsinki.fi/bitstream/handle/10138/135426/Masters%20thesis_eTiger%20leaping%20to%20Georgia_Evelin%20Andrespok.pdf (accessed 17 June 2018), p. 1.

² MFA Estonia, 'National Security Strategy of Estonia', 2010, http://vm.ee/sites/default/files/content-editors/JPA_2010_ENG.pdf (accessed 14 June 2018), p. 18.

³ MFA Estonia, 'Estonian Development Cooperation Country Strategy Paper Georgia 2016-2018', 2015, http://vm.ee/sites/default/files/content-editors/development-cooperation/gruusia_maastrateegia_2016_2018_eng.pdf (accessed 17 June 2018).

⁴ MFA Estonia, 'Estonian Development Cooperation Country Strategy Paper Georgia 2016-2018', 2015, http://vm.ee/sites/default/files/content-editors/development-cooperation/gruusia_maastrateegia_2016_2018_eng.pdf (accessed 17 June 2018).

⁵ Anastasija Panasevič, 'Lithuanian Development Cooperation: 10 Years for Finding a Place in the Donors' Community', *Latvia's Interests in the European Union*, 3 (2014), pp. 32-45.

სტრატეგიის ერთ-ერთი ადრეული გამოვლინება იყო საქართველოს მეგობართა ახალი ჯგუფის შექმნა 2004 წელს.¹ ბალტიის სამი სახელმწიფო პოლონეთთან ერთად ამ ჯგუფის დამფუძნებელი წევრები იყვნენ. დაარსების დღიდან ჯგუფის მთავარი მიზანი იყო საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში დახმარება „ჯგუფის წევრების გამოცდილების სათანადოდ გამოყენებით“.² ჯგუფი საქართველოს პოლიტიკურ და დიპლომატიურ მხარდაჭერას უწევს. იგი ავრცელებს განცხადებებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის და რუსეთს მისი აგრესიული ქმედებების გამო აკრიტიკებს.³ პოლონეთის მსგავსად, ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფო აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში აქტიურ ჩართულობას დასავლურ ორგანიზაციებში საკუთარი პროფილის გასაძლიერებლად იყენებს, რათა თავი დაიმკვიდრონ, როგორც დასავლეთის განვითარების პოლიტიკის გამაგრებლებმა.

პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საქართველოსადმი სოლიდარობის პოლიტიკა გააზრებულ თვითინტერესებს ეფუძნება. მას, ასევე, საფუძვლად უდევს საერთო ნეგატიური ისტორიული გამოცდილება, პესიმისტური მსოფლმხედველობა და ევროპულ ცივილიზაციასთან იდენტიფიკაცია. პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები რეგიონში რუსეთის როლთან მიმართებაში საქართველოს უარყოფით შეხე-

¹ Panasevič (2014), p. 44.

² თავდაპირველად შექმნილი „საქართველოს მეგობრების ჯგუფის“ საქმიანობა, რომელიც 1994 წელს საფრანგეთის მიერ დაარსდა და რომლის წევრებს შორისაც იყო გერმანია, აშშ და დიდი ბრიტანეთი, 2004 წელს პარალიზდა. ამ წელს ეს ჯგუფი გაეროს საქართველოს მეგობართა ჯგუფად გარდაიქმნა, რომელსაც, ასევე, შეუერთდა რუსეთიც. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: Vladimir Socor (2005), ‘New Group of Georgia’s Friends Founded’, in *Eurasia Daily Monitor* 2 (26), checked on 25 June 2018; Teresa Whitfield, (2007), ‘Friends Indeed? The United Nations, Groups of Friends, and the Resolution of Conflict’ US Institute of Peace Press.

³ MFA Romania, ‘Minister Teodor Baconschi co-chaired New Group of Friends of Georgia meeting’, 2011, www.mae.ro/en/node/8330 (accessed 25 June 2018).

დულებას იზიარებენ. 2017 წლის პოლონეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის მიხედვით, „როგორც უფრო ახლო, ისე შორეულ მეზობლებთან სოლიდარობა არის მორალური იმპერატივი, რომელიც, ასევე, ემსახურება პოლონეთის რესპუბლიკის საუკეთესო ინტერესებს“.¹ სოლიდარობის პოლიტიკა იდეოლოგიურ სიახლოვესა და ღირებულებებზე დაფუძნებულ საგარეო პოლიტიკას ეფუძნება.^{2 3} პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის დასავლეთი, როგორც კულტურული საზოგადოება, ცივილიზაციური მიზანს და სასურველ საზოგადოებრივ წესრიგს **წარმოადგენს.** ეს დამოკიდებულება ქართული პოზიციის იდენტურია. ევროკავშირისა და ნატოს გაფართოება აღმოსავლეთ ევროპის ამ ქვეყნებს ცივილიზაციური თვალსაზრისით უფრო დაცულს გახდის. პოლონეთის 2012 წლის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის თანახმად, „ცივილიზაციის თვალსაზრისით, ღირებულია ისეთი პარტნიორების ყოლა, რომლებიც მხარს უჭერენ ერთსა და იმავე ღირებულებებს პოლონეთის საზღვრის ორივე მხარეს“.⁴ ნორმატიული

¹ *Civil Georgia*, ‘Friends of Georgia Group Stresses Support in the Face of Russian Occupation’, 9 December 2017, <https://old.civil.ge/eng/article.php?id=30716> (accessed 25 June 2018).

² Ministry of Foreign Affairs of Poland, ‘Polish Foreign Policy Strategy 2017-2021’, 2017, www.msz.gov.pl/resource/0c98c3b2-9c5d-4c42-8261-f7827134ee76:JCR (accessed 17 March 2018), p. 5

³ **საგარეო პოლიტიკაში იდეების როლის შესახებ იხილეთ,** E. Adler, ‘Seizing the Middle Ground: Constructivism in World Politics’, *European Journal of International Relations* 3:3 (1997), pp. 319-63; J. Goldstein and R. Keohane, *Ideas and Foreign Policy: Beliefs, Institutions, and Political Change* (New York: Cornell University Press, 1993); Ted Hopf, ‘The Promise of Constructivism in International Relations Theory’, *International Security* 23:1 (1998), pp. 171-200; Frank Schimmelfennig, ‘Nato Enlargement: A Constructivist Explanation’, *Security Studies* 8: 2-3 (1998), pp. 198-234; Alexander Wendt, ‘Anarchy is What States Make of it: The Social Construction of Power Politics’, *International Organization*, 46:2 (1992), pp. 391-425; Alexander Wendt, *Social Theory of International Relations* (Cambridge: Cambridge University Press, 1999).

⁴ Ministry of Foreign Affairs of Poland, ‘Polish Foreign Policy Priorities 2012-2016’, 2012, www.msz.gov.pl/resource/d31571cf-d24f-4479-af09-c9a46cc85cf6:JCR (accessed 17 March 2018), p. 17.

კომპონენტი კიდევ უფრო ძლიერადაა გამოხატული ბალტიის-პირეთის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის დოკუმენტებში. 2016 წლის ლიეტუვის უსაფრთხოების ახალი კონცეფციის თანახმად, „აღმოსავლეთ სამეზობლოში დემოკრატიული ღირებულებების პოპულარიზაციაში წვლილი“ ლიეტუვეური საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების ერთ-ერთ მთავარ მიზანს **წარმოადგენს.**¹ ანალოგიურად, ესტონეთის და ლატვიის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები ხაზს უსვამს დემოკრატიულ და წესებზე დაფუძნებული საზოგადოების როლს საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიმართ ბალტიისპირეთისა და პოლონური მიდგომის ნორმატიული კომპონენტი იმ სიგნალების **პარალელურია,** რომლებსაც 2020 წლის ნოემბერში არჩეული პრეზიდენტ ბაიდენის ახალი ადმინისტრაციისგან **ვიღებთ,** რომელიც მიზანდასახულია გააძლიეროს დემოკრატიული კოალიციები მთელს მსოფლიოში და დაუპირისპირდეს ისეთ ავტორიტარულ მონინაალმდეგებს, როგორცაა რუსეთი და ჩინეთი.

საქართველო მიესალმა პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ჩართულობას საქართველოს რეფორმების პროცესში. საქართველოს პოლიტიკური კლასი მიიჩნევს, რომ როგორც პოლონეთს, ასევე ბალტიისპირეთის ქვეყნებს შეუძლიათ მიაწოდონ საქართველოს ექსპერტიზა და ცოდნა ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესსა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის სტრატეგიებში. საქართველოს 2012 წლის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ხაზს უსვამს „ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციის პროცეს-

¹ Ministry of Defence of Lithuania, 'National Security Strategy of the Republic of Lithuania', 2016, <https://kam.lt/download/57457/2017-nacsaugstrategijaen.pdf> (accessed 14 June 2018), p. 10.

ში“.¹ 2019 წლის საგარეო პოლიტიკის სტრატეგია იმეორებს ბალტიისპირეთის ქვეყნებთან გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრაციის პროცესთან მიმართებაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მათი გამოცდილება დემოკრატიული რეფორმების ინსტიტუციონალიზაციის მხრივ.² საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები სშირად მოიხსენიებენ ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და პოლონეთს, როგორც საქართველოსთვის მისაბამ მაგალითებს. 2015 წელს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ლიტუევას „მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი მისაბამი მოდელი“ უწოდა.³ ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა შეაქო პოლონეთის წარმატებული დასაქმების მოდელი, პოსტსოციალისტური ეკონომიკური ტრანსფორმაცია და რეგიონული განვითარება.⁴ ცოდნის აქტიური გაცვლა პოლონეთს, ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და საქართველოს შორის პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დროს დაიწყო და პიკს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციის დროს (2003-2013) მიაღწია. თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების ნათელი მაგალითი იყო 2000 წელს, პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ლეშეკ ბალცე-

¹ MFA Georgia, 'National Security Concept of Georgia', 2012, www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx?lang=en-US (accessed 10 April 2017), p. 20.

² MFA Georgia, 'The Foreign Policy Strategy 2019-2022', 2019, <http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx?lang=en-US> (accessed 20 February 2020), p. 13.

³ Government of Lithuania, 'Prime Minister in Tbilisi: We Are Committed to Help Georgia on its Path of Democracy', 2015, <https://lrv.lt/en/news/prime-minister-intbilisi-we-are-committed-to-help-georgia-on-its-path-of-democracy> (accessed 20 February 2020).

⁴ Polandin, 'Salome Zourabichvili, the President of Georgia, said in a special interview with the Polish public broadcaster TVP that Poland is a very good partner of this country', 8 May 2019, <https://polandin.com/42531470/poland-can-be-a-bridge-between-georgia-and-europe-georgian-president> (accessed 20 February 2020).

როვიჩის საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ეკონომიკურ საკითხებში სპეციალურ მრჩეველად დანიშვნა. ანალოგიურად, 2006 წელს ესტონეთის ყოფილი პრემიერმინისტრი მარტ ლაარი მონვეული იქნა მიხეილ სააკაშვილის რეფორმების პროცესში დასახმარებლად.¹ ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და პოლონეთის სტატუსის მაძიებელი პოლიტიკა საქართველოში ორმხრივი გზაა. ერთი მხრივ, პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები თავიანთ პროფილს აძლიერებენ და თავიანთ ნიშას იკავებენ ევროკავშირში. მეორე მხრივ, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის მონაწილეობით საქართველო მათი ცოდნითა და გამოცდილებით სარგებლობს.

დასკვნა

ამ თავში განხილულია პოლონეთისა და ბალტიისპირეთის სამი ქვეყნის განსაკუთრებული მხარდაჭერის მიზეზები საქართველოს მცდელობისთვის, ინტეგრირდეს ნატოსა და ევროკავშირში და დაუპირისპირდეს რუსეთის გავლენას. ჩვენ გამოვყავით სამი ძირითადი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი: უსაფრთხოების მოსაზრებები, სტატუსის ძიება და იდეოლოგიური მსგავსება. პოლონეთისა და ბალტიის სამი ქვეყნის ოფიციალური დოკუმენტების ანალიზზე დაყრდნობით, გამოვავლინეთ საფრთხის საერთო აღქმა და უსაფრთხოებაზე ორიენტირებული დისკურსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისა და, კერძოდ, რუსეთის მიმართ. პოლონეთსა და ლიეტუვას რუსეთის მიმართ ყოველთვის სკეპტიკური დამოკიდებულება ჰქონდათ. ესტონეთსა და ლატვიას თავდაპირველად უფრო თავშეკავებული და შემწყნარებელი პოლიტიკა ჰქონდათ რუსეთის მიმართ, მაგრამ მათი პოზიციები გამკაცრდა მას შემდეგ, რაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და

¹ *Civil.ge*, 'Saakashvili's New Aide for Reforms Visits Georgia', 24 May 2006, <https://civil.ge/archives/110656> (accessed 20 February 2020).

2014 წლის ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში შეჭრის დროს რუსულმა რევანშიზმმა კონკრეტული სახე მიიღო. საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნების მხარდაჭერა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა საკუთარი უსაფრთხოების გასაძლიერებლად და რუსეთის ექსპანსიონიზმის შესაკავებლად - ანუ უოლტის სიტყვებით - საფრთხის წყაროს ბალანსირებისათვის.¹ მიიჩნევა, რომ ევროპული უსაფრთხოების სტრუქტურებთან მჭიდრო კავშირი და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროკავშირსა და ნატოში განწევრიანება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და პოლონეთის უსაფრთხოებას რუსეთის საპირწონედ. უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში განწევრიანება ჯგუფურ დინამიკას შეცვლის და გააძლიერებს პოლონეთისა და ბალტიისპირეთის პოზიციებს და პროფილს ორივე ორგანიზაციაში.

საქართველოსადმი ბალტიისპირეთისა და პოლონეთის მხარდაჭერის ძლიერი მოტივაცია იყო მათი პრესტიჟის ამაღლება ევროკავშირსა და ნატოში. პირველადი წყაროების ანალიზმა აჩვენა, რომ როგორც პოლონეთმა, ისე ბალტიისპირეთის ქვეყნებმა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონი თავიანთი განვითარების პოლიტიკის ცენტრალურ ნაწილად აქციეს. პოლონეთს და, განსაკუთრებით, ბალტიისპირეთის ქვეყნებს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვთ აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში იმ გარდამავალი გამოცდილების საფუძველზე, რომელიც მათ ევროკავშირსა და ნატოში განწევრიანებისას განვლეს. შედეგად, მათ გამოიყენეს თავიანთი უნიკალური გამოცდილება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, რათა დასავლური დონორი საზოგადოების უფრო ცენტრალური ნაწილი გამხდარიყვნენ და დაემტკიცებინათ თავიანთი, როგორც საზოგადოებრივი სიკეთის საერთაშორისო მასშტაბით მიმწოდებლების, სარგებლიანობა.

¹ Walt (1988).

დაბოლოს, შეგვიძლია ვისაუბროთ პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საქართველოსადმი მიდგომის იდეოლოგიურ მიზეზებზეც. იდეური კავშირები მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც უსაფრთხოების მოსაზრებებთან, ასევე პრესტიჟის პოლიტიკასთან. გარკვეულწილად, იდეოლოგიური კავშირები უსაფრთხოების დისკურსების ნაწილიც კი არიან, რადგან პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები თვლიან, რომ დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობას დადებითი გავლენა აქვს მათ უსაფრთხოების გარემოზე. სტივენ უოლტის „საფრთხის ბალანსი“ სასარგებლოა საქართველოს მიმართ პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების სტრატეგიული ქცევის გასაგებად. ბალტიისპირეთის ქვეყნების, პოლონეთისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკა ცალ-ცალკე იქნა გამოკვლეული მრავალი ავტორის მიერ სხვადასხვა თეორიული ჩარჩოთი.¹ საქართველოს, პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მრავალგანზომილებიანობა და სირთულე მდიდარ ლაბორატორიას **სთავაზობს** ყველას, **ვისაც** **პატარა და საშუალო ზომის სახელმწიფოებს** შორის **ურთიერთობების განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ** თეორიული მოდელების ტესტირება თუ შექმნა სურს.

¹ Giorgi Gvalia, Bidzina Lebanidze and David Siroky, 'Neoclassical Realism and Small States: Systemic Constraints and Domestic Filters in Georgia's Foreign Policy', *East European Politics*, 35:1 (2019), pp. 21-51; M. Mälksoo, 'From Existential Politics towards Normal Politics? The Baltic States in the Enlarged Europe', *Security Dialogue*, 37:3 (2006), pp. 275-97; Kevork Oskanian, 'The Balance Strikes Back: Power, Perceptions, and Ideology in Georgian Foreign Policy, 1992-2014', *Foreign Policy Analysis*, 12:4 (2016), pp. 628-52.

თავი 9

საქართველოს ალიანსი ნატოსთან და არა ნატოში: საგარეო ბალანსი, ავტონომია და საზოგადოება

მაიკლ ჰიკარი ჩეჩირე

მოცემული თავი ნატო-საქართველოს ურთიერთობებს ქართული ეროვნული იდენტობის, პოლიტიკისა და განსაკუთრებით, სახელმწიფოს დაუცველობის კონტექსტში აანალიზებს, საბოლოო აქცენტს კი ამ ურთიერთობების ირგვლივ არსებულ აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე აკეთებს. საქართველო ევროატლანტიკურ სტრატეგიულ კურსს, განსაკუთრებით კი ნატოსთან თანამშრომლობას, ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო ურთიერთობების პოლიტიკის ცენტრალურ ნაწილად მოიაზრებს. შედეგად, დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, ნატო-საქართველოს ურთიერთობები თანდათანობით უფრო ინტენსიური და კომპლექსური გახდა. ნატოს არანევრ სახელმწიფოებს შორის, საქართველო ალბათ ალიანსის ყველაზე აქტიური და მასში ყველაზე მეტად ინტეგრირებული ქვეყანაა. გარკვეული თვალსაზრისით, საქართველო ნატოს არანევრი სახელმწიფოების საგარეო ჩართულობის მოდელს წარმოადგენს.

თუმცა, სიმბოლურად წარმატებული ურთიერთობების პირობებით საქართველოს ხანგრძლივი უკმაყოფილება ამ მაგალითის განზოგადების ლიმიტებზე მიუთითებს. ქვეყნის ევროატლანტიკური მისწრაფებები მტკიცე საზოგადოებრივი მხარდაჭერით სარგებლობს, რაც, დიდი ალბათობით, ევროპასა და ევროატლანტიკურ დასავლეთთან ქართული „ცივილიზაციური“ კავშირების შესახებ ზოგადი წარმოდგენებით არის განპირობებული. ევროატლანტიკური კონსენსუსის პოლიტიკური

განზომილება, ძირითადად, პრაგმატული ხასიათისაა და საქართველოს მხრიდან ინტერესებზე დაფუძნებულ ძალისხმევას წარმოადგენს, რომელიც ძალთა არათანაბარი განაწილების პირობებში, რეგიონულ ჰეგემონთან, რუსეთთან, მიმართებაში ქვეყნის სტრატეგიული ავტონომიის მაქსიმალურად გაძლიერებისკენ არის მიმართული. საქართველოში ნატოს მიმართ საზოგადოების მზარდი გულგრილობისა და ევროატლანტიკური ფუნქციური გავლენის შესამჩნევი შემცირების პირობებში (კერძოდ, ნევრობისთვის საჭირო კონკრეტული სტრატეგიის არარსებობის შეზღუდვები), ევროატლანტიკური სტრატეგია შესაძლოა სულაც არ აღმოჩნდეს უსასრულოდ მტკიცე ან სიცოცხლისუნარიანი.

ნატო-საქართველოს ურთიერთობების კონტექსტი

ევროატლანტიკური ინტეგრაცია, და განსაკუთრებით ნატო, დიდი ხანია საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს.¹ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდი შიდა პოლიტიკური და ეთნიკური კონფლიქტებით ხასიათდებოდა, ქვეყანამ საკმაოდ სწრაფად აითვისა ევროატლანტიკური საგარეო პოლიტიკური კურსი. 1994 წელს საქართველო შეუერთდა ნატოს პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისთვის“. აღნიშნულ ნაბიჯს წინ უსწრებდა 1992 წელს ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში

¹ Michael Cecire, 'Georgia's 2012 Elections and Lessons for Democracy Promotion', *Orbis* 57:2 (2013), pp. 232-50; Kornely Kakachia and Salome Minesashvili, 'Identity Politics: Exploring Georgian Foreign Policy Behaviour', *Journal of Eurasian Studies*, 6:2 (2015), pp. 171-80.

მოსვლა და 1992-1993 წლებში აფხაზეთის ომში შეიარაღებული მოქმედებების შეწყვეტა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე სხვა სახელმწიფოს მსგავსად, ნატო-საქართველოს ურთიერთობები 1990-იანი წლების განმავლობაში თანდათანობით განვითარდა. 1997 წელს ქვეყანა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს შეუერთდა, ხოლო საქართველოსა და ნატოს შორის ფორმალური ურთიერთობები 1998 წელს დამყარდა. მართალია 2003 წლის ვარდების რევოლუციისა და 2012 წლის ხელისუფლების დემოკრატიული გადაცემისგან განსხვავებით, აღნიშნული პერიოდი უფრო ეტაპობრივი ცვლილებებით ხასიათდებოდა, თუმცა, ამის მიუხედავად, ის ძალიან დიდი მნიშვნელობის მატარებელია. მისი მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების პროცესის აღდგენის აუცილებლობით იყო განპირობებული, რამდენადაც ამ პერიოდისთვის ეთნიკური კონფლიქტებისა და სამოქალაქო ომისგან სულ რამდენიმე წელი იყო გასული. 1990-იან წლებში, საქართველო ჯერ კიდევ სუსტი სახელმწიფო იყო, რომელიც სამხედრო მეთაურების სამოქალაქო გავლენით და ენდემური კორუფციით ხასიათდებოდა.¹

¹ ფონი დეტალურად მიმოიხილავს საქართველოს უსაფრთხოების პოზიციას, განსაკუთრებით კი აშშ-ის „გლობალური ომი ტერორიზმის წინააღმდეგ“ მიმართებაში, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიას მოჰყვა. მისი ნაშრომი, ასევე, მიმოიხილავს საქართველოს სახელმწიფოს სისუსტეების კონტექსტს. Rick Fawn, 'Russia's Reluctant Retreat from the Caucasus: Abkhazia, Georgia and the US after 11 September 2001', *European Security*, 11: 4 (2002), pp. 131-50. დევიდ ფილიპსი, ასევე, გვიხატავს დეტალურ სურათს სააკაშვილის პრეზიდენტობის საწყისი პერიოდის შესახებ. David L. Phillips, 'Stability, Security, and Sovereignty in the Republic of Georgia', Council on Foreign Relations, Washington DC, 15 January 2004. კლოსენი შეისწავლის სახელმწიფოს სისუსტეებს საქართველოს ენერჯეტიკის სექტორში. მიტჩელი კი საქართველოს სახელმწიფოებრივ სისუსტეებს სააკაშვილის რეფორმების კონტექსტში, რეტროსპექტიულ ასპექტში ანალიზებს. Stacy Closson, 'State Weakness in Perspective: Strong Politico-economic Networks in Georgia's Energy Sector', *Europe-Asia Studies*, 61:5 (2009), pp. 759-78.

2002 წელს, მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს განწევრების განზრახვა გააჟღერა. ამის პარალელურად, ქვეყანამ სამხედროები მიავლინა კოსოვოში ნატოს სამშვიდობო მისიებში, მოგვიანებით კი საქართველო აქტიურად ჩაერთო კოალიციის მისიებში ავღანეთსა და ერაყში, რაც საქართველოსა და დასავლეთს შორის სამხედრო ურთიერთობებში უფრო ფართო პროგრესზე მიანიშნებდა. 2002 წელს საქართველო აშშ-ის მიერ შემოთავაზებული „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის“ ბენეფიციარი გახდა. პროგრამა ქართული სამხედრო ძალების უსაფრთხოების შესაძლებლობების გაძლიერებას ისახავდა მიზნად, რამაც შემდგომში დამატებით ერთობლივ სამხედრო მხარდაჭერის პროგრამებს დაუდო საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის პროგრამების მიზანს ქვეყნის კრიმინალურ და ექსტრემისტულ ელემენტებთან ბრძოლა წარმოადგენდა, მათ ასევე გააძლიერეს საქართველოს სამხედრო ურთიერთობები დასავლელ პარტნიორებთან, განსაკუთრებით კი აშშ-სთან და მთლიანად ნატოსთან.¹

ნატო-საქართველოს თანამშრომლობამ 2003 წლის ვარდების რევოლუციისა და მიხეილ სააკაშვილისა და მისი პარტიის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სწრაფი წინსვლა განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ ნატო და ევროატლანტიკური ინტეგრაცია შევარდნაძის მთავრობის დროს, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში, პრიორიტეტულ საგარეო პოლიტიკურ კურსს წარმოადგენდა, სააკაშვილის ხელისუფლებამ ევროატლანტიკური ინტეგრაცია

¹ „საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის“ (GTEP) თანადროული ანგარიშის გასაცნობად იხილეთ, www.nytimes.com/2002/05/20/world/green-berets-land-in-georgia-for-2-year-trainingprogram.html. ასევე იხილეთ, Fawn, 2002. „საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის“ (GTEP) უფრო დეტალური განხილვისთვის იხილეთ, Jennifer D.P. Moroney, Beth Grill, Joe Hogler, Lianne Kennedy-Boudali and Christopher Paul, 'How Successful are US Efforts to Build Capacity in Developing Countries?: A Framework to Assess the Global Train and Equip', Rand Corporation (2011).

მისი პარტიის მთავარ პოლიტიკურ საზად და საქართველოს ეროვნული სტრატეგიის ცენტრალურ ელემენტად ჩამოაყალიბა. ნატოში ინტეგრაცია ამ მიდგომის ცენტრალური კომპონენტი გახდა, რამდენადაც ის ქვეყნის პოსტსაბჭოთა ასოციაციებისგან აშკარა დისტანცირებაზე მიანიშნებდა და დასავლეთთან ცივილიზაციურ კავშირს უსვამდა ხაზს.¹ 2005 წლის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციამ ნატო-საქართველოს ურთიერთობები მკაფიოდ დააკავშირა საქართველოს უძველეს ევროპულ იდენტობასთან. კონცეფციის მიხედვით:

„საქართველო, როგორც შავი ზღვის რეგიონისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფო, არის ევროპის გეოგრაფიული, პოლიტიკური და კულტურული ნაწილი. ამიტომ, ევროპულ და ევროატლანტიკურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სისტემებში ინტეგრაცია საქართველოს ხალხის მტკიცე ნებაა. საქართველო მიესალმება ნატოსა და ევროკავშირის გაფართოებას და მიიჩნევს, რომ ნატოსა და ევროკავშირში შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ინტეგრაცია მნიშვნელოვნად განამტკიცებს ამ რეგიონის, როგორც ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრის უსაფრთხოებას. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში და ევროკავშირში განეწინაურება საქართველოს საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის უპირველესი პრიორიტეტი“.²

მსგავსი რიტორიკა შენარჩუნდა სააკაშვილის ადმინისტრაციისა და შემდგომში ქართული ოცნების მთავრობების მიერ გამოქვეყნებულ ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო

¹ იხილეთ, Donnacha Ó Beacháin and Frederik Coene, 'Go West: Georgia's European Identity and its Role in Domestic Politics and Foreign Policy Objectives', Nationalities Papers, 42:6 (2014), pp. 923-41; Kornely Kakachia and Salome Minesashvili, 'Identity Politics: Exploring Georgian Foreign Policy Behavior', Journal of Eurasian Studies, 6:2 (2015), pp. 171-80; Salome Minesashvili, 'Narrating Identity: Belongingness and Alterity in Georgia's Foreign Policy', Values and Identity as Sources of Foreign Policy in Armenia and Georgia, (2016), pp. 1770.

² იხილეთ, National Security Concept of Georgia, www.parliament.ge/files/-292_880_927746_concept_en.pdf.

პოლიტიკის სხვა დოკუმენტებშიც.¹ მიხეილ სააკაშვილისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მთავრობებმა 2003-2012 წლებში ნატოსთან საქართველოს კავშირები კიდევ უფრო გააძლიერეს. სწრაფი შიდა რეფორმები და პოლიტიკის ახალი დღის წესრიგი სამხედრო და პოლიტიკური პროცესების ნატოსა და ევროატლანტიკურ სტანდარტებთან თავსებადობისკენ იყო მიმართული. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე, საქართველოსთვის განვეერიანების სამოქმედო გეგმის (MAP) შეთავაზების თაობაზე ნატოს წევრებს შორის პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა, ქვეყანამ მიიღო ზოგადი დათქმა ალიანსში წევრობის შესახებ, თუმცა ეს ჩანაწერი განვერების თარიღს და კრიტერიუმებს არ აზუსტებდა. საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომმა ნატოს წევრ ქვეყნებს შორის უთანხმოებები გააღრმავა. წვერი სახელმწიფოების ნაწილი ომს საქართველოს ალიანსში წევრობის მხარდაჭერის მტკიცებულებად აღიქვამდა, მეორე ნაწილისთვის კი ომი ქვეყნისთვის წევრობაზე უარის თქმის არგუმენტს კიდევ უფრო ამყარებდა. ომზე „პასუხისმგებელი მხარის“ შესახებ განსხვავებულ მოსაზრებებსა და „საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის“ (2009) დეტალურ ანგარიშს, რომელიც ევროკავშირის დაკვეთით ვეტერანმა შვეიცარიელმა დიპლომატმა, ჰაიდი ტალიავინმა მოამზადა, არსებული უთანხმოებების მოგვარებაში დიდი წვლილი არ შეუტანია.

¹ მაგალითისთვის იხილეთ, Saakashvili's speech to the Parliamentary Assembly of the Council of Europe in 2013, www.assembly.coe.int/nw/xml/Speeches/-Speech-XML2HTML-EN.asp?SpeechID=192; and statements from Prime Minister Gharibashvili, www.reuters.com/article/us-eu-georgia/georgianleader-tells-eu-nato-he-remains-on-pro-western-path-idUSKCN0J12AC20141117, and Bakhtadze in 2014 and 2019, www.cnbc.com/2019/01/22/russia-is-still-occupying-20percent-of-our-country-georgias-leader-says.html.

მიუხედავად ყველაფრისა, ომმა ახალი ბიძგი მისცა საქართველოსა და ნატოს შორის ტექნიკური ინტეგრაციის დამატებით ღონისძიებებს, მათ შორის ნატო-საქართველოს კომისიისა და ყოველწლიური ეროვნული პროგრამის ჩამოყალიბებას. აღნიშნული ორი ფორმატი საქართველოს, ფაქტობრივად, ნანატრი MAP-ის ეკვივალენტურ ფუნქციურ მექანიზმებს სთავაზობდა, კერძოდ კრიტერიუმებზე ორიენტირებულ გზამკვლევს წევრობის კანდიდატობისთვის მოსამზადებლად. თუმცა, გზამკვლევი არ მოიცავდა იმ ფორმალურ ვალდებულების ან დადებითი პირობითობის ელემენტებს, რომლებიც MAP-ის პროცესშია წარმოდგენილი. 2010 წელს თბილისში ნატოს სამეკავშირეო ოფისი გაიხსნა, რომელიც საქართველოს ნატოსთან თანამშრომლობისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროცესში მუდმივ საკოორდინაციო დელეგაციას წარმოადგენს.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და ხელისუფლების დემოკრატიული ცვლილების შემდეგ, საქართველოს მმართველი კოალიცია „ქართული ოცნება“ წინა მთავრობის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პოლიტიკის ერთგული დარჩა. განახლდა გარკვეული რეფორმების პროცესი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის ბოლო პერიოდში შეჩერებულად ითვლებოდა. საქართველოს შეიარაღებული ძალების ტექნიკური პროგრესის აღიარების მიზნით და უკრაინაში რუსული სამხედრო ინტერვენციის საპასუხოდ, 2014 წლის ნატოს უელსის სამიტზე აღიანსმა საქართველოს „არსებითი პაკეტი“ გადასცა, რომელმაც მნიშვნელოვნად გააფართოვა ნატოს სამეკავშირეო ოფისი თბილისში, შექმნა ინტეგრირებული საკონსულტაციო პროგრამები და საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს მუდმივი ობიექტების ჩამოყალიბებას ჩაუყარა საფუძველი.¹ გარდა ამისა, ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა

¹ „ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის“ (SNGP) შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ, www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2016_02/160209-factsheet-sngp-en.pdf.

განაგრძეს ნატოს წვრთნებში მონაწილეობა და გამოცდილების მიღება საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების ფარგლებში, მათ შორის ნატოს ხელმძღვანელობით მოქმედ მტკიცე მხარდაჭერის საკონსულტაციო მისიაში ჩართულობით, რომელიც 2014 წლიდან ფუნქციონირებს.¹ 2015 წელს, საქართველომ თავისი სამხედრო კონტინგენტი ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების (NRF) შემადგენლობაში მიაწვინა. ეს არის მაღალი მზადყოფნის ოპერაციული დანაყოფი, რომელიც სწრაფი რეაგირების ძალებად ჩამოყალიბდა და ნატოს წევრი სახელმწიფოებისკენ მიმართულ საფრთხეებთან გამკლავებას ისახავს მიზნად. 2014 წლის ნატოს უელსის სამიტმა ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების რეორგანიზაციას ჩაუყარა საფუძველი, რათა შემდგომში მას შეძლებოდა ეფექტური რეაგირება რუსეთის ისეთ „ჰიბრიდულ“ ოპერაციებზე, როგორიც, მაგალითად, 2014 წელს უკრაინაში იყო გამოყენებული.² ათწლეულის მეორე ნახევარში, როდესაც ნატო-საქართველოს თანამშრომლობის სტრუქტურული ელემენტები მაქსიმალურად იყო ათვისებული და განვრცობის უშუალო გზამკვლევის მინიჭების მიღმა შესაძლო თანამშრომლობის მხოლოდ მცირე სფეროები იყო დარჩენილი, მთავარი აქცენტი გადავიდა უფრო დიდ და რთულ ფუნქციონალურ პარტნიორობაზე, განსაკუთრებით კი მრავალეროვნულ წვრთნებზე.³

¹ მაქსიმალური მობილიზაციისას, ავღანეთში მივლენილი იყო თითქმის 1600 ქართველი სამხედრო, „გადამწყვეტი მხარდაჭერის“ მისიაში კი თითქმის 900 ქართველი სამხედრო მონაწილეობდა.

² იხილეთ ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები, <https://jfcnaples.nato.int/page6734927.aspx>.

³ მაგალითისთვის იხილეთ, <https://www.reuters.com/article/us-georgia-exercises/georgia-begins-u-s-led-military-exercise-a-day-before-vice-president-pence-visit-idUSKBN1AF0G6>.

ნატო, როგორც მთავარი აქტორი

რატომ ანიჭებს საქართველო უპირატესობას ევროატლანტიკურ ინტეგრაციასა და განსაკუთრებით ნატოს? კაკაჩიას და მინესაშვილის მოსაზრებით, საქართველოს კავშირი ევროატლანტიკურ დასავლეთთან იდენტობით განპირობებულ ცივილიზაციურ იმპულსს წარმოადგენს.¹ ამის საპირისპიროდ, კევორქ ოსკანიანი საქართველოს თანამედროვე საგარეო პოლიტიკის ნეოკლასიკურ რეალისტურ ანალიზს გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც, იდეოლოგია მნიშვნელოვან შუალედურ ცვლადს წარმოადგენს თბილისის მიერ საგარეო პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაში, მათ შორის ევროატლანტიკური მიდგომის პრიორიტეტიზაციისა და მის მიერ ჩამოყალიბებული ლიბერალური ნარატივის მიმართულებით.² ანდერს ვიველი სამეზობლოსთან მიმართებაში საქართველოს განსხვავებული საგარეო პოლიტიკის მიდგომების ასახვად აღტერნატიულ მიდგომას გვთავაზობს, რომელიც რეალისტური საფრთხის ბალანსის უოლტისეულ თეორიას ეყრდნობა.³

ყველა ამ მიდგომას, რომელიც სხვადასხვაგვარად ცდილობს დამაჯერებელი ახსნა მოუძებნოს საქართველოს საგარეო პოლიტიკას და იმას, თუ რატომ ანიჭებს ქვეყანა უპირატესობას ევროატლანტიკურ დასავლეთს, თავისი ძლიერი მხარეები გააჩნია. თუმცა, სხვა ანალიტიკური ჩარჩოების პოტენციური ამხსნელობითი უნარის დაკნინების გარეშე, შესაძლოა მოიძებნოს უფრო პირდაპირი მიდგომა ძალთა შედარებითი ასიმეტრიული განაწილების კონტექსტში საქართველოს სტრა-

¹ <https://www.reuters.com/article/us-georgia-exercises/georgia-begins-u-s-led-military-exercise-a-day-before-vice-president-pence-visit-idUSKBN1AFOG6>.

² Kevork Oskanian, 'The Balance Strikes Back: Power, Perceptions, and Ideology in Georgian Foreign Policy, 1992-2014', *Foreign Policy Analysis*, 12:4 (2016), pp. 628-52.

³ Anders Wivel, 'Living on the Edge: Georgian Foreign Policy between the West and the Rest', *Third World Thematics: A TWQ Journal*, 1:1 (2016), pp. 92-109.

ტეგიული არჩევანის ასახსნელად. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყნის მთავარ მოწინააღმდეგესა და რეგიონულ ჰეგემონთან, რუსეთთან ხდება პარალელების გავლება. ამ უფრო მეტად პრაგმატული ხედვით, საქართველოს მიერ ნატოსა და ევროატლანტიკური დასავლეთისთვის პრიორიტეტის მინიჭება წარმოადგენს ქვეყნის მცდელობას, მაქსიმალურად შეამციროს საკუთარი სისუსტე რუსეთთან მიმართებაში. ალიანსების ფორმირების ლიტერატურის თანახმად, ამგვარი ნაბიჯი საქართველოს სარისკო სტრატეგიული პოზიციის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს. საქართველოს ქცევა შეიძლება შეფასდეს, როგორც უოლტის საგარეო დაბალანსების მაგალითი რუსეთის სამხედრო და ეკონომიკური ძალის სტრატეგიული გამონვევის საპასუხოდ. ეს არ ნიშნავს, რომ საქართველო მხოლოდ მის მიერ აღქმულ ძალთა განაწილების უთანაბრობაზე რეაგირებს, ან საფრთხეს სხვა შიდა მოსაზრებების გათვალისწინების გარეშე აბალანსებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არ არსებობს რაიმე საერთო წესი, რომელიც რაციონალური აქტორის მიერ საფრთხის აღქმას განსაზღვრავს.¹ საქართველოს შიდა პოლიტიკაში, რომელიც სიმბოლოებითა და მეტაფორებით არის სავსე, საფრთხის აღქმა ცვალებადი და დისკურსიული პროცესია.

ამავდროულად, არსებული ძალთა უთანასწორობის ფაქტები და რუსეთისგან მომდინარე ფიზიკური საფრთხის გონივრული შეფასება საკმაოდ აშკარაა. ეს 2008 წლის ომამდეც ცხადი იყო, რადგან საქართველოს შედარებითი სისუსტე რუსეთთან მიმართებაში კითხვის ნიშნის ქვეშ არასდროს დამდგარა, მათ შორის არც 1990-იან წლებში, როდესაც რუსეთი თვითონაც სუსტი სახელმწიფო იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდი ორ ქვეყანას შორის ძლიერი დაპი-

¹ Stephen M. Walt, 'Alliance Formation and the Balance of World Power', *International Security*, 9:4 (1985), pp. 3-43; Kenneth N. Waltz, *Theory of International Politics* (Reading, MA: AddisonWesley, 1979).

რისპირებით ხასიათდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი თავის მსჯელობებში შინაგანად თანმიმდევრული არ ყოფილა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ კონფლიქტებში მისი მონაწილეობა კარგად არის დოკუმენტირებული.¹ რუსეთის მხრიდან სეპარატისტების მხარდაჭერამ თუ პროცესში მისმა უშუალო მონაწილეობამ საქართველოს ტერიტორიის დანაწევრება გამოიწვია. სხვა ტიპის სამხედრო ჩარევებმა, მაგალითად პანკისის ხეობაში, რუსეთის მტრად აღქმას და საქართველოს მხრიდან საკუთარი სამხედრო ნაკლოვანებების გაანალიზებას შეუწყო ხელი. 2008 წლის ომში რუსეთის მიერ მოპოვებული სამხედრო გამარჯვებისა და განგრძობითი ტერიტორიული ოკუპაციის შედეგად, რუსეთის საფრთხედ აღქმის ნარატივი კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა.²

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში შედარებით სწრაფი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მიუხედავად, საქართველოს ირგვლივ ძალთა რეგიონული ბალანსი არ შეცვლილა. რუსეთი კვლავ რეგიონულ ლიდერად რჩება და, ზოგიერთი შეფასებით, ის შესაძლოა კიდევ უფ-

¹ მაგალითისთვის იხილეთ, E.M. Kozhokin, *Georgia-Abkhazia, US and Russian Policymaking with Respect to the Use of Force* (Santa Monica, CA: RAND Corporation, CF-129-CRES, 1996), pp.75-83; Dennis Sammut and Nikola Dvetkovski, *The Georgia-South Ossetia Conflict* (Verification Technology Information Centre, 1996); Rick Fawn, 'Russia's Reluctant Retreat from the Caucasus: Abkhazia, Georgia and the US after 11 September 2001', *European Security*, 11:4 (2002), pp. 131-50; Christoph Zürcher, Pavel Baev and Jan Koehler, 'Civil Wars in the Caucasus', *Understanding Civil War*, 2 (2005), pp. 259-98; Tracey German, 'Securing the South Caucasus: Military Aspects of Russian Policy towards the Region since 2008', *Europe-Asia Studies*, 64: 9 (2012), pp. 1650-66.

² რუსეთის, როგორც დომინანტური საფრთხის შეფასება რაციონალური ნარატივია, რასაც კიდევ უფრო ამყარებს ადგილობრივ სეპარატისტულ პროექტებსა და სხვა სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერვენციებში მისი ჩართულობა. თუმცა, სხვა შუალედური ცვლადები, რომლებმაც გავლენა იქონიეს პოლიტიკური ელიტის გადაწყვეტილებაზე, უპირატესობა მიტმასენის ნაცვლად საგარეო დაბალანსებისთვის მიენიჭებინათ (მაგალითად, ნატოთი) ბუნდოვანი რჩევა და სცდება მოცემული თავის მიმოხილვის არეალს.

რო გაძლიერდა კიდევ.¹ ასეთი მკვეთრი სტრატეგიული უთანასწორობის ფონზე, საქართველოს მთავრობები ქვეყნის ავტონომიის მაქსიმალურად გაძლიერებას გარე ბალანსირების გზით ცდილობენ. იდენტობის, კულტურის, იდეოლოგიისა და საფრთხეების აღქმის საკითხებმა, შესაძლოა, პროდასავლური კონსენსუსის შედარებით წარმატებას და ხანგრძლივ სიცოცხლისუნარიანობას მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი, თუმცა ნატო-საქართველოს ურთიერთობების განხილვა ალბათ ყველაზე ლოგიკური იქნებოდა იმ კონტექსტში, სადაც რუსეთთან მიმართებაში ძალაუფლების მკვეთრი უთანასწორობის საპასუხოდ, საქართველო ავტონომიის მაქსიმალურად გაძლიერებისკენ მიისწრაფვის. აღნიშნული მიდგომა საქართველოს საგარეო პოლიტიკის სხვაგვარად წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების ახსნას გვთავაზობს, როგორცაა, მაგალითად ალტერნატიული „კანდიდატების“ - თურქეთის, ირანისა და ჩინეთის - გარე დამაბალანსებელ ძალებად აღქმა.²

ევროატლანტიკურმა ინსტიტუტებმა და სახელმწიფოებმა საქართველოსთან თანამშრომლობა ნატოს გაზრდილი გლობა-

¹ Pavel K. Baev, 'The Military Dimension of Russia's Connection with Europe', *European Security*, 27:1 (2018), pp. 82-97; Dmitry Adamsky, 'From Moscow with Coercion: Russian Deterrence Theory and Strategic Culture', *Journal of Strategic Studies*, 41:1-2 (2018), pp. 33-60.

² ამ კონტექსტში, გარე დაბალანსება ფართოდ არის გაგებული. ის მოიცავს ასპექტებს, რომლებიც სცილდება უსაფრთხოების განზომილებას და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის კრიტიკულ მასებზე და სტრატეგიულ ინტერესებზეც ვრცელდება. ამ თვალსაზრისით, არ არსებობს იმის მოლოდინი, რომ თურქეთი, ჩინეთი და ირანი საქართველოს უსაფრთხოების გარანტიებით უზრუნველყოფენ - საუკეთესო შემთხვევაში, ეს ნატო-საქართველოს ურთიერთობებისთვისაც ძალიან გრძელვადიან პერსპექტივას წარმოადგენს - თუმცა ამ სახელმწიფოებს შეუძლიათ, საკმარისი დიპლომატიური და სხვა სახის ძალისხმევა ჩადონ საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიის შესაკავებლად, წინააღმდეგობის გასაწევად ან/და თავიდან ასაცილებლად. რეგიონული ბალანსის კონტექსტში აღნიშნულ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ურთიერთობების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ, Alexander Iskandaryan, Murad Ismayilov and Michael Cecire, 'Russia's Relations with the South Caucasus', *Russian Analytical Digest*, (RAD) 232 (2019).

ლური ჩართულობისა და სამშვიდობო მისიების გაფართოების პირობებში დაიწყეს. აშშ-ის ხელმძღვანელობით ავღანეთსა და ერაყში შესვლის შემდეგ (რამაც მომარაგების ალტერნატიული გზების საჭიროება გააჩინა) ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა. აშშ-სა და ევროატლანტიკური სტრუქტურების მხრიდან ე.წ. დემოკრატიული დღის წესრიგის გავრცელებისკენ მიმართულმა ინტერესმა დასაწყისში შავი ზღვის მიღმა ნატოს გაფართოების იმედი გააჩინა, თუმცა ეს იმედი ხანმოკლე აღმოჩნდა. აღნიშნულმა ფაქტორებმა ნატო-საქართველოს ურთიერთობების განვითარება დააჩქარა და ინტეგრაცია და თანამშრომლობა ახალ დონეზე აიყვანა, რაც დღემდე შენარჩუნებულია. თუმცა, იმავე ფაქტორებმა მოლოდინებსა და მიზნებში არსებული განსხვავებებიც გამოავლინა.

ყველაფრის მიუხედავად, ნატოს მხრიდან საქართველოსთან ასე ღრმად ინტეგრირების სურვილი იმაზე მიაჩნებოდა, რომ საქართველოსთან ურთიერთობა ალიანსისთვის გარკვეული თვალსაზრისით ხელსაყრელია. ჯეიმს მოროუ ამ ტიპის შეთანხმებას ახასიათებს, როგორც ასიმეტრიულ ურთიერთობას, რომელშიც უფრო ძლიერი ძალა (ამ შემთხვევაში ნატო) უფრო სუსტ ძალაზე (ამ შემთხვევაში საქართველოზე) უსაფრთხოების პრივილეგიების გავრცელების გზით, „ავტონომიას“, ან თავის ქმედებებში მეტ მოქნილობას იღებს (1991). ამ ტიპის ურთიერთობა უცხო არ არის ნატოსთვის, რომელიც პერიოდულად ხაზს უსვამს, რომ ის შესაძლებლობების გაერთიანების სიმეტრიულ მოდელს ეყრდნობა, თუმცა სინამდვილეში, ნატო ერთ სამხედრო ზესახელმწიფოს, რამდენიმე დიდ სამხედრო ძალასა და ბევრად უფრო დიდ, მესამე დონის სამხედრო ძალების ჯგუფს შორის ასიმეტრიულ ურთიერთობას ასახავს. თავდაცვის ხარჯების მთლიანი შიდა პროდუქტის 2-პროცენტისიანი ზღვრის გარშემო მიმდინარე საჯარო დებატები სწორედ ამ არასწორი ლოგიკის გამოხატულებაა. 2-პროცენტისიანი ზღვრის მკაცრი დაცვა კი ბევრს ვერაფერს გახდება ნევრი სახელმწიფოების სამხედრო შესაძლებლობებს შორის

არსებული განსხვავებების წინააღმდეგ.¹ რაც მთავარია, შესაძლებლობების თანასწორობის მიმართ ტრადიციული ერთგულება ყურადღების მიღმა ტოვებს ნატოს დაარსების ამოცანას - 1945 წლის შემდგომი აშშ-ის პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების გაგრძელებას. ნატოს შექმნის მიზანს აშშ-ის ატლანტიკური ჰეგემონიის გაძლიერება, ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის ხელშეწყობა წარმოადგენდა, რომელიც უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ინტერესებს ემსახურება.

ანალოგიურად, საქართველოს ნატოსთან ურთიერთობას მხარეებისთვის ორმხრივი, თუმცა სხვადასხვა სახის სარგებელი მოაქვს. დღესდღეობით, საქართველოს ნატოს ორბიტაზე უნიკალური პოზიცია უკავია. ის არც ალიანსის სრულყოფილი წევრია და არც უბრალო პარტნიორი. შეიძლება სამართლიანად შეფასდეს, რომ საკმაოდ მნიშვნელოვან მიმართულებებში საქართველო ალიანსთან ღრმად არის ინტეგრირებული, თუმცა ამის პარალელურად, ის ალიანსისგან აშკარად დისტანცირებულია, რამდენადაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქვეყანა ახლო ან შუალედურ პერსპექტივაში ალიანსის წევრი გახდეს. გარკვეული თვალსაზრისით, ნატოში საქართველოს ფართო ინტეგრაცია და ორგანიზაციასთან თანამშრომლობა სამართლიანად შეიძლება შეფასდეს, როგორც ალიანსი ნატოსთან. ეს შეიძლება იმგვარად იყოს გაგებული, რომ საქართველო ნატოს ალიანსის სისტემას ეკუთვნის, თუნდაც უფრო ღრმა ორბიტაზე, თუმცა ამის მიუხედავად, ქვეყანა ნატოს სრულყოფილი ინტეგრირებული წევრი და საერთო თავდაცვის არქიტექტურის ნაწილი არ არის. ნატო და საქართველო მნიშვნელოვანი აქტივობებისა და ხედვების მიმართულებით საკმაოდ სინქრონიზებული არიან, თუმცა ეს სინქრონიზა-

¹ აღნიშნული საკითხის გარშემო დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ, მაგალითად, www.washingtonpost.com/news/monkeycage/wp/2017/02/27/3-things-to-know-about-the-trump-administrations-warning-shots-on-nato/.

ცია ალიანსის ფორმალური ხელშეკრულების მიღმა არსებობს, რაც მცირე, თუმცა გადამწყვეტი განსხვავებაა.

ბევრი მიმართულებით, საქართველოს პოზიცია ახლოს დგას ნატოს პოზიციასთან, თუმცა საერთო ჯამში, მისი უსაფრთხოება მაინც მოწყვლადია, რაც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ნატო-საქართველოს ურთიერთობების ტერმინოლოგია და დისკურსი შესაძლოა დავის საგანი იყოს; ეს საკითხები საკამათოა და თანამშრომლობის ხასიათისა და სავარაუდო საბოლოო მიზნების გარშემო ურთიერთდაპირისპირებული ნარატივები მოიპოვება. თუმცა, გარკვეული სახის კონსენსუსი მაინც არსებობს: საქართველო ნატოსთან ღრმად არის ინტეგრირებული, შესაძლოა იმაზე მეტადაც კი, ვიდრე ნატოს წევრი სხვა სახელმწიფოები; თუმცა, უახლოეს მომავალში ნატოში საქართველოს ფორმალური განწევრება ნაკლებად არის მოსალოდნელი.

მართალია, საერთაშორისო და რეგიონულ სტრატეგიულ დინამიკაში სწრაფმა ცვლილებებმა შესაძლოა ეს პროგნოზი შეცვალოს, თუმცა მკვლევრების უმეტესობა საქართველოს ნატოში განწევრებას შორეულ შესაძლებლობად მიიჩნევს.¹ ეს ორი ფაქტორით არის განპირობებული: უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ალიანსში განწევრება რუსეთთან კონფლიქტის რისკს ქმნის; მეორე მხრივ კი, საქართველოს ალიანსში მიღების საკითხის გარშემო ნატოს წევრებს შორის კონსენსუსი არ არსებობს, რაც ალიანსის გაფართოების აუცილებელი წინაპირობაა. თუმცა, როგორც ჩანს, არსებობს კონსენსუსი ნატოსა და სხვა ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან საქართველოს მზარდი ინტეგრაციის მხარდაჭერის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ, ფაქტობრივად, საქართველოს ალიანსში განწევრების შეზღუდვები და ნატოში ინტეგრაცია შედეგების თვალსაზრი-

¹ Tracey German, 'NATO and the Enlargement Debate: Enhancing Euro-Atlantic Security or Inciting Confrontation?', *International Affairs*, 93:2 (2017), pp. 291-308; Andrew T. Wolff, 'The Future of NATO Enlargement after the Ukraine Crisis', *International Affairs*, 91:5 (2015), pp. 1103-21.

სით ფუნდამენტურად წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, პროცესის თვალსაზრისით ისინი დიდწილად ერთმანეთს ავსებენ. შედეგად, ნატო-საქართველოს ინტეგრაციის გაღრმავება შესაძლოა არასწორად აღიქმებოდეს, როგორც ფორმალური წევრობისკენ მიმართული აშკარა პროგრესი, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი პოლიტიკური და არატექნიკური ხასიათის გადაწყვეტილებაა.

პროცესს კიდევ უფრო ართულებს სამეზობლოს სხვა სახელმწიფოების მიმართ საქართველოს ფარდობითი პოზიცია, რადგან ევროკავშირისა და ნატოს სტრუქტურებში ინტეგრაცია მას ევროატლანტიკურ ბაზრებზე, პოლიტიკურ სტრუქტურებსა და დახმარების პაკეტებზე უნიკალურ წვდომას აძლევს. გარკვეული თვალსაზრისით, ნატოს არაფორმალური მოკავშირის სტატუსით საქართველო უფრო მეტ მატერიალურ სარგებელს იღებს, ვიდრე სხვა სახელმწიფოები განსხვავებული ფორმალური ალიანსებისგან შეიძლება იღებდნენ. მაგალითად, აშშ-ის მიერ „ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის“ სტატუსის აღნიშვნა ორმხრივი თავდაცვის ვალდებულებებს ან ფინანსური დახმარების უფლებამოსილებებს არ მოიცავს. კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში (CSO), რომელიც რუსეთის ხელმძღვანელობით შეიქმნა, წევრი სახელმწიფოები იშვიათად იღებენ იმ რაოდენობის მატერიალურ სარგებელს, რასაც საქართველო ევროატლანტიკურ სივრცესთან მისი არაფორმალური მოკავშირეობით იღებს.

საქართველო, როგორც მოდელი

წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით, ნატო-საქართველოს თანამშრომლობა შესაძლოა ნატოს საგარეო ჩართულობის ძლიერ მოდელად მოიაზრებოდეს. ნატო-საქართველოს „ალიანსი“ „ასოცირებული წევრობის“ მოდელს ქმნის, რომელიც შეზღუდულ მატერიალურ და მორალურ სარგებელს მოიცავს.

გარკვეულწილად, ეს თანამშრომლობა ალიანსის წევრობის მიღმა მასთან ჩართულობის ძლიერ მოდელს წარმოადგენს, განსაკუთრებით ალიანსის გაფართოების მიმართ მზარდი წინააღმდეგობის არსებობის პირობებში.

წევრობის გარეშეც კი, საქართველო ნატოს წევრობის თანმდევ არაერთ სარგებელს სთავაზობს და, ამავდროულად, ალიანსს ნაკლები სტრატეგიული ვალდებულების აღება უწევს. თავის მხრივ, საქართველო წესებზე დაფუძნებული ლიბერალური საერთაშორისო ნორმების ღია და აქტიური მხარდამჭერია. ის არსებული ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის დამცველიცაა და სამშვიდობო და სტაბილიზაციის მისიებში კვალიფიცირებულ სამხედროებს გზავნის. გარდა ამისა, საქართველო, გარკვეული თვალსაზრისით, ფუნქციური დემოკრატიაა და სულ მცირე ბოლო ათწლეულის განმავლობაში, უმეტესწილად, ფრთხილ და პრაგმატულ საგარეო პოლიტიკას ატარებს. უსაფრთხოების ხელშესახები სარგებლის თვალსაზრისით, საქართველო სანაცვლოდ ბევრად ნაკლებს იღებს, მაშინაც კი, როდესაც ალიანსში ფორმალური წევრობის პერსპექტივა განუსაზღვრელი ვადით, და შეიძლება სამუდამოდაც კი, დახურულია.

თუმცა, ურთიერთობა ცალმხრივი არ არის და ამ თანამშრომლობით საქართველოც მნიშვნელოვან სარგებელს იღებს. ნატოსა და ევროატლანტიკური პარტნიორების რეგულარული და ხშირი ჩართულობა დასავლეთის დედაქალაქების მხრიდან საქართველოს მიმართ დიპლომატიურ ერთგულებას ადასტურებს. ამგვარი ჩართულობა ნებისმიერ პოტენციურ აგრესორს მათი ქმედებების შესაძლო შედეგების შესახებ აფრთხილებს, იმ პირობებშიც კი, როდესაც ნატოსა თუ დასავლურ სახელმწიფოებს ხისტი უსაფრთხოების გარანტიების გაცემა მაინცდამაინც არ სურთ. გარდა ამისა, ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ სფეროებში რეგულარული ტექნიკური დახმარება საქართველოს მთელი რიგი რესურსებით უზრუნველყოფს,

რასაც სხვადასხვა გზით ეროვნულ უსაფრთხოებასა და განვითარებაში თავისი წვლილი შეაქვს.

თუმცა, „ასოციირებული წევრის“ მოდელი საქართველოს შემთხვევაში არსებითად არაეფექტურია, რადგან ის ქვეყნის ნატოში განწევრებას მაინც შესაძლებლობად განიხილავს. ეს მოდელი უფრო ეფექტური იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ის თავიდანვე ჩამოყალიბდებოდა, როგორც ინტეგრაციის ფორმატი საბოლოო წევრობის შესაძლებლობის გარეშე. თუმცა, ფორმალური წევრობის ტექნიკური შესაძლებლობა ინტეგრაციის მთავარი მამოძრავებელი სტიმულია, რომელსაც ნატო ალიანსის „ღია კარის“ პოლიტიკის გაგრძელებით აქტიურად უსვამს ხაზს. ამ იდეის გაქრობა ზემოთ განხილული მოდელის სიცოცხლისუნარიანობას რისკის ქვეშ დააყენებს.

ნატო-საქართველოს ურთიერთობებში თანაარსებობს საქართველოს საბოლოო წევრობის შესახებ ოფიციალური ნარატივი და ინტეგრაციის მოდელი, რომელიც მომავალში წევრობის შესაძლებლობას, ფაქტობრივად, გამორიცხავს. მართალია, ორივე მხარე პარტნიორობას ნაყოფიერად მიიჩნევს, თუმცა ნატო-საქართველოს ურთიერთობების მაღალ დონეზე შენარჩუნება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, რომ პარტნიორობის პირობებთან დაკავშირებული ეჭვების მიუხედავად, ორივე მხარემ გააგრძელოს ამ ურთიერთობიდან სარგებლის მიღება. თუმცა, ნატო-საქართველოს არსებითი ინტეგრაციისთვის დამატებითი შესაძლებლობების ამონურვამ შესაძლოა თანამშრომლობის მნიშვნელობა შეამციროს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ძალთა უთანასწორობის დასაბალანსებლად საქართველოს სხვა ალტერნატივები გამოუჩნდება.

მოდელის შეზღუდვები

მართალია, საქართველო შეიძლება ნატოს საგარეო ჩართულობის სანიმუშო მოდელს წარმოადგენს და უსაფრთხოე-

ბის გარანტიების არარსებობის პირობებშიც კი, ალიანსი ქვეყნისთვის აშკარად მნიშვნელოვანი პარტნიორია, თუმცა მიზნებსა და მოლოდინებში არსებული განსხვავებების გამო ნატო-საქართველოს ურთიერთობები შეზღუდული და შესუსტებულია. საქართველოს ალიანსში განევრების საკითხი - ტექნიკური მზადყოფნიდან დაწყებული, ნატოს წევრების მიმღებლობით დამთავრებული - ნატო-საქართველოს ურთიერთობების პირობებს განსაზღვრავს. ნატოში განევრება, საქართველოსა და მის მოსახლეობას, სავარაუდოდ, გარკვეულ მორალურ უპირატესობას მიანიჭებს, თუმცა მისი ყველაზე ძირეული გავლენა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის საბოლოო სტრატეგიული გადაზღვევის პოლიტიკის ჩამოყალიბება იქნება, რაც მათი შედარებით ახალი და არასტაბილური ბუნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ნატოში განევრება ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას არ ანაცვლებს და, როგორც ალიანსის წევრი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შიგნით და მათ შორის მიმდინარე მსჯელობა აჩვენებს, ნატოში განევრება სულაც არ აგვარებს უსაფრთხოების პრობლემებს, მაგრამ შესაძლოა სხვა სახის შფოთვები საამჟამაოზე გამოიტანოს.¹

თუმცა, ნატოს წევრის სტატუსსა და უსტატუსობას შორის განსხვავება თვისებრივად მნიშვნელოვანია. ნატოს მსგავსი ძლიერი და წარმატებული ალიანსის სისტემისგან მიღებული კოლექტიური უსაფრთხოების გარანტიებზე დაყრდნობით უსაფრთხოების დაგეგმვა ფუნდამენტურად განსხვავდება იმავე პროცესისგან ამ გარანტიების არარსებობის პირობებში. ეს არ ამცირებს გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის დამოუკიდებელი დაგეგმვის აუცილებლობას, მათ შორის ისეთი სცე-

¹ მაგალითისთვის იხილეთ, David A. Shlapak and Michael W. Johnson, Reinforcing Deterrence on NATO's Eastern Flank: Wargaming the Defense of the Baltics (Santa Monica, CA: RAND Arroyo Centre, 2016).

ნარების შემთხვევაში, როდესაც ალიანსი ვერ მოახერხებს ან წარუმატებლად მოახდენს რეაგირებას, თუმცა ალიანსის სისტემა რეგიონული საფრთხეებისა და ურთიერთობების ლავირების ქვაკუთხედს წარმოადგენს. საქართველოს შემთხვევაში, ნატოში განევრება ქვეყნის საფრთხის ბალანსის შესახებ წარმოდგენებს მნიშვნელოვნად გააძლიერებს და რუსეთს იძულებულს გახდის, თავისი რეგიონული სტრატეგია ნატოს მუდმივი ინტერესების გათვალისწინებით შეიმუშავოს.

ამგვარ განვითარებაზე რუსეთის ერთ-ერთი სავარაუდო რეაქცია საქართველოს მიმართ ეკონომიკური, პოლიტიკური ან თუნდაც სამხედრო პროვოკაციების გზით, ნატოს გარანტიებისა და სოლიდარობის გამოცდა იქნება. ფორმალური წევრობის შემთხვევაში, საქართველო ალიანსის სტრატეგიულად ყველაზე დაუცველ სახელმწიფოთა შორის აღმოჩნდება. ეს ნაკლებად რეალური, თუმცა მაღალი რისკის მატარებელი სცენარია, რომელსაც პოტენციურად ისეთი მოვლენების სერიის გამოწვევა შეუძლია, რომელიც ალიანსის დესტაბილიზაციით ან თუნდაც მისი დაშლით დასრულდება. ამავდროულად, ამ სცენარში აგრესორის ძალა შესაძლოა გადაჭარბებულად იყოს შეფასებული. ფსონების გათვალისწინებით, აგრესორის არასწორმა გათვლამ ნატოს მხრიდან პასიურობის ნაცვლად, შეიძლება მისი გადამეტებული რეაქცია გამოიწვიოს, რაც პოტენციურად უფრო ძირეულად და ხანგრძლივად დაარღვევს რეგიონულ ძალთა ბალანსს და რუსეთის, როგორც ძირითადი რეგიონული მოთამაშის როლს შეასუსტებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ტრადიციული ჰეგემონი უპირატესობის შენარჩუნებას მოახერხებს, კონფლიქტის გაუთვალისწინებელმა გარე ფაქტორებმა შესაძლოა სტრატეგიულ მოგებას ან რეჟიმის სტაბილურობას საფრთხე შეუქმნას. რუსეთის გამარჯვების გარკვეულ სცენარებში, ნატოს დაშლამ შესაძლოა ძალაუფლების ვაკუუმი შექმნას, სხვა სახის სტრატეგიულ შედეგებთან ერთად, რაც პოტენციურად რეგიონულ სტაბილურობას დააზარალებს.

ამგვარად, ქართული პოლიტიკური ელიტა, სავარაუდოდ, სწორად მოიქცა, როდესაც რუსეთის რეგიონული დომინირების დასაბალანსებლად ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, განსაკუთრებით კი ნატოში გაწევრებას, მიანიჭა პრიორიტეტი. საქართველოს მოსახლეობა ქვეყნის ნატოში გაწევრებას მტკიცედ და განგრძობითად უჭერს მხარს. აშშ-ის მიერ დაფინანსებული „ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელიც „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან“ (CRRC) თანამშრომლობით საჯარო პოლიტიკის გამოკითხვებს წლების განმავლობაში ატარებს, ხშირად არის ხოლმე მოყვანილი საქართველოს პროდასავლური მისწრაფებების არგუმენტად. 2014 წლიდან მოყოლებული, უკრაინის კრიზისის შემდეგ, საქართველოში ნატოს ძლიერი მხარდაჭერა აქვს, რომელიც პროცენტულად, ძირითადად, 60-70 პროცენტს შორის მერყეობს (იხ. ცხრილი 9.1). აღნიშნული მონაცემების ნებისმიერი ინტერპრეტაცია საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მიმართ საზოგადოების მტკიცე და სტაბილურ მხარდაჭერაზე მიუთითებს.

ცხრილი 9.1

ნატოში გაწევრების პროცენტული მხარდაჭერა საქართველოში (NDI, 2024-2020 წწ)

	ვემხრობი	არ ვემხრობი	ნეიტრალურად ვარ განწყობილი
აპრილი 2014	72	15	12
აპრილი 2015	65	20	15
ნოემბერი 2015	69	21	10
მარტი 2016	68	19	13

ივნისი 2016	64	22	14
ნოემბერი 2016	61	25	14
აპრილი 2017	68	21	12
ივნისი 2017	66	23	11
დეკემბერი 2017	64	26	9
მარტი 2018	65	20	15
ივნისი 2018	75	17	9
დეკემბერი 2018	78	14	9
აპრილი 2019	74	15	10
ივლისი 2019	71	17	12
დეკემბერი 2019	74	14	12
ივნისი 2020	69	11	21
აგვისტო 2020	-	-	-
დეკემბერი 2020	74	9	16

წყარო: კავკასიის ბარომეტრის მონაცემთა ონლაინანალიზი

კომენტარი: ზოგიერთ შემთხვევაში, პასუხები „არ ვიცი“ ან „უარი პასუხზე“ ცალკე იქნა აღრიცხული, თუმცა თანმიმდევრულობისა და მეტი სიცხადის შესანარჩუნებლად, შედეგები ცხრილში გაერთიანებული სახით არის წარმოდგენილი. NDI გვაფრთხილებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მეთოდების დამრგვალების გამო, პროცენტული ჯამი ზუსტად ასს არ უდრის.

თუმცა, საზოგადოებრივი მხარდაჭერის მაღალ ნიშნულზე ტრადიციული აქცენტი ამ მხარდაჭერის სიღრმესთან დაკავშირებულ უფრო მნიშვნელოვან კითხვებს ყურადღების მიღმა

ტოვებს. მაგალითად, იმავე გამოკითხვებში, ნატო რესპონდენტებისთვის ნაკლებად პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის სახელდება. ამ მიმართულებით, ალიანსმა მხოლოდ ერთხელ, 2014-18 წლების პერიოდში, მოახერხა ორნიშნა მხარდაჭერის მოპოვება (კერძოდ, 11 პროცენტი რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ). ნატოს მიმართ საზოგადოების მხარდაჭერა შესაძლოა საკმაოდ მაღალია, თუმცა საერთო ჯამში, მოსახლეობის გარკვეული უმცირესობის გარდა, ის ყველასთვის უმნიშვნელო საკითხს წარმოადგენს (იხ. ცხრილი 9.2).

ცხრილი 9.2

იმ რესპონდენტების პროცენტული რაოდენობა, ვინც ნატოში განეწვევებას ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხად მიიჩნევს (NDI, 2014-2020 წწ)

	ნატო დასახელდა	ნატო არ დასახელბულა	არ ვიცი/უარი პასუხზე
აპრილი 2014	11	89	0
აპრილი 2015	5	94	1
ნოემბერი 2015	5	95	0
მარტი 2016	6	94	0
ივნისი 2016	6	94	0
ნოემბერი 2016	3	96	0
აპრილი 2017	-	-	-
ივნისი 2017	5	95	0
დეკემბერი 2017	3	97	0
მარტი 2018	-	-	-

ივნისი 2018	4	96	1
დეკემბერი 2018	4	96	0
აპრილი 2019	-	-	-
ივლისი 2019	6	93	1
დეკემბერი 2019	-	-	-
ივნისი 2020	-	-	-
აგვისტო 2020	3	95	3
დეკემბერი 2020	2	95	16

წყარო: კავკასიის ბარომეტრის მონაცემთა ონლაინანალიზი

კომენტარი: თანმიმდევრულობის დასაცავად, ცხრილში იმავე წლების გამოკითხვის შედეგებია წარმოდგენილი. თუმცა, ზოგიერთ გამოკითხვაში კითხვა ნატოს პრიორიტეტულობის შესახებ არ დასმულა. NDI გვაფრთხილებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მეათეების დამრგვალების გამო, პროცენტული ჯამი ზუსტად ასს არ უდრის.

ნატოს მხარდაჭერის უფრო კონტექსტუალური ხედვა ნატო-საქართველოს ურთიერთობების მიმართ მოსახლეობის განწყობების უფრო ღრმა კვლევას საჭიროებს. 2014-2019 წლებში, NDI-მ საქართველოს ნატოში გაწევრების ალბათობასთან დაკავშირებით ქართველების შეხედულებები შეისწავლა. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვა არათანმიმდევრულია, მისი შედეგები თანაზომადია და საქართველოში ნატოს ადგილის შესახებ საზოგადოების შეხედულებებზე დამატებით ინფორმაციას შეიცავს. თანმიმდევრული და აშკარაა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობის მოსაზრებით, საქართველო „არასოდეს“ შეუერთდება ნატოს, „არ იციან“ როდის მოხდება ეს, ან სულაც არ აქვთ შეკითხვაზე პასუხი.

ცხრილი 9.3

საქართველოს ნატოში განწევრების ალბათობის შესახებ მოსახლეობის მოსაზრებების პროცენტული განაწილება (NDI: 2014, 2015, 2017, 2019)

	შემდეგ 5 წელი-ნადში	5-10 წელი-ნადში	10 წლის შემდეგ	არას-დროს	არ ვიცი/უარი პასუხზე
აპრილი 2019	19	17	15	14	43
აპრილი 2017	12	15	20	16	38
	შემდეგ 3 წელი-ნადში	2018 წლის შემდეგ	-	არას-დროს	არ ვიცი/უარი პასუხზე
ნოემბერი 2015	8	31	-	24	37
აპრილი 2014	14	24	-	21	40

წყარო: კავკასიის ბარომეტრის მონაცემთა ონლაინნაღიზი

მოყვანილი მონაცემები ეწინააღმდეგება საქართველოში ნატოს მხარდამჭერი განწყობების ტიპურ აღწერილობას, რომელიც ამ მხარდამჭერის უცვლელ და მუდმივად ენთუზიაზმით აღსავსე ბუნებას უსვამს ხაზს. საქართველოში ნატოს მიმართ შეხედულებები შეიძლება უფრო მეტად გულგრილად, ან თუნდაც უიმედოდ ჩაითვალოს, თუ ერთი მხრივ, რესპონდენტებს შორის მის ნაკლებ პრიორიტეტულობას და მეორე მხრივ, განწევრების სავარაუდო ვადებზე საზოგადოებრივ შეხედულებებს მივიღებთ მხედველობაში. დროდადრო, ნატოს წარმომადგენლები საქართველოს მთავრობას ახლო მომავალში აღი-

ანსში განწევრების შესაძლებლობასთან დაკავშირებით მოსახლეობის მოლოდინების შემსუბუქებისკენ მოუწოდებდნენ. ამგვარი მოწოდება, სავარაუდოდ, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მთავრობის მხრიდან ნატოს ახლო პერსპექტივად წარმოჩენაზე საპასუხო რეაქციას წარმოადგენდა. თუმცა, ზემოთ წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, რომ ამგვარი გაფრთხილება სულაც არ იყო საჭირო.

ნატოს მიმართ ქართული საზოგადოებრივი აზრის შესახებ დამატებითი დეტალები ამტკიცებს, რომ მხარდაჭერის მაღალი დონეც კი არ არის უპირობო. CRRC-ის „კავკასიის ბარომეტრის“ ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, ნატოს მხარდაჭერის შესახებ უფრო დეტალური შეკითხვები გაცილებით უფრო ნიუანსირებულ სურათს გვაძლევს, ვიდრე სხვაგვარად მხარდაჭერის მაღალი დონე ასახავს (იხ. ცხრილი 9.4).

ცხრილი 9.4

ნატოს შესახებ შეხედულებების პროცენტული განაწილება (CRRC: 2013, 2015, 2017, 2019, 2020)

	საერთოდ არ ვუჭერ მხარს	უფრო მეტად მხარს არ ვუჭერ	არც ვუჭერ მხარს და არც არ ვუჭერ	უფრო მეტად მხარს ვუჭერ	სრულიად ვუჭერ მხარს	არ ვიცი/ უარი პასუხზე
2020	4	3	12	29	42	9
2019	7	7	23	26	24	11
2017	7	5	19	29	29	11
2015	10	10	27	21	17	15
2013	12	8	26	25	16	13

წყარო: კავკასიის ბარომეტრის მონაცემთა ონლაინანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ ამ მონაცემებში, ერთი შეხედვით, ნატოს მხარდამჭერი განწყობები საკმაოდ კარგად არის განაწილებული, ისინი, ამავდროულად, ბევრად უფრო შეზღუდული და პოტენციურად პირობითია, ვიდრე ეს NDI-ის გამოკითხვაში მოცემულ მაღალ პროცენტულ მონაცემებშია გამოხატული. მიუხედავად იმისა, რომ ნატოს მხარდამჭერი განწყობების სიღრმისა და მდგრადობის შესახებ შეკითხვები NDI-ის მონაცემებში საკმაოდ მარტივად იძებნება, ნატოს მიღმა სხვა კონკრეტული საკითხებისა და წევრობის შესახებ რწმენების გარშემო არსებული ნაკლები სიხშირის ანგარიშების შესწავლა მაინც საჭიროა. ამის საპირისპიროდ, CRRC-ის მონაცემების მიხედვით, ნატოს მხარდამჭერი განწყობების ფართოდ გავრცელების მიუხედავად, ასევე არსებობს გარკვეული ეჭვები, რაც მხარდაჭერასთან დაკავშირებით უფრო თვისებრივ პასუხებს საჭიროებს.

აღნიშული მონაცემები საქართველოს მხრიდან ნატოში ინტეგრაციის მხარდაჭერას ეჭვქვეშ არ აყენებს. დიდი ალბათობით, ნატოს შესახებ ასეთი დეტალური გამოკითხვის შედეგად, ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში (მათ შორის ბევრ წევრ ქვეყანაში) მსგავს დამოკიდებულებს მივიღებდით. თუმცა, ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოში ნატოს მხარდამჭერი შეხედულებები ერთგვაროვანი არ არის; ქართველებს გარემოებების ცვლილების საპასუხოდ დამოკიდებულებების შეცვლა შეუძლიათ. ლოგიკურ პირობით ჰიპოთეზად შეიძლება ისიც განვიხილოთ, რომ როდესაც ნატოში განწევრების ჰორიზონტი შორს იწევს, ნატოს მიმართ ენთუზიაზმი სტაგნაციას განიცდის. ეს არ ნიშნავს, რომ ქართველები შეთავაზების შემთხვევაში ნატოს წევრობის წინააღმდეგი იქნებიან, თუმცა ამ შეთავაზების არარსებობის პირობებში, ან განწევრების მცირე რეალური ალბათობის შემთხვევაში, ქართველებმა შესაძლოა ალიანსთან თანამშრომლობაში მათთვის შემცირებული სარგებელი დაინახონ.

მსგავსი ჰიპოთეზის განხილვა ელიტების დონეზეც შეიძლება. ევროატლანტიკური ტექნიკური პირობითობის მოთხოვნების თანდათანობით და ზოგიერთ შემთხვევაში, გადაჭარბებით დაკმაყოფილების შემდეგ, ალიანსის მიმართ მოტივაცია თანდათან შესუსტდა. უკანასკნელი წლების დემოკრატიული სტაგნაცია და უკუსვლა შეიძლება ამ კონტექსტშიც გავიაზროთ. მართლაც, რა გადამწყვეტი უპირატესობა აქვს საქართველოს დემოკრატიის ქულის 0,2 პუნქტით მატებასა თუ კლებას? დასავლეთს საქართველოს ხელისუფლების მოტივაციის გასაზრდელად შეზღუდული რესურსები აქვს და საქართველოს მხრიდან რუსეთთან ურთიერთობებში ერთგვარი საეჭვო ნონასწორობის მიღწევის ფონზე, საქართველოს მთავრობის გააზრებული და გათვლილი სვლა შემდგომი დემოკრატიზაციისკენ შენელდა ან საერთოდ შეჩერდა.¹ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ელიტა დემოკრატიის გაურკვეველ მომავალზე პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება. თუმცა, როგორც ცნობილია, პოლიტიკური პირობითობის შესუსტება, აშშ-სა და ევროპაში დემოკრატიული ნორმებისა და სტანდარტების შესუსტების ფონზე, საქართველოს „რეჟიმებს შორის ხაფანგში“ გაბმავში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

მიუხედავად ყველაფრისა, საქართველო პოლიტიკური განვითარებისა და ევროატლანტიკურ სივრცესთან თავსებადობის მიმართულებით რეგიონულ ლიდერად რჩება და ნატოსა და ევროკავშირთან ორმხრივ თანამშრომლობას აგრძელებს. თუმცა, ძლიერი კავშირების შენარჩუნების პირობებშიც კი, ეს შეიძლება უფრო მეტად ინერციის შედეგი იყოს, ვიდრე ტექნიკური რეფორმისა თუ პოლიტიკური წინსვლის თვალსაზრისით რაიმე განსაკუთრებული პოზიტიური განვითარების. დროთა განმავლობაში, ასეთი შეთანხმება შეიძლება ტრანზაქციულ ურთიერთობას დაემსგავსოს, რომელიც საერთო ინტერესების ნაცვლად მატერიალურ სიკეთეებს დაეყრდნობა.

¹ Michael Cecire, 'Nations in Transit 2016-Georgia', Freedom House, 2016.

ასეთი სცენარის განვითარების შემთხვევაში, თუ საქართველოს გარე დაბალანსების ძალისხმევა სარგებლიანობის მაქსიმიზაციამდე დაიყვანება, ახალი პოტენციური კანდიდატების გამოჩენის პარალელურად, რუსეთის დასაბალანსებლად საქართველომ შესაძლოა სხვა აქტორებს მიმართოს. ერთ-ერთ პოტენციურ აქტორს ჩინეთი წარმოადგენს. უკანასკნელი წლების განმავლობაში, საქართველო ჩინეთის რეგიონული სტრატეგიის ძირითად ნაწილად პოზიციონირებას ცდილობს, რაც არ გამორიცხავს, რომ მომავალში საქართველომ გარე დაბალანსების ისეთი სტრატეგია აირჩიოს, რომელიც ვაშინგტონისა და ბრიუსელის ნაცვლად ყურადღებას პეკინისკენ მიმართავს.¹ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გარე დაბალანსების თვალსაზრისით, პეკინი საქართველოსთვის აშკარა ან თუნდაც სავარაუდო ალტერნატიული კანდიდატია, თუმცა მისი გლობალური გავლენის, ფართო რეგიონში მისი როლისა და საქართველოსადმი მზარდი ინტერესის გათვალისწინებით, მას პოტენციურად ამ როლის შესრულება ნამდვილად შეუძლია.

საქართველოსთვის კიდევ ერთ შესაძლებლობას ე.წ. „მიტმასნების“ სტრატეგია წარმოადგენს, რომელიც მაშინ გამოიყენება, როდესაც რეგიონული გაანგარიშება ქვეყანას არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს და გარე დაბალანსების ეფექტური შესაძლებლობები არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში, შეთანხმებული დათმობების პოლიტიკა შესაძლოა საუკეთესო გამოსავლად ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ საფრთხის

¹ თუ საქართველო უკან დაიხევს ევროატლანტიკური ინტეგრაციიდან, მიჩნეულია, რომ შემცირდება სხვა ორმხრივი გარიგებების შესაძლებლობებიც, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ერთ-ერთი ალტერნატივა, რომელიც ფართოდ განიხილება არის თბილისის მიერ აშშ-სგან ნატოს არანევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის მოთხოვნა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ალტერნატივას ნამდვილად აქვს დიდი მორალური მნიშვნელობა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის საერთო თავდაცვის გარანტია გახდება. მეტიც, შეკავების პოლიტიკის წესების გათვალისწინებით, ასეთმა შეთანხმებამ შესაძლოა გაზარდოს კიდევ კონფლიქტის რისკი.

ბალანსის უოლტისეული მოდელის მიხედვით, „მიტმასვნის“ სტრატეგია საკმაოდ იშვიათია, ის შეიძლება რეგიონულ ჰეგემონთან პირდაპირ კაპიტულაციასთან შედარებით უკეთეს ალტერნატივად ჩაითვალოს. რა თქმა უნდა, ასეთი სცენარის არსებობის ალბათობა კონტექსტზეა დამოკიდებული, მაგრამ ვთქვათ თუ არსებობს მოსაზრება, რომ აშშ და ევროატლანტიკური დასავლეთი წამყვან გლობალურ ძალებს აღარ წარმოადგენენ და შეზღუდული რეგიონული გავლენა აქვთ, მაშინ რუსეთთან „მიტმასვნის“ სტრატეგია შეიძლება საქართველოსთვის გონივრულ პრაგმატულ ალტერნატივად ჩაითვალოს. რუსეთის ჰეგემონიის რეგიონულ კონკურენტთან საქართველოს „მიტმასვნაც“ იმავე სცენარის ვარიაციას წარმოადგენს. თუ ლიბიაში, სირიასა და ბოლო დროს მთიან ყარაბაღში რუსეთის პოზიციებთან მიმართებაში მის წარმატებებს გავითვალისწინებთ, ამ მხრივ თურქეთი შეიძლება ყველაზე ეფექტური კანდიდატი იყოს.¹ რიგი ორმხრივი ხელშეკრულებებისა და აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სამმხრივი თანამშრომლობის პლატფორმის საშუალებით, საქართველო თურქეთთან სტრუქტურულად უკვე დაკავშირებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ განხილულ სცენარებში მოვლენების ისეთი განვითარებაა ნაჩვენები, რომელშიც ნატო-საქართველოს ურთიერთობების შესაძლო შესუსტდება და სრული ცვლილებაა ნაგულისხმევი, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამგვარი სცენარები რეალობად იქცევა. დიდი ალბათობით, ნატო-საქართველოს პარტნიორობა მომავალში კვლავ გაგრძელდება. თუ საერთაშორისო სისტემის მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს გამოვრიცხავთ - თუმცა ბოლო პერიოდში აშშ-სა და ევროკავშირს შორის განვითარებული მოვლენები აჩვენებს, რომ ეს მხოლოდ თეორიულ შესაძლებლობას აღარ წარმოადგენს -, ნატო, სავარაუდოდ, რეგიონული

¹ მაგალითისთვის იხილეთ, www.mei.edu/publications/escalation-and-regional-risks-new-karabakh-war.

ურთიერთობების შენარჩუნებას შეეცდება, მათ შორის მაშინაც კი, თუ ამის სანაცვლოდ მას საქართველოს ალიანსში განევრების შეუძლებლობის სერიოზულად განხილვა მოუწევს. თუმცა, ამ პერიოდისთვის საქართველოსთვის ნატოს სარგებლიანობა მთლიანად ტექნიკური ხასიათის იქნება, რამაც შესაძლოა უფრო ფართო სტრატეგიული შეკითხვები გააჩინოს იმის თაობაზე, საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებები ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის აუცილებელი ფაქტორს წარმოადგენს, თუ ის უბრალოდ ავტონომიის გაზრდის შესაძლებლობაა, რომელიც შესაძლოა ნებისმიერ დროს შეიცვალოს.¹

დასკვნა

ნატო-საქართველოს კავშირები ძლიერია, მაგრამ ის, ამავედროულად, განსხვავებული მიზნებისა და შეხედულებების პროდუქტს წარმოადგენს, რაც მათ ურთიერთობას საფრთხის ქვეშ აყენებს. საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებები დიდწილად შედარებით დიდი და აგრესიული რეგიონული ჰეგემონის მიმართ მისი სისუსტით არის განპირობებული. საკუთარი ავტონომიის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, საქართველომ ნატოსთან თანამშრომლობა განავითარა და ამ პრო-

¹ ნატო-საქართველოს ურთიერთობების კონტექსტში არასაკმარისი ყურადღება ეთმობა იმის განხილვას, თუ რამდენად იწვევს საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებები რეგიონული ჰეგემონის, რუსეთის, მხრიდან აგრესიას. აღნიშნული საკითხი არ შეეხება საქართველოს მიერ ალიანსებისა თუ პარტნიორების დამოუკიდებლად არჩევის უფლებას, არამედ დაშვება მიზნად ისახავს იმის განხილვას, თუ რამდენად ზრდის ან ამცირებს პროდასავლური არჩევნის შესახებ თბილისის პოლიტიკური ელიტის კონსენსუსი რუსეთთან კონფლიქტის რისკებს. აღნიშნული თავი ამტკიცებს, რომ ევროატლანტიკური არჩევანი მთლიანობაში სარგებლის მომტანია საქართველოსთვის და საბოლოო გავლლებაში ავტონომიის მაქსიმიზაციის შესაძლებლობას წარმოადგენს, თუმცა, შესაძლოა, ეს ყოველთვის ასე არ იყოს.

ცესში მნიშვნელოვანი ეროვნული რესურსები ჩადო იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან, ქვეყანა ნატოს მხრიდან რუსეთთან მიმართებაში უსაფრთხოების გარანტიებს მიიღებდა. თუმცა, ევროატლანტიკურ ინსტიტუტებთან ინტეგრაციის გაღრმავებასთან ერთად, საქართველოსთვის ალიანსში განევრების პერსპექტივა კიდევ უფრო შორეული გახდა. საქართველოს მხრიდან გარე დაბალანსების მოთხოვნილება იმაზე მიუთითებს, რომ იდენტობაზე დაფუძნებული ნატოს მხარდამჭერი განწყობების მიუხედავად, საქართველომ შეიძლება მაინც გამოიყენოს ქვეყნის ავტონომიის მაქსიმალურად გაზრდის სხვა შესაძლებლობები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ეს ნატოსთან ურთიერთობის ფასად დაუჯდება.

ამგვარი სცენარის თავიდან აცილების ერთ-ერთ საშუალებას საქართველოს ალიანსში განევრების ტექნიკური და პოლიტიკური მექანიზმებით უზრუნველყოფა წარმოადგენს. თუმცა, ალიანსში საქართველოს ფორმალური მიღების მიმართ ნატოს წევრების თავშეკავებულობის გათვალისწინებით, ამგვარი განვითარება ყველაზე ნაკლებად სავარაუდოა. საქართველოსთვის უსაფრთხოების დილემა მომავალში კვლავ მისი საგარეო პოლიტიკისა და სტრატეგიული მსოფლმხედველობის მთავარი მოტივაცია იქნება. ნატო-საქართველოს ურთიერთობები ამჟამად ძლიერია, მაგრამ ეს შეიძლება ამ ურთიერთობების მაქსიმუმი იყოს. ამავდროულად, ურთიერთობების გაძლიერება ინტეგრაციის ახალი მექანიზმების შემუშავებითა და ამოქმედებით არის შესაძლებელი. ამგვარი ნაბიჯი პროგრესის განცდას შეუწყობდა ხელს. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ნატო-საქართველოს ინტეგრაცია ფუნქციურად უკვე მაღალ დონეზეა, ნატოს ბევრი სხვა მექანიზმი აღარ რჩება. დროთა განმავლობაში, ინტეგრაციის მუდმივი სანახევრო ზომები „ზენოს“ დიქოტომიური პარადოქსის ნატოში ინტეგრაციის ერთგვარ ვერსიას ემსგავსება, როდესაც პროგრესის მიუხედავად, არანაირი გარდამტეხი ცვლილება არ ხდება. თუმცა, ასეთი სტატუსკვოს შენარჩუნების სცენარი შეიძლება სი-

ცოცხლისუნარიანი იყოს იქამდე, სანამ: (1) თვითონ ალიანსი ამ ტიპის თანამშრომლობით კმაყოფილია; (2) საქართველო სტატუსკვოთი კმაყოფილია და ნატო კვლავ მნიშვნელოვან პარტნიორად აღიქმება; (3) და საქართველოსთვის ნატო რუსეთთან მიმართებაში ქვეყნის ავტონომიის მაქსიმალურად გაზრდის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

ნატო-საქართველოს ურთიერთობები შეიძლება ბევრი კრიტერიუმით წარმატებულად ჩაითვალოს. ეს თანამშრომლობა ორგანიზაციის გავლენას და მიმზიდველობას უსვამს ხაზს. თუმცა, საქართველოს მაგალითი, ამავედროულად, ამ მოდელის შეზღუდვებსაც ავლენს და რეგიონის მიღმა ნატოს შემდგომი ჩართულობის ფორმებთან დაკავშირებით გარკვეულ შეკითხვებს აჩენს. ნევრობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი პირობითობის გარეშე, რომელიც 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე გაჟღერდა, ქართული რეფორმები, სავარაუდოდ, ნაკლებად ეფექტური იქნებოდა. თუმცა, საქართველოს მოდელის განზოგადება ნაკლებად არის შესაძლებელი და პრაქტიკული მოტივაციის ამონურვის შემთხვევაში, განწევრების პერსპექტივა სანდოობას დაკარგავს, რაც, თავის მხრივ, შავი ზღვის რეგიონში ნატოს კულტურულ და პრაქტიკულ როლს შეამცირებს. ყოველივე ამან შესაძლოა საქართველოში ნატოს როლის შესუსტება და პოტენციური კანდიდატის გამოჩენის შემთხვევაში, საქართველოს მხრიდან სხვა გარე დამბალანსებელი აქტორის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება გამოიწვიოს.

არსებობს კიდევ ერთი შესაძლო სცენარი, რომლის მიხედვითაც, ფორმალური გზების არარსებობის პირობებშიც კი, ნატო-საქართველოს ხანგრძლივი თანამშრომლობა დემოკრატიასა და უსაფრთხოებას ერთმანეთთან დააკავშირებს და არაპირდაპირ პირობითობას ჩამოაყალიბებს, რაც საქართველოს ლიბერალური დემოკრატიული ნორმების მეტად განვითარებისკენ უბიძგებს. ამგვარ სცენარში, საქართველო შეიძლება იმ გადაწყვეტილებამდეც მივიდეს, რომ უსაფრთხოების, კეთილდღეობისა თუ დემოკრატიის მისაღწევად, მას ოფიცია-

ლური ხელშეკრულება ან ოფიციალური ნევრობა არ სჭირდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ავტონომია, რომელსაც ნატოსთან მჭიდრო ურთიერთობა საქართველოს ანიჭებს, შესაძლოა ქვეყანამ რეალურ და გაზომვად შედეგად ჩათვალოს. მათ შორის, ეს ავტონომია ევროატლანტიკურ ადვოკატირებას, ნევრობის პირობას და ამ მიზნების მისაღწევად ტექნიკურ მხარდაჭერას მოიცავს. თუმცა, განევრების პერსპექტივის გაქრობის შემთხვევაშიც კი, საქართველომ შესაძლოა ამ მიზნების მიღწევის ენდოგენური გზები იპოვოს, რომელსაც დასავლური ან ევროატლანტიკური „დამონება“ არ სჭირდება.

კაკაჩიასა და მინასაშვილის მიერ ქართული ცივილიზაციური კავშირების დახასიათების მსგავსად, საქართველოს ნატოსთან (და სხვა ევროატლანტიკურ ინსტიტუტებთან) ურთიერთობის მნიშვნელოვანი ასპექტები ქართველებს, გარკვეული თვალსაზრისით, იმის განცდას უქმნის, რომ ისინი გარკვეული საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ.¹ თუმცა, საქართველო, რომელსაც პოლიტიკური ცვლილებების მუდმივი ციკლიდან გამოსვლისა და პროგნოზირებადი, დემოკრატიული სტაბილურობის მიღწევის უნარი აქვს, შესაძლოა ევროატლანტიკურ პარტნიორობთან მისი მსგავსების უკეთესი არგუმენტი იყოს, ვიდრე ჰიბრიდული რეჟიმი, რომელიც „განევრების სამოქმედო გეგმის“ მოპოვებისკენ მიისწრაფვის. ანალოგიურად, ცალკე მდგომი საქართველო, რომელსაც რეგიონული ჰეგემონისგან მომდინარე პროვოკაციების, სენსიტიური საკითხებისა და წითელი ხაზების, და ასევე, რეგიონში არსებული შფოთვის ეფექტურად მართვა შეუძლია, საიმედო ენდოგენური უსაფრთხოების სტრატეგიის დახმარებით, შესაძლოა რეგიონში უფრო საიმედო აქტორად ჩამოყალიბდეს, ვიდრე შიდა და გარე კრიზისებისკენ მიდრეკილი ნატოს წევრი სახელმწიფო მოახერხებდა.

¹ Kornely Kakachia and Salome Minesashvili. 'Identity Politics: Exploring Georgian Foreign Policy Behaviour', *Journal of Eurasian Studies* 6:2 (2015), pp. 171-80.

საქართველოს ალიანსში განევრების პერსპექტივის არარსებობის შემთხვევაშიც კი, ნატო-საქართველოს კავშირების მდგრადი ელემენტების გამოყენება ევროატლანტიკური ინტეგრაციის ტექნიკური მახასიათებლების ათვისებისა და ინტერნალიზაციის მიმართულებით შეიძლება. ეს უფრო ხანგრძლივი პროცესის ნაწილია, რომლის საბოლოო მიზანსაც ალიანსის წევრობა არ წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ევროატლანტიკური ინსტიტუტების ფორმალური წევრობის გარეშეც შეუძლია ბევრი იმ მიზნის მიღწევა, რომლისკენაც ის ისწრაფვის - მათ შორის, დემოკრატია, უსაფრთხოება და კეთილდღეობა. თუ ეს ნატო-საქართველოს გრძელვადიანი პარტნიორობის მიახლოებითი შედეგი მაინც იქნება, ის, საბოლოო ჯამში, დიდი ალბათობით, ღირებულ და ურთიერთსასარგებლო გამოცდილებად ჩაითვლება.

თავი 10

ამბავი ორი სამკუთხედისა: საქართველოს პოლიტიკა რუსეთის მიმართ

გია ნოღია

1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, რუსეთის მიმართ დამოკიდებულება საქართველოს საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა და ეს ძნელია სხვაგვარად ყოფილიყო. საქართველოსთვის ეს საკითხი სცდებოდა ვინრო აზრით საგარეო პოლიტიკის სფეროს, ანუ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მოწესრიგებას. აქ მისი იდენტობის განსაზღვრის, მისი, როგორც სახელმწიფოს, გადარჩენის საკითხები იდგა. რუსეთი ორივე განზომილებაში ნეგატიური ორიენტირის როლს თამაშობდა: საქართველოს იდენტობა რუსეთთან კონტრასტით განისაზღვრებოდა, ხოლო მისი გადარჩენის ამოცანა მისი სუვერენულობის რუსეთისგან დაცვას ნიშნავდა. შესაბამისად, დამოუკიდებლობის თითქმის ყველა ეტაპზე ქართულ-რუსულ ურთიერთობებს ერთი სტაბილური მახასიათებელი ახლდა: ისინი ყოველთვის ცუდი იყო, თუმცა დაძაბულობის ინტენსივობა იცვლებოდა.

ორივე ეს ქვეყანა არ განიხილავს მათ ურთიერთობებს, როგორც ნამდვილად ორმხრივს. ამ თავში მათ ორი სამკუთხა კონფლიქტის კონტექსტში განვიხილავ. უფრო დიდი სამკუთხედი საქართველოს, რუსეთსა და დასავლეთს მოიცავს.¹ დასავლეთი ყოველთვის იგულისხმებოდა ნებისმიერ საკითხში, რაც ქართულ-რუსული ურთიერთობების წიაღში აღმოცენებულა;

¹ ამ თავში „დასავლეთს“ განვსაზღვრავ, როგორც დასავლეთ ევროპისა და ჩრდილო ამერიკის სახელმწიფოებს, აგრეთვე მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო წესრიგის განმსაზღვრელ ორგანიზაციებს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ნატო და ევროკავშირი.

თავის მხრივ, საქართველოსა და დასავლელ მოთამაშეებს შორის კონტაქტებისას რუსეთის ფაქტორი ყოველთვის მხედველობაში მიიღებოდა. გარდა ამისა, რუსეთი ყოველთვის მონაწილე იყო საქართველოს საშინაო კონფლიქტებისა, რაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონის) სეპარატისტულ მოძრაობებს შეეხებოდა. ამით მეორე, უფრო მცირე სამკუთხედი იკვრება. საქართველოს ეს კონფლიქტები მხოლოდ საშინაოდ არასდროს ჩაუთვლია: ისინი ქართულ-რუსული ურთიერთობების კონტექსტში განიხილებოდა და შესაბამისი ნაბიჯები აქედან გამომდინარე იდგმებოდა.

მეთოდოლოგიურად, ეს სტატია კონსტრუქტივისტული მიდგომისაკენ იხრება: ის ემყარება ნანამძღვარს, რომ ქვეყნის იდენტობა (უფრო ზუსტად, ის, თუ როგორ განმარტავენ მას პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტები) ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ზოგად მიმართულებას განსაზღვრავს.¹ ეს არ გამორიცხავს ისეთი „მყარი“ ფაქტორების მნიშვნელობას, როგორცაა ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ზომა, ეკონომიკური განვითარების დონე და სამხედრო შესაძლებლობები. თუმცა, ამ ფაქტორებსაც იდენტობის ჩრილში უნდა შეეხედოთ: ისინი გავლენას ახდენენ იმაზე, თუ როგორ ხედავენ ეროვნული ელიტები თავიანთ ერსა და მის ინტერესებს.² თანამედროვე საქართველოს იდენტობის შენებაში რუსეთის როლის გასაგებად, სასარგებლოა გრძელვადიანი მიდგომის გამოყენება, ანუ საქართველოს რუსეთისადმი დამოკიდებულებების ისტორიული ფონის გათვალისწინება. თანამედროვე დისკუსიები საქართველოს საგარეო-პოლიტიკური პოზიციების თაობაზე ხშირად მიმართავენ ამ ფონს და ეს გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ უდგება ამ ურთიერთობებს ყველა რელევანტური მოთამაშე.

¹ P.J. Katzenstein (ed.), *The Culture of National Security: Norms and Identity in World Politics* (New York: Columbia University Press, 1996).

² მსგავსი მიდგომა თუმცა განსხვავებული დასკვნებით, გამოყენებულია სტატიაში A.P. Tsygankov and T. Marver-Wahlquist, 'Duelling Honors: Power, Identity and the Russia-Georgia Divide', *Foreign Policy Analysis*, 5:4 (October 2009).

ისტორიული ფონი: როგორ ხედავს რუსეთს საქართველო

რუსეთისადმი საქართველოს დამოკიდებულება ისტორიულად ამბივალენტურია და ეს გაორება დღესაც ძალაში რჩება. რუსეთის თავდაპირველი იმიჯი მეტად დადებითი იყო; მისი სათავე დაახლოებით მეთექვსმეტე საუკუნეშია, როდესაც მართლმადიდებელი საქართველო (ან, უფრო სწორედ, ქართული სამთავროები, რომელთაგან ყველაზე ძლიერი ქართლ-კახეთის სამეფო იყო) საკუთარი თავის გადარჩენისთვის ებრძოდა აღმოსავლელ და სამხრეთელ მუსლიმ მეზობლებს, სპარსეთის და ოსმალეთის იმპერიებს. საქართველო მზარდი ძალის მქონე ერთმორწმუნე მეზობელს, რუსეთს, მხსნელად ხედავდა. თავდაპირველად, რუსეთი საქართველოს აქტივობას გულგრილად შეხვდა, მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც მისი ამბიციები შავი ზღვის რეგიონზე გავრცელდა, სამხრეთით მდებარე სამეფოსადმი მისი ინტერესიც გაიზარდა. 1783 წელს ხელი მოეწერა ორმხრივ შეთანხმებას, „გეორგიევსკის ტრაქტატს“, რომლის თანახმად საქართველო თმობდა საკუთარ სუვერენულობას საგარეო პოლიტიკაში იმ იმედით, რომ რუსეთი მას ისლამური იმპერიებისაგან დაიცავდა. თუმცა, ქართული და რუსული ალქმები და მოლოდინები უკიდურესად ასიმეტრიული გამოდგა: საქართველოს ორმხრივ შეთანხმებაზე აგებული ურთიერთობა სურდა, რუსეთმა კი ქართლ-კახეთის სამეფოს სრული ანექსია გადანყვიტა,¹ რაც 1801 წელს მეფის ცალმხრივი მანიფესტის საფუძველზე მოხდა.² რუსეთის უსაფრთხოების ფარი საქართველოზე მხოლოდ ამის

¹ დღევანდელი საქართველოს სხვა ნაწილები თანდათან აღმოჩნდა რუსეთის იმპერიაში, ან რუსეთმა ისინი მე-19 საუკუნის რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად მიიერთა.

² Z. Avalov, *Prisoedinenie Gruzii k Rossii* (St Peterburg: A.Souvorine Publishers, 1901); D. Rayfield, *Edge of Empires: A History of Georgia* (London: Reaktion Books, 2012).

შემდეგ გავრცელდა, ოღონდ პოლიტიკურად საქართველო აღარ არსებობდა, ის მხოლოდ რუსეთის იმპერიაში შემავალი პროვინცია იყო.¹ საქართველო, როგორც პოლიტიკური ერთეული, მხოლოდ ისტორიულ მახსოვრობაში ან განათლებულ ქართველთა პოლიტიკურ წარმოსახვაში დარჩა.

ამან ფუნდამენტური ბუნდოვანება შექმნა. რუსეთის და საბჭოთა იმპერიების ოფიციალური ვერსიით, საქართველო რუსეთთან თავისი ნებით გაერთიანდა, მაშინ როდესაც სინამდვილეში იგი იმპერიას ცალმხრივი გადანყვევტილების საფუძველზე მიუერთეს. თუმცა, ამ ოფიციალურ ვერსიაშიც იყო ჭეშმარიტების მარცვალი: საქართველო მართლაც ესწრაფვოდა რუსეთის მფარველობას, ხოლო მმართველი კლასის უმრავლესობას რუსული მმართველობის დამყარების წინააღმდეგ პროტესტი არ გამოუხატავს.² აქ შეიძლება სარგებელი და ზარალი ავწონ-დავწონოთ: საქართველომ მიიღო მშვიდობა და დაცულობა, უფრო მაღალი დონის განვითარება, მისი ისტორიული მიწების უმეტესობის ერთი პოლიტიკური ქოლგის ქვეშ გაერთიანება, მაგრამ დაკარგა თავისი პოლიტიკური იდენტობა და - როგორც ბევრი ქართველი შიშობდა - კულტურული იდენტობის დაკარგვის გზასაც ადგა.

1860-იან წლებში, ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, „თერგდალეულებმა“ (რუსეთის და, შემდგომ, ევროპული უნივერსიტეტების ქართველმა კურსდამთავრებულებმა) წამოიწყეს ქართული ეროვნული აღორძინების მოძრაობა. თუმცა, მათი აქტივობები უფრო კულტურული და საგანმანათლებლო იყო, ვიდრე პოლიტიკური ხასიათისა; მოძრაობამ ვერასდროს

¹ თანამედროვე საქართველოს ტერიტორია მაშინ მოიცავდა თბილისის და ქუთაისის გუბერნიებს და სოხუმის ოლქს (რაც, ძირითადად, თანამედროვე აფხაზეთს ემთხვეოდა).

² მომდევნო წლებში, ადგილი ჰქონდა აჯანყებებს და შეთქმულებებს რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ ეს უშუალოდ ანექსიაზე პასუხად არ მომხდარა - იხ. Rayfield, *Edge of Empires*, pp. 258-264.

გაბედა, ღიად ანტირუსული გამხდარიყო.¹ ნაწილობრივ, ეს ცარისტული ავტოკრატიის რეპრესიების შიშით აიხსნებოდა, მაგრამ ეს ერთადერთი ახსნა არაა. 1890-იან წლებში, როდესაც დამოუკიდებელი პოლიტიკური მოძრაობები შეიქმნა, ყველაზე გავლენიან და ორგანიზებულ ჯგუფად სოციალ-დემოკრატიები ჩამოყალიბდნენ, ვინც დამოუკიდებლობის პერსპექტივას სერიოზულად არასდროს განიხილავდა, და არა ნაციონალისტები. ეს მოწმობს, რომ ამ მომენტისთვის, ქართველების უმრავლესობა მდუმარედ ეთანხმებოდა რუსეთის ბატონობას, თუმცა უკმაყოფილო იყო მისი პირობებით.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდი, 1918-21 წლები, გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა. ცარისტული რეჟიმის დამხობისა და ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ საქართველოს სათავეში მოვიდნენ სოციალ-დემოკრატები, რომლებიც თავს ევროპული სოციალ-დემოკრატიული ოჯახის ნაწილად მიიჩნევენ და რუსეთის ავტოკრატი ბოლშევიკების ბატონობას არ მიიღებდნენ.² ამან მათ არა მარტო დამოუკიდებლობის გამოცხადებისკენ უბიძგა, არამედ ახალი ნარატივის საფუძვლები შექმნა: საქართველო, არსებითად, ევროპული ერია, რომელიც თავისუფლებისკენ ისწრაფვის, მაგრამ მას საფრთხეს უქმნის აღმოსავლური დესპოტიზმი, რასაც რუსული ბოლშევიკები განასახიერებენ.³ დაიბადა ახალი ქართული პოლიტიკური ნაციონალიზმი, ერთდროულად პროევროპული და ანტირუსული.⁴

¹ O. Reisner, *Die Schule der Georgischen Nation* (Wiesbaden: Reichert Verlag, 2004). თერგდალეულების სახელი გულისხმობს მდინარე თერგის სიმბოლურ კვეთას, რაც საქართველოს რუსეთს და, საბოლოოდ, ევროპას ამორეზდა.

² E. Lee, *Experiment: Georgia's Forgotten Revolution 1918-1921* (London: ZED books, 2017).

³ საქართველოს ევროპული იდენტობის ხედვას თერგდალეულებთანაც ვიპოვით. მაგრამ ბოლშევიკურ გადატრიალებამდე ქართული ელიტები რუსეთს საქართველოში, ფართო გაგებით, ევროპული ცივილიზაციის შემომტანად განიხილავდა.

⁴ ეს მოსაზრება განვითარებული მაქვს სტატიაში 'The Georgian Perception of the West', წიგნში *Commonwealth and Independence in Post-Soviet Eurasia*

საქართველოს დამოუკიდებლობა სოციალ-დემოკრატია მმართველობის ქვეშ ხანმოკლე გამოდგა: 1921 წლის თებერვალში მას რუსული ბოლშევიზმის სამხედრო ინტერვენციამ მოუღო ბოლო. ამჯერად საქართველო რუსეთს შეებრძოლა, მაგრამ დამარცხდა. დასავლეთისგან მხარდაჭერის მოლოდინი არ გამართლდა: იმ დროისთვის რეგიონში წარმოდგენილმა მთავარმა ძალამ, დიდმა ბრიტანეთმა, გადაწყვიტა, რომ ამიერკავკასიის ბოლშევიკებისგან დაცვა ძალისხმევად არ ღირდა.¹ მაგრამ დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდში შობილი ახალი ნარატივი საბჭოთა იდეოლოგიის ბატონობის ეპოქას გადაურჩა და ხელახლა ამოტივტივდა იმპერიის ბოლო პერიოდში, როდესაც, გორბაჩოვის ლიბერალიზაციის ფონზე, საქართველოში ქაოტური, თუმცა მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩამოყალიბდა. ამჯერად, მოძრაობა იმთავითვე ნაციონალისტური იყო და უარყოფდა პირველი რესპუბლიკის სოციალისტურ მრწამსს, როგორც გაბატონებულ საბჭოთა იდეოლოგიასთან ზედმეტად ახლო მდგომს. მიუხედავად ამისა, ამ მოძრაობის სლოგანი იყო არა უბრალოდ დამოუკიდებლობის მოპოვება, არამედ საბჭოთა ოკუპაციის შედეგად უკანონოდ გაუქმებული 1918-21 წლების რესპუბლიკის აღდგენა. ამასთან, ამ პერიოდის ქართველ ნაციონალისტებს თავისთავად ცხადად მიაჩნდათ, რომ დასავლეთი მორალურად და პოლიტიკურად ვალდებული იყო, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მხარი დაეჭირა, რადგან რუსულ-საბჭოთა იმპერიალიზმსა და დესპოტიზმთან ბრძოლაში საქართველო დემოკრატიის მხარეს იდგა.

ეს ხედვა ახალ დამოუკიდებელ საქართველოშიც წამყვან ნარატივად დარჩა. თუმცა, ეს ერთადერთი შესაძლებლობა არ არის. არსებობს ალტერნატიული თემაც ერთმორწმუნე რუსეთი-

ed. B. Coppieters, A. Zverev and D. Trenin (London and Portland, OR: Frank Cass, 1998), pp. 12-43.

¹ Rayfield, *Edge of Empires*, pp. 323-38; Lee, *The Experiment*, pp. 195-215.

სა, რომელმაც, როგორც კეთილმოსურნე ჰეგემონმა, საქართველო მტრულად განწყობილი მუსლიმი ურდოს მხრიდან განადგურებას გადაარჩინა და ქვეყნის მოდერნიზებას შეუნყო ხელი. ერთადერთი, რასაც ის სანაცვლოდ ითხოვს, ერთგულებაა. ამ მიმართებაში, საქართველოს პროდასავლური პოლიტიკა უმადურობის და ღალატის გამოხატულებაა; შესაბამისად, ქართული პოლიტიკური ელიტა იზიარებს პასუხისმგებლობას ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობების გაფუჭებაზე. ის, რომ იოსებ სტალინი, საბჭოთა-რუსული იმპერიის საჭეთმპყრობელი მისი გლობალური ძალაუფლების მწვერვალში ყოფნისას, წარმოშობით ქართველი იყო, ერთგვარად აძლიერებს ფსიქოლოგიურ კავშირს ქართულ ნაციონალიზმსა და რუსულ იმპერიალიზმს შორის. ამ ხედვით, კულტურულად უცხო და იმპერიული ამბიციების მქონე დასავლეთი საქართველოს რუსეთის დასუსტების ინსტრუმენტად იყენებს, რაც ორ ძმურ ხალხს შორის ურთიერთობის ნგრევის ნამდვილი მიზეზია. ამასთან ერთად, დასავლეთი ძირს უთხრის ნამდვილ ქართულ იდენტობას და კულტურას, რომელიც მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ტრადიციაზე დამყარებული. რუსეთის პოლიტიკა საქართველოსადმი ამ ნარატივს ეყრდნობა, იგი საქართველოშიც არსებობს და ბოლო წლებში უფრო გაძლიერდა,¹ თუმცა საქართველოს საგარეო პოლიტიკა მას არასდროს განუსაზღვრავს.

დიდი სამკუთხედი

საქართველოს თანამედროვე პოლიტიკის ამოსავალი ხედვა ემყარება დაშვებას, რომ რუსეთისა და დასავლეთის ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდება. ვინც სუვერენულ საქართველოს მხარს უჭერს, ამით რუსეთს უპირისპირდება და დასავლეთზე ორიენტირებული ხდება. მიჩნეულია, რომ დასავ-

¹ იხ., მაგ., ლევან ვასაძე, „ერი და სახელმწიფო“, კვირის პალიტრა, 18.05. 2005, [www.kvirispalitra.ge/politic/16259- ... helmtsifoq.html?start=8](http://www.kvirispalitra.ge/politic/16259-...helmtsifoq.html?start=8).

ლეთი საქართველოს საუკეთესო იმედია ნამდვილი სუვერენულობის შენარჩუნების საქმეში. მეორე მხრივ, ვესტერნიზაციის მიუღებლობა იმ ძალების მთავარი მოტივია, ვინც საქართველოს რუსეთთან კავშირს ანიჭებს უპირატესობას. პრაქტიკულად, ეს უკანასკნელი სტრატეგია საქართველოს სუვერენულობის შექვეცას გულისხმობს: ის ემყარება რუსული პოლიტიკური ქოლგის ქვეშ მშვიდობიანი, სტაბილური და კულტურულად ავთენტური საქართველოს ნეოსაბჭოურ ხედვას.

დასავლეთი, როგორც წესი, ეწინააღმდეგება ამგვარ დრამატულ „ან - ან“ ხედვას. ის არ შეესაბამება დასავლეთის პოლიტიკურ ინტერესებს, რადგან ამით საქართველო, პატარა (და, კაცმა რომ თქვას, არცთუ მნიშვნელოვანი) ქვეყანა კიდევ უფრო ურთულეს დასავლეთს რუსეთთან *modus vivendi*-ს გამონახვის ისედაც რთულ ამოცანას. მეტიც, 2014 წლამდე, როდესაც რუსეთმა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა დაარღვია და, გავრცელებული ინფორმაციით, დასავლური დემოკრატიების შიდაპოლიტიკურ პროცესებში ხელების ფათურიც დაიწყო, დასავლეთი რუსეთს რთულ დაჭირვეულ პარტნიორად, მაგრამ არა მტრად განიხილავდა. დასავლელი სტრატეგოსები იმედოვნებდნენ (ზოგს ეს იმედი კვლავაც არ მოუშლია), რომ თუ მეტ კრეატიულობას და მოქნილობას გამოიჩინენ, რუსეთთან თანაცხოვრების დამაკმაყოფილებელ ფორმას გამონახავენ (2008 წლის რუსულ-ქართული ომი ამ პარადიგმის შესაცვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა). ზოგი რუსეთის გაუმართლებელ გაუცხოებას დასავლეთს აბრალებდა - მაგალითად, ისეთი ქმედებებით, როგორც ნატოს (და, შესაძლოა, აგრეთვე ევროკავშირის) გაფართოება იყო. მაგრამ ორმაგი გაფართოების პოლიტიკის მომხრეებიც კი, ჩვეულებრივ, რუსეთთან საერთო ენის გამონახვას ესრაფოდნენ და არა შეჯიბრს.

ეს ეწინააღმდეგებოდა ქართულ (და, ალბათ, ზოგადად აღმოსავლეთ-ევროპულ და პოსტსაბჭოთა) ტენდენციას, რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობა ნულოვან-ჯამოვანი თამაშის პრინციპზე აგებულ ორმხრივ მეტოქეობად დანახულიყო. ამის

გამო, ზოგ დასავლელ დამკვირვებელს საქართველოს რუსეთისადმი დამოკიდებულება აკვიატებულად, პარანოულად და უმნიფრად მიაჩნდა.¹ დასავლეთში აღიზიანებდათ, რომ საქართველო მათგან მოელოდა რუსეთის მოთოკვას, ნაცვლად იმისა, რომ თავად დაელაგებინა მასთან ურთიერთობა. დასავლეთმა დაგმო 2008 წელს რუსეთის საქართველოში შეჭრა და, ევროკავშირის სახელით მოქმედი საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის ძალისხმევით, რუსული ინტერვენციის შედეგების შეზღუდვა სცადა. ამასთან, ევროკავშირის ლიდერებმა რუსეთსა და საქართველოს შორის სამხედრო კონფლიქტისთვის პასუხისმგებლობა თითქმის თანაბრად გაუნაწილეს ორივე მხარეს; კერძოდ, საქართველოს მმართველებს დაბრალდა, რომ ისინი რუსეთის მიმართ ზედმეტად პროვოკაციულად იქცეოდნენ ან მის პროვოკაციას წამოეგნენ.²

საბოლოოდ, პუტინის რუსეთმა დაადასტურა საქართველოს ხედვა, რომ იგი მართლაც დასავლეთის შეურიგებელი მონინალმდეგეა. რუსეთის პროდასავლელი მეზობლები, საქართველო და უკრაინა, ამ დაპირისპირების ასპარეზად იქცნენ. პუტინმა გადაწყვიტა, რომ მათი დასავლურ ორბიტაში შესვლა (რაც ნატოში და/ან ევროკავშირში განევრიანებით ან მათთან ახლო თანამშრომლობით გამოიხატებოდა) შეუწყნარებელი წითელი ხაზია და მის გადაკვეთაზე სამხედრო ქმედებით უნდა ეპასუხა. რუსეთის თვალთახედვით, ძირი პრობლემებისა, რაც მას საქართველოსთან (ისევე როგორც უკრაინასთან) ჰქონდა, დასავლეთთან მისი შეჯიბრი იყო, რადგან ეს უკანასკნელი მის კუთვნილ „გავლენის ზონებს“ ან „პასუხისმგებლობის ზონებს“

¹ ასეთი შეფასებები უფრო კერძო საუბრებში გამოითქმებოდა.

² ე.წ. „ტალიავინის მოხსენება“ ამ დასავლური ხედვის ოფიციალურ გამოხატულებად იქცა - იხ. *Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia: Report, 2009*, www.mpil.de/en/pub/publications/archive/independent_international_fact.cfm. იხ. აგრ. C. Welt, 'After the EU War Report: Can There Be a "Reset" in Russian-Georgian Relations?', *Russian Analytical Digest*, 68:9 November 2009).

არ ცნობდა. ამ ნიშნით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის რუსული თავლთახედვა ქართულთანაა ახლოს: ორივე ამ ურთიერთობას ერთი და იმავე სამკუთხედის ნაწილად განიხილავს. ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ისაა, რომ რუსეთი საქართველოს უყურებს არა იმდენად როგორც დამოუკიდებელ მოთამაშეს, არამედ როგორც თავის სამეზობლოში დასავლეთის გავლენის გაგრძელებას. ამგვარი ხედვა ამ ქვეყნების შიდა პოლიტიკაზეც ვრცელდება: მის თანახმად, საქართველოს და უკრაინის ფერადი რევოლუციები (2003 და 2004 წწ.) ან 2014 წლის უკრაინის ევრომაიდნის რევოლუცია ამ ქვეყნების შიდა მოვლენები სულაც არ არის: მათ აშშ ფარულად მართავდა აქ პროდასავლური პოლიტიკური რეჟიმების დასასმელად.¹

ორმხრივი ურთიერთობების ასეთი „ტრიანგულარიზაცია“ მხოლოდ კონკრეტულ ქვეყნებში გავრცელებული ხედვების თავისებურებით არ აიხსნება. საქართველო პრაგმატულად იქცევა, როდესაც თავისი სუვერენიტეტის დასაცავად დასავლეთის მხარდაჭერას ესწრაფვის, რადგან მცირე და მოწყვლად ქვეყნებს სუვერენიტეტის უფრო მაღალი ხარისხის შენარჩუნების საუკეთესო შანსი დასავლეთის მხარდაჭერილი ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის ფარგლებში აქვთ. ბევრი დაწერილა (განსაკუთრებით დონალდ ტრამპის ამერიკის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ) იმაზე, თუ რას გულისხმობს (ან, უფრო სკეპტიკური დამკვირვებლების აზრით, რას გულისხმობდა) ამგვარი წესრიგი და რამდენად ნამდვილი ან მდგრადია ის.² მისი დედააზრი ისაა, რომ დასავლეთი, აშშ-ის წინამძღოლობით, დიდ თუ პატარა ქვეყნებს შორის წესებზე დაფუძნებულ ურთიერთობებს იცავს და თითოეული ამ ქვეყნის გადარჩენას პრიორიტეტს ანიჭებს. ასეთი წესრიგის დასამკვიდრებლად დასავლეთი იყენებს საერთაშორისო და რეგიონულ ინ-

¹ G.W. Lapidus, 'Insecurity: Russian Elite Attitudes and the Russia-Georgia Crisis', *Post-Soviet Affairs*, 23:2 (2007).

² იბ. 'What Was the Liberal Order: The World We May Be Losing', *Foreign Affairs*, Special Issue March 2017.

სტიტუტებს (გაერო, ნატო, ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტები, ევროკავშირი და ა.შ.) და, გარდა ამისა, სჯის ან ზენოლის ქვეშ აქცევს წესების დამრღვევებს. ისიც მართალია, რომ დასავლეთი და, კონკრეტულად, აშშ, ამ წესების დაცვისას სრულად თანმიმდევრული არაა და მათი არსიც კამათის საგნად რჩება. დასავლეთს არც საკმარისი ძალა აქვს საიმისოდ, რომ ამ წესების საყოველთაო დაცვა უზრუნველყოს. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი „ხანგრძლივი მშვიდობა“ (სულ მცირე, დასავლეთის გავლენის სივრცეში), მეტწილად ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის ძირითადი პრინციპების ირგვლივ არსებული კონსენსუსის შედეგია. კომუნისტური სისტემის მსხვრევამ შექმნა მოლოდინი, რომ ამგვარი წესრიგი მსოფლიოს ამ ნაწილსაც მოიცავდა, ხოლო თუ ცივი ომის ყოფილი მეტოქეები ძალისხმევას გააერთიანებდნენ, მისი პრინციპები უნივერსალურად გავრცელდებოდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლიბერალური მსოფლიო წესრიგის საყოველთაო გავრცელების მიმართ ოპტიმიზმის პიკი 1991 წელს ქუვეითის გათავისუფლების წარმატებულ საერთაშორისო ოპერაციას დაემთხვა.

თუ გვინდა შევაფასოთ, რა ღირებულება აქვს თუნდაც შეზღუდულ და არასრულყოფილ ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგს პატარა ქვეყნისთვის, შეგვიძლია საქართველოში რუსეთის ორი, 1921 და 2008 წლების სამხედრო ინტერვენციების შედეგები შევადაროთ. 1921 წელს საქართველო ვერ გადარჩა, რადგან მაშინ ამგვარი წესრიგი არ არსებულა. ამისგან განსხვავებით, რუსეთის 2008 წლის ინტერვენციის შემდეგ, საქართველომ, თუმცა დანაკარგი განიცადა, გადარჩა, რეალური სუვერენიტეტი შეინარჩუნა და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზნებიც არ შეუცვლია. თუმცა დასავლეთის მხარდაჭერა ისეთი ძლიერი არ ყოფილა, როგორც ეს ქართველებს და ქვეყნის ზოგიერთ დასავლელ მეგობარს სურდა,¹ დასავლეთმა აუცილებ-

¹ K. Bennett, 'Georgia's Dilemma', *The American Interest*, July 2007, www.the-americaninterest.com/2017/07/10/georgias-dilemma/.

ლად ჩათვალა, პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვაზე ეზრუნა; ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა იმაში, რომ რუსეთის თავდასხმის შედეგები საბოლოოდ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) ოკუპაციით შემოფარგლულიყო.

რუსეთი ღიად ეწინააღმდეგება ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის იდეას, რომელსაც დასავლეთის ბატონობასთან აიგივებს.¹ მისი აზრით, ამგვარი წესრიგის პრინციპები (ზოგი რუსი ანალიტიკოსი მათ „ლიბერალურ ფუნდამენტალიზმად“ ნათლავს²) საფრთხეს უქმნის რუსეთს, რადგან საშუალებას აძლევს „ბუნებრივად“ რუსეთის გავლენის ზონაში მყოფ ქვეყნებს, მაგალითად, საქართველოს და უკრაინას, დამოუკიდებელი არჩევანი გააკეთონ, რომელიც რუსეთის გეგმებთან წინააღმდეგობაში შეიძლება აღმოჩნდეს. რუსეთისთვის ბევრად უფრო მისაღები იყო ისეთი საერთაშორისო სისტემები, როგორიცაა ვენის კონგრესი (ევროპის დიდ სახელმწიფოებს შორის 1814-15 წლებში, ნაპოლეონის ომების შემდეგ გამართული მოლაპარაკებებით მიღწეული შეთანხმებები), ან 1945 წლის იალტის შეთანხმება, რომელმაც მეორე მსოფლიო ომისშემდგომი ევროპა საბჭოთა კავშირსა და დასავლურ ძალებს შორის დაყო.³ ასეთ კონფიგურაციაში, საქართველოსნაირ ქვეყანას მაინც შეიძლება ჰქონდეს ფორმალური სუვერენიტეტი, მაგრამ, ფაქტობრივად, რომელიმე დიდი ქვეყნის სატელიტად ყოფნას უნდა შეეგუოს, თან ისე, რომ პატრონ

¹ ზოგი დასავლელი ანალიტიკოსიც ამ საკითხში რუსეთის შეფასებას იზიარებს - იხ., მაგ., J.J. Mearsheimer, 'Why the Ukraine Crisis is the West's Fault: The Liberal Delusions that Provoked Putin', *Foreign Affairs*, September-October 2014; G. Allison, 'The Myth of the Liberal Order: From Historical Accident to Conventional Wisdom', *Foreign Affairs*, July/August 2018.

² B. Mezhev, 'O realizme i beregakh tsivilizatsii', გაზეთი *Vzglyad*, 13.01.2017, <https://vz.ru/columns/2017/1/13/853243.html>.

³ იხ., მაგ., S. Karaganov, '2016 - A Victory of Conservative Realism', *Russia in Global Affairs*, February 2017, <http://eng.globalaffairs.ru/number/2016-A-Victory-of-Conservative-Realism-18585>.

სახელმწიფოს თავად ვერ აირჩევს. ამ შემთხვევაში, საქართველო ბუნებრივად მოხვდებოდა რუსეთის გავლენის ზონაში.

ევროპაში ნატოსა და ევროკავშირის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი პოპულიზმის აღზევებამ და აშშ-ში დონალდ ტრამპის არჩევამ კითხვის ქვეშ დააყენა დასავლეთის მხრიდან ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის მხარდაჭერა და ისიც, თუ რამდენად აქვს მას საამისო რესურსები. მიუხედავად ამისა, საქართველოს პოლიტიკა რუსეთის მიმართ კვლავ ეფუძნება დაშვებას, რომ დასავლეთი რაღაც ზომით მაინც ინარჩუნებს ერთგულებას ლიბერალური საერთაშორისო წესრიგისადმი და რომ საქართველოს ამ წესრიგის წიაღში გააჩნია დამოუკიდებელ ერად გადარჩენის საუკეთესო შანსი.

2020 წელს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჯო ბაიდენის, ლიბერალური ინტერნაციონალიზმის მხარდაჭერით ცნობილი პოლიტიკოსის, გამარჯვებამ საქართველოში გააძლიერა იმის იმედი, რომ აშშ-ის ადმინისტრაციიდან მეტ დახმარებას მიიღებდა. ბაიდენის ადრეული განცხადებები აჩვენებს, რომ ის პრეზიდენტ ტრამპზე უფრო მეტად შეიძლება იყოს მზად, სამხრეთ კავკასიასა და სხვა რეგიონებში რუსეთის რევიზიონისტულ პოლიტიკას დაუპირისპირდეს. აშშ-ის ხელისუფლებამ უკვე გააძლიერა ევროპელ პარტნიორებთან კოორდინაციის ხარისხიც.¹ ეს მიუთითებს, რომ რუსეთსა და აშშ-ს (უფრო ზოგადად კი - დასავლეთს) შორის ურთიერთობები კვლავ დაპირისპირების რეჟიმში დარჩება. შესაბამისად, საქართველოს ჩრდილოელ მეზობელთან დაახლოებაც მოსალოდნელი არ უნდა იყოს.

¹ E. Rumer and A. Weiss, *Back to Basics on Russia Policy*, Carnegie Endowment for International Peace, March 2021, <https://carnegieendowment.org/2021/03/09/back-to-basics-on-russia-policypub-84016>.

მეორე სამკუთხედი

საქართველოს რთული ურთიერთობები რუსეთთან ჩაკეტილია მეორე სამკუთხედშიც, რომელსაც ქმნის ტერიტორიული კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთში). ამ კონფლიქტების შესახებ ორი მცდარი ნარატივი არსებობს.¹ პირველი, ძირითადად ქართული თვალსაზრისით, ეს კონფლიქტები მთლიანად რუსეთის ნაქეზებით აიხსნება და გარე მანიპულირების გარეშე საერთოდ არ მოხდებოდა. მეორე, რუსული და ნაწილობრივ დასავლური ხედვით, ისინი მოყვა ეთნიკური უმცირესობების რეაქციას აგრესიულ ქართულ ნაციონალიზმზე. რუსეთი ამ შემთხვევაში გარე ძალაა, რომელიც ცდილობს სამართლიანი მშვიდობა დაამყაროს (რუსული ვერსიით), ან კონფლიქტებს თავისი პოლიტიკური სარგებლისთვის იყენებს (დასავლელ ანალიტიკოსთა უმრავლესობის აზრით).

სინამდვილეში, ამ ტიპის კონფლიქტები ტიპურია მრავალეროვანი იმპერიების დაშლის პროცესში და ისინი, ჩვეულებრივ, ტრიანგულარული ხასიათისაა. კონფლიქტები არ მოხდებოდა, ქართველებსა და აფხაზებს, ან ქართველებსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ოსებს თავ-თავისი მომავლის ფუნდამენტურად განსხვავებული ხედვები რომ არ ჰქონოდათ. საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში ქართველი ნაციონალისტები თავიანთი სამშობლოს სუვერენიტეტს საბჭოთა საქართველოს ფარგლებში წარმოისახავდნენ, ხოლო აფხაზი და ოსი ნაციონალისტები მას საქართველოს ფარგლებს გარეთ ხედავდნენ.² რუსეთი ამ უთანხმოებას ვერ გამოიგონებდა. მას

¹ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები ერთმანეთისგანაც განსხვავდება, მაგრამ ამ კონტექსტში ამ განსხვავებებს შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ.

² თავდაპირველად, აფხაზები და ცხინვალის რეგიონის ოსები, შესაძლოა, დათანხმებოდნენ საქართველოსთან რაღაც სახის კავშირს, მაგრამ ეს

შემდეგ, რაც, 1990-იანების ომების შედეგად,¹ ეს ორი რეგიონი, ფაქტობრივად, საქართველოს გამოეყო, მათ ქვეყნის სხვა ნაწილებთან არავითარი კავშირი არ ჰქონიათ და ეს ვითარება უკვე ათწლეულებია გრძელდება. შესაბამისად, მათ კიდევ უფრო გაუმყარდათ რწმენა, რომ მათი ბედი საქართველოს არ უკავშირდება. თავის მხრივ, კრემლი იმთავითვე ორივე კონფლიქტის სრულფასოვანი მონაწილე იყო. კონფლიქტის დინამიკას ვერც ერთ პერიოდში ვერ გაიგებდი რუსეთის ფაქტორის გაუთვალისწინებლად. მისმა პოზიციამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა კონფლიქტების ფაქტობრივ შედეგებზე. კონფლიქტები დაიწყო არა მას მერე, რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა (როგორც ზოგიერთ დამკვირვებელს წარმოუდგენია), არამედ 1988-89 წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაწილებში, მათ შორის თბილისში, სოხუმსა და ცხინვალში ნაციონალისტური მოძრაობები ისახებოდა. ისინი მაშინვე იქცა უფრო დიდი თამაშის ნაწილად, რაზეც საბჭოთა კავშირის ჯერ კიდევ გაურკვეველი მომავალი იყო დამოკიდებული. ბუნებრივია, კრემლს ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნება სურდა და საკავშირო რესპუბლიკებში გაჩენილ დამოუკიდებლობის მოძრაობებს ქვეყნის მთლიანობისთვის სერიოზულ საფრთხედ განიხილავდა. აფხაზთა და ოსთა სეპარატისტული მისწრაფებების გაღვივება მის ინტერესებში შედიოდა, რადგან ამით მტერს დაასუსტებდა ან მის დისკრედიტაციას მოახდენდა (კრემლს მსგავსი სტრატეგია ჰქონდა საბჭოთა კავშირის ყველა წევრ რესპუბლიკაში, სადაც დამოუკიდებლობისკენ მიდრეკილება გამოიკვეთა).

ტაქტიკური გადაწყვეტილება იქნებოდა: საუკეთესო გამოსავლად ყოველთვის სრული გამოყოფა ისახებოდა.

¹ ქართულ-ოსური კონფლიქტი 1992 წლის ივლისში დასრულდა დაგომისის შეთანხმებით, ხოლო ქართულ-აფხაზური ომი, ფაქტობრივად, 1993 წლის სექტემბერში დასრულდა, თუმცა ცეცხლის შეწყვეტის პირობები, საბოლოოდ, 1994 წლის აპრილის მოსკოვის შეთანხმებით განისაზღვრა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა, მაგრამ ინტერესთა გადაკვეთები შენარჩუნდა. მოსკოვს ყოფილ საბჭოთა „ახლო საზღვარგარეთში“ ინტერესები ჰქონდა, ხოლო სეპარატისტული ერთეულები მის ბუნებრივ მოკავშირეებად რჩებოდნენ: რაც უფრო სუსტი იქნებოდა საქართველო, მით უფრო ადვილად გაბატონდებოდა მასზე რუსეთი. „გაყინული კონფლიქტების“ მართვაში წამყვანი როლი რუსეთის მთავარ კოზირად იქცა სამხრეთელი მეზობლების გაკონტროლებაში. თუმცა ამ დროს რუსეთი საერთაშორისო ასპარეზზე საკმაოდ სუსტი იყო, მისი ძალა, განსაკუთრებით სამხედრო სფეროში, კავკასიური კონფლიქტების მონაწილეებისას ბევრად აღემატებოდა. ნებისმიერი ნაბიჯის დაგეგმვისას ქართველი, აფხაზი ან ოსი ნაციონალისტები რუსეთის მოსალოდნელი რეაქციების გათვლას ცდილობდნენ. სწორედ ეს აქცევს ამ კონფლიქტებს „სამკუთხად“: მათ სათანადოდ ვერ გაიგებ ვერც როგორც მხოლოდ ორ ეთნიკურ თემს (ქართველებსა და აფხაზებს, თუ ქართველებსა და ოსებს) შორის დაპირისპირებას, ვერც მხოლოდ როგორც ქართულ-რუსული უთანხმოების შედეგს.

კონფლიქტების სამხედრო ფაზების შედეგად ორი დე ფაქტო სახელმწიფო შეიქმნა და ნაწილობრივ კონსოლიდირდა. მხარეთა დამოკიდებულებები შეუვალ და ურთიერთგამომრიცხავ პოზიციებად გამყარდა. 2008 წლის ომის შედეგებმა მანევრირების სივრცე კიდევ უფრო შეამცირა. ორივე კონფლიქტი „გაყინულია“ იმ აზრით, რომ ყველა მხარე მდუმარედ ეგუება სტატუს კვოს, ანუ აღიარებს, რომ ვითარებას ძალისმიერი გზით ვერ შეცვლის და ამას არც უნდა ეცადოს. თუმცა, 2008 წლის ომმა არამყარი მშვიდობის კონკრეტული პირობები შეცვალა. მანამდე რუსეთი, ფორმალურად მაინც, ნეიტრალურ მხარედ წარმოადგენდა თავს, რაც, სულ მცირე თეორიულად, ღია სივრცეს ტოვებდა მოლაპარაკებით მიღწეული გამოსავლისთვის. ომით შექმნილი „ახალი რეალობა“ და რუსეთის მიერ ორი დე ფაქტო სახელმწიფოს აღიარება გრძელვადიანადაც კი

აქრობს მოლაპარაკებით მიღწეული მყარი მშვიდობის პერსპექტივას. საქართველო სეცესიონისტური ტერიტორიების დამოუკიდებლობას ვერ აღიარებს; შესაბამისად, მას სხვა გზა არა აქვს, თუ არა რუსეთის მტრად და ოკუპანტად განხილვა. რაკი საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები განწყვიტა, მას გაუჭირდება მათი სახის შენარჩუნებით აღდგენა. ნებისმიერი მთავრობა, რომელიც გადადგამს ნაბიჯს, რომელიც „ახალ რეალობებთან“ შეგუების დასაწყისად აღიქმება, ამით პოლიტიკურ სუიციდზე წავა. მეორე მხრივ, ძნელი წარმოსადგენია, რუსეთმა უკან წაიღოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება, ან სოხუმი და ცხინვალი დათანხმდეს რაიმე ქართულ შეთავაზებაზე, რაც მათი დამოუკიდებლობის აღიარებას არ მოიცავს (სულ მცირე, სანამ ისინი რუსეთის დაცვის ქვეშ იმყოფებიან).

რა გამოსავალია ამ ჩიხიდან? რუსეთის, ისევე როგორც დე ფაქტო მთავრობების პოზიციის თანახმად, ორივე კონფლიქტი რეალურად დასრულებულია: არსებობს ორი ახალი სახელმწიფო და საქართველოს და დანარჩენ მსოფლიოს ამ „ახალ რეალობებთან“ შეგუება მოუწევთ.¹ მაგრამ სანამ ეს „ახალი რეალობები“ აღიარებული არ არის, ორი დე ფაქტო სახელმწიფო საერთაშორისო სისტემის „ნორმალურ“ ნაწილებად ვერ ჩაითვლება და ეს იქ მცხოვრებ ადამიანთა ცხოვრებაზე აისახება. ვალიდური საერთაშორისო ხელშეკრულების გარეშე კონფლიქტი დასრულებულად ვერ ჩაითვლება. თუმცა, სტატუს კვო სავსებით დამაკმაყოფილებელი ჩანს რუსეთისთვის, რომელიც სარგებელს იღებს ამ ერთეულების არაღიარებული ხასიათიდან: ასე ისინი სრულად დამოკიდებული არიან თავის პოლიტიკურ პატრონზე და შეიძლება გამოყენებულ იქნენ, როგორც სამხრეთ კავკასიაში რუსეთის სანდო სტრატეგიული დასაყრდენი. რუსეთს სხვა არჩევანიც აქვს: მას შეუძლია, ყი-

¹ იბ., მაგ.: ‘Karasin: abkhaziia i iuzhnaia ossetiia sostoialis kak suverennie gosudarstva’, *RIA Novosti*, 07.08.2018, <https://ria.ru/world/20180807/1526059192.html>.

რიმის მსგავსად, ორივე რეგიონის სრული ანექსია მოახდინოს. სამხრეთ ოსეთი (თუმცა არა აფხაზეთი) მონადინებულია, ამ გზას დაადგეს.¹ რაღაც მომენტში ესეც შეიძლება მოხდეს, თუმცა რუსეთს ამ სცენარის ასარჩევად ძლიერი მოტივები არ აქვს: ის ანექსიით ხელშესახებ სარგებელს ვერ მიიღებს; სამაგიეროდ, ჰიპოთეტურად, მას შეუძლია ორივე ტერიტორია საქართველოსთან სავაჭროდ გამოიყენოს. რუსეთი არსებითად მზადაა, არსებული სიტუაცია საბოლოოდ ჩათვალოს, თუნდაც მისი საერთაშორისო ლეგიტიმაციის გარეშე.

საქართველო უფრო რთულ ვითარებაშია. მან უნდა შეინარჩუნოს „სტრატეგიული მოთმინება“, რაც არაფრის კეთების ზრდილობიანი აღწერაა, და დაელოდოს რაღაც განუსაზღვრელ მოვლენას, რაც რეგიონში თამაშის წესების შეცვლის და ამით ახალ შესაძლებლობებს გახსნის. მანამდე, მისი ინტერესიც სტატუს კვოს შენარჩუნებაა, რაც ამ შემთხვევაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემდგომ აღიარებათა არდაშვებას ნიშნავს. საქართველო საკმაოდ წარმატებულია ამ მიზნის შესრულებაში.² კიდევ ერთი რთული ამოცანა, რაც მას უდგას, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზებთან მიმდინარე პროცესებისგან მიღებული ზიანის შემცირებაა. რუსეთი, ისევე როგორც სოხუმის და ცხინვალის დე ფაქტო მმართველები, ამ ხაზებს საერთაშორისო საზღვრებად მიიჩნევენ, ხოლო საქართველო (ისევე როგორც საერთაშორისო საზოგადოება) - არა. აქედან გამომდინარე ბუნდოვანება

¹ P. Gaprindashvili, 'How to Improve Georgia-Russia Talks?' in *Georgia and Russia: in Search of Ways for Normalization* (Tbilisi: Georgian Foundation for Strategic and International Studies, 2017).

² ვენესუელა, ნიკარაგუა და ნაურუ სამი სახელმწიფოა რუსეთის გარდა, ვინც 2008 წლის სექტემბერსა და 2009 წლის დეკემბერს შორის აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. 2011-ში ტუვალუ და ვანიატუ, წყნარი ოკეანის ორი ჯუჯა სახელმწიფო, ამ აღიარებას შეუერთდა, თუმცა ის შემდეგ უკან წაიღო. ამის შემდეგ, დე ფაქტო რეჟიმების მაღიარებელთა კლუბს მხოლოდ რუსეთზე მთლიანად დამოკიდებული სირია შეუერთდა 2018 წლის მაისში.

ე.წ. „ბორდერიზაციასთან“ დაკავშირებულ პრობლემებს ინ-ვესტ: ასეთია „საზღვრის“ თვითნებური დემარკაცია, რის შედეგადაც მინის ნაკვეთი შეიძლება პატრონისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდეს, ან ადამიანების დაკავება „სასაზღვრო რეჟიმის“ დარღვევისთვის.¹

შიდაპოლიტიკური მიზეზების გამო, მთავრობა არაფრის-მკეთებლად თავს ვერ წარმოაჩენს, ამიტომ ის კონფლიქტის მოგვარების სფეროში ახალი ინიციატივებით გამოდის. მაგალითად, 2012 წლის შემდეგ ის საჯაროდ აცხადებდა, რომ მზად იყო პირდაპირი დიალოგისთვის სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო მმართველებთან, თუმცა ამ უკანასკნელებმა ნათლად მიანიშნეს, რომ არ აინტერესებთ ასეთი კონტაქტები, თუ ისინი აღიარების პერსპექტივას არ გახსნის. 2020 წლის დეკემბერში სიტუაცია შებრუნდა: ახლა უკვე აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერები გამოვიდნენ დიალოგის შეთავაზებით, მაგრამ თბილისისგან პასუხი ვერ მიიღეს.² როგორც ჩანს, არსებობს მდუმარე კონსენსუსი, რომ ჯერჯერობით ვერაფერი შეიცვლება და ამის მცდელობაც არ ღირს. ასეთ არაკომფორტულ სიტუაციაში საქართველოს მხოლოდ ზიანის კონტროლზე ფიქრი შეუძლია.

კავშირები ორ სამკუთხა კონფლიქტს შორის

რომელია უფრო მნიშვნელოვანი იმ სამკუთხა კონფლიქტებიდან, რომელშიც საქართველო და რუსეთი არიან ჩართული? როგორ უკავშირდება ისინი ერთმანეთს? საქართველო და რუსეთი სეპარატისტული მოძრაობების მიმართ განსხვავებული პოზიციების გამო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, თუ პი-

¹ იხ. E. Boyle, 'Borderization in Georgia: Sovereignty Materialized', *Eurasia Border Review*, 2018, http://src-h.slav.hokudai.ac.jp/publictn/eurasia_border_review/-V0171/01-Boyle.pdf; K. Kakachia, 'How the West Should Respond to Russia's "Borderization" in Georgia', *PONARS Eurasia Policy Memo No. 523*, April 2018.

² სივილ ჯორჯია, „სერგეი შამბა თბილისს: „მზად ვართ საუბრისთვის“, 21.12.2020, <https://civil.ge/ka/archives/388213>.

რიქით, ამ კონფლიქტების მიმართ რუსეთის პოზიცია საქართველოს პროდასავლური პოლიტიკის მიუღებლობით აიხსნება? ეს არც ისე ცხადია. ერთი ლოგიკით, თავდაპირველად ურთიერთობა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემებთან დაკავშირებული უთანხმოებების გამო გაფუჭდა; ამის შემდეგ, ჩრდილოელ მეზობელთან უთანასწორო კონფლიქტში ჩართულმა საქართველომ მხარდაჭერის ძიება დასავლეთში დაიწყო. კიდევ უფრო მოგვიანო სტადიებზე, საქართველოს პროდასავლურმა პოლიტიკამ და დასავლეთის ზოგადად კეთილგანწყობილმა, თუმცა თავშეკავებულმა და არათანმიმდევრულმა პასუხებმა, ორ ქვეყანას შორის დაძაბულობა კიდევ უფრო გაამძაფრა.

ეს ნარატივი დეამაჯერებლად ჟღერს, მაგრამ ანალიზის სხვა ჩარჩოც არსებობს. როგორც ქართული, ისე რუსული (თუმცა, არა აუცილებლად დასავლური) თვალთახედვით, რუსეთისგან დამოუკიდებლობისკენ საქართველოს სწრაფვა და დასავლეთთან მისი კავშირები ერთი მონეტის ორი მხარეა. ჯერ კიდევ 1988 წელს, როდესაც ეროვნული დამოუკიდებლობის მოძრაობა ფეხს იდგამდა, იგი თავისთავად ცხადად მიიჩნეოდა, რომ დასავლეთის მხრიდან მხარდაჭერა ეკუთვნოდა და ელოდა კიდევ მას.¹ ამით ის საქართველოს 1918-1921 წლების პოლიტიკას აგრძელებდა: მაშინაც ჩაითვალა, რომ რუსეთი საფრთხეა, ხოლო დასავლეთი (ჯერ გერმანიის, შემდეგ გაერთიანებული სამეფოს სახით) - მოკავშირე, თუნდაც არაეფექტური. ქართველებისთვის გაუგებარი იყო, რატომ უჭერდა დასავლეთი მხარს ბალტიისპირეთის სახელმწიფოების, მაგრამ არა საქართველოს დამოუკიდებლობას: საქართველოს რესპუბლიკა ხომ ისევე უკანონოდ იყო ანექსირებული ბოლშევიკური რუსეთის მიერ, თუმცა ეს ბალტიის სახელმწიფოებზე უფრო ადრე მოხდა. 1989 წლის აპრილის თბილისში დამოუკი-

¹ ასეთი მოსაზრებები გამოითქმებოდა მიტინგებზე, რომელთაც ეს ავტორი ესწრებოდა, ან დისკუსიებში, სადაც ის მონაწილეობდა.

დებლობის მხარდამჭერ მიტინგებზე ზოგიერთი გამომსვლელი ამბობდა, რომ, როგორც კი საქართველო საბჭოთა კავშირს გამოეყოფოდა, ის ნატოს წევრი გახდებოდა.¹ იმ დროს, ეს ყველაფერი უაღრესად მიაბიჭურად ჟღერდა. სინამდვილეში, საბჭოთა კავშირის საბოლოო დაშლამდე დასავლეთს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მხარი არ დაუჭერია. თუმცა, ამ საკითხის ქართულ ხედვას თავისი ლოგიკა გააჩნდა და ის, საბოლოოდ, წინასწარმეტყველური გამოდგა. დასავლეთი მხარს უჭერდა საბჭოთა რეჟიმის დემოკრატიზაციას, მაგრამ გარკვეულ ეტაპზე. საბჭოთა კავშირის მთლიანობა დემოკრატიულ რეფორმებზე უარის თქმის გარეშე ვეღარ შენარჩუნდებოდა (მერე რა, რომ დასავლელი პოლიტიკოსები და საბჭოთა კვლევების ექსპერტები ამ ლოგიკურ კავშირს ხშირად ვერ ხედავდნენ). რუსეთს გარეთ ყველა მასობრივი დემოკრატიული მოძრაობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათისა იყო; რაც არ უნდა პარადოქსულად ჩანდეს, საბოლოოდ რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობაც კი საბჭოთა კავშირისას დაუპირისპირდა. ამ ტალღას ვერაფერი გააჩერებდა ფართომასშტაბიანი ძალადობის და უაღრესად რეპრესიული რეჟიმის აღორძინების გარეშე (1991 წლის აგვისტოს მოსკოვის პუტჩის შეთქმულები, დიდი ალბათობით, სწორედ ამას აპირებდნენ). დასავლეთი ამას არცერთ შემთხვევაში არ დაუჭერდა მხარს. ამრიგად, რა გათვლებიც არ უნდა ჰქონოდათ ჯორჯ ჰ. ბუშსა თუ ჰელმუტ კოლს, საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაციის ან დემოკრატიული მოძრაობების მხარდაჭერით ისინი, უნებლიედ, საბჭოთა კავშირის აღსასრულსაც აჩქარებდნენ. ეს საქართველოს დამოუკიდებლობასაც მოიცავდა. დემოკრატიის

¹ მოგვიანებით ამ მიტინგის ძალადობრივი დაშლა საბჭოთა ლიდერმა მიხეილ გორბაჩოვმა იმით გაამართლა, რომ ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებების მოთმენა არ შეიძლებოდა. იხ. C. Neef, 'The Gorbachev Files: Secret Papers Reveal Truth behind Soviet Collapse', *Spiegel Online*, 11.04.2011, www.spiegel.de/international/europe/the-gorbachev-files-secret-papers-reveal-truth-behindsoviet-collapse-a-779277.html.

მხარდაჭერამ დასავლეთი ქართველი ნაციონალისტების ფაქტობრივ მოკავშირედ აქცია.

როგორც კი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები დამოუკიდებელი გახდნენ და საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს, სახელმწიფოთა ახალი კონფიგურაციის მხარდაჭერა დასავლეთის ინტერესებში შემოვიდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის პრინციპები, რომლებიც ახლა უკვე ყოფილ კომუნისტურ სამყაროზეც გავრცელდა, საქართველოს მსგავსი პატარა და მონყვლადი ქვეყნების გადარჩენის საუკეთესო იმედად იქცა. მაგრამ ამ წესრიგს ასპონსორებდა და იცავდა დასავლეთი (რომელსაც ხშირად „საერთაშორისო თანამეგობრობის“ ფსევდონიმით მოიხსენიებდნენ). მეორე მხრივ, საერთაშორისო ლიბერალური წესრიგის მის „ახლო საზღვარგარეთზე“ გავრცელებას რუსეთი თავისი მარცხის ნიშნად განიხილავდა და მას ბოლომდე არასოდეს შეგუებია. რა თქმა უნდა, თავისი დემოკრატიული მოძრაობითა და ბორის ელცინის ლიდერობით რუსეთმა წვლილი შეიტანა ყოფილი საკავშირო რესპუბლიკების სუვერენულ სახელმწიფოებად აღიარებაში. თუმცა, ელცინის რუსეთმა საბჭოთა კავშირის დაშლა ერთგვარი გონებაგაფანტულობის გამო მიიღო, როდესაც კრემლის კონტროლისთვის გორბაჩოვთან კონფლიქტში გაერთო.¹ როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რუსული პოლიტიკური ელიტა არ აპირებდა ახალი ერების სრულფასოვან სუვერენიტეტთან შეგუებას და რაღაც სახის „რეინტეგრაციის“ იმედი ჰქონდა. შესაბამისად, საქართველოსნაირ ქვეყანას თავისი სუვერენულობის დამკვიდრება მხოლოდ დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის წიაღში შეეძლო, რუსეთი კი მისი ნორმების გავრცელებას უყურებდა, როგორც დასავლეთის მტდელობას, ის მისი გავლენის კუთვნილი სფეროდან განედევნა.

¹ S. Plokhly, *The Last Empire: The Final Days of the Soviet Union* (New York: Basic Books, 2014).

საქართველოსა და სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობის მხარდაჭერით, დასავლეთი გარდუვალად შევიდა კონფლიქტში რუსეთთან, მიუხედავად იმისა, რამდენად მზად იყვნენ მისი პოლიტიკური ლიდერები ამის დასანახად.

თუკი ასეა, უფრო ფართო კონფლიქტური სამკუთხედი საქართველოს, რუსეთსა და დასავლეთს შორის თავისი მნიშვნელობით გადანონის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიული კონფლიქტებს, თუნდაც ქართველთა უმრავლესობა ამ უკანასკნელთ ემოციურად უფრო მტკივნეულად აღიქვამდეს. 2008 წლის ომის დაწყებისთანავე ეს აშკარა გახდა, სულ მცირე რუსებისა და ქართველებისთვის, თუმცა, არა ყველა დასავლელისთვის. თუმცა კრემლი ინტერვენციას სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დაცვითა და „საქართველოს მშვიდობისადმი იძულებით“, ¹ ამართლებდა, რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლების სხვა განცხადებები მოწმობს² (და კომპეტენტურ ანალიტიკოსთა უმრავლესობა ამ ინტერპრეტაციას ეთანხმება), რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ქმედებების ძირითადი მოტივი დასავლეთის (განსაკუთრებით კი ნატოს) მის სამხრეთ საზღვრებთან ექსპანსიის აღკვეთა იყო.³ რადგან ტერიტორიული კონფლიქტები საქართველოს მონყვლადობის მთავარი წყაროა, ისინი (სულ მცირე, რუსული თვალთახედვით) მასა და დასავლეთს შორის გეოპოლიტიკური შეჯიბრის ასპარეზად იქცა. ამის აღიარება მძიმე ასატანია აფხაზეთისთვის და ოსების-

¹ D. Medvedev, Address to the Federal Assembly of the Russian Federation, 05.11.2008, <http://en.kremlin.ru/events/president/transcripts/1968>.

² 'Medvedev: esli by ne voina s Gruziei, v NATO priniali by neskolko stran, vopreki pozitsii Rossii', gazeta.ru, 21.11.2011, www.gazeta.ru/news/lenta/2011/11/21/-n_2104434.shtml.

³ რ. ასმუსი, მცირე ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010.; S.E. Cornell and F. Starr (eds), *The Guns of August 2008: Russia's War in Georgia* (London: M.E. Sharpe, 2009); R. Allison, 'Russia Resurgent? Moscow's Campaign to "Coerce Georgia to Peace"', *International Affairs*, 84:6 (2008); M. Van Herpen, *Putin's Wars: The Rise of Russia's New Imperialism* (Lanham, MD: Rowman & Littlefield, 2015).

თვის, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქართველოსთან თავისი ანგარიში აქვთ გასასწორებელი. რა ისტორიული ძირებიც არ უნდა ჰქონოდა ამ პრობლემებს, საბოლოოდ, ისინი მეორეული გახდა საქართველოს, რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების სამკუთხედთან მიმართებაში. ეს არ არის ისტორიულად პირველი შემთხვევა, როდესაც იმპერიის ნამსხვრევებზე გაჩაღებული პატარა ადგილობრივი კონფლიქტები დიდი გეოპოლიტიკური თამაშების ნაწილი გამხდარა.

როგორ ვითარდებოდა საქართველოს პოლიტიკა რუსეთის მიმართ

ეს ურთიერთგადამკვეთი კონფლიქტები ქართულ-რუსულ ურთიერთობებს საქართველოს დამოუკიდებლობის მთელ პერიოდში განსაზღვრავდა. თუმცა, დროთა განმავლობაში ისინი სახეს იცვლიდა. 2000-იან წლებში მხარეთა პოზიციები უფრო ხისტი გახდა, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ყოფილა. გარკვეულ პერიოდებში ჩნდებოდა იმედი, რომ მოვლენები სხვა გზით წავიდოდა. ცხადია, რუსეთთან მუდმივი დაძაბულობა საქართველოსთვის არაკომფორტულია და ჩრდილოელ მეზობელთან მშვიდობიანი თანაარსებობა მის ინტერესებში შედის. შესაძლოა ეჭვი გამოთქვან, რომ ზოგი პოლიტიკოსი რუსული საფრთხის ინსტრუმენტალიზაციას ახდენს საკუთარი პოპულარობის ასამაღლებლად ან ოპოზიციის დისკრედიტაციისთვის, როდესაც ამ უკანასკნელს პრორუსულად აცხადებს და პატრიოტიზმის ნაკლებობაში ადანაშაულებს.¹ ხანდახან, შეიძლება, არც უმაგისობა იყოს. მაგრამ ამგვარმა ინსტრუმენტა-

¹ მიხეილ სააკაშვილი სხვაზე ხშირად გამხდარა ასეთი კრიტიკის ობიექტი, თუმცა ანტირუსულ კარტს სხვა პოლიტიკოსებიც ათამაშებდნენ. იხ., მაგ., G. Khelashvili, 'Georgia's Foreign Policy Impasse: Is Consensus Crumbling?' - PONARS Eurasia Policy Memo No. 187, September 2011, www.ponarseurasia.org/sites/default/files/policy-memospdf/pepm_187.pdf.

ლიზაცია მკვლევარს ვადით რომც იმუშაოს, რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების სარგებელი ხალხისთვის მეტისმეტად აშკარაა; ასე რომ, ნებისმიერი მთავრობა, რომელიც ამ მიზანს მიაღწევს, არა მხოლოდ თავისი ქვეყნის ინტერესებს წასწევს წინ, არამედ მნიშვნელოვან საშინაო სარგებელსაც მოიმკის.

ამან შესაძლოა ახსნას საქართველოს რუსეთის მიმართ პოლიტიკის თვალშისაცემი ციკლური თავისებურება. ნებისმიერი ახალი მთავრობა წინამორბედს ქართულ-რუსული ურთიერთობების არასაჭიროდ გაუარესებაში ადანაშაულებდა და პირობას დებდა, რომ მათი მოგვარების გზებს იპოვიდა. თუმცა, თითოეულ შემთხვევაში, თავდაპირველი დაახლოება იმედგაცრუებით და პერიოდული კრიზისებით მთავრდებოდა. ედუარდ შევარდნაძის მმართველობა (1992-2003)¹ ამის მკაფიო მაგალითია. როდესაც ის, წინამორბედის წინააღმდეგ სისხლიანი გადატრიალების შემდეგ, საქართველოში დააბრუნეს, მას ჰქონდა იმ კაცის იმიჯი, ვისაც რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაც შეეძლო (ის ხომ მოსკოვიდან დაბრუნდა, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო და რუსულ პოლიტიკურ ელიტასთან ახლო კავშირები დაამყარა), ასევე, დასავლეთის მხარდაჭერის მოზიდვაც (მას აქაც, გერმანიის გაერთიანებასა და აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა გარე იმპერიის დაშლაში თავისი როლის წყალობით, შესანიშნავი კავშირები და დემოკრატი რეფორმატორის იმიჯი ჰქონდა). თავდაპირველად, შევარდნაძე რუსეთთან ურთიერთობებისთვის პრიორიტეტის მინიჭებას გაუბრუნდა, რადგან გამსახურდიას მომხრეები რუსეთის დამქაშად წარმოადგენდნენ, მაგრამ მასაც და მის ბევრ მომხრესაც სწამდა, რომ საქართველოს ბედი, განსაკუთრებით უკვე მიმდინარე ძალადობრივი ტერიტორიული კონფლიქტების შედეგი, რუ-

¹ 1992-95 წლებში შევარდნაძე პარლამენტის თავმჯდომარის და სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობებს იკავებდა, შემდეგ კი პრეზიდენტი გახდა.

სეთის კეთილი ნების მოპოვებაზე იყო დამოკიდებული. ამგვარ მიდგომას, სავარაუდოდ, დასავლელი პარტნიორებიც წახალისებდნენ, რადგან ელცინის პრეზიდენტობის ადრეული წლები რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობებში ოქროს ხანად იქცა. დასავლეთში ფართოდ გავრცელებული აზრით, დემოკრატიის გზაზე შემდგარი რუსეთი საიმედო მოკავშირედ უნდა ქცეულიყო. აქედან გამომდინარე, რუსეთის ახალი დემოკრატიული მთავრობის სტაბილიზაცია პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ დასავლეთის პოლიტიკის მყარ პრიორიტეტს შეადგენდა. დასავლეთი ახალი პატარა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების კონსოლიდაციასაც უჭერდა მხარს, ოღონდ არა რუსეთთან ურთიერთობების გაფუჭების ხარჯზე (ან მას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ეს შესაძლებელია).

შედეგად, 1990-იანების პირველი ნახევარი ალბათ საუკეთესო, ან ყველაზე ნაკლებად ცუდი, პერიოდი იყო ქართულ-რუსულ ურთიერთობებში, მაგრამ კარგი მაინც ვერ ეთქმოდა, რადგან საქართველო საკმაოდ ღიად სდებდა ბრალს რუსეთს იმაში, რომ მის შიდა კონფლიქტებში სეპარატისტების მხარეს იდგა და გადამწყვეტი როლი ითამაშა იმაში, რომ საქართველომ ეს ტერიტორიები დაკარგა. თუმცა, ამ პერიოდში კომენტატორები იმაზეც თანხმდებოდნენ, რომ რუსეთის „ახლო საზღვარგარეთის“ მიმართ პოლიტიკას რომელიმე ერთი ცენტრი არ განსაზღვრავდა; პოპულარული იყო საუბარი „ორ რუსეთზე“: კარგ, დემოკრატიულ რუსეთს ელცინი და მისი მხარდამჭერები წარმოადგენდნენ, ხოლო ცუდ რუსეთს რეფორმების კონსერვატორი მტრები შეადგენდნენ, თუნდაც ელცინისავე მთავრობის შიგნით.¹

ამ ფონზე საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა თავის ჩრდილოელ მეზობელთან დასაახლოებლად. თუმცა

¹ იხ. ამაზე R. Koiava, E. Baghaturia and Y. Nikitina, *Georgia and Russia: Bilateral View on the Quarter Century Relations*, Research Report (Tbilisi: Caucasian House, 2017), p. 13.

თავიდან უარს ამბობდა რუსეთის წინამძღოლობით არსებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) შესვლაზე, 1993 წლის ოქტომბერში, როცა აფხაზეთის ომი ახალი წაგებული ჰქონდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში ყოფილი პრეზიდენტის მომხრეების აჯანყება მიმდინარეობდა, საქართველო რუსულ ზენოლას დანებდა და ორგანიზაციას შეუერთდა. რაც უფრო მნიშვნელოვანია, 1994 წელს ის შევიდა რუსეთის ხელმძღვანელობით არსებულ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში, 1995 წელს კი ხელი მოაწერა შეთანხმებას საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების განთავსებაზე. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველომ „მიტმასნების“ სტრატეგიული არჩევანი გააკეთა, ანუ გადაწყვიტა, რუსეთისგან მომავალი საფრთხეები ორმხრივ ურთიერთობებში ამ უკანასკნელის დომინანტური პოზიციის გაფორმებით შეემცირებინა.¹

თუმცა, ამ გადაწყვეტილებას დიდი დღე არ ეწერა. დამობების სანაცვლოდ, საქართველო ხელშესახებ სარგებელს მოელოდა ეკონომიკისა და უსაფრთხოების დარგში, მაგრამ იმედები არ გაუმართლდა. უფრო ზუსტად, თავდაპირველად, უშუალოდ დსთ-ში შესვლის გადაწყვეტილების მიღებისთანავე, შევარდნაძემ გარკვეული მხარდაჭერა მართლაც მიიღო. 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, როდესაც, აფხაზეთში საქართველოს დამარცხების შემდეგ, მისი მთავრობა დამხობილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მიერ დასავლეთ საქართველოში წამოწყებულ სამხედრო ამბოხებას უნდა გამკლავებოდა, რუსეთის მხრიდან სამხედრო მხარდაჭერის დემონსტრირებამ (მისი შავი ზღვის ფლოტის გემის ფოთში გაგზავნამ), შესაძლოა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამბოხებულთა დამარცხებაში. მაგრამ საქართველომ ვერ მიიღო ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც მოელოდა - რუსეთის დახმა-

¹ H. Frazer, *A Case of Bandwagoning? Georgian Foreign Policy and Relations with Russia* (University of Oxford. MPhil in International Relations, 1997).

რება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. საქართველოში რუსული ბაზების განთავსების შესახებ ხელშეკრულების თავდაპირველი ვერსია შეიცავდა დამატებას, რომლის თანახმად შეთანხმება ძალაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ შევიდოდა. ამ მიმართულებით რაიმე პროგრესი მიღწეული არ ყოფილა. არც ეკონომიკური სარგებლის მოლოდინი განხორციელდა: დისფუნქციური რუსული ეკონომიკა საქართველოსთვის მისაბაძი ნიმუში და მაგნიტი ვერ გახდებოდა.

ამის გამო, თანდათანობით, პატარ-პატარა ნაბიჯებით, შევარდნაძის საქართველომ საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთისკენ გადახარა.¹ ამ ცვლილებას რამდენიმე გამოხატულება ჰქონდა: 1999 წელს, საქართველომ დატოვა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია და, იმავე წელს, ეუთოს სტამბოლის სამიტზე მიღებული შეთანხმების საფუძველზე, მის ტერიტორიაზე განთავსებული რუსული სამხედრო ბაზების დემონტაჟის პროცესი წამოიწყო.² ჩეჩნეთის პირველი, 1994-96 წლების ომისგან განსხვავებით, როდესაც თბილისი ცალსახად უჭერდა მხარს რუსეთის ოფიციალურ პოზიციას, მეორე, 1999 წელს დაწყებულ ომში მან ნელთბილი ან ნეიტრალური პოზიცია დაიკავა და კონფლიქტის ზონიდან ჩეჩენი ლტოლვილებიც კი მიიღო პანკისის ხეობაში. რუსეთმა საქართველოს ტერორისტების მფარველობაში დასდო ბრალი. საქართველომ ნატოსთან თანამშრომლობა გაზარდა და 2002 წლის პრალის სამიტზე ორგანიზაციაში განწევრიანების თაობაზე ოფიციალური განაცხადი გააკეთა.

¹ შევარდნაძის საგარეო პოლიტიკის ევოლუციაზე საუკეთესო წყარო ხანგრძლივი დროის განმავლობაში მისი საგარეო-პოლიტიკური მრჩევლის მოგონებებია: იხ. გელა ჩარკვიანი, „ნაცნობ ქიმერათა ფერხული“, თბილისი, ინტელექტი, 2016.

² პროცესი დასრულდა მხოლოდ 2006 წელს, როდესაც საქართველოს ტერიტორიიდან გავიდა რუსეთის ბოლო სამხედრო ბაზები აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში (გასაგები მიზეზებით, აფხაზეთში არსებული ბაზა დარჩა).

ყოველივე ამან რუსეთთან ურთიერთობები მკვეთრად გააუარესა, რამაც კრიზისულ წერტილს პანკისის საკითხზე მიაღწია.¹

მიხეილ სააკაშვილმა, აშშ-ში განათლებამიღებულმა იურისტმა, რომელიც 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოვიდა ხელისუფლებაში, ხალხს თავი, უმეტესწილად, მკვეთრად ანტირუსული განწყობით დაამახსოვრა, რის გამოც მას ხანდახან, ნაწილობრივ მაინც, პასუხისმგებლობას აკისრებენ 2008 წელს რუსეთთან სამხედრო კონფლიქტისთვის. თუმცა, ბევრს არ ახსოვს, რომ თავდაპირველად იგი მკაცრად აკრიტიკებდა თავის წინამორბედს რუსეთთან სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ურთიერთობის კრიზისში შეყვანისთვის და თავად პუტინთან საერთო ენის გამონახვის პირობას დებდა.² სააკაშვილმა იმით დაიწყო, რომ „პუტინს ხელი გაუწოდა“ და სცადა მისი გულის მოგება რუსული ბიზნესებისთვის კარის გაღებით და ქვეყანაში მყოფი ჩეჩენი მებრძოლების შევიწროებით.³ სანაცვლოდ ის ელოდა, რომ რუსეთი ხელს არ შეუშლიდა საქართველოს მცდელობებს, თავისი ტერიტორიული კონფლიქტები გადაეჭრა და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე წინ წასულიყო. როგორც შევარდნაძის შემთხვევაში, სააკაშვილის მთავრობამ გარკვეული სანცისი სარგებელი მიიღო: რუსეთს ხელი არ შეუშლია აჭარის

¹ რუსეთი პანკისის სიტუაციას მისთვის საფრთხედ განიხილავდა და საქართველოზე ზეწოლას ახდენდა, რათა მას რუსეთის ჯარები ხეობაში შეეშვა და იქ „წესრიგი დაემყარებინა“. საქართველომ ამაზე უარი განაცხადა, სამაგიეროდ მიიღო დახმარება ამერიკის შეერთებული შტატებისგან „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის სახით. ამის შემდეგ პანკისის სიტუაციამ ნორმალიზაცია დაიწყო, მაგრამ რუსეთი მეტად გააბრაზა მის სამხრეთ საზღვრებთან აშშ-ის სამხედროების გამოჩენამ. იხ. J. Devdariani and B. Hancilova, *Georgia's Pankisi Gorge: Russian, US and European Connections*, Centre for European Policy Studies (CEPS), Brussels, Policy Brief No. 23, June 2002.

² S. Lambroschini, 'Georgia: Russia Watches Warily as Saakashvili Comes to Power', *RFE/RL*, 06.01.2004, www.rferl.org/a/1051076.html.

³ სივილ ჯორჯია, „საკაშვილი „ვაჰაბიზმის საფრთხის“ გამო შეშფოთებას გამოთქვამს“, 19.02.2004 <https://civil.ge/ka/archives/131612>.

ავტონომიური რესპუბლიკის ავტოკრატი და ღიად პრორუსი ლიდერის, ასლან აბაშიძის გაძევებისთვის, თუმცა იქ სამხედრო ბაზა ჰქონდა.¹ საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი იყო ორმხრივ ურთიერთობებში, რომელიც ვერ მიიღწეოდა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის რალაც ელემენტის გარეშე.²

ამჯერად თავლობის თვე კიდევ უფრო ხანმოკლე გამოდგა, ვიდრე შევარდნაძის შემთხვევაში. მთელი ეს ამბავი კარგადაა ცნობილი და გრძლად აღარ მოგყვები. ურთიერთობის გაფუჭება დაიწყო 2004 წლის ივლის-აგვისტოში, როდესაც საქართველომ სამხრეთ ოსეთზე კონტროლის აღდგენა სცადა³ და პიკს 2008 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედრო ინტერვენციით მიაღწია. ბევრი კომენტატორის აზრით, კონფლიქტის ძირეული მიზეზი გახდა საქართველოს პროგრესი ნატოსთან ურთიერთობებში და 2008 წლის აპრილის ბუქარესტის სამიტის ბუნდოვანი გადანყვეტილება, როდესაც საქართველოს წევრობის სამოქმედო გეგმა არ მისცეს, თუმცა, ზოგადად დაპირდნენ სამომავლო განევრიანებას კონკრეტული ვადის განსაზღვრის გარეშე.⁴ სააკაშვილის მმართველობის ბოლო პერიოდში (2012 წლის ოქტომბრამდე)⁵ რუსეთთან ურთიერთობები უაღრესად დაბალ ნიშნულზე გაიყინა. 2008 წლის ომის შემდეგ საქართველომ მეზობელთან დიპლომატიური ურთიერთობა

¹ *The Economist*, 'The President of Georgia Wins His Standoff in Adjara', 06.05.2004, www.economist.com/node/2652962.

² K. Kakachia, 'End of Russian Military Bases in Georgia: Social, Political and Security Implications of Withdrawal', *Central Asia and the Caucasus*, 50:2 (2008).

³ J-C. Peuch, 'Russia Weighs in as Fighting Continues in South Ossetia', *RFE/RL*, 19.08.2004, www.rferl.org/a/1054397.html.

⁴ ასმუსი, „მცირე ომი...“.

⁵ სააკაშვილი კიდევ ერთ წელს, 2013 წლის ოქტომბრამდე, დარჩა პრეზიდენტად, მაგრამ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მისი პარტიის დამარცხების შემდეგ აღარ იყენებდა ქმედით ბერკეტებს საქართველოს პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად.

განყვიტა და მას, როგორც ნესი, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში „ოკუპანტ ძალად“ მოიხსენიებდა.

მის შემდეგ მოსულმა „ქართული ოცნების“ მთავრობამ, რომელიც პოლიტიკაში წასულმა ქართველმა მილიარდერმა, ბიძინა ივანიშვილმა შექმნა (თავიდან ასე ერქვა პარტიასაც და პარტიათა კოალიციასაც) მსგავსი გზავნილით დაიწყო. მან ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუარესება, რამაც აგვისტოს ომი მოიტანა, სააკაშვილის მთავრობის, მისი აზრით, უპასუხისმგებლო პოლიტიკას დააბრალა. ისიც ამომრჩეველს ამ ურთიერთობების დალაგებას დაპირდა. ეს, შესაძლოა, წინასაარჩევნო კამპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი დაპირება იყო¹ და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის გამარჯვებაში, რადგან ბევრ ამომრჩეველს ეშინოდა, რომ სააკაშვილის უკომპრომისო პოზიცია ჩრდილოელი მეზობლის მიმართ შემდგომ ქართულებს გამოიწვევდა. „ქართულმა ოცნებამ“ მნიშვნელოვნად შეარბილა საქართველოს ანტირუსული რიტორიკა და რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში სპეციალური წარმომადგენლის პოზიცია შექმნა, რომელიც გამოცდილ დიპლომატს, ზურაბ აბაშიძეს მიანდო.² შედეგად შეიქმნა ე.წ კარასინი-აბაშიძის ფორმატი, ანუ შეხვედრების სერია აბაშიძესა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გრიგორი კარასინს შორის. ახალი ქართული მთავრობის რიტორიკა უკიდურესად ფრთხილია, რათა რუსეთის რისხვა არ გამოიწვიოს. მაგალითად, 2014 წელს უკრაინასა და რუსეთს შორის კონფლიქტში მან თავი შეიკავა უკრაინისთვის სოლიდარობის გამოხატვისგან, მიუხედავად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან აშკარა მსგავსებისა. თუმცა, საქართველოს მაინც არ აღუდგენია რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა და ამ საკითხზე ინარჩუნებს წინამორბედის პოზიციას, რომ რაკი

¹ I. Haindrava (ed) *Georgian-Russian Relations: Old Difficulties and New Possibilities* (Tbilisi: Caucasian House, 2013), გვ. 38.

² „ივანიშვილი: რუსეთთან ურთიერთობებს 'ვინცებთ ახალი ფურცლით'“, 01.11.2012, <https://old.civil.ge/geo/article.php?id=26167>.

რუსეთს უკვე გააჩნია ორი საელჩო საქართველოში (სოხუმსა და ცხინვალში), მესამის გახსნა შეუძლებელია. საქართველო რუსეთს კვლავ „ოკუპანტ ძალად“ მოიხსენიებს, თუმცა ამ ტერმინს ისე ხშირად აღარ იყენებს. ზურაბ აბაშიძის მანდატი მხოლოდ რუსეთთან ეკონომიკური და ჰუმანიტარული თანამშრომლობის განხილვას გულისხმობს. ყველაზე დიდი სარგებელი, რაც საქართველომ ამ ფორმატიდან მიიღო, ქართული სოფლის მეურნეობის ნაწარმის რუსეთში ექსპორტზე ბლოკადის მოხსნა იყო. ქვეყანაში რუსული ტურიზმიც მკვეთრად გაიზარდა - თუმცა ეს ტენდენცია დაიწყო ჯერ კიდევ სააკაშვილის მთავრობის დროს, მას შემდეგ რაც მან ცალმხრივად გააუქმა სავიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისთვის (რუსეთში მიმავალი ქართველები მსგავსი პრივილეგიით არ სარგებლობენ).¹

ქართულ-რუსული ურთიერთობების შემდგომი გაუმჯობესების ხელშესახები ნიშნები ჯერჯერობით არ ჩანს.² ვერც იმგვარ გაუარესებაზე ვისაუბრებთ, რაც შევარდნაძის და სააკაშვილის პერიოდებში მოხდა, თუმცა ზოგად დინამიკას დადებითსაც ვერ ვუწოდებთ. 2018 წლის მარტში, რამდენიმე ეპიზოდის პასუხად, როდესაც საქართველოს მოქალაქეები დააკავეს ან ზოგ შემთხვევაში მოკლეს დე ფაქტო სახელმწიფოებსა და საქართველოს ძირითად ნაწილს შორის არსებული „სავიზო რეჟიმის“ დარღვევების გამო, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ოთხობორონა-ტატუნაშვილის სიის“ შესახებ. ის მთავრობას ავალდებულებს, შავ სიაში შეიყვანოს რუსეთის, ისევე როგორც აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობების წარმომადგენლები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეების მკვლელო-

¹ T. Romanova, 'Economic Links of Russia and Georgia and their Potential for Improving Bilateral Relations', in Georgia and Russia: In Search of Ways for Normalization (Tbilisi: Georgian Foundation for Strategic and International Studies, 2017), pp. 31-8.

² S.N. MacFarlane, 'Two Years of the Dream: Georgian Foreign Policy during the Transition', Chatham House Russia and Eurasia Program, May 2015.

ბაში, გატაცებაში, წამებასა და მათდამი ცუდად მოპყრობაში მონაწილეობენ.¹ გაერთიანებულ სამეფოში რუსეთის უშიშროების ყოფილი მუშაკისა და მისი ქალიშვილის მონამვლის შემდეგ, საქართველომ სოლიდარობის ნიშნად საქართველოში შვეიცარიის საელჩოსთან არსებული რუსული სექციიდან ერთი რუსი დიპლომატი გააძევა.²

ეს არ ნიშნავს, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობები განწინვით იმავე ნიშნულამდე ჩამოვიდეს, როგორც ეს შევარდნაძისა და სააკაშვილის პერიოდში იყო. როგორც ჩანს, „ქართული ოცნების“ მთავრობა თავის წინამორბედებზე მეტად არის მოწადინებული, რომ ეს თავიდან აიცილოს და ორმხრივ ურთიერთობებს მეტ პრიორიტეტს ანიჭებს. მაგრამ ის ფაქტი, რომ, მიუხედავად გამოკვეთილი სურვილისა, მთავრობამ საგრძნობ პროგრესს მაინც ვერ მიაღწია, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ: სანამ საქართველოს ნებისმიერი ხელი-სუფლება ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ტრადიციულ პოლიტიკას ინარჩუნებს, ქართულ-რუსულ ურთიერთობებს არსებითი გაუმჯობესება არ უნერია.

¹ ჯემნიუსი, 'საქართველოს პარლამენტმა „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია“ მიიღო. რას ნიშნავს ეს და როგორ იმუშავებს?' 22.03.2018, <https://jam-news.net/ge/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A2/>.

² დიპლომატიური ურთიერთობების განყვეტის შემდეგ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობათა ფასილიტატორის როლი შვეიცარიამ იკისრა. მან თავის მოსკოვისა და თბილისის საელჩოებში გახსნა სექციები, სადაც, შესაბამისად, ქართველი და რუსი დიპლომატების შეზღუდული რაოდენობა მუშაობს. ჯემნიუსი, 'საქართველო რუს დიპლომატს აძევებს', 29.03.2018, <https://jam-news.net/ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A1/>.

ალტერნატივები და პერსპექტივები

განწირულია თუ არა ქართულ-რუსული ურთიერთობები მუდმივი ანტაგონიზმისთვის? რა შეიძლება მოხდეს ისეთი, რაც ვითარებას არსებითად შეცვლის? თუ ასეთი რამ მოსალოდნელი არ არის, არსებულ ვითარებაში, როგორ უნდა იმოქმედოს საქართველომ მისი ყველაზე გავლენიანი მეზობლის მიმართ? იმედი მაქვს, ცხადად ვაჩვენე, რომ კონფლიქტის ძირითადი მიზეზებია საქართველოს თანმიმდევრულად პროდასავლური კურსი, დასავლეთის მიერ ამგვარი პოლიტიკის ნახალისება (თუნდაც ფრთხილი და, ხშირად, ნახევრული) და რუსეთის მხრიდან ამის მიუღებლობა. რამე რომ შეიცვალოს, სამკუთხედის სულ მცირე ერთმა მხარემ თავისი პოლიტიკა და მიდგომები არსებითად უნდა შეცვალოს. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რა სცენარები არსებობს მცირე სამკუთხედში, ანუ საქართველოს ტერიტორიულ კონფლიქტებთან დაკავშირებით.

ჰიპოთეტურად, საქართველომ ორი აზრით შეიძლება შეცვალოს თავისი პოზიცია. პირველია ტერიტორიული კონფლიქტები. რამდენად შესაძლებელია, ქვეყანამ ერთხელაც გადაწყვიტოს, რომ რაც დაკარგულია, დაკარგულია, და „ახალ რეალობებთან“ შევეგუების, ანუ განდგომილი პროვინციების დამოუკიდებლობის აღიარების დროა? რუსეთი ამისკენ ღიად მოუწოდებს; ვერ გამოვრიცხავთ, რომ ზოგი დასავლელი მეგობარიც არაფორმალურად მსგავს რჩევას იძლეოდეს.

ამ დროისთვის არსებითად წარმოუდგენელია, საქართველომ ამგვარად შეცვალოს კურსი და ეს ვარიანტი არც არასოდეს განხილულა. ეს ვერ შეცვალა ვერც 2008 წლის აგვისტოს ომმა და ვერც იმის ცხადად დანახვამ, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა მეტად შორეულია. არ არსებობს თუნდაც მცირე გავლენის მქონე პოლიტიკური პარტია ან სამოქალაქო ორგანიზაცია, რომელიც კონფლიქტის გადაჭრის გზად სეპარატისტული რეგიონების აღიარებას ხედავ-

დეს. ეს საერთაშორისო პოლიტიკაში ექსტრაორდინარული პრეცედენტი იქნებოდა. თუმცა „ქართული ოცნება“ მკაცრად აკრიტიკებს მისი წინამორბედის პოლიტიკას ტერიტორიულ კონფლიქტებთან მიმართებით, ის, ფაქტობრივად, იმავე კურსს მიყვება.¹

შეგვიძლია, აგრეთვე, წარმოვისახოთ საზოგადოებრივი განწყობის ისეთი ფუნდამენტური ცვლილება, რაც შესაძლებელს გახდიდა ამ სფეროში მნიშვნელოვანი დათმობების განხილვას. მაგრამ ასეთ დათმობაზე წასვლის სანაცვლოდ ქვეყანა ძალიან დიდ და ხელშესახებ სარგებელს უნდა ელოდოს - ასეთი რამ კი არ ჩანს. თუკი მართალია, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოს პროდასავლური პოლიტიკის მიუღებლობაა დაძაბულობის მთავარი მიზეზი, ამ მომენტისთვის არ არსებობს გარანტია, რომ ტერიტორიული კონფლიქტებისადმი დამოკიდებულების დრამატულად შეცვლაც კი არსებითად გააუმჯობესებდა საქართველოს რუსეთთან ურთიერთობებს.

კიდევ ერთი ფუნდამენტური შემობრუნება საქართველოს პოლიტიკაში იქნებოდა პროდასავლურ პოლიტიკაზე უარის თქმა ნეიტრალიტეტის ან რუსეთის წინამძღოლობით არსებულ ევრაზიულ კავშირთან პირდაპირი ასოცირების სასარგებლოდ. თუმცა დაკარგული ტერიტორიების აღიარების განხილვა ტაბუდ რჩება, არსებობს პოლიტიკური, სამოქალაქო და მედია ორგანიზაციების მზარდი ფრთა, რომელიც პოლიტიკის მსგავს ცვლილებას მხარს უჭერს. ზოგი მათგანი ეწინააღმდეგება როგორც ევროპულ, ასევე ევროატლანტიკურ ინტეგრაციას; ზოგი მხოლოდ ნატოში გაწევრიანების პოლიტიკას თვლის საზიანოდ. ამგვარ ჯგუფთა რიცხვი გაიზარდა 2008 წლის ომის შემდეგ; ეს შეიძლება ავსხნათ იმ წარმოდგენით, რომ დასავლეთი არასაკმარისად დაეხმარა საქართველოს რუ-

¹ ეს მოსაზრება უფრო დაწვრილებით განვიხილე აქ: 'Rhetoric for substance? GD's Abkhazia, S. Ossetia Policy Five Years On', Civil Georgia, 11 September 2017, www.civil.ge/eng/article.php?id=30429.

სული აგრესიის წინაშე, ისევე იმით, რომ რუსეთი ყველგან, მათ შორის საქართველოშიც, ბევრად უფრო ღიად უჭერს მხარს ანტიდასავლურ პოპულისტურ ძალებს.¹ ანტიდასავლურ ძალთა არგუმენტები უკავშირდება როგორც უსაფრთხოებას (მათი აზრით, დასავლური ორიენტაციის არჩევით საქართველომ ტყუილუბრალოდ გაიფუჭა ურთიერთობა რუსეთთან, თუმცა დასავლეთისგან საკმარის მხარდაჭერას მაინც ვერ იღებს), ასევე კულტურას. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ამბობენ, რომ ვესტერნიზაცია ამორალურობას (კერძოდ, ჰომოსექსუალობას) წაახალისებს და ამით ძირს უთხრის ქართულ იდენტობას, ხოლო ერთმორწმუნე რუსეთს ყველაზე მეტად შეუძლია, საქართველო ამ მავნე ზეგავლენისაგან დაიცვას.

აქტიურმა პოპულისტურმა პროპაგანდამ გარკვეული შედეგი გამოიღო. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, „პატრიოტთა ალიანსი“ პირველი პოპულისტური ანტიდასავლური ძალა გახდა, რომელმაც ბარიერი გადალახა და პარლამენტში შევიდა - თუმცა, მხოლოდ 5 პროცენტის მხარდაჭერით. ზოგიერთი ბოლო კვლევის თანახმად, საქართველოს ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში განეწვერიანების მომხრეთა რაოდენობა ახლა უკვე 20%-ზე მეტია (ზოგ კვლევაში კი 25% აღწევს).² ევროპული საქართველოს იდეის ერთგულ ადამიანებს ეს ცვლილებები სერიოზულად ანუხებთ. თუმცა, ამ ტენდენციას კრიტიკული ნიშნულისთვის ჯერჯერობით არ მიუღწევია. ევროკავშირსა და NATO-ში ინტეგრაციის მხარდაჭერა კვლავაც მაღალი რჩება - იმავე კვლევების თანახმად, იგი 60-70% მიდა-

¹ ლ. ტულუში (რედ.), „რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში“, თბილისი, ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია, 2016; ნ. ძველიშვილი და თ. კუბრეიშვილი, რუსეთის გავლენა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე, თბილისი, 2015, <https://idfi.ge/public/upload/Meri/Russian%20Influence%20on%20NGOs%20and%20Media.pdf>.

² L. Thornton and K. Turmanidze, Public Attitudes in Georgia: Results of an April 2017 Survey Carried out for NDI by CRRC Georgia, www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll_june%202017_ISSUES_ENG_VF.pdf.

მოებშია. შიშები, რომ 1990-იანების რუსეთში გამდიდრებული ივანიშვილის შექმნილი პარტია საქართველოს პოლიტიკურ კურსს შეცვლიდა, არ გამართლდა. პოლიტიკური ელიტის დიდი უმრავლესობა პროდასავლური კურსის ერთგული რჩება. ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი განწყობები ან საქართველოს პოლიტიკა არც მომავალში შეიცვლება - დღეს მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ჯერჯერობით ისინი საკმაოდ სტაბილურია.

რა შეგვიძლია ვთქვათ სამკუთხედის დანარჩენ ორ მხარეზე? მაგალითად, რამდენად მოსალოდნელია, რომ ვლადიმერ პუტინის წასვლის შემდეგ რუსეთის პოლიტიკა ფუნდამენტურად შეიცვლება? ვერც ამას გამოვრიცხავთ, თუმცა დასავლეთის მტრად აღქმა ფესვგადგმულია რუსულ პოლიტიკურ ელიტასა და საზოგადოებაში და ყველა მეტ-ნაკლებად გავლენიანი პოლიტიკური ჯგუფი მას იზიარებს. კიდევ უფრო ძნელად წარმოსადგენია, პუტინის რომელიმე მემკვიდრემ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება უკან წაიღოს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოსა და დასავლეთის მიმართ რუსეთის პოლიტიკის არსებით ცვლილებას ნაკლებად უნდა ველოდოთ.

ბოლო ჰიპოთეტური სცენარი გულისხმობს დასავლეთის მიერ ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის მხარდაჭერაზე უარის თქმას და მდუმარე თანხმობას რუსეთის ხედვაზე, რომლის თანახმადაც მსოფლიო გავლენის ზონებად უნდა დაიყოს, სადაც საქართველო რუსეთს ერგება წილად. საქართველოს მსგავს პატარა სახელმწიფოებს მუდამ აქვთ იმის შიში, რომ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები ერთმანეთს გაურიგდებიან და მათ ხურდაში გადააყოლებენ. როგორც ზევით ვთქვი, აშშ-ში დონალდ ტრამპის არჩევამ და ევროპაში მემარჯვენე და მემარცხენე პოპულისტური პარტიების გაძლიერებამ, რომლებიც ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის ფუნდამენტურ პრინციპებს სკეპტიკურად უყურებენ, ამ უკანასკნელის მდგრადობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ამ შემთხვევაში სა-

ქართველთა შესაძლოა დაკარგოს დასავლური მხარდაჭერის არსებული დონე, რაც მას საშუალებას აძლევდა საკმარისად დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა.

ისევ და ისევ, ვერაფერს გამოვრიცხავთ, თუმცა შიშები შესაძლოა გადაჭარბებული აღმოჩნდეს. რუსეთისადმი ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკა მოსალოდნელზე ხისტი გამოდგა და საქართველომ მეტი მხარდაჭერა მიიღო უსაფრთხოების სფეროში, ვიდრე ობამას ადმინისტრაციის დროს: ამის კონკრეტული მაგალითია საქართველოსთვის ჯაველინის რაკეტების მიყიდვა.¹ თუმცა, ევროპის არაერთ ქვეყანაში პოპულისტურმა ანტიელიტურმა პარტიებმა (რომელთაც, ხანდახან, პუტინის რუსეთის მიმართ სიმპათიაც ახასიათებთ) გავლენა აიმაღლეს, ამას რუსეთისადმი დამოკიდებულებაში რაიმე ფუნდამენტური ცვლილება არ მოჰყოლია (როგორც იქნებოდა, ვთქვათ, მისთვის სანქციების მოხსნა). ეჭვგარეშეა, რომ საერთაშორისო წესრიგი კიდევ უფრო მყიფე და არანინანსარმეტყველებადი გახდა, მაგრამ ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგზე წარსულ დროში საუბარი ჯერ კიდევ ძალიან ადრეა. როგორც ზევით აღვნიშნე, ჯო ბაიდენის გამარჯვება გაზრდის აშშ-ის მხარდაჭერას წესებზე დამყარებული საერთაშორისო წესრიგის მიმართ.

აქედან გამომდინარე, ამ მომენტისთვის საქართველოს არ გააჩნია სპეციფიკური მოტივი, რუსეთის მიმართ პოლიტიკა შეცვალოს. მას ბევრი სიმწარე ახსოვს რუსეთთან ცუდი ურთიერთობის გამო: მან ტერიტორიის 20 პროცენტი დაკარგა, ის იმყოფება არასტაბილურ რეგიონში და ესაზღვრება არაპროგნოზირებად რუსეთს (და სულ უფრო არაპროგნოზირებად თურქეთსაც). ამ ვითარებას ვერ ჩავთვლით ხელსაყრელად

¹ 'Pence Conveys US Support for Georgia in Visit to Tbilisi', RFE/RL, 01.08.2017, www.rferl.org/a/pence-us-baltic-nations-georgia/28651230.html; J. LaPorta, 'State Dept. approves potential Javelin missile sale to Georgia', UPI, 21.11. 2017, www.upi.com/State-Dept-approves-potential-Javelin-missile-sale-to-Georgia/-8371511279229/.

ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, ან მისი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისთვის. თუმცა, შესაძლებელია იმავე ვითარებას პოზიტიური მხრიდანაც შევხედოთ: საქართველო არა მხოლოდ გადაურჩა ამ და სხვა განსაცდელს, არამედ ბევრი მიმართულებით პროგრესიც განიცადა და შედარებით სტაბილურ და ნარმატივულ ქვეყნად ჩამოყალიბდა. მაშ, რატომ უნდა გადაუხვიოს მან არჩეულ გეზს?

თავი 11

აშშ-საქართველოს ურთიერთობები: კონსტრუქციული თანამშრომლობის მაგალითი

მამუკა წერეთელი

ამერიკის შეეერთებული შტატებისა და საქართველოს ურთიერთობა საქართველოს მიერ 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დიდ და პატარა სახელმწიფოებს შორის პარტნიორობის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს. ის მნიშვნელოვნად განპირობებულია საერთო ინტერესებით, ისტორიული გეოპოლიტიკური კონტექსტით, სტრატეგიული პრიორიტეტებით, შიდა პოლიტიკური დღის წესრიგითა და ძლიერი პოლიტიკური ფიგურებით. ამ მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე, საქართველომ მოახერხა იმაზე მეტი ყურადღება მოეპოვებინა ვაშინგტონისგან, ვიდრე ეს ბევრმა სხვა, უფრო დიდმა და, შესაძლოა, სტრატეგიულად უფრო მნიშვნელოვანმა ქვეყანამ შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებრივ დონეზე ურთიერთობა წარსულში არ არსებობდა, ქართველებსა და ამერიკელებს შორის საქართველოს დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვებამდე მნიშვნელოვანი კავშირები მაინც არსებობდა. პირველი საჯაროდ ცნობილი ფაქტი, რომელმაც ქართველებს ამერიკა გააცნო მეცხრამეტე საუკუნით თარიღდება, როდესაც ცხენოსნები დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხიდან, გურიიდან, ბუფალო ბილის ველური დასავლეთის შოუში მონაწილეობისთვის მიიწვიეს და მათთან ერთად ამერიკის სხვადასხვა შტატებში იმოგზაურეს. გურულები ამერიკელ საზოგადოებას გააცნეს, როგორც კაზაკები, ანუ რუსები, თუმცა ისინი საქართველოს პირველი არაოფიციალური ელჩები იყვნენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს პირველ რესპუბლიკას შორის, 1918-21 წლებში, საკმაოდ შეზღუდული პოლიტიკური ურთიერთობები არსებობდა. აშშ-მა, მისი მოკავშირეებისგან განსხვავებით (საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო და იტალია), არ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. ამავე დროს, ამერიკული დახმარების მისია პოლკოვნიკ ჰასკელის ხელმძღვანელობით თბილისში იმყოფებოდა, მაგრამ მისია, ძირითადად, სომხეთის რესპუბლიკისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევაზე იყო ორიენტირებული. ამერიკელი კონგრესმენი უოლტერ მ. ჩენდლერი, რომელიც საქართველოს მთავრობამ აშშ-ში საქართველოს ლობირების მიზნით დაიქირავა, 1919 წელს გაემგზავრა რუსეთის ყოფილ იმპერიაში და მოუწოდა წარმომადგენელთა პალატის საფინანსო-საგადასახადო კომიტეტს მხარი დაეჭირა ესტონეთის, ლიეტუვის, ლატვიის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სუვერენიტეტისათვის. მან სთხოვა ფინანსთა მდივანს კარტერ გლასს და ამერიკის დახმარების ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ჰერბერტ ჰუვერს ფინანსური დახმარება გაეწიათ იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც პოტენციურ ბარიერს წარმოადგენდნენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ.¹ თუმცა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, მიუხედავად პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში აქტიურობისა, ვერ მოახერხა ამერიკის თუნდაც პერიფერიულ ხედვაში მოხვედრა. საერთო ჯამში, შეერთებულმა შტატებმა, ისევე როგორც სხვა დასავლურმა ძალებმა, ძალიან ცოტა რამ გააკეთეს 1921 წელს საქართველოში ბოლშევიკების შემოჭრისა და ანექსიის შესაკავებლად. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი კონტექსტი ძალიან განსხვავებულია, სამი ათწლეულის განმავლობაში დამოუკიდებელმა სახელმწიფოებრიობამ ქართველებს აჩვენა, რომ ბევრი გეოპოლიტიკური ტენდენცია, რომლებმაც 1918-21 წლებში საქარ-

¹ Five Struggling Republics, *New York Times*, 25 January 1920.

თველოს ბედი განსაზღვრეს, ჯერ კიდევ რელიევანტურია და იმსახურებს ყურადღებას.¹

საბჭოთა პერიოდში (1921-91) მოხდა ქართველებსა და ამერიკელებს შორის გარკვეული ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარება. ამერიკელმა ბიზნესმენმა და დიპლომატმა ავრილ ჰარიმანმა დასავლეთ საქართველოში, ქიათურის მანგანუმის მოპოვებაში განახორციელა ინვესტიცია. საბჭოთა მთავრობა, რომელსაც 1920-იან წლებში შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები ჰქონდა, დაინტერესებული იყო ჰარიმანის დახმარებით გაეცოცხლებინა მანგანუმის მოპოვება მაღაროებში. იყო მოსაზრება, რომ ჰარიმანს შეეძლო ხელი შეეწყო აშშ-ის მიერ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დიპლომატიურ აღიარებაში. დასავლელი ინვესტორების მიმართ „დათმობების“ პოლიტიკა, ასევე, მნიშვნელოვანი იყო ლენინის ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებისთვის, რომელიც 1921 შევიდა ძალაში. ჰარიმანმა საქართველოს მანგანუმის კომპანიაში 4 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია ჩადო და დათანხმდა გადაეხადა ფიქსირებული თანხა თითო ტონაზე როგორც საბჭოთა ხელისუფლებისთვის, ისე მაღაროების ძველი ქართველი მფლობელებისთვის. 1925 წელს, მუშაობის პირველ წელს, ჰარიმანის კომპანიამ მაღაროებიდან წარმოება 436 000 ტონიდან 772 000 ტონამდე გაზარდა. თუმცა მალევე, გლობალური ფასები დაეცა და წარმოება წამგებიანი გახდა. 1928 წელს, ჰარიმანმა საბჭოთა მთავრობასთან გამოსყიდვის ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკება დაიწყო.²

¹ ამ პერიოდის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ: Stephen F. Jones (ed.), *The Making of Modern Georgia, 1918-2012: The First Georgian Republic and its Successors* (London and New York: Routledge, 2014). On the Georgian Democratic Republic (1918-21), ასევე იხილეთ: Stephen Jones, 'Georgian Social Democracy', in Zurab Karumidze et al. (eds), *Georgia's European Ways: Political and Cultural Perspectives* ed. Zurab Karumidze et al. (Tbilisi: 2015), pp. 28-42.

² Rudy Abramson, *Spanning the Century: The Life of W. Averell Harriman, 1891-1986*, Chapter: 'Mines' (New York: William Morrow and Company, Inc. 1992).

შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირის შორის კულტურული თანამშრომლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 1948 წელს საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოში, ჯონ სტეინბეკის მოგზაურობა ფოტოგრაფ რობერტ კაპასთან ერთად. მოგზაურობის შემდეგ სტეინბეკმა გამოაქვეყნა რუსული ჟურნალი, სადაც დეტალურად იყო აღწერილი მისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები მნიშვნელოვანი აქცენტებით საქართველოზე. ეს ტექსტი რჩება ამერიკელებსათვის საქართველოს გაცნობის ერთ-ერთ საუკეთესო შესაფლად.¹ ადრეულ 1950-იან წლებში, აშშ-ის მთავრობამ დაიწყო მეტი ყურადღების დათმობა საბჭოთა კავშირში არარუსი ეთნიკური ჯგუფების მიმართ. ამერიკის ხმის პირველი ქართული მაუნყებლობა 1951 წლის 26 მაისს ჩატარდა. რადიო თავისუფლებამ ქართული მაუნყებლობა მიუხეხნიდან 1953 წელს დაიწყო. რადიო თავისუფლების ზოგიერთი ყოფილი თანამშრომელი 1977 წელს შეუერთდა პრეზიდენტ კარტერის ადმინისტრაციის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ზიგნეე ბჟეზინსკის მეთაურობით. მათ შექმნეს საბჭოთა ეროვნებების განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პოლ ჰენზი. ეს განყოფილება აქტიურად თანამშრომლობდა ძალიან გამოცდილ და

¹ ჯონ სტეინბეკი წერდა: სადაც არ უნდა წავსულიყავით რუსეთში, მოსკოვში, უკრაინაში, სტალინგრადში, საქართველოს მაგიური სახელი ყველგან ჟღერდა. ხალხი, ვინც საქართველოში იყო ნამყოფი და ისინიც კი, ვინც იქ წასვლას ალბათ ვერასდროს შეძლებდა, საქართველოს შესახებ დიდი პატივისცემით საუბრობდნენ. ისინი ქართველებს ახასიათებდნენ, როგორც სუპერადამიანებს, დიდებულ მოცეკვავეებს, მუსიკოსებს, მშრომელებს და პარტნიორებს. სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვისპირეთის ამ ქვეყანას ისინი მეორე სამოთხედ წარმოაჩენდნენ... „ ამ შესანიშნავ ქართველებში ჩვენ უფრო მეტს შევხვდით, ვიდრე გამკლავება შეგვეძლო. მათ შეეძლოთ ჩვენზე მეტი ჭამა, დალევა, ცეკვა და სიმღერა. მათ იტალიელთა ხალისი და ბურგუნდიელების ფიზიკური ენერჯია ჰქონდათ. ისინი ყველაფერს ხალისით აკეთებენ. ისინი საკმაოდ განსხვავდებოდნენ იმ რუსებისგან, რომლებსაც ჩვენ შევხვდით. ადვილი მისახვედრია, რატომ არიან ისინი ასე აღფრთოვანებული სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქეებით. ჯონ სტეინბეკი, რუსული ჟურნალი (ლონდონი: Penguin Publishing Group, 1999).

მცოდნე ექსპერტთა ჯგუფთან, რომელშიც შედიოდნენ ბილ გრიფიტსი, რიჩარდ ფაიფსი და ალექსანდერ ბენიგსენი. პარალელურად, **პენტაგონის Net Assessment-ის განყოფილებამ**, რენდ კორპორაციის ექსპერტებთან, ენდერს ვიმბუშთან და ალექს ალექსიევთან, ერთად დაიწყო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეროვნებების, მათ შორის ქართველების ინტერესების შესწავლა, რამაც მალევე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საბჭოთა რუსეთის კონცეფცია გაერთიანებული საბჭოთა ხალხების შესახებ.¹

დამოუკიდებლობის ადრეული წლები

საბჭოთა კავშირის დაშლა 1980-იან წლებში დაიწყო. ეროვნული დამოუკიდებლობის მოძრაობა საქართველოში მასობრივ მოძრაობაში გადაიზარდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარისკაცებმა, 1989 წლის 9 აპრილს, 21 მშვიდობიანი დემონსტრანტი მოკლეს. საქართველოს ეროვნული ლიდერები აშშ-ს ხედავდნენ, როგორც საბჭოთა კავშირიდან განცალკავების და საერთაშორისო აღიარების პოტენციურ მოკავშირეს. 1990 წელის 28 ოქტომბერს საბჭოთა საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები საქართველოში საბჭოთა მმართველობის დასასრულის დასაწყისი აღმოჩნდა. ხელისუფლებაში მოვიდა ზვი-

¹ ამ ჯგუფების წევრებს, მათ შორის ბუეზინსკის, მნიშვნელოვანი ინტელექტუალური გავლენა ჰქონდათ ამერიკის პოლიტიკის ფორმირებაზე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის მიმართ. ზოგიერთი მათგანი საქართველოსთან ახლოს თანამშრომლობდა და მათ დიდი წვლილი შეიტანეს აშშ-საქართველოს პარტნიორობის განვითარებაში. ენდერს ვიმბუში, ფულბრაიტის ყოფილი მკვლევარი, რომელიც საქართველოს პირველად 1976 წელს ესტუმრა, მოგვიანებით ევროპის რადიო თავისუფლების დირექტორი იყო 1986-93 წლებში. ის ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ექსპერტების ჯგუფს, რომლებიც შეეცადნენ 1992 წელს აფხაზეთის კონფლიქტში მედიაციას. 1998 წელს, ვიმბუშმა დააარსა ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭო, რომლის ვიცეპრეზიდენტიც პოლ ჰენზი იყო.

ად გამსახურდია, თავდაპირველად, როგორც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როგორც პრეზიდენტი. გამსახურდიამ, მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს პოლიტიკური ბლოკის ლიდერმა, აშშ-სთან ურთიერთობების დამყარება პრიორიტეტად გამოაცხადა. საპარლამენტო დელეგაცია და შემდეგ სამთავრობო დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებს 1991 წელს ესტუმრნენ და შეხვედრები გამართეს კაპიტოლიუმში. 1991 წლის 31 მარტს, საქართველომ საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმი ჩაატარა. ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი ამ დროს საბჭოთა კავშირის ფაქტების დამდგენი ვიზიტის ფარგლებში საქართველოში იმყოფებოდა. ის შეხვდა ზვიად გამსახურდიას და რამდენიმე რეგიონს ეწვია მოსკოვში გამგზავრებამდე.¹

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წლის 4 მარტს დამყარდა. პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ეს გადანყვეტილება პრესის განცხადებაში გააჟღერა.² 1992 წლის 23 აპრილს, თბილისში პირველად გაიხსნა ამერიკის საელჩო, სადაც დროებით საქმეთა რწმუნებულად დაინიშნა კერი კავანა. 1992 წლის სექტემბერში პირველ ელჩად დაინიშნა კენტ ბრაუნი. ამერიკის პირველი მალაღწინოსანი, რომელიც საქართველოს 1992 წლის მაისში ეწვია, ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი იყო. ის თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის წინა საღამოს ჩამოფრინდა. საქართველომ თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობა ვაშინგტონში 1993 წელს გახსნა, სადაც ელჩის მოვალეობები გაეროში საქართველოს იმდროინდელმა

¹ Dimitri Simes, 'Behind the Kremlin Doors: What Nixon Discovered', *The Washington Post*, 14 April 1991 (accessed 22 December 2019), www.washingtonpost.com/archive/opinions/1991/04/14/behind-kremlin-doors-what-nixon-discovered/f4471902-d216-4fcc-9a84-2944ab3f8058/

² US Embassy in Georgia, (accessed 22 December 2019), <https://ge.usembassy.gov/our-relationship/policy-history/>

ელჩმა პეტრე ჩხეიძემ შეითავსა. 1994 წლის მარტში, ედუარდ შევარდნაძემ, არჩეულმა სახელმწიფოს მეთაურმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი ვიზიტი გამართა. როგორც საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელსაც ჯემს ბეიკერთან პირადი მეგობრობა აკავშირებდა, ვაშინგტონის წრეებში ის დიდი პატივითა და მხარდაჭერით სარგებლობდა.

საქართველოს ლიდერის ვაშინგტონში ვიზიტი რამდენიმე მიზეზის გამო იყო მნიშვნელოვანი: ის დაეხმარა შევარდნაძეს დაემყარებინა პირადი ურთიერთობა პრეზიდენტ კლინტონთან, მისი კაბინეტის უფროს ნევრებსა და კონგრესის ლიდერებთან. შევარდნაძე, ასევე, შეხვდა გაერთიანებული შტატების მეთაურს გენერალ ჯონ შალიკაშვილს, რომელიც ამერიკის მთავრობაში მოღვაწე ყველაზე მაღალი თანამდებობის ქართული წარმომოხობის ამერიკელია. ამავე დროს, ამ ვიზიტმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ურთიერთობებს ისეთ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან, როგორცაა მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ამ ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს 1990-იან წლებში საქართველოს ეკონომიკური სტაბილიზაციის და გაძლიერების საქმეში. საქართველოს საელჩოს და ელჩს, თედო ჯაფარიძეს, დაევალა კავშირები დაემყარებინა ამერიკის მთავრობის სხვადასხვა შტოსთან, რათა გაზრდილიყო ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარება საქართველოსთვის.

1990-იანი წლების დასაწყისისთვის, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შავი და კასპიის ზღვის რეგიონში რამდენიმე ინტერესი გამოკვეთა. პირველ რიგში, ამერიკის შეერთებულ შტატებს სურდა შეენარჩუნებინა სტაბილურობა, რათა თავიდან აეცილებინა ბირთვული მასალების გავრცელება და ეთნიკური კონფლიქტები. პოტენციურად, ლტოლვილების ნაკადებს შეეძლოთ ამერიკის მოკავშირეების დესტაბილიზაცია ევროპაში. მნიშვნელოვანი იყო ახალი დამოუკიდებელი სახელწიფოების სუვერენიტეტის

მხარდაჭერა და როგორც ჰუმანიტარული, ისე ეკონომიკური დახმარების გაწევა. ამერიკული და დასავლური კომპანიები განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებული კასპიის ზღვის მდიდარი ენერგორესურსების გლობალურ ბაზარზე გატანით. ამერიკულმა კომპანია შევერონმა ლიდერის როლი შეასრულა ყაზახეთში თენგიზის ნავთობის საბადოს განვითარებაში. აზერბაიჯანში, ბაქოს აღმოსავლეთით, კასპიის ზღვაში ნავთობის საბადოს განვითარების კონსორციუმს მულტიეროვნული ბრითიშ პეტროლეუმი ჩაუდგა სათავეში. ამ კონსორციუმის წევრები იყვნენ ამერიკული კომპანიები: ამოკო, ექსონი, არკო, ნორვეგიული სტატოილი და სხვა. ამ პროექტებში ჩართული ყველა კომერციული მხარე საქართველოს უყურებდა, როგორც პოტენციურ სატრანზიტო ქვეყანას, თავდაპირველად, ძირითადად, ნავთობისთვის, მოგვიანებით კი ბუნებრივი აირისთვის. ამ პროექტების წარმატებამ რადიკალურად შეცვალა საქართველოს როლი პატარა და არასტაბილური ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკიდან გლობალური მნიშვნელობის ენერგოგამტარ ქვეყანამდე. საქართველოს, პრეზიდენტ შევარდნაძის მეთაურობით, კარგად ჰქონდა გააზრებული კასპიის ზღვაში ნავთობის ინდუსტრიის განვითარების სარგებელი ქვეყნისთვის. ამიტომ ის ამ პროცესში დამოუკიდებლობის მოპოვების ადრეული წლებიდანვე **აქტიურად მონაწილეობდა.**¹

1991-94 წლები საშინაო ასპარეზზე საქართველოსთვის მძიმე პერიოდი იყო, სამოქალაქო და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებით და პოლიტიკური არასტაბილურობით, რომელიც მოჰყვა პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინააღ-

¹ შევარდნაძეს ჰქონდა ამერიკულ ნავთობის კომპანია შევერონთან მუშაობის გამოცდილება საბჭოთა კავშირის დასასრულს, როდესაც შევერონი თენგიზის ყაზახეთის საბადოს მმართველი კონსორციუმის წევრი გახდა. მან პროექტის შესახებ *Moscow News*-სთან ინტერვიუში 1991 წლის აგვისტოში **ისაუბრა**, მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამდებობიდან გადადგა. **ინტერვიუ 1991 წლის 6 აგვისტოს LA Times-ში გამოქვეყნდა.** www.latimes.com/archives/la-xpm-1991-08-06-me-401-story.html

მდეგ მომხდარ სამხედრო გადატრიალებას 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში. 1994 წლის ბოლოსთვის, ამერიკის მხარდაჭერამ, და საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობამ, საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. 1995 წელს ამერიკის კონსტიტუციური ექსპერტების ჩართულობით შექმნილმა ახალი კონსტიტუციით არჩეულმა პარლამენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს პრო-დასავლურ კურსს. ამას მოჰყვა საკანონმდებლო რეფორმების პირველი ტალღა, რომელმაც შექმნა საბაზისო კანონები სამეწარმეო საქმიანობისა და ინვესტიციების დაცვისთვის. 1995 წლიდან საქართველო გახდა ერთ-ერთი სამაგალითო ქვეყანა სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისთვის, განსაკუთრებით კი საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკისთვის, რომლებმაც საქართველოს ბიუჯეტის მხარდაჭერისა და სავალუტო სისტემის სტაბილიზაციის პროგრამები დაიწყეს. ამ დახმარებამ შესაძლებლობა მისცა საქართველოს დროებითი ვალუტიდან, კუპონიდან, გადასულიყო ახალ ეროვნულ ვალუტაზე - ქართულ ლარზე.

ამერიკული ჰუმანიტარული დახმარება 1990-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენის კრიტიკული ნაწილი იყო დამოუკიდებლობის მოპოვების სანყის ეტაპზე, განსაკუთრებით კი ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში კონფლიქტების დროს. ამერიკის დახმარება ჰუმანიტარული დახმარებიდან ეკონომიკის, განათლების, მმართველობის რეფორმების და საზღვრების უსაფრთხოების მიმართულებით რეფორმების მხარდამჭერ ტექნიკურ დახმარებაში გადაიზარდა. 1990-იან წლებში, ამერიკის მთავრობამ 860 მლნ აშშ დოლარზე მეტი დახმარება გაუწია საქართველოს, რაც საშუალონლიურად 96 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა.¹ ჰუმანი-

¹ Cory Welt, 'Georgia: Background and US Policy', *Congressional Research Service*, 17 October 2019, <https://fas.org/sgp/crs/row/R45307.pdf>

ტარული და ტექნიკური დახმარების პარალელურად, ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურად იყო ჩართული კასპიის ზღვაში ენერგო ინფრასტრუქტურის პროექტების განვითარებაში. კლინტონის ადმინისტრაციამ შექმნა განსაკუთრებული დიპლომატიური თანამდებობა „პრეზიდენტის და სახელმწიფო მდივანის თანაშემწე კასპიის საკითხებში“, კასპიის ენერგორესურსების მსოფლიო ბაზრებში ინტეგრაციის მიზნით. ნავთობის ახალი საბადოების აღმოჩენამ კასპიის ზღვაში გამოიწვია ახალი სატრანსპორტო ქსელის საჭიროება და სამხრეთ კავკასიისთვის შექმნა მნიშვნელოვანი შესაძლებლობა გამხდარიყო დამაკავშირებელი რგოლი ახალ ტრანზიტულ მარშრუტში ცენტრალური აზიიდან ევროპასა და ხმელთაშუაზღვისპირეთამდე, საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის გავლით.

ენერგო ინფრასტრუქტურის განვითარება სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის ჩართულობის უმთავრესი ფოკუსი და პოლიტიკის ინსტრუმენტი გახდა. ამერიკისა და ევროპის ინტერესებში იყო ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნებს საკუთარი, დამოუკიდებელი ეკონომიკის შექმნაში დახმარებოდნენ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და რეგიონულმა ქვეყნებმა, კერძოდ თურქეთმა, მხარი დაუჭირეს მილსადენის სტრატეგიას, რომელიც მოიაზრებდა რამდენიმე ახალი კომერციული მილსადენის შექმნას. ეს მილსადენები რამდენიმე ქვეყანას კვეთდა, მათ შორის რუსეთს. ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც იმ პერიოდში რეგიონული ენერგო სტრატეგიიდან ვერანაირი სარგებელი ვერ მიიღო, იყო სომხეთი. ყოვლისმომცველი სამშვიდობო გეგმის გარეშე, სომხეთისთვის ტერიტორიული მონაპოვარი, რომელიც აზერბაიჯანთან 1988-1994 წლის პირველი ყარაბაღის ომის შემდეგ მოიპოვა, უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე რეგიონულ ენერგოპროექტებში მონაწილეობა.

სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო გეგმების განხორციელებაში ამერიკის შეერთებულ შტატებს, თურქეთს, აზერბაიჯანს, საქართველოსა და ყაზახეთს შორის მჭიდრო თანამშრომლობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ძლიერი ეკონომიკური და

სავაჭრო კავშირების შენებაში კასპიის, შავი ზღვისპირეთის, ხმელთაშუა ზღვისპირეთის პორტებს შორის. სუფსის ნავთობ-სადენის მშენებლობა, რომელმაც საქართველო და აზერბაიჯანი დააკავშირა, 1999 წელს დასრულდა. ამას მოჰყვა ძირითადი ნავთობის და გაზის მილსადენების საფუძვლის ჩაყრა საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის 2005 და 2006 წლებში. ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო რეგიონის გათავისუფლებას რუსული პოლიტიკური და ენერგო დომინაციისგან. მთიან ყარაბაღში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე სერიოზული კონფლიქტების მიუხედავად, რუსეთის პოლიტიკამ, ხელი შეეშალა მსოფლიო დონის ინფრასტრუქტურის პროექტებისთვის, მარცხი განიცადა. ამ პროექტებმა შეცვალეს სამხრეთ კავკასიის სტრატეგიული კონფიგურაცია.¹

ენერგო მიმართულებით ჩართულობას თან ახლდა დასავლური პოლიტიკური მხარდაჭერა ახალგაზრდა სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს, დამოუკიდებლობის მიმართ. ეს მხარდაჭერა გადაიზარდა ხელშესახებ დასავლურ გეოპოლიტიკურ მონაპოვარში, რაც გამოიხატა ეუთოს სტამბოლის სამიტზე 1999 წელს, სადაც ხელი მოეწერა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებას და რუსეთთან შეთანხმებას საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ. მოლაპარაკებები მიზნად ისახავდა ხელშეკრულების გადახედვას, რომელიც 1990 წელს გაფორმდა და რომელმაც ნატოსა და ვარშავის პაქტის ქვეყნებს შეიარაღების ლიმიტები დაუწესა. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის პროცესში საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობდა მოლდოვასთან, უკრაინასა და აზერბაიჯანთან, რუსეთისგან მეტი დამოუკიდებლობის სურვილის მქონე ქვეყნებთან. ამერიკის შეერთებული შტატების აქტიური ჩართულობისა და მხარდაჭერის შედეგად,

¹ Mamuka Tsereteli, 'Georgia as a Geographical Pivot', in *The Making of Modern Georgia, 1918- 2012: The First Georgian Republic and its Successors*, ed. Stephen F. Jones (London and New York: Routledge, 2014), pp. 81-9

საბოლოო დოკუმენტი მოიცავდა რუსეთის თანხმობას გაეყვანა სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიიდან. ეს პროცესი 2005 წელს დასრულდა სამი რუსული სამხედრო ბაზის დახურვით.¹ ეს იყო დიდი წარმატება ქართული დიპლომატიისა და ქართულ-ამერიკული თანამშრომლობისთვის. სამიტის ფარგლებში, ასევე, ხელი მოეწერა შეთანხმებას მთავარი ნავთობსადენის - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის შესახებ. ამ პროექტმა შექმნა უფრო ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძველი შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ქვეყნებისათვის და რეგიონის ნავთობისა და გაზის ბაზრების უფრო მჭიდრო ინტეგრაცია დანარჩენ მსოფლიოსთან.

შეერთებულმა შტატებმა მილსადენის პროექტების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკვანძო როლი შეასრულა. საბოლოო გადაწყვეტილებაზე დადებითი გავლენა იქონია აშშ-სა და აზერბაიჯანის მთავრობებს შორის მაღალი დონის კომუნიკაციამ, რომელსაც ხელი შეუწყვეს აზერბაიჯანისა და საქართველოს დიპლომატებმა ვაშინგტონში. ეროვნული უსაფრთხოების ყოფილი მრჩეველი ზბიგნევ ბჟეზინსკი, თეთრი სახლის მოთხოვნით, 1995 წლის სექტემბერში გაემგზავრა ბაქოში, რათა პრეზიდენტ ალიევისთვის გადაეცა პრეზიდენტი კლინტონის წერილი, აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიისთვის (AIOC) რამდენიმე მილსადენის მშენებლობის მხარდაჭერის თხოვნით. პრეზიდენტ კლინტონსა და პრეზიდენტ ალიევს შორის საუბარი ოქტომბრის დასაწყისში შედგა და 1995 წლის 9 ოქტომბერს, AIOC-მა, ალიევის თანხმობით, გამოაცხადა გეგმა, გამოიყენებინა როგორც ბაქო-ნოვოროსისკის (ნავთობსადენის მარშრუტი რუსეთის ტერიტორიაზე), ასევე, ბაქო-სუფსის მარშრუტები ნავთობის სანყისი მოცულობის ექსპორტისთვის აზერ-

¹ რუსეთმა ფორმალურად დახურა და სამშვიდობო ძალების სანვრთნელ ბაზად გადააკეთა კიდევ ერთი სამხედრო ბაზა გუდაუთაში. თუმცა, სინამდვილეში, სანვრთნელი ბაზა რუსეთის სამხედრო ბაზად დარჩა.

ბაიჯანის სამი ძირითადი ნავთობის საბადოდან.¹ ბაქო-სუფსის ამ მარშრუტმა საქართველო გლობალურ ენერჯეტიკულ რუკაზე მონიშნა და ქვეყანას ჯერ მოლაპარაკებების, შემდეგ კი რთული ეკონომიკური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიმართულებით გამოცდილების დაგროვებაში დაეხმარა. მილსადენების მშენებლობამ, ასევე, ხელი შეუწყო სახელმწიფო შემოსავლების ზრდას. AIOC-ის გადანაცვტილება პირველი იყო სხვადასხვა მილსადენების პროექტების შესახებ მიღებული გადანაცვტილებების სერიაში, რამაც აშშ-ის ეგრეთ წოდებული „მრავალი მილსადენის პოლიტიკა“ წარმატებული გახადა. შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე ამჟამად გადის ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და სამხრეთ კავკასიის გაზსადენი. ეს უკანასკნელი ცნობილია, როგორც ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი, რომელიც აზერბაიჯანულ გაზს ევროპულ ბაზრებთან აკავშირებს. საქართველოსთვის ამ პროექტების სტრატეგიული მნიშვნელობა ძალიან მაღალია. გარდა საქართველოს ენერჯეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებისა და რუსეთზე დამოკიდებულების აღმოფხვრისა, ამ პროექტებმა გაზარდა ფულადი ნაკადები საქართველოს ხაზინაში და ხელი შეუწყო მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის შეერთებული შტატების მხარდაჭერით.

2001 წლის 11 სექტემბრიდან რუსეთ-საქართველოს ომამდე

2002 წელი საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი თარიღია, განსაკუთრებით კი საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ორმხრივი ურთიერთობებისთვის. რუ-

¹ Jofi Joseph, 'Pipeline Diplomacy: Clinton Administration's Fight for Baku-Ceyhan', WWS Case Study 1/99, p. 17, www.princeton.edu/cases/papers/pipeline.pdf (accessed 2 March 2013).

სეთის მხრიდან საქართველოზე წნეხი მას შემდეგ გაიზარდა, რაც რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს ბრალი დასდო ჩეჩენი ტერორისტების მხარდაჭერაში და პანკისის ხეობასთან სამხედრო წვდომა მოითხოვა. პანკისის ხეობა საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ტერიტორიაა, რომელიც, ძირითადად, ქისტებით, ეთნიკურად ჩეჩენი მოსახლეობითაა დასახლებული. 2002 წელს რუსეთის სამხედრო ვერტიკალურებმა და თვითმფრინავებმა რამდენჯერმე დაარღვიეს საქართველოს საჰაერო სივრცე და დაბომბეს ქართული ტერიტორიები. მოვლენათა ასეთი განვითარება დაემატა რუსეთ-საქართველოს ისედაც გაუარესებულ ურთიერთობებს, განსაკუთრებით 1999 წელს დაწყებული ჩეჩნეთის მეორე ომისა და ხელისუფლებაში პრეზიდენტ პუტინის მოსვლის შემდეგ. რუსეთის ბრალდებების პასუხად და პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ომის ფონზე, საქართველომ ოფიციალურად სთხოვა ამერიკელებს საქართველოს შეიარაღებული ძალების განწმენა, ჩრდილოეთ კავკასიიდან მომდინარე პოტენციურ ტერორისტულ საფრთხესთან გამკლავების მიზნით. იმ დროისთვის ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წამოწყებული ანტიტერორისტული პოლიტიკა რუსეთის ინტერესებშიც შედიოდა, რადგან ტერორიზმის წინააღმდეგ ომი დაეხმარა რუსეთს ჩეჩნეთში საკუთარი სასტიკი, ანტიჰუმანური სამხედრო ოპერაცია გაემართლებინა. აშშ-ის მიერ საქართველოში წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა ოფიციალურად 2002 წლის მაისში დაიწყო. ეს პროგრამა მიზნად ისახავდა ქართველი სამხედროების მომზადებას ანტიტერორისტული სამხედრო ოპერაციებისთვის და ის იმ პერიოდის საჭიროებებზე იყო მორგებული.¹ პროგრამა ქართველი სამხედროების ჯერ ერაყში, ხოლო შემდგომ ავღ-

¹ აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის ოფიციალური ვებ-გვერდი საქართველოში მოქმედი სანვრთელი პროგრამის შესახებ დეტალურ ინფორმაციას შეიცავს. (accessed 1 May 2020), www.marforeur.marines.mil/News/News-Article-Display/Article/520719/gtep-a-unique-mission-for-the-corps/

ნეთში მიმდინარე საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობისთვის **გახანგრძლივდა**. 2002 წელს დაწყებული სამხედრო თანამშრომლობა საქართველო-აშშ-ის შორის სამხედრო **კოლაბორაციისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო** და ის ორი ათწლეულის შემდეგაც არ კარგავს მნიშვნელობას.

2002 წელი განსაკუთრებული სხვა მიზეზითაც იყო: 22 ნოემბერს, პრეზიდენტმა შევარდნაძემ ფორმალურად მოითხოვა ნატოში საქართველოს გაწევრიანება. განცხადების შემდეგ, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ოფიციალურად აღუთქვა მხარდაჭერა საქართველოს ნატოს წევრობის მისწრაფებას.¹ მიუხედავად საქართველოს შიდა პრობლემებისა, როგორც იყო კორუფცია, სუსტი და არაეფექტიანი მმართველობა, საქართველოს მხრიდან ნატოს ძირითადი ღირებულებებისკენ მისწრაფებამ, როგორცაა დემოკრატია, კანონის უზენაესობა და თავისუფალი ბაზარი, ამერიკის პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში **ქვეყნის დადებითი იმიჯი გააძლიერა**. სწორედ ეს შიდა პრობლემები და სისუსტეები გახდა ქვეყნის შიგნით მზარდი უთანხმოების საფუძველი, რომელიც 2003 წელს ვარდების რევოლუციით დაგსრულდა. ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი გახდა ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში.

ვარდების რევოლუციის ერთ-ერთ წყაროს ახალგაზრდა რეფორმატორებმა მისცეს ბიძგი, რომელთაც დასავლეთში ჰქონდათ განათლება მიღებული. ზურაბ ჟვანია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, და მისი ჯგუფი თანდათან გამოეყო პრეზიდენტ შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირს 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი და შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციის ლიდერი, მიხეილ სააკაშვილი, განსაკუთრებულად რადიკალური შეხედულებებით გამოირჩეოდა. მან დატოვა პარტია „მოქალაქეთა კავშირი“ და შექმნა **„ერთიანი ნაციონალური მოძრაო-**

¹ 'Georgia: Shevardnadze Officially Requests Invitation to Join NATO', *RFE/RL*, 22 November 2002, www.rferl.org/a/1101463.html

ბაო (ენმ): როგორც პარტიის ლიდერი, სააკაშვილი იმ პერიოდში რამდენიმეჯერ ეწვია ვაშინგტონს, დაიწყო პრეზიდენტ შევარდნაძის სუსტი მმართველობის და სამთავრობო კორუფციის აქტიური კრიტიკა, დაიმკვიდრა რეფორმატორის სახელი და დაიწყო საკუთარი კავშირების ქსელის შექმნა. ის ვაშინგტონის ოფისებში სასურველი სტუმარი გახდა, რომელსაც უყურებდნენ, როგორც პრეზიდენტ შევარდნაძის გარემოცვაში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ლიდერს. როდესაც 2003 წელს ის ვარდების რევოლუციის მამოძრავებელი ძალა გახდა, სააკაშვილს ვაშინგტონში უკვე იცნობდნენ და მის ანტიკორუფციულ და რეფორმებზე ორიენტირებულ პროგრამას **მხარს უჭერდნენ**. 2003 წელს პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომა დაეხმარა აშშ-ს განეახლებინა საქართველოში დემოკრატიული რეფორმების დღის წესრიგის მხარდაჭერა.¹

2004 წლის თებერვალში, მიხეილ სააკაშვილი ვაშინგტონს სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში ეწვია და 2005 წლის მაისში, საქართველოში პრეზიდენტ ბუშის ისტორიული ვიზიტი შედგა. აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტს უზარმაზარი დიპლომატიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ორი ქვეყნის ურთიერთობებში. შედეგად, ორმხრივი ურთიერთობები გაიზარდა: ამერიკელმა სამხედროებმა გააფართოვეს ქართველი სამხედროების წვრთნები ანტიტერორისტული ოპერაციების მიმართულებით. გაიზარდა ქართველი სამხედროების რაოდენობა ერაყში და 2008 წლისთვის 2 000-ს მიაღწია. ასევე, გაიზარდა ამერიკის ეკონომიკური დახმარებაც. 2000-იან წლებში, საქართველო აშშ-ის დახმარების ყველაზე დიდი მიმღები სახელმწიფო გახდა ერთ

¹ აშშ-ის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიამ ევროპაში, რომელსაც ხშირად ჰელსინკის კომისიის სახელით მოიხსენიებენ, 2004 წელს გამოაქვეყნა ანგარიში სათაურით „საქართველოს ვარდების რევოლუცია“. ანგარიში რევოლუციის შემდგომ დადებით და უარყოფით მოვლენებს **აღწერს**. *Georgia's Rose Revolution, 2004* (accessed 3 May 2020), www.csce.gov/sites/helsinkicommission.house.gov/files/Report%20on%20Georgia%27s%20Rose%20Revolution.pdf

სულ მოსახლეზე ევროპასა და ევრაზიაში. 2001-დან 2007 წლამდე, საქართველოს დახმარებამ 945 მლნ აშშ დოლარზე მეტი შეადგინა, რაც ყოველწლიურად 135 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა¹. საქართველო გახდა ახლადშექმნილი საგარეო დახმარების სააგენტოს, **ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის** ერთ-ერთი პირველი ბენეფიციარი. რეფორმების პროგრესის აღიარების ნიშნად, კორპორაციამ საქართველოს 295 მლნ აშშ დოლარის გრანტი მისცა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტის განსახორციელებლად.² თავდაპირველი წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა 2007 წელს სტაბილურობის შენარჩუნების ოპერატიულ **პროგრამაში გადაიზარდა**, რომელმაც ქართული სამხედრო ნაწილები ერაყში ოპერაციებში მონაწილეობისთვის **მოამზადა**.

აშშ-საქართველოს ურთიერთობების ერთ-ერთი კატალიზატორი სააკაშვილისა და ბუშის ადმინისტრაციების დროს სააკაშვილის პოლიტიკურ გუნდს ბუშის ადმინისტრაციასა და კონგრესში ნეოკონსერვატორ წევრებს შორის საერთო იდეოლოგიური შეხედულებები იყო. პრეზიდენტ სააკაშვილის პირადი ურთიერთობები პრეზიდენტ ბუშთან და სენატორ მაკკეინთან პოლიტიკური კაპიტალის და პიარის ელემენტებად იქცა. თუმცა 2007 წლის შემდეგ, სააკაშვილის ხელისუფლებამ და ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მხარდაჭერა თანდათან დაკარგა, რისი მიზეზიც ადამიანის უფლებების, ქონების უფლებებისა და კერძო ბიზნესის თავისუფლების შეზღუდვა იყო. სააკაშვილის და მისი ხელისუფლების პოპულარობის დაცემა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის ტრაგიკული დასასრულის შემდეგ **კიდევ უფრო დაჩქარდა**. სააკაშვილის შიდა პოპულარობის დაკარგვის ფონზე მისი ახლო კავშირები ვაშინ-

¹ Welt, 2019.

² **ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია**, www.mcc.gov/where-we-work/-program/georgia-compact

გტონელ პოლიტიკოსებთან საქართველოში საზოგადოებრივი აზრის თვალსაზრისით აშშ-სთვის დამაზიანებელი გახდა.

მიუხედავად ახლო პარტნიორობისა აშშ-სა და საქართველოს შორის, თითოეულ მხარეს თავისი ინტერესები და მოტივი ჰქონდა. ვაშინგტონი საქართველოს ხედავდა, როგორც წარმატებით რეფორმირებულ ქვეყანას, რომელსაც პოტენციურად შეეძლო გამხდარიყო მოდელი რეგიონის სხვა ქვეყნებისთვის. საქართველოს მაგალითი კარგად ერგებოდა აშშ-ის პროდემოკრატიულ საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგსა და ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიას. საქართველო, თურქეთთან და აზერბაიჯანთან ერთად, ასევე, მნიშვნელოვანი იყო გლობალური და ევროპული ენერგოუსაფრთხოების სისტემისთვის. საქართველო, პარტნიორ ქვეყნებთან ერთად, გახდა ევროპული ეკონომიკური და პოლიტიკური გაფართოების სტრატეგიის ნაწილი.

ათწლეულის შუა პერიოდისთვის, ვაშინგტონი სამხრეთ კავკასიაში ფართო რეგიონული პოლიტიკიდან თანდათან უფრო ორმხრივ ურთიერთობებზე ფოკუსირებულ პოლიტიკაზე გადავიდა. აშშ-ის პროდემოკრატიული და რეფორმისტული დღის წესრიგი გართულებებს იწვევდა თურქეთთან. რეგიონის ყველა ქვეყანა არ იყო საქართველოსავით გახსნლი პრეზიდენტ ბუშის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგის მიმართ. თბილისი აშშ-ს ხედავდა, როგორც საქართველოს ადვოკატს მის დაძაბულ ურთიერთობებში რუსეთთან და როგორც საქართველოს ევროპულ უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ ინსტიტუტებში განევირინების მხარდამჭერად, ასევე როგორც პოტენციურ სამხედრო მოკავშირედ და სტრატეგიულ პარტნიორად. სააკაშვილის ხელისუფლება ცხინვალისა და აფხაზეთის კონფლიქტურ რეგიონებში გახანგრძლივებულ სტატუსკვოს საქართველოს სუვერენიტეტისთვის საფრთხედ აღიქვამდა. საქართველოს ხელისუფლება იმედს ამყარებდა აშშ-ის მხარდაჭერაზე რუსეთთან ურთიერთობებში. სააკაშვილი ფართოდ არეკლამებდა მის პირად კავშირებს პრეზიდენტ ბუშსა და სხვა

პოლიტიკურ ლიდერებთან ვაშინგტონში. ის ხშირად აზვიადებდა და გადამეტებულად იყენებდა ამ კავშირებს შიდა პოლიტიკური მიზნებისთვის, რითაც ამერიკის პოტენციური მხარდაჭერის მიმართ **არარეალისტურ მოლოდინებს ქმინდა**. საკუთრივ საქართველოს ხელისუფლებამაც გადაჭარბებით შეაფასა აშშ-ის მხარდაჭერა და სათანადოდ ვერ შეაფასა რუსეთის სურვილი და მზადყოფნა, შეენარჩუნებინა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ბერკეტი საქართველოზე ნებისმიერ ფასად. ამასთან, აშშ ფოკუსირებული იყო ომებზე ერაყსა და ავღანეთში და ეძებდა რუსეთთან თანამშრომლობის შესაძლებლობას ანტიტერორისტულ პოლიტიკის მიმართულებით. ნატო არ იღებდა საქართველოს, როგორც წევრს და ევროკავშირიც არ იყო დაინტერესებული გაფართოების გეგმებში შავ ზღვას **გასცდენოდა**.

2008 წლის აგვისტო

რუსეთის გადაწყვეტილებას, **2008 წლის აგვისტოში საქართველოში შეჭრილიყო**, რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი. რუსეთის ფედერაციისთვის მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შეჩერება. ამით რუსეთს სურდა დარწმუნებულიყო, რომ საქართველო არ გახდებოდა სხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისთვის მოდელი, რომელიც მათაც ნააქეზებდა დასავლეთის უსაფრთხოების სტრუქტურებში განწევრიანებისკენ. ომით რუსეთმა რეგიონის ქვეყნებს აუწყა, რომ არ აპირებდა თავის სამეზობლოში დასავლური უსაფრთხოების ინსტიტუტების შემოშვებას. ამ ომით რუსეთის ფედერაციამ, ასევე, აუწყა დასავლეთს, რომ რუსეთის მუქარებს **2008 წელს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების პასუხად**, ნამდვილად ჰქონდა მნიშვნელობა. და რაც ყველაზე მთავარია, საქართველოში შემოჭრით და დე ფაქტო საზღვრების ცვლილებით, რუ-

სეთს სურდა დაემტკიცებინა, რომ ცივი ომის შემდგომი ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურა მონყვლადია და უნდა გადაიხედოს. 2007 წელს რუსეთის მიერ ევროპაში კონვენციური ძალების შესახებ შეთანხმებაში მონაწილეობის შეჩერება ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იყო. ეს ხელშეკრულება ჰელსინკის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა იყო, რომელმაც ყოვლისმომცველი შეზღუდვები დაანესა კონვენციური სამხედრო შეიარაღების ძირითად კატეგორიებზე ევროპაში და ზედმეტი შეიარაღების შეზღუდვის აუცილებლობა დაადგინა.¹

რუსეთი საქართველოში შემოჭრისთვის ფორმალურ საბაბსა და ლეგალურ გამართლებას ეძებდა. 2008 წელს, ცხინვალის რეგიონში ქართული მოსახლეობის მიმართ სამხედრო პროვოკაციებმა ქართული სამხედრო პასუხი გამოიწვია. ასეთ რეაქციაზე რამდენიმე შიდა ფაქტორმა იქონია მნიშვნელოვანი გავლენა. ერთ-ერთი იყო დიდი სამხედრო ბიუჯეტი და საქართველოს ხელისუფლების რიტორიკა აგრესიის წინააღმდეგ მზაობის შესახებ. გარდა ამისა, 2007 წლის შემოდგომაზე, საქართველოში დიდი პოლიტიკური არასტაბილურობა სუფევდა, რაც დიდი მასშტაბის ანტისახელისუფლებო დემონსტრაციებმა გამოიწვია. მთავრობამ ამ ყველაფერს დარბევით უპასუხა, მათ შორის ოპოზიციური არხის დახურვით 2007 წლის 7 ნოემბერს. შედეგად, პრეზიდენტი სააკაშვილი გადადგა და რიგგარეშე არჩევნები გამოაცხადა. ახალი საარჩევნო კამპანიის ძირითადი დაპირებება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გადაჭრა იყო. 2008 წლის იანვარში არჩევნებში არადამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, სააკაშვილის ლეგიტიმაცია სერიოზულად დაზიანდა. ხელისუფლების პოლიტიკური გადარჩენისთვის ჩაითვალა, რომ აუცილებელი იყო ქართული სოფლების დაბომბვაზე ძლიერი საპასუხო რეაქცია.

¹ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულება, ეუთო, www.osce.org/library/14087

რუსებს ეს შიდა დინამიკა უფრო კარგად ესმოდათ, ვიდრე პოლიტიკოსებს ვაშინგტონში. მიუხედავად ვაშინგტონის მიერ თბილისისა და პირადად სააკაშვილის გაფრთხილებისა არ წამოგებოდნენ რუსულ პროვოკაციას¹, რუსული სამხედრო ინტერვენციის მასშტაბი თბილისისა და ვაშინგტონის მიერ **სათანადოდ არ შეფასდა.**²

შიდა ქართული დინამიკის პარალელურად, რუსეთის შიგნით არსებობდნენ ომის მსურველი ძალები. რუსეთმა პირველად 2007 წელს შეაჩერა მონანილეობა ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ (CFE) ხელშეკრულებაში. 1999 წელს ეუთოს სტამბოლის სამიტზე **ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის** შემდეგ, ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ჩარჩო **გახდა**, რომელიც სამხრეთ კავკასიის მეზობელი სახელმწიფოების საზღვრებთან **რუსეთის სამხედრო ძალების განლაგებას ზღუდავდა.**³ აშშ-ის ხელმძღვანელობით დასავლეთის მიერ სერბეთის ნების სანინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილება კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ რუსეთის მიერ 2008 წელს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, ასევე 2014 წელს ყირიმის ანექსიის სტრატეგიის ფორმალურ **მიზეზად იქცა.**⁴ 2006 წლის იანვარში, კრემლში გამართულ ყოველწლიურ პრესკონფერენციაზე, პუტინმა განაცხადა, რომ „გაყინული კონფლიქტების“ დროს უნდა იქნას გამოყენებული „უნივერსალური პრინციპი“ და რომ კოსოვო გახდებოდა მოდელი პოსტსაბჭოთა სივრცეში კონფლიქტების მოგვარებისთვის: „თუ ვინმე ფიქრობს, რომ კოსოვოსთვის შეიძლება სრული დამოუკიდებლობის მინიჭება, მაშ რატომ

¹ The ADST Foreign Affairs Oral History Project, Ambassador Richard M. Miles, p. 290 at www.adst.org/wp-content/uploads/2013/12/Miles-Richard-M1.pdf

² ეს მოსაზრება ემყარება ავტორის პირად საუბრებს **პოლიტიკოსებსა და რეგიონის ექსპერტებთან** ვაშინგტონსა და თბილისში.

³ The Conventional Armed Forces in Europe (CFE) Treaty and the Adapted CFE Treaty at a Glance www.armscontrol.org/factsheet/cfe

⁴ Mamuka Tsereteli, 'Can Russia's Quest for the New International Order Succeed?' *ORBIS*, May 2018.

უნდა ვუთხრათ ამაზე უარი აფხაზებს ან სამხრეთ ოსებს? ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ თურქეთმა აღიარა ჩრდილოეთ კვიპროსის რესპუბლიკა.“¹

თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში რუსეთი იყენებდა ტერმინს „გაყინული კონფლიქტები“ მოლდოვასთან, საქართველოსა და აზერბაიჯანთან მიმართებაში, რათა ამ ქვეყნებში **სამხედროების განლაგებისა** და მათზე კონტროლის საკუთარი სტრატეგია **გაემართლებინა**. თუმცა, მას არასოდეს უღიარებია სეპარატისტული ტერიტორიების დამოუკიდებლობა კოსოვოს აღიარებამდე. გულუბრყვილო იყო იმის მოლოდინი, რომ რუსეთი **აღიარებდა** დასავლურ ნარატივს კოსოვოს მაგალითის უნიკალურობაზე და გააგრძელებდა მეზობელი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას სამართლებრივ ჩარჩოებში. რუსეთის მოსალოდნელი პასუხი კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე სათანადოდ ვერ შეფასდა აშშ-სა და საქართველოში. გარდა ამისა, **2008** წლის აპრილის დასაწყისში ნატომ ბუქარესტის სამიტზე განაცხადა, რომ მხარს უჭერდა საქართველოს მომავალ განევრიანებას, მაგრამ ეს საკითხი არ დასრულდა საქართველოსთვის განევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) გადაცემით, რომელიც განევრიანების პროცესის დასაწყებად **არის საჭირო**. ეს იყო დასავლეთის მხრიდან სამწუხარო გზავნილი რუსეთისთვის საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისადმი არასაკმარისი მხარდაჭერის შესახებ. რუსეთმა გააცნობიერა, რომ მოქმედების შესაძლებლობების შეზღუდული ფანჯარა არსებობდა, რომელიც დასავლეთსა და რუსეთის სამეზობლოს ყოფილ საბჭოთა სივრცის **ქვეყნებს** დასავლეთის ექსპანსიის ფასის შესახებ **ძლიერ და ხანგრძლივ გაფრთხილებას** **გაუგზავნდა**. საქართველოში სამხედრო **შეჭრა**, ასევე, რუსეთის შიდა პოლიტიკურ მიზნებს და პუტინის პოპულარობის ზრდასაც ემსახურებოდა.

¹ 'Tbilisi Fears Russia's Policy of "Universality"', *Civil.ge*, 2 February 2006, www.civil.ge/eng/_print.php?id=11688

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეერთებულმა შტატებმა საქართველოს მიმართ პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა გააღრმავა. აშშ-მა დიდი დიპლომატიური სამუშაო გასწია რუსეთის ძალისხმევის წინააღმდეგ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების მხარდაჭერის თავიდან ასაცილებლად. ბუშის ადმინისტრაციამ საქართველოს ომის შემდეგ მნიშვნელოვანი ეკონომიკური დახმარება გაუწია, რამაც ქვეყანას საშუალება მისცა გამკლავებოდა როგორც ომის, ასევე გლობალური ეკონომიკური კრიზისის შედეგებს. ომის დასრულებისთანავე საქართველოში ჰუმანიტარული დახმარება შემოვიდა და 2008-2009 წლებში საქართველოსთვის აშშ-ის ჯამურმა დახმარებამ 1,04 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც მოიცავდა 250 მლნ აშშ დოლარის პირდაპირ საბიუჯეტო მხარდაჭერას და დამატებით 100 მლნ აშშ დოლარს ათასწლეულის გამონვევის კორპორაციის (MCC) ფონდებიდან, რამაც ამ უკანასკლელის საერთო დაფინანსება 395 მლნ აშშ დოლარამდე გაზარდა.¹

2009 წლის 9 იანვარს, შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ქარტიას სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. ამ მნიშვნელოვანმა დოკუმენტმა ძლიერი ორმხრივი ურთიერთობებისთვის ახალი ჩარჩო შექმნა. აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის პირველ შეხვედრაზე, რომელიც 2009 წლის 22 ივნისს გაიმართა, ქარტიაში განსაზღვრული პრიორიტეტული სფეროების მიმართულებით ოთხი ორმხრივი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, მათ შორის იყო დემოკრატია, თავდაცვა და უსაფრთხოება, ეკონომიკა, ვაჭრობისა და ენერჯეტიკის საკითხები და კულტურული მემოცვლა. ქარტიის ჩარჩოს პირობების მიხედვით, დაიგეგმა ყოველწლიური მაღალი დონის შეხვედრები ამერიკელ და ქართველ პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს შორის თითოეულ სამუშაო ჯგუფში. ქარტიამ გაამყარა ამერიკის მხარდაჭერა

¹ Welt, 2019.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებელი განვითარების მიმართ. ქარტიის ხელმოწერა იყო ერთ-ერთი ბოლო საგარეო პოლიტიკური ქმედება ბუშის ადმინისტრაციის მიერ პრეზიდენტ ობამასთვის ძალაუფლების გადაცემამდე.

საინტერესო განსხვავებებია პრეზიდენტ კლინტონის (1993-2000) და პრეზიდენტ ბუშის (2001-08) ადმინისტრაციების დამოკიდებულებებს შორის საქართველოს მიმართ. კლინტონის ეპოქის დასასრული აღინიშნა საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცებით. შეერთებული შტატები შუამავლობდა რუსული ბაზების გაყვანის პროცესს და დაჟინებით მოითხოვდა რუსეთის სამხედრო ყოფნის შეზღუდვას სეპარატისტულ რეგიონებსა და საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში. კლინტონის ეპოქა, ასევე, აღინიშნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებით რეგიონული ენერგეტიკის განვითარების შესახებ, რამაც საქართველო გლობალური ენერგეტიკის რთული ინფრასტრუქტურის განუყოფელ ნაწილად აქცია. ბუშის ეპოქამ საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური და სამხედრო-უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის უფრო ღრმა და ფართო ორმხრივი მექანიზმები ჩამოაყალიბა. ამ პერიოდში საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტი მნიშვნელოვნად გაძლიერდა, რითაც დასრულდა ქვეყნის ეკონომიკური და ენერგეტიკული დამოკიდებულება რუსეთზე. ამავდროულად, ამერიკის შეერთებული შტატები ომის შემდეგ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ მოკავშირედ ჩამოაყალიბდა. ამერიკელი პოლიტიკოსები და დიპლომატები ქართული დემოკრატიის ხარისხის მთავარ არბიტრებად იქცნენ. ქართველი პოლიტიკოსებისთვის პროამერიკულობა და პროდასავლურობა ნორმად იქცა.

აშშ-საქართველოს პარტნიორობის განვითარება 2009-2020 წლებში

ობამას ადმინისტრაციამ აშშ-საქართველოს ურთიერთობებში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. ახალმა ადმინისტრაციამ განაგრძო ზოგადი მხარდაჭერა საქართველოს მიმართ, მაგრამ პრეზიდენტი ობამა საქართველოთი პირადად ნაკლებად იყო დაინტერესებული.¹ მიუხედავად ამისა, საქართველო მაინც მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის საგარეო პოლიტიკისთვის ევრაზიაში. **ვიცე-პრეზიდენტი** ბაიდენი საქართველოს 2009 წლის ზაფხულში ეწვია და სიტყვით გამოვიდა საქართველოს პარლამენტში, საიდანაც რუსეთს ოკუპირებული ტერიტორიების დატოვებისკენ მოუწოდა, მაგრამ მან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსული ჯარების ყოფნას ოკუპაცია პირდაპირ არ უწოდა: „მე აქ შეერთებული შტატების სახელით მოვედი, რათა მარტივი გზავნილი გადმოგცეთ: ჩვენ, შეერთებული შტატები, თქვენს გვერდით ვდგავართ, რათა დავიცვათ უსაფრთხო, თავისუფალი, დემოკრატიული და ერთიანი საქართველო“. ეს სიტყვა ბუშის პერიოდში საქართველოს მიმართ უპირობო და **არაკრიტიკული** მიდგომიდან სააკაშვილის დემოკრატიისა და მედიის თავისუფლების პოლიტიკის კრიტიკამდე **ცვლილებას ასახავდა:**

ჩვენი პარტნიორობა ემყარება საერთო დემოკრატიულ იდეალებს. ჩვენ გავაგრძელებთ თქვენი საქმის მხარდაჭერას შეასრულოთ 6 წლის წინანდელი დემოკრატიული დანაპირები. პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამ კვირაში პარლამენტს განუცხადა, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ჩვენ ველით, რომ ის ამ დანაპირებს შეასრულებს. ვარდების რევოლუცია მხოლოდ მაშინ იქ-

¹ Archil Gegeshidze, 'Contemporary Georgian-American Relations: Key Features of the Evolution', GFSIS, 2017, www.researchgate.net/publication/319442833-Contemporary_Georgian_American_Relations_Key_Features_of_the_Evolution

ნება სრული, როცა მთავრობა იქნება გამჭვირვალე, ანგარიშვალ-
დებული და ლია ჩართულობის და თანამონაწილეობისთვის.¹

აშშ-ის ახალი პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში წარ-
მოდგენილი იქნა 2009 წლის 6 მარტს ჟენევაში აშშ-ის სახელ-
მწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის რუსეთის საგარეო საქმე-
თა მინისტრთან სერგეი ლავროვთან შეხვედრისას. შემდგომ
შეხვედრებზე ორივე მხარემ დაადასტურა უთანხმოება უსაფ-
რთხოების მნიშვნელოვან საკითხებზე. მაგრამ შეერთებული
შტატების სწრაფი დაბრუნება რუსეთთან მოლაპარაკების მა-
გიდასთან 2008 წლის აგრესიის და საქართველოს ტერიტო-
რიების ოკუპაციის შემდეგ რუსეთთან მიმართებაში აშშ-ის
მნიშვნელოვან დათმობას წარმოადგენდა. რუსეთის ქმედებე-
ბის საერთაშორისო დაგმობა საერთაშორისო ფორუმებზე ცი-
ვი რიტორიკითა და ნატო-რუსეთის კომისიის შეჩერებით შე-
მოიფარგლა. საქართველოს მიმართ აშშ-ის დათმობის სანაც-
ვლოდ, რუსეთის ფედერაციამ ნება დართო ამერიკულ სამხედ-
რო-სატივითო თვითმფრინავებს რუსეთის ტერიტორიაზე ავ-
ღანეთის მიმართულებით ეფრინათ.² ევროპაში ცივი ომის შემ-
დგომი წესრიგის რღვევა, რაც საქართველოში რუსეთის შეჭ-
რის შედეგი იყო, ყურადღების მიღმა დარჩა. შეერთებული
შტატების „გადატივითის“ პოლიტიკამ ავღანეთში აშშ-სთვის
გარკვეული ტაქტიკური სარგებლის მოპოვების სანაცვლოდ,
დასავლეთი სუსტად წარმოაჩინა მთელი მსოფლიოს და, განსა-
კუთრებით, რუსეთის თვალში. დასავლეთის სანახევრო პასუხ-
მა რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერი-
ტორიული მთლიანობის დარღვევაზე კრემლი მიიყვანა დას-
კვნამდე, რომ მას შეეძლო თავი დაეღწია მწვავე შედეგების-
თვის საერთაშორისო სამართლის სხვა დარღვევების შემთხვე-
ვაშიც. ამ მხრივ, უკრაინაში შეჭრა, ყირიმის ანექსია 2014

¹ 'Main Points of Biden Speech in Georgia', www.reuters.com/article/us-georgia-biden-quotes-sb/main-points-of-bidens-speech-in-georgia-idUSTRE56M42320090723

² Peter Baker, 'Russia to Open Airspace to US for Afghan War', *New York Times*, 3 July 2009, www.nytimes.com/2009/07/04/world/europe/04russia.html.

წელს და სეპარატისტების მხარდაჭერა აღმოსავლეთ უკრაინაში, 2008 წლის ომის ერთ-ერთ შედეგად უნდა განვიხილოთ. შეერთებული შტატებისა და ევროპელი მოკავშირეების გადაწყვეტილება 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოსთვის თავდაცვითი იარაღის მიყიდვის აკრძალვის შესახებ მოსკოვმა აღიქვა, როგორც დასავლეთის პუტინისადმი დათმობის ნიშანი. 2014 წელს, დასავლეთის სახელმწიფოებმა რუსეთის მზარდ სამხედრო ზენოლას უკრაინის წინააღმდეგ იგივე მცდარი პოლიტიკის გამოყენებით უპასუხეს, რაც თავდაცვითი იარაღის მიყიდვაზე უარის თქმას გულისხმობდა, რათა ამას „ესკალაცია“ არ გამოეწვია.¹

ობამას ადმინისტრაციამ საქართველოს მიმართ უფრო ფრთხილი მიდგომა გამოიჩინა, მაგრამ ტერიტორიული მთლიანობისა და სეპარატისტული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის მიმართ დიპლომატიური მხარდაჭერა განაგრძო. საქართველო დარჩა აშშ-ის საგარეო დახმარების ძირითად მიმღებად. 2010-დან 2017 წლამდე, საქართველო საშუალოდ 60 მლნ აშშ დოლარის არასამხედრო დახმარებას იღებდა წელიწადში. გარდა ამისა, საქართველოს მიენიჭა მეორე ხუთწლიანი (2014-19) 140 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ათასწლეულების გამონწვევის კორპორაციის (MCC) გრანტი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სწავლების გაუმჯობესებისათვის. საქართველომ, ასევე, მიიღო აშშ-ის არალეიტალური სამხედრო დახმარება, მათ შორის დაახლოებით 144 მლნ აშშ დოლარი ომისშემდგომი უსაფრთხოებისა და სტაბილიზაციისთვის 2008-2009 წლებში. 2010 წლიდან, საქართველო იღებს სამხედრო დახმარებას, ძირითადად, საგარეო სამხედრო დაფინანსების (FMF) სახით, კოალიციის მხარდაჭერის ფონდის, წვრთნისა და აღჭურვის და სხვა განვითარების პროგრამების მეშვეობით. ეს თანხები გამოიყენებოდა ავღა-

¹ Svante Cornell, S. Frederick Starr and Mamuka Tsereteli, 'A Western Strategy for the South Caucasus', *Silk Road Paper*, February 2015, pp. 24-25

ნეთში საქართველოს სამხედრო ნაწილების მოსამზადებლად საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალებში (ISAF) და შემდგომ მტკიცე მხარდაჭერის მისიაში. ამ დახმარებებმა გადაძლიერა საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მზადყოფნა. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დახმარებამ საქართველოსთვის 2010-2017 წლებში საშუალოდ წელიწადში 74 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.¹

2012 წლის 1 ოქტომბერს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ კოალიცია „ქართულ ოცნებაზე“ ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა შეერთებულმა შტატებმა დადებით გზავნილად მიიღო. ეს განიხილებოდა, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოს დემოკრატიის განვითარებაში, რომელიც აშშ-ის მუდმივ მხარდაჭერას **ამართლებდა**. აშშ-ის მთავრობის ორივე - აღმასრულებელმა და საკანონმდებლო შტოებმა - გამოხატეს მხარდაჭერა საქართველოს მიმართ, და ხაზი გაუსვეს აშშ-ის ვალდებულების ორპარტიულ ხასიათს.² არჩევნების შემდეგ, რომელსაც დემოკრატი სენატორი ჟან შაჰინი და რესპუბლიკელი სენატორი ჯეიმს რიში აკვირდებოდნენ, სენატორმა შაჰინმა განცხადება გაავრცელა. მან განაცხადა: „ფაქტია, რომ დემოკრატია გრძელვადიანი ძალისხმევაა და ის ბოლომდე ვერ მიიღწევა ერთი არჩევნებით. საქართველოში დემოკრატიული მოძრაობა ჯერ არ დასრულებულა და წინ კიდევ ბევრი სამუშაოა, მაგრამ ქართველმა ხალხმა გუშინ მნიშვნელოვანი ნაბიჯი **გადადგა**.“³

¹ Welt, 2019.

² ავტორს შესაძლებლობა ჰქონდა მონაწილეობა მიეღო 2012 წლის 2 ოქტომბერს ატლანტიკური საბჭოს მიერ ორგანიზებულ **ონლაინ კონფერენციაში**, რომელიც საქართველოში ახლად ჩატარებულ არჩევნებს ეხებოდა. მომხსენებლებს შორის იყვნენ თბილისში აშშ-ის საელჩოს თანამშრომლობი, ასევე, სენატორი შაჰინი და რიჩი.

³ ‘SENS. Shaheen and Risch Monitor Successful Georgian Elections’, 2 October 2012, www.shaheen.senate.gov/news/press/sens-shaheen-and-risch-monitor-successful-georgian-elections

კონგრესის ორპარტიული მხარდაჭერა საქართველოსადმი ვაშინგტონის პოლიტიკური კლასის საქართველოსადმი ერთგულების აშკარა მაჩვენებელია. გასული ათწლეულის განმავლობაში მრავალი საკანონმდებლო აქტი და რეზოლუცია იქნა ინიცირებული და მიღებული, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დემოკრატიული განვითარების მხარდაჭერას გამოხატავდა. 2017 წელს გამოქვეყნებულ რეზოლუციაში რუსეთის გავლენის დაბალანსების აქტი ევროპასა და ევრაზიაში (The Countering Russian Influence in Europe and Eurasia Act of 2017 (P.L. 115-44, Title II, §253) ნათქვამია, რომ შეერთებული შტატები „არ ცნობს ძალის გამოყენებით განხორციელებულ ტერიტორიულ ცვლილებებს, მათ შორის უკანონო შეჭრას და ოკუპაციას აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და რუსეთის მიერ ოკუპირებულ სხვა ტერიტორიებზე“. 2016 წლის სექტემბერში, წარმომადგენელთა პალატამ მიიღო რეზოლუცია (H.Res. 660), რომელიც გმობს რუსეთის სამხედრო ინტერვენციას და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციას. 115-ე კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ ერთხმად მიიღო საქართველოს მხარდაჭერის აქტი (H.R. 6219). 116-ე კონგრესში მსგავსი კანონპროექტი (H.R. 598) წარდგენილი იქნა კონგრესის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში 2019 წლის 22 მაისს და ის კვლავ მიიღეს ერთსულოვანი თანხმობით 2019 წლის 22 ოქტომბერს. 117-ე კონგრესზე საქართველოს მხარდაჭერი ჯგუფის ორმა თანათავმჯდომარემ, გერი კონოლიმ (D-VA) და ადამ კინზინგერმა, კვლავ განაახლეს საქართველოს მხარდაჭერის აქტი 2021 წლის 8 თებერვალს. კანონმდებლობა ადასტურებს შეერთებული შტატების მუდმივ მხარდაჭერას საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისადმი, აღიარებს საქართველოს ერთგულებას დემოკრატიული ღირებულებებისადმი, მათ შორის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისადმი და კიდევ ერთხელ ადასტურებს აშშ-ის წინააღმდეგობას რეგიონში რუსეთის აგრესიის მიმართ.¹

¹ H.R.598 - 116th Congress (2019-20), www.congress.gov/bill/116th-congress/house-bill/598

საქართველოსთვის ორპარტიული პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის ტენდენცია ტრამპის ადმინისტრაციის დროსაც გაგრძელდა. 2017 წლის აგვისტოში თბილისში ვიზიტისას **ვიცე-პრეზიდენტმა** მაიკლ პენსმა განაცხადა, რომ „ამერიკა დგას საქართველოს გვერდით... დღეს რუსეთი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიის ერთი მეზუთედის ოკუპაციას... ასე რომ, ცხადი უნდა იყოს - ამერიკის შეერთებული შტატები მკაცრად გმობს რუსეთის ოკუპაციას საქართველოს მიწაზე.“¹ 2018 წელს საქართველოსთვის დახმარებამ 70,8 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, 2019 წელს კი არასამხედრო დახმარების სახით 89,8 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა. სამხედრო დახმარების პროგრამების შემდეგ, 2016 წლის დეკემბერში, ორმა ქვეყანამ გააფორმა სამწლიანი ჩარჩო შეთანხმება უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ, რამაც 2017 წლის თებერვალში სამწლიან, 35 მლნ აშშ დოლარის ღირებულების სასწავლო ინიციატივას, საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამას **ჩაუყარა საფუძველი**. ეს ინიციატივა საქართველოს ტერიტორიული თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებაში **დაეხმარა** და ჩრდილოეთის მხრიდან პოტენციური აგრესიული ქმედებების **წინააღმდეგ** გარკვეულ შეკავებას **უზრუნველყოფს**.

საქართველოს მიმართ აშშ-ის ნდობის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოხატულება იყო 2017 წლის ნოემბერში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოსთვის 400-ზე მეტი პორტატული ტანკსანინაღმდეგო რაკეტა ჯაველინი, აგრეთვე მათი გამშვები მონოცილობები და მასთან დაკავშირებული აღჭურვილობები **მიეყიდა**. ამ პაკეტის ჯამური ღირებულება 75 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. ამ გადაწყვეტილებით დასრულდა ობამას დროინდელი შეზღ-

¹ 'Pence Reaffirms US Solidarity with Georgia, Denounces Russian "Aggression"', 1 August 2017, *RFE/RL*, www.rferl.org/a/pence-georgia-montenegro-nato-russia-baltics-visit/28652154.html

უდგა იარაღის გაყიდვაზე, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საქართველოს შეკავების შესაძლებლობებს. გარდა ამისა, 2011 წლიდან საქართველოში ნატოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი სამხედრო წვრთნები იმართება. თავდაპირველი წვრთნები, მაგალითად Agile Spirit, ორიენტირებული იყო ანტიტერორისტულ და სამშვიდობო ოპერაციებზე. 2015 წლიდან, Agile Spirit-ში ნატოს სხვა პარტნიორებიც ჩაერთნენ და ის ფოკუსირებული გახდა კონვენციურ ომზე. მნიშვნელოვანი ორმხრივი წვრთნა, ღირსეული პარტნიორი (Noble Partner), 2015 წელს დაიწყო და ის ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში საქართველოს ინტეგრაციას უჭერს მხარს. 2019 წელს კიდევ უფრო გაიზარდა სამხედრო წვრთნების რაოდენობა და თოთხმეტი ქვეყნის 3000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მოიცვა, რომელსაც საქართველოს თავდაცვის ძალები და ევროპაში ამერიკული ჯარები ხელმძღვანელობდნენ.¹

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო შეერთებული შტატების უსაფრთხოების დახმარების მიმღებია, ქვეყანა თავად არის საერთაშორისო უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გამცემი. 850 ოფიცრისა და ჯარისკაცისგან შემდგარი ქართული ქვედანაყოფი იყო ნატოს წევრობის არმქონე სახელმწიფოს ყველაზე დიდი ეროვნული ქვედანაყოფი ავღანეთში და მესუთე უდიდესი ძალა ნატოს ძალების ჩათვლით. ქართველმა ჯარისკაცებმა უსაფრთხოების შენარჩუნებასა და ავღანელი სამხედროების წვრთნაში შეიტანეს წვლილი. ნატოს ზოგიერთი წევრი ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველოს არ გააჩნდა ე.წ. ეროვნული შეზღუდვები, რაც ნიშნავს, რომ ქართველი სამხედროები საბრძოლო და უსაფრთხოების ოპერაციებში შეზღუდვების გარეშე მონაწილეობდნენ. ქართულმა ჯარებმა ავღანეთი 2021 წლის ივნისის ბოლოს დატოვეს, მას შემდეგ, რაც აშშ-მა ნატოს მტკიცე მხარდაჭერის სამშვიდობო მისიის

¹ Laurie Ellen Schubert, 'Agile Spirit 2019 Kicks Off in Georgia', 29 July 2019, www.army.mil/article/225077/agile_spirit_19_kicks_off_in_georgia

ფარგლებში არსებული ჯარების გაყვანის გადანყვეტილება მიიღო. როგორც ქართველი, ასევე ამერიკელი ექსპერტები იმედოვნებენ, რომ სამხედრო თანამშრომლობა მომავალშიც გაიზრდება, რაც საქართველოს საშუალებას მისცემს განავითაროს სამხედრო პოტენციალი და, ასევე, გააძლიეროს საქართველოს თავსებადობა შეერთებულ შტატებთან, ნატოსა და სხვა მოკავშირე ძალებთან. 2021 წლის ივლისის ბოლოს ქართველმა და ამერიკელმა ჯარებმა, ცამეტი სხვა ქვეყნის სამხედროებთან ერთად, ნატოს ეგიდით Agile Spirit-ის სამხედრო სწავლება თბილისთან ახლოს, ვაზიანის ბაზაზე, ჩაატარეს.

აშშ-საქართველოს ეკონომიკური პარტნიორობა არის ერთ-ერთი სფერო, სადაც ზრდის პოტენციალი ძალიან მნიშვნელოვანია და ჯერ კიდევ სრულად არაა გამოყენებული. შეერთებული შტატები საქართველოსთვის სასურველი ინვესტორი და სავაჭრო პარტნიორია, ჯერ კიდევ მოკრძალებული, მაგრამ მზარდი ვაჭრობით. 2018 წელს, შეერთებული შტატები საქართველოში მეშვიდე უმსხვილესი იმპორტიორი იყო და აშშ-ს მერვე ადგილი ეკავა ექსპორტის მიმართულებით. საქართველოს საქონლის აშშ-ში ექსპორტის ღირებულება 2018 წელს 190 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო აშშ-ის ექსპორტი საქართველოში დაახლოებით 477 მლნ აშშ დოლარი იყო, რაც შეერთებულ შტატებს 287 მლნ აშშ დოლარის დადებით სავაჭრო ბალანსს აძლევდა.¹ აშშ-ის სახელმწიფო მფლობელობაში არსებული უცხოეთში კერძო საინვესტიციო კორპორაცია (OPIC) ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკაში ამერიკული კომპანიების ინვესტიციებს ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა ტურიზმი, აგრობიზნესი, ინფრასტრუქტურის განვითარება და განათლება. OPIC-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებს შორის არის სასტუმრო თბილისი მარიოტი და ფუნიკულიორის რესტორანი GMT ჯგუფთან ერთად, Pace Terminals-ი

¹ United States Census Bureau, 'US Trade with Georgia' www.census.gov/foreign-trade/balance/c4633.html#2018

ფოთში Pace Group-თან ერთად, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, სანტე პროდუქტები და სხვა. 2020 წელს OPIC-ს სახელი შეეცვალა და ის ახლა განვითარების საფინანსო კორპორაციის სახელითაა ცნობილი (US International Development Finance Corporation, ან მოკლედ DFC).

აშშ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობის დაწყებიდან, შეერთებული შტატები და საქართველო პერიოდულად განიხილავდნენ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესაძლებლობას. საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობის ევროკავშირთან, თურქეთთან, ჩინეთთან, დსთ-ს ქვეყნებთან და ამჟამად მუშაობს მსგავს შეთანხმებაზე ინდოეთთან. საქართველოსთვის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ პრიორიტეტს თავის ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმება წარმოადგენს. ამ პროცესის დასაწყებად შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ ჩამოაყალიბეს მაღალი დონის პლატფორმა ვაჭრობისა და ინვესტიციების შესახებ. 2017 წლის აგვისტოში, ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა საქართველოში ვიზიტის დროს გამოხატა შეერთებული შტატების „მკვეთრი ინტერესი საქართველოსთან სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების გაფართოების მიმართ“. ეს ორმხრივი ჩართულობა დადებითი და იმედისმომცემია. თუმცა, ზოგადად, შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური ფოკუსი კასპიისა და შავი ზღვის რეგიონში შემცირდა. რუსეთი აგრძელებს ამ რეგიონების სამხედრო დომინირებას. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ამერიკელების გათიშვა გეოპოლიტიკურ ვაკუუმს ქმნის, რომელიც რუსეთის, ჩინეთისა და სხვა მოწინააღმდეგეების მიერ სწრაფად ივსება.

რუსეთის ფედერაცია განსაკუთრებით რადიკალურია ამ პროცესში. საქართველოს ოკუპაციისა და ყირიმის ანექსიის შემდეგ, რუსეთის ლიდერები ამტკიცებენ, რომ ევროპას ახლა სხვა რუკა აქვს. რუსეთი არ თვლის თავს ვალდებულად საერთაშორისო შეთანხმებების წინაშე, რომლებიც ცდილობენ

შეზღუდონ რუსეთის სამხედრო წარმომადგენლობა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში. რუსეთი არღვევს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც ეუთოს პროცესის განუყოფელი ნაწილი იყო და ჯარებსა და აღჭურვილობაზე შეზღუდვებს აწესებდა, მათ შორის რუსეთის საზღვარზე საქართველოსთან, უკრაინასა და მოლდოვასთან. შეერთებული შტატების მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გარეშე, რუსეთი გააგრძელებს თავდაჯერებულ და აგრესიულ წინსვლას შავი ზღვის რეგიონში, სადაც არც შეერთებულ შტატებს და არც ნატოს თანმიმდევრული სტრატეგია არ გააჩნია. 2019 და 2020 წლების ნატოს სამიტებზე, ორგანიზაციამ შავი ზღვის რეგიონში უფრო აქტიური ნაბიჯები გადადგა¹, მაგრამ რეგიონში ნატოს წევრების თავდაცვითი შესაძლებლობებისა და მოკავშირეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება.

დასკვნა

აშშ-საქართველოს პარტნიორობა განსაკუთრებით წარმატებულია 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ორივე ქვეყანა ერთმანეთს სტრატეგიულ პარტნიორობად მიიჩნევს და ურთიერთობა მრავალ დონეზე გრძელდება. დამოუკიდებლობის მომენტიდან საქართველოს ყველა სახელმწიფო ადმინისტრაცია აცხადებს, რომ სწორედ მას მიუძღვის მთავარი როლი წარმატებული ორმხრივი კავშირების ჩამოყალიბებაში. საქართველო ყველა საერთაშორისო

¹ NATO Foreign Ministers Agree to Enhance Security in the Black Sea Region', www.nato.int/cps/en/natohq/news_165253.htm?selectedLocale=en; Press Conference by NATO Secretary General Jens Stoltenberg following the meeting of NATO Ministers of Foreign Affairs www.nato.int/cps/en/natohq/opinions_174772.htm?selectedLocale=en

ფორუმზე აჩვენებს თავის ერთგულებას შეერთებული შტატების მიმართ და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს როგორც პოლიტიკურ, ასევე სამხედრო მხარდაჭერას. 2008 წელს, რუსეთის შემოჭრის დროს, საქართველო ერაყში ჯარების სიდიდით მეორე ადგილზე იყო. მოგვიანებით, საქართველო ავღანეთის ოპერაციაში ნატოს არანევრი უმსხვილესი კონტრიბუტორი გახდა, რომელიც საბრძოლო მისიებში, ნატოს ზოგიერთი წევრისგან განსხვავებით, შეზღუდვების გარეშე მონაწილეობდა. საქართველო ერთ სულ მოსახლეზე ჯარისკაცით ავღანეთში ყველაზე დიდი კონტრიბუტორი იყო.

მოსალოდნელია, რომ აშშ პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაციის პერიოდშიც გააგრძელებს საქართველოს ძლიერ პოლიტიკურ მხარდაჭერას მისი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ საერთაშორისო არენაზე. ადმინისტრაციის ბევრ მაღალჩინოსანს და თავად პრეზიდენტს კარგად ესმის საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები. თუმცა, საქართველოს ერთგულება დემოკრატიისა და კანონის უზენაესობისადმი ორმხრივი ურთიერთობის არსებითი ელემენტია. მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორობა ორმხრივად მომგებიანია, აშშ-საქართველოს ურთიერთობები არ შეიძლება გარანტირებულად წარმატებულად აღვიქვათ. ორივე მხარემ უნდა გააგრძელოს ძალისხმევა ამ პარტნიორობის კიდევ უფრო მაღალ დონეზე ასაყვანად. საქართველოს შიდა რეფორმები და პროდასავლური საგარეო პოლიტიკა, და აშშ-ის შემდგომი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავების ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორები იქნება. შეერთებული შტატების დახმარებით, საქართველოს ადგილობრივი, რეგიონული თუ გლობალური გამოწვევების დაძლევა გაუადვილდება. აშშ-ს კი, საქართველოს დახმარებით, გაუმარტივდება აღმოსავლეთ ევროპიდან და ხმელთაშუაზღვისპირეთიდან ცენტრალურ აზიამდე თავისი სტრატეგიული ინტერესების მიღწევა.

ბოლოსიტყვაობა

ტრეისი ჯერმანი
სტივენ ფ. ჯონსი
კორნელი კაკაჩია

ოცდამეერთე საუკუნის მესამე ათწლეული მნიშვნელოვანი გამოწვევებით დაიწყო, რამდენადაც კოვიდ-19-ის პანდემიამ საზღვრები და ეკონომიკები ჩაკეტა და მზარდი გლობალიზაციისა და ინტეგრაციის გარდაუვალობის მოლოდინი ეჭვქვეშ დააყენა. თავდაყირა დადგა გავრცელებული მოსაზრება, რომ გლობალიზაცია გეოგრაფიული და ტერიტორიული საზღვრებისა და სახელმწიფოების მნიშვნელობას ამცირებდა. მსოფლიოს ქვეყნებმა შეზღუდეს გლობალიზაციის ყველაზე ფუნდამენტური მიღწევა, ადამიანებისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილება. წიგნის შესავალში სტივენ ჯონსი აღნიშნავს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა ყოველთვის თავდაცვისა და გადარჩენის მექანიზმს წარმოადგენდა, რაც არასდროს ყოფილა უფრო მეტად მკაფიო, ვიდრე ეს ახლათ. დღესდღეობით საქართველო მრავალი ისეთი საგარეო საფრთხის წინაშე დგას, რომელიც მისი კონტროლს მიღმაა, მათ შორისაა კორონავირუსის პანდემიის მართვა, იძულებითი ეკონომიკური ღონისძიებების გატარება და სამხედრო ოკუპაცია. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მომავლის განსაზღვრაში საგარეო ურთიერთობები კიდევ უფრო გადამწყვეტი გახდა.

კორონავირუსის კრიზისმა ქვეყნების სრული ჩაკეტვა გამოიწვია, სერიოზული ზიანი მიაყენა ბიზნესს, ასობით ათასი ადამიანის სიცოცხლე შეინირა და მილიონობით ადამიანის ცხოვრება რადიკალურად შეცვალა; გარდა ამისა, ამ უკანასკნელმა პატარა სახელმწიფოები განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დააყენა. პანდემიამ საქართველოში არსებული სტრუქტურული და სოციო-ეკონომიკური პრობლემები კიდევ

უფრო გაამწვავა, პარალელურად კი მნიშვნელოვნად შეზღუდა ქვეყნის საგარეო საფრთხეებთან გამკლავების შესაძლებლობები. ასევე, როგორც ლევან კახიშვილი და ალექსანდრე კუპატაძე თავიანთი თავის დასკვნით ნაწილში აღნიშნავენ, კორონავირუსის პანდემიამ დიდი გავლენა იქონია მეზობელ სახელმწიფოებთან სავაჭრო კავშირებსა და ურთიერთობებზე. საქართველოს მსგავს პატარა სახელმწიფოებს ვაჭრობასა და წარმოებაში გლობალური კრიზისის მიმართ ნაკლები მედეგობა გააჩნიათ: ტურიზმი საქართველოს მშპ-ის 6%-ს შეადგენს; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) წილი დაახლოებით 7%-ია, ხოლო ფულადი გზავნილები (2019 წლის მონაცემებით) მშპ-ის 9.8%-ს შეადგენს. 2019 წელს ქვეყნის ფულადი გზავნილების 29% რუსეთიდან შემოვიდა. კოვიდ-19-ის პანდემიამ თავისთავად გარდაქმნა საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები მის სავაჭრო პარტნიორებთან. ბუნებრივია, ყოველივე ამან ასევე გავლენა მოახდინა საქართველოს საგარეო ურთიერთობებზეც. მაგალითისთვის, მნიშვნელოვნად დაზარალდა საქართველოს ვაჭრობა რუსეთთან. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“-ს ანგარიშის მიხედვით, „2020 წლის მარტის თვეში საქართველოს ექსპორტი რუსეთში 43%-ით შემცირდა, ხოლო ჯამური ექსპორტი 2020 წლის იანვარ-მარტში კი - 33%-ით (44 მილიონი აშშ დოლარი)“.¹ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რუსეთი ყოველთვის ხაზს უსვამდა ვაჭრობასა და პოლიტიკას შორის ურთიერთკავშირს საქართველოსთან ურთიერთობებში, ქვეყანამ 2006 წელს ქართულ ნაწარმს ემბარგო დაადო, რაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ კიდევ ერთხელ გაიმეორა. ამ დრომდე, პანდემიის ერთ-ერთი შესაძლო დადებითი შედეგი რუსეთზე საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირებაა, რაც

¹ Transparency International, 'Georgia's Economic Dependence on Russia: Trends and Threats', 4 May 2020, <https://transparency.ge/en/blog/georgias-economic-dependence-russia-trends-andthreats>

გრძელვადიან პერსპექტივაში გააძლიერებს ეროვნულ უსაფრთხოებას და ქვეყანას სავაჭრო ურთიერთობების მეტად დივერსიფიცირებისკენ უბიძგებს.

იმის გათვალისწინებით, რომ რიგი დიდი სახელმწიფოების მთავრობებს საკმაოდ გაუჭირდათ პანდემიის მართვა, კრიზისის ფონზე ზოგიერთმა პატარა სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომ, თავისი შეზღუდული რესურსებისა და სუსტი ჯანდაცვის სისტემის ფონზე თანდაყოლილი მონყვლადობა გამოავლინა. 2020 წელს, პანდემიის დასაწყისში, როგორც სამხრეთ კავკასიაში, ასევე ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში შემთხვევების მატების მიუხედავად, საქართველომ პირველ ეტაპზე დადასტურებული შემთხვევების მოსალოდნელზე უფრო მცირე ნიშნულზე შენარჩუნება მოახერხა, რითაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მხრიდან შექება დაიმსახურა.¹ ასევე, პანდემიის წარმატებული მართვის ნიშანი იყო ევროკავშირის მიერ საქართველოს „უსაფრთხო ქვეყანათა“ პირველ სიაში შეყვანა, რომელიც 2020 წლის ივნისის ბოლოს შეთანხმდა.² თუმცა, პანდემიის შემდგომი მსვლელობისას სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. თუ პანდემიის დასაწყისში საქართველო გლობალური წარმატების სანიმუშო მაგალითს წარმოადგენდა, 2020 წლის ბოლოსთვის ქვეყანას დღეში დაახლოებით 4,000 ახალი ინფიცირებული და ორმოცამდე გარდაცვლილი ჰყავდა. ეს მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოში ყველაზე უარეს მონაცემს წარმოადგენდა.³ ტურიზმის კოლაფსმა, პროდუქტების ფასების დაცემამ, ფულადი გზავნი-

¹ 'WHO Names Georgia as Country Performing Well in Fight against Coronavirus', 8 May 2020, <https://agenda.ge/en/news/2020/1435>

² Council of the European Union, 'Council Agrees to Start Lifting Travel Restrictions for Residents of Some Third Countries', *Press Release*, 30 June 2020, www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2020/06/30/council-agrees-to-start-liftingtravel-restrictions-for-residents-of-some-third-countries/

³ Giorgi Lomsadze, Georgia's COVID outbreak grows from molehill to 'Everest'. 7 December, 2020, <https://eurasianet.org/georgias-covid-outbreak-grows-from-molehill-to-everest>

ლების შემცირებულმა რაოდენობამ და მიწოდების ჯაჭვის რღვევამ მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყანაში სიღარიბე და უმუშევრობა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, პანდემიით გამოწვეული მშპ-ის დანაკარგისა და გაზრდილი ფინანსური საჭიროების ფონზე, საქართველო მწვავე ეკონომიკური კრიზისისა და არამდგრადი საგარეო ვალის პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდა.¹

როგორც ჩანს, სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს (სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო) გაუჭირდა პანდემიასთან გამკლავება. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოების ხელისუფლება უკვე იღებს გარკვეულ ზომებს პანდემიის გავლენის შესამცირებლად, მათ შორის პოლიტიკურ ზომებსა და ტურიზმისა და მოგზაურობის აღდგენის პროტოკოლებს, ისინი ამ პერიოდის განმავლობაში მეტწილად ერთმანეთისაგან იზოლირებულები დარჩნენ. სულ მცირე მოკლე ვადიან პერსპექტივაში, ყოველივე ამას გარკვეული გავლენა ექნება რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერების ძალისხმევაზე, რაც ამყარებს დავით აფრასიძის მიერ მის თავში მოყვანილ არგუმენტს სუსტი რეგიონული იმპულსების შესახებ სამხრეთ კავკასიაში. ნიგნის შესავალ ნაწილში ჯონსმა აღნიშნა, რომ საქართველოს მსგავსი პატარა სახელმწიფოების სიმტკიცე დიპლომატიის ხელოვნებაზეა დამოკიდებული. საქართველომ აქტიურად განაგრძო თავისი საგარეო პოლიტიკური მიზნებისკენ სწრაფვა და დასავლური მხარდაჭერისა და პატრონაჟის ძიების პროცესში დიპლომატიურ წარმატებებსაც მიაღწია. როგორც მოცემული ნიგნი აჩვენებს, ყოველივე ეს უფრო აღმოსავლეთით „სხვა“ ევროპასთან ურთიერთობებზეც ვრცელდება. ლებანიძე და სკარჯუტე-კერესელიძე საქართველოსა და პოლონეთს შორის ურთიერთობების განვითარებას მიმოიხილავენ; 2020 წლის მაისში, პოლონეთის მიერ საქართველოს

¹ Georgian Parliament Confirms 2021 State Budget. *Civil Georgia*, 30 December 2020, <https://civil.ge/archives/389765>

სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი ერთმნიშვნელოვანი განცხადებით ამ ურთიერთობაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. პოლონეთის განახლებულ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს წინააღმდეგ მიმართულმა რუსულმა აგრესიამ „საერთაშორისო სამართლის საბაზისო პრინციპები დაარღვია და ევროპული უსაფრთხოების სისტემას ძირი გამოუთხარა“. დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ პოლონეთი:

შესაბამის ზომებს მიიღებდა უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, სუვერენულობის და ტერიტორიული მთლიანობის გასაძლიერებლად, მათ შორის მათი ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერისა და პოლონეთის აღმოსავლეთ სამეზობლოში, მათ შორის აღმოსავლეთ პარტნიორობის სივრცეში, სტაბილიზაციის აქტივობებში ჩართვის გზით.¹

ამგვარი შიდა მხარდაჭერა ევროკავშირისგან - რომელიც ბალტიისპირეთის სახელმწიფოებზეც ვრცელდება - სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება საქართველოსთვის ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ სწრაფვის პროცესში. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ევროპის პერიფერიაზე მდებარე საქართველო ევროპასთან ურთიერთობის ხელახლა განსაზღვრას და პოსტსაბჭოთა გეოპოლიტიკური სივრცისგან დისტანცირებას აქტიურად ცდილობს. შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად საქართველო შიდა განვითარების ახალ ეტაპზე გადადის, რომელიც მნიშვნელოვნად არის განპირობებული საზოგადოებრივი აზრით და „შეუქცევადი ევროპეიზაციის“ პროცესით.² 2014

¹ *National Security Strategy of the Republic of Poland*, approved on 12 May 2020 by the President of the Republic of Poland upon request of the President of the Council of Ministers, www.bbn.gov.pl/ftp/dokumenty/National_Security_Strategy_of_the_Republic_of_Poland_2020.pdf, pp. 6 and 25.

² Kornely Kakachia, 'Europeanization and Georgian Foreign Policy', in *The South Caucasus between Integration and Fragmentation*, May 2015, European Policy Center report, p. 11.

წელს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, საქართველომ კიდევ ერთხელ დაადასტურა ევროპული არჩევანის მიმართ ერთგულება და ევროკავშირთან უფრო ღრმა ინტეგრაციისა და ფუნქციური თანამშრომლობისთვის აუცილებელი რეფორმების გატარება განაგრძო. იმ ეპოქაში, როდესაც ანტიევროპული პოპულიზმი ევროპის მასშტაბით უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება, დასავლელი ლიდერები კი ეკონომიკური ნაციონალიზმის ქვეშ სტრატეგიული გარდაქმნების მიმართ პოზიტიურად არიან განწყობილები, საქართველოს შემთხვევა იშვიათი ძალისხმევაა, რომელსაც იდეური და პრაგმატული გათვლები წარმართავს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია წარმატებით გრძელდება პოლიტიკურ დონეზე, ზოგიერთი ევროპული ღირებულებისადმი საზოგადოების წინააღმდეგობა, მათ შორის რელიგიური და სექსუალური უმცირესობების მიუღებლობა, საზოგადოებრივ დონეზე კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება, რასაც რუსული პროპაგანდაც აქტიურად უწყობს ხელს.

საქართველოს ამჟამინდელი ევროპეიზაციის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვან სისუსტეს ქართული საზოგადოების ღირებულებებსა (თუმცა ისინი თანდათანობით იცვლება) და დანარჩენი ევროპის ღირებულებებს შორის არსებული ძირეული განსხვავებები წარმოადგენს. ამგვარი განსხვავებები საბჭოთა პერიოდის განმავლობაში საქართველოს ხანგრძლივი იზოლაციის გამო არსებობს, რომელიც 1990-იანი წლების შიდა ომების დროსაც გაგრძელდა. საქართველოსა და ევროკავშირს არ აქვთ საკმარისი საერთო გამოცდილებები, რამდენადაც საქართველოს მონაწილეობა არ მიუღია იმ საერთო ევროპულ საჯარო დებატებში, რომლებიც ბოლო ოცი წლის განმავლობაში ევროპაში მომხდარ სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს შეეხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი პოლიტიკოსები ევროპულ იდენტობაში თავდაჯერებულები არიან და თავიანთ რიტორიკაში ქვეყანას „ევროპის“ ნაწილად წარმოაჩენენ, საქართველოში ჯერ კიდევ არასაკმარისად ესმით ევროკავშირთან

უფრო ახლო ინტეგრაციის რეალობა, საქართველოს შესახებ ევროპელების აღქმები და, ასევე, ევროპული მეტაპოლიტიკის ისეთი შესაძლო შედეგები, როგორცაა ანტიდისკრიმინაციული რეფორმა და ადამიანის უფლებათა საკითხები. საქართველოში ევროკავშირი საგარეო პოლიტიკის ამოცანად აღიქმება და მის შესახებ დისკუსია გაერთიანებაში განვერების კონტექსტში მიმდინარეობს, მაშინ, როდესაც საერთოდ არ არის საუბარი იმის შესახებ, რომ ქართულმა საზოგადოებამ ფორმალური წევრობის გარეშე უნდა დაიწყოს ევროკავშირის საჯარო სივრცეში ინტეგრირება, მათ შორის, გაერთიანების მომავლის შესახებ საერთო პოლიტიკურ და სტრატეგიულ დისკუსიებში მეტი ჩართულობის საშუალებით. საქართველოს ევროპეიზაციის გეგმებში გარდამტეხი როლი შესაძლოა უფრო მეტად საზოგადოებრივმა მონაწილეობამ შეასრულოს, ვიდრე ინსტიტუციური ჩართულობის ფორმალურმა პროცესმა.

„ქართულმა ოცნებამ“, რომელმაც 2020 წლის 31 ოქტომბერს კიდევ ერთხელ მოვიდა ხელისუფლებაში, გააჟღერა გეგმები 2024 წელს ევროკავშირის წევრობის ფორმალური განაცხადის შეტანის შესახებ.¹ გადაწყვეტილება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე გამოცხადდა, შემდგომში კი საპარლამენტო რეზოლუციაშიც დადასტურდა.² რეზოლუცია ევროკავშირის წევრობას ქვეყნის უალტერნატივო პრიორიტეტად ასახელებს. წევრობაზე განაცხადის გაკეთების ვადის დათქმა ხელისუფლების მხრიდან ამბიციური ნაბიჯია, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ ევროკავშირის წინაშე მდგარ ბოლოდროინდელ პრობლემებს პანდემიის, იმიგრაციისა და სხვა საკითხების გარშემო. წევრობის განაცხადის შესახებ განაცხადებას ბრიუსელიდან არავითარი საპასუხო რეაქცია არ მოჰყოლია. მეორე მხრივ, ევროკავ-

¹ For the Georgian government's 'Georgian Foreign Policy Strategy' for 2019-2022 (in Georgian), იხილეთ <https://nbg.gov.ge/en/page/money-transfers>

² For the Georgian government's 'Georgian Foreign Policy Strategy' for 2019-2022 (in Georgian), იხილეთ <https://nbg.gov.ge/en/page/money-transfers>

შირის წევრობის ფორმალური განაცხადი თავისი ვადებით შესაძლოა დამატებით ბიძგად იქცეს შიდა რეფორმებისთვის და საქართველო ევროკავშირში ინტეგრაციის მიზანთან კიდევ უფრო მეტად დაახლოვოს. ერთ-ერთი ევროპელი კომენტატორის მოსაზრებით, „ეს [წევრობის განაცხადი] თამამი ნაბიჯია, რომელიც, სავარაუდოდ, იმედგაცრუებით დასრულდება, მაგრამ ცხადია, რომ თბილისს სჭირდება პროგრესი ევროკავშირთან ურთიერთობაში და რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა ქვეყნისთვის გარკვეულ შემზღვეველ ფაქტორად იქცა“.¹ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში ორმხრივი ნაცვალგების დეფიციტი, რომელზეც ჩეჩირე და საბანაძე საუბრობენ, ქართველი პოლიტიკოსებისთვის კვლავ გამოწვევად რჩება: გაერთიანების წევრი სახელმწიფოები საქართველოს „ევროპულობის“ საკითხს კვლავ ეჭვქვეშ აყენებენ. მათთვის პრობლემას წარმოადგენს როგორც ქვეყნის „გეოგრაფიული“ დაშორება ევროპისაგან, ასევე რუსეთისგან მუდმივად მომდინარე საფრთხე. დასავლელ მოკავშირეებს შორის არსებული გაფართოებით გადაღლა, მოსკოვთან დაკავშირებული პრობლემები და წევრობის მსურველი კანდიდატი ქვეყნების არადამაჯერებელი ამბიციის ნატოსა და ევროკავშირის მომავლის შესახებ კონსენსუსის მიღწევას აფერხებს.

საქართველო რამდენიმე მუდმივი გამოწვევის წინაშე დგას, რაც გავლენას მოახდენს მომავალში მის საგარეო პოლიტიკაზე. რამდენადაც ნატოს წევრობისკენ სწრაფვა და ევროკავშირთან დაახლოება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ცენტრალურ პრიორიტეტს წარმოადგენს, თბილისი რუსეთის ძალის დაბალანსების მიზნით გააგრძელებს ისეთ არარეგიონულ აქტორებთან ურთიერთობას, როგორიცაა აშშ და ჩინეთი. ჩინეთი, აზერბაიჯანსა და თურქეთთან ერთად, სულ უფრო მეტად მნიშვნელო-

¹ ‘Should Georgia Apply for EU Membership in 2024?’, Expert Comment #15, Georgian Institute of Politics, February 2021, <http://gip.ge/should-georgia-apply-for-eu-membership-in-2024/>

ვანი ხდება საქართველოსთვის იმ ფონზე, როდესაც ქვეყანა დიპლომატიური ურთიერთობების, სავაჭრო პარტნიორობისა და ბაზრების დივერსიფიცირებას ცდილობს. საქართველოს მთავრობა ცდილობს საქართველოს, როგორც სამხრეთ კავკასიის ჰაბის პოზიციონირებას სამხრეთ-ევრაზიული დერეფნისთვის, რომელსაც ჩინეთის „სარტყლის და გზის ინიციატივის“ (BRI) განვითარებისა და კონკრეტულად ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის დერეფნისთვის ცენტრალური მნიშვნელობა აქვს. ჩინეთი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საქართველოსთვის, რასაც ქვეყნებს შორის 2018 წელს დადებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაც ადასტურებს. ამჟამად ჩინეთი სიდიდით რიგით მეორე ექსპორტიორია საქართველოში, რითაც რუსეთსაც კი გადაუხსნრო. პეკინთან დადებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ავსებს 2014 წელს ევროკავშირთან დადებულ ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, რომელიც საქართველოსა და ევროპას შორის საბაზრო წვდომას ზრდის. ანაკლიის ღრმანყოფილება პორტის მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტების არსებობა კი მოწმობს, რომ საქართველო როგორც დასავლეთით, ასევე აღმოსავლეთითაც არის დაინტერესებული. თუმცა, ანაკლიის ჩინეთსა და ევროპას შორის სტრატეგიულ სავაჭრო ჰაბად ჩამოყალიბების პერსპექტივას ხელი შეუშალა შიდაპოლიტიკურმა სკანდალმა და რუსეთის მხრიდან ზენოლამ, რამდენადაც ანაკლიის პორტი რუსეთის შავი ზღვის ნოვოროსიისკის პორტს გაუნევედა კონკურენციას. ზემოთქმულის მიუხედავად, 2019 წელს სიტყვით გამოსვლისას, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ პროექტის მიმართ აშშ-ის მტკიცე მხარდაჭერას გაუხვია ხაზი. მან განაცხადა, რომ ანაკლია „გააძლიერებდა საქართველოს ურთიერთობას თავისუფალ ეკონომიკებთან და ქვეყნის რუსეთისა და ჩინეთის ეკონომიკური გავლენის ქვეშ მოქცევას შეუშლიდა ხელს“.¹

¹ ‘Statements to the Press with Georgian Prime Minister Mamuka Bakhtadze as

ჩინეთთან თანამშრომლობა საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური მომავლისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. თუმცა, საქართველოს საგარეო პოლიტიკის დივერსიფიცირებას გარკვეული რისკები ახლავს თან და არსებობს შეკითხვები იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა საქართველო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონკურენტუნარიან სატრანსპორტო დერეფნად ჩამოყალიბებას. ანაკლიის პორტის მსგავსი ღრმანწყლოვანი პროექტები საქართველოს, როგორც სატრანზიტო ცენტრის წარმატებისთვის გადამწყვეტი და კრიტიკული მნიშვნელობისაა. სამხრეთ კავკასიის გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობა რუსეთს, თურქეთს და ირანს შორის და საგარეო აქტორების მზარდი როლი, რომელთა შორისაა დასავლეთის უსაფრთხოების ორგანიზაციები და ჩინეთი, საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსზე მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს. რეგიონის მთავარი სატრანზიტო დერეფნის მიმზიდველობის შენარჩუნება საქართველოსთვის არა მხოლოდ ეკონომიკის გაუმჯობესების, არამედ საკუთარი სუვერენიტეტის დაცვის შესაძლებლობასაც ქმნის.

ჩინეთის მსგავსი აქტორების გავლენის ზრდა, რომელიც დიდწილად მოთხოვნით არის განპირობებული, საქართველოს თავისი დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობების მეტი დივერსიფიკაციისკენ უბიძგებს. თუმცა, ამავდროულად, საქართველოს წარმატებული საშინაო რეფორმებისკენ მიმართული ძალისხმევის არალიბერალური მეზობლებისა და პარტნიორების პოტენციური ზენოლისაგან დაცვა მოუწევს. ამ ფონზე, დასავლურ დემოკრატიებსა და ევროპულ ორგანიზაციებს, მათ შორის ევროკავშირსა და ნატოს, არ აქვთ სამხრეთ კავკასიაში საკუთარი გავლენების გამო მშვიდად ყოფნის ფუფუნება, რადგან რუსეთსა და ჩინეთს მნიშვნელოვანი ეკონო-

Part of the US-Georgia Strategic Partnership Commission', Remarks, Michael R. Pompeo, Secretary of State, Treaty Room, Washington, DC, 11 June 2019, www.state.gov/statements-to-the-press-withgeorgian-prime-minister-mamukabakhtadze-as-part-of-the-u-s-georgia-strategic-partnershipcommission/

მიკური მხარდაჭერის აღმოჩენა შეუძლიათ საქართველოსთვის, რაც დასავლურ გავლენებსა და პირობითობის პრინციპს მნიშვნელოვნად დააზარალებს.¹ თუმცა, საქართველოში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები აჩვენებს, რომ ჩინეთის ავტორიტარიზმი, სავარაუდოდ, ვერ მოახდენს საგულისხმო გავლენას საქართველოს პოლიტიკურ კურსზე, რომელიც მკაფიოდ პროდასავლური რჩება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ში ბაიდენის ახალი ადმინისტრაცია მხარს დაუჭერს საქართველოს განგრძობად თანამშრომლობას თავის დასავლელ პარტნიორებთან. თუმცა, ჩინეთის მზარდი გავლენები, საბოლოო ჯამში, შესაძლოა დამატებითი სტიმული აღმოჩნდეს ევროპისა და აშშ-ისთვის, რათა მათ საქართველოს დასავლურ ორბიტაზე შესანარჩუნებლად ძალისხმევა გააორმაგონ.² თუ თბილისი როგორც რეგიონული, ასევე გარე ძალების ინტერესებს შორის წარმატებული ბალანსის შენარჩუნებას მოახერხებს, ქვეყანას თავისი გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობის ეფექტურად გამოყენება და სამხრეთ კავკასიის გავლით ვაჭრობისა და კომუნიკაციების კავშირების საშუალებით მნიშვნელოვანი სარგებლის მიღება შეუძლია.

საქართველოსთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება საშინაო პოლიტიკაში დადებითი მუხტის შენარჩუნება. ჯონსი აღნიშნავს, რომ საქართველოს მთები არასდროს ყოფილა საკმარისი ქართული სუვერენიტეტის დასაცავად, მაგრამ „ქართულმა დემოკრაციამ ... შესაძლოა მოახერხოს საკუთარი საზღვრების დაცვა“. 2020 წლის შემოდგომის არჩევნების წინ, 2020 წლის ივნისში კონსტიტუციური და საარჩევნო რეფორმების დამტკიცება საერთაშორისო საზოგადოებამ დადებითად შეაფასა. „ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლე-

¹ Erica Frantz and Andrea Kendall-Taylor, 'The Evolution of Autocracy: Why Authoritarianism is Becoming More Formidable', *Survival*, 59:5 (2017), pp.57-68

² იხილეთ, The Foreign Policy Research Institute's and Black Sea Strategy Papers' report *On the Fault Line: Georgian Relations with China and the West* (New York: Foreign Policy Research Institute, 2019), p. 12.

ის“ (PACE) დასკვნის მიხედვით, აღნიშნული ცვლილებები ნიშნავდა, რომ 2020 წლის არჩევნები „წინა არჩევნებთან შედარებით ბევრად უფრო პროპორციული იქნებოდა, რაც პოტენციურად უფრო პლურალისტური და წარმომადგენლობითი პარლამენტის დაკომპლექტების შესაძლებლობას შექმნიდა“.¹ თუმცა, 2020 წლის საარჩევნო პროცესის შედეგად, ქართულმა ოპოზიციამ ახლად არჩეული პარლამენტის ბოიკოტირების გადაწყვეტილება მიიღო, რამაც დიალოგი, პოლიტიკური სტაბილურობა და „ლოიალური ოპოზიციის“ ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად გაართულა. იმის ფონზე, რომ არალიბერალური ძალები გლობალურ აღმასვლას განიცდიან, ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ თავისი დემოკრატიული მონაპოვარი ბოლომდე დაიცვას და თავისი მანდატის კონსოლიდირება მოახერხოს. გაზრდილ სამხედრო ხარჯებზე მეტად, სწორედ ამგვარი მიდგომა დაეხმარება საქართველოს როგორც ევროატლანტიკური მისწრაფების განხორციელებაში, ასევე ევროკავშირთან, მის ღირებულებებსა და ბაზრებთან კავშირების შენარჩუნებაში.

¹ Parliamentary Assembly of the Council of Europe, 'Georgia Monitors Welcome Adoption of Constitutional Amendments by the Georgian Parliament', 29 June 2020, https://pace.coe.int/en/news/7942/les-rapporteurs-de-l-apce-pour-le-suivi-de-la-georgie-saluent-ladoption-d-amendements-constitutionnels-par-le-parlement-georgien-?%20fbclid=IwAR1Qg70rbCiixDgrcer_V1q1cC8XphfKwp2zbt-OJNyI9JJtdnCoYmm6wpil

გამომცემლობის რედაქტორი

დამკაბადონებელი

გარეკანის დიზაინერი

მაია ეჯიბია

ხათუთა ბადრიძე

მარიამ ებრალიძე

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1

1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128

Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279

<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>